

დიმიტრი უზნაძის ნაშრომები და მათი თანამედროვე ინტერპრეტაცია

დიმიტრი უზნაძის ნაშრომები და მათი თანამედროვე ინტერპრეტაცია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2020 წელი

დიმიტრი უზნაძის ნაშრომები და მათი თანამედროვე ინტერპრეტაცია

წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი SP-19-425] This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number SP-19-425]

ავტორები: დიმიტრი უზნაძე
მაია რობაქიძე
თამარ ცხადაძე
გიორგი ხეოშვილი
რედაქტორი: ნინო ჯავახიშვილი
ტექსტის რედაქტორი: მაია რობაქიძე

(თანმიმდევრული ვიზუალური აღქმისას გამოვლენილი აინშტელუნგის ეფექტის ცდები (უზნაძის ეფექტი))

მთარგმნელები: დალი ფარჯანაძე,
ალინა ოქროპირიძე
დამკაბადონებელი ნიკო ყიასაშვილი
ყდის დიზაინი ნიკო ყიასაშვილი

SBN 978-9941-18-352-2

Dimitri Uznadze's Works And Their Modern Interpretation
Dimitri Uznadze, Maia Robaqidze, Tamar Tskhadadze, Giorgi Kheoshvili

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინათქმა 4
ნინო ჯავახიშვილი

ფსიქოლოგიური შრომები 7

სიმძიმის ილუზიის და მისი ანალოგიის შესახებ 8
დიმიტრი უზნაძე

თანმიმდევრული ვიზუალური აღქმისას გამოვლენილი აინშტელუნგის ეფექტის ცდები (უზნაძის ეფექტი) 21
ჟან პიაჟე და მარკ ლამბერსიე

„უზნაძის ეფექტის“ კვლევა ჟ. პიაჟესა და თანამედროვე მეცნიერთა შრომებში 71
მაია რობაქიძე

ფილოსოფიური შრომები 83

ბერგსონის ფილოსოფია 84
დიმიტრი უზნაძე

ბერგსონის მონიზმი 230
დიმიტრი უზნაძე

ბერგსონის ფილოსოფიის ინტერპრეტაცია და კრიტიკა დიმიტრი უზნაძის მიერ 240
თამარ ცხადაძე, გიორგი ხეოშვილი

წინათქმა

დიმიტრი უზნაძე, ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამფუძნებელი (1918), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1918).

დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო შრომები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე. ისინი ეძღვნება ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკვანძო საკითხებს. ფსიქოლოგიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი "განწყობის თეორია". საკმარისია, აღინიშნოს, რომ ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოიცა მისი ფუძემდებლური მონოგრაფია "განწყობის ფსიქოლოგია" (D.N. Uznadze, "The Psychology of Set", New York, 1966). 1939 წელს, სკანდინავიაში გამოცემულ ავტორიტეტულ საერთაშორისო ჟურნალში "Acta Psychologica" გამოქვეყნდა განწყობის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი მისი ვრცელი ნაშრომი. სწორედ ამ დროიდან ქართველი მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობა მოექცა მსოფლიოს ფსიქოლოგთა ყურადღების ცენტრში. ამდენად, დღეს დიმიტრი უზნაძე სამართლიანად მიიჩნევა განწყობის ფსიქოლოგიის მამამთავრად.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. ამ მიზნით, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც დიმიტრი უზნაძის სახელს ატარებს, ახორციელებს პროექტს: „დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა და სამომავლოდაც იგეგმება რიგი მნიშვნელოვანი აქტივობებისა, მათ შორის, 2018 წელს გამოიცა დიმიტრი უზნაძის რჩეული შრომების ინგლისურენოვანი თარგმანი წიგნში: „D. Uznadze Selected Works Commented by Contemporary Georgian Scholars“. ამ წიგნის მნიშვნელობა და ღირსება ისაა, რომ აქ თავმოყრილია არა მხოლოდ დიმიტრი უზნაძის რამდენიმე ნაშრომის ინგლისურენოვანი ვერსია, არამედ, ამ ნაშრომების განხილვა და კომენტარი, ანალიზი, რომელიც მოამზადეს თანამედროვე ქართველმა ფსიქოლოგებმა. გარდა ამისა, ამ პროექტის მესვეურები ვცდილობდით, რაც შეიძლება სრულად წარმოგვეჩვენებინა დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო აზროვნების დიაპაზონი. დიმიტრი უზნაძე ცნობილია, როგორც ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და განწყობის თეორიის ავტორი, თუმცა, მას არანაკლებ ღირებული ნაშრომები აქვს შექმნილი განათლების მეცნიერებაში და ფილოსოფიაში. ამიტომ, წიგნში შევიდა მისი ფილოსოფიური, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური შრომების თარგმანი შესაბამისი კომენტარებით. წიგნი მომზადდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებისა და მოწვეული ექსპერტების მიერ, ხოლო გამოიცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში.

ამ წიგნის გამოცემა შეიძლება დიდ მიღწევად ჩაითვალოს, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ის განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპეციალური ჯგუფის ინტერესის საგანი გახდა და, მათი შემოთავაზების საფუძველზე, წიგნი ფრანკფურტის 2018 წლის წიგნის ბაზრობაზე გაიგზავნა, სადაც საქართველო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა,

პროფესორმა ნინო ჯავახიშვილმა, რომელიც წინამდებარე პროექტის ხელმძღვანელია, წიგნი ფრანკფურტის ბაზრობაზე წარადგინა.

ამჯერად, დავიწყეთ მზადება პარიზის წიგნის ბაზრობისათვის, სადაც საქართველო სპეციალური სტუმრის სტატუსით 2024 წელსაა მიწვეული. წინამდებარე წიგნის იდეა არის დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის იმ ნაწილის წარმოჩენა, რომელიც მას ფრანკოფონიურ სამყაროსთან აკავშირებს. საბოლოო, დასრულებული სახით წიგნი ჩაფიქრებულია სამენოვნად, ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ამიტომ, ამ პროექტზე მუშაობა 2019 წელს დავიწყეთ. ამ ეტაპზე ინსტიტუტის თანამშრომლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა ქართული ნაწილი მოამზადეს.

დიმიტრი უზნაძისა და მისი ევროპელი კოლეგების ნაშრომების გაანალიზება თანამედროვე ავტორების მიერ, უაღრესად მნიშვნელოვანია დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის გააზრებისა და სათანადოდ შეფასებისათვის. წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა მნიშვნელოვანია ქართულენოვანი მკითხველისათვის, მათ შორის, მათთვის, ვისაც არ შეუძლია ფრანგულად ან გერმანულად კითხვა, ან, უბრალოდ, არ მიუწვდება ხელი ამ წყაროებზე. მაგალითად, ჟან პიაჟესა და მარკ ლამბერსიეს სტატია შვეიცარიაში არსებული არიქივიდან მოვიპოვეთ, ეს ნაშრომი ელექტრონულად ხელმისაწვდომი არ არის. მთლიანობაში, წიგნის ტექსტებიდან ელექტრონულად ხელმისაწვდომი, ამ ეტაპზე, მხოლოდ დიმიტრი უზნაძის ერთი სტატიაა, თუმცა, გერმანულ ენაზე.

დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის ფრანგი ფილოსოფოსის, ანრი ბერგსონის შემოქმედების სერიოზული, ღრმა ანალიზი, ავტორისა, რომელიც თანამედროვე საფრანგეთში სასკოლო განათლების პროგრამაშია შესული. უზნაძემ ბერგსონის ფილოსოფიის 2 ანალიტიკური ნაშრომი მოამზადა - „ბერგსონის ფილოსოფია“, 1920 და „ბერგსონის მონიზმი“, 1925. ისინი მეორედ 1984 წელს, მისი „ფილოსოფიური შრომების“ მეორე ტომში გამოიცა. ფილოსოფოსებმა, თამარ ცხადაძემ და გიორგი ხეოშვილმა მოამზადეს ამ ნაშრომის ანალიზი, სადაც იხილავენ მას როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ 1920 წლის ფილოსოფიურ ნაშრომში განწყობის ფსიქოლოგიის თეორიის ელემენტები ჩანს.

დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური მემკვიდრეობიდან ამ წიგნში შევიდა მისი განწყობის თეორიის ერთ-ერთი ასპექტის განხილვა, რისთვისაც წარმოვადგენთ მის ფსიქოლოგიურ ნაშრომს: ”სიმძიმის ილუზიის და მისი ანალოგიის შესახებ”, რომელიც მან გერმანულად დაწერა და გამოაქვეყნა გერმანულ ჟურნალში ”ფსიქოლოგიური შრომები”, 1931, ტ. 14., ნ. 3-4, გვ. 366-379. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის განწყობის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი პირველი ემპირიული კვლევა, რადგან, დიმიტრი უზნაძემ განწყობის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები წარმოადგინა ნაშრომში ”Impersonalia”, 1923 წელს (რომლის ინგლისურენოვანი თარგმანი შევიდა ჩვენს მიერ გამოცემულ ინგლისურენოვან წიგნში: D. Uznadze Selected Works Commented by Contemporary Georgian Scholars). შემდეგ დაიწყო მან თეორიული მოსაზრებების ემპირიული, ექსპერიმენტული შემოწმება. მომდევნო წლებში ის განწყობის თეორიის სხვადასხვა იდეას, ნაწილს აქვეყნებდა, ძირითადად, გერმანულად და მოხსენებებს აკეთებდა საერთაშორისო კონგრესებზე, თუმცა, ტერმინი ”განწყობის ფსიქოლოგია” პირველად 1938 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩნდება (თუ არ ჩავთვლით რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიას 1930 წელს). შესაბამისად, ჩვენ მოვიპოვეთ და, ფსიქოლოგიის პროფესორმა დალი ფარჯანაძემ გერმანულიდან თარგმნა უზნაძის ეს სტატიაც.

დიმიტრი უზნაძის მიერ 1931 წელს გამოქვეყნებული გერმანულენოვანი სტატიით დაინტერესდა ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟე. მან და სხვა ევროპელმა ავტორებმა ეს სტატია წაიკითხეს და მის საფუძველზე გაჩნდა ტერმინი "უზნაძის ეფექტი". პიაჟემ თავის კოლეგასთან, მარკ ლამბერსიესთან ერთად გამოაქვეყნა სტატია: „აინშტელუნგის (ქართულად განწყობას ნიშნავს)" ეფექტის შესახებ. ჩვენ ეს სტატია ჟან პიაჟეს არქივიდან მოვიპოვეთ და ქართულად ვთარგმნეთ. ფსიქოლოგმა მაია რობაქიძემ, რომელსაც დისერტაცია აქვს დაცული უზნაძის განწყობის თეორიის აღქმის ასპექტზე, რედაქტირება გაუკეთა ამ თარგმანს და, ასევე, უზნაძის ექსპერიმენტების და პიაჟეს სტატიის თანამედროვე ანალიზი მოამზადა.

საბოლოოდ, წიგნში შევიდა: დიმიტრი უზნაძის სამი ნაშრომი – 2 ფილოსოფიური და 1 ფსიქოლოგიური, ამ ორი ნაშრომის ანალიზი, მომზადებული თანამედროვე ქართველი სპეციალისტების – ფილოსოფოსების და ფსიქოლოგის მიერ და ჟან პიაჟესა და მარკ ლამბერსიეს სტატია.

ამ წიგნის მიზანია სპეციალისტებს, ანუ, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლებს გააცნოს დიმიტრი უზნაძის შრომების თანამედროვე ხედვა, მისი მემკვიდრეობის თავიდან გააზრება, მის მიერ მეოცე საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში გამოთქმულ იდეებთან დაბრუნება და მათი კრიტიკული გადასინჯვა თითქმის 100 წლის შემდეგ. თანამედროვე ფილოსოფოსებისა და ფსიქოლოგების მიერ შესრულებული ანალიტიკური ნაშრომები დიმიტრი უზნაძის იდეებსა და თეორიას გაიაზრებენ უახლესი სამეცნიერო მიღწევების ჭრილში. დ. უზნაძე თამამად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე მკვლევრად ამ გახსნილ საზოგადოებაში და გლობალიზაციის ეპოქაში. მისი განათლება, მოღვაწეობა, ნაშრომები სრულად პასუხობს თანამედროვე გლობალური აზროვნების პრინციპებს.

ნინო ჯავახიშვილი

პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ფსიქოლოგიური შრომები

სიმძიმის ილუზიის და მისი ანალოგის შესახებ

დიმიტრი უზნაძე

რამდენიმე ათეული წლის წინ მიულერმა და შუმანმა შარპანტიეს მიერ პირველად აღმოჩენილი სიმძიმის ილუზია ექსპერიმენტულად გააანალიზეს.[1] თეორია, რომელიც ამ მოვლენის ასახსნელად წარმოადგინეს, დღემდე ერთადერთ თეორიად რჩება.

როგორც ცნობილია, ეს თეორია ემყარება იმას, რომ შედარების მსჯელობას თან ახლავს გვერდითი შთაბეჭდილებები, კერძოდ, „დასაყრდენზე მიწებების“ და „ჰაერში აფრენის“ განცდა, რაც ამ დროს მოქმედი სიმძიმეების აწევის არაადექვატური კუნთური იმპულსით არის გაპირობებული. თუ ეს გვერდითი შთაბეჭდილებები, როგორც ეს თეორია თვლის, სიმძიმეების აწევისას აღმოცენდება, მაშინ ეს ილუზია ყველა იმ შემთხვევაშიც უნდა იჩენდეს თავს, სადაც ასეთ გვერდით შთაბეჭდილებებს ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს. ასე რომ, ისმის კითხვა, შესაძლებელია, რომ ანალოგიური ილუზია გაჩნდეს შეგრძნების სხვა სფეროში, სადაც შედარების დროს სიმძიმის აწევასთან არ გვექნება საქმე.

რა მოხდება, თუ ჩვენ უძრავ მდგომარეობაში მყოფი ხელის ერთსა და იგივე ადგილს ტოლი სიმძიმის, მაგრამ განსხვავებული ზომის საგნებს მოვათავსებთ? ზემოთ მოყვანილი თეორიის მიხედვით, ამ შემთხვევაში არავითარ ილუზიას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგან აფრენის და დასაყრდენზე მიწებების განცდების აღმოცენება ამ დროს სრულიად გამორიცხულია.[2]

ცდის მასალად გამოყენებული იყო რვა ერთნაირი ფორმის და სიმძიმის, მაგრამ განსხვავებული სიმაღლის მასალა (პრიზმები); ამასთან, იცვლებოდა მასალის სიმაღლე შემდეგი თანმიმდევრობით: 1,5 სმ, 3.5 სმ, 4 სმ, 5 სმ, 6,5 სმ, 7,5 სმ, 9 სმ და 10 სმ. ვუნდტის მიერ გაუმჯობესებული სტრატონის წნეხის გასაზომი სასწორის მეშვეობით ამ სიმძიმეებს სუქსცესიურად ვადებდით ცდის პირის უძრავ ხელისგულზე. მიწოდების რიგი არ იყო მკაცრად დაცული. ნორმალური სტიმულის (5სმ.) და შესადარებელი სტიმულის მიწოდების რიგი შემთხვევითი იყო.

ცდების პირველ ვარიანტში (A ვარიანტი) ცდის პირები მიწოდებულ ფიგურებს შეფასების დროს უყურებდნენ კიდეც. ცდების მეორე ვარიანტში (B) - პირიქით, მასალის შეფასებაში მხედველობა არ მონაწილეობდა. ცდები 6

[1] Mueller u. Shumann (ueber dir Psychol. Grundlagen der Vergleichung der Gewichte. Pfluegers Arch.45

[2] საკითხი ანალოგიურად არის დასმული უკვე ფრიდლენდერთან (Friedlaender, Z. Psychologie 84), მაგრამ მის ცდებში დაწოლის მუდამ ერთი და იგივე ადგილით ხდებოდა შეფასება ჩემი ცდებისგან განსხვავებით. ფრიდლენდერის ნაშრომი მხოლოდ მას შემდეგ წავიკითხე, რაც ჩემი ცდები თბილისში უკვე ჩატარებული და გამოქვეყნებული მქონდა.

ზრდასრულ ადამიანზე განმეორებით ჩატარდა, გარდა ამისა, A ვარიანტის ცდები 13-15 წლის 28 ცდის პირზე ჩატარდა ერთჯერადად.[1] ეს შედეგები პროცენტების სახით მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი N.1

	ც.პ. ვა.			ც.პ. შა.			ც.პ. გე.			ც.პ. თუ			ც.პ. ბრე.			ც.პ./ ნი.		
	+	-	=	+	-	=	+	-	=	+	-	=	+	-	=	+	-	=
1,5	50	50	-	57	-	43	50	25	25	13	25	62	55	11	34	86	14	-
3,5	25	33	42	57	14	29	50	50	-	13	45	25	55	34	11	65	17	18
4,0	55	18	27	57	43	-	50	37	13	45	-	55	11	34	55	18	20	-
6,5	67	-	33	29	42	29	37	26	37	25	37	38	34	33	33	100	-	-
7,5	75	-	25	57	43	-	37	37	26	22	34	44	45	45	10	80	20	-
9,0	58	-	42	71	-	29	63	-	37	50	14	36	50	25	25	80	-	20
10,0	56	17	27	57	-	43	37	26	37	33	22	45	67	11	22	80	-	20
	51	19	29	57	20	23	46	29	25	31	25	44	45	28	27	73	10	8

ცხრილის პირველ რუბრიკაში განთავსებულია შესადარებელ საგანთა შეფასებების შედეგები. ნორმალური სასტიმულო ფიგურის სიმაღლე 5 სმ. იყო. შეფასების მიმართულებები როგორც ამ, ისე ყველა მომდევნო ცხრილში მოცემულია პლიუსის (+), მინუსის (-) და ტოლობის ნიშნის (=) სახით. პლიუსით აღინიშნება შემთხვევები, როდესაც ცდის პირს დიდი ფიგურა უფრო მსუბუქად ეჩვენება, ხოლო მსუბუქი - უფრო მძიმედ. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ჩვენთვის საინტერესო შეცდომებს აქვს ადგილი. მინუსი აღნიშნავს შემთხვევებს, როდესაც მძიმე საგანი ცდის პირს უფრო მძიმედ ეჩვენება, ხოლო მსუბუქი - უფრო მსუბუქად. ფიგურათა ტოლად აღქმის შემთხვევებს ტოლობის ნიშანი აღნიშნავს.

თუ ცალკეულ ცდის პირთა განსხვავებული შეფასებების საშუალო სიხშირეებს განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ, როგორც წესი, დაწოლის (წნეხის) ილუზიასთან გვაქვს საქმე, გამონაკლისია მხოლოდ ერთი ცდის პირი (თუ.). როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ნაკლებ რაოდენობას ტოლობის შეფასებები წარმოადგენენ. დაწოლის ილუზია მხოლოდ ორ, ზომის მიხედვით ყველაზე დიდი განსხვავების შემთხვევებში (9 და 10 სმ. 5 სმ სიმაღლის საპირისპიროდ) ვლინდება ყველაზე ნათლად.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შესადარებელ ფიგურათა სიდიდეებს შორის დიდი განსხვავების აღქმა, როგორც ვნახეთ, ილუზიის აღმოცენების აუცილებელი პირობაა, და რომ ზოგიერთი ცდის პირი, როგორც თვითონ აღნიშნავენ, შესადარებელი ფიგურების ზომებს ყოველთვის საკმარისად არ აფიქსირებენ, მაშინ ნათელი ხდება, რომ ასეთ შემთხვევებში ილუზიების რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო. აქედან გამომდინარე, ილუზიების ფაქტობრივი სიხშირე უფრო მეტად შეიძლება გაიზარდოს, ვიდრე ეს ჩვენს ცხრილებში ჩანს.

[1] ეს ცდები ჩემი თანამშრომლის ა.ბოჭორიშვილის მიერ არის ჩატარებული. თავისი მონაცემები მან გამოაქვეყნა თბილისის „უნივერსიტეტის მოამბე“-ში N7, თბილისი.

ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ცდის პირზე ცდები ერთნაირად ტარდებოდა. ამიტომ, დამატებით, ჩვენ კიდევ ერთხელობრივი ცდები ჩავატარეთ. ეს იყო 28 ცდის პირი, რომლებმაც იგივე ფიგურები მხოლოდ ერთხელ შეაფასეს. ეს მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში N.2. როგორც ვხედავთ, დაწოლის ილუზიას, მართლაც, როგორც წესს, აქვს ადგილი: 53%-დან 86%-დე შემთხვევაში - უფრო დიდი ფიგურა მსუბუქ ფიგურაზე უფრო ნაკლები დაწოლის განცდას იწვევს.

ცხრილი N.2

ც.პ. რაოდ.	შესადარებელი საგანი	შეფასების სახეები		
		+	-	=
28	3,5	71	14	15
28	4,0	53	25	22
28	6,5	65	22	13
28	7,5	65	14	21
28	9,0	86	11	3
28	10,0	86	7	7

ცხრილი N.3

ნორმ. სტიმ.	შესადარებელი საგანი	შეფას. რაოდ.	ილუზია %-ში
5	1,5	43	58
5	3,5	42	47,5
5	4,0	40	47
5	6,5	41	51
5	7,5	41	58
5	9,0	40	65

თუ ჩვენ ამ ცხრილებს და, განსაკუთრებით, მე-3 ცხრილს უფრო დეტალურად განვიხილავთ,[1] ვნახავთ, რომ ნორმალურ და შესადარებელ ფიგურებს შორის სიდიდეების მხრივ განსხვავება მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ დაწოლის ილუზიას ყველაზე ხშირად მაშინ აქვს ადგილი, რაც უფრო დიდია განსხვავება. ამ ფაქტს თვალსაჩინოს ხდის N.1 გრაფიკი. როგორც ვხედავთ, ილუზიის შემთხვევათა მრუდი მით უფრო მაღალია, რაც უფრო დიდია განსხვავება (სიდიდის მხრივ) ნორმალურ (5სმ.) და შესადარებელ ფიგურებს შორის.

ჩვენ გადავწყვიტეთ, მოცულობებს შორის განსხვავების კვლევა მხოლოდ მხედველობის მონაწილეობით არ შემოგვეფარგლა. თუ ცდის პირები სიმძი-




Abb. 1.

მეებს ვეღარ დაინახავდნენ, ილუზიას ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა. ამ მიზნით ჩატარდა ცდების მეორე (B) ვარიანტი დახუჭული თვალებით. ცხრილი N.4

[1] ეს იგივე ცდის მასალიდან არის აღებული, სადაც ცალკეული ცდის პირების პროცენტული მონაცემები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში, კერძოდ, (1,2 -9 სმ. სიმძიმის) 247 ცალკეული შედარებიდან, რომლებიც ცალკეულ ცდის პირებსა და ცალკეულ სიმძიმეებზე სრულიად თანაბრად არ არის განაწილებული.

გვიჩვენებს, რომ მართლაც, ამ პირობებში + შემთხვევების კანონზომიერ გადაწონვას ადგილი აღარ ქონდა. შედარებების საშუალოდ 57% მოდიოდა ტოლობაზე. + შემთხვევებს და - შემთხვევებს შორის დიდი განსხვავება არ იყო (24% და 19%)

ცხრილი N.4

ცდის პირები	მიწოდების რაოდ.	შეფასების სახეები		
		+	-	=
ნი.	15	20	33	47
ბრე.	8	25	13	62
თუ.	16	25	11	64
გე.	14	28	22	50
ნო.	28	21	18	61
საშუალო		24	19	57

აქედან გამომდინარეობს, რომ სიდიდეებს შორის განსხვავების მხედველობით აღქმა გადამწყვეტი პირობაა[1] მეორე ცხრილში განთავსებული მონაცემებისა. სხვა სიტყვებით, დაწოლის ილუზია ჩვენი ექსპერიმენტული პირობების შედეგად უნდა ჩაითვალოს.

II მოცულობის ილუზიის ფენომენი

ახლა, ვნახოთ, რა მოხდება, თუ ჩვენ ერთნაირი სიდიდის, მაგრამ განსხვავებული წონის ორ ფიგურას მივცემთ ცდის პირს, რათა დახუჭული თვალების პირობებში მხოლოდ შეხებით შეაფასოს მათი მოცულობა.

ცდის პირებს შესაფასებლად ვაწვდიდით ორ, განსხვავებული სიმძიმის, მაგრამ ერთნაირი მოცულობის ხის ბურთს. ცდათა პირველ სერიაში მსუბუქი ბურთი მიეწოდებოდათ მარცხენა ხელში, ხოლო მძიმე - მარჯვენაში. თავიდან მათ ეს ბურთები სიმძიმის მიხედვით უნდა შეეფასებინათ, მათი ნახვის ან ზომაზე ყურადღების მიქცევის გარეშე და ამის შემდეგ გადასულიყვნენ მოცულობის შეფასებაზე. ცდების მეორე სერიაში ერთი და იგივე ხელი ერთვებოდა: მარჯვენა

[1] როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცდის პირები, შიგადაშიგ, აღნიშნავენ, რომ სიდიდეებს შორის განსხვავება A ექსპერიმენტებში არ მოქმედებს. რამდენადაც ყურადღება დაწოლის შეფასებაზეა სრულად კონცენტრირებული, ფიგურათა სიდიდეებს შორის განსხვავება ყურადღების გარეშე რჩება: „ასეთ შემთხვევებში სიდიდეებს შორის შეფასებას საერთოდ არ აქვს ადგილი“. ამბობს მაგ. ცდის პირი ბრე. გასაგებია, რომ ამ შემთხვევებში ილუზია მცირდება. (მაგ. ამ ცდის პირისთვის 4 სმ. სტიმულის მიმართ. შეადარე N.1 ცხრილს)
აქვე, საჭიროა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ცდის პირთა მონაცემებით, მათი მსჯელობის დარწმუნებულობის ხარისხი A ექსპერიმენტებში უფრო მაღალია, ვიდრე B-ში.

ხელში ცდის პირს თავიდან მსუბუქი (ან მძიმე) ბურთი ეძლეოდა (დახუჭული თვალებით) და ჯერ მათი სიმძიმე და შემდეგ მოცულობა უნდა შეეფასებინა, შემდეგ კი - მძიმე (ან მსუბუქი) ბურთი, სადაც მხოლოდ მოცულობის შეფასება ევალებოდა.

მთლიანობაში ცდები 72 ცდის პირზე (365 ცდა) ჩატარდა. ცდაში გამოყენებული ორივე ბურთის დიამეტრი 99 მმ. იყო. მათი წონა: 286 გრ. და 880გრ. ცდები ჩემი ხელმძღვანელობით ჩემი თანამშრომლის, გ. ხმალაძის მიერ იყო ჩატარებული.

მიღებული მონაცემები შეჯამებული სახით მოცემულია N.5 ცხრილში. როგორც ვხედავთ + შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი, სხვა სიტყვებით, შემთხვევები, სადაც მსუბუქი ბურთი უფრო დიდი ეჩვენებათ, ხოლო მძიმე - უფრო პატარა, 50,4-ს აღწევს და ამით - შემთხვევათა რაოდენობას (საწინააღმდეგო შეფასებით), ისევე, როგორც ტოლობის მაჩვენებლებს, ბევრად უსწრებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განსხვავებული სიმძიმის საგნების სიდიდის და მოცულობის შეხებით შედარებისას ჩნდება შარპანტიეს ილუზიის სრული ანალოგი: მძიმე საგანი მოცულობით პატარა ეჩვენებათ (ან დიდი - პატარად). ამ ფენომენს ჩვენ მოცულობის ილუზიას ვუწოდებთ.

ცხრილი N.5

	შეფასების სახეები		
	+	-	=
შეფასებების რაოდენობა პროცენტებში	50,4	21,5	28,1

ცხრილი N.6

	შეფასების სახეები		
	+	-	=
შეფასებების რაოდენობა პროცენტებში	63	21	16

ამავე დროს, შესაძლებელი იყო, რომ ჩვენს მონაცემებზე იმას ემოქმედა, რომ ერთსა და იგივე ცდის პირზე ერთნაირად იყო ცდა ჩატარებული. სწორედ ამის გამო, დამატებითი ცდები იქნა ჩატარებული, სადაც ახალი ცდის პირები ორივე ბურთს ერთხელ აფასებდნენ. ამგვარად, ჩვენ სათითაოდ 218 ცდა ჩავატარეთ, რომელთა მონაცემებიც N6 ცხრილშია წარმოდგენილი. როგორც ვხედავთ + შემთხვევათა ჯამური მაჩვენებელი, ანუ მოცულობის ილუზიის შემთხვევები ყველა შედარებების 63%-ს შეადგენს. ამრიგად, ადრე ჩატარებული ცდების მონაცემები სრულად დამტკიცებულია და არავითარი ეჭვი აღარ არსებობს, რომ საქმე გვაქვს შემდეგ კანონზომიერებასთან:

როდესაც სხვადასხვა სიმძიმის ორ, სხვამხრივ სავსებით ერთნაირ საგანს დახუჭული თვალებით, მხოლოდ შეხებით,[1] მათი სიდიდეების მიხედვით ვაფასებთ, ამ დროს, მძიმე ბურთი უფრო პატარა გვეჩვენება, ხოლო მსუბუქი - დიდი.

[1] გახელილი თვალების პირობებში მოცულობის ილუზიას ადგილი არ აქვს, რადგან მხედველობის შემთხვევაში ოპტიკურ განსხვავებას ბურთებს შორის ადგილი არ აქვს.

თუ შევადარებთ ამ მოვლენას, ისევე როგორც ზემოთ აღწერილ დაწოლის ილუზიას შარპანტიეს მიერ აღმოჩენილ სიმძიმის ილუზიას, ნათელი გახდება, რომ სამივე მსგავს (მონათესავე) ფაქტებად უნდა განვიხილოთ. ანალოგია კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც მოცულობის ილუზიის ცდებში იგივე მოვლენების კონსტატაცია ხდებოდა, რაც მიულერის და შუმანის სიმძიმის ილუზიის ცდებში გვხვდება, კერძოდ: 1. ე.წ „გადასვლის მოვლენები“; 2. ილუზიის უფრო ხშირი აღმოცენება სიმულტანური მიწოდების დროს, სუქცესიურთან შედარებით; 3. ილუზიის კლება ცდის მასალის ხანგრძლივი მიწოდების შემთხვევებში.

1. ცდის პირები სპონტანურად და არცთუ იშვიათად აღნიშნავდნენ, რომ მსუბუქი ბურთი თითქოს „იბერება“, ხოლო მძიმე -„იკუმშება“. ჩვენი აზრით, ეს მოვლენები მიულერის და შუმანის მიერ აღწერილი „დასაყრდენზე მიწებების“ და „ჰაერში აფრენის“ ფენომენის მსგავსი ბუნებისაა.

2. ცხრილი N.7 გვიჩვენებს, რომ მოცულობის ილუზიას ერთდოული/სიმულტანური მიწოდების დროს 11%-ით უფრო ხშირად აქვს ადგილი, ვიდრე თანმიმდევრული/სუქცესიურის დროს.

ცხრილი N.7

	სიმულტანური			სუქცესიური		
	+	-	=	+	-	=
შეფასებების რაოდენობა პროცენტებში	54	22	24	43	31	26

3. მიულერის და შუმანის მიხედვით, სიმძიმის ილუზია ყველაზე ძლიერი მასალათა შედარების დასაწყის პერიოდშია. შედარებების დროის გახანგრძლივების შემთხვევებში ილუზია სუსტდება და საბოლოოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ ქრება. ზუსტად იგივეს ამბობდნენ ჩვენი ცდის პირებიც, რომ შედარების დასაწყისში შესადარებელი ობიექტები ძალიან განსხვავებული ეჩვენებოდათ, გარკვეული დროის შემდეგ კი ტოლად აღიქვამდნენ.

III ახსნის მცდელობა

1. ახლა ისმის კითხვა, როგორ შეგვიძლია ამ მოვლენების ახსნა. თუ ისინი მართლაც ერთნაირი ფენომენებია, მაშინ, ბუნებრივია, რომ მათ იგივე ფსიქოლოგიური საფუძველი უნდა ჰქონდეთ. მაგრამ ერთ-ერთი ამ ფენომენთაგანი, კერძოდ, სიმძიმის ილუზია ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ბევრჯერ არის გამოყენებული და ამასთან, მის ასახსნელად თეორიებიც იყო წამოყენებული. განსაკუთრებით გავრცელებულია თეორიები, რომლის მიხედვითაც სიმძიმის ილუზიის საფუძველი „გაცრუებული მოლოდინია“. ეს თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობს: „ხშირად დადასტურებული გამოცდილება, რომ დიდი საგნები, ჩვეულებრივ, მძიმეც არის, განაპირობებს აზრს, რომ დიდი მოცულობის საგნებიც მძიმე უნდა იყოს. ეს ვარაუდი მით უფრო ძლიერი იმპულსით აწევის განწყობას განაპირობებს, რაც უფრო დიდია ამაში დარწმუნებულობის ხარ-

ისხი“.[1] მაგრამ, როდესაც ობიექტურად მძიმე საგანი ისეთივე სიმძიმისაა, რაც პატარა, ამ დროს მაინც უფრო დიდი ძალის გამოყენება ხდება და ამიტომ საგანი „მიფრინავს ჰაერში“ უფრო მსუბუქი ჩანს და უფრო სწრაფადაც სცილდება თავის დასაყრდენს, ვიდრე პატარა. ეს ფაქტი იწვევს სუბიექტური სიმსუბუქის განცდას.[2]

თუ „ჰაერში აფრენის“ და მსგავსი განცდებისთვის ასეთი დიდი როლის მინიჭება არ არის სარწმუნო, მაშინ სხვა მიზეზი უნდა ვიპოვოთ, რომელიც გასაგებს გახდის, რატომ იწვევს უფრო დიდი იმპულსი საგნის აწევის გაადვილების სუბიექტურ განცდას. კლაპარედი დადგენილად თვლის, რომ უფრო დიდი მოცულობის სიმძიმის აწევა მცირე მოცულობის სიმძიმესთან შედარებით უფრო სწრაფად ხდება და სიმძიმის შეცდომაც კლებულობს, როდესაც ორივე სიმძიმის აწევის იმპულსის სისწრაფე ერთმანეთს უახლოვდება. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უფრო ძლიერი აწევის იმპულსის გამო დაძაბულობის და სახსრების შეგრძნებებიც უფრო სწრაფად უნდა შემცირდეს, რაც სუბიექტური შემსუბუქების განცდას იწვევს.[3]

როგორც ვხედავთ, ორივე თეორია ილუზიის მიზეზს ხედავს სპეციფიკურ გამოვლინებებში, რომლებიც სწორედ სიმძიმის აღქმის გარემოსთან არიან დაკავშირებულნი. მიულერთან და შუმანთან ეს არის „დასაყრდენზე მიწებების“ განცდა, ხოლო კლაპარედთან დაძაბულობის და სახსრის შეგრძნებების შემცირება.

ამ თეორიების მიხედვით, ყველა იმ შემთხვევაში, სადაც არც საგნის აწევის, დაძაბულობის და სახსრების შეგრძნებებს აქვს ადგილი, ილუზიებს არ უნდა ველოდოთ. ამავე დროს, ჩვენ ვნახეთ, რომ ანალოგიურ ილუზიას ადგილი აქვს როგორც დაწოლის, ისე შეხებით სიდიდეების აღქმის შემთხვევაშიც. წნევის ილუზია დადგინდა სტრატონის სასწორის საშუალებით: ხელი დადებული იყო დასაყრდენზე, ხოლო გამღიზიანებელი კანის გარკვეულ ადგილზე მოქმედებდა. ამ დროს არც აწევას და არც მასთან დაკავშირებულ გვერდით მოვლენებს ჰქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, ილუზია გამოვლინდა. არსებითად იგივე შეიძლება ითქვას მოცულობის ილუზიის შესახებაც: როდესაც მიწოდებული ფიგურის შეხებით შეფასება ხდება და გარკვეულ დასკვნამდე მიდის ცდის პირი, აწევის სისწრაფე ამ დროს არავითარ როლს თამაშობს. ამ ილუზიების ახსნა ვერ ხდება იმ თეორიებით, რომლებიც მხოლოდ სიმძიმის აღქმის პროცესში აღმოცენებულ გვერდით მოვლენებს ეყრდნობიან. მაგრამ, რამდენადაც სამი ილუზია აშკარად მსგავსი ბუნებისაა, საჭიროა ახალი ახსნის მონახვა, რომელიც შეგრძნების სფეროში აღმოცენებულ ყველა ილუზიას (სიმძიმის ილუზიის ჩათვლით), გასაგებს გახდის.

2. წონის ილუზიის აღმოცენების აუცილებელი პირობა არის ის, რომ ცდის პირმა შესადარებელი ფიგურების სიდიდეებს შორის განსხვავება გარკვევით (ნათლად) უნდა აღიქვას. თუ ასე არ მოხდა, ილუზიას ადგილი არ ექნება. იგივე ხდება Mutatis mutandis სიმძიმეების ილუზიასთან მიმართებითაც. მოცულობის ილუზიის შემთხვევაში სიმძიმის აღქმა იგივე როლს თამაშობს.

---

[1] V. Benussi, Ueber dis Grundlagen des Gewichtseindruckes. Arch. f. Psycol. 17 168 ff

[2] Mueller Shumann, a. a. O

[3] V. Benussi a.a.O.S.207

როგორ მოქმედებს განსხვავებული სიდიდეების აღქმა ორივე - სიმძიმის ან დაწოლის შედარებაზე? როგორ მოქმედებს განსხვავებული სიმძიმეები მოცულობების შედარებაზე? როგორც ჩანს, განსხვავების ეს აღქმა იწვევს განწყობის, თანაც, ისეთი სახის განწყობის ამოქმედებას, რომელსაც საქმე ცალ-ცალკე, მართლაც ობიექტურად განსხვავებულ შესადარებელ ობიექტებთან კი არ აქვს, არამედ ორივეს აშკარად არსებულ მოცემულობასთან, როგორც ერთ მთლიანობასთან. მარცხნივ უფრო დიდის, მარჯვნივ პატარა მოცულობების აღქმა, საგანთა ერთიანად თვალსაჩინოდ მოცემულობის შედეგად, გარკვეულწილად ორივეს რაოდენობრივ მიმართებას ეხება და შემდგომი აღქმისას შესაბამის გავლენას ახდენს აღქმის ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც რაოდენობრივი მიმართებები არ არის ზუსტად იგივე რაც, მოცულობების შემთხვევაში, მაგალითად, სიმძიმეების და დაწოლის ცდებში.

ზუსტად იგივე მდგომარეობას ექნება ადგილი მოცულობის ილუზიის დროს, თუ თავიდან სიმძიმეების აღქმა მოხდება, მაგრამ როგორც კი ამ განსხვავების რაოდენობრივი მიმართება ამოქმედდება, სიდიდეების აღქმაზეც შესაბამისი გავლენა გავრცელდება.

ეს დაშვება ორ პრინციპს ემყარება. ერთის მხრივ, რომ გარკვეული რაოდენობრივი განსხვავებულობის აღქმა მკაცრად სპეციფიკური არ რჩება, არამედ (ერთი ფიგურის მიმართ ფუნქციონალური ერთიანობის დროს) აქვს ტენდენცია საერთოდ შესაბამისი რაოდენობრივი განსხვავებების სახით გავრცელდეს. და ამასთან ერთად, ამ ზოგადი განწყობის საფუძველზე გაჩნდეს ისეთი მოვლენები, როგორიცაა სიმძიმის, დაწოლის და მოცულობის ილუზიები.

დიდი ხანია, და პირველ რიგში ეს მიულერის და შუმანის გამოკვლევებით არის ცნობილი, რომ სიმძიმეების აღქმა განწყობასთან არის კავშირში და ამ დროს აღმოცენებული გავლენები სწორედ ჩვენს მიერ მიღებულ მიმართულებებს ასახავენ: თუ „მსუბუქი-მძიმეს“ ილუზიას აქვს ადგილი შესაბამისი სიმძიმეების წყვილის აწევის შემდეგ, ამას მოყვება, ის, რომ ტოლი სიმძიმეები უკვე როგორც „მძიმე-მსუბუქი“ აღიქმება.

ჩვენი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი „მოტორული განწყობა“ თავისუფლად შეიძლება ტოლი სიდიდეების ოპტიკურად განსხვავებულ აღქმაში გამოვლინდეს, და „პატარა-დიდის“ ილუზია ძალიან მარტივად, წინასწარმიცემული წყვილი საგნების აწევას შედეგად „მსუბუქი-მძიმეს“ განცდა მოყვეს. ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ ასეთი რაოდენობრივი განსხვავებები შემდგომ ტოლი საგნების აღქმის გავლენით „სიდიდეების მიხედვით განსხვავებულების“ ექვივალენტურია.

მაგრამ, აქედან გამომდინარეობს, რომ პირიქითაც უნდა მოხდეს: რომ 1. მოტორული განწყობის ანალოგიურად, სიმძიმეების აწევას მუდამ ერთი მიმართულებით განსხვავებული სიდიდეების მიწოდებას შეუძლია განსხვავებულ მოცულობებზე განწყობა გამოიწვიოს, რომელიც ტოლი მოცულობების მიწოდების შემთხვევაში ისევე განსხვავებულად იმოქმედებს, როგორც ტოლი სიმძიმეების აღქმის შემთხვევაში „მოტორული განწყობა. და რომ 2. განსხვავებული სიდიდეების წინასწარ მიწოდებით შექმნილმა ამ განწყობამ უნდა შეცვალოს ტოლი საგნების სიმძიმეების აღქმა.

ჩვენი მეორე დასკვნა უკვე დასაბუთებულია „სიდიდეების ილუზიით“. მაგრამ თუ გვინდა, რომ ეს მოვლენა თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გახდეს, მაშინ უნდა შევძლოთ იმის ჩვენება, რომ პირველი დებულების

შემთხვევაშიც იგივე ხდება (როგორც მოტორული განწყობა განსხვავებულ სიმძიმეებზე) ფაქტობრივად, განსხვავებულ მოცულობებზე განწყობა აღმოცენდება. თუ ჩვენ ამას მოვახერხებთ, მაშინ შეგვიძლია: მოცულობის ილუზია - სიმძიმეების განსხვავება ქმნის მოცულობებს შორის განსხვავებას იგივე მნიშვნელობით (მიმართებით) გადავიტანოთ მოცულობის განწყობაზე, რომელსაც მანამდე ჩვენ *შარპანტიეს* (ან დაწოლის ილუზია) შემთხვევაში - მოცულობების განსხვავება ქმნის სიმძიმეების განსხვავებას და მოტორულ განწყობას ვამტკიცებდით.

ამ მიზნით ჩვენ შემდეგი ცდები ჩავატარეთ. ცდის პირებს ერთმანეთის მიყოლებით ვაწვდით ერთ ხელში პატარა (70 მმ დიამეტრის) და მეორე ხელში უფრო დიდ ბურთს (100 მმ), ამასთან ცდის პირებს ყოველთვის უნდა აღენიშნათ, რომელ ხელში აქვთ უფრო დიდი ბურთი. რამდენიმე (ჩვეულებრივ 7-10) მიწოდებას შეუძლია შექმნას განწყობა, რომ „უფრო დიდი მეორე ხელშია“. რომ ეს ნამდვილად ასეა, გვიჩვენებს (ერთჯერადი) კრიტიკული ცდა, სადაც ცდის პირს ორივე ხელში შესადარებლად მიეწოდება ერთნაირი ზომის ორი ბურთი.

იგივე ცდა ოპტიკურ სფეროში ტაქისტოსკოპურადაც ჩავატარეთ; ცდის პირს 8-10-ჯერ მიეწოდება ორი წრე (28 და 20 მმ. დიამეტრის) ან, ასევე, ორი კვადრატი (28 და 20 მმ. გვერდებით), რომელთაგან უფრო დიდი ან უფრო პატარა - შემუშავებული განწყობის მიხედვით - მარჯვენა მხარეს არის და ცდის პირმა უნდა აღნიშნოს, რომელი წრე (ან კვადრატია) უფრო დიდი. კრიტიკულ ცდებში ცდის პირებს ერთნაირი ზომის წრეები ან კვადრატები მიეწოდებოდა და ცდის პირს მათ შორის სიდიდეებს შორის მიმართება უნდა შეეფასებინა.

ცხრილი N.8 წარმოგვიდგენს განწყობის შედეგებს. (პირველ სტრიქონზე (ბურთების ტაქტილური ცდები) მოცემულია 26 ცდის პირზე ჩატარებული 130 ცდის შედეგები, ხოლო მეორე სტრიქონზე - 15 ცდის პირზე ჩატარებული შედეგები. როგორც ვხედავთ, საგანწყობო ცდების დროს, როდესაც იმ მხარეს, სადაც უფრო დიდი ბურთი იყო, კრიტიკული ბურთი უფრო პატარად აღიქმებოდა, თუმცა, ორივე ხელში ერთნაირი ზომის ბურთები ეძლეოდათ. ანალოგიური შედეგებია მიღებული ოპტიკურ ცდებშიც.

ცხრილი N.8

	შეფასების სახეები		
	+	-	=
1. ცდები ბურთებით	96,4	3,6	-
2. ცდები ტაქისტოსკოპით	76	9,9	14,1

ამრიგად, მონაცემები ადასტურებენ ჩვენს ვარაუდს. განსხვავებულ სიდიდეებზე ტაქტილური განწყობა თითქმის ყველა შემთხვევაში მოქმედებს, ოპტიკური განწყობა ყოველ, იმდენად ბევრ კრიტიკულ ცდაში გამოვლინდა, რომ საწინააღმდეგო და ტოლი მაჩვენებლები მასთან შედარებით უმნიშვნელო ციფრებში გამოისახა. ამრიგად, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ თუ ცდის პირი არატოლი სიდიდეების აღსაქმელად განეწყობა და შემდეგ ორ ტოლ სიდიდეს მივაწოდებთ, აღმოჩნდება, რომ მათგან ის, რომლის აღქმასაც წინ დიდი საგნის აღქმა უსწრებდა, ცდის პირს უფრო პატარა მოეჩვენება.

შესაბამისად, არსებობს მოცულობის განწყობა, რომელიც არის ე.წ. მოტორული განწყობის სრული ანალოგი სიმძიმეების გარკვეულ მიმართებაზე. ამრი-

გად, შეგვიძლია ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით შარპანტიეს (დაწოლის) ილუზია იმაზე დავიყვანოთ, რომ თუ **სიმძიმეებს** შორის გარკვეული მიმართებების ჩვეულებრივი აღქმა შეიძლება ფუნქციონალურად შეიცვალოს ადრე მიწოდებული იგივე ფიგურებს შორის რაოდენობრივი მიმართებების, კერძოდ **სიდიდეების** განსხვავებულობის გავლენით, ასევე შეიძლება მოცულობის ილუზიაც გავიგოთ, როგორც მანამდე განმეორებით არატოლი სიმძიმეების აღქმის გავლენით აღმოცენებული ფუნქციონალურად თანაბარღირებული რამ.

ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით, საეჭვოა, რომ მოტორული განწყობა მართლაც მოტორული იყოს. ეს ასე იქნებოდა, შესაბამის ცდებში აღმოცენებული განწყობის ინერვაციაც შესაბამისად არაერთნაირი რომ ყოფილიყო. მაგრამ, ახლა უკვე აღარ არსებობს აუცილებლობა მსჯელობების (შეფასების) ცვლილებები მხოლოდ ამ გარემოებების შედეგებზე დავიყვანოთ. ისევე, როგორც ხელით მოცულობის შეფასებაზე მოქმედებს მოცულობის განწყობა და ამ დროს აზრად არ მოგვდის მოტორიკით მისი ახსნა, ასევე კუნთებით სიმძიმეების აღქმაზე მისი წინმსწრები განსხვავებული სიმძიმეები ახდენდნენ უშუალო გავლენას და არა ის, რომ არათანაბარი ინერვაცია იწვევს „მიწებების“და ჰაერში აფრენის“ განცდას. წმინდა დაწოლის ილუზიის ფაქტი, რომელიც მთლიანად თანხვდება შარპანტიეს ილუზიას, თუმცა, არავითარ აწევას იქ ადგილი არ აქვს, უკვე თავისთავად მეტყველებს, რომ აწევისას აღმოცენებულ გვერდით მოვლენებს გადამეტებული მნიშვნელობა მიეწერება.

3. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ აქ გამოყენებული განწყობის ცნება თითქოს წინააღმდეგობაში მოდის ფაქტებთან, რომელსაც იგივე ტერმინით აღნიშნავენ. საკმაოდ ხშირია განწყობის გამოვლენის შემთხვევები, რომლებიც არა კონტრასტულად, არამედ მიმსგავსების[1] მიმართულებით მოქმედებენ. ამ ტიპის განწყობა იმაში ვლინდება, რომ, განსხვავებული სიდიდეების მრავალჯერადი აღქმის, (მაგალითად, პატარა - მარცხნივ და დიდი - მარჯვნივ) შემდეგ ტოლი სიდიდეების მიწოდებისას სიდიდეებს შორის განსხვავების აღქმა ცდის პირთა განცდაში იგივე მიმართულებით ხდება (მიწოდებულთან შედარებით მარცხნივ უფრო პატარა და უფრო დიდი - მარჯვნივ). ჩვენს ცდებში კი (და, აგრეთვე, ე.წ. მოტორული განწყობის დროს) საწინააღმდეგო შედეგია. ამ შემთხვევაში მართლა წინააღმდეგობას აქვს თუ არა ადგილი, საჭიროა შემოწმდეს, ერთნაირ პირობებში მიმდინარეობს ცდები, თუ განწყობის განსხვავებული კანონზომიერებით გამოვლენას განსაკუთრებული პირობები უძღვის წინ.

ამ მიზნით ჩვენ გავიმეორეთ განწყობის ცდები ტაქისტოსკოპის საშუალებით, სადაც ცდის პირებს ვაწვდიდით წრეებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ დიამეტრის ზომების მიხედვით. მაგალითად, დიამეტრებს შორის 8მმ განსხვავების ნაცვლად ცდებში ავირჩიეთ 4, 2 და ბოლოს ერთმილიმეტრიანი განსხვავება. „განწყობის სიდიდეებს“ შორის განსხვავების შემცირებასთან ერთად, მცირდებოდა აგრეთვე განსხვავება მასსა და იმ ობიექტს შორის, რომელიც კრიტიკულ ცდაში მის მხარეს იყო.

განვიხილოთ კერძო შემთხვევა: როდესაც განწყობას ადგილი აქვს მარცხნივ-პატარა, ხოლო-მარჯვნივ დიდი წრის დროს. მსჯელობა ეხება (კრიტიკულ

[1] შდრ. მაგ: Marbe, Einstellung und Umstellung. Z. angew. Psychol. 2

ცდაშიც) მარჯვენა ობიექტის სიდიდის მარცხნივ ობიექტის სიდიდესთან მიმართებას. პირველი ცდა: 8-10-ჯერ ცდის პირს ვაწვდით თანმიმდევრობით ორ ერთმანეთის გვერდით მდებარე 2, 22 და 26 მმ დიამეტრის მქონე წრეებს, კრიტიკულ ცდებში კი ორივე წრის დიამეტრი 22 მმ-ია. მეორე ცდა, თავდაპირველად 24 და 26, შემდეგ ორივე მხარეს 24 მმ. მესამე ცდა: თავიდან 25 და 26, შემდეგ ორივე მხარეს 25 მმ.

ცხრილ N.9-ში მოცემულია 30 ცდის პირზე ჩატარებული 180 ცალკეული ცდის შედეგების პროცენტული მაჩვენებლები. პირველ კონსტელაციას (საშუალოდ 4მმ.) მოჰყვა აშკარა კონტრასტული შედეგი, ისევე, როგორც ადრინდელ ცდებში (ცხრილი N.8). შეფასებების სიხშირე სრულიად არასიმეტრიულად არის განაწილებული, ამასთან, მოტორული განწყობის ცდების შედეგების მსგავსი მნიშვნელობით; სახელდობრ, ობიექტურად ტოლი წრეებიდან მარჯვენა უფრო პატარა ჩანს, მას შემდეგ, რაც ამავე მხარეს წყვილიდან უფრო დიდი წრის ექსპონირება მოხდა რამდენჯერმე. ასეთივე, ოღონდ შესამჩნევად შემცირებული მოქმედება გამოვლინდა მეორე ცდაში, სადაც დიამეტრებს შორის განსხვავება იყო 2 მმ. მესამე ცდაში კი (განსხვავება 1 მმ) შედეგი უდავოდ, შეფასებათა საპირისპირო სიმეტრიას გვიჩვენებს. ამ შემთხვევაში განწყობამ გამოიწვია ის, რომ კრიტიკულ ცდაში ორივე ტოლი წრე უმრავლეს შემთხვევაში იმ წრეების ზომების შესაბამისად ეჩვენებათ არატოლად, როგორც საგანწყობო ცდებში.

ცხრილი N.9

განსხვავება დიამეტრებს შორის მმ-ში	შეფასების სახეები		
	+	-	=
1	28	68	4
2	50	33,7	16,3
4	58,3	25,1	16,6

ეს მდგომარეობა კარგად შეესატყვისება მიღებულ გამოვლინებებს (აღქმების მრუდთან მიახლოებულ სფეროდან). ჩვენ კი ეს ორგვარად შეიძლება გავიაზროთ: განწყობის მოქმედების ეს შეცვლა ან იმაზეა დამოკიდებული, რომ განსხვავება საგანწყობო სიდიდეებს შორის ბოლოს გარკვეულ ზღვრამდე ჩამოდის, ან იმაზე, რომ განსხვავება საგანწყობო ცდებში უფრო დიდ ობიექტსა და იმავე მხარეს არსებულ „კრიტიკულ ობიექტს“ შორის ძალიან პატარაა. მეორე ახსნა უფრო სწორი უნდა იყოს. ყველა შემთხვევაში კი უნდა ვცნოთ, რომ ერთნაირ (ერთი სახის) განწყობას კანონზომიერად ან ერთი, ან მეორე შედეგი მოსდევს იმ შემთხვევაში, თუ რაოდენობრივი პირობები საფუძვლიანად იქნება შეცვლილი, რაც გამორიცხავს რაოდენობრივ წინააღმდეგობას. ამიტომ, ეს მონაცემები თავისი პირობებით შესაბამისმა განწყობის თეორიამ უნდა ახსნას. თუ რა სახეს მიიღებს ეს თეორია, ამას სხვა დროს წარმოვადგენ.

4. ა) განწყობა ბურთებით და ტაქისტოსკოპის გამოყენებით ჩვენს ცდებში, ბუნებრივია, უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. უფრო მოსალოდნელია, რომ კრიტიკული ცდების გახანგრძლივების შემთხვევაში განწყობა ჩაქრება. სინამდვილეში, სწორედ დასაწყისშია ილუზია ყველაზე ძლიერი და შემდეგ სწრაფად იკლებს. როდესაც ჩვენ კრიტიკულ ცდებში ექსპოზიცია გავახანგრძლივეთ,

სიდიდეები სწრაფად არატოლი გახდა, შემდეგ კი მდგომარეობა მალე გამოსწორდა. მაგალითად, ერთი ცდის პირი ამბობს: „მარჯვნივ დიდი“ და ცოტა ხნის შემდეგ უმატებს: „არა, ტოლია“ . . . დიახ, „ტოლია“. იგივე მდგომარეობას აქვს ადგილი, როდესაც კრიტიკულ ცდებს ბევრჯერ ვიმეორებთ. ასევე, როდესაც პირველი მიწოდებისას თითქმის გამონაკლისის გარეშე შეფასებები განწყობის ეფექტის კვალს ატარებს, განმეორებების ზრდასთან ერთად ტოლობის შემთხვევები და შეფასებების სიმეტრია იზრდება.

თავიდანვე არ უნდა ველოდოთ, რომ შარპანტიეს დაწოლის და მოცულობების შედარებების განმეორების შემთხვევებში შეცდომები ასევე იმოქმედებენ ამ გამოვლინებებზე. რადგან ეს განწყობა (ისევე როგორც მოტორული) კრიტიკული შედარებების წინ, ერთხელ (ერთჯერადად) ხელოვნურად არის შექმნილი და ახალი პირობების გავლენით თავისი ზეგავლენის (მოქმედების) უნარს დაკარგავს. სამი მცდარი აღქმა (ილუზია), რომელიც ორ ობიექტს შორის განსხვავებული რაოდენობრივი მიმარეთების გავლენით ტოლი ობიექტების სხვა რაოდენობრივ მიმართებაზე გავლენის შედეგად ჩნდება, განმეორების შემთხვევაში ახალი პირობების გამო ისევ თავიდან იქმნება, რადგან „შეცდომის მოტივი“ ყოველ ჯერზე ისევ ბრუნდება. როდესაც ასეთ შემთხვევებში განმეორება ზოგადად ამ გამოვლენათა შესუსტებას იწვევს, ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ დროის გასვლასთან ერთად ხდება საკუთრივ სიმძიმის, დაწოლის და მოცულობის შეფასება.

ბ) ამ თვალსაზრისს თუ გავყვებით, ზოგიერთი ილუზიის მოქმედება, რომლებიც გარკვეული მიმართულებით განსხვავებაზე წინასწარ მომზადებული აღქმებით არის გაპირობებული, ძლიერდება კიდეც. არის ამის მიზეზი ის, რომ ამ ცდებში განწყობის საფუძველზე აღქმები უფრო ხშირია? (საგანწყობო ცდები მეტია?). როგორც ჩანს, ეს ასეა, რადგანაც როდესაც განწყობის შესაქმნელად ორი განსხვავებული სიდიდის (20 და 28 მმ დიამეტრის) წრეს **ერთხელ** ვაწვდიდით, შემდეგ კი კრიტიკულ ცდას ვუტარებდით (20 მმ) 15 ცდის პირის 150 მონაცემი N.10 ცხრილშია მოცემული. მოსალოდნელი კონტრასტული ილუზია არც თუ მკვეთრად არის გამოხატული, მაშინ, როდესაც ტოლობის პასუხები ძალიან გახშირებულია.

გ) როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიულერმა და შუმანმა აღმოაჩინეს, რომ სიმძიმის ილუზია სიმულტანურად მიწოდებულ ცდებში უფრო ნათლად ვლინდება, ვიდრე სუქცესიურ ცდებში. იგივე მდგომარეობას აქვს ადგილი მოცულობების შედარებისასაც (შეად. გვ.371), პირველყოვლისა იმ ცდებში, სადაც არატოლი მოცულობების მრავალჯერადი მიწოდების შედეგად იქმნება განწყობა. აქაც თავიდან 70 და 100 მმ დიამეტრის ბურთების მრავალჯერადი მიწოდების შემდეგ, ცდის პირებს შესადარებლად ვაძლევდით 2 ტოლ ბურთს, სადაც ახლა ერთი და იგივე ხელით ბურთებს ერთმანეთის მიყოლებით სინჯავდნენ, მეორე ხელი კი ამ ცდაში არ მონაწილეობდა. ამ ცდების მონაცემები N.11 ცხრილშია წარმოდგენილი. მე-8 ცხრილთან შედარება გვიჩვენებს, რომ 1) შეფასებათა სიმეტრიამ, სხვა სიტყვებით, განწყობის მოქმედებამ სუქცესიურ ცდებში მნიშვნელოვნად დაიკლო (26 ცდის პირი 159 ცდა). ცხრილი 11 ა) მოიცავს ბურთების არატოლი სიმძიმეების შეფასების მონაცემებს (ესენიც, როგორც ზევით 379 გვ. 72 ცდის პირის 360 მსჯელობას მოიცავს). შესადარებლად იხილეთ N.5 ცხრილი. ძალიან პატარა განსხვავებას ვხედავთ სუქცესიურ ცდებში შეფასებების სიმეტრიის მიმართულებით. ალბათური ახსნა, ალბათ, იქნებოდა ის, რომ სუქსცესიურად მიმდინარე

„ცალ ხელზე ცდებში“ განწყობის მოქმედება როგორც „მძიმესი“ და „მსუბუქის“ არა 2 განსხვავებულ სივრცით მიმართულებაზე (ან ხეულის ნაწილებზე) ნაწილდება, არამედ დროში ლოკალიზება ხდება. ეს არ უნდა იყოს იმ სიდიდის, რაც ხდება განწყობის მხრივ წყვილთა სივრცითი შედარებისას. ყოველ შემთხვევაში, ასახსნელად არაა საკმარისი ის გარემოება, რომ, ზოგადად ,სუქცესიური შედარებები უფრო ზუსტია, ვიდრე სიმულტანური.

ცხრილი N.10

	+	-	=
1	36	6	58

ცხრილი N.11

	შეფასების სახეები		
	+	-	=
სუქცესიური შედარება			
ა) არატოლი სიმძიმეების	46	24	24
ბ) მოცულობის ილუზია მოცულობის განწყობით	54,9	7,1	38

ამ გაგებით ისეთი დიდი განსხვავება, რასაც N11 ბ) და N8.1 ცხრილებში ვხედავთ, ვერ აიხსნება.

დ) წინმსწრები განწყობის გავლენით შემუშავებული მოცულობების ილუზიების შესახებ ჩვენი ცდების მიმდინარეობის პროცესში დადგინდა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა განსხვავების დასადგენად აქვს იმას, მარჯვენა თუ მარცხენა ხელს ვიყენებთ. ჩვენი კვლევის მიხედვით, სიმულტანური ცდების დროს, ცდის პირები თავიდან განსხვავებული სიდიდის ბურთებს იღებდნენ ორივე ხელში, ხოლო შემდეგ, კრიტიკულ ცდებში, ორივე ხელში საგანწყობო ცდებში მიცემული უფრო პატარა ზომის ბურთებს. დადგინდა, რომ განწყობა „უფრო დიდი“-ს მიმართ უცებ განიცდება, როგორც პატარა. თუ ეს მარცხენა ხელია. პრინციპული განსხვავება ორივე ხელის მოქმედებებს შორის არ არის. თუ საგანწყობო ცდების რაოდენობას გავზრდით 8-10-დან 15-20 მიწოდებამდე, მარცხენა ხელშიც კრიტიკული ცდების დროს, გამონაკლისის გარეშე, მივიღებთ სიდიდეების ცვლილებას.

(შემოსულია 30 მარტს 1939 წ.)

მთარგმნელი:
დალი ფარჯანაძე
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანმიმდევრული ვიზუალური აღქმისას გამოვლენილი აინშტელუნგის ეფექტის ცდები (უზნაძის ეფექტი)

ჟან პიაჟე და მარკ ლამბერსიე

ჩვენს მიერ სხვადასხვა პერცეპციის განვითარების საკითხების ადრე განხილვისას (პირველიდან მეოთხე კვლევის ჩათვლით), ძირითადად, სივრცეში სიმულტანურად მოცემული ელემენტების ერთმანეთზე ორმხრივი გავლენა შევისწავლეთ, ეხებოდა ეს კონცენტრულ წრეებს, როგორც ეს დელბეფის ილუზიაშია მოცემული (I), თუ მაგიდაზე აღმართულ ლითონის ღეროებს, (რომლებიც ერთ სიბრტყეზე მდებარეობდნენ და მათი სიდიდეების შედარება მათ შორის მანძილის ვარიაციის პირობებში ხდებოდა) (II და III), თუ განსხვავებული მონაკვეთების შედარებას, ვებერის კანონისა და ფარდობითი ცენტრაციის მიხედვით (IV).

გარდა ამისა, შევამჩნიეთ, რომ სიმულტანური სივრცითი პერცეპტული დეფორმაციების („ილუზიების“ ან სისტემატიური შეცდომების) ინტენსივობა გონებრივ განვითარებასთან ერთად იკლებს რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რასაც შემდგომში დავუბრუნდებით (§1). მაგრამ, როგორია საქმის ვითარება იმ პერცეპტული ეფექტების შემთხვევაში, რომლებიც დროში თანმიმდევრულ (სუქცესიურ) მოვლენებს უკავშირდება? დროითი ეფექტი ასევე სუსტდება თუ, პირიქით, მისი მნიშვნელობა იზრდება ასაკის მატებასთან ერთად?

როგორც ნებისმიერ სხვა ფსიქიკურ ფუნქციას, აღქმასაც გააჩნია ისტორია. პერცეპტული სტრუქტურები, შესაძლოა, იმყოფება შორეული წარსულის პერცეპციების გავლენის ქვეშ. ასეთი ვარაუდის არსებობას შესაძლებელს ხდის თუნდაც ის ფაქტი, რომ ფსიქიკური განვითარების მანძილზე პერცეპციები ევოლუციას განიცდის. მაგრამ ისინი, ერთის მხრივ, უფრო აქტუალურები ჩანან, თითქოსდა ყოველი აღქმა დამოკიდებული იყოს იმაზე, რაც მას უშუალოდ წინ უსწრებდა ან, ეს შეიძლება იყოს სხვა აღქმა, ან, თითქოს ამ დროს შემოდის აღმქმელი ინდივიდის ერთგვარი წინასწარგანწყობა, მიმართება, ანუ რაღაც, რაც წინასწარ განჭვრეტს (ანტიციპაცია) მომავალ აღქმას. შესაძლოა ერთმანეთს ერწყმის ორი გავლენა - შორეული და ახლო წარსულისა, მაგრამ აქ მეორე ტიპის ზეგავლენის კერძო შემთხვევით შემოვიფარგლებით, იმის იმედით, რომ აღმოვაჩენთ, ჩვენს მიერ არჩეულ შემთხვევაში, დროში თანმიმდევრული აღქმის ეფექტი ზრდასრულებთან უფრო სუსტია, თუ უფრო ძლიერი, ვიდრე ბავშვებთან?

დროში თანამიმდევრული მოქმედებების ერთმანეთზე გავლენა დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. სიმძიმის ილუზია, რომლის დროსაც აღქმის შეფასებაზე, როგორც ჩანს, გავლენას ახდენს ტვირთის სიმძიმესა და მოცულობას შორის არსებული ჩვეული მიმართება, გულისხმობს ამგვარი ფაქტორის ჩარევას (აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ასეთ შემთხვევაში ილუზია იზრდება განვითარებასთან ერთად). სუბიექტური „ატიტუდები“ რომელთა მნიშვნელობასაც აღიარებდნენ გეშტალტისტები, დროის ეფექტს მოიცავს. ამ სკოლის თეორეტიკოსების მიერ ამის აღიარების აღნიშვნა მით უფრო იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ამ სახის

ზეგავლენა, თუმც კი არ ეწინააღმდეგება გეშტალტის იდეას, მაინც სრულად არ გამომდინარეობს გეშტალტფსიქოლოგების მიერ გამოყენებული ამჟამინდელი კონცეფციებიდან. ფონ ვაიცზეკერის სკოლა კი, რომელიც აღქმას ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს მოტორიკას, აღქმას განიხილავს როგორც თანმიმდევრულ მოვლენას და მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მიმდევარი ალფ. აუერშპერგი თავის მსჯელობებში იქამდეც კი მიდის, რომ ყოველგვარ აღქმაში სენსო-მოტორული "ანტიციპაცია" (prolepsis) და „რეკონსტრუქცია" (catalepsies) შემოაქვს და ამგვარად, აღქმის მექანიზმის ახსნას დროის უწყვეტ ორგანიზაციაზე აფუძნებს. გ. ე. მიულერისა და შუმანის შრომების გამოსვლის შემდეგ, აღქმის სფეროში არსებულ თანმიმდევრულ ეფექტებს ჩვეულებრივ, სწორედ „აინშტელუნგის" სახელით აღნიშნავენ. ამ, ზოგჯერ ზედმეტად მოსახერხებელი სახელწოდების ქვეშ სრულიად ურთიერთშეუსაბამო ფენომენებიც კი მოათავსეს, როგორც შთაგონებისა და აზროვნების, ასევე მოძრაობისა და საკუთრივ, აღქმის სფეროდან. ამას გარდა, საჭიროა „აინშტელუნგს" დავუახლოვოთ ანგლო-საქსონელი ავტორების მიერ იმ საკითხში მიღებული შედეგები, რასაც ისინი ზოგჯერ „persistence" უწოდებენ და რაც უნდა იყოს მნემონური ეფექტი: მაგალითად, მოცემულ წრეს ადარებენ მოდელს - მეხსიერებაში არსებულ და ან პირდაპირ მოცემულ წრეს, რომელიც ჯერ თანდათანობით იზრდება, ხოლო შემდეგ მცირდება. აღმავალი და დაღმავალი შედარებები ერთმანეთისაგან განსხვავდება.[1]

თავად გ. ე. მიულერმა და შუმანმა, თავიანთ ცდებში ცდის მონაწილეს 3 კგ-იანი ტვირთი 50-ჯერ ააწევინეს და შედეგად დაადგინეს, რომ ცდის პირი ნაკლებად მძიმედ ტვირთს იმ მხარეს განიცდიდა, რომელიც სიმძიმის აწევაში მონაწილეობდა, ვიდრე იმ მხარეს, რომელიც უმოქმედოდ რჩებოდა. ფაქტობრივად, ეს ფენომენი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ტაქტილურ და კინესთეტიკურ სფეროებში, რომლებშიც აღქმა ყველაზე უფრო მეტად ექვემდებარება სხვადასხვა გავლენას შედარებით მარტივი შემთხვევების დროს.[2] მაგრამ სრულიად არაა გამორიცხული, (იმისდა მიუხედავად, თუ როგორი ვერბალური განზოგადებების საშუალებას იძლევა ის), რომ ეს „აინშტელუნგის" ცნება შეესაბამებოდეს ზოგად მექანიზმს და სხვა დანარჩენთან ერთად მხედველობისა და სმენის სფეროებშიც გვხვდებოდეს. სწორედ ამას ფიქრობდა უზნაძეც წონის ილუზიასთან დაკავშირებული საკუთარი კვლევების შესახებ: მას აინტერესებდა, ვიზუალური შედარებების დროს იმის მსგავს ეფექტს ხომ არ ვხვდებით, რომელსაც წონისა და მოცულობის ურთიერთმიმართებისას წარმოქმნილი ილუზია იწვევს?

ფლურნუა-კლაპარედის თეორიის საპირისპიროდ, რომელიც წონის ილუზიის ახსნას ცდილობს ტვირთის აწევის მოძრაობის მეტ-ნაკლები სისწრაფის მეშვეობით, უზნაძეს სურს გამორიცხოს მოტორული ასპექტი, რათა მხოლოდ მოცულობის ფაქტორი შეინარჩუნოს. იგი თავისი ცდის სუბიექტებს აჩვენებს წონით ერთნაირ, მაგრამ მოცულობით განსხვავებულ (70 და 100 მმ დიამეტრის) ორ სფეროს, შესაბამისად, მარჯვენა და მარცხენა ხელში. 7-10 ჩვენების შემდეგ, რომელთა დროსაც ცდის პირმა ყოველ ჯერზე უნდა თქვას, რომელ ხელში იმყო-

[1] გარდა ამისა საჭიროა ჯ. ჯ. გიბსონის ციტირება: *Gibson, J. J. Adaptation, After-effect and contrast in the perception of tilted lines.* J. Exper. Psychol., 1933, გვ. 16...

[2] მაგალითად, თერმული შეგრძნებები

ფება უფრო დიდი სფერო, მას {ცდის პირს} შედეგად უყალიბდება „აინშტელუნგი": უფრო დიდი მეორე {მარცხენა} ხელშია. თუ საბოლოოდ ორი ერთნაირი სიდიდის სფეროს აჩვენებენ, მაშინ ცდის პირი ავლენს კონტრასტის მიხედვით მსჯელობის ტენდენციას: უფრო პატარა {სფერო} მეორე {მარცხენა} ხელშია.

იგივე ცდაა ჩატარებული მხედველობის სფეროშიც. ცდის პირს ტაქისტოსკოპით აჩვენებენ 20 და 28 მმ დიამეტრის ორ წრეს, 8-10-ჯერ ზედიზედ, ისე რომ უფრო დიდს ყოველ ჯერზე ერთი და იგივე პოზიცია უკავია, მარჯვნივ ან მარცხნივ. შემდეგ ცდის პირს აჩვენებენ 28 მმ დიამეტრის, 24 მმ -ის და ბოლოს 20 მმ-ის ორ თანაბარ წრეს (თითო წყვილს თითოჯერ) და ცდის პირმა უნდა თქვას, თითოეული წყვილის შემთხვევაში, ერთი წრე უფრო დიდია თუ მეორე. მაშინ, როდესაც სფეროების აწევის შემთხვევაში უზნაძემ 96,4%-ით მიიღო კონტრასტის ეფექტი, 3,6 %-ით ასიმილაციის თუ პერსევერაციის ეფექტი და არც ერთი ტოლობის შემთხვევა, წრეების წყვილების თანმიმდევრული აღქმის შემთხვევაში მან 76%-ით კონტრასტი, 9,9%-ით ასიმილაცია და 14,1%-ით ტოლობა მიიღო 26 ზრდასრულ სუბიექტზე ცდების ჩატარებისას.[1]

ამ სტატიაში გვსურს სწორედ უზნაძისეული ვიზუალური „აინშტელუნგის" ამ საინტერესო ფენომენს დავუბრუნდეთ ორი მიზეზის გამო: რათა ბავშვების რეაქციები დიდებისას შევადაროთ (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამის სათანადო გენეტიკური გამოკვლევა ჯერ არავის უცდია) და გავაანალიზოთ მისი მექანიზმი ამ გენეტიკური მონაცემებისა და ჩვენს მიერ წინა კვლევებში განხილულ აღქმის განვითარების სხვა ფაქტებთან შედარების გზით.

§1. საკითხის დასმა: უშუალო და წარმოებული ილუზიები

ბავშვთა და ზრდასრულთა აღქმის შედარებისას ჩვენს მიერ აქამდე მიღებული შედეგები საერთო ჯამში შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. სივრცეში ერთდროულად მოცემული ელემენტების შემთხვევაში (ერთი და იმავე ფიგურის ნაწილი ან სხვადასხვა ფიგურა), ის პერცეპტული დეფორმაციები, რომლებიც ცენტრირების, გადატანის თუ შედარების და სხვა გზითაა გამოწვეული, გონებრივ განვითარებასთან ერთად, საშუალოდ იკლებს. ამგვარ შემთხვევებში „რეგულაციები" რომლებიც ამ ილუზიების პერცეპტულ შეფასებაში მონაწილეობს, საშუალოდ ზრდასრულებთან უფრო ძლიერია, ვიდრე ბავშვებთან (ყოველ შემთხვევაში 5-8 წწ. ასაკში). როდესაც დეფორმაცია (ილუზია) რეგულაციების გაზრდასთან ერთად მცირდება, შეგვიძლია ვისაუბროთ უშუალო ილუზიებზე. ჩვენი დასკვნებიდან პირველი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: უშუალო ილუზიები საშუალოდ სუსტდება ასაკის მატებასთან ერთად. 2. სამაგიეროდ, არსებობს ისეთი დეფორმაციები (და ეს ეხება სივრცეში ერთდროულად მოცემულ ობიექტებს) რომელთა მნიშვნელობაც ასაკთან ერთად იმატებს. მაგალითად, ზოგიერთ სიტუაციაში განსხვავებული სიმაღლის წყვილი ობიექტები სხვადასხვა მანძილზეა განლაგებული სიღრმეში, ეს სიღრმე ბავშვების მიერ მხოლოდ ოდნავი გადაჭარბებითაა შეფასებული, ხოლო

[1] უზნაძე. დ. Über die Gewichtstäuschung und ihre Analoga. Psychologische Forschung, XIV (1930), გვ.366.

უფროსების მიერ საგრძნობლად უფრო დიდი პროპორციებით: სიღრმის ამგვარი გადაჭარბებული შეფასება ასაკთან ერთად უფრო მკაფიო ხდება. მაგრამ მსგავს შემთხვევებში ილუზია გამოწვეულია ზეკომპენსაციის მაგვარი რამით, რომელიც მოცემული რეგულაციების შედეგია და ეს ინტერპრეტაცია გამართლებულია კერძოდ იმ ფაქტით, რომ ილუზიის ზრდისას ხდება ფარდობითი ტოლობის ზღურბლის შემცირება. როდესაც პერცეპტული დეფორმაცია თავად რეგულაციებთან ერთად იზრდება, შეგვიძლია გაშუალებულ ანუ წარმოებულ ილუზიებზე ვისაუბროთ. ამრიგად, წარმოებული ილუზიები ასაკთან ერთად უფრო მკაფიო ხდება. 3) საბოლოოდ, რაც შეეხება თანმიმდევრული პერცეპციების ზემოქმედებას ერთმანეთზე, ორი სახის დასკვნამდე მივედით: ა) როდესაც ზრდასრული ადამიანი მიმდინარე პერცეპტული მოცემულობის წინაშე იმყოფება, მასზე მოქმედებს „ვირტუალური ურთიერთმიმართებების“ სისტემა, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე ბავშვისა. რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვივარაუდოთ უფრო ძლიერი ორგანიზებული პროცესის არსებობა, რომელიც კომპენსაციისა თუ რეგულაციის მსგავსად მოქმედებს. ბ) დროში თანმიმდევრული ილუზიები, აგრეთვე ზოგჯერ ძლიერდება, უფრო გამოხატული ხდება ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლისას. მაგალითად, მ. ოსტერიესთან (M. Osterrieth) ერთად ჩატარებულ კვლევაში, რომელიც ოპელის (Oppel) ილუზიას ეხებოდა (დაშტრიხული ჰორიზონტალური ხაზების აღქმა), დავრწმუნდით, რომ კონცენტრული ობიექტების შედარებათა საშუალებით გაზომილი ილუზია ასაკთან ერთად იკლებს და ეს მაშინ, როდესაც მისი ზრდა შეიმჩნევა, თუკი მას ვზომავთ აღმავალი თუ დაღმავალი შედარებებით (დაშტრიხული ხაზი შედარებულია სულ უფრო და უფრო გრძელ (დაუშტრიხავ) ხაზებთან ან სულ უფრო მოკლე ხაზებთან). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ოპელის ილუზიის მნიშვნელობა, ბუნებრივია, არ იცვლება, მაგრამ ის მოდელები, რომლებიც ეტალონებად იყო გამოყენებული, თანდათანობით გადაჭარბებით ან არასაკმარისადაა შეფასებული, პერცეპციების თანმიმდევრობის ეფექტის გამო და ეს ის დროითი ეფექტია, რომლის მნიშვნელობაც იზრდება ასაკთან ერთად (ეს შედეგები მოგვიანებით გამოქვეყნდება).

თუკი ამ განსხვავებულ დასკვნებს გავაანალიზებთ, ბუნებრივად გაჩნდება კითხვა, ხომ არ უნდა შევადაროთ დროში თანმიმდევრული (სუქცესიური) დეფორმაციები, რომლებიც ზრდასრულებთან უფრო ძლიერია, ვიდრე ბავშვებთან, „წარმოებულ ილუზიებს“? მსგავსი ილუზიები, რომლებიც თანმიმდევრობით (ან ანტიციპაციით) არის გამოწვეული, მართლაც ამჟღავნებს ამ უცნაურ თვისებას: ისინი ისე გამოიყურება, თითქოსდა იმაზე უფრო დიდ ქმედებას მოიცავდეს, ვიდრე უბრალოდ ილუზიის არარსებობაა. კერძოდ კი, სიმძიმის ილუზიის შემთხვევაში, ცნობილია, რომ იმბეცილები და ძალიან მცირე ასაკის ბავშვები არ ექვემდებარებიან ამ ილუზიის გავლენას და ის იზრდება 11-12 წლამდე.[1] ამრიგად, ყველაფერი ისე ხდება, თითქოს მის წარმოსაქმნელად წონასა და მოცულობას შორის რაღაც გარკვეული დამაკავშირებელი მოქმედება იყოს საჭირო, თუმცა, ბუნებრივია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს პირობა სავსებით საკმარისია. ზუსტად ასევე, გადაფასებისა თუ შეუფასებლობის ეფექტებისას, რაც აღმავალი და დაღმავალი სკალითაა

[1] კერძოდ, იხ. A. Rev. Arch. Psychol. XXII, გვ.285.

განპირობებული, ნათელია, რომ თუკი სუბიექტები ყველაფერს დაივიწყებენ, ისინი თავს დააღწევენ ამ ილუზიას. ასევე ძლიერ დეფორმაციაში აუცილებელი (მაგრამ ისევ და ისევ არასაკმარისი) პირობის სახით იგულისხმება თანმიმდევრული პერცეპციების ერთმანეთთან დაკავშირება. თუმცა, ამ ორ შემთხვევაში მაშინვე ვერ შევამჩნევთ რეგულაციებისა და კომპენსაციების არსებობას, მაგრამ მაინც იგრძნობა ანალოგიური ფაქტორის ჩარევა და სწორედ ამით ენათესავება მსგავსი ილუზიები „წარმოებულ“ ტიპს, რომელიც ზემოთ განვსაზღვრეთ.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, როგორ შეიძლება დაგვეხმაროს უზნაძისეული „აინშტელუნგის“გენეტიკური ანალიზი იმ ილუზიების პრობლემის გადაჭრაში, რომლებიც პერცეპციების დროში თანმიმდევრობითაა გამოწვეული. მართლაც, ამ ავტორის მიერ აღწერილ ფენომენზე, სულ ცოტა, ორი ფაქტორი მოქმედებს: ერთის მხრივ, კონტრასტთან დაკავშირებული დეფორმაცია, რომლის ბევრი მაგალითია ცნობილი სივრცული სიმულტანურობის სფეროში და დროში თანმიმდევრული ეფექტებისაგან დამოუკიდებელია, მეორეს მხრივ, კავშირის დამყარება, რომელიც რაღაც „ტრანსპოზიციის“ (იმ მნიშვნელობით, რაც გეშტალტისტებმა მიანიჭეს ამ ტერმინს) მაგვარს შეიძლება შევადაროთ და რომლის გარეშეც წრეთა წყვილების თანმიმდევრული პრეზენტაციები ერთმანეთზე ვერ იმოქმედებდა. თუმცაღა, კონტრასტის ეფექტს, იგივე მექანიზმით, რასაც ჩვენ დელბოფის ილუზიებში ვაკვირდებით და ა.შ., თავისთავად შესანიშნავად შეუძლია დროში თანმიმდევრულობისაგან დამოუკიდებლად წარმოქმნას „პირველადი ილუზია“ და, შესაბამისად, ასაკის მატებასთან ერთად შედარებით უმნიშვნელო გახდეს. ამრიგად, მით უფრო საინტერესოა, ვეცადოთ, განვსაზღვროთ დროითი ტრანსპოზიციის მეორე ფაქტორის თუ პროცესის ევოლუცია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დავადგინოთ, უზნაძისეული „აინშტელუნგის“ სიდიდე იმატებს თუ იკლებს პატარა ბავშვებსა და ზრდასრულებში. თუ ილუზია სუსტდება, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მთლიანად ეს ფენომენი ძალიან ახლოს დგას უშუალო ილუზიებთან. მაგრამ თუკი ილუზია იმატებს - და ჩვენ ვნახავთ, რომ ზუსტად ასეა - მაშინ ეს ტრანსპოზიციის მაგვარი რამ იმის ანალოგიურ როლს ითამაშებს, რასაც რეგულაციები ასრულებენ „წარმოებულ ილუზიებში“ და საჭირო გახდება მისი ანალიზი შესაძლებლობის ფარგლებში, რადგანაც ის თვალსაჩინოს ხდის თანმიმდევრულ მოქმედებათა მექანიზმს აღქმის სფეროში.

თუმცაღა ეს ისეთი მეთოდია, რომლის გამოყენებაც, სიმართლე რომ ითქვას, კვლავაც სიფრთხილეს მოითხოვს, მაგრამ მას შეუძლია დიდი სამსახური გაგვიწიოს შემდეგში: ესაა „აინშტელუნგ“-ების წარმოქმნის შედარება მის ჩაქრობასთან ბავშვებსა და ზრდასრულებში. მართლაც, საკმარისი არ არის იმის ცოდნა, ზრდასრულს ბავშვზე მეტად თუ ნაკლებად აქვს უნარი ერთი პერცეპციის შედეგი მის მომდევნოებზე გადაიტანოს, ასახოს. აქ უმთავრესად საქმე ეხება იმის დანახვას, თანმიმდევრობის ეს ეფექტი წინა ქმედებათა ეფექტის საპირისპირო მხარესაა მიმართული თუ პირიქით, წინა ქმედების მაგვარის შედეგს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, საინტერესოა, ვიცოდეთ მოცემული პროცესის შექცევადობისა და შეუქცევადობის ხარისხი. ამიტომაც, როგორც კი თითოეულ ჩვენს ცდის პირს „აინშტელუნგი“ ჩამოუყალიბდება, შევეცდებით, გავაანალიზოთ მისი თანდათანობითი შეწყვეტა. იმის შემდეგ, რაც ერთმანეთს შევადარებთ ბავშვებსა და ზრდასრულებში ამ შეწყვეტასთან

დაკავშირებით მიღებულ შედეგებს, ჩვენ, ალბათ, შევძლებთ შევიქმნათ უფრო ზუსტი წარმოდგენა ამ უცნაური მოვლენის შესახებ.

ბოლოს, რადგანაც თავდაპირველი აღქმის (არატოლი წრეები) მოქმედება შემდგომ აღქმაზე (ტოლი წრეები) ტრანსპოზიციის მსგავს მოვლენას შეიძლება შევადაროთ, ვფიქრობთ, თავად „აინშტელუნგის“ დროითი ეფექტების წარმოქმნისა და შეწყვეტის საკითხის შესწავლა შევავსოთ ჭეშმარიტი ტრანსპოზიციის, ე.ი. საწყისი პერცეპციების ეფექტის განსხვავებული ფორმების პერცეპციებზე გადატანის ანალიზით: ამრიგად, არატოლი წრეების წარდგენის შემდეგ, ორი ტოლი წრის ნაცვლად, ცდის პირებს ჩვენ მსგავსი მოცულობის მქონე ორი ტოლი კვადრატი ვაჩვენეთ. მართლაც, ამის შემდეგ შევამჩნიეთ, რომ ერთი კვადრატი მეორესთან შედარებით მცირედ მოეჩვენათ, იმავე კანონების, ან უკეთ რომ ვთქვათ, ზუსტად იმავე პროპორციების მიხედვით, როგორც ეს ადრე ნახსენები ფენომენის შემთხვევაში ხდება. ამ პერცეპტული გადატანისა თუ ტრანსპოზიციის განხილვა დაგვეხმარება, უკეთ განვმარტოთ ჩვენი წარმოდგენები ამ უმთავრესი მექანიზმების არსთან დაკავშირებით.

მაგრამ იმისთვის, რომ განვახორციელოთ ეს ორმაგი შედარება შეძენასა და შეწყვეტას შორის, ბავშვებსა და ზრდასრულებში, აგრეთვე დროითი ეფექტის გადატანა სხვა ფიგურებზე, კვლევის ტექნიკასთან დაკავშირებული საკითხები უმთავრეს მნიშვნელობას იძენს. აგრეთვე უნდა დავაზუსტოთ ჩვენი პოზიციები ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ კი, რაც შეეხება იმ შესწორებებს, რომლებიც უზნაძის ტექნიკაში ჩასართავად ვაწარმოეთ.

§2. მეთოდური საკითხები

თავდაპირველად ვცდილობდით თავად უზნაძის ტექნიკა გამოგვეყენებინა, რომ გვენახა, ექნებოდათ თუ არა ჟენევის ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში ზრდასრულებს იგივე შედეგები, რაც თბილისის ლაბორატორიაში. სამწუხაროდ, რადგან ავტორს არ წარმოუდგენია ინფორმაცია რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტის შესახებ (მისი წრეების მოხაზულობის სისქე, ტაქისტოსკოპის სარკმელის გაღების ხანგრძლივობა და მისი სავაჭრო ნიშანი), უბრალო განმეორება თავიდანვე შეუძლებლად მოგვეჩვენა. მართლაც, ჩვენ ვნახავთ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ყველაზე მცირე დეტალებსაც კი ამ ფენომენის წარმოქმნაში. გარდა ამისა, ჩანს, რომ უზნაძემ არ იზრუნა საკონტროლო ცდების ჩატარებაზე და არც მისი სუბიექტების შეგრძნების ზღურბლის განსაზღვრაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეცდებით ავტორის დაკვირვებების შემოწმებას.

ჩვენ გამოვიყენეთ ნეჩაევის ტაქისტოსკოპი და მისი სარკმელის გახსნის ხანგრძლივობა დაახლოებით წამის 1/10-ზე დავაყენეთ. დამჭერ კარში შეყვანილი ბარათები შემდეგ მდებარეობას აჩვენებენ:

ექსპერიმენტი. A:

	მარცხენა	მარჯვენა
წრეები I	20 მმ	28 მმ
I bis	28 მმ	20 მმ
კონტროლის Ia	20 მმ	20 მმ
Ib	24 მმ	24 მმ
Ic	28 მმ	28 მმ

ექსპერიმენტი წარმოადგენს სიდიდეების შედარებას, რომლის დროსაც ცდის პირმა უნდა თქვას, რომელ მხარეს მდებარეობს პატარა წრე (ან დიდი) ანდა ორივე წრე ერთი და იგივე ზომისაა თუ არა.

ცდის პირს 2 წამით ადრე აფრთხილებენ და რთავენ გამშვებ ღილაკს. მზერა ტაქისტოსკოპის სარკმლის ცენტრზეა მიმართული (რომელიც რგოლით არის აღნიშნული).

მაშინაც კი, როცა ფიგურებს არ ცვლიან, მაინც ასრულებენ ყველა იმ მანიპულაციას, რომლებიც თითქოს ბარათის შესაცვლელად არის საჭირო.

ჩვენებებს შორის ინტერვალი: მაქსიმუმ 10-დან 20 წამამდე..

ჩვენების თანმიმდევრობა: ბარათი 1 b 2-ჯერ, 1 10-ჯერ, 1c, 1b, 1a - თითოეული თითოჯერ, ანუ, მთლიანობაში 15 ექსპოზიცია.

ექსპ. A bis: იმავე ტექნიკით მაგრამ 1-ის მაგივრად 1 bis წრეებით (28 მმ მარცხნივ).

ექსპ. B: იგივე ტექნიკა. ექსპოზიციები:

სერია	საგანწყობო	მარცხენა	მარჯვენა	კონტროლის	მარცხენა	მარჯვენა
I	10-ჯერ	22 მმ	26 მმ	I a 2-ჯერ	22 მმ	22 მმ
II	10-ჯერ	24	26	II a 2-ჯერ	24	24
III	10-ჯერ	25	26	III a 2-ჯერ	25	25

როდესაც უზნაძემ A ცდისას იდენტიფიკაციის[1] რამდენიმე შემთხვევა შენიშნა, ის დაინტერესდა, ეს „Angleichungen"[2] ხომ არ გაძლიერდებოდა მცირე განსხვავებების შემთხვევაში. ეს გახდა B ცდის მიზეზი, რომელშიც მართლაც მივიღეთ ამ შემთხვევების უფრო დიდი პროპორციულობა (25,1% - 22 და 26-თვის; 33, 7% - 24 და 26-თვის და 68% - 25 და 26-თვის).

თუმცა, ჩვენს მიერ ჩატარებული პირველი ექსპერიმენტის დროს, ზრდასრულებსა და ბავშვებში მიღებული კონტრასტისა და იდენტიფიკაციის რამდენიმე შედეგის მიღების შემდეგ, ჩვენი ყურადღება შემდგომმა სამმა ფაქტორმა მიიპყრო:

1) ნეჩაევის ტაქისტოსკოპი, ჩვენს ხელთ არსებულებს შორის ერთადერთი დამაკმაყოფილებელი, სირთულეს გვიქმნის: მართალია, ორივე ფიგურა ერთი და იმავე დროის განმავლობაში ჩანს ხოლმე, მათ საამისოდ გამოჩენისა და გაქრობის სხვადასხვა სიჩქარე სჭირდება. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ გამქრალ გამოსახულებებზე მეტ-ნაკლები სიჩქარით მოქმედებს დეფორმაცია: ამრიგად, მარჯვენა ფიგურა შეიძლება მარცხენა ფიგურისგან განსხვავებული ჩანდეს. ამრიგად, შეიძლება დაგვაინტერესოს, იდენტიფიკაციის რეზულტატები ხომ არ არის რამდენადმე დამოკიდებული მსგავს ფაქტორებზე და რამდენიმე დამატებითი სიფრთხილის ზომის მიღება ხომ არ გვჭირდება.

შემდეგ ჩვენ გავზარდეთ ტაქისტოსკოპის სარკმელი, რათა იქ 28 მმ-იანი ორი წრე დატეულიყო ისე, რომ კიდეებს არ შეხებოდა. გარდა ამისა, არატოლი ფიგურების ჩვენებას ტოლი ფიგურების ჩვენება წავუმძღვარეთ.

[1] რედ. შენიშვნა: რაც დ. უზნაძის ექსპერიმენტებში ასიმილაციის შემთხვევებად მოიხსენიება

[2] რედ. შენიშვნა: სწორხაზოვნება, შესაბამისობა

2) ამრიგად, ახალი კითხვა ჩნდება: უზნაძე ჩვენ არ გვეუბნება, დაიჭირა თუ არა თადარიგი საიმისოდ, რომ დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ორი ტოლი წრე მაშინაც ასეთად ეჩვენებათ, როდესაც „აინშტელუნგი“ არ იქმნება და არც იმას, რომ განსხვავება 25-დან და 26 მმ-მდე წრეებს შორის არ აღემატება ცდის პირის მგრძნობელობას (1 მმ 25 მმ-ისთვის ანუ 4%). თუ „აინშტელუნგის“ ეფექტი უფრო სუსტი იყო, ვიდრე მგრძნობელობა, ცხადია, რომ ის შეუმჩნევლად ჩაივლიდა და მიღებულ პასუხებს ექნებოდა სხვა მნიშვნელობა. რამდენადაც ბავშვებთან უნდა გვემუშავა, აუცილებლად ჩავთვალეთ, დავრწმუნებულიყავით მათ ვიზუალურ მგრძნობელობაში და გაკეთებულმა დასკვნებმა სრულიად დაადასტურა ამ სიფრთხილის აუცილებლობა. ამ წუთისთვის შემოვიფარგლოთ ერთადერთი შენიშვნით ამ საკითხთან დაკავშირებით: ტოლობა უფრო ადვილი დასადგენია, ვიდრე მცირე უტოლობა, ანუ, ცდის პირი გაცილებით ნაკლებად მოტყუვდება ტოლობასთან დაკავშირებით, ვიდრე სულ მცირე განსხვავების მნიშვნელობასთან მიმართებაში. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია კვლავ დავინტერესდეთ, იდენტიფიკაციის შემთხვევები ხომ არ არის ნაწილობრივად დამოკიდებული ასეთი სახის ფაქტორებზე.

3) ბოლოს და რაც მთავარია, პრეზენტაციების გარკვეული რაოდენობა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა პირველი შეხედვით, იმ გაგებით, რომ მის ეფექტებს არ აქვს უბრალოდ კუმულაციური ხასიათი და რომ პრეზენტაციის მეთოდი საგულდაგულოდ უნდა განისაზღვროს და შემთხვევით არ უნდა იყოს შერჩეული.

აი, მაგალითად, რა შედეგები გამოიღო უზნაძის ტექნიკის გამოყენებამ რამდენიმე ზრდასრულსა და ბავშვზე, იმის მიხედვით, „აინშტელუნგი“ 10 ჩვენებითაა გამოწვეული თუ მხოლოდ 3-ით. ჩვენ მხოლოდ წავუმძღვარეთ ექსპერიმენტს 28 და 28; 24 და 24; 20 და 20 მმ -ის ტოლი წრეების 3 ექსპოზიცია. ამ წრეების ტოლობა კვლავ არ აღინიშნა და თუნდაც რომ აღნიშნულიყო, არაფერი გვაიძულებდა, გამოგვეტანა დასკვნა, რომ 1, 2 და თუნდაც 3 მმ ორი განსხვავებული წრე აგრეთვე არ იქნებოდა აღქმული, როგორც ტოლი:

	კონტრასტი	იდენტიფიკაცია	ტოლობა %-ით
6-7 წლის 7 ბავშვი (10 ექსპოზიცია):	47,6	14,3	38,1
5 ზრდასრული (10 ექსპოზიცია):	26,6	6,7	66,7
4 ზრდასრული (3 ექსპოზიცია):	66,7	8,3	25,0

ბავშვებში 10-ჯერადი ჩვენება იმთავითვე მომქანცველი აღმოჩნდა: ის ან სიცილს, ანდა არცთუ სახალისო კომენტარებს იწვევდა. ზრდასრულებში კი, პირიქით, ეფექტი ნაკლებად გამოხატულია, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ის საგრძნობლად იზრდება, თუ მხოლოდ სამი ჩვენებით დავკმაყოფილდებით! იმის გამო, რომ შეუძლებელია მთელი სიზუსტით გავეცნოთ უზნაძის ტექნიკას, ჩვენ ვერ შევძლებთ დარწმუნებით ვთქვათ, რითია გამოწვეული ის განსხვავებანი, რომლებიც ჩვენსა და მას შორის შეიმჩნევა: ეხება ეს ტაქისტოსკოპის ტექნიკურ თავისებურებებს, შედარების ველს, თუ სხვა ფაქტორებს. მეორეს მხრივ, მიგვაჩნია, რომ 10-სა და 3 ჩვენებას შორის მიღებული განსხვავებები განსახილველად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და ეს ხელს შეუწყობს ჩვენს მიერ გამოყენებული ტექნიკის მთლიანად გადაკეთებას, სხვაგვარად გააზრებას.

რამდენადაც ვითვალისწინებთ, რომ ჩვენი მიზანია ბავშვებსა და ზრდასრულებში „აინშტელუნგის“ წარმოქმნისა და ჩაქრობის მექანიზმის გაანა-

ლიზება, გვგონია, რომ უკეთ ჩავწვდებით ამ ფენომენის ბუნებას, თუკი მას ეტაპებად დავყოფთ. ამრიგად, ამ სტატიაში შეგნებულად ვთქვით უარი იმ საკითხების შესწავლაზე, რომელიც განიხილავდა დეფორმაციის პირობებს, იქნებოდა ეს კონტრასტი თუ იდენტიფიკაცია (ფიგურების სიდიდე, პრეზენტაციის რაოდენობა და ხანგრძლივობა და სხვა) და ჩაქრობის ანალიზით შემოვიფარგლეთ. ამგვარად, მხოლოდ კონტრასტის ეფექტები იყო მიღწეული ჩვენს კვლევებში და პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ვიცოდეთ, როგორია უზნაძის მიერ მიღებული იდენტიფიკაციების ბუნება.

ამრიგად, ტექნიკა, რომელზეც ჩვენ შევჩერდით, შემდეგ სამ ფაზას მოიცავს:

I. წინასწარი ფაზა და ცდის პირის მგრძნობელობის განსაზღვრა[1] - ამ წინასწარ ფაზაში ჩვენ ცდის პირს ვაჩვენებთ ორ ერთნაირ, 24 მმ-იან წრეს; 1, 2, 3, 4 მმ-ით განსხვავებულ ორ წრეს ან თავიდანვე ვიჭერთ თადარიგს, რომ დიდი წრე ალტერნატიულად ჯერ მარჯვნივ ვაჩვენოთ, შემდეგ მარცხნივ, რათა არ გამოვიწვიოთ „აინშტელუნგი“ ან სულ მცირედ ავანაზღაუროთ ის, რაც, შესაძლოა, წარმოქმნილიყო. დიდი წრე ისევ 24 მმ-ია და მცირე წრე მერყეობს 17-დან 24 მმ-მდე, თითო მილიმეტრობით. ამ წრეების ხაზი, მოხაზულობა დაახლოებით 0,5 მმ-ის სისქისაა. ისინი ისეა დახატული, რომ მათ შორის ყოველთვის რჩება დაახლოებით 9 მმ-იანი ინტერვალი. ისინი ჩნდებიან ტაქისტოსკოპის მართკუთხა ფანჯრის დიდ ჰორიზონტალურ ღერძზე, შავად თეთრ ფონზე. 24 მმ-იანი ორივე წრე ერთ დონეზეა განლაგებული. გარდა ამისა, მუყაოს ყველა ბარათი, რომელზეც დახატულია წრეების წყვილი, შეიძლება 180 გრადუსით შემოვატრიალოთ, იმგვარად, რომ წრე, რომელიც იმყოფებოდა მარცხნივ, შეიძლება ნაჩვენები იყოს მარჯვნივ და პირიქით. ტაქისტოსკოპის ფანჯარას აქვს 6 სმ × 8 სმ-ზე სარკმელი. თავად ტაქისტოსკოპი შავადაა შეფერილი. ეს ნეჩაევის მოდიფიცირებული ტაქისტოსკოპია. სარკმლის დარაბები აღჭურვილია დაფიქსირების/დამაგრების საშუალებით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი განთავსება დაკვირვებისათვის შერჩეული მანძილიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცდების ყველა ცდის პირს ამ წერტილში დაჟინებით ცქერა, თვალებით ამ წერტილის დაფიქსირება ვთხოვეთ, არ შეგვიძლია, ვამტკიცოთ, რომ მათი მზერა აპარატის ჩართვის მომენტისთვის კვლავაც ცენტრისკენ იყო მიმართული. რამდენადაც მათ გვერდით ვიყავით, რათა აუცილებელი მანიპულაციების შესრულება შეგვძლებოდა, აპარატს არ ვრთავდით, სანამ ცდის პირის დაჟინებული მზერა სარკმელზე არ იქნებოდა მიმართული და

[1] გარდა პირველი სუბიექტების (ბავშვები) შემთხვევებისა, ამ ფაზის დადგომამდე ჩვენ ყოველთვის გამოვიკითხავდით ხოლმე სუბიექტების მოსაზრებებს ტაქისტოსკოპის გარეშე ნაჩვენები ფიგურების შესახებ. მართლაც, ასეთი შემოვლითი გზით, ჩვენ უფრო უკეთ, უფრო სწრაფად და მეტი სიზუსტით მივუახლოვდებით გაზომვას, როგორც ასეთს. ტაქისტოსკოპით მიღებული პირველი შთაბეჭდილებები აღარ იქნება ცდის პირის გაუგებრობისა თუ იმ აზრის გავლენის ქვეშ, რომელსაც ის იქმნის იმის შესახებ, თუ რას მოელიან მისგან. ამგვარად, მას შევამზადებთ არა მხოლოდ აღსაქმელი ფიგურების ფორმისა და მათი სიდიდეების თანმიმდევრობისთვის, არამედ აგრეთვე სიზუსტის იმ ხარისხისთვის, რომელიც მას პასუხების დროს მოეთხოვება.

სანამ იგი დაინტერესებას არ გამოხატავდა. ცდის პირის დაშორება 30-დან 40 სმ-მდე მერყეობდა, ხოლო ბავშვები უფროსებთან შედარებით უფრო ახლოდან ყურების ტენდენციას ამჟღავნებდნენ, რისი თავიდან აცილებაც რთული იყო.

ცდის პირის ნდობა რომ მოგვეპოვებინა, თავდაპირველად მას საკმაოდ განსხვავებულ ობიექტებს ვაჩვენებდით. შემდეგ ვამცირებდით განსხვავებას, რათა საბოლოოდ 1 მმ-იან განსხვავებამდე მივსულიყავით (23 და 24 მმ) და დასასრულს, ტოლობის მსჯელობა რომ მიგვეღო ორი 24 მმ-იანი წრით ვამთავრებდით ჩვენებას, რათა ამგვარად დარწმუნებულნი ვყოფილიყავით, რომ არ მომხდარა ამა თუ იმ სახით „აინშტელუნგის“ წარმოქმნა. ამ სახით ვაჩვევდით ცდის პირს, რომ მას სულ უფრო მცირე განსხვავებების აღქმა შეძლებოდა. ცდის პირი ყოველ ჯერზე მიგვითითებდა, თუ სად იმყოფებოდა ყველაზე მცირე თუ ყველაზე დიდი წრე, ანდა, თუ ორივე ეს წრე მას ტოლად ეჩვენება.

ბავშვებთან მუშაობისას, ზოგჯერ იმას, რაც მათთვის უნდა გვეჩვენებინა, ამბის სახეს ვაძლევდით. საუბარი იყო ველოსიპედის ორ ბორბალზე. რადგანაც საჭიროა, რომ ორივე ბორბალი ზუსტად ერთნაირი იყოს, ბავშვს უნდა ეთქვა, კარგი ველოსიპედი გამოვიდა თუ არა. ჩვენ დავიჭირეთ საიმისო თადარიგი, რომ ამ ამბავს უფრო მეტი ნაკლი არ ჰქონოდა, ვიდრე უპირატესობა.

მოგვიანებით, დავუბრუნდებით ამ წინასწარი ფაზის განმავლობაში შემჩნეულ მოვლენებს. ამჟამად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ დაკვირვებები, რომლებიც ამ საწყის ეტაპზე განვახორციელეთ, შემდგომში საშუალებას მოგვცემს, რომ ჩვენი სუბიექტების პერცეპტული მახასიათებლების კვლევისას ცდა უფრო ადეკვატურად წარვმართოთ.

II. პროგრესული ფორმირების[1] ფაზა - როგორც უკვე ვთქვით ზემოთ, იმის ნაცვლად, რომ ვეცადოთ, ერთბაშად შევქმნათ „აინშტელუნგი“, წრეების წყვილის მრავალრიცხოვანი ჩვენებით, ამ „აინშტელუნგის“ შექმნას შემდეგნაირად ვანაწევრებთ: 3-ჯერ ვაჩვენებთ 20 და 28 მმ-იანი წრეების წყვილს, რასაც ზედიზედ 4 სერიად გავიმეორებთ და ყოველი გამეორების შემდეგ დავაკვირდებით მიღებულ შედეგს. ამრიგად, მთლიანობაში ფორმირების 12 ექსპოზიცია იქნება. ჩვენ ეს სისტემატურად არ გაგვიგრძელებია, რადგან რამდენიმე გამოკითხვამ მოგვცა საშუალება, გვევარაუდა, რომ ასე მივუახლოვდებოდით იმ შედეგის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება გვქონდეს ყველაზე უფრო მგრძნობიარე სუბიექტების შემთხვევაში.

ცხადია, ჩვენ შეგვეძლო, სხვანაირად მოვქცეულიყავით და “აინშტელუნგი“ გაგვეზომა იმის მიხედვით, თუ გამეორების რა აუცილებელი რაოდენობა გვჭირდება „აინშტელუნგის“ რაღაც გარკვეული სიდიდის მისაღებად, მაგალითად, 4მმ-ისა, მაგრამ რამდენადაც არ ყოფილა დადასტურებული, რომ შეგვიძლია ყველა ჩვენი ცდის პირის შემთხვევაში მივიღოთ ეგზომ გამოხატული შედეგი და რამდენადაც ეს მოითხოვდა გაგვეგრძელებინა ექსპერიმენტი იმ ოდენობამდე, რომ ვეღარ ვენდობოდით ჩვენი ცდის პირების ქცევას, ვამჯობინეთ, დავჯერებულიყავით ქვემოთ დადგენილ ნორმებს:

ამრიგად, ჩვენ ასეთი თანმიმდევრობა გვაქვს:

[1] რედ. შენიშვნა: ასე უწოდებს პიაჟე უზნაძის შრომებში ე.წ. „საგანწყობო ილუზიების ფორმირების ფაზას“ (imprégnation)

1) ფორმირება F1 20 და 28 მმ -იანი 3 ექსპოზიცია
1 bis) მიღებული შედეგის გაზომვა
2) ფორმირება F2 (როგორც 1)
2 bis) მიღებული შედეგის გაზომვა.
3) ფორმირება F3 (როგორც 1).
3 bis) მიღებული შედეგის გაზომვა.
4) ფორმირება F4 (როგორც 1).
4 bis) მიღებული შედეგის გაზომვა.
5) ეფექტის ჩაქრობის კვლევა (იხილე III).

ექსპოზიციის ხანგრძლივობა და ინტერვალი ექსპოზიციებს შორის - ექსპოზიციის ხანგრძლივობა ერთი და იგივე იყო ყველა ჩვენი ცდის პირისთვის. ის დაახლოებით 1/10 წამს შეადგენდა. ზოგიერთი ცდის პირისთვის, ვისაც უჭირდა რაიმეს აღქმა ასეთი სისწრაფით, ჩვენ უფრო ნელი სიჩქარით დავიწყეთ, იმის შედეგად, რომ უბრალოდ მოვხსენით ტვირთი, რომელიც, ჩვეულებრივ, აჩქარებს ტაქისტოსკოპის დარაბების ვარდნას. მაგრამ ჩვენ ამას ვიყენებდით მხოლოდ წინასწარ ფაზაში, რადგან ექსპერიმენტმა გვაჩვენა, რომ წამის 1/10 სიჩქარით ჩვენი ყველა ცდის პირი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ახერხებდა წრეების აღქმას. მართალია, ეს აღქმა არ არის ძალიან მკაფიო, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ მკაფიოდ გავარჩიოთ, ორი წრიდან ერთ-ერთი განსხვავებული სიდიდისაა თუ არა. ექსპოზიციის ეს სისწრაფე წარმოადგენს იმის პირობას, რომ ჩვენ არა მხოლოდ დავაკვირდეთ ამ ფენომენს, არამედ, გავზომოთ ის. მართალია, ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ცდის პირი კვლავაც ამჩნევს განსხვავებას ორ ტოლ წრეს შორის, მაშინაც კი, როდესაც გამოსახულებებს ტაქისტოსკოპის გარეშე აჩვენებენ. მაგრამ, ეს ეფექტი შედარებით მინიმალურია და 1მმ-ს არ აღწევს. უშუალოდ იმ მომენტში ერთ-ერთი წრე აშკარად უფრო პატარა ჩანს, შემდეგ, მომდევნო რამდენიმე წამის მანძილზე განსხვავება მცირდება, თუმცა, საკმაოდ დიდხანს მაინც არ ქრება, იქამდე, სანამ ცდის პირს არ ვაჩვენებთ, რომ ეს ორი წრე ტოლია.

ამას მივყავართ ჩვენს მიერ არჩეულ გრადაციებზე საუბრისკენ. მანამდე, კიდევ უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ დროის ინტერვალი თითოეულ ექსპოზიციას შორის დაახლოებით 20 წამი იყო, რაც საკმარისი დროა მიღწეული შედეგის შესაფასებლად, ფიგურის შესაცვლელად, ტაქისტოსკოპის ხელახლა აღსაჭურვად, ცდის პირის გასაფრთხილებლად და მისი აზრის გასაგებად. მაშინაც კი, როცა ფიგურა იგივე რჩებოდა, „აინშტელუნგის“ ჩამოსაყალიბებლად, ან ცდის პირის პასუხის გასაკონტროლებლად, ჩვენ ცვლილების სიმულაცია გავითამაშეთ, რათა შესაძლებლობის ფარგლებში შეგვენარჩუნებინა ცდის პირის მხრიდან ქმედებათა მუდმივობა და თავიდან აგვეცილებინა მისი მხრიდან ინტერპრეტაციის გამოყენება, რაც, შეიძლება, ექსპერიმენტატორის მანიპულაციებიდან გამომდინარეობდეს.

ეფექტის გასაზომად განკუთვნილი წრეების გრადაციის არჩევა - რაც შერჩეული ფიგურების შესახებ ვთქვით, იქედან გამომდინარეობს, რომ ეფექტის გასაზომად გამოყენებულ წრეებს შორის განსხვავება მილიმეტრის დიაპაზონშია. უმეტეს შემთხვევაში, ამგვარი განსხვავება ბავშვისთვის მარტივად აღსა-

ქმელია. ზრდასრული ადამიანისთვის სხვაობის ზღურბლი შეიძლება იყოს 0,5 მმ, მაგრამ თუ ჩვენ ასეთ უმნიშვნელო გრადაციას შევარჩევდით, იძულებულნი ვიქნებოდით, რომ გაგვეზარდა ექსპოზიციების რაოდენობა და შესაბამისად ექსპერიმენტის ხანგრძლივობა. ამგვარად, ექსპოზიციები უნდა დაგვეყვანა მინიმუმამდე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმეტად არ გაგვეგრძელებინა ექსპერიმენტის ხანგრძლივობა, არამედ იმისთვისაც, რომ თავიდან აგვეცილებინა „აინშტელუნგის“, ან კონტრ-„აინშტელუნგის“ დამატებითი მოვლენები. თუმცა, ყოველთვის, მას შემდეგ, როგორც კი მივიღებდით ორ შეფასებას, ერთს - უფრო პატარას, მეორეს - უფრო დიდს, ცვალებადი წრეების ორივე თანმიმდევრული შედეგის საბოლოო შედეგად ვინიშნავდით შუალედურ სიდიდეს (ამგვარად, 0,5 მმ -ით). თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავება 24 მმ-იან წრეებს შორის და ა 23, 22, 21, 20, 19, 18 და ა.შ. წრეებს შორის არ უნდა იყოს შედგენილი ერთნაირი საფეხურებით (დანაყოფებით), თუმცა, როგორც ჩანს, ეს დანაყოფები იცვლიან სიდიდეს (მნიშვნელობას) 24-დან 23-მდე და 21-დან 20-მდე. ამგვარად, ჩვენი სკალა არ არის სრულყოფილი და ლოგიკურად საჭირო იქნებოდა გარკვეული კორექტივების შეტანა ჩვენს შედეგებში.

ეფექტის გაზომვა - იდეალური იქნებოდა, რომ თავიდანვე წავწყდომოდით წრეების ისეთ წყვილს, რომელიც ტოლობის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს შეუძლებელია, ვინაიდან წინასწარ ვერაფრით მივხვდებით, რა შეიძლება იყოს ეფექტის სიდიდე, შესუსტდება თუ გაძლიერდება (შესაბამისად) ყოველი გამეორების შემდეგ. ამიტომ, აუცილებელია, რომ საორიენტაციოდ ავიღოთ ცდის პირის პასუხები. ზოგადად, ვიმოქმედეთ შემდეგნაირად: თავდაპირველად ავიღეთ ორი ტოლი წრე, 24 მმ და 24 მმ. მარჯვენა, რომელმაც ჩაანაცვლა 28 მმ-იანი დიდი წრე, უფრო მცირე ზომისად აღიქმება. დავუშვათ, რომ ეს ასეა. აქედან გამოგვაქვს დასკვნა, რომ გარკვეული ეფექტი უკვე სახეზეა. მაგრამ მისი სიდიდე ჩვენ არ ვიცით, არ ვეკითხებით ცდის პირს, რამდენად პატარად მოჩანს ეს წრე მარცხენა წრესთან შედარებით. პირველ „აინშტელუნგში“ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს ეფექტი 1მმ-ს შეადგენს და თუ ცდის პირს 23 და 24 მმ-ის წყვილ წრეებს წარვუდგენთ, ის მათ აღიქვამს, როგორც ტოლებს. ამიტომ, ცდის პირს ვაჩვენებთ 22 და 24 მმ-ის წყვილს, რათა მივიღოთ საპირისპირო შედეგი. შედეგები შეგვიძლია შევამოწმოთ მესამე შუალედური წყვილით. ერთი სიტყვით, ვეცდებით, საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ 3, ან მაქსიმუმ 4 ჩვენების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ შედეგი ძალიან განსხვავდებოდა მოსალოდნელისგან. მომდევნო „აინშტელუნგებისთვისაც“ ამგვარად გავაგრძელებთ. ეს გულისხმობს, რომ თვალწინ ნათლად უნდა გვქონდეს მიღებული რეზულტატები, რათა ზუსტად ვიცოდეთ, რას მივაღწიეთ.

ამ ცდაში არის პარადოქსი. მართლაც, ჩვენი ცდა იმისთვის ჩატარდა, რომ „აინშტელუნგი“ გაგვეზომა, უნდა გვეღიარებინა, რომ მისი ეფექტი თავს იჩენდა ყოველთვის, როცა ცდის პირს ვაჩვენებდით ორ სხვადასხვა სიდიდის წრეს. პატარა ეფექტი დაემატებოდა ან დაიმალებოდა, პატარა იმიტომ, რომ ტოლობის შთაბეჭდილებაზე ვმუშაობთ, იმაზე, რაც ოდნავ უფრო დიდია და ოდნავ უფრო პატარა. უზნაძის კვლევებმა აჩვენა, რომ წრეებს შორის განსხვავებასთან ერთად ეფექტი იზრდება. რამდენადაც ჩვენ გვაინტერესებს პასუხები „უფრო პატარაა“, „ტოლია“ და „უფრო დიდია“, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს მსუბუქი ეფექტები ერთმანეთის კომპენსაციას ახდენენ.

თუმცაღა, ეს საკითხი პრობლემას ქმნის. თუ ორი წრე, ვთქვათ 22 და 24 მმ-ისა, ერთნაირად ჩანს, მაშინ როდესაც პირველად ოპტიკურ ცენტრებზე რეალური სიდიდით აღიბეჭდებიან, გამოიწვევს თუ არა ეს ახალ „აინშტელუნგს“ ან იქნებ ეს არის წრეების ტოლობის შედარების შეფასება და მხოლოდ ესაა მნიშვნელოვანი (თუ ვივარაუდებთ, რომ არ არსებობს ტოლობის „აინშტელუნგი“)? ვვარაუდობთ, რომ აღქმის კორექცია მეორად ცენტრებში მიმდინარეობს, მაგრამ არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ეს არ იქნა მიღებული პირველადი და მეორადი ცენტრების ურთიერთზემოქმედების შედეგად. ეს საკითხი ტოლობის შეფასების დროსაც დგება.

ამავე დროს, არ გვგონია, რომ ეს საკითხი შეიძლება ექსპერიმენტის გზით გადავჭრათ. მართალია, შეგვეძლო გაგვეგრძელებინა ტოლად შეფასებული ორი განსხვავებული წრის ჩვენება და გვენახა, რა მოხდებოდა. მაგრამ ეს განსხვავება შედარებით პატარა იქნებოდა და ვერ შეძლებდა შეენარჩუნებინა „აინშტელუნგი“, რომელიც მასვე უტოლდება. ამრიგად, ვერ გავიგებთ, ეფექტის ჩაქრობას ეს ნორმალური ჩაქრობა იწვევს, თუ გათანაბრების ეფექტი?

მეტიც, ექსპერიმენტის დროს აღმოჩენილმა მოვლენამ საქმე რამდენადმე გაართულა. რამდენიმე ცდის პირის მაგალითზე დავადგინეთ, რომ კონტრასტის ეფექტის გვერდით შეიძლება წარმოიქმნას სხვაც, რომელიც მას ზედ დაერთვის, ესაა *ზღურბლის გაფართოება,* ანუ, იმის ნავცლად, რომ კვლავაც აღიქვას ორ წრეს შორის აშკარა 1 მმ-იანი განსხვავება, ცდის პირს 3 ან 4 მმ-ით განსხვავებული წრეები ერთი სიდიდის მქონედ შეიძლება მოეჩვენოს. ამრიგად, თუ მივიღებთ პასუხს „ტოლია“ 24 და 24 მმ-ის წრეებისთვის, პირველი ან მერამდენედაც მომდევნო ექსპოზიციისას არ გვექნება იმის უფლება, აქედან დავასკვნათ, რომ არ გვაქვს ეფექტი და უნდა შევეცადოთ, რომ მას მივაკვლიოთ ორი განსხვავებული წრის ჩვენებით, რათა ვნახოთ, მათგან ყველაზე პატარა ასე ჩანს, თუ მეორე წრის თანაბრად. თუ საქმე ეხება ზღურბლის გაფართოებას, შესაძლოა, რომ მისმა ეფექტმა გადააჭარბოს განსხვავებას პატარა წრესა და 24 მმ-იან წრეს შორის. მაგალითად, დავუშვათ, რომ ერთი ცდის პირი ხედავს 24=24, 22=24 და 21 უფრო პატარაა, ვიდრე 24. შესაძლოა, რომ გაფართოება სხვა მიმართულებითაც განხორციელდეს, ამჯერად, მარცხნივ მდებარე 24-იანი შეიძლება დაინახონ, როგორც მარჯვნივ მდებარე 23, ან 22-იანი. ამის მიუხედავად, საკუთარ თავს ვაიძულებთ, არ შევისწავლოთ გაფართოების ეს ნაწილი, რადგან მაშინვე მივხვდით, რომ ამისთვის მარჯვნივ უფრო პატარა წრეების გამოყენება გახდებოდა საჭირო (24 და 22) და ჩვენ ვიმყოფებით საპირისპირო „აინშტელუნგის“ან ჩაქრობის ეფექტის გამოწვევის საფრთხის წინაშე, რასაც შეეძლო შემდგომი „აინშტელუნგების“ სიდიდის შეცვლა.

III. ჩაქრობის ფაზა. მას შემდეგ, რაც მეოთხე ფორმირების ეფექტი გავზომეთ, საინტერესოა იმის ნახვა, თუ როგორ ქრება კონტრასტის ზოგადი ეფექტი - უეცრად თუ თანდათანობით, უწყვეტი ხასიათი აქვს თუ ცვალებადი, მერყევი. ჩვენ თანმიმდევრული ცდების საშუალებით ვეცადეთ ეს ყურადღებით გაგვეზომა. იმავე პრინციპის მიხედვით ვიმოქმედეთ, როგორც ადრე, ნაბიჯ-ნაბიჯ და რაც შეიძლება, ახლოს მივყევით ტოლობის ფაზას. ამგვარად, ჩავატარეთ ათეულობით ცდა და ზოგჯერ მეტიც, როდესაც ეს მართლა საჭირო იყო, ან, თუ ეფექტი ადვილად არ ქრებოდა. ექსპერიმენტის ბოლოს, ჩვენ აგრეთვე, ტაქიტოსკოპის გარეშე ვაჩვენეთ ტოლი წრეები, რომ გვენახა, აგრძელებდა თუ არა

ცდის პირი მათ არათანაბრად აღქმას ნორმალურ პირობებში. შემდეგ აღარ გავაგრძელეთ, რათა თავისთავად ისედაც გრძელი ცდა არ გაგვეგრძელებინა და რადგან არსებობდა ცდის პირის დაღლის საშიშროება.

IV. გადატანა - „მეორე ექსპერიმენტის“ თემები.[1] ვაგრძელებთ მეოთხე F4 ფორმირების შემდეგ, ახალი ექსპოზიციებით 20 და 28 მმ-ის წრეების საშუალებით, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ეფექტი ადრე გამოყენებული წრეების წყვილების საშუალებით გავზომოთ, ჩვენ მას ახალი ფიგურების საშუალებით ვზომავთ. F5-ის შემდეგ ვაჩვენებთ კვადრატებს, რომლებიც მათ გვერდებზეა მოთავსებული. F6-ის შემდეგ, კვადრატებს, რომლებიც მათ წვეროებზეა მოთავსებული. F7 -ის შემდეგ ხელახლა ვაჩვენებთ ჩვეულ წრეებს და F8-ის შემდეგ ეფექტს უკანასკნელად ვზომავთ, ოღონდ ერთიანად შავი მელნით გაფერადებულ წრეებზე. ფუძეზე დაყრდნობილი კვადრატების გვერდები წრეების დიამეტრის ტოლია და ინტერვალი ყოველთვის 8-9 მმ-ია. სამაგიეროდ, წვეროებზე დაყრდნობილი გვერდები 24 მმ-ის ნაცვლად 22 მმ-ისაა, ერთის მხრივ, იმისთვის, რომ მხედველობაში ვიქონიოთ ტაქისტოსკოპის ფანჯრის სიგანე და მეორეს მხრივ, იმისთვის, რომ ცდის პირს შევუქმნათ შთაბეჭდილება, რომ მათი {კვადრატების} და წრეების ზომები ერთნაირია (გათვლებში გათვალისწინებულია ეს პატარა ცვლილება). ფორმირება F7-ს მოსდევს ჩვეულ წრეებზე ჩატარებული გაზომვა, იმისთვის, რომ ვნახოთ, უცვლელია თუ არა F4-ის ეფექტები. რაც შეეხება გაშავებულ წრეებს, ისინი იმისთვის ავარჩიეთ, რათა შეგვესწავლა გადატანა იმავე, ოღონდ უფრო „ძლიერი“ სტრუქტურის მქონე ფორმაზე. შეგვეძლო შეგვეცვალა ჩვენებათა თანმიმდევრობა და. ა.შ., და განსაკუთრებით, გაგვეზარდა ცდის სიზუსტის ხარისხი: მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ კონცენტრული მეთოდით ჩატარებულ ცდებზე (გარდა ამისა, კლასიკური მეთოდების გამოყენება უკვე მოხსნიდა ეფექტს მისი გაზომვის დასრულებამდე გაცილებით ადრე!).

§3. მიღებული შედეგები

ახლა ვეცადოთ, უბრალოდ აღვწეროთ დაკვირვების შედეგად მიღებული შედეგები მათი ინტერპრეტაციის გარეშე და არ ვეცადოთ ამჯერად მათ განმარტებას, ხოლო დისკუსია შემდგომ პარაგრაფებში გადავიტანოთ.

ჩვენს მიერ ჩატარებული ცდები ორ პერიოდს ეკუთვნის, რომელთა შორისაც რამდენიმეთვიანი ინტერვალია. თავიდან შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა თავად „აინშტელუნგის“ ან დროითი ეფექტის წარმოქმნა, ისევე როგორც მისი შეწყვეტა, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია სხვა ფიგურებზე შესაძლო ტრანსფერებისთვის. მას შემდეგ, რაც მთლიანად დავასრულეთ ამ პირველი მასალების ანალიზი (რომლებსაც განვსაზღვრავთ გლობალური ტერმინით „პირველი ექსპერიმენტი“), ახალ სუბიექტებზე ვაწარმოეთ ტრანსფერის შესწავლა. ოღონდაც, ამ კვლევაში ბუნებრივად იგულისხმებოდა ფორმირების პროცესის ახალი ცდები ამ ცდის პირებისთვის. ბუნებრივია, ჩაქრობის ანალიზზე აღარ შეიძლებოდა საუბარი: ამრიგად, ამ „მეორე ექსპერიმენტს“ პირველთან საერთო

[1] იხ. §3.

აქვს მხოლოდ „აინშტელუნგის“ ეფექტების წარმოქმნის საკითხთან დაკავშირებით მოძიებული ფაქტები.

მთლიანობაში (იმ სუბიექტების დაუთვლელად, რომლებიც წინასწარ ცდებში მონაწილეობდნენ), ჩვენს ექსპერიმენტებში მონაწილეობას იღებდა 32 ზრდასრული და 5-8 წლის 66 ბავშვი. მოხდა ფენომენის „ფორმირების“ შესწავლა ყველა ამ ინდივიდზე დაკვირვებით (პირველი და მეორე ექსპერიმენტი). დროითი ეფექტის „შეწყვეტას“ მხოლოდ 5-6 წლის 20 ბავშვზე, 6-7 წლის 22 ბავშვზე და 20 ზრდასრულზე დავაკვირდით; (ეს 62 ცდის პირი გამოკითხული იყო „პირველი ექსპერიმენტის ჩატარების დროს). რაც შეეხება იმავე ეფექტის „ტრანსფერს“, მისი გაანალიზება ხდებოდა 5-7 წლის 16 ბავშვზე (5-6 წლის 8 და 6-7 წლის 8 ბავშვი) და 12 ზრდასრულზე დაკვირვებისას (ეს 28 ცდის პირი გამოკითხული იყო „მეორე ექსპერიმენტის“ განმავლობაში).[1]

რაც შეეხება „ფორმირების“ფაზას, მეორე ექსპერიმენტის შედეგები ძირითადად ადასტურებს პირველი ექსპერიმენტის შედეგებს. მიუხედავად ამისა, საინტერესოდ მივიჩნიეთ მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა, სანამ ერთიან სურათად შევკრავდით. ამგვარად, მკითხველი შეძლებს იმსჯელოს იმ სიზუსტის ხარისხზე, რომელსაც შეგვიძლია მოველოდეთ, როდესაც ვიყენებთ მე-2 პარაგრაფში აღწერილ ტექნიკას და განსაკუთრებით, იმ განსხვავებათა ფარდობით (ანუ სტატისტიკურ) განზოგადებას, რომლებიც ბავშვსა და უფროსებს შორის აღმოვაჩინეთ, თუმცა კი, სიდიდე არ აღემატება 0,5 მმ-იან დაზუსტებას.

I. **წინასწარი ფაზა** - ამ პირველი ფაზის განმავლობაში ზოგადი შედეგი შედარებით სტაბილური იყო: თანმიმდევრული ექსპოზიციების დროს, ორ წრეს შორის განსხვავების შემჩნევის უნარი თანდათანობით უმჯობესდება. მაშინ, როდესაც დასაწყისში, სუბიექტები ჯერ კიდევ ვერ არჩევენ 2, 3 და ზოგჯერ 4 მმ-იან განსხვავებასაც კი, საბოლოოდ, უმრავლეს შემთხვევაში ისინი აღიქვამენ 1მმ-იან განსხვავებას (ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში, მხოლოდ 2მმ-ს).

სხვაობის დიფერენციალური ზღურბლის ეს თანდათანობითი გაუმჯობესება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა, პირველი ტაქისტოსკოპური ექსპოზიციისას წრის აღქმის შემდეგ, შემდგომი ჩვენებისას ადამიანი წინასწარ იმავე ფიგურას ელოდება და ფორმის ეს ანტიციპაცია მეტ საშუალებას აძლევს აღქმას, დაუახლოვდეს გაზომვას: ესეიგი, ზომების შესახებ უფრო სწრაფად გამოგვაქვს დასკვნა, რადგან ადაპტაციის მოსამზადებელი ფაზა ყოველ ჯერზე მოკლდება, სანამ საბოლოოდ ნულს გაუტოლდებოდეს. როგორც წესი, შემდგომში, პერცეპციების გამეორებასთან ერთად წარმოიშვება ერთგვარი გაუცნობიერებელი ვარჯიში, რომელიც უკვე მრავალჯერ ვახსენეთ ჩვენს წინა სტატიებში და რომელიც თავისთავად საინტე-

[1] ამასთან ერთად, ჩვენ გამოკითხვის სახით ჩავატარეთ „მეორე ექსპერიმენტი“ („აინშტელუნგის ფორმირება და გადატანა“). 7-დან 8 წლამდე ასაკის 8 ბავშვში, მაგრამ გამოკითხულთა მცირე რაოდენობის გამო არ შევიყვანთ ამ ცდის პირებს მთავარ ცხრილებში და მათ რეზულტატებს, (რომლებიც არ განსხვავდებოდა უფრო მცირეწლოვანი სუბიექტების შედეგებისგან,) ცალკე მივუთითებთ.

რესო ფენომენს წარმოადგენს: მიუხედავად იმისა, რომ ცდის პირმა არ იცის თავისი შეფასებების შედეგები და ამრიგად, თავისუფალია ცნობილი „ეფექტის კანონის“ გავლენისგან, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არეგულირებს კვლევას, თანდათანობით ის მაინც ახდენს თავისი შეფასებების შესწორებას კომპენსაციების ერთგვარი სპონტანური თამაშით, ანუ პერცეპტული მექანიზმის იმანენტური გაწონასწორებით. ამასთანავე, თუკი ყოველი პერცეპცია ეფუძნება ფიქსაციის რეალურ და შესაძლო წერტილებს შორის სავარაუდო ურთიერთობათა სისტემას, როგორც ვეცადეთ გვეჩვენებინა წინარე „კვლევაში“ (IV), ამ თანდათანობითი გაწონასწორების ბუნება იმთავითვე გასაგებია: აქ უბრალოდ, საუბარია შესაძლო მნიშვნელობათა უფრო ერთგვაროვან განაწილებაზე ცდომილების უფრო მაღალი რაოდენობის შესაბამისად, როგორც ხდება ხოლმე ნებისმიერ აზარტულ თამაშში.

მაგრამ ბავშვთან ამ მექანიზმს (რომლის არსებობასაც ცხადია, ამჩნევენ, თუმცა უმთავრესად ნაკლებად სწრაფად) ემატება სხვა სახის ფაქტორები, ინტელექტუალური და არა მხოლოდ პერცეპტული. თავიდან ვიფიქრეთ, რომ საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ სწრაფად დანახვაში გაგვევარჯიშებინა ცდის პირი, და რადგან არ ვკმაყოფილდებოდით გაუცნობიერებელი ვარჯიშით, რომელზეც უკვე იყო საუბარი, ჩვენ თვით პატარა ბავშვებსაც წავახალისებდით ხოლმე ყველა სახის სასარგებლო არგუმენტებით. მაგრამ შევამჩნიეთ, რომ ხშირად ჩვენს მიერ დადგენილ ძალიან სწრაფ გაუმჯობესებას სხვა მიზეზიც ჰქონდა და რომ შეგვეძლო ამისთვის უფრო უშუალო, პირდაპირი გზით მიგვეღწია. სუბიექტებს ვაჩვენეთ ბარათები ტაქისტოსკოპის გარეშე და ვთხოვეთ, რომ ეთქვათ, ეს ორი წრე ტოლი იყო თუ არა: შეიძლება ხშირად შევნიშნოთ, რომ ისინი, ვინც პასუხობს „ტოლია“ 2, 3 და 4 მმ-ით განსხვავებული ორი წრის შესახებ, მაშინაც კი, როცა ისინი {ეს წრეები} მაგიდაზე დევს, მიუხედავად ამისა, ყოველგვარი სიძნელის გარეშე მიგვითითებენ, როცა ამას მოვითხოვთ, თუ სად არის ნაჩვენებ წყვილებში უფრო პატარა წრე. აქ, სავარაუდოდ, საუბარია იმ გლობალურ დასკვნაზე, რომელსაც ახორციელებს ბავშვი, ან იმის გამო, რომ ფორმების თვისებრივი მსგავსება ზომებს შორის განსხვავებაზე ძლიერია, ან იმიტომ, რომ ეს განსხვავება არასაკმარისად ძლიერია საიმისოდ, რომ გაიმარჯვოს ზომებს შორის მსგავსებაზე, რომელიც თავიდან სინკრეტულად აღიქმება. ბავშვისთვის ეს „ერთი და იგივეა“ იმ კატეგორიათა ფარგლებში, რასაც ის თავისთვის აყალიბებს. ამრიგად, მან სპეციალური ძალისხმევის და მსჯელობის[1] შედეგად უნდა მიიღოს ის კრიტერიუმები, რომლებიც სჭირდება ზრდასრულ ადამიანს გაზომვისთვის და რომლებსაც ბავშვი არ ფლობს იმთავითვე. ის მათ შეიძენს იმპლიციტურად, რადგან ექსპერიმენტატორი მისგან სულ უფრო დახვეწილ, ზუსტ მსჯელობებს მოითხოვს. მაგრამ ამ უკანასკნელს აგრეთვე შეუძლია ბავშვს დაუწესოს სიზუსტის გარკვეული ნორმა, რომლის მიხედვითაც მან უნდა უზრუნველყოს პასუხების გაცემა. ოღონდ, თავისთავად ცხადია, რომ ამ

[1] მაგალითად, ბავშვი ყოველთვის განიცდის ბილატერული მსჯელობის მოთხოვნილებას („აქ უფრო პატარა, აქ უფრო დიდი“, ჟესტების გამოყენებით), იმის ნაცვლად, რომ დაკმაყოფილდეს ზრდასრულის უნილატერული მსჯელობით (მაგალითად, „მარჯვნივ უფრო პატარაა“).

სახის ინსტრუქცია მოცემულ ფენომენს მთლიანად ვერ გადაფარავს და ყოველთვის საჭიროა თანმიმდევრული ექსპოზიციები, რათა ცდის პირი დისკრიმინაციული მგრძნობელობის ზღვრამდე მივიყვანოთ.

ამრიგად, ვარჯიშის შემდეგ, ჩვენი სუბიექტების უმრავლესობამ აღიქვა 1მმ-იანი განსხვავება. ზოგიერთ ზრდასრულს ისიც კი ჰგონია, რომ აღიქვამს დაახლოებით 0,5 მმ-იან განსხვავებას. მაგრამ ზოგჯერ ორი მკაცრად ტოლი წრის შემთხვევაშიც კი წარმოიქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი არატოლია, მაშინ, როცა ცდის პირი მკაფიოდ აღიქვამს ობიექტურად არსებულ 1 მმ-იან განსხვავებას. არის თუ არა ეს ტაქისტოსკოპით გამოწვეული ფენომენი? თუ აქ უნდა დავინახოთ ვირტუალური კავშირების ჩარევა? ან უბრალოდ, სივრცითი შეცდომა?

II. **„აინშტელუნგის“ ფორმირების ფაზა** – 5-6 წლის 20 ბავშვზე, 6-7 წლის 22 ბავშვზე და 20 ზრდასრულ ადამიანზე, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა „პირველ ექსპერიმენტში“, დაკვირვების შედეგად ჩვენ შემდეგი რეზულტატები მივიღეთ. „აინშტელუნგი“ გაზომილია იმის მიხედვით, თუ რამდენია განსხვავება მილიმეტრებში 24 მმ-იან წრესა და უფრო პატარა წრეს შორის, რომელიც ამ 24 მმ-იანი წრის თანაბრად არის მიჩნეული, ოთხი თანმიმდევრული ფორმირებიდან თითოეულის შემდეგ. %-ში იგულისხმება, თუ რა პროცენტს შეადგენს ეს განსხვავება 24 მმ-იანი წრისათვის:

ცხრილი I.
ეფექტის საშუალო სიდიდეები „პირველი ექსპერიმენტის“ სუბიექტებთან:

ფორმირებები:	F1		F2		F3		F4	
საშუალო:	მმ	%	მმ	%	მმ	%	მმ	%
20 ზრდასრული:	1,0	4,2	1,6	6,7	2,5	10,4	2,8	11,7
22 ბავშვი 6-7 წწ.:	0,7	2,9	1,4	5,8	1,9	7,9	2,3	9,6
20 ბავშვი 5-6 წწ.:	0,5	2,1	1,1	4,6	1,5	6,2	2,0	8,3

ახლა წარმოგიდგენთ ამავე მეთოდით გამოთვლილ პარალელურ რეზულტატებს „მეორე ექსპერიმენტში“ მონაწილე სუბიექტებისთვის (12 ზრდასრული და 5-7 წლის 16 ბავშვი):

ცხრილი Ia.
ეფექტის საშუალო სიდიდეები „მეორე ექსპერიმენტის“ [1] სუბიექტებთან:

ფორმირებები:	F1		F2		F3		F4	
საშუალო:	მმ	%	მმ	%	მმ	%	მმ	%
12 ზრდასრული:	1,5	6,2	2,1	8,7	2,4	10,0	2,6	11,6
8 ბავშვი 6-7 წწ.:	0,8	3,3	1,2	5,0	1,7	7,1	1,7	7,1
8 ბავშვი 5-6 წწ.:	0,9	3,7	1,0	4,2	1,6	6,6	1,9	7,9

[1] რაც შეეხება 7-8 წლის ასაკის რვა ცდის პირს, მათ F1, F2, F3 და F4-ს მიანიჭეს შესაბამისი განსხვავებები: 1,0; 1,7; 1,6 და 1,6, ანუ იმავე სიდიდის ფარგლებში, როგორც 6-7 წლის სუბიექტებმა. მაგრამ იქნებ საქმე ეხება განვითარების შეფერხების მქონე ცდის პირებს?

ამრიგად, 1 და 2 ექსპერიმენტების ჯამური შედეგები 5-7 წლის ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის იძლევა შემდეგს:

ცხრილი II.

ეფექტის სიდიდე ყველა ცდის პირისთვის:

(მმ-ში მოცემულია განსხვავება 24 მმ-იან წრესა და უფრო პატარა წრეს შორის, რომელიც 24 მმ-ისა ჰგონიათ, ყოველი ფორმირების შემდეგ და % -ით გამოხატულია იგივე განსხვავება 24 მმ-იან წრესთან მიმართებაში.)

ფორმირებები:	F1		F2		F3		F4	
საშუალო:	მმ	%	მმ	%	მმ	%	მმ	%
32 ზრდასრული:	1,2	5,0	1,8	7,5	2,5	10,4	2,7	11,3
30 ბავშვი 6-7 წწ.:	0,7	2,9	1,4	5,8	1,8	7,5	2,2	9,2
28 ბავშვი 5-6 წწ.:	0,6	2,5	1,1	4,6	1,5	6,2	2,0	8,3
58 ბავშვი 5-7 წწ.:	0,7	2,9	1,2	5,0	1,7	7,1	2,1	8,7
მაქსიმალური:								
ზრდასრული:	2,5	10,4	4,0	16,7	4,0	16,7	4,0	16,7
ბავშვები 6-7წწ.:	2,0	8,3	3,0	12,5	3,5	14,6	4,0	16,7
ბავშვები 5-6 წწ.:	2,0	8,3	3,0	12,5	3,0	12,5	4,0	16,7
მინიმალური:								
ზრდასრული:	0		1,0	4,2	1,0	4,2	1,0	4,2
ბავშვები 6-7წწ.:	0		0		0		1,0	4,2
ბავშვები 5-6 წწ.:	0		0		0		0,5	2,1

ამგვარად, ვხედავთ, რომ არსებობს მუდმივი განსხვავება ბავშვებსა და ზრდასრულებს შორის, ეს უკანასკნელნი ყოველი ახალი ფორმირების (სამი პრეზენტაციისგან შემდგარი სერია) შემდეგ „აინშტელუნგის“ უფრო ძლიერ ეფექტს გამოხატავენ, ვიდრე პირველნი. ეს განსხვავება ბავშვებსა და ზრდასრულებს შორის აისახა მომდევნო ორ ექსპერიმენტში, ისევე, როგორც საბოლოო საშუალოებში. რაც შეეხება ბავშვების ორ ჯგუფს, 6-7 წლის სუბიექტებში ოდნავ უფრო ძლიერი ეფექტი აღინიშნება, ვიდრე, 5-6 წლისებში. ეს განსხვავება არ იყო შემჩნეული მეორე ექსპერიმენტში (მართალია, აქ უფრო ნაკლები იყოს ცდის მონაწილე) მაგრამ ის საკმაოდ მკაფიოდაა გამოხატული II ცხრილის საერთო საშუალოებში.

ამ ფენომენის რაოდენობრივი ასპექტი, ე.ი. მისი ფორმირების შედარებითი სიჩქარე რომ თვალსაჩინო გავხადოთ, ჩვენ შევეცადეთ, გამოგვეთვალა საბოლოო ეფექტის რამდენ პროცენტს შეადგენდა მომდევნო ეფექტები. აი, როგორი შედეგი მივიღეთ:

ცხრილი III.
მომდევნო ეფექტები საბოლოო ეფექტის (F4) %-ით
(ფრჩხილებში მოცემულია იმ შემთხვევების პროცენტები, როდესაც საბოლოო ეფექტი ერთ-ერთ წინა ეფექტზე უფრო დაბალია.)

ფორმირებები:	F1	F2	F3	F4
32 ზრდასრული:	42	66	92	100 (6)
30 ბავშვი 6-7 წწ.	34	63	85	100 (13)
28 ბავშვი 5-6 წწ.	36	58	77	100 (7)
58 ბავშვი 5-7 წწ.	35	61	81	100 (10)

შეგვიძლია შევამჩნიოთ, რომ ეფექტის ფორმირების შედარებითი სიჩქარის თვალსაზრისით, ზრდასრული ადამიანი კვლავ უსწრებს ბავშვს. განსხვავება მცირეა (5% და 11%-ს შორის), მაგრამ მუდმივი. ზრდასრულების მრუდი მესამე ფორმირების შემდეგ იხრება, მაშინ როდესაც ჩანს, რომ ბავშვის მრუდი უნდა იზრდებოდეს (ყოველ შემთხვევაში საშუალოდ, რადგან 4 მმ-ზე უფრო მაღალი ეფექტისთვის ჯერაც არ მიგვიღწევია). ინდივიდუალურ ტემპს/ სიჩქარეს რაც შეეხება, ის ძალიან ცვალებადია როგორც ბავშვთან, ისევე უფროსთან. შესაძლებელია ყველანაირი კომბინაცია, რა თქმა უნდა, იმ ჯგუფის ფარგლებში, რომელსაც ვაკვირდებით: ეფექტები შეიძლება იყოს ნელი ან სწრაფი, უცაბედი ან თანდათანობითი, მუდმივი ან ცვალებადი. ნებისმიერ შემთხვევაში, რეგრესიის შემთხვევები მცირერიცხოვანია (6% უფროსებთან და 10% ბავშვებთან). აქედან გამომდინარე, *მაქსიმუმი* და *მინიმუმი* მხოლოდ მცირე განსხვავებას გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე უფრო მცირეს, ვიდრე შეგვეძლო გვევარაუდა.

ამგვარად, უფლება გვაქვს, დავსვათ კითხვა: იქნებ, ბავშვსა და ზრდასრულს შორის უმთავრესი განსხვავება უფრო ფორმირების სიჩქარეს უკავშირდება, ვიდრე თავად ეფექტის სიდიდეს? ამრიგად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ თუ ძლიერ გავზრდით ექსპოზიციების რაოდენობას, ბავშვიც მიაღწევდა ეფექტის იმავე ხარისხს, რასაც უფროსი (ტრანსფერის ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ ეფექტმა, შესაძლოა ოდნავ განაგრძოს ზრდა). სიჩქარესთან დაკავშირებული ინტერპრეტაცია თანხმობაში მოდის შემდეგ ცხრილთან, რომელიც შემთხვევების პროცენტს ასახავს:

ცხრილი III a.
იმ შემთხვევების პროცენტი, რომლებმაც მიაღწიეს მათი მეოთხე ეფექტის სიდიდეს პირველი სამი აღბეჭდვიდან თითოეულის შემდეგ:

ფორმირებები:	F1	F2	F3
32 ზრდასრული:	3	31	62
30 ბავშვი 6-7 წწ.	7	30	57
28 ბავშვი 5-6 წწ.	7	28	32
58 ბავშვი 5-7 წწ.	7	29	45

ცხრილი IV.
იმ შემთხვევების პროცენტი, რომლებშიც გამოვლინდა ეფექტი ოთხივე სერიის ფორმირებებისათვის:

ფორმირებები:	F1	F2	F3	F4
32 ზრდასრული:	88	97	100	100
30 ბავშვი 6-7 წწ.	70	87	97	100
28 ბავშვი 5-6 წწ.	57	86	96	100
58 ბავშვი 5-7 წწ.	64	86	97	100

ამრიგად, „აინშტელუნგის“ მიმართ ყველა ცდის პირი მგრძნობიარეა, რადგან ყველასთან, გამონაკლისის გარეშე, გამოვლინდა ეფექტი მეოთხე სერიის შემდეგ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ უფროსების შედეგებში ილუზიის ზრდა გარკვეულწილად განაპირობებს აინშტელუნგის ჩამოყალიბების სიჩქარეებს შორის სხვაობებს. მთლიანობაში, ეს შედეგები არა მხოლოდ შეესაბამება უზნაძის მიერ მიღებულ შედეგებს, არამედ აჭარბებს კიდეც მას, იმ გაგებით, რომ მესამე ფორმირების შემდეგ ჩვენ არ შეგვიმჩნევია არც იდენტიფიკაციები, არც ნულოვანი ეფექტები (გარდა ბავშვების 3%-ის შემთხვევაში). უფროსების შემთხვევაში, პირველი ფორმირების შემდეგ, არც ერთი იდენტიფიკაცია არ იყო შემჩნეული, 6-7 წლის ბავშვებისთვის მივაკვლიეთ ასეთ ორ შემთხვევას, ხოლო 5-6 წლის ბავშვებისთვის - მხოლოდ ერთს. ეს სამივე შემთხვევა შესაძლოა გამომდინარეობს მსუბუქი სისტემატური სივრცობრივი შეცდომიდან (= უფრო დიდს მარჯვნივ, + 0,5-ით), რომელიც I ფაზაში შევამჩნიეთ, ყოველგვარი „აინშტელუნგისგან“ დამოუკიდებლად.

III. **ჩაქრობის ფაზა** - ბავშვებსა და ზრდასრულებს შორის არსებული სხვაობა, რაც აქამდე განხილულ ფაქტებში აისახა, მხოლოდ ეფექტის ფორმირებას არ ეხება: ის აგრეთვე მის ჩაქრობის პროცესზეც გადადის, რომლის ანალიზიც ჩვენგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

თავდაპირველად წარმოგიდგენთ იმ საშუალოებს, რომლებიც მივიღეთ ეფექტის ნარჩენი (e) სიდიდის გაზომვისას ათი ფორმირებიდან თითოეულის შემთხვევაში. ეს პრეზენტაციები მოსდევდა მეოთხე ფორმირების შემდეგ ჩატარებულ ბოლო ცდას. სხვაობა 24 მმ-იან წრესა და უფრო პატარა წრეს შორის, რომელიც მისი სიდიდისა ჰგონიათ, მოცემულია მმ-ში. გარდა ამისა, დახრილი შრიფტით დაბეჭდილ სტრიქონებში ეს სხვაობა 24 მმ-ის პროცენტების სახით არის გამოსახული:

ცხრილი V.
ნარჩენი ეფექტის სიდიდე (e) თითოეული იმ ფორმირებისათვის, რომელიც მეოთხე ფორმირების (F4) შემდეგ ჩატარებულ უკანასკნელ ცდას მოსდევს:

		e 1	e 2	e 3	e 4	e 5	e 6	e 7	e 8	e 9	e 10
20 ზრდასრული:	{მმ 24-ის %	2,15	1,9	1,6	1,5	1,1	1,0	0,8	0,6	0,55	0,5
		9,0	7,9	6,7	6,2	4,6	4,2	3,3	2,5	2,3	2,1
22 ბავშვი 6-7 წწ.:	{მმ 24-ის %	1,5	1,1	1,0	0,9	0,8	0,7	0,6	0,5	0,5	0,4
		6,2	4,6	4,2	3,7	3,3	2,9	2,5	2,1	2,1	1,7
20 ბავშვი 5-6 წწ.:	{მმ 24-ის %	1,6	1,3	1,2	1,2	1,1	0,95	0,9	0,95	0,9	1,0
		6,7	5,4	5,0	5,0	4,6	3,9	3,7	3,9	3,7	4,2

მაგრამ იმისათვის, რომ ჩაქრობის სიჩქარეზე ვიმსჯელოთ, არაა საკმარისი ვიცოდეთ ეფექტის ეს აბსოლუტური შემცირებები, რომლებიც მმ-ით ან 24 მმ-ის პროცენტებითაა გამოხატული: რაც მთავარია, საჭიროა შევამოწმოთ/გავზომოთ მეოთხე ფორმირებისას მიღებულ ინდივიდუალურ ეფექტებთან დაკავშირებული ჩაქრობა. აი, სწორედ ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

ცხრილი VI.
ნარჩენი ეფექტი (e), გამოსახული მეოთხე ეფექტის (F4) ინდივიდუალური სიდიდის პროცენტებში:

პრეზენტაციები:	e 1	e 2	e 3	e 4	e 5	e 6	e 7	e 8	e 9	e 10
20 ზრდასრული:	76	67	56	52	42	35	30	24	20	13
22 ბავშვი 6-7 წწ.	63	46	38	34	31	26	21	19	20	16
20 ბავშვი 5-6 წწ.	81	66	65	63	64	55	52	52	50	53

და აგრეთვე, ინფორმაციის შევსების მიზნით საჭიროა გავზომოთ სრული ჩაქრობის (= დაბრუნება ეფექტების არარსებობასთან) და ჩაქრობის არარსებობის (=F4-ის ეფექტის მაქსიმუმზე დარჩენილები) ინდივიდუალური შემთხვევების პროცენტი:

ცხრილი VII.
სრული ჩაქრობის (e=0) და ჩაქრობის არარსებობის (e=F4) შემთხვევების პროცენტი:

პრეზენტაციები:		e 1	e 2	e 3	e 4	e 5	e 6	e 7	e 8	e 9	e 10
20 ზრდასრული:	{ e = 0:	0	5	10	0	0	20	25	30	40	45
	e = F4 e = F4	30	20	5	5	0	0	0	0	0	0
22 ბავშვი 6-7 წწ.:	{ e = 0:	5	23	32	41	41	41	50	55	59	68
	e = F4	20	20	5	5	0	0	0	0	0	0
20 ბავშვი 5-6 წწ.:	{ e = 0:	0	10	0	5	5	10	15	10	15	10
	e = F4	50	40	30	30	35	25	25	20	15	20

ჩვენ აგრეთვე ვამჩნევთ საგრძნობ განსხვავებებს სამ სხვადასხვა ასაკს შორის და ეს მჭიდრო კავშირშია ეფექტის ფორმირების ამსახველ მრუდებთან (იხილე სურ. 1 და 2).

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ ძირითადად ჩაქრობა თანდათანობით ხორციელდება. ზოგიერთი ინდივიდის შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩაქრობა საშუალოზე ნელა ან სწრაფად ხდება, როგორც ამას გვიჩვენებს ცხრილი VII. ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება აგრეთვე გარკვეული რხევა, თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ ამაზე, როგორც ზოგად წესზე. მაგრამ ინდივიდუალური შემთხვევების უმრავლესობა იმის მსგავს ჩაქრობის მრუდს წარმოგვიდგენს, როგორც მათი ასაკის საშუალოს შეესაბამება.

სურ. 1. „აინშტელუნგის“ საშუალო სიდიდეები ფორმირების ეფექტისა (F) და ჩაქრობის ნარჩენი ეფექტისთვის (e) (ცხრილი V)

სურ.2. „აინშტელუნგის“ საშუალო სიდიდეები F4-ის %-ში, ფორმირების ეფექტისთვის (F) და ჩაქრობის ნარჩენი ეფექტისთვის (e) (ცხრილი VI).




Fig. 1. Grandeurs moyennes de l'« Einstellung » pour l'effet de formation (F) (Tab. I) et l'effet résiduel d'extinction (e) (Tab. V).




Fig. 2. Grandeurs moyennes de l'« Einstellung » en % de F 4 pour l'effet de formation (F) (Tab. III) et l'effet résiduel d'extinction (e) (Tab. VI).

გარდა ამისა, ეს ასაკობრივი საშუალოები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვით ჩაქრობის სიჩქარეც მნიშვნელოვნად იცვლება. რომ შევადაროთ ზრდასრულები 5-6 წლის ბავშვებს, იმთავითვე ვნახავთ, რამდენად უფრო სწრაფია ჩაქრობა პირველ შემთხვევაში: F4 ეფექტის (e1) 76%-დან 13%-მდე დადის (e10), მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში მხოლოდ 81%-დან (e1) 53%-მდე ჩამოდის (e10). ამას გარდა, ზრდასრულების 45%-ის შემთხვევაში ჩაქრობა სრულია მეათე პრეზენტაციაზე, მაშინ, როდესაც ის სრულია მხოლოდ პატარების 10%-ის შემთხვევაში. და ბოლოს, მეხუთე პრეზენტაციის შემდეგ ყველა ზრდასრული ამჟღავნებს ნაწილობრივ ჩაქრობას, მაშინ, როდესაც მეათე პრეზენტაციაზე პატარების 20% ჯერაც არავითარ ჩაქრობას არ ამჟღავნებს.

ამგვარად, 5-6 წლის ბავშვების მრუდი მიგვანიშნებს ერთგვარ დაჟინებულობაზე, რომელიც, გარდა ამისა, კავშირშია ყველა იმ ანალოგიურ ფაქტთან, რომელიც ამ ასაკში იჩენს თავს. ეს ფენომენი, რომელიც ჩაქრობის ტემპის მეშვეობით გამოიკვეთა, ფორმირების მრუდზე გადატანის შემთხვევაში, საშუალებას მოგვცემდა, აგვეხსნა მისი ჩამორჩენა ზრდასრულის მრუდთან მიმართებაში.

რაც შეეხება 6-7 წლის ბავშვების მრუდს, ეს ცდის პირები თავიდან გვიჩვენებენ სწრაფ ვარდნას, იმაზე სწრაფსაც კი, ვიდრე უფროსებთან ვხედავთ, მაგრამ ეს უფრო მაღალი სიჩქარე შეეხება მხოლოდ F4-ის ეფექტის დაახლოებით ორ მესამედს, მაშინ როდესაც მესამედი ნელა ქრება, უფროსებთან შედარებით ყოველთვის უფრო დაბალი სიჩქარით: ეს უკანასკნელნი საბოლოოდ სჯობნიან და ეფექტის 13%-ს აღწევენ, მაშინ, როდესაც 6-7 წლის ბავშვები ჯერ კიდევ 16%-ზე არიან. ამრიგად, ყველაფერი ისე ხდება, თითქოს

ეფექტის რაღაც ნაწილი მათთან საკმაო გამძლეობას ამჟღავნებდეს, მაშინ, როდესაც ზედა ორი მესამედი გამოხატავდა ერთგვარ ძლიერ ანტიციპაციას (უფროსის მსგავსად), მაგრამ ის ლაბილურია და უფრო მალე, გაზომვის მომენტში ქრება.

თავი რომ დავანებოთ ამ ციფრების ამსახველ დეტალს და ასიმპტოტურ სიჩქარეს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მრუდებს მას შემდეგ, რაც მეათე პრეზენტაციას გაცდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასაკთან ერთად ერთდროულად იმატებს ჩაქრობის სიჩქარე (შეადარეთ ზრდასრულები და 5-6 წწ.) და ერთგვაროვნება (შეადარეთ ზრდასრულები და 6-7 წწ.) და მისი თვისებრივი დახასიათება სავსებით აკმაყოფილებს ჩვენი ინტერპრეტაციის საჭიროებებს.[1]

IV. **ტრანსფერი** - „აინშტელუნგის“ ფორმირებისა და ჩაქრობის ფაზების განმავლობაში მიღებული შედეგების ამ ანალიზს დაუყოვნებლივ უნდა დავურთოთ ჩვენს მიერ შემჩნეული ტრანსფერები სხვა ფიგურებზე, რადგან ეს ტრანსფერები, ნაცვლად იმისა, რომ გაართულოს აქამდე არსებული მასალების საერთო სურათი, მას გარკვეულწილად, ამარტივებს. მართლაც, აღმოჩნდა, რომ ახალ ფიგურებზე გამოწვეული ტრანსფერები საკმაოდ ზუსტად შეესაბამებოდა თვით ანტიციპაციის უნარს, ანუ წინარე გვერდებზე აღწერილ „აინშტელუნგის“ ფორმირების უნარს.

გავიხსენოთ, რომ (იხილე პარაგრაფი 2, IV) „მეორე ექსპერიმენტის“ 12 ზრდასრულსა და 16 ბავშვზე (მათგან 8 – 5-6 წწ. და 8 – 6-7 წწ.) მეოთხე ფორმირების (F4) ეფექტის უკანასკნელი გაზომვის შემდეგ, ცდის პირებს თანმიმდევრობით ვაჩვენეთ: (1) ფუძეს დაყრდნობილი ორი ერთნაირი კვადრატი; (2) წვეროს დაყრდნობილი ორი ერთნაირი კვადრატი; (3) ორი ახალი წრე (რომლებიც პირველი ექსპერიმენტის წრეების იდენტურია); (4) იგივე ორი წრე, ოღონდ გაშავებული. (1), (2) და (4) პრეზენტაციები იყენებენ ტრანსფერებს სხვა ფიგურებზე, მაშინ როდესაც (3) წარმოადგენს ჩვეული წრეების ახალ პრეზენტაციას. გარდა ამისა, გავიხსენოთ, რომ ამ ოთხი ფიგურიდან თითოეული ნაჩვენებია წრეების ახალი ფორმირების შემდეგ (20+28); ასე რომ, პრეზენტაცია (3) შეესაბამება მეშვიდე ფორმირებას (F7), და ა.შ.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ასეთი იყო. ჩვენ მათ ჯერ აბსოლუტურ სიდიდეებში წარმოვადგენთ (მმ-ებში განსხვავება წარმოდგენილ ფიგურასა და მეორე ფიგურას შორის, რომელიც მის თანაბრად აღიქმება), ამას ემატება გამიჯნულ სვეტებში მოცემული სხვაობანი F4-ისა და F8-ის განსხვავებულ სიდიდეებს შორის:

[1] 7-8 წლის ასაკის რვავე ცდის პირმა მიანიჭა F4-F8-ს შესაბამისად მნიშვნელობები 1,6; 0,8; 1,1; 1,8 და 1,7, რაც ადასტურებს შთაბეჭდილებას სხვებთან შედარებით {მათი} მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენის შესახებ.

ცხრილი VIII.
ეფექტის ტრანსფერი ახალ ფიგურებზე (აბსოლუტურ სიდიდეებში)

ფორმირებები:	F4	F5	F6	F7	F8	
12 ზრდასრული:	2,6	1,4	1,9	2,6	2,14	
8 ბავშვი 6-7 წწ.	1,7	1,1	1,6	2,2	1,6	
8 ბავშვი 5-6 წწ.	1,9	1,4	1,3	2,1	1,8	
16 ბავშვი 5-7 წწ.	1,78	1,28	1,37	2,12	1,73	
	5-4	5-7	8-7	6-5	6-7	7-4
12 ზრდასრული:	-1,2	-1,3	-0.64	+0.56	-0.8	+0.25
8 ბავშვი 6-7 წწ.	-0,56	-1,06	-0.1	+0,50	-0,60	+0,56
8 ბავშვი 5-6 წწ.	-0,44	-0.62	-0,25	-0,1	-0,80	+0,19

იმთავითვე ვამჩნევთ, რომ აბსოლუტური სიდიდის გათვალისწინებით ბავშვებში ტრანსფერი უფრო მცირეა, ვიდრე ზრდასრულებში, ანალოგიურად, როგორც ეს თავად ეფექტის ფორმირების ცდებში აღინიშნებოდა. ამიტომ, ზრდასრულებისა და ბავშვების ტრანსფერების შესადარებლად აუცილებელია ისინი ერთ ცხრილში ჩავსვათ, როგორც ეფექტი F4 (მეოთხე ფორმირება), ასევე ეფექტი F7 (მეშვიდე ფორმირება და ერთნაირი წრეების პრეზენტაცია). აი, შედეგი:

ცხრილი IX.
ტრანსფერი F4-ის %

ფორმირებები:		F4	F5	F6	F7	F8
12 ზრდასრული:	F4	100	54	73	100	82
	F7		54	73	100	82
16 ბავშვი 5-6 წწ.:	F4	100	72	77	119	97
	F7		60	64	100	81

ამ IX ცხრილიდან ორი მნიშვნელოვანი ფაქტი გამომდინარეობს: **1)** ახალი ეფექტის (F7) გაზომვამ ჩვეულ წრეებზე, მეშვიდე ფორმირების დროს, ზრდასრულებსა და ბავშვებში განსხვავებული შედეგები მოგვცა. პირველ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, F4-სა და F7-ს შორის ცვლილება არ არსებობს: ვიღებთ 2,6-ს, როგორც მეშვიდე, ისე მეოთხე ფორმირების შემთხვევაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ *მაქსიმალურმა* ეფექტმა ერთგვარ ზედა ზღვარს მიაღწია. 5-დან 7 წლამდე ბავშვებში, პირიქით, ეფექტი გაზრდას აგრძელებს მეოთხე ფორმირების შემდეგ, რამეთუ F4-სა და F7-ს შორის 1,78-დან 2,12-მდე აღწევს. მიუხედავად ამისა, ეფექტის სიდიდე 2,12 ჯერ კიდევ შორსაა იქიდან, რომ მიაღწიოს 2,6-ის სიდიდეს, რომელიც ზრდასრულს ეკუთვნის. ამრიგად, ნათელია, რომ როგორც ჩვენ ვვარაუდობდით I -სა და II-ს ქვეშ, აქ შემოდის

ფორმირების განსხვავებული სიჩქარე ზრდასრულისა და ბავშვის შემთხვევაში. გარდა ამისა, ამ უკანასკნელის უფრო დაბალი სიჩქარე არ გამორიცხავს, შესაძლოა, გარდაუვალ განსხვავებას საბოლოო ეფექტის საშუალო სიდიდისგან.

თუმცაღა, ინდივიდუალურ სიხშირეებს თუ განვიხილავთ, მეორეს მხრივ, F4- სა და F7-ს შორის შევამჩნევთ, რომ:

- ზრდასრულების 40% ამჟღავნებს ეფექტის მომატებას ბავშვების 42%-ისაგან განსხვავებით
- ზრდასრულების 50%-ის ეფექტი უცვლელი რჩება ბავშვების 33%-ისაგან განსხვავებით
- ზრდასრულების 10% ამჟღავნებს ეფექტის კლებას ბავშვების 25%-ისაგან განსხვავებით.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ არჩეული ფორმირების ნორმა მხოლოდ საშუალოდ არის მისაღები. მეორეს მხრივ, ჩვენ თვითნებურად გავაგრძელეთ 20+28 მმ-ის წყვილის სამჯერ ჩვენება მეოთხე ფორმირების შემდეგ. ვფიქრობდით, რომ ისინი {პრეზენტაციები} აუცილებელი იყო, რომ შეგვენარჩუნებინა F4 ეფექტის სიდიდე, მაგრამ ჩვენი შედეგები გვიჩვენებს, რომ ორი პრეზენტაცია საკმარისი იქნებოდა და შესაძლებელს გახდიდა ტრანსფერის ზომების საუკეთესო შედარებას. მიღებული რეზულტატი ამის გამო ნაკლებად საინტერესო როდია, რადგან ის გვიჩვენებს, რომ ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში არსებობს ეფექტის გაზრდის, მაგრამ აგრეთვე მისი შემცირების შესაძლებლობა, F4-ის შემდეგ. ისღა დაგვრჩებოდა გასაგები, მოახდინა თუ არა ზეგავლენა კვადრატებზე განხორციელებულმა გაზომვამ ამ შემდგომ ეფექტზე F7, თუ საქმე ეხება ეფექტს სუფთა სახით: ის ექსპერიმენტი, რომელსაც ჩვენ აქ აღვწერთ, ბუნებრივია, არ გვაძლევს საშუალებას, ამ კითხვას ვუპასუხოთ.

2) რაც შეეხება ტრანსფერებს, როგორც ასეთს, ექსპერიმენტის შედეგი ძალიან ნათლად გვიჩვენებს, რომ თუ ისინი უფრო მაღალია ზრდასრულებთან, ვიდრე ბავშვებთან, ეს „აინშტელუნგის“ ეფექტის ფორმირების პროპორციულია: თუ გამოვითვლით ტრანსფერის ეფექტებს F4-თან მიმართებაში („აინშტელუნგის“ ეფექტი მეოთხე ფორმირებისას), სამივე ტრანსფერი F5, F6 და F8 ბავშვთან უფრო მაღალია, რადგან თვით „აინშტელუნგმა“ გააგრძელა გაზრდა F4-სა და F7-ს შორის, მაგრამ თუ გამოვითვლით ტრანსფერების იმავე ეფექტებს F5, F6 და F8, F7-თან მიმართებაში („აინშტელუნგის“ ეფექტი მეშვიდე ფორმირებისას), ისინი იგივეა უფროსებთან და ბავშვებთან (54 და 60 F5-თვის, 73 და 64 F6 და 82 და 81 F8-თვის). შეიძლება წინასწარ განვჭვრიტოთ ამ რეზულტატის მნიშვნელობა ანტიციპაციის ეფექტების ზოგადი ინტერპრეტაციისთვის.

§4. განსახილველი პროცესების ინტერპრეტაციის მცდელობა, ცნობილ ფაქტორებთან მათი შედარების გზით

მესამე პარაგრაფში გადმოცემული შედეგების ინტერპრეტაციისთვის, შეიძლება, ორ მეთოდს შორის არჩევანის გაკეთება მოგვიხდეს. პირველი მათგანის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არსებული ფაქტები პერცეფციის რომელიმე უკვე არსებულ თეორიას დავუკავშიროთ (ასოციაციონიზმი, გეშტალტი, „პრო-

ლეპსისი“ ანუ მოტორული ანტიციპაცია და ა.შ.) და ვეცადოთ, შესაძლებლობის ფარგლებში გამოვიყენოთ მიღებული ფსიქოლოგიური მონაცემები და ფსიქონევროლოგიურ სფეროში ჩვენი ცოდნის ხარვეზები შევავსოთ ისეთი მოსახერხებელი, მაგრამ ცოტა არ იყოს, ელასტიური ცნებების დახმარებით, როგორიც არის სწორედაც „აინშტელუნგი“. მეორე მეთოდი კი ისაა, რომელსაც აქამდე ვიყენებდით: ზუსტი, კონკრეტული ენით აღვწეროთ მოცემული მიმართებები, მაგრამ არ გავცდეთ მათ ფარგლებს ისეთი ჰიპოთეზების წამოყენებით, რომლებიც უცხოა თავად ამ სისტემისათვის. ამრიგად, ამ ფენომენის ახსნა დარჩებოდა წმინდად ფსიქოლოგიურ ნიადაგზე. ის შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ ერთმანეთთან დააკავშიროს ეს მიმართებები წმინდად ანალიტიკური დედუქციით (თვისებრივი განტოლებების დედუქცია ერთი მეორესთან მიმართებაში). ან კიდევ, და რაც მთავარია, ის სივრცობრივი იქნება, იმ აზრით, რომ აღქმული მიმართებების მთელ სისტემას დაიყვანს პერცეპტულ „სივრცემდე“, რომლის დეფორმაციები (ცენტრაციები) და კორექციები (დეცენტრაციები) ასახსნელ ფენომენს უბრალოდ სუბიექტურ გეომეტრიაში გადაიტანენ (სუბიექტური გეომეტრიის ენაზე თარგმნიან). მაგრამ, ორივე შემთხვევაში, ეს ახსნა კვლავაც იმანენტური იქნება მიმართებების (როგორც ასეთის) სისტემისთვის, (რაც, აქვე გავიმეორებთ, შესაძლოა უკეთ ამზადებს ფიზიოლოგიასთან თანამშრომლობის გზებს, ვიდრე მხოლოდ სასაუბრო ენით აღწერილი მიზეზ-შედეგობრივი სტრუქტურების მოქმედება.

თუმცა, „აინშტელუნგის“ შემთხვევაში, ამ მეორე მეთოდის გამოყენებისას შეიძლება გაჩნდეს გარკვეული უხერხულობა. I-IX ცხრილებში მოცემულ რეზულტატებს თვისებრივ მიმართებათა სისტემის მეშვეობით თუ ვთარგმნით, ამით უბრალოდ ხომ არ შევცვლით გაზომვების სიცხადეს ტავტოლოგიით, და განა უფრო ნათელი არ იქნება თუ დავასკვნით, არც მეტი, არც ნაკლები, „აინშტელუნგი“ იმიტომ გვაქვს, რომ ნერვული სისტემა ინახავს მანამდე აღქმული ფიგურების კვალს და წინასწარ განჭვრეტს შემდეგ ფიგურებს სწორედ ამ კვალის გამოისობით. მოვნათლოთ ეს კვალი „თანავარსკვლავედად“ ან „გეშტალტად“ და ეს ანტიციპაცია {წინასწარ განჭვრეტა} „აინშტელუნგად“ ან „პროლეპსისად“ და დაველოდოთ ნევროლოგების დახმარებას, რათა მათ ნათელი მოჰფინონ დეტალებს. უეჭველია, და თანაც დღესვე რომ იყოს საჭირო არჩევანის გაკეთება, სიამოვნებით ვილაპარაკებდით ფონ ვაიცზეკერის და აუერშპერგის ენით, რომელიც ძალიან კარგად შეიძლება მოერგოს ჩვენს დაკვირვებებს. ოღონდაც, უნდა გავითვალისწინოთ ის გადამწყვეტი ფაქტი, რომ „აინშტელუნგი“, ვგონებ, ძლიერდება გონებრივ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან ერთად და ამრიგად, ანტიციპაცია უნდა უკავშირდებოდეს, სულ ცოტა, შორიდან მაინც, ინტელექტის ოპერაციებისა თუ ინტუიტიური პრეოპერაციების მექანიზმს. ამრიგად, აზრს მოკლებული როდია და თანაც ეს თვით იმ მშვენიერ სინთეზს ემსახურება, რომლის მაგალითიც ამ ავტორებმა შემოგვთავაზეს, რომ საგნები ყურადღებით გავაანალიზოთ და დავრჩეთ ერთგულნი იმ გამოკვლევის მეთოდისა, რომელიც ერთდროულად ფენომენოლოგიური და გენეტიკურია და ამავდროულად პასიური ფორმულირების შემცველი.

ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა ვეცადოთ, რომ უბრალოდ, შევადაროთ მოცემული შედეგები იმ რეზულტატებს, რომლებმაც მიგვიყვანა დელბოფის ილუზიის გენეტიკურ ანალიზამდე და სიბრტყისა და სიღრმის შედარებამდე. ანუ საუბარია იმაზე, რომ ვუპასუხოთ §1-ში დასმულ კითხვას - კონ-

ტრასტის ეფექტი დროში „პირველად“ თუ „მეორად“ ილუზიას წარმოადგენს? და თუ სახეზე გვაქვს ნაწარმოები ილუზია, მოვიფიქროთ, როგორ შეიძლება მისი დაშლა ორ ფაქტორად, რომელთაგანაც პირველი უშუალოა, ხოლო მეორე შეგვიძლია შევადაროთ რეგულაციებს?

ამ კითხვებზე შეგვეძლო შემდეგნაირად გვეპასუხა: რადგან კონტრასტის ეფექტი დროში თანმიმდევრულ პერცეპციებში ზრდასრულთან უფრო ძლიერია, ვიდრე ბავშვთან (ცხრილები II – IV) და აგრეთვე ამ ეფექტის ჩაქრობაც უფრო გამოხატული და უფრო სწრაფია ზრდასრულთან (ცხრილები V-VII), საკმარისი იქნებოდა, რომ განგვეხილა ეს ჩაქრობა როგორც რეგულაცია, რომლის მექანიზმიც იქნებოდა დაკავშირებული ილუზიის წარმოებასთან, რათა ის (ეს ილუზია) წარმოებულ ილუზიებს მიაკუთვნონ. მაგრამ, მაშინ როგორ გამოვადიფერენციროთ მოცემული ფაქტორები და როგორ შევხედოთ ფორმირებისა და ჩაქრობის ამ ორ პროცესს, როგორც ერთმანეთის მხარდამჭერს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე პირველის გაგრძელებაა და არა მხოლოდ მისი ანტაგონისტური მოვლენა?

ვიმოქმედოთ თანმიმდევრულად და ნაჩქარევი დასკვნა რომ არ გამოვიტანოთ, გამოვყოთ სულ მცირე, შემდეგი ოთხი ფაქტორი: (1) კონტრასტის ეფექტი, (2) თანმიმდევრობის ეფექტი, (3) ჩაქრობის ეფექტი და (4) ტრანსფერის ეფექტები.

I. კონტრასტის ეფექტი, როგორც ასეთი, თანმიმდევრობის ფაქტორისაგან ბუნებრივად დამოუკიდებელია. ამგვარად, I-IV ცხრილების შედეგებს შეიძლება სამი სხვადასხვანაირი ახსნა მოეძებნოს: *(ა)* ჩვენ შეგვეძლო იმის დაშვება, რომ ზრდასრული ბავშვზე უფრო მგრძნობიარეა კონტრასტისადმი როგორც 28 და 20 მმ, ასევე 20 და 24 მმ დიამეტრის წრეების შემთხვევაში და გარდა ამისა, ის უფრო დიდხანს ინარჩუნებს წინა პერცეპციების ზემოქმედებას შემდგომ პერცეპციებზე. აქედან გამომდინარეობს ორი კუმულატიური მიზეზი იმისათვის, რომ ილუზია გაიზარდოს ასაკთან ერთად. *(ბ)* მაგრამ სწორედ ასევე, სრული საფუძველი გვქონდა, გვევარაუდა წინააღმდეგობა ამ ორ ფაქტორს შორის. ბავშვი უფრო მგრძნობიარეა კონტრასტის მიმართ, მაგრამ, ზრდასრულთან შედარებით, ის უფრო ხანმოკლე დროის მანძილზე ინარჩუნებს წინა პერცეპციების ზემოქმედებას მომდევნოებზე: ამ შემთხვევაში 20 და 28 მმ-ის წრეები რამდენიმე წამით მეტხანს იმოქმედებს 24+24-წრეებზე ზრდასრულთან, ვიდრე ბავშვთან. ამრიგად, ეს მეორე ინტერპრეტაცია აგრეთვე ხსნის უზნაძის ილუზიის ზრდას ასაკთან ერთად. *(გ)* ცხადია, ასევე შეგვეძლო ზრდასრულისთვის მიგვეწერა ბავშვთან შედარებით უფრო მაღალი მგრძნობელობა კონტრასტის მიმართ და დროითი თანმიმდევრობის გათვალისწინების ნაკლებად მნიშვნელოვანი უნარი. მაგრამ მაშინ საჭირო იქნება ვაღიაროთ, რომ ზრდასრულის მგრძნობელობა კონტრასტის მიმართ გაცილებით აღემატება ბავშვისას, იმდენად, რომ მიუხედავად იმისა, რომ დროში ნაკლებად ინახება, რამდენიმე წამის შემდეგ ის კვლავ უფრო მეტია ბავშვისაზე[1]. *(დ)* უნდა გამოვრიცხოთ მხოლოდ ის ჰიპოთეზა,

[1] იმისთვის, რომ სხვადასხვა ჰიპოთეზას შორის გავაკეთოთ არჩევანი, შეგვეძლო, შეგვესწავლა ერთმანეთთან შედარებული ზრდასრულისა და ბავშვის ეფექტების შენარჩუნების ხანგრძლივობა, მაგრამ ექსპერიმენტის ასეთი გაგრძელება შეზღუდავდა მას ფორმირებისას და გამორიცხავდა ჩაქრობის გაზომვას. ამასთან ერთად

რომ ასაკის მატებასთან ერთად, კონტრასტის ეფექტი და სუქსცესიური ეფექტი სუსტდება, რადგან ამ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, როგორ ხდება ილუზიის გაზრდა ზრდასრულებთან.

გარდა ამისა, სამი შესაძლო ინტერპრეტაციიდან (a), (b) და (c), მესამე (c) უსათუოდ გამოსარიცხია, რადგან ბავშვთა და ზრდასრულთა ილუზიების შედარებით კვლევაში (დელბოფი და მიულერ-ლაიერი) არაფერი გვაძლევს ნებას დავუშვათ, რომ ზრდასრულთან კონტრასტის ეფექტი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ბავშვთან, პირიქით, სივრცული თანადროულობის სფეროში, დღემდე ყველაფერი იმაზე მიგვითითებდა, რომ დეფორმაციები კლებულობს ასაკის მატებასთან ერთად, იქნება ეს კონტრასტები თუ იდენტიფიკაციები. მაგალითად, დელბოფის ილუზიაში, სადაც წრეების შედარება, გარკვეულად, უზნაძის ილუზიაში გამოყენებული წრეების შედარების მსგავსია, უარყოფითი ილუზია, ან კონცენტრული წრეების დაშორებით შექმნილი კონტრასტის ილუზია გაცილებით უფრო ძლიერია 5-სა და 7 წელს შორის, ვიდრე 11-12 წლის ასაკში. ანდა ზრდასრულებთან. ზრდასრულების უარყოფითი ილუზია მუდმივად ორჯერ მცირეც კი არის, ვიდრე უარყოფითი ილუზიები 5-7 წლის ასაკში (-2,7 : -6,7-ის შესაბამისად, -0,6 : 6,0-ის შესაბამისად და ა.შ.) მაშინ, როდესაც დადებითი ილუზია აღწევს 5-7 წლიანების მაჩვენებლის თითქმის ორ მესამედს. ასეთ პირობებში გვგონია, რომ არამხოლოდ (გ) ვარიანტია გამორიცხული, არამედ შეიძლება ისიც კი ვამტკიცოთ, რომ (ბ) ვარიანტი ბევრად უფრო შესაძლებელია, ვიდრე (ა) ვარიანტი: ამგვარად, კონტრასტის ეფექტი, დროში თანმიმდევრული მოქმედებისგან განსხვავებით, ზრდასრულთან უფრო სუსტი იქნება, ვიდრე ბავშვთან, მაგრამ რადგან დროში თანმიმდევრული მოქმედება უფრო ძლიერი ან უფრო ხანგრძლივია პირველ მათგანთან შედარებით, ილუზია, რომელიც კონტრასტული თანმიმდევრობის შედეგია, გაიზრდება მთლიანობაში, ასაკის მომატებასთან ერთად. დროში თანმიმდევრული ილუზიების მდგრადობა, აუცილებლად არ უნდა ნიშნავდეს, რომ ცდის პირი პასიური რჩება და ამდენად არ უნდა გამორიცხავდეს უფრო სწრაფ ჩაქრობას.

მაგრამ სხვა რა მიზეზი გვაქვს, გარდა (გ) ვარიანტის გამორიცხვისა, რომ ზრდასრულს მივაწეროთ თანმიმდევრობის უფრო ძლიერი ეფექტი? სწორედ ამას განვიხილავთ II თავში.

II. სუქცესიური ეფექტი - ყველაზე უფრო დელიკატური საკითხი, რომელსაც წარმოშობს მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, უთუოდ მდგომარეობს შემდეგში: რა მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ წინა 28+20 მმ-ის ფიგურის პერცეპციების ზემოქმედებას მომდევნო, 24+24 წრეების პერცეპციაზე. ვეცადოთ, ჰიპოთეზის წილი მინიმუმამდე დავიყვანოთ და შევინარჩუნოთ მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც ამ ფაქტებში შეძლებისდაგვარად პირდაპირაა მოცემული. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა მივიჩნიოთ, რომ „აინშტელუნგის“ ან

წარმოიშვებოდა სხვა ტექნიკური პრობლემები: მაგალითად, როგორ შევავსოთ დრო ორ პრეზენტაციას შორის? ჩვენს მიერ ამჟამად გამოყენებულ ტექნიკაში მთელი ძალისხმევა, პირიქით, სისწრაფეზეა მიმართული: ჩვენი ამოცანაა, რომ გაზომვა, რომელიც ყოველ ექსპოზიციას მოჰყვება, ისეთი ოსტატობითა და სიმტკიცით შევასრულოთ, რომ ამაზე *მინიმალური* დრო დავხარჯოთ.

„ანტიციპაციის“ ცნებები, შესაძლოა, უკვე წარმოადგენენ ინტერპრეტაციებს, რომელთა შინაარსიც, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შევიწროვდეს.

უპირველეს ყოვლისა, შეუძლია თუ არა სუბიექტების ინტროსპექციას რაიმე დახმარების გაწევა? მაგალითად, ერთი ბავშვი ამტკიცებს, რომ უეცრად და სპონტანურად „სამი წრე“ დაინახა 24+24 -ის პრეზენტაციის დროს. მეორე გვარწმუნებს, რომ მის წინაშე ოთხი წრეა. ერთი ზრდასრული (ქალბატონი), F1-ის შემდეგ, წინა შთაბეჭდილების შენარჩუნებაზე საუბრობს; მეორეჯერ (F2) ეს ცდის პირი მარჯვნივ და მარცხნივ მონაცვლეობით ხედავს უფრო პატარას და უფრო დიდს. ბოლოს, F4-ის შემდეგ, ის მარცხნივ მდებარე წრეს ხედავს, როგორც „ერთდროულად უფრო პატარასა და უფრო დიდს.“ მეორე ზრდასრული ცდის პირი ზოგჯერ ხედავს, რომ ერთი წრე მეორეშია ჩასმული. მესამე ზრდასრული ჩაქრობის ფაზაში განიცდის „დიდი წრის (28 მმ) შენარჩუნების სტაბილურ ფიზიკურ შთაბეჭდილებას." მეოთხე ზრდასრული მომდევნო გამოსახულებებს წარმოგვიდგენს.

ეს რამდენიმე შემთხვევა საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ზოგჯერ შეიძლება შენარჩუნდეს წინარე შთაბეჭდილებებთან დაკავშირებული კვალი, მაგრამ თავი რომ დავანებოთ მომდევნო გამოსახულებების შემთხვევებს, რომლებიც კერძო შემთხვევაშიც კი უდიდეს გამონაკლისს შეადგენს და ამდენად, არავითარ როლს არ თამაშობს თანმიმდევრობის ეფექტის მთავარ მექანიზმში, მაშინ რას ამტკიცებს ამ კვალის მოვლენის არსებობა? დღეს ყველამ იცის, რომ წარმოდგენა არ არის შესუსტებული აღქმა: ის დამოუკიდებელი რეკონსტრუქციაა, რომლის დანიშნულება სიმბოლიზირება კი არაა, არც მეტი, არც ნაკლები, შენარჩუნებაა. ჩვენი რამოდენიმე ცდის პირის {მიერ აღქმულ} ამ ტიპის წარმოდგენებს (და სწორედ ამის გამოა, რომ ისინი წესს კი არა, გამონაკლისს წარმოადგენს) ძალიან კარგად შეუძლია გახდეს ან სიმბოლური ანდა იმ ფუძემდებელი პროცესის ამსახველი გამოხატულება, რომელიც ({ეს პროცესი}) თავად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. ამრიგად, უფრო შორს და უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ, ვიდრე ამის საშუალებას წარმოდგენა იძლევა.

მიუხედავად ამისა, მეორე რიგში, სულ ერთია, მოცემულია თუ არა წარმოდგენის სახით, საკმარისია, დავიმოწმოთ მხოლოდ (20+28) შთაბეჭდილების დამახსოვრება, რათა ავხსნათ (24+24) დეფორმაცია. ამაში ჩვენ ვგულისხმობთ (სიტყვა „დამახსოვრება“ გულდასაწყვეტად მრავალმნიშვნელოვანი ტერმინია), რომ შეიძლება ეს იყოს, არც მეტი, არც ნაკლები, წინარე შთაბეჭდილების პასიური შენარჩუნება და ავტომატური ზემოქმედება ახალ შთაბეჭდილებებზე. როგორიც არ უნდა იყოს ასეთი შენარჩუნების მექანიზმი, მისი ხასიათის უმთავრესი თავისებურება - და ეს იქნება მეორე ვარიანტის არსი - უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ის არ უნდა შეიცავდეს კომპოზიციის, ტრანსპოზიციის და ანტიციპაციის არც ერთ მოქმედებას, არამედ უნდა დაიყვანებოდეს უბრალო შენახვაზე. ამ შემთხვევაში, საკმარისია ვთქვათ, რომ ზრდასრულ ადამიანს აქვს უკეთესი მეხსიერება, ვიდრე ბავშვს, რათა ავხსნათ უზნაძის ეფექტის ზრდა ასაკთან ერთად (მიუხედევად უმცირესი მგრძნობელობისა კონსტრასტში). ოღონდ, ეს გამარტივებული გამოსავალი წარმოქმნის ორ მნიშვნელოვან სირთულეს.

პირველი დამოკიდებულია §3-ის მონაცემებზე: თუ „აინშტელუნგი'' ძლიერია ზრდასრულ ადამიანში, მისი ჩაქრობაც ასევე მაღალი იქნება ამპლიტუდასა და

სისწრაფეში. მეხსიერების ენაზე გადმოტანილი ეს ორმაგი მტკიცებულება მიდის იმ დასკვნამდე, რომ ზრდასრულ ადამიანთან მოგონებები უკეთესია, მაგრამ სწრაფად ქრება! ეს რამდენადმე მოგვაგონებს დიდი მოთმინების ცნობილ პარადოქსს („მოთმინების დიდი უნარი მაქვს, თუმცა მას მალე ვკარგავ''), რაც, შეიძლება „აბსურდულ ფრაზად'' მიიჩნიონ ინტელექტის ტესტების მოყვარულებმა.

მეორე სირთულე თავს იჩენს მაშინ, თუ წინამდებარე შედეგებს შევადარებთ ჩვენი წინა კვლევების შედეგებს მეხსიერების შედარების შესახებ. გვახსოვს, რომ ორი ობიექტის სიმაღლის შედარებისას (8-დან 12 სმ-მდე), რომლებიც ერთმანეთისაგან 3 მ მანძილზე იყვნენ დაშორებულნი, ჩვენს ცდის პირებს ვთხოვდით, (რომელთა ნაწილი ამ ექსპერიმენტებშიც მონაწილეობდა, განესაზღვრათ სიმაღლე ხუთ წამში და შემდეგ ის შეედარებინათ სხვა ობიექტის სიმაღლისთვის, რომელიც 5 წამის განმავლობაში იყო ექსპონირებული. ამგვარად, ზრდასრულები, რასაც ვერ ვიტყვით 5-7 წლის ბავშვებზე, როგორც ამას გვაფიქრებინებდა მათი შესაბამისი რეაქციები უზნაძის ეფექტზე, აღმოჩნდნენ საკმაოდ დაბალ დონეზე: მათი ზღურბლი, 5 წამიანი დაყოვნების შემდეგ, იზრდება მნიშვნელოვანი ოდენობით, მაშინ, როდესაც ბავშვების ზღურბლი თითქმის უმჯობესდება 3 მეტრის მანძილზე ამ მოკლეშუალედიან შედარებისას. ამგვარად, დასაბუთების გარეშე ვერ შევძლებთ, რომ ზრდასრულს მივანიჭოთ უზნაძის წრეების უკეთესი დამახსოვრების უნარი, როდესაც ვერტიკალური ხაზების ექსპერიმენტებში უფრო სუსტ დამახსოვრების უნარს ავლენდნენ, ვიდრე 5-7 წლის ბავშვები. ორივე შემთხვევაში, ერთადერთი შესადარებელი რამ არის ზღურბლის გაქრობა, რომელიც ფიქსირდება ზოგჯერ F1 და F4-ს შორის, მაგრამ ვინაიდან ეს ხდება ორივე მიმართულებით, შეუძლებელია მზარდი სისტემატური ცდომილების ახსნა.

ამგვარად, თუ არ შეგვიძლია მოვიშველიოთ არც წარმოდგენა და არც მარტივი დამახსოვრება (რეტენცია), მაშინ აუცილებლად უნდა მივმართოთ რომელიმე უფრო აქტიურ პროცესს: მექანიზმს, რომელიც ერთსა და იმავე დროს შეეხება უფრო ხანგრძლივ დამახსოვრებას და უფრო სწრაფ ჩაქრობას მოწმობს. მართლაც, საჭიროა უფრო მობილური აქტივობა და საფუძვლიანი ახსნა იმისა, რატომ არ შეიძლება იყოს საკმარისი მეხსიერებაზე დამყარებული განმარტებები. „აინშტელუნგის“ და „ანტიციპაციის“ ცნებების დამსახურებაა სწორედ ამგვარი აქტივობის დაუყოვნებლივ ჩართვა: უბრალოდ შესაძლოა, ეს ცნებები ზედმეტად „ძლიერია“ *მინიმალური* ინტერპრეტაციის საჭიროებებისთვის და არ არის დადასტურებული, რომ რეალურად *ყველა* ცდის პირი ელოდება (20+28) დანახვას, მაშინ, როდესაც ისინი ახდენენ (24+24) წრეების დეფორმაციას. ცხადია, ზოგიერთი ამას ვარაუდობს, მაგრამ შეიძლება საქმე გვქონდეს განსაკუთრებულ შემთხვევასთან (ესეც ასახსნელია, მაგრამ როგორც განსაკუთრებული შემთხვევა) და არა როგორც ზოგადი პროცესი. მოკლედ, ჩვენ რაც გვჭირდება, ეს არის მექანიზმი, რომელიც ჩართავს უფრო მეტ აქტივობას, ვიდრე მარტივი დამახსოვრებაა, მაგრამ რომელიც შეიძლება იყოს უფრო ზოგადი და ნაკლებად ძლიერი, ვიდრე ეგრეთწოდებული ანტიციპაცია.

გამოსავალი ძალიან შორს არ უნდა ვეძებოთ. მის დასაზუსტებლად საკმარისია, რომ მარტივად დავაკვირდეთ წინააღმდეგობას, რომელიც მყისიერად ჩნდება დროში თანამიმდევრობის ეფექტსა და მანძილზე შედარების ან მეხსიერების პროცესებს შორის, ვთანხმდებით რა იმაზე, რომ ზოგიერთ შემ-

თხვევაში საქმე ეხება დროით დისტანციას და ზოგ შემთხვევაში კი სივრცით დისტანციას. მართლაც, შესაძლებელია იგივე ამოცანის დასმა 3 მეტრიან დისტანციაზე ობიექტების შედარებისას მხოლოდ უზნაძის ეფექტში: ეს მეხსიერებაა თუ სხვა რამ, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ერთი სიდიდე გადავიტანოთ მეორეზე და რომელიც ხსნის იმ დეფორმაციებს, რომლებმაც შეიძლება გადატანის პროცესის დროს იჩინოს თავი? კითხვა, რომელსაც ჩვენ ვუპასუხებთ, პასიური და აქტიური მეხსიერებისაგან განსხვავებულია, ესაა „გადატანა“. გადატანა არის (ქცევა): ეს არის აქტი, რომლის მეშვეობითაც მზერა, ერთი საგნიდან მეორეზე გადასვლის დროს, პირველის თვისებებს (სიდიდე, ფორმა და ა.შ.) განავრცობს მეორეზე. თუ ,,გადატანილი'' საგნის სიდიდე გადაფასებულია, გადატანა გამოიწვევს შედარებული საგნის როგორც ზომაში უფრო მცირეს შეფასებას, მაგრამ ორმაგი გადატანის ან შედარების ეფექტია ამგვარი დეფორმაციების და ა.შ. გასწორების საშუალება, მთლიანად ან ნაწილობრივ. ამასთან, ჩვენი ამჟამინდელი ამოცანის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადატანისთვის დამახასიათებელი სისტემატიური ცდომილებები მცირდება მაშინ, როდესაც ერთვება დროის ინტერვალი. ამგვარად, მეხსიერების შედარებამ ერთსა და იმავე დროს შეიძლება გამოიწვიოს ზღვარის გაზრდა (მეხსიერების ეფექტი) და სისტემატიური ცდომილების შემცირება შედარებაში მონაწილე ფაქტორების გაწონასწორებით.

თუ ჩვენ ახლა ვეცდებით, რომ თანმიმდევრობის ეფექტები გავიგოთ დროში ,,გადატანის'' ენაზე, აღმოვჩნდებით შესაძლო განზოგადების გზაზე, რომლის საფრთხეც ნამდვილად არის ის, რომ ის დარჩეს ვერბალური, მაგრამ რომლის მიზანიც აღემატება რისკს, თუ მას შეუძლია მიგვიყვანოს შესაბამისი საერთო მექანიზმის გასაგებად.

პირველ რიგში აღვნიშნოთ, რომ სივრცეში გადატანა ხორციელდება ეტაპობრივად. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება ერთი მთლიანობის შედარებას მეორესთან, ეს აღარ არის მხოლოდ სიდიდე ან განცალკევებული თვისება, რომლის გადატანაც ხდება სხვებთან შესადარებლად. ეს არის შეფარდებების სისტემა, რომელიც არის ,,გადატანილი'' როგორც სისტემა: მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ საქმე გვაქვს ,,ტრანსპოზიციასთან'', თუ გამოვიყენებთ გეშტალტთეორიის ლექსიკონს.[1]

ახლა დავუშვათ, რომ საუბარია გადატანაზე დროში და არა მხოლოდ სივრცეში, ანუ ,,დროსთან დაკავშირებული გადატანა'' წინასწარ აღქმულის თვისებების გადატანით ამჟამად მოცემულ საგნებზე. ეს ძალიან ბუნებრივია, ვინაიდან ,,სივრცითი გადატანა'', რომელიც ხდება ერთდროულად თანაარსებულ საგნებს შორის, უკვე დროის ინტერვალს იყენებს იმავე ფაქტიდან გამომდინარე, რომ ეს საგნები არ არის აღქმული ან ცენტრირებული ერთდროულად. ამავდროულად იარსებებს ,, დროითი ტრანსპოზიციები''.

კითხვა მდგომარეობს იმაში, რომ ვიცოდეთ, ეს დროში გადატანა და ტრანსპოზიციები გულისხმობს თუ არა აქტივობას, როგორც ეს ხდება სივრცის შემთხვევაში; და რა არის ეს აქტივობა, რომელიც შედარებულია ოპერაციულ

[1] ჩვენ რამდენადმე შევზღუდავთ ამ ტერმინის გამოყენებას და მას შემოვინახავთ კომპლექსური ფორმის გადატანისას (მაგალითად, ორი მარჯვენა) მარტივ ფორმისგან განსხვავებით (მაგალითად, ერთი მარჯვენა) და მას დავაკავშირებთ რეალური ან ვირტუალური გადატანის არსებობასთან.

განზოგადებასთან, რაც წარმოადგენს ტრანსპოზიციას შექცევადი ინტელექტიდან და არა მხოლოდ შეუქცევადი აღქმიდან.

ამგვარად, ეს კითხვა უბრალო შეკითხვა არ არის, არამედ უმნიშვნელოვანესია აღქმის თეორიისთვის. განზოგადება ან გონებრივი ტრანსპოზიცია მდგომარეობს მართლაც წინა სქემის (სენსო-მოტორული სქემა, ან ცნება, ურთიერთობა, წინადადება, და ა.შ.) *ახლებურად გამოყენებაში*, რომელიც ხორციელდება შემდეგი შინაარსით. გეშტალტის თეორიის თანახმად, პირიქით, ტრანსპოზიცია არის *რე-ფორმაციის,* წონასწორობისა და ორგანიზაციის, ყოველთვის მასთან მიმსგავსებული სტრუქტურის იგივე პირობების შესაბამისად, მაგრამ რომელიც ხელახლა ყალიბდება ახალი მონაცემებით. პირველ შემთხვევაში, *შინაარსისგან შედარებით დამოუკიდებელი ფორმა გვაქვს,* რომელიც მას [შინაარსს] დაერთვის გარედან. მეორე შემთხვევაში, *ფორმა და შინაარსი ყოველთვის მხოლოდ ერთ მთლიანობას ქმნის* და ვიღებთ მარტივ დამთხვევას ან მსგავსებას თანმიმდევრულ სტრუქტურებს შორის, მსგავსად წყლის ნელი დინების ზედაპირისა, რომელიც, ყოველი ახალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, თანდათან მიიღებს იგივე ჰორიზონტალურ სტრუქტურას. უფრო სწორად, პირველ შემთხვევაში, ეს არის იგივე პერმანენტული სტრუქტურა, რომელიც განუწყვეტლივ ეხება ახალ შინაარსებს, და მეორე შემთხვევაში ესენია ახალი ნიმუშები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ რაღაც მსგავსება ყოველთვის არსებობს მათ შორის, რომლებიც ყალიბდებიან და შემდეგ ხელახლა ყალიბდებიან ერთი და იმავე სტრუქტურის მიხედვით.

საკითხის ამგვარად დასმისას ჩვენ ვადგენთ, რომ დროში ტრანსპოზიცია, რომელიც ხორციელდება უზნაძის ეფექტში, განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით ორი მიზეზის გამო. პირველი, რომ ეს არის არა სწორი (ისევე, როგორც შეუძლიათ ამოიცნონ სხვა ტონალობაში გადატანილი მელოდია, ან ფიგურა, რომლის ზომებიც უმნიშვნელოდ არის გადიდებული), არამედ მცდარი ან წარმოსახვითი ტრანსპოზიცია, რომელიც ექვემდებარება შესწორებას: ამგვარად, ესაა პირველი შემთხვევა, რომლის მექანიზმის გაანალიზებაც უნდა მოხდეს. მეორე შემთხვევა არის ის, რომ ტრანსპოზიცია და მისი შესწორება (,,აინშტელუნგის'' მიღება და მისი გაქრობა) მიუთითებს უფრო დიდ მობილობაზე და უფრო დიდ შექცევადობაზე ზრდასრულ ადამიანში, ვიდრე ბავშვში, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი იმ აქტივობის წესისათვის, რომელიც ამ მექანიზმისთვის არის დამახასიათებელი.

პირველი პუნქტი მეტისმეტად ინსტრუქციული ხასიათისაა. როგორც ამას ფორმის თეორია აღნიშნავს, თუ ტრანსპოზიცია იყო მხოლოდ სტრუქტურა, რომელიც შედგენილია ერთი და იმავე კანონების თანახმად, ფიზიკური და ქიმიური წონასწორობის მსგავსად და რომელიც თავს იჩენს მაშინვე, როგორც კი ზოგიერთი პროპორცია არის მოცემული (მაგ. მასების მოქმედების კანონი), ვერ ვხვდებით, რატომ უნდა იყოს ყალბი ტრანსპოზიციები. ამგვარად, მთელი ეს განუხორციელებელი ,,აინშტელუნგი'' წარმოადგენს სწორედ მცდარ ტრანსპოზიციას და აქ, როგორც ყველგან, შეცდომა არის ცდის პირის მოქმედების ნიშანი. მეტიც, ყველანაირ ტრანსპოზიციას თან ახლავს ცნობის (აღიარების) მნიშვნელობა: თუნდაც იმპლიციტური და ჩამოუყალიბებელი იყოს, ყოველთვის წარმოიქმნება შეგრძნება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით ,,ერთი და იგივეა'' ან ,,ეს ის არ არის''. ასე რომ, ვერ დავივიწყებთ ,,რე-ფორმაციის'' როლს, რომელსაც ახლახანს ვახსენებდით, ტრანსპოზიცია ამასთანავე ყოველ-

თვის მოიცავს *ხელშემწყობ აქტივობას,* წინამდებარე ფორმას, რომელიც ეხება მომდევნო მონაცემს და, ამგვარად, ემსგავსება მას. სენსორულ ტრანსპოზიციას, საკუთრივ აღქმასა და ოპერაციულ განზოგადებას შორის არსებობს შუამავალი და სწორედ ამიტომ დროითი გადატანა და ტრანსპოზიცია, რომელიც ხორციელდება უზნაძის ეფექტში, პრეოპერაციულ აქტივობებად უნდა მივიჩნოთ.

სწორედ აქ იძენს მეორე პუნქტი მთელ თავის მნიშვნელობას. ორი წრის სამჯერ აღქმის შემდეგ (20+28) ცდის პირს გადააქვს ეს სტრუქტურა მთლიანად ორივე წრეზე (24+24), საიდანაც გამომდინარეობს მარჯვენა წრის ნაკლებად შეფასება (სავარაუდოდ მარცხენა მხარის წრის ზედმეტად შეფასების გამო). მაშ ასე, ასეთია წარმოსახვითი ან მცდარი ტრანსპოზიცია, რომელსაც უზნაძის ეფექტი წარმოადგენს. ამგვარად, გონებრივ განვითარებასთან ერთად ამ ტრანსპოზიციის სიხშირე მატულობს: ის უფრო ძლიერი ჩანს ზრდასრულებში, ვიდრე 5-7 წლის ბავშვებში და რა თქმა უნდა, თავის თავში (ე.ი. ტრანსპოზიციისგან დამოუკიდებლად), ზოგადი წესის თანახმად, კონტრასტის ეფექტი მცირდება ასაკთან ერთად! ეს პარადოქსი აუხსნელი დარჩებოდა, თუ მცდარი ტრანსპოზიცია იქნებოდა მხოლოდ რაღაც წარმოსახვა, ყველა იმათ მსგავსად, რომელთა ევოლუციაც მიუთითებს სისუსტეზე გონებრივი განვითარების პროცესში. მაგრამ თუ უზნაძის ეფექტი, მაშინაც კი, როდესაც არ არის გაცნობიერებული ანტიციპაცია (ე.ი.,,აინშტელუნგი''), ემყარება ტრანსპოზიციას დროში; და თუ ეს ტრანსპოზიცია უნდა შევადაროთ დროში გადატანას ან შედარებას, და თუ ის ახორციელებს ხელშემწყობ აქტივობას, რომლის გაგრძელებაც არის ოპერაციული განზოგადება, მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ეფექტის ინტენსივობა იზრდება გონებრივ განვითარებასთან ერთად: მარტივად, ეს ნიშნავს, რომ დროში ტრანსპოზიცია ვითარდება ინტელექტთან თანხვედრაში[1], იმიტომ, რომ ის წარმოქმნის პრე-ოპერაციულ მობილობას, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს თვითონ ოპერაციულ მობილობას. მაშინ გასაგებია, თუ რა მხრივ შეიძლება უზნაძის ეფექტის შედარება ,,წარმოებულ ილუზიებთან'': კონტრასტი, როგორც ასეთი, წარმოშობს მხოლოდ ,,სიმულტანურ ილუზიებს'', მაგრამ გადატანილი კონტრასტი ან კონტრასტი, რომელიც გამომდინარეობს ტრანსპოზიციისგან, არის კომპლექსური ან ,,წარმოშობილი'' ეფექტი, იმიტომ, რომ ხდება

---

[1] სხვა ნიშნებთან ერთად ,,აინშტელუნგის'' ნათესაური კავშირის ნიშანი ინტელექტთან, ან აქტიურ და თითქმის განზრახულ სწავლებასთან, არის მისი დამოკიდებულება ინტერესისა და ყურადღების ან უინტერესობისა და დაღლილობის ფაქტორებზე. გასაკვირია, მაგალითად, იმის დადგენა, რომ უზნაძის ტექნიკის ათივე თანმიმდევრული პრეზენტაციით ვაღწევთ უმცირეს ეფექტს, ვიდრე ჩვენი სამი პრეზენტაციით. თუ საქმე შეეხებოდა პასიურ ჩაწერას, შედეგი იქნებოდა საწინააღმდეგო, მაშინ, როდესაც ყველაფერი ხდება ისე, თითქოს ძალიან ხშირი პრეზენტაციების დროს, ანტიციპაცია სუსტდება უინტერესობისა და დაღლილობის გამო. ბავშვებში ათივე პრეზენტაცია იწვევდა სიცილს ან უარყოფით დამოკიდებულებას, როგორც ყველა ჯერზე, როდესაც თავს აბეზრებენ ცდის პირს!

სხვა მხრივ, ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ზრდასრული აჩვენებს ბავშვების შედეგების იდენტურ შედეგებს, და პირიქით, არ მოდის წინააღმდეგობაში ანტიციპაციის შესაძლებლობასა (უნარსა) და განვითარებას შორის არსებულ საშუალო შეფარდებასთან: აქ, ისევე როგორც ყველგან, არის ინტერფერენცია დონისა და შესაძლებლობების საკითხებს შორის (ნახატი, და ა.შ.) და, ამ სფეროში, ისევე როგორც სხვა სფეროებში, არსებობს ნელი და სწრაფი ტიპები და ა.შ. და ა.შ.

სიმულტანური ეფექტის შერევა იმ მექანიზმთან, რომელიც მოგვაგონებს რეგულაციას თავისი შექცევადი მობილობით.

ამას მივყავართ იქამდე, რომ უნდა განვიხილოთ შექცევადობის კოეფიციენტი, რომელიც დროითი ტრანსპოზიციის მექანიზმისთვის არის დამახასიათებელი.

თუ წინამდებარე მსჯელობა ზუსტია, უზნაძის ეფექტის მატება ასაკთან ერთად უნდა განხორციელდეს პროგრესის პარალელურად შექცევადობის თვალსაზრისით, ვინაიდან ეს ნიშნავს ხელშემწყობი აქტივობის გაზრდას, რომელიც მიმართულია ოპერაციული განზოგადებისკენ. შეიძლება თუ არა, რომ ამით აიხსნას ზრდასრულებისათვის დამახასიათებელი ჩაქრობის უფრო მაღალი სისწრაფე, ჩაქრობა და ზოგადად, რა კავშირი არსებობს უზნაძის ეფექტის შეძენასა და მის ჩაქრობას შორის: რეალურად, საქმე ეხება თუ არა მიმართებას დროებით ტრანსპოზიციასა და მის კორექციას შორის? ამ შემთხვევაში, ჩაქრობა იქნებოდა მცდარი ტრანსპოზიციის კომპენსაცია ან რეგულაცია და საერთო პროცესი, ესე იგი, მისი ორი ფაზის ერთიანობაში, შეიძლებოდა შეგვედარებინა იმასთან, რასაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ოპერაცია წარმოადგენს; ან, ჩაქრობა ურთიერთდაპირისპირებული ფაქტორების შედეგია, რომელსაც არ აქვს კავშირი თვითონ ტრანსპოზიციასთან? ახლა სწორედ ამის განხილვის დროა.

III. ჩაქრობის ეფექტი - ამოვიდეთ იმ ჰიპოთეზიდან, რომ უზნაძის ეფექტის ჩაქრობას არა აქვს კავშირი მის ფორმირებასთან. საქმე უნდა გვქონდეს უბრალოდ კორექციასთან, ან სუფთა ეგზოგენური წარმოშობის კონტროლთან: წინა სტრუქტურის (20+28) შემდეგ ფიგურაზე (24+24) ტრანსპოზიციით, ცდის პირი თავდაპირველად კონტრასტის გამო ხედავს, რომ მარჯვენა წრე 24 მმ-ზე ნაკლებია. მაგრამ, მეოთხე ეტაპის ფორმირების შემდეგ (F4), მას აჩვენებენ მხოლოდ წრეებს (24+24) ისევე, როგორც მეზობელ წრეებს, რომელიც ნარჩენ ეფექტს ზომავდა: უფრო პატარა წრეების ობიექტური სტრუქტურა ახდენს ზეწოლას პერცეპციულ მექანიზმზე, რის შემდეგაც ტრანსპოზიციის თანდათანობითი კლება და აღქმა ერთმანეთს უახლოვდება და ჩამოდის 24 მმ-ზე. ამგვარად, მარტივად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთდროულად წარმოდგენილია ორი ფაქტორი: ერთის მხრივ, ტრანსპოზიცია (20+28) და ობიექტური ქმედება (24+24) და, მეორეს მხრივ, მეზობელი წრეები. ამგვარად, ტრანსპოზიციის შესწორება (კორექცია) ან მოჩვენებითი ეფექტის გაქრობა მდგომარეობს მეორე ფაქტორის პირველ ფაქტორზე თანდათანობით გამარჯვებაში.

ცხადია, რომ ეს ყველაფერი სწორია. მაგრამ არანაკლებ ნათელია ისიც, რომ ამგვარი განმარტება არასრულია, მითუმეტეს, რომ დამატებით არ ხდება აღქმითი რეგულაციის შიდა ან ენდოგენური მექანიზმის გამოყენება. მართლაც, რატომ ხდება გაქრობა უფრო სწრაფად ზრდასრულ ადამიანში, მაშინ, როდესაც სწორედ დროითი ტრანსპოზიცია უფრო ძლიერია მასში? იმიტომ, ხომ არა, რომ ბავშვი უფრო ხანგრძლივად რჩება კონტრასტის ეფექტის ქვეშ? მაგრამ მაშინ 5- 6 წლის ბავშვი შეიძლება ტრანსპოზიციამ გაიტაცოს და უზნაძის ეფექტი იყოს *მაქსიმალური*. ეს იმიტომ, რომ ზრდასრული არის უფრო ,,ობიექტური'' ან, როგორც გეშტალტისტები იტყოდნენ, უფრო ,,ანალიტიკური''? მაშინ მისი ანალიტიკური ობიექტურობა შესაძლოა უმალ დაუპირისპირდეს ტრანსპოზიციას. რაც არ უნდა ვთქვათ, რჩება ის ძირითადი ეფექტი, რომ ზრდასრულში ცდომი-

ლება უფრო დიდია, მაგრამ მალე სწორდება, და რომ პატარებში ცდომილება უფრო მცირეა, მაგრამ უფრო მყარი და ხანგრძლივი.

ამგვარად, რჩება მხოლოდ ერთი მიდგომა საკითხების ინტერპრეტაციისთვის: დროით ტრანსპოზიციას, პრეოპერაციული მობილობის, ესე იგი, მისი აქტივობის ხასიათის და არა ავტომატური (წარმოსახვის) კრისტალიზაციის შესაბამისად, ობიექტურ მონაცემებთან წინააღმდეგობის გაჩენის შემთხვევაში ახასიათებს უკან დახევის შესაძლებლობა (ერთსა და იმავე დროს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით): იმგვარად, რომ, როცა მოძრაობა სრულდება მარცხით, ის გარდაიქმნება საწინაღმდეგო მიმართულების მოქმედებად, ისე, რომ ტრანსპოზიციაც და შემდეგ ანტიციპაციაც (როდესაც ეს ტრანსპოზიცია მიდის ცნობიერ მოლოდინამდე) უქმდება უკანა სვლის მოქმედების დროს, წარუმატებლობის ან იმედგაცრუების შემთხვევაში. აღვნიშნოთ, რომ ამ ვარაუდში, მიუხედავად იმისა, რომ ის არ შეესაბამება გეშტალტისტების თეორემებს, დაუჯერებელი არაფერია: სრულიად მარტივად, ის კვლავ უბრუნებს ტრანსპოზიციის აღმქმელ მექანიზმს შესაძლებლობას, რომ შედგებოდეს ვარაუდებისგან ან წინარე ვარაუდებისგან, ისევე როგორც ტოლმანი და კრეჩევსკი ანიჭებენ ამ შესაძლებლობას მოძრაობის ფუნქციას ,,სწავლების'' პროცესში. ამგვარად, ვარაუდი, განსაზღვრების მიხედვით, არის წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელსაც უნარი შესწევს, რომ ჩაენაცვლოს უკანა სვლას, რაც დამახასიათებელია პრე-ოპერაციული მექანიზმებისათვის.

თუმცა, არ შეიძლება გადაჭარბება: ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვამტკიცებთ, ადასტურებს, რომ 5-6 წლის ასაკში და ზრდასრულებში, შექცევადობის თვალსაზრისით, უმნიშვნელო პროგრესია. მაგრამ, თვით ზრდასრულ ადამიანში, ეს შექცევადობა სულაც არ არის აბსოლუტური და ვერ აღწევს ოპერაციულ დონეს, ვინაიდან მეათე პრეზენტაციაზეც კი, მეოთხე ფორმირების შემდგომ, მხოლოდ შემთხვევების 45% უბრუნდება ობიექტურ ხედვას 24=24. მაშასადამე, ძალიან შორს ვართ შექცევადობისგან! თუ მცდარი ტრანსპოზიცია მოგვაგონებს ცრუ მსჯელობას, რომელიც თავადვე სწორდება რეალურთან წინააღმდეგობაში მოსვლის შემდეგ, მნიშვნელოვანია დავაზუსტოთ, რომ ამ კორექციის სისწრაფე ბევრად სუსტი რჩება და მას არაფერი აქვს საერთო ინტელექტის ამ უეცარ გამონათებასთან, რაც უარყოფს იმ ჰიპოთეზას, რომელიც ექსპერიმენტულ ფაქტებთან შეუთავსებლად ითვლება.

მაგრამ ამ დავიწროვების ფარგლებში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ,,აინშტელუნგის'' გაქრობა მიუთითებს საკომპენსაციო რეგულაციის არსებობაზე, რომელიც არის დროით ტრანსპოზიციაში - უზნაძის ეფექტის წყარო - რომელიც ოპერატიული თვალსაზრისით არის პირდაპირი ოპერაციის საწინააღმდეგო ოპერაცია. ტრანსპოზიცია და მისი კორექცია ქმნიან ერთ მთლიანს და ამ მექანიზმის ორივე ფაზა ამგვარად უნდა შევადაროთ გადატანის და შემდეგ რეგულაციის ფაზებს, რომელიც ახასიათებს ზოგადად პერცეპტულ შედარებას.

IV. ტრანსფერი სხვა ფიგურებზე - თუ არსებობს უმცირესი ნათესაური კავშირი ,,აინშტელუნგსა'' და ტრანსპოზიციას შორის, რომელიც ჩვენ ახლახანს ვივარაუდეთ, პირველი არის მხოლოდ მარტივი ტრანსპოზიცია ან დროითი გადატანა და მეორე მოიცავს ტრანსფერში დაგროვების ყველა დონეს. მარტივი უნდა იყოს საკითხის შესწავლა მაშინ, როცა სუბიექტებს არატოლი წრეების შემდეგ (20+28) ერთმანეთის ტოლ ფიგურებს წარმოუდგენენ, თუმცა, ეს ფიგურები უნდა იყოს არა წრეწირები, არამედ სხვა ფორმის, მაგალითად, ორი კვად-

რატი 24 მმ-იანი გვერდებით და ა.შ. ეს ის არის, რისი განხილვაც ჩვენ მოვინდომეთ, მინიმუმ რამდენიმე კვლევის მეშვეობით. ამგვარად, ვნახეთ, რომ ამ გადამოწმებამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა, რომ არსებობს ერთგვარი ეკვივალენტობა უზნაძის დროითი ეფექტის ჩამოყალიბების შესაძლებლობასა და სხვა ფიგურებზე ტრანსფერის შესაძლებლობას შორის. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ სხვა ფიგურებზე ტრანსფერის განხორციელება ისევე ადვილი იყო, როგორც ,,აინშტელუნგი'' თვითონ წრეწირებზე, ვინაიდან შავი წრეებიც კი უფრო მცირე ეფექტს წარმოქმნიან, ვიდრე მარტივი წრეები (80%), წვეროზე განთავსებული ოთხკუთხედები იძლევიან უფრო მცირე ეფექტს, ვიდრე გაშავებული წრეები და გვერდზე დაყრდნობილი ოთხკუთხედები კიდევ უფრო მცირე ეფექტს გვაძლევს. თუმცა, ეს ნიშნავს, რომ არსებობს ცდის პირების ორი კატეგორია, რომელიც ამჟღავნებს დროებითი ეფექტის განსხვავებულ შესაძლებლობებს, როგორიცაა ზრდასრულები და 5-7 წლის ბავშვები, მათი ტრანსფერის შესაძლებლობა ასევე განსხვავდება და, თანაც, ზუსტი პროპორციებით, იმგვარად, რომ ,,აინშტელუნგის'' ეფექტით განხორციელებული ტრანსფერი, საბოლოოდ, იგივეა ბავშვში და ზრდასრულში. მაშ ასე, შეიძლება ვთქვათ, რომ ,,ტრანსფერი/აინშტელუნგი = კონსტანტას'' იმიტომ, რომ ,,ტრანსფერი = აინშტელუნგს''.

ამგვარად, ახალ ფიგურებზე ტრანსფერთან დაკავშირებით კიდევ უფრო მეტად, ვიდრე უზნაძის მარტივ ეფექტთან დაკავშირებით, ,,ტრანსპოზიციის'' გეშტალტისტების კონცეფცია მიუღებლად მოჩანს, იმდენად, რომ ის აუქმებს ცდის პირის განმაზოგადებელ ქმედებას ფორმალური შეფარდებების ავტომატური გაწონასწორების სასარგებლოდ, რომელიც თვითონვე რეორგანიზდება: პერცეპტული ტრანსფერი ერთგვარად უკვე არის განზოგადება, ესე იგი, აქტიური ასიმილაცია, რომელსაც უბრალოდ არ გააჩნია საკმაო შექცევადობა ოპერაციის დონის მისაღწევად.

მართლაც, განვიხილოთ საკითხები გეშტალტისტების ტრანსპოზიციის ჰიპოთეზიდან გამომდინარე, რომელსაც მხოლოდ ობიექტური შეფარდებები და მათი სტრუქტურის კანონები წარმართავს. ცდის პირი, რომელმაც ხელახლა აღიქვა წრეწირები 20+28, ელის ორი ერთი და იგივე თვისებების მქონე არატოლი წრის თავიდან დანახვას, მაგრამ ის აღიქვამს ან ორ გაშავებულ წრეს, ან, წვეროთი ან გვერდით დადებულ ორ ოთხკუთხედს. ამგვარად, უზნაძის ეფექტის ტრანსფერი უფრო ძლიერია ამ სამიდან პირველ შემთხვევაში, საშუალო - მეორეში და უფრო სუსტი - მესამეში. ამგვარად, ტრანსპოზიცია არის ობიექტური მსგავსებების ფუნქცია. 1) წრის შემთხვევაში, სადაც ფორმა ერთია, არის ძალიან გამოხატული ,,აინშტელუნგი'', მაგრამ ვინაიდან ფერი განსხვავებულია (შავი წრე) წარმოადგენს უფრო ერთგვაროვან სტრუქტურას, ამგვარად, უფრო მყარს, ვიდრე თეთრი შიგთავსის წრე და მხოლოდ ერთი წრეხაზის მქონე წრე), ეს ეფექტი უფრო სუსტია, ვიდრე ჩვეულებრივი წრეების შემთხვევაში. 2) კუთხეზე დაყრდნობილი ოთხკუთხედების შემთხვევაში ფორმა განსხვავებულია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, არსებობს საერთო ელემენტები წრეებსა და ოთხკუთხედებს შორის, როგორიც არის სიმეტრია, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძების თანასწორობა, სიმარტივე (ჩვენ ვსაუბრობთ პერცეპციის და არა მათემატიკური გეომეტრიის ენაზე). როდესაც ოთხკუთხედი ეყრდნობა თავის ერთ-ერთ წვეროს, ეს მსგავსი ელემენტები უფრო ,,ძლიერია'', ვიდრე, როდესაც ის გვერდს ეყრდნობა, იმიტომ რომ ოთხკუთხედი, ჩვეულებრივ, გვერდზე ძევს მაგრამ რადგან ისინი {ეს ელემენტები} ნაკლებად მრავალრიცხოვანია, ვიდრე შავი წრეებისთვის, ტრანსპოზიციის ეფექტი დაბალია. 3) გვერდზე დაყრდნო-

ბილი ოთხკუთხედების შემთხვევაში, ის კიდევ უფრო სუსტია, ვინაიდან აქ უმთავრესია განსხვავება ოთხკუთხედსა და წრეწირს შორის. 4) წრისაგან უფრო მოშორებით მყოფი გეომეტრიული ფიგურებისთვის (მართკუთხედი და სხვ.) ტრანსპოზიცია იქნებოდა კიდევ უფრო მცირე და 5) რომელიმე სხვა ფიგურებისთვის (მაგალითად, ორი სპილო) საერთოდ აღარ იქნებოდა ტრანსპოზიცია.

ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ და არც მომავალში ვფიქრობთ აღქმაში ობიექტური სტრუქტურების როლის უარყოფას. მხოლოდ ,,გეშტალტისტები'' ემხრობიან მოსაზრებას, რომ, თითქოს ცდის პირი არ იღებდა აქტიურ მონაწილეობას და თითქოს ,,ველის'' ობიექტური სტრუქტურები სიმულტანურად აწესრიგებდა ცნობიერ აღქმას, ნერვულ ელექტროდენებს და ფიზიკურ მიმართებებს, ისე, რომ ცდის პირს ახალი არაფერი აქვს ,,ასაშენებელი'' (რაც, როგორც უკვე ხშირად აღვნიშნეთ, არის დაბრუნება ასოციაციურ ემპირიზმთან, მარტივად რომ ვთქვათ, ფსიქო-ფიზიოლოგიურ-მენტალური ,,ასოციაცია'' ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ და გონებრივ ,,მთლიანობაში''). სინამდვილეში, ყველაზე ელემენტარული აღქმიდან, ცდის პირი განაცალკევებს და განაზოგადებს, ესე იგი, ამსგავსებს პასიური განცდის გარეშე. მართლაც, რატომ არის ტრანსფერი თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით უფრო ძლიერი ზრდასრულთან, ვიდრე ბავშვში? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რატომ მატულობს დროითი ეფექტი განვითარებასთან ერთად, ვინაიდან ტრანსფერი არის მარტივი დროითი ეფექტი გადატანილი ახალ ფიგურებზე? როგორც გეშტალტისტები იტყოდნენ, ნერვული სისტემები მეტ-ნაკლებად მგრძნობიარეა: მოცემული მსგავსებებისა და განსხვავებების მქონე მრავალ ობიექტურ მიმართებას შორის (და ჩვენ ახლახანს ვნახეთ, რომ მოცემულ ორ ფიგურას შორის მართლაც არის მსგავსებებისა და განსხვავებების უამრავი შესაძლებლობა), ზოგიერთი ცდის პირი მეტს ამჩნევს, ვიდრე სხვები, და, ამგვარად, ჩანაწერში აბსტრაქცია სელექციამდე დადის; რაც შეეხება განზოგადებას, ის მხოლოდ სხვადასხვა მასალის გამოყენებით ერთი და იგივე ჩანაწერის გამეორებაა, მაგრამ, ერთმანეთთან ერთი და იგივე მიმართებებს წარმოადგენს. ეს ნათელია, მაგრამ არსებობს აგრეთვე ის უმთავრესი ფაქტიც, რომ ობიექტური მიმართების ჩაწერა გულისხმობს ჩამწერს, რომელიც თავისი აზროვნების დონის შესაბამისად მეტ-ნაკლებად პასიური ან აქტიურია, მყარი ან მობილურია, შეუქცევადი ან შექცევადია და ა.შ. ამგვარად, სწორედ ამ ჩამწერის მოქმედება შეადგენს ცდის პირის შენატანს და როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ დროითი გადატანის, ანტიციპაციის და ტრანსფერის ან ტრანსპოზიციის შესაძლებლობები ყოველთვის მზარდ მოქმედებას გულისხმობს, ესენი, მარტივად რომ ვთქვათ, იმ ჩამწერის კანონებია, რომელთა გაცნობიერებაც, ობიექტური დამოკიდებულებებისთვის დამახასიათებელი სტრუქტურების გააზრებასთან ერთად, ჩვენს მიზანს წარმოადგენს. მაგრამ მთავარი კითხვა იმაში მდგომარეობს, რომ ვიცოდეთ, თვითონ ეს სტრუქტურები იღებენ თუ არა ჩამწერის, როგორც ასეთის, სიმარტივისა და ა.შ. თვისებებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხომ არ არის ისინი ნაწილობრივ ,,შედგენილი''.

§5. დროითი ტრანსპოზიციის მექანიზმების ფორმულირებისა და ახსნის მცდელობა

ამგვარად ჩამოყალიბებული მიღწეული შედეგების ინტერპრეტაციის პარალელურად, ახლა ვეცადოთ, რომ დროითი ტრანსპოზიციის მექანიზმი რამდენიმე მარტივი ფორმულით გადმოვიტანოთ და ამ შიდა დედუქციით ავხსნათ ეს მოვლენა.

პირველ რიგში ის ცნებები განვმარტოთ, რომელსაც ვიყენებთ და ვუკავშირებთ იმ განმარტებებს, რომლებიც ჩვენს წინა შრომებშია მოცემული უკვე ცნობილ ცნებებთან დაკავშირებით (,,სივრცითი გადატანა'' ,,პერცეპტული შედარება'' და ,,ცენტრირება'' ან ,,დეცენტრირება''):

განმარტება I. როდესაც ორი ნივთი აღქმის ველში ერთმანეთის მიმდევრობით ჩნდება, ამას *დროში გადატანას* ვუწოდებთ (სიმბოლო Tpt) პირველიდან მეორეზე, თუ პირველის სტრუქტურა და ზომები გადატანილი იქნა მეორეზე იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მათი დაკავშირება მეორეს მახასიათებლებთან.

განმარტება II. ვისაუბრებთ ტრანსპოზიციაზე, თუკი ორ ან რამდენიმე ელემენტს შორის, ანდა ერთი და იმავე ელემენტის ნაწილებს შორის, თანადროულად აღქმული მიმართებების სისტემა ,,გადატანილია'' როგორც სისტემა სხვა ორ ან რამდენიმე ელემენტზე, ან პირველისგან განსხვავებული ელემენტის ნაწილებზე.

განვასხვავებთ სივრცით ტრანსპოზიციას (მაგალითად, უცვლელი პროპორციების სამკუთხედების ორი წყვილის თანაბრობისა და მსგავსების აღქმა) და დროით ტრანსპოზიციას (მაგალითად, მელოდიის ამოცნობა, რომელიც ერთიდან მეორე ტონალობაში გადაიტანეს).

სიმბოლოებით ტრასპოზიციას ისე გამოვხატავთ, რომ გადატანის სიმბოლოებს გამოვიყენებთ, მაგრამ ისე, რომ გადატანილი ელემენტის დეტალს ვიწერთ. მაგალითად, Tp (A) არის სივრცითი გადატანა A-დან და Tpt (A) მისი დროითი გადატანა, მაგრამ Tp (A<B) ან Tpt (A<B) არის შეფარდების გადატანა (A<B). ამასთან, Tpt (A1)(A2) იქნება დროითი გადატანა A_1-დან A_2-ზე და Tpt (A_1+B_1) (A_2+B_2) - შეფარდებების ტრანსპოზიცია A_1 და B_1-დან A_2 და B_2-ზე.

განმარტება II a ანტიციპაციურ ტრანსპოზიციას (ან ,,აინშტელუნგი''), ვუწოდებთ, როდესაც საგნების პირველი ერთიანობისთვის დამახასიათებელი (მაგ. A+B) მიმართებების სისტემის დროითი ტრანსპოზიცია განხორციელდა საგნების მეორე ერთიანობაზე (მაგ. X+Y) მანამ, სანამ მოხდებოდა ამ მეორე ერთიანობის აღქმა (X+Y) და რომ, ამ ტრანსპოზიციის შექმნით, ცდის პირი ელოდა X და Y-ს შორის იგივე ურთიერთობების აღქმას, რაც იყო A და B-ს შორის.

მაგალითად, თუ გვაქვს A<B, წინსწრებით ტრანსპოზიციას შემდეგნაირად გამოვსახავთ Tpt (A<B) (X<Y).

N.B.[1] ამგვარად, ,,აინშტელუნგი'' განმარტებულია მხოლოდ, როგორც დროითი ტრანსპოზიციის განსაკუთრებული შემთხვევა. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს წინასწარ ხედვას, არამედ უბრალოდ მდგომარეობს გადატანის ერთობლიობაში და გულისხმობს საგნის პერცეპტული შეფარდებების დაკავშირებას, რომელიც აღქმული იქნება მანამდე არსებულ შეფარდებებთან ერთად, მაშინ, როდესაც ,,აინშტელუნგი'' ან ანტიციპაციური ტრანსპოზიცია გულისხმობს შეფარდებების ეკვივალენტობის წინასწარ განჭვრეტას. ამასთან, შესაძლებელია, რომ არაანტიციპაციური დროითი ტრანსპოზიცია განხორციელდეს გარკვეული ზემოქმედების შემდეგ (ელემენტების მეორე ერთობლიობის აღქმის მომენტში), წინასწარი ჩამოყალიბების გარეშე და, რომ, ამგვარად, არსებობდეს ყველა შუალედური ელემენტი დროით გადატანასა და მარტივ ,,ვირტუალურ მიმართებებს'' შორის (იხილეთ კვლევა I, განმარტება VIII), რაც, უკვე მიღებული გამოცდილებით დასტურდება.

ამ განმარტებების წარმოდგენის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია ვეცადოთ, რომ იგივე გავავრცელოთ დროით ტრანსპოზიციაზე, რაც უკვე ზოგადად ვიცით გადატანის შესახებ (კვლევა II და III): მხოლოდ ამ მიზნით განვმარტეთ ტრანსპოზიცია როგორც გადატანის სისტემა. ჩვენ, სავარაუდოდ, არაფერი ვიცით არც ტრანსპოზიციის და არც გადატანის შიდა მექანიზმზე, მაგრამ ეს სწორედ იმის არცოდნის გამო ხდება, რომ გვჭირდება, შეძლებისდაგვარად მარტივი და უბრალო სქემის შექმნა, რათა საერთოდ არ დაგვჭირდეს წინასწარი ვარაუდი, და ისეთი სქემა, რომლის ერთადერთი ფუნქცია იქნებოდა ექსპერიმენტის შედეგების გასაგებად ჩამოყალიბება: მომდევნო კვლევები (რომლებიც ალბათ დაგვეხმარება აზრის ჩამოყალიბებაში) შესაძლებელს გახდის ამ შედეგების გასწორებას წინააღმდეგობის შემთხვევაში და, ადრე თუ გვიან, მოხდება პერცეპციების ფენომენოლოგიის თვისებრივი სივრცითი და დროითი დედუქციის განსაზღვრა. ამის გახსენების შემდეგ ვეცადოთ, რომ განვსაზღვროთ დროითი გადატანა და ტრანსპოზიცია, *რომელიც კვლავ ამოუცნობად (უცნაურად) რჩება,* სივრცითი გადატან(ებ)ის პრინციპის მიხედვით, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე უცნაურია, მაგრამ უკეთ გვესმის, რადგან ისინი დაკავშირებულია მზერის ხილულ გადაადგილებასთან და ჩვენ შევძელით მათი ზოგიერთი იმ სისტემატური ცდომილების გაანალიზება, რომლებიც მათ სტრუქტურას უსვამს ხაზს.

ჩვენ ვნახეთ, რომ სივრცეში გადატანა წარმოგვიდგენს ცენტრირების მექანიზმის ორ მახასიათებელს:

1) რაც უფრო მეტად ხდება ელემენტზე მზერის ფიქსაცია, მით უფრო მეტი მასშტაბებით ხდება მისი გადატანა (E2>E1), ანუ

Tp (A)≥ Tp (B) ⊂ Ct (A) ≥ Ct(B) (კვლევა II, წინად.28)

2) A-დან B-ზე (ან პირიქით) გადატანა შეიძლება იყოს გაგებული, როგორც ცენტრაციების დაახლოება, ანუ

Tp (A) (B)=B (FA) (კვლევა II, წინად.27)

ეს იმას ნიშნავს, რომ A-დან B-ზე გადატანა წარმოქმნის ეფექტს, რომელიც მიმართულია იმისკენ, რასაც წარმოქმნიდა B-ს დანახვა, თუ მზერა იქნებოდა მიმართული A-ზე და B მოიაზრებოდა ამ ცენტრირებაში. ამგვარად, გვახსოვს,

[1] N.B. - nota bene - კარგად დაუკვირდი" - შენიშვნა, რომელიც ემსახურება იმას, რომ ყურადღება მიაქციონ ტექსტის რომელიმე ნაწილს

რომ ორ ელემენტს, აღქმულს ერთსა და იმავე ცენტრალურ ზონაში შეუძლია განახორციელოს ერთმანეთზე იდენტიფიკაციის ან კონტრასტის ეფექტები, იქედან გამომდინარე, რომ ისინი ძალიან ახლოსაა ან რომ მეორე (B) პერიფერიულია ცენტრირებასთან მიმართებაში (A-ზე).

რაც შეეხება დროით გადატანას, შეიძლება შევიმუშავოთ ასეთივე სქემა, მაგრამ ორი მნიშვნელოვანი ცვლილებით: 1) შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რაც უფრო მეტად იქნება ერთი ელემენტი ცენტრირებული, მეტად შეუწყობს ხელს დროით გადატანას, ვინაიდან იმ ინტერესს, რომელიც განაპირობებს მის ფიქსაციას, შეუძლია ასევე გამოიწვიოს მისი მოქმედება დროში. სამაგიეროდ, თუ სივრცეში გადატანას თან ახლავს გადატანილი ელემენტის ზრდა, ჩანს, რომ იგივე არ ხდება დროში. მაგალითად, გადატანის ადრე აღწერილ ექსპერიმენტებში (კვლევა II, §4), როდესაც ცდის პირს სიმაღლე გარკვეულ მანძილზე გადააქვს: გახელილი თვალებით გადატანის შემთხვევაში, ის მას ზრდის, მაშინ, როცა, დახუჭული თვალებით (,,მეხსიერებით'') გადატანის შემთხვევაში, პირიქით, აპატარავებს ამ სიმაღლეს. ამასთან, ,,მეხსიერების'' შედარებებში, თითქოს, მანამდე არსებული ცენტრირებით გამოწვეული გადაფასება ხუთ წამში უკვე გაქრა.

დასკვნის სახით შეგვიძლია დავწეროთ:

$[Tpt(A)>Tpt(B)] \subset [Ct(A)>Ct(B)]$, მაგრამ $E1<E1$

რაც იკითხება შემდეგნაირად: ,,დროითი გადატანა A-დან, რომელიც აღემატება B-ს, განაპირობებს ცენტრაციას, რომელიც ასევე აღემატება A-ს, მაგრამ გადატანილი ელემენტი (E1) პატარავდება ან რჩება იმ ზომის, რა ზომისაც იყო გადატანამდე (E1)''.

2) შეგვიძლია ახლა ჩავთვალოთ, რომ დროში გადატანა ცენტრირებების მსგავსია, იმის მსგავსად, როგორც ეს სივრცეში ხდება? სივრცითი გადატანის შემთხვევაში, ეს ინტერპრეტაცია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ვინაიდან მზერის მოძრაობას აქვს ის ეფექტი, რომ გავლენა იქონიოს ბოლო ელემენტზე, როგორც აღიქმება პირველადი ელემენტის ცენტრირების დროს (ესე იგი იმ ელემენტის, რომელიც წარმოქმნის გადაცემას). ეს პირდაპირ და ასე ვთქვათ, რასაც ხელშესახებად განვიცდით გადატანის განმავლობაში, კერძოდ, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ხდება წინა ცენტრირებისა და მომდევნო ცენტრირების დაახლოება. ამგვარად, დროითი გადატანის შემთხვევაში მსგავსს არაფერს არ განვიცდით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ყურადღებით დააფიქსირეს გადატანილი ფიგურა, რომელიც მოქმედებს მომდევნოზე. მეტიც, თუ წინა ფიგურა არ ,,არის გამოყენებული" ბოლო ელემენტზე, როგორც ეს ხდება სივრცითი გადატანის აქტის დროს, ის აშკარად მიახლოებულია, ვინაიდან პირველი ფიგურა მეორეზე კონტრასტის მეშვეობით მოქმედებს. მაშ ასე, როგორ გავიგოთ ეს დაახლოება, რომელიც აღარაა ხელშესახები ან სივრცითი, მაგრამ ეფექტურია და ხანგრძლივი?

ყველაფერი ის, რისი დაშვებაც აქამდე შევძელით, წინამდებარე ექსპერიმენტებთან დაკავშირებით (კვლევა I-III) ძალიან მარტივ გადაწყვეტას გვაწვდის, სიმეტრიაც წინამდებარესთან მიმართებაში არ არის აუცილებლად ცდომილების ნიშანი. ეს ნიშნავს, რომ იმ ელემენტებზე ცენტრირება, რომელთა გადატანაც დროში მოხდება, მოქმედებს იმ ელემენტების ცენტრირებაზე, რომლებიც შემდგომში აღქმულია ,,ვიზუალური ცენტრირებების'' მსგავსად. მართლაც,

ერთის მხრივ, დელბეფის ილუზიის ანალიზით მივედით იმ დასკვნამდე, რომ მივამსგავსეთ ვირტუალური ცენტრირებები, რომელიც მზერაზე ახდენს გავლენას ფიგურის დაფიქსირების დროს, დროში მოქმედებს, რომლებსაც თანმიმდევრობითი ცენტრირებები ერთმანეთზე ახორციელებენ. მეორეს მხრივ, და რაც მთავარია, ვირტუალური ცენტრირებების მოქმედება, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ფიგურის აქტუალურ აღქმაში, გამოიხატება სწორედ კონტრასტის ეფექტების წარმოქმნით, რომელიც ზუსტად იმ ეფექტებს უნდა შევადაროთ, რაც უზნაძის ეფექტისთვის არის დამახასიათებელი.

მაგალითად, განვიხილოთ დელბეფის ილუზია იმ შემთხვევაში, როდესაც ის უარყოფითია, ესე იგი, სადაც ერთ-ერთი კონცენტრული წრე (A') ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მეორე (A) და ამგვარად ხდება მისი როგორც უფრო მცირეს შეფასება. როდესაც მზერა არის ცენტრირებული A'-ზე ან SA' ზონაზე, რომელიც ორ წრეწირს ჰყოფს, A კიდევ უფრო ნაკლებად შეფასდება. როდესაც, პირიქით, ახდენენ A-ს ცენტრირებას მასზევე, ის იზრდება, მაგრამ შეუძლებელია, რომ არ გავითვალისწინოთ SA' ან A', თითქოს მზერა მიიზიდა შესაძლო ან ,,ვირტუალურმა'' ცენტრირებებმა (ეს მექანიზმი შეგვიძლია შევადაროთ წონასწორობის მექანიზმს, რომელიც ,,ვირტუალური სიჩქარეების'' ცნობილი პრინციპით არის განსაზღვრული). ამგვარად, სწორედ ვირტუალური ცენტრირებების არსებობა წარმოქმნიდა კონტრასტის ილუზიას, მაშინ, როდესაც თითქმის მომიჯნავე წრეების შემთხვევაში ხდება პატარა წრის გადაფასება და არა კონტრასტი, იმიტომ, რომ ორი ცენტრირება A-ზე და A'-ზე ფაქტიურად გაერთიანების ეფექტს წარმოქმნის.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სივრცით გადატანაში ხდება რეალურ ცენტრირებებს შორის დაახლოება (კვლევა II, წინად.27) და ეს მოქმედებს როგორც მათი შერწყმა, მაშინ, როდესაც დროითი გადატანა მდგომარეობს ვირტუალური ცენტრაციის დაახლოებაში რეალურ ცენტრაციასთან:

(2) Tpt(A) × (B)=B(CvA)

ეს იგი, ,,A-დან B-ზე სივრცითი გადატანა მიდის იმ მდგომარეობისკენ, როცა B შეიძლება აღქმული იქნას A-ს ვირტუალურ ცენტრირებაში'', ან ,,წარმოქმნას იგივე ეფექტი, რაც შეიძლებოდა A-ს მიეცა ვირტუალური ცენტრირებისთვის B-ს აღქმის მომენტში''.

ამ ფორმულის (2) მნიშვნელობა ნიშნავს იმას, რომ საბოლოო ელემენტი B გადატანილ A ელემენტთან მიმართებაში იკავებს პერიფერიულ მდებარეობას ცენტრალურ ზონასთან შედარებით. მართლაც, თვით განსაკუთრებულ შემთხვევაშიც კი, რომელიც §4-შია მოცემული, სადაც ერთი ცდის პირი ხედავს 28 მმ-იან წრეწირს, რომელიც შემოსაზღვრავს 24 მმ-იან წრეწირს, იმ მომენტში, როდესაც ის აღიქვამს ამ უკანასკნელს, ეს პროცესი დროში გადატანით პირველი წრიდან მეორეზე, არ უნდა შევადაროთ თავიანთი ,,ცენტრალური ზონების'' შერწყმას: ეს რომ ასე მომხდარიყო, რაც გვასწავლა დელბეფის ილუზიის ანალიზმა, გვექნებოდა დადებითი ცდომილება (პატარა წრის 24 მმ-იანი დიამეტრისთვის და 28 მმ-დიდისთვის ეს ილუზია არის) + 9% მოზრდილ ადამიანში: მაშინ, როდესაც მოცემული ცდის პირის ილუზია უარყოფითი იყო. ამგვარად, ზოგადად იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სუბიექტები წარმოგვიდგენენ მეხსიერების კვალს, საქმე არ ეხება შერწყმას, არამედ სივრცეში დაახლოებას, სადაც ხდება

გადატანილი ფიგურის და აქტუალური ფიგურის თანმიმდევრობითი გახსენება (მეხსიერებაში აღდგენა).

მოკლედ, თუ სივრცითი გადატანა უნდა შევადაროთ ვირტუალური ცენტრირების დაახლოებას რეალურ ცენტრირებასთან, ამგვარად, ამ უკანასკნელთა შერწყმის გარეშე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ წესი, რომლის მიხედვითაც ორი ფიგურა, რომელთაგან ერთ-ერთი არის მეორე მათგანის ცენტრირების პერიფერიაში, ერთ-ერთი ერთსა და იმავე დროს ჰკარგავს თავის რეალურ ზომას (უარყოფითი ილუზიების ანალიზი), რაც შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

(3) [P (Cv A)>-P (Ct B)] ⊂ [D>-R]

ანუ, თუ დეფორმაცია P, რომელიც დამახასიათებელია გადატანილი ელემენტის ვირტუალური ცენტრირებისთვის, მას გადაიტანს დეფორმაციაზე, ან -P-ზე საწინააღმდეგო მნიშვნელობით იმოქმედებს, რომელიც დამახასიათებელია იმ ელემენტის რეალური ცენტრირებისთვის, რომლისკენაც გადატანა განხორციელდა, საქმე გვაქვს უარყოფით ილუზიასთან (განსხვავება, რომელიც აღემატება მსგავსებას).

მართალია, შეიძლება ვთქვათ, რომ უზნაძის ექსპერიმენტში, რომელიც ამ თავშიც ვახსენეთ, იზოლირებული 28 მმ-იანი დიდი წრე კი არ იწვევს 24 მმ-იანი წრის უფრო პატარად აღქმას, არამედ 20+28 მიმართება ცვლის მიმართებას 24+24. თუმცა, ვიცით, რომ საკმარისია დაღმავალ სერიაში A5, A4, A3 და ა.შ., ყოველი A შევადაროთ B-ს, რათა შედეგებმა თანმიმდევრულად დაკარგოს თავიანთი მნიშვნელობები და, რომ, ამგვარად, B აღმოჩნდეს არა A_0-ს ტოლი, როგორ ეს არის ობიექტურად, არამედ A_1 ან A_2-ის ტოლი. ამგვარად, გაზომილი B გადაფასებული ჩანს, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ თითოეული გასაზომი ნაკლები ზომის მოჩანს მისი წინამორბედის გამო, რაც ზუსტად პასუხობს ფორმულას (3).

(20+28) და (24+24) შეფარდებების შემთხვევაში, ამას ბუნებრივად ემატება უტოლობის ტრანსპოზიცია, როგორც ასეთი და ეს თავდაპირველი შეფარდება მნიშვნელოვნად ამყარებს კონტრასტის ილუზიას. ავიღოთ A_1 და A_2 წრეწირები 20 და 28 მმ და B_1+B_2, 24 მმ-იანი წრეები. ამგვარად, აქ გვაქვს უტოლობის ტრანსპოზიცია A_1<A_2-ზე, მაშინ როცა B_1=B_2, რაც არის არანულოვანი განსხვავების ტრანსპოზიცია ნულოვან განსხვავებაზე:

Tpt (A_1<A_2) (B_1=B_2) ან Tpt (D>0) (D=0)

მაშ ასე, როგორ აიხსნება, რომ A_2 (28 მმ) 24მ-მდე მცირდება? იმის თანახმად, რაც ზემოთ ითქვა, ილუზიის ასახსნელად საკმარისი იქნება, რომ დროში გადატანა სივრცეში კონტაქტის შესაბამისად გავიგოთ, მაგრამ A_1+A_2 და B_1+B_2, ფიგურებს შორის დისტანციის შემოტანით იმგვარად, რომ თითოეული მათგანი განთავსებული იყოს მეორეს ცენტრირების პერიფერიაზე. მაშ ასე, შეგვიძლია დავადგინოთ შემდეგი:

1) ორივე წრეწირი A_1 და A_2, სავარაუდოდ, ერთმანეთზე დეფორმაციულ ზემოქმედებას ახორციელებენ, რაც მათ უტოლობას A_1<A შეესაბამება. ვერ შევძლებთ ამ ზემოქმედების დაზუსტებით განსაზღვრას, რადგან არ ვიცით, თუ რა სახის დეფორმაციები წარმოიქმნება ტაქისტოსკოპით წარმოდგენილი ორი არაკონცენტრული წრის აღქმის შემდეგ. თუმცა, თუ მას მივუსადაგებთ ამ წრეწირებს და წინა თავის დასკვნებს (კვლევა IV), შეიძლება დავუშვათ, რომ

დაახლოებით 1 სმ ინტერვალით, როგორც იმ ფიგურებზე, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ, ნამდვილად შეინიშნება A_1-ის მცირედი კლება A_2-ის მიერ.

ავიღოთ P C_v (D>0) დეფორმაციები (როგორიც არ უნდა იყოს ისინი) განხორციელებული A_2-ის მიერ A_1-ზე და პირიქით, რომლებიც აღიქმება ცენტრირების მიხედვით და რომელიც მოიცავს ამ მიმართების ორივე ზღვარს.

2) რაც შეეხება ორივე წრის B_1 და B_2, რომელიც ერთი და იგივე სიდიდისაა, არის ალბათობა, რომ გარკვეულ მანძილზე ერთიდან მეორემდე, ერთზე ცენტრირება ამცირებს მეორეს, და პირიქით. ამგვარად, რადგან ისინი ერთი და იგივე ზომისაა, მათ შორის იქნება ,,შედარებით სრული ცენტრირება'', რაც არ უნდა იყოს მათი გამყოფი ინტერვალი. ამგვარად, ყოველთვის გვექნება P (Ct B_1)=- P (Ct B_2) და P (Ct B_2)=- P (Ct B_1), მაშინ, როცა ეს კომპენსაცია შესაბამისია A_1 და A_2-სთვის მხოლოდ მათ შორის მოცემული ინტერვალის გარკვეული განსაზღვრული მნიშვნელობის დროს. ცხადია, რომ საშუალო დეფორმაცია განხორციელებული B_1 და B_2-ის მიერ ერთი-მეორეზე, დაბალია P Ct (D>0)-ზე, დეფორმაცია, რომელიც დამახასიათებელია A_1 და A_2-სთვის.

თუ ჩვენ ავიღებთ P Ct (D=0), ეს დეფორმაცია, რომელიც დამახასიათებელია B (B_1=B_2) ამგვარად D=0), მაშინ მივიღებთ:

(4) P Cv (D>0) > P Ct (D=0)

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, (20+28) მმ ფიგურის დეფორმაციის გამომწვევი მოქმედება აღემატება (24+24) ფიგურის მოქმედებას.[1]

3) ახლა შევადაროთ (A_1+A_2) და (B_1+B_2) ფორმულა (2)-ით გათვალისწინებულ პირობებში, თითქოს ცენტრირება (A_1+A_2) ფიგურაზე მოიცავდა (B_1+B_2) ფიგურას თავის პერიფერიაზე და პირიქით. მაშინვე, ყოველგვარი გაზომვის გარეშე, ვადგენთ, რომ

ა) B_2 (24 მმ) მოჩანს უფრო პატარა, როდესაც მას ვაკავშირებთ A_2-თან (28 მმ) მისი ცენტრირებით B_1(24 მმ)-თან;

ბ) B_1 მოჩანს უფრო დიდი A_1-თან (20 მმ) შედარებით, ვიდრე ცენტრირებულ B_2-თან;

გ) ერთდროულად ოთხი წრის ერთიანი აღქმით, საქმე გვაქვს მერყეობასთან B_2-თან დაკავშირებით, იმის მიხედვით, რაც არის ნანახი A_2-ის და B_2-ის შესაბამისად.

ეს ეფექტები აიხსნება პირდაპირ ფორმულა (3) ის მიხედვით და მას არ ვუბრუნდებით.

4) და ბოლოს, თუ გავაერთიანებთ პირველ ორ ეფექტს მესამესთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმულა (4) ფორმულა (3)-თან, ვადგენთ, რომ ისინი ერთმანეთს ემატებიან ნაცვლად განეიტრალებისა: ერთის მხრივ, A_2 (28 მმ)-ს იწვევს B_2- (24 მმ)-ს უფრო მცირე ზომის წრედ შეფასებას და A_1 (20 მმ) იწვევს B_1 (24 მმ)-ის გადაფასებას ფორმულა (3)-ის შესაბამისად (იხ. 3). მაგრამ, სხვა მხრივ, B_1 და B_2 ამ ორმაგ დეფორმაციას საპირისპირო მიმართულებით

[1] ეს დებულება (4) ექსპერიმენტული თვალსაზრისით ადვილი გასაკონტროლებელია. მართლაც, ვსვამთ კითხვას, შეიძლება თუ არა, რომ ორი ტოლი წრის წარმოდგენამ (24+24) წარმოქმნას გათანაბრების ეფექტი ორ არათანაბარ წრეწირზე (23+24), პირველის გაზრდით და მეორის შემცირებით, და მიაღწევს თუ არა გათანაბრების ეს შესაძლო ეფექტი საწინააღმდეგო ეფექტის ან ,,უზნაძის ეფექტის'' თანაბარ ინტენსივობას.

წინააღმდეგობას უწევს მხოლოდ საწინააღმდეგო მოქმედების მეშვეობით, შემდეგი მნიშვნელობით PCt (D=0). ამგვარად, ეს მნიშვნელობა დაბალია A-ს მოქმედების მნიშვნელობაზე, რომელიც არის P Ct (D>0), იმიტომ, რომ P Ct (D>0) ერთსა და იმავე დროს დამოკიდებულია A-ებს შორის არსებულ მანძილსა და მათი ზომების განსხვავებულობაზე, მაშინ, როდესაც P Ct (D=0) დამოკიდებულია მხოლოდ B-ებს შორის მანძილზე.

საბოლოოდ, მივიღეთ:

(5) ფორმულა

$$(5)\ \{|P\ (Cv\ A_2) > -\ P\ (Ct\ B_2)| < |D_1 > -\ R_1|\} + \{(P\ Cv\ (D > 0) > P\ Ct\ (D = 0)\} = \{D_2 > -\ R_2\}\ \text{où}\ D_2 > D_1\ \text{et}\ -\ R_2 < -\ R_1$$

ესე იგი, კონტრასტის ეფექტი გაძლიერდა.

თუმცა, რამდენიმე ჩატარებული ცდა არ გვაძლევს გათანაბრების ამგვარი ეფექტის არსებობის დადგენის საშუალებას.

სინამდვილეში პერცეპტული ტოლობა $B_1=B_2$ არასოდეს არის სრულიად სარწმუნო, თვით ტაქისტოსკოპის გარეშეც კი (წინასწარი ფაზა): მართლაც, მას ყოველთვის შეუძლია ჰქონდეს პრივილეგირებული ცენტრირება მარცხნივ ან მარჯვნივ (სივრცითი ცდომილება). წამის მეათედში, ცენტრირება (ტაქისტოსკოპით ყურებისას) თავისთავად ერთადერთია, მიუხედავად მითითებისა, რომ მზერა ყოველთვის ათვლის წერტილზე უნდა იყოს შეჩერებული, რომელიც აპარატის კარზე მდებარეობს, ის შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა პრეზენტაციის დროს. ის, აგრეთვე, შეიძლება წარმოიშვას რაიმე ამოჩემებისგან მარჯვენა ან მარცხენა მხარეს, სხვადასხვა წინასწარი ქმედებისგან და ა.შ., საიდანაც მომდინარეობს რხევები, რომელიც განუწყვეტლივ შეინიშნება ექსპერიმენტში. თუმცა, ნათელია, რომ საშუალოდ ეს ფაქტორები ერთმანეთის კომპენსაციას ახდენს და დიდია ალბათობა, რომ სტატისტიკური ეფექტი მივიდეს $B_1=B_2$ აღქმამდე.

ახლა საკმარისია, რომ ამ მოსაზრებების გათვალისწინებით ჩავანაცვლოთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია პერიფერიულ სივრცეში ცენტრირებებთან და ჩავანაცვლოთ ის დროითი გადატანით, რომელიც მიჩნეულია ცენტრირებების მსგავსებად (ფორმულა 2), რათა ამგვარად მიაღწიოს კონტრასტის ეფექტის ახსნას, რაც უზნაძის ილუზიასთან არის დაკავშირებული.

გავიხსენოთ, რომ თითქმის არ დავკვირვებივართ იდენტიფიკაციის ეფექტებს. როდესაც ეს ხდება, შეგვიძლია განვიხილოთ ა) ზღურბლების საკითხი (საიდანაც შეიძლება მივიღოთ შესაძლო განმარტება, კვლევა IV, დანაყოფი II); ბ) A_2-ს დაპატარავება დროითი გადატანის განმავლობაში და გ) ცდის პირის სისტემატიური სივრცითი ცდომილება (რაც ნანახია 3-ე შემთხვევაში).

რაც შეეხება უზნაძის ეფექტის გავრცელებას გაშავებულ წრეებზე, ან წვეროს ან გვერდს დაყრდნობილ ოთხკუთხედებზე, ვნახეთ, რომ ეს არ მოითხოვდა არავითარ განსაკუთრებულ განმარტებას, ვინაიდან მისი ფორმირება თავისთავად ეკვივალენტურია ,,აინშტელუნგის'' მარტივი ეფექტის ჩამოყალიბებისა, თუმცა, კონტრასტის ეფექტი (= ტოლი ელემენტების ეფექტის შემცირება აღქმული იმ ადგილას, სადაც მდებარეობდა 28 მმ-იანი წრე A_2) უფრო მცირე იყო გაშავებული წრეებისათვის, ვიდრე ჩვეულებრივი წრეებისთვის, კიდევ უფრო

მცირე იყო წვეროს დაყრდნობილი ოთხკუთხედებისთვის და ბოლოს თითქმის ნახევრით იყო შემცირებული გვერდს დაყრდნობილი ოთხკუთხედისათვის.

ამგვარად, ამ თვალსაზრისით, საკმარისია, რომ შევცვალოთ არსებული D განსხვავებებისა და R მსგავსების შეფარდებების მნიშვნელობა 3, 4 და 5 ფორმულებში. უზნაძის წრეების შემთხვევაში, მსგავსებები და განსხვავებები მხოლოდ მათ ზომებთანაა კავშირში. ჩვენი ახალი ფიგურების შემთხვევაში, სამაგიეროდ, ემატება წრეები D'-ები და R'-ები (გაშავებული წრეწირები), შემდეგ ფორმის D'' და R'' (ოთხკუთხედები წვეროზე), კიდევ უფრო გამოკვეთილად D''' და R''' (გვერდს დაყრდნობილი ოთხკუთხედი). თითოეულ ამ ახალ ზოგად შეფარდებაში, R და D მოცულობითი განსხვავებები და მსგავსებები შედარებით მცირე როლს თამაშობენ, ვინაიდან ისინი შეადგენენ მიმართებების მხოლოდ ერთ მთლიან ნაწილს, რომელიც უფრო შეზღუდულია სხვა მიმართებებისგან განსხვავებით, რომლებიც არ ერევა ჩვენს გაზომვებში. ამგვარად, კონტრასტის ეფექტების შემცირების ინტერპრეტაციისათვის საკმარისი იქნება სამივე ახალ შემთხვევაში უტოლობის შეფარდებითი მნიშვნელობის თანდათანობით დაკლება D>-R.

მაგრამ, თუ დავუბრუნდებით უზნაძის ეფექტის შესახებ საუბარს, თავიდან ვერ ავიცილებთ იმ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც დროში გადატანა წარმოადგენს ცენტრირებების ანალოგს პერიფერიული ეფექტებით. ჩვენ კარგად გვესმის ცენტრირების როლი, როდესაც საქმე ეხება აქტუალურ აღქმას და გავლენებს, რომელიც სიმულტანურად არის მოცემული სივრცეში, მაგრამ როდესაც თანმიმდევრული პერცეპციები ყოველი მომდევნოს დეფორმაციას ახდენენ, ხელოვნური ხომ არ არის იმ თავდაპირველი ცენტრირების ხანგრძლივი როლი, რომელიც მოგვიანებით ვირტუალური გახდა? განა საკმარისი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ (20+28) მმ-იანი წრეწირები კონტრასტით დროში მოქმედებენ (ან განუხორციელებელი ანტიციპაციით) წრეწირებზე (24+24)? ალბათ, მაგრამ მაშინ რომელია ამ კონტრასტის მექანიზმი და როგორ აიხსნება ანტიციპაციური მოქმედების როლი თვითონ აღქმის პროცესებზე, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ინტელექტისთვის? პირიქით გვეჩვენება, რომ დროში გადატანის პროცესში თავდაპირველი ცენტრირების როლის ჰიპოთეზა მტკიცდება შემდეგი შეხედულებებით:

იმ ავტორებთან ერთად, რომლებიც ყველაფერს აღქმული ფიგურების დამახასიათებელი თვისებებით ხსნიან, დავუშვათ, რომ კონტრასტის ეფექტი გამომდინარეობს (20+28) და (24+24) წრეწირებს შორის დროში სიახლოვისგან (სასურველია, გავითვალისწინოთ სუბიექტური ,,დამოკიდებულებებიც''), როგორც ამას კელერი (Koehler) ანალოგიური მექანიზმების განმარტებების დროს გვეუბნება (ადრე გაგონილი ნოტის ჟღერადობის ზედმეტი ან ნაკლები მნიშვნელობით შეფასება)[1], (20+28)-ის წინა ფიგურა შეიძლება წარმოადგენდეს ,,ეტალონს', რომლის ფონზეც იკვეთება ახალი ,,ფიგურა'' (24+24), და კონტრასტი წარმოიქმნებოდა ამ ობიექტური წინააღმდეგობისგან. პირველ რიგში აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ასევე საჭირო იყო, გვესაუბრა ,,ვირტუალურ საფუძველზე''! მაგრამ, რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ვეღარ აღვიქვამთ გამეორების კუმულაციური ეფექტების ფენომენს. უნდა გავიგოთ, რომ ილუზიის წარმოსაქმნელად საჭიროა პრეზენტაციების გარკვეული

[1] იხილეთ გიიომი, ,, ფორმის ფსიქოლოგია“

რაოდენობა, და სწორედ ამის გამო უზნაძე ათჯერ წარმოადგენდა ფიგურას (A_1+A_2). მაგრამ ილუზია უნდა წარმოქმნილიყო ან არ წარმოქმნილიყო, მთლიანის ან არაფრის სახით, შუალედურ მდგომარეობებში უბრალოდ იგულისხმება ჯერ B_2>B_1 მომენტის, შემდეგ კი მათი ტოლი ზომებით დანახვა, სავარაუდო რხევის გათვალისწინებით. პირიქით, ჩვენ ვადგენთ, რომ სამი პრეზენტაციის შემდეგ B_2 შემცირებულია ზრდასრულ ადამიანში 23 მმ-მდე, შემდეგ სამი ახალი პრეზენტაციის შემდეგ, 22,4 მმ-მდე, შემდეგ (F_3) 21,4 მმ-მდე და ბოლოს (F_4) 21,0 მმ-მდე (მინიმუმ 20,0). როგორ აიხსნება ეს მზარდი ეფექტი? თუმცა, (20+28) ,,ფონი'' არ იცვლება, არც (24+24) ფიგურა: მაშინ, რატომ იზრდება ეს კონტრასტი?

ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ ორგვარად, ან F_1 და F_2 შორის აღქმული (B_1+B_2) (= პირველი ორი ფორმირება სამი პრეზენტაციით) ზემოქმედებს A_1+A_2 -ზე და იწვევს კონტრასტის მოვლენას, ან რომ A_1+A_2 თვითონვე იწვევს ტრანსფორმაციას განმეორების შედეგად. აქედან გამომდინარე, პირველი განმარტება შეიძლებოდა გაგვეგო, როგორც ფიგურა გამრავლებული (X) საფუძველზე, თუ ვიტყვით, რომ B_1+B_2 ხდება ,,საფუძველი'' და A_1+A_2, კი - ,,ფიგურა''. მაგრამ რატომ მატულობს კონტრასტი კიდევ F_2-ის შემდეგ? F_2-დან უჩვეულო კუმულაციური ეფექტი რჩება.

ცენტრირებების ვარაუდზე დაყრდნობით, პირიქით, ვგებულობთ, რომ ყოველი ახალი დაფიქსირებისას, როგორც (B_1+B_2)-ზე, ასევე (A_1+A_2)-ზე, ფიგურები იძენენ ცენტრირებისთვის დამახასიათებელ ახალ პოტენციალს, რომელიც თავისი პოზიციით გარდაიქმნება სივრცით ველშიც კი. შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს ზოგად მოვლენასთან, რაც, კერძოდ, სრულიად ანალოგიურია იმისა, რასაც სივრცით გადატანაში ,,ეტალონის ცდომილების'' დროს ვხვდებით: უფრო ხშირად, ან უფრო ძლიერად ზღურბლი არის ცენტრირებული დასაწყისშივე, და ის უფრო მეტად გადადის მეორეზე, იმიტომ, რომ გაიზარდა გადატანის მომენტში. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ დროით გადატანაში ჩანს, რომ თავდაპირველი ცენტრირების პრივილეგირებული ელემენტი არ იზრდება გადატანის მომენტში, ვინაიდან თავდაპირველი ცენტრირება ვირტუალური ხდება, მაგრამ მეორეზე მოქმედებს ისე, თითქოს ის იყო განთავსებული მის საწინააღმდეგოდ და მას იღებდა ცენტრირების ზონის პერიფერიაში: მაგრამ რაც უფრო ხშირი იქნება ეს უკანასკნელი, უფრო მეტად გაიზრდება კონტრასტი, ზუსტად ისე, როგორც სივრცეში. მაშ ასე, მივიღებთ:

(6) F1 [P(CvA2)>-P(CtB2)]=[D1X-R1]

F2[P(CvA2)>-P(CtB'2)]=[D2X-R2]

F3 [P(CvA2)>-P(CtB''2)]=[D3X-R3]

და. ა.შ. სადაც B_2;B'_2; B''_2 და ა.შ. , რომელიც 24 მმ; 23 მმ 22,4 მმ და ა.შ. აღქმული წრეწირებია და D1; D2; D3 და ა.შ. მზარდი განსხვავებები. მოვლენა გრძელდება იმ მომენტამდე, როცა B_2 წრე რეაგირებს, როგორც ჩამქრობი სტიმული.

თუ ასეთია უზნაძის ეფექტის განმარტება, ამ სქემიდან შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორ მიიღებს იგივე ეფექტის გაქრობა პრე-ოპერაციული რეგულაციის და არა მხოლოდ თანდათანობითი დავიწყების ფორმას (ეს

გაქრობა უფრო სწრაფია ზრდასრულებში, რომლებშიც ასევე უფრო ძლიერია დროში გადატანის ფენომენი). ამგვარად, ეს შედეგი გამომდინარეობს ზუსტად იქედან, რაც ჩვენ ახლახანს ვნახეთ ცენტრირების შესახებ:

როდესაც მეოთხე ფორმირების F-ის შემდეგ, (B_1+B_2) ფიგურას თანმიმდევრობით 10-12-ჯერ წარმოადგენენ დამატებითი (A_1+A_2) წარმოდგენის გარეშე, მივიღებთ ორ შედეგს. პირველ რიგში, P(Ct B_2), ესე იგი B_2-ზე ცენტრირებისთვის დამახასიათებელი მოქმედება, გაიზრდება. თუ ავიღებთ თანმიმდევრობით ნანახ B^1_2; B^2_2; B^3_2; და ა.შ. B_2-ს, მივიღებთ:

(7)P (Ct B1/2)<P(Ct B2/2)<P(CtB3/2)<… და ა.შ.

რაც თანდათანობით გათანაბრებამდე მივა P (Cv A_2)-თან მიმართებაში (ფორმულა 3). საიდანაც შედეგად ვღებულობთ:

(8) (Dn>-Rn)>(Dn-1>-Rn-1)>(Dn-2>-Rn-2)… და ა.შ.=(Dn-x=-Rn-x)

მეორე ადგილზე, და ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზღვარზე გვექნება:

(9) PCt (D=0)>PCv (D 0) > (ფორმულა 4)

ეს ორი ფორმულა (8) და (9) გამოხატავს უზნაძის ეფექტის სრულ ჩაქრობას. ამგვარად, ნათელია, რომ გათანაბრება (D n-x=-Rn-x), რომელიც გამოხატავს ილუზიის გაუქმებას, მდგომარეობს იმაში, რომ ცდის პირი უბრუნდება ობიექტურ შედარებას. ამ თვალსაზრისით გაქრობა რეგულაციაა და სწორედ ამ ფორმითაა საჭირო მისი ხასიათის განსაზღვრა ზრდასრულში. პირიქით, ბავშვში, შესაძლებელია უკიდურეს შემთხვევაში, რომ ილუზიის დასასრული მდგომარეობდეს უბრალოდ (A_1+A_2)-სა და (B_1+B_2)-ს შორის კავშირის შეწყვეტაში, ამგვარად, დროითი გადაცემის გაუქმებაში, რაც გამოხატულია (1)-(9) ფორმულებში.

ბოლოს ამას მივყავართ მოვლენის განვითარების (ევოლუციის) ფორმულირებამდე ასაკის მიხედვით. იმისთვის, რომ გავიგოთ იმ განსხვავებების ერთობლიობა, რომელიც აღმოჩენილია ზრდასრულებსა და ბავშვებს შორის, საკმარისია, დავუშვათ, რომ დროითი გადატანის შესაძლებლობა იზრდება განვითარებასთან ერთად, მართლაც, (ფორმულა 2) თუ დავუშვებთ, რომ დროითი გადატანა სხვა არაფერია, თუ არა ვირტუალური ცენტრირების სისტემა. ეს მტკიცებულება ამყარებს მოსაზრებას, რომ ასაკთან ერთად რეგულაციები და დეცენტრაციები მატულობს, იმიტომ, რომ აქტუალური აღქმა ყოველთვის გულისხმობს ვირტუალურ მიმართებებს და შესაბამისად უფრო აქტიურია. ამგვარად, სწორედ ჩვენს მიერ გაკეთებულმა სხვადასხვაგვარი ანალიზის ერთობლიობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ეს დაგვეშვა (იხ. კვლევა I-III, კერძოდ I, ფორმულა 39 და 40). პრინციპში, სწორედ ეს შექცევადი აქტივობაა სივრცითი ილუზიების საერთო კლების მიზეზი. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს აქტივობა წარმოადგენს ერთსა და იმავე დროს უფრო ძლიერი ანტიციპაციების, მაგრამ აგრეთვე ამ ანტიციპაციების ილუზიური ეფექტის უფრო სწრაფი გაქრობის წყაროს. ამგვარად, შეგვიძლია დავწეროთ:

(10) Tpt (Ad) > Tpt (V-VII)

ესე იგი, ზრდასრულების დროითი გადატანა აჭარბებს 5-7 წლის ბავშვებისას, მაგრამ, აქედან გამომდინარეც (ფორმულა 2-ის შესაბამისად)

ზრდასრულის ვირტუალური ცენტრირებები გადადის ბავშვების ვირტუალურ ცენტრირებებზე:

(10 bis) Cv (Ad) > Cv (V-VII)

დავუშვათ, რომ ფორმულა (10) ჭეშმარიტია, აქედან გამომდინარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონტრასტული ილუზიები კლებულობს ასაკთან ერთად ცენტრირების სივრცით პირობებთან დაკავშირებული მიზეზების გამო, უტოლობა (3)-(6) მატულობს[1].[2] რაც შეეხება ჩაქრობას (7)-(9), გვახსოვს, რომ იგივე დროში (10 პრეზენტაცია) ჩაქრობა ზრდასრულ ადამიანში უფრო სწრაფად ხორციელდება, ვიდრე ბავშვში: თუ გადატანა უფრო ხანგრძლივია პირველში, ვიდრე მეორეში (10), ამ მაღალი სისწრაფის ასახსნელად, საჭიროა დავუშვათ, რომ დეცენტრირების უნარი ასევე უფრო დიდია ზრდასრულში. თუმცა, ეს სწორედ ის არის, რაც გამომდინარეობს (10) დებულებიდან. ამ შემთხვევაში, ჩაქრობა ზრდასრულ ადამიანში შეიძლება მიეკუთვნოს ,,პერცეპტული შედარების'' ერთგვარ ტიპს გადატანილ ფიგურასა (A_1+A_2 =20+28 მმ) და ამჟამად ცენტრირებულ ფიგურებს (B_1+B_2 =24+21 ან B'_1+B_2=23+24 და ა.შ.) შორის. ჩვენ გვახსოვს, რომ სივრცით სფეროში ,,შედარება'' განისაზღვრება, როგორც ,,თანადროული გადატანა'' (კვლევა II. განმარტება III). დროით სფეროში, თავისთავად გამომდინარეობს, რომ პერცეფციული გადატანა ყოველთვის პრივილეგირებულია, ვინაიდან აღქმა წარსულის აღდგენას ახერხებს მხოლოდ დროის ძალიან შეზღუდული ხანგრძლივობის ფარგლებში. მაგრამ, ვინაიდან დროითი გადატანა მდგომარეობს წინამდებარე ცენტრირების ამჟამინდელ ცენტრირებასთან დაახლოებაში (ფორმულა 2), სიმულტანური აღქმა გამოხატული იქნება ამ ცენტრირების გაძლიერებაში, გადატანის გაუქმების გარეშე, მოკლედ, მოხდება ერთ-ერთი ცენტრირების ,,დეცენტრირება'' მეორეს მიერ: არა წინამდებარე გავლენების გაუქმება, არამედ რეგულაცია, ესე იგი, კომპენსაცია ან კორექცია. ბავშვში, პირიქით, დროითი გადატანა თვითონვე ჩერდება და ამგვარად წყვეტს გავლენას საბოლოო ფიგურაზე (B_1+B_2) ან ცენტრირება ამ უკანასკნელზე განახორციელებს გადატანილ ფიგურაზე (A_1+A_2) უფრო ნაკლებ დეცენტრირების ეფექტს, ვიდრე ზრდასრულ ადამიანში. ჩვენ ვხედავთ, (10) და (10 bis) როგორ უსვამს ხაზს ფორმულები, რომლებიც შედგება (7)-(9) ფორმულებისაგან, ბავშვსა და ზრდასრულ ადამიანს შორის არსებულ განსხვავებებს ჩაქრობის პროცესში, ისევე, როგორც უზნაძის ეფექტის შეძენაში (ფორმულა 1-6).

ჩვენი დასკვნაც ასეთი იქნება: როგორც ამ საკითხის ახსნას ვეცადეთ §4-ში, დროითი გადატანა ნამდვილად იძენს რეგულაციის შესაძლებლობას, რომელიც მას პრე-ოპერაციულ ხასიათს ანიჭებს. თავდაპირველად მიმოვიხილოთ წინარე პერცეფციების მარტივი ზეგავლენა ამჟამინდელ პერცეპციებზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წინარე პერცეფციების ასიმილაცია ამჟამინდელ პერცეფციებთან. დროში გადატანას შესწევს კორექციის უნარი, იმ თვალსაზრისით, რომ გადატანის წყალობით დაახლოებული ცენტრირებები აწონასწორებენ ერთმა-

[1] განსაკუთრებით უცნაურია იმის დადგენა, რომ უზნაძის ეფექტი ნაკლებად გამოხატული აღმოჩნდა სუსტი ყურადღების მქონე ბავშვებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, პირიქით, შეიძლება იმოქმედოს სხვა ფაქტორებმა, როგორიცაა კონტრასტის ეფექტების სიჭარბე.

[2] თუმცა, ვიცით იმ როლის შესახებ, რომელსაც Auersperg (აუერსპერგი) თამაშობს პერცეპციული ,,აღდგენის'' საკითხში.

ნეთს და დეცენტრირების მეშვეობით ახდენენ იმ დეფორმაციების კომპენსაციას, რომელიც ამ დაახლოებიდან გამომდინარეობს. მიისწრაფვის რა შექცევადობისკენ, აღქმისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობის ფარგლებში, დროში გადატანა და ტრანსპოზიცია, წარსულისკენ ორიენტირებული გადატანის არარსებობის გამო, მარტო ვერ აღწევეს ,,პერცეფციული შედარების'' დონეს, თუ ამ უკანასკნელს განვსაზღვრავთ ორმაგი ან თანადროული გადატანით. მაგრამ მეხსიერების, წარმოდგენის ან სენსო-მოტორული ინტელექტის ჩარჩოებში მოქცევის შემდეგ, ისინი ობიექტური შედარების საშუალებებად იქცევა. ასევე შეგვიძლია დავსვათ კითხვა, დროში გადატანის სიმულტანური მექანიზმი (ან ,,საწინააღმდეგო'') არის თუ არა აწმყოდან გამომდინარე უახლესი წარსულის აღდგენა, რაშიც, ალბათ, მდგომარეობს ყველაზე უფრო შექცევადი ან ყველაზე ნაკლებ შეუქცევადი აქტივობა და რომლის უნარიც შეიძლება აღქმას ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით, აქ შესწავლილი მექანიზმი უზრუნველყოფდა პერცეპციისა და მეხსიერების კავშირს, ტრაექტორია, რომელსაც მივყავართ წარსულიდან აწმყომდე, რაც, ძირითადად, პერცეპტული ხასიათისაა და უკვე მნემონიკური საპირისპირო და დამატებითი ტრაექტორია, ამ შემთხვევაში ორივე ერთად მიისწრაფვის ,,დროში შედარებისკენ''.

ეს ჰიპოთეზა რომ ჭეშმარიტი იყოს, გავიგებდით, გონებრივ განვითარებასთან ერთად პერცეპციები რატომ მიისწრაფვის შედარებით იმაზე მაღალი შექცევადობის მდგომარეობისკენ, ვიდრე ეს პატარა ბავშვებშია. თუმცა, ეს შედეგი, რომელსაც ზოგადი სახე აქვს ზოგიერთ იმ კვლევაში, რომლის გაკეთებაც ამ დრომდე შევძელით, საკმაოდ უცნაური რჩება. გასაგებია, რომ აღქმა მიდის სრულ შექცევადობამდე ლოგიკის ოპერაციების გავლენის ქვეშ, რადგან ამ შემთხვევაში აღქმა პირდაპირ გადადის ინტელექტში იმგვარად, რომ პატარა ბავშვების ინტუიციური აზროვნება ხდება რაციონალური მისი ეგოცენტრიზმის ,,დეცენტრირების'' გზით, რათა ისინი შექცევადი ოპერაციებით დასრულდეს. ამ შემთხვევაში, პერცეპციული დეცენტრირება, ცენტრირებიდან გამომდინარე, დეფორმაციებთან მიმართებაში, დაუყოვნებლივ ითამაშებდა როლს, რომელსაც ოპერატიული ,,დაჯგუფება'' თამაშობს ეგოცენტრიზმთან, პერცეფციის რეგულაციასთან მიმართებაში, და რაც სრული შექცევადობისკენ მიისწრაფვის. ამგვარად, თუკი ეს სქემა, სავარაუდოდ, მართებულია უმთავრეს შტრიხებში, ის აკავშირებს მექანიზმების უწყვეტი გაგრძელების ჯაჭვის მხოლოდ ორ უკიდურეს რგოლს, რომლის შუალედური რგოლები უნდა ვეძებოთ მოტორული სისტემის, ჩვეულების სფეროებში და იმ წარსულის აღქმაში, როგორიცაა მეხსიერება, ასევე სენსორულ-მოტორული ინტელექტის სქემებში და, ბოლოს, ინტუიციური ან პრე-ლოგიკური ინტელექტის სფეროებში. სწორედ ამიტომ პერცეფციის მიერ შესრულებული პროგრესი, გონებრივი განვითარების პროცესში, მდგომარეობს თავდაპირველი შეუქცევადობის მხოლოდ სუსტ შემცირებაში. ამის მიზეზი ნამდვილად ის არის, რომ ინტელექტი არ მოქმედებს პირდაპირ პერცეფციაზე, იმ სფეროში, სადაც პრე-ოპერაციული მობილობა ხდება: პერცეფციები ინტეგრირდება უპირველეს ყოვლისა, უფრო ფართო სენსო-მოტორულ სქემებში, თუმცა, მაშინვე მის შემადგენელ ნაწილებად არ იქცევა (ვაიცზეკერის ,,Gestaltkreis''-ის თვალსაზრისით), შემდეგ ეს უკანასკნელები, თავის მხრივ, ინტეგრირდება რეპრეზენტატულ (წარმომადგენლობით) სქემებში, რაც უზრუნველყოფს წარსულის აღდგენას, და რაც თავადვე ექვემდებარება ინტუიციური აზროვნების პრე-ოპერაციებს, და ა.შ. აქედან

მოყოლებული, თუ გონებრივი განვითარების პროგრესი აისახება პერცეფციაზე, ეს არ ხდება პირდაპირი გზით, არამედ, პირიქით, განპირობებულია თანმიმდევრული ინტეგრაციების ფაქტით: რაც უფრო მდიდრდება ერთიანობის სისტემა ზემოდან, ოპერაციული მობილობისა და შექცევადობის თვალსაზრისით, ამ უმაღლესი დინამიზმის უკვე საკმაოდ შესუსტებული კონტრ-დარტყმა იგრძნობა სისტემის ელემენტარულ ორგანოებში. ალბათ, სწორედ ამის გამო დროითი ტრანსპოზიცია, რომელიც დამახასიათებელია პერცეფციული ,,აიშტენლუნგისათვის'', ცოტა უფრო შექცევადია ზრდასრულ ადამიანში, რომელიც ყოველდღიურად ახორციელებს ოპერაციებს, ვიდრე 5-6 წლის ბავშვებში, რომელთა აღქმის მექანიზმები ინტეგრირებულია მხოლოდ ინტუიციურ და ეგოცენტრულ აზროვნებაში და ვერც ერთ წერტილში ვერ აღწევს სრულ შექცევადობას. სამაგიეროდ, შექცევადობის თვალსაზრისით გაუმჯობესება შეინიშნება უკვე 6-7 წლის ბავშვებში (იხილეთ ცხრილები V-VII) და ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ ისინი არიან სწორედ ოპერაციების დაწყების ასაკში, თითქოს ეს მზარდი პერცეპტული მობილობა ხელს უწყობს ამ ოპერაციების წარმოქმნას.

მაშ ასე, შეგვიძლია ერთით მეტი ჰიპოთეზის დაშვება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ გვესმის უკვე ჩამოყალიბებული ოპერაციების შესაძლო უკუდარტყმა პერცეპციებზე, რომლებიც თანმიმდევრულ სქემებში ერთიანდება და რომელთა პირობები ოპერაციული ხასიათისაა, საჭიროა დავსვათ კითხვა, თუ რითი აიხსნება თვითონ ამ ოპერაციების ჩამოყალიბება. ამგვარად, სრულიად შესაძლებელი იქნება, რომ დაახლოებით 7 წლის ასაკში შექცევადი მობილობის მიმართულებით წარმოიქმნას სენსო-მოტორული ცვლილებების ერთობლიობა, რაც განპირობებული იქნება სენსო-მოტორული სისტემების და ნერვული სისტემის მომწიფებით. ამის შემდეგ, ეს ფუნქციური პროგრესი შეიძლება აისახოს კონცეპტუალურ და ვერბალურ სქემებზე, რომლებიც ,,გეგმავენ'' ყველანაირ მოქმედებას და ის აზროვნებაში გადააქვთ, და სწორედ ეს რეფლექსური განზოგადება წარმოქმნის ოპერაციას. ეს უკანასკნელი, როგორც კი ჩამოყალიბდება ,,ჯგუფების'' ფორმით, რაც მის წონასწორობას უზრუნველყოფს, იმოქმედებს შემდეგ, უკუდარტყმის შედეგად, სქემების იერარქიის ქვედა ეშელონებზე. ამ ჰიპოთეზის თანახმად, დროითი გადატანისა და ტრანსპოზიციის აქტივობის გაზრდა, რასაც ზრდასრულები პატარებთან მიმართებაში ავლენენ, ერთსა და იმავე დროს, ბევრ სხვა გამოვლინებასთან ერთად, იქნებოდა იმ სენსო-მოტორული ტრანსფორმაციების ერთიანობის გამოვლინება, რომლებიც წარმოადგენენ ოპერაციების წარმოშობის წყაროს და ასევე იქნებოდა ამ ოპერაციების რეაქციის შედეგი მთელს სისტემაზე.

მთარგმნელი:
ალიანა ოქროპირიძე
დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

„უზნაძის ეფექტის“ კვლევა ჟ.პიაჟესა და თანამედროვე მეცნიერთა შრომებში

მაია რობაქიძე
ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერისიტეტი

როგორ ხდება ფიზიკური საგნობრივი სინამდვილის შესაბამისი აღქმის ხატის ფორმირება? სენსორული ინფორმაციის ინტერპრეტაცია იმდენად სწრაფად და თითქოს თავისთავად ხდება ადამიანის მიერ, რომ, ჩვეულებრივ, არც კი ვფიქრობთ, რამდენად რთულია ეს ამოცანა. ნებისმიერი სისტემის შესწავლა, როცა ის შეუფერხებლად მუშაობს ძნელია და მიზანშეწონილია შევისწავლოთ მაშინ, როცა ის შეცდომებს უშვებს, ან მისი მუშაობა ფერხდება. ამიტომაც, ინფორმაციის გადამუშავების სისტემის შესწავლისას მეცნიერები ხშირად მიმართავენ მის კვლევას გართულებული აღქმის პირობებში, მაგალითად, სტიმულების საზღურბლე ინტენსივობის, ხმაურის ან მრავალი სტიმულის ერთდროულად მოქმედებისას. პერცეპტული პროცესების შესწავლისას მხედველობითი ილუზიების კვლევა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა. ილუზორული აღქმა მცდარ ცნობებს გვაწვდის გარემოს შესახებ და ხშირად სწორედ ამიტომაც გვეხმარება აღქმის მექანიზმების საიდუმლოებათა გარკვევაში (П. Колерс, 1974). ილუზიები აღქმის ფსიქოლოგიურ თეორიებს მნიშვნელოვან მონაცემებს აწვდიან. აღქმის ილუზიებით დაინტერესება ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 99-55 წლებში დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ მკვლევრებს ხშირად აინტერესებთ არა თავად ილუზიები, არამედ ის, რომ ილუზიების შესახებ ცოდნა ნათელს მოჰფენს აღქმის კანონზომიერებების შესწავლას.

სწორედ ამ თვალსაზრისით იყენებდა აღქმის ილუზიებს თავის კვლევებში ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერი **ჟან პიაჟე**. ის თანამედროვე კოგნიტურ ფსიქოლოგიაში გენეტიკური მიმართულების ფუძემდებელი იყო. მისი კვლევის ძირითადი სფერო შემეცნებითი, მათ შორის პერცეპტული პროცესების განვითარებაა (Пиаже & Фресс, 1978). ჟან პიაჟეს ექსპერიმენტული კვლევების დიდი ნაწილი ეთმობა აღქმის შეცდომების და ე.წ. დეფორმაციების, ანუ, ილუზიების კვლევას. ერთ-ერთ კვლევაში ის აღნიშნავდა კიდევაც ამის შესახებ: „შეიძლება გაგიკვირდეთ ამ ექსპერიმენტებისათვის შერჩეული „ილუზიების“ დიდი რაოდენობა... შეიძლება იფიქროთ, რომ, ერთი მხრივ, არსებობს თავად აღქმის მექანიზმები, ხოლო, მეორე მხრივ, მისი დეფორმაციების მექანიზმები... სუბიექტს არ შეუძლია საკუთარი სისტემატური შეცდომები თავად აღქმისაგან გამიჯნოს. უფრო მეტიც, ილუზიებს შესაძლოა თავად აღქმის მექანიზმი განაპირობებს... ისევე როგორც ბავშვის აზროვნების სისტემატური შეცდომების შესწავლა გვეხმარება ოპერაციული სტრუქტურების გამოვლენაში, ასევე ილუზიების შესწავლა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს აღქმისა და მისი განვითარების მექანიზმების კვლევის გზაზე“ (Пиаже & Фресс, 1978).

პიაჟე ილუზიების კლასიფიკაციაში ასხვავებს პირველად და მეორად ილუზიებს. პირველად ილუზიებს ის უწოდებს იმ ოპტიკურ-გეომეტრიულ ილუზიებს, რომლებიც სიმულტანურად ეძლევა ადამიანს, ასეთ ილუზიებს მიეკუთვნება მიულერ-ლაიერის, პონზოს, დელბეფის და სხვა. ისინი პირველადია, რადგან აღმოცენდნენ პერცეპტული ველის უშუალო გავლენით, მისი

ხანმოკლე ზემოქმედებისთანავე (Piaget & Lambercier, 1944) ყოველგვარი წინასწარი ვარჯიშის გარეშე. ასეთ დროს გამორიცხულია თვალის ძიებითი მოძრაობები, შედარების, ინფორმაციის ძიების და სხვა პერცეპტული მოქმედებები. სუბიექტი მთლიანად ველის გავლენის ქვეშაა. ეს პერცეპტული მოქმედებები ასაკთან ერთად ვითარდება. სწორედ ამით აიხსნება, რომ გეომეტრიულ-ოპტიკური ილუზიები ბავშვებთან უფრო გამოხატულია, ვიდრე ზრდასრულებთან. კერძოდ, მათი სიდიდე 5-6 წლიდან ზრდასრულ ასაკამდე თანდათან კლებულობს, თუმცა, მთლიანად არ ქრება. ჟ. პიაჟე დეფორმაციებს ყოველთვის კონტრასტის მოვლენით ხსნის. თავად კონტრასტის მოვლენის ახნისას, ის აცხადებს, რომ "აღქმა კოპირების, ან, უბრალოდ, ზუსტი გაზომვის მსგავსად არ ხორციელდება. ის გავს შერჩევის პროცესს, რომლის დროსაც ფიგურის არა ყველა წერტილი და მიკროსეგმენტი აღიბეჭდება, არამედ მხოლოდ ისინი, რომელზედაც არჩევანი გაკეთდა. შემდეგ, ამ შერჩეულ მიკროელემენტებს დანარჩენებს შეადარებენ და გადააფასებენ …ნებისმიერი ცოდნა (აღქმა იქნება ეს, თუ წარმოდგენა) სხვადასხვა ტიპის "ცენტრაციების'' გამო იმთავითვე დეფორმირებულია და მხოლოდ „დეცენტრაციას'' მივყავართ ობიექტური აღქმისაკენ (Пиаже & Фресс, 1978).

პირველადი ილუზიებისაგან პიაჟე განასხვავებს ე.წ. მეორად ილუზიებს, ანუ დროში თანმიმდევრულ მოვლენებს, რომლებიც წინასწარი საფიქსაციო ვარჯიშის შედეგად იქმნებიან და ასეთი ილუზიების ნიმუშად მას მოჰყავს დ. უზნაძის მიერ შესწავლილი ფიქსირებული განწყობის ილუზია. ამ ფენომენს ის „უზნაძის ეფექტს" უწოდებს (Piaget & Lambercier, 1944). საინტერესოა, რომ პიაჟემ განწყობის ილუზიების (ის იყენებს გერმანულ სიტყვას „აინშტელუნგს") შესწავლას დიდი კვლევა მიუძღვნა, რომლის შედეგებსაც ის 1944 წელს აქვეყნებს ნაშრომში - „ცდები თანმიმდევრული ვიზუალური პერცეპციისას გამოვლენილი აინშტელუნგის ეფექტზე (უზნაძის ეფექტი)" (Piaget & Lambercier, 1944). ამ შრომაში პიაჟეს ყურადღებით აქვს განხილული დ. უზნაძის ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტები, რომელთაც ის, სავარაუდოდ, გაეცნო უზნაძის მიერ 1930 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში გერმანულ ენაზე - "სიმძიმის ილუზიისა და მისი ანალოგების შესახებ" (Uznadze, 1930). დ. უზნაძის ამ კვლევას კი დიდი შრომა უძღვოდა წინ, რომელიც ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში მიმდინარეობდა.

დ. უზნაძემ ფსიქოლოგიური განათლება გერმანიაში მიიღო და ვუნდტის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში მუშაობდა. მან 1909 წელს გერმანიაში ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიიღო. საქართველოში ჩამოსულმა დ. უზნაძემ 1918 წელს დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის კათედრა და ფსიქოლოგიური ლაბორატორია, რომელმაც საქართველოში ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სკოლის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა დ. უზნაძის მონოგრაფიამ „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები", რომელიც 1925 წელს გამოიცა. ეს ნაშრომი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში პირველად იყო განხილული განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის გარკვეული პრინციპები, თუმცა, განწყობის მთლიანპიროვნული ბუნება დადგინდა მომდევნო წლებში ჩატარებული ინტენსიური კვლევებით, რომლის შედეგები პირველად გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე გერმანულ ჟურნალში - „სიმძიმის ილუზიის და მისი ანალოგის შესახებ" („Ueber die Gewichtstäuschung und ihre Analoga." Psychologische Forschung, XIV,

1930, 366-379) ხოლო განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი ამავე წელს ასევე გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ფსიქოლოგთა IX საერთაშორისო კონგრესის მასალებში. ამ ნაშრომებით დ.უზნაძის განწყობის ექსპერიმენტების და განწყობის თეორია ცნობილი გახდა მსოფლიო ფსიქოლოგთა ფართო წრისათვის (უზნაძე, დ. ბიბლიოგრაფია, 2009).

პიაჟემ თავისი მონოგრაფია სწორედ ამ ნაშრომს მიუძღვნა. მან არა მარტო განიხილა დეტალურად დ. უზნაძის მიერ ჩატარებული ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტები ვიზუალურ სფეროში, არამედ გაიმეორა ეს ექსპერიმენტები მისთვის ჩვეული სიზუსტითა და ცვლადების დეტალური კონტროლით. პიაჟეს კვლევას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა:

1. ფიქსირებული განწყობის კვლევა, რომელიც ბავშვის შემეცნებითი პროცესების განვითარების თვალსაზრისით აინტერესებდა.

2. „უზნაძის ეფექტის“ მექანიზმების გაანალიზება მის მიერ უფრო ადრე ჩამოყალიბებული აღქმის განვითარების თეორიის ჭრილში.

საინტერესოა, რომ 1944 წლის ამ სტატიაში ჟან პიაჟე აღნიშნავს, რომ ის პირველი მეცნიერია, რომელიც „უზნაძის ეფექტს“ იკვლევდა ბავშვებში (Piaget & Lambercier, 1944), თუმცა ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტები ბავშვებთან ბევრად ადრე იყო ჩატარებული ქართველი მეცნიერების მიერ. სავარაუდოდ, პიაჟესათვის ეს შრომები არ იყო ხელმისაწვდომი. ერთ-ერთი ქართველი მკვლევარი, ბარნაბ ხაჭაპურიძე, რომელმაც თავისი ექსპერიმენტების დიდი ნაწილი სწორედ ბავშვებში ფიქსირებული განწყობის შესწავლის საკითხს დაუთმო, ამის შესახებ წერდა: „მეოთხე პრობლემა, რომელიც პიაჟეს ამ ნაშრომშია განხილული ეხება განწყობის კვლევას გენეტიკურ პლანში და განწყობის მოქმედების შედარებით დახასიათებას ბავშვებსა და დიდებში.... ჩვენი პირველი პუბლიკაცია ამ საკითხთან დაკავშირებით თარიღდება 1939[1] და 1941[2] წლებით.“ ბ. ხაჭაპურიძის მიერ ნახსენები პირველი შრომა გერმანულ ენაზეა და დაბეჭდილია ჰოლანდიაში (Хачапуридзе, 1976).

ჟან პიაჟე ამ სტატიის პირველ თავში მოკლედ მიმოიხილავს დროში თანამიმდევრული, ე.წ. მეორადი ილუზიების კვლევების ისტორიას და დ. უზნაძის ერთ-ერთ მთავარ მიგნებად, რაც მას სხვა მკვლევრებისაგან განასხვავებს, თვლის, „აინშტელუნგის“, როგორც უფრო ზოგადი და არა მარტო მოტორულ თუ კინესთეტიკურ სფეროში არსებული მოვლენის განხილვას. ის წერს: სრულიად არაა გამორიცხული, რომ „აინშტელუნგის“ ეს ცნება შეესაბამებოდეს ზოგად მექანიზმს და სხვა დანარჩენთან ერთად მხედველობისა და სმენის სფეროებშიც გვხვდებოდეს. სწორედ ამას ფიქრობდა უზნაძეც წონის ილუზიასთან დაკავშირებული საკუთარი კვლევების შესახებ: მას აინტერესებდა, ვიზუალური შედარებების დროს იმის მსგავს ეფექტს ხომ არ ვხვდებით, რომელსაც წონისა და მოცულობის ურთიერთმიმართებისას წარმოქმნილი ილუზია იწვევს?“

1 Uznadze D. Untershcungen Zur Psychologie der Einstellung, Acta Psychologica, vol. 4, 1939, Haaga

2 Хачапуридзе Б.И. Хекоротиэ особенности установки у детеи,. Труды Тбилис, гос. Университета, т.XVII

პიაჟეს ექსპერიმენტების მონაწილეები იყვნენ 5-7 წლამდე ბავშვები და 20-32 წლამდე ზრდასრულები. მან აღმოაჩინა რამდენიმე საინტერესო კანონზომიერება, რაც უფრო ადრე ქართველი მეცნიერების მიერ იყო დადასტურებული 1940-41 წლებში ჩატარებულ ექსპერიმენტებში (Хачапуридзе, 1976):

1. „უზნაძის ეფექტი" უფრო სუსტად ვლინდება პატარა ბავშვებში, ვიდრე ზრდასრულებში, კერძოდ ილუზიის სიდიდე უფრო მცირეა ბავშვებში, მათ შორის ყველაზე მცირეა 5-6 წლის ბავშვებში, უფრო მეტია 6-7 წლისებში და ყველაზე მაღალია ილუზიის მაჩვენებლები ზრდასრულებში.

2. „უზნაძის ეფექტის" ჩაქრობის პროცესიც განსხვავებულად მიმდინარეობს ბავშვებსა და ზრდასრულებში. ბავშვებში, მიუხედავად მისი სისუსტისა, ის ადვილად არ ქრება - გამოხატულია შეკავების პროცესი. ზრდასრულებთან კი პირიქით, ის უფრო ძლიერად არის გამოხატული და ასევე ძლიერად არის გამოხატული მისი შეკავების პროცესები.

3. ზრდასრულებში უფრო მეტია კრიტიკულ ცდაში მიწოდებული ტოლი წრეების კონტრასტული შეფასების შემთხვევები, ვიდრე ასიმილაციურის, ბავშვებში კი - პირიქით. პიაჟე ასკვნის, რადგან თავისთავად კონტრასტის ეფექტები, როგორც ტიპური ველის ეფექტები, ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება, კონტრასტის ფენომენის აქ დაკვირვებული ზრდა შეიძლება იყოს გამოწვეული დროებითი კავშირების აღმოცენებით არატოლი წრეების სამ ექსპოზიციასა და ტოლი წრეების ექსპოზიციებს შორის. ყოველივე ეს ავტორს აფიქრებინებს, რომ ბავშვების ქცევისათვის უფრო დამახასიათებელი ყოფილა პერსევერაცია და არა ანტიციპაცია. პერსევერაციის დროს, ბავშვები უბრალოდ იმეორებენ თავიანთ რეაქციას, რომელიც საგანწყობო ცდაში ექსპონირებული დიდ-პატარა წრეების შეფასებისას ჰქონდათ და ტოლი ობიექტების წარმოდგენისას იგივე საპასუხო რეაქციას აგრძელებენ; ანტიციპაცია კი გულისხმობს ინტელექტუალური განვითარების შედარებით მაღალ დონეს, რაც, უფრო გვიან ასაკში ჩნდება. ზრდასრულმაც შესაძლოა იგივე რეაქცია გამოავლინოს მასალის შემდეგ ექსპოზიციებზე, თუმცა, ეს ანტიციპაციის (მოვლენათა წინასწარგანჭვრეტის) საფუძველზე გაკეთებული გამეორება იქნება და არა ავტომატური, პერსევერაციის გამო.

4. ჟ. პიაჟემ ასევე ჩაატარა ე.წ. ფორმის ტრანსპოზიციის ექსპერიმენტები, რომელიც განწყობის ფსიქოლოგიაში „განწყობის გენერალიზაციის" ექსპერიმენტებითაა ცნობილი. კერძოდ, ის განსხვავებული ზომის წრეებზე განწყობის შემუშავების შემდეგ თავისი ცდის მონაწილეებს კრიტიკულ ცდებში წარმოუდგენდა ტოლი წრეების ნაცვლად სხვა ფორმის ტოლ ობიექტებს (კვადრატებს, შავად გაფერადებულ წრეებს). ჟ.პიაჟემ აქაც მიიღო ე.წ. უზნაძის ეფექტი. ხოლო ასაკობრივ ჭრილში ამ ფენომენის დაკვირვებისას, აღმოჩნდა, რომ "აბსოლუტური სიდიდის გათვალისწინებით ბავშვებში ტრანსფერი უფრო მცირეა, ვიდრე ზრდასრულებში, ანალოგიურად, როგორც ეს თავად ეფექტის ფორმირების ცდებში აღინიშნებოდა" (Piaget & Lambercier, 1944).

საინტერესოა, რომ ანალოგიური შედეგებია მიღებული ბ. ხაჭაპურიძის მიერ უფრო ადრე, 1940-1941 წლებში ჩატარებულ კვლევებში ბავშვებზე, რომლის შედეგებიც ასახულია ნაშრომში „ბავშვთა განწყობის ზოგიერთი თავისებურებანი". ამ შრომაში ასევე განხილულია ირადიაციის ფენომენი, რომელიც გულისხმობს ერთ სფეროში (ერთ მოდალობაში) შემუშავებული განწყობის

ეფექტების გადატანას მეორე სფეროზე. კერძოდ, ცდის მონაწილეებს უმუშავდებოდათ განწყობა სიმძიმეების შეფასებაზე, ხოლო კრიტიკულ ცდებში ტაქისტოსკოპურად მიეწოდებოდათ ტოლი წრეები. განწყობის ირადიაციის შედეგები მსგავსია პიაჟეს მიერ ბავშვებზე ჩატარებულ ცდებში გამოვლენილი „განწყობის ეფექტებისა“: აქაც თავს იჩენს სკოლამდელ ბავშვებში უფრო ნაკლები კონტრასტული და მეტი ასიმილაციური ილუზიების რაოდენობა, რაც, ასაკთან ერთად იცვლება. ირადიაციისა და გენერალიზაციის ექსპერიმენტებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განწყობის ფენომენის, როგორც მთლიანპიროვნული, არალოკალური მოვლენის გააზრებაში.

საინტერესოა, რომ ბავშვებში განწყობის ფორმირების ანალოგიური მექანიზმები დადასტურებული იყო მოგვიანებით კანადელი მეცნიერების მიერ. ალბერტას უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერებმა არაერთი კვლევა მიუძღვნეს „უზნაძის ეფექტს.“ ერთ-ერთი მათგანი, ჰ.იანსენი წერს: „ქცევის მოდელი, რომელსაც უზნაძე წარმოადგენს, ინდივიდსა და გარემოს შორის ურთიერთობის დინამიკურ მოდელს განეკუთვნება, უზნაძის განწყობის ტერმინი გარკვეუწილად მსგავსია პიაჟეს ადაპტაციის ტერმინისა, რომელიც მოიცავს გარემოს აკომოდაციისა და ასიმილაციის ცნებებსა და შინაგან სქემასთან მათ დაახლოებას“. ზოგადად, ავტორი ფიქსირებულ განწყობას განიხილავს იმპულსურ, ანუ ფიზიოლოგიურ დონეზე მიმდინარე პროცესად, ხოლო ობიექტივაციას - ფსიქოლოგიურ დონეზე. მის კვლევებში დადასტურდა, რომ ჰაპტურ სფეროში ბევრად მეტ ბავშვს გამოუმუშავდა ილუზია (90%), ვიდრე ვიზუალურში (50%), რაც, მისი აზრით, დაკავშირებულია ნერვული სისტემის განვითარების სხვადასხვა ტემპთან, შესაბამისად, სხვადასხვა შეგრძნების განვითარება კავშირშია განწყობის წარმოქმნასთან (Jansen, Maguer & Boersma, 1976).

მიუხედავად საერთო მიგნებებისა, პიაჟე ხაზს უსვამს რიგ მეთოდოლოგიურ სხვაობას, რასაც მან უზნაძის ექსპერიმენტების რეპლიკაციაში მიმართა. პიაჟე თავის ექსპერიმენტებში აკრიტიკებს დ. უზნაძეს, რადგან მას არა აქვს ჩატარებული წინასწარი საკონტროლო ცდები იმის გადასამოწმებლად, თუ როგორ აფასებს სუბიექტი ზოგადად ტოლ ობიექტებს, ხომ არ იჩენს თავს ეს გადაფასება თავიდანვე, ანუ ტოლი ობიექტები სუბიექტებს იმთავითვე არატოლად ხომ არ ეჩვენებათ. ის წერს: „უზნაძე ჩვენ არ გვეუბნება, დაიჭირა თუ არა თადარიგი საიმისოდ, რომ დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ორი ტოლი წრე მაშინაც ასეთად ეჩვენებათ, როდესაც „აინშტელუნგი“ არ იქმნება და არც იმას, რომ განსხვავება 25-დან და 26 მმ-მდე წრეებს შორის არ აღემატება სუბიექტის მგრძნობელობას (1 მმ 25 მმ-ისთვის ანუ 4%).“ განწყობის შემუშავების ექსპერიმენტებს ჟ. პიაჟე სწორედ ამ ე.წ. „წინასწარი ფაზით და სუბიექტის მგრძნობელობის განსაზღვრით იწყებს“. თუმცა, არც ეს მიგნება შეიძლება ჩაითვალოს ჟ. პიაჟეს ორიგინალურ ინსაიტად, რადგან ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ჩატარებული კვლევებში, რომელიც 1940-41 წლებში ბ. ხაჭაპურიძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, განწყობის ექსპერიმენტებს წინ ყოველთვის უსწრებდა ე.წ. „საკონტროლო ცდები“, სადაც ხდებოდა ცდის პირთა „სენსორული ასიმეტრიის“ კვლევა. ამ ფენომენის შესწავლას მოგვიანებით იგივე მეცნიერმა ცალკე შრომა მიუძღვნა „სენსორული ასიმეტრია და ფიქსირებული განწყობა.“ დ. უზნაძე მოგვიანებით თავის შრომებში ხაზგასმით აღნიშნავს ამ საკითხის კვლევის დიდ მნიშვნელობას განწყობის ფენომენის დადასტურებაში.

ის წერს, რომ ამ წინასწარი კვლევების გარეშე „არ შეიძლება დაწრმუნებული იყო, თუ რით განისაზღვრება თითოეულ ცალკე შემთხვევაში ცდის პირის ჩვენება - საქმის ვითარების ობიექტური შეფასებით, თუ მხოლოდ თვით სუბიექტის თავისებურებით, მისი ასიმეტრიულობით.“ დ. უზნაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს ბუნებრივი ასიმეტრია შეიძლება ე.წ. „ბუნებრივად“ ფიქსირებული განწყობის გამოვლენას წარმოადგენდეს (უზნაძე, 1977).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური სხვაობა ჟ. პიაჟესა და დ.უზნაძის კლასიკურ ექსპერიმენტებში იყო დამოკიდებული ცვლადის, ანუ ე.წ. ეფექტის გაზომვის ხერხი. დ. უზნაძე კრიტიკულ ცდაში სუბიექტებს აწოდებს ტოლ ობიექტებს და აფიქსირებს გადაფასების შემთხვევებს, ანუ ფიქსირებული განწყობის სიძლიერის დადასტურება ხდება კრიტიკულ ცდაში ილუზორული აღქმის გამოვლენის სიხშირით, კონკრეტულად კონტრასტული ილუზიების რაოდენობით, ხოლო ჟ. პიაჟეს თავის ცდებში სუბიექტებს კრიტიკულ ცდაში აწოდებდა პირველად ტოლი, ხოლო თუ დადასტურდებოდა გადაფასება, ამის შემდეგ არატოლი, ერთმანეთისაგან მცირედით განხვავებული ობიექტების სერიას და როცა ცდის პირი ამ უტოლო ობიექტების ტოლობის ფაქტს ადასტურებდა, ამ განსხვავებას ორი წრის დიამეტრებს შორის ის უწოდებდა ე.წ. „უზნაძის ეფექტს“. ანუ, პიაჟეს ექსპერიმენტებში იზომებოდა განწყობის ილუზიის სიდიდე მილიმეტრებში და არა ეფექტის ჩასაქრობად საჭირო ექსპოზიციების რაოდენობით. საინტერესოა, რომ ბ. ხაჭაპურიძის მიერ 1940 წლებში ჩატარებულ ექსპერიმენტებში ეს მეთოდიც იყო ნაცადი, რასაც ის მოგვიანებით ჟ.პიაჟეს კვლევების კრიტიკის დროს აღნიშნავს. სხვა ქართველ მეცნიერებსაც არ გამორჩენიათ ეს საკითხი მხედველობიდან და მას მიუძღვნეს არაერთი საინტერესო კვლევა უფრო ადრე, ვიდრე პიაჟე გამოაქვეყნებდა თავისი კვლევების შედეგებს, რაც ასახულია ა. ავალიშვილისა და რ. ნათაძის 1942 (ავალიშვილი, 1942) და 1941 (ნათაძე, 1941) წლებში გამოცემულ ნაშრომებში.

თუმცა, განწყობის ფსიქოლოგიის მკლევრები ამ მეთოდში ბევრ ხარვეზს ხედავენ. ამ მეთოდოლოგიური მიდგომის ნაკლს თავად პიაჟეც აღნიშნავს, რადგან კრიტიკულ ცდაში არატოლი ობიექტების მიწოდება, თავის მხრივ, ახალი ფიქსირებული განწყობის შემუშავების საფრთხეს ქმნის. ის წერს: „თუმცაღა, ეს საკითხი პრობლემას ქმნის. თუ ორი წრე, ვთქვათ 22 და 24 მმ-ისა, ერთნაირად ჩანს, მაშინ როდესაც პირველად ოპტიკურ ცენტრებზე მათი რეალური სიდიდით აღიბეჭდებიან, გამოიწვევს თუ არა ეს ახალ „აინშტელუნგს“..“.თუმცა, აქვე დასძენს ამ საკითხის ექსპერიმენტული გზით გადაწყვეტის სირთულეებზე და პრობლემის ნაწილობრივ გადაწყვეტას იმაში ხედავს, რომ კრიტიკულ ცდაში ექსპონირებულ წრეებს შორის მცირე სხვაობა ვერ შეძლებს „აინშტელუნგის“ გამოვლენაზე მნიშვნელოვანი ცვლილების მოხდენას . ის წერს: „ეს განსხვავება შედარებით პატარა იქნებოდა და ვერ შეძლებდა შეენარჩუნებინა „აინშტელუნგი“. თუმცა, ცხადია, რომ ამ დროს წარმოქმნილი დამატებითი ცვლადების გაკონტროლება შეუძლებელია და პიაჟეს მიერ გამოყენებული ეს მეთოდი მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს.

ფიქსირებული განწყობის ილუზიის სიდიდის გაზომვის ეს მიდგომა მოგვიანებით მკვლევრების ყურადღების ველში მოექცა და დღემდე არ კარგავს აქტუალობას. თუმცა, მათ მიერ გამოყენებული მეთოდი განსხვავდებოდა პიაჟეს მიერ გამოყენებული ტექნიკისაგან უპირველეს ყოვლისა იმით, რომ განწყობის შეფასებაში მეცნიერებმა მოტორული აქტივობაც ჩართეს. ასეთი ტიპის ექსპერი-

მენტებში ცდის მონაწილეს კრიტიკულ ცდაში მიწოდებული ტოლი ობიექტების გათანაბრება ხელის მოძრაობით ევალებოდა. ერთ-ერთ ექსპერიმენტში ე.წ. ილუზიომეტრით ხდებოდა წრეთა ექსპონირება. ცდის პირს შესაძლებლობა ჰქონდა ეკრანზე განათებული წრეების ზომები შეეცვალა სპეციალური ღილაკების მოძრაობის საშუალებით. როცა ის კრიტიკულ ცდაში ტოლ ობიექტებს არატოლად აღიქვამდა, სპეციალური გადასართავით ათანაბრებდა, ანუ ზრდიდა იმ წრის დიამეტრს, რომელიც უფრო პატარა ეჩვენებოდა. უფრო პატარა კი ის ობიექტი ეჩვენებოდა, როგორც წესი, რომელ მხარესაც მანამდე დიდი ობიექტი მიეწოდებოდა (კონტრასტული ილუზია); ანუ მოქმედება, რომელსაც ახორციელებდა სუბიექტი, ასიმილაციური იყო: ანუ საითაც დიდი წრე იყო ექსპონირებული კვლავ დიდი წრე უნდოდა რომ ყოფილიყო, შესაბამისად დიდი წრის ადგილზე მყოფი წრე პატარა ეჩვენებოდა და ზომაში ზრდიდა მას, რათა მეორე წრისათვის გაეტოლებინა. ექსპერიმენტატორი კი სკალაზე ხედავდა მმ-ებში გამოსახულ ცვლილებას. ამ ექსპერიმენტებით ხდებოდა განწყობის ილუზიის სიდიდის გაზომვა (კინწურაშვილი, 1967). ანალოგიური ტიპის არაერთი ექსპერიმენტი იყო ჩატარებული ქართველი ფსიქოლოგების მიერ - ბჟალავა, ჩხარტიშვილი, ტაბიძე. სენსომოტორულ სფეროში ფიქსირებული განწყობის ფორმირებას შოთა ნადირაშვილმაც დიდი ყურადღება დაუთმო თავის ექსპერიმენტებში და განსხვავებული ინტერპრეტაციით მიუდგა განწყობის ეფექტს. სენსომოტორულ სფეროში განწყობის მოქმედების დახასიათებისას ის აღნიშნავს: : „ინდივიდები ამ განწყობის გავლენით იწყებენ ასიმილაციური მოქმედებისა და ამ მოქმედების კონტრასტულ შეფასებას, როდესაც ინდივიდს თავისი განწყობისათვის შეუფერებელი ამოცანის შესრულება უხდება, განწყობის გავლენით, ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის ფაქტები თითქმის 100%-ით იჩენს თავს“ (ნადირაშვილი, 1983).

ცხადია, პიაჟესა და უზნაძის კვლევებში მეთოდოლოგიურ სხვაობებზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია თავად განწყობის ეფექტების ინტერპრეტაციაში სხვაობა. როგორ ხსნის პიაჟე განწყობის ეფექტებს? პიაჟე უზნაძის ეფექტის მექაზმების გაანალიზებისას მიდის იმ დასკვნამდე, რომ „აინშტელუნგი“ წარმოადგენს ე.წ. მცდარ ტრანსპოზიციას. ტრანსპოზიცია კი, პიაჟეს მიხედვით, არის პერცეპტული მოქმედების ერთ-ერთი სახე, რომელიც დამახასიათებელია ბავშვის განვითარების პრეოპერაციულ დონისათვის (ქირია, 2003). პიაჟე წერს: „ტრანსპოზიცია ეს არის აქტი, რომლის მეშვეობითაც მზერა, ერთი საგნიდან მეორეზე გადასვლის დროს, პირველის თვისებებს (სიდიდე, ფორმა და ა.შ.) განავრცობს მეორეზე... ,,აინშტელუნგი'' წარმოადგენს სწორედ მცდარ ტრანსპოზიციას... დროითი გადატანა და ტრანსპოზიცია, რომელიც ხორციელდება უზნაძის ეფექტში, უნდა იქნას მიჩნეული, როგორც პრეოპერაციული აქტივობები.“ მისი აზრით, ისევე, როგორც სხვა პერცეპტული ქმედებები ვითარდება გონებრივ განვითარებასთან ერთად, მარტივია დავასკვნათ, რომ ეს ტრანსპოზიცია ვითარდება ასაკთან ერთად, შესაბამისად, უზნაძის ეფექტის ზრდა ასაკთან ერთად ამით აიხსნება. რაც შეეხება, იმ ფაქტს, რომ ის მალე ქრება ზრდასრულებთან და უფრო დიდხანს ნარჩუნდება ბავშვებთან, პიაჟე ამას სწორედ ტრანსპოზიციის თავისებურებით ხსნის, ტრანსპოზიციას „ობიექტურ მონაცემებთან წინააღმდეგობის გაჩენის შემთხვევაში ახასიათებს უკან დახევის შესაძლებლობა... როცა მოძრაობა სრულდება მარცხით, იგი გარდაიქმნება

საწინაღმდეგო მიმართულების მოქმედებად, ისე, რომ ტრანსპოზიციაც და შემდეგ ანტიციპაციაც (როდესაც ეს ტრანსპოზიცია მიდის ცნობიერ მოლოდინამდე) უქმდება უკანა სვლის მოქმედების დროს, წარუმატებლობის ან იმედგაცრუების შემთხვევაში“ (პიაჟე, 1944).

განსხვავებულად ხსნის იგივე ფენომენს დ. უზნაძე. უზნაძის განწყობის ექსპერიმენტული კვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ განწყობის ილუზიები გამოწვეულია ფიქსირებული განწყობის მოქმედებით, განწყობა წარმათავს პერცეპტულ პროცესს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ფსიქიკურ აქტივობას. ხოლო უზნაძის „განწყობა“ წარმოადგენს მთლიანპიროვნულ, არაცნობიერ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტის მოთხოვნილებისა და აქტუალური სიტუაციის თანხვედრით იქმნება და განსაზღვრავს ნებისმიერ ფსიქოფიზიკურ აქტივობას. გარკვეულ შემთხვევებში ამგვარად აღმოცენებული განწყობა გადადის შენახულ, ფიქსირებულ ფორმაში. „განწყობათა ფიქსაციის მექანიზმი, უზნაძის თანახმად, საზოგადოდ, გამოცდილების შეძენისა და შენახვის მექანიზმია. რაკი ფიქსირებული განწყობა ყველა იმ არსებითი ნიშნის მატარებელია, რაც საერთოდ განწყობას ახასიათებს, მისი კვლევით შესაძლებელი ხდება იმ სპეციფიური ზოგადფსიქოლოგიურ თუ დიფერენციალურ ფიქსოლოგიურ კანონზომიერებათა დაგეგმვა და შესწავლა, რაც განწყობის მოვლენას ახასიათებს“ (იმედაძე, 2008).

ამ სტატის ფარგლებს სცილდება პიაჟესა და განწყობის თეორიის დებატების ხანგრძლივი ისტორიის განხილვა, რომელიც გასული საუკუნის რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ ფიქსირებული განწყობის ილუზიების კვლევა დღესაც მიმდინარეობს და მეცნიერები ხშირად მას სწორედ პიაჟეს დამსახურების გამო „უზნაძის ეფექტს“ უწოდებენ. ბოლო წლებში მკვლევართა ყურადღებამ მკვეთრად გადაინაცვლა განწყობის და ზოგადად აღქმის ილუზიების მეთოდების დახვეწისაკენ, რამაც მეტი შესაძლებლობა მისცა მეცნიერებს, რომ ეს ფაქიზი ექსპერიმენტები, სადაც დროის, ობიექტების, ზომების და სხვა გარემო ცვლადების კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია, კომპიუტერული და უფრო დახვეწილი ტექნიკური საშუალებებით შეესწავლათ. ე.წ. „უზნაძის ეფექტის“ გაზომვის საინტერესო ცდას წარმოადგენს სანკტ-პეტერბურგელი მკვლევრების ჩატარებული ექსპერიმენტი, სადაც მათ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში უკვე კარგად აპრობირებული მეთოდი - განწყობის ილუზიის გაზომვა სენსომოტორული აქტივობის პროცესში - გადაიტანეს კომპიუტერზე. მიულერლაერისა და პონზოს ილუზიების საგანწყობო ცდაში ფიქსაციის შემდეგ ცდის პირს კრიტიკულ ცდაში ევალებოდა ტოლი ხაზების გავლება „touch-screen” საშუალებით, სადაც გეომეტრიულ-ოპტიკური ილუზიის ერთ-ერთი ვარიანტის წარდგენისას გამოვლინდა სუსტი ილუზია. ამ შემთხვევაშიც ილუზია იზომებოდა შესადარებელ ეტალონთან სიგრძის სხვაობით (მმ). ავტორები საუბრობენ ამ ეფექტების გამოყენებაზე სპორტის ფსიქოლოგიაში. არსებობს კვლევები, სადაც აღინიშნება, რომ სპორტსმენები უკეთ ახვედრებენ მიზანს, თუ რგოლი, სადაც უმიზნებენ, უფრო პატარა ეჩვენებათ, ვიდრე რეალობაშია, შესაბამისად ვიზუალური ილუზიების გამოყენებით ამის მიღწევა მარტივია (მაგ. კიდევ ერთი რგოლის შემოხაზვით, კონცენტრული წრეების ილუზია) (Lyakhovetski & Karpinskaia, 2017).

განწყობის ილუზიების ფიზიოლოგიური კორელატების ძებნის ინტერესი ასევე არ ნელდება. ამ მიმართულებით მიმდინარეობდა კვლევები თსუ ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში პროფესორ გივი ქირიას ხელმძღვანელობით. მის მიერ ორიგინალურად კონსტრუირებულ ხელსაწყოზე შესაძლებელი იყო საგანწყობო ობიექტების მანძილის ვარიაციით აღქმის კონსტანტობის ფენომენის გათვალისწინებით, ისეთი პირობების შექმნა, სადაც ცდის მონაწილეს განწყობა უფიქსირდება ან მხოლოდ ობიექტების რეტინალურ განსხვავებულობაზე (ცნობიერებაში მისი ტოლად აღქმის პირობებში), ან მხოლოდ განცდაში, ფენომენოლოგიურად განსხვავებული ზომის ობიექტებზე (მათი რეტინალური გამოსახულებების ტოლობის გათვალისწინებით), ან ამ ორივე დონეზე - ფიზიოლოგიურ და განცდისეულ-განსხვავებულობის პირობებში. შესაძლებელი გახდა ექსპერიმენტულად შეედარებინათ მხოლოდ სენსორულ, განცდისეულ და კლასიკურ პერცეპტულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობის თავისებურებები სიმტკიცის, ჩაქრობის ფაზების დინამიკის, განწყობის ტიპის გამოვლენის თავისებურებების მიხედვით. მონაცემების სტატისტიკური ანალიზით დადასტურდა, რომ მხოლოდ რეტინალურ უტოლობაზე შემუშავებული განწყობა გაცილებით უფრო მტკიცეა, მეტი კონტრასტული ილუზიებით ხასიათდება, ვიდრე მხოლოდ განცდაში აღბეჭდილ უტოლო ობიექტებზე ფიქსირებული განწყობა. ავტორი ასკვნის, „რომ რეტინალურად უტოლო ობიექტებით ფიქსირებული განწყობა და კლასიკური უზნაძისეული სქემით შემუშავებული განწყობის მოქმედების კანონზომიერებანი და ფორმალურ-დინამიკური მახასიათებლები მეტი მსგავსებით ხასიათდება, ვიდრე განცდისულად უტოლო ობიექტებით ფიქსირებული განწყობა.“ მიღებული შედეგებით დასტურდება მოსაზრება ფიქსირებული განწყობის ილუზიის აღმოცენებაში რეტინალური ფაქტორის დომინანტური როლის შესახებ (რობაქიძე, 2009). საინტერესოა, რომ პიაჟე თავის სტატიაში ზედაპირულად შეეხო ამ საკითხს, როცა ამბობდა :“ვვარაუდობთ, რომ აღქმის კორექცია მიმდინარეობს მეორად ცენტრებში, მაგრამ ჩვენ არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ეს არ იქნა მიღებული პირველადი და მეორადი ცენტრების ურთიერთზემოქმედების შედეგად“. როგორც ამ ანალიზიდან ჩანს, პიაჟე აქ ეხება ზოგადად აღქმის ილუზიების პერიფერიული თუ ცენტრალური დეტერმინაციის საკითხს. თუმცა, ის აქვე დასძენს, რომ ექსპერიმენტულად ამ საკითხის კვლევა ძალიან რთული იქნებოდა (პიაჟე, 1944).

აღსანიშნავია, რომ ფიქსირებული განწყობის კვლევის ექსპერიმენტული მეთოდიკა, რომელიც „უზნაძის ეფექტითაა“ ცნობილი, დღემდე პოპულარულია კოგნიტური პროცესების მკვლევრებს შორის. თანამედროვე ტექნიკური საშუალებები აადვილებს ექსპერიმენტის უფრო ზუსტ დაგეგმვას და თუ პიაჟე გადაულახავ სირთულედ მიიჩნევდა აღქმის ილუზიების პერიფერიული თუ ცენტრალური დეტერმინაციის საკითხების კვლევას, თანამედროვე მეცნიერების ინტერესები აღქმის ილუზიების მიმართ სწორედ ამ თემითაა განპირობებული. ერთ-ერთ მაგალითია, იტალიელი მეცნიერების შარშანდელი კვლევა (Ucceli, S., Pisu V., Riggio L., & Bruno, N. 2019) ამ ექსპერიმენტებში ნაკვლევია განწყობის ფენომენები ჰაპტურ სფეროში, როდესაც ცდის მონაწილეებს ფიგურები წარმოედგინებოდათ ვიზუალურად და მათ თითების მოძრაობით უნდა შეეფასებინათ (საჩვენებელი და დიდი თითის მოხრით, თითქოს იღებს ობიექტს) კრიტიკული ობიექტები. განწყობის ფენომენი ამ ექსპერიმენტებშიც გამოვლინ-

და, რაც მსგავსია დ. უზნაძისის ინტერმოდალური ირადიაციის ექსპერიმენტებისა. ავტორი აღნიშნავს, რომ შედეგები საინტერესოა იმით, რომ ერთ მოდალობაში შემუშავებული განწყობა ვლინდება სხვა მოდალობაში (კერძოდ ჰაპტურ სფეროში). ავტორი ამ ექსპერიმენტების შედეგებს იყენებს, როგორც ემპირიულ დადასტურებას ვიზუალური ინფორმაციის გადამუშავების ორკომპონენტიანი თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებს, რომ არსებობს ორი ვიზუალური სისტემა - ვენტრალური და დორსალური, აქედან პირველი პასუხისმგებელია ვიზუალურ შინაარსებზე, იდენტიფიკაციზე, ამოცნობაზე, ხოლო მეორე ვიზუალური ინფორმაციის ტრანსფორმირებას ახდენს სენსომოტორული აქტივობისათვის. ავტორი ამ ექსპერიმენტებით ასკვნის, რომ ორივე სისტემა იყენებს „ერთი და იგივე გლობალურ კონტექსტუალურ ინფორმაციას“ და აღქმის ილუზიების ერთი ცენტრალური ფაქტორით განპირობებულობისაკენ იხრება.

ამავე კვლევით ცენტრში, იტალიის პარმას უნივერსიტეტის ნეირომეცნიერებების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული იყო განწყობის გენერალიზაციის ექსპერიმენტები მხოლოდ სამგანზომილებიან ფიგურებზე. დამოუკიდებელი ცვლადი იყო, როგორც ფიგურის ფორმა, ასევე ფერი, სიკაშკაშე და მოტრიალების კუთხე. შედეგები ადასტურებს უზნაძის და პიაჟეს კვლევებში მიღებულ შედეგებს გენერალიზაციის ფაქტის შესახებ. მკლევრები ამ მოვლენას ხსნიან მიმართებების განზოგადებით. კონტრასტული ილუზიების რაოდენობა მცირდება საგანწყობო და კრიტიკულ ფიგურებს შორის მსგავსების შემცირებასთან ერთად, ზუსტად ისევე, როგორც განწყობის კლასიკურ ექსპერიმენტებშია. ფერის და სინათლის ინტენსივობის ცვლილებამაც იმოქმედა კონტრასტული ილუზიების რაოდენობის შემცირებაზე (Bruno, Garofalo, Daneyko & Riggio, 2018).

განწყობის ფენომენის ფიზიოლოგიური კორელატების ძიება არა მარტო ფსიქოლოგებისათვის, არამედ ნეიროფიზიოლოგებისათვისაც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. როგორც ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში (ბჟალავა, 1961), ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მეცნიერები კვლავ დაინტერესებულნი არიან განწყობის ფენომენის პრაქტიკული გამოყენების საკითხით მედიცინაში, სადიაგნოსტიკო ამოცანების გადაწყვეტის პროცესში: უნგრეთის ნერვულ და მენტალურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტის მკვლევრის, ტიბორ მაგოსის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებში დადასტურდა უარყოფითი კორელაცია განწყობის სიმტკიცესა და მაო-ს (მონოამინოქსიდაზა, ნერვული ქსოვილის ფერმენტი, რომელიც გავლენას ახდენს ნეიროტრანსმიტერების ინაქტივაციაზე) აქტივაციას შორის. ცნობილია, რომ MAO-ს აქტივაცია გავლენას ახსენს ვიზუალური კორტექსის ფუნქციონირებაზე, რაც შესაბამისად აისახა ვიზუალურ სფეროში განწყობის ილუზიის სიმტკიცეზე. საინტერესოა, რომ ავტორი ზუსტად იმეორებს უზნაძის კლასიკური ექსპერიმენტების ტექნიკას და იღებს იგივე შედეგებს, რაც უზნაძემ მიიღო კლასიკურ ექსპერიმენტებში კონტრასტული ილუზიების ჩაქრობის ფაზებსა და ჩაქრობის ტიპებთან მიმართებაში. რეგრესიულ ანალიზშიც გამოვლინდა, რომ MAO-ს აქტივაცია 13 %-ით პროგნოზირებს განწყობის სიმტკიცეს ($F(1, 28)=4.259$, $p < .05$, $R^2=0.13$). საინტერესოა ისიც, რომ MAO-ს დისფუნქცია გარკვეულ კავშირშია ისეთ ფსიქიკურ აშლილობებთან, როგორიცაა შიზოფრენია, დეპრესია და სხვა. განწყობის კვლევებში კი დადასტურებულია სპეციფიური ჩაქრობის ტიპი

შიზოფრენიისა და დეპრესიის შემთხვევაში. ავტორის მიერ უზნაძის განწყობის ილუზიების ჩაქრობის ექსპერიმენტების და განწყობის ჩაქრობის ტიპის/სიმტკიცის დიაგნოსტირება განიხილება, როგორც სასარგებლო არაინვაზიური მეთოდი პიროვნების ბიოლოგიური კვლევებისათვის ამ სფეროში (Magos, 2002).

მნიშვნელოვანია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ორი დიდი მეცნიერის, უზნაძისა და პიაჟეს ექსპერიმენტული კვლევების შედეგები ერთმანეთს ემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ჰიპოთეზების დასადასტურებლად სტატისტიკური მეთოდების გამოყენება არ ხდებოდა, რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც მიღებული იყო ექსპერიმენტებში, ორივე მეცნიერს ერთი და იგივე დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს და მოგვიანებით, თანამედროვე მეცნიერების მიერ დადასტურებულია დასკვნითი სტატისტიკის ახალი მეთოდების გამოყენებით. პიაჟეს ნაშრომის გამოსვლის შემდეგ ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტებს საქართველოს ფარგლებს გარეთ „უზნაძის ეფექტად“ მოიხსენიებენ და დღესაც გრძელდება მისი კვლევა, თუმცა, სამწუხაროა, რომ უზნაძის და მისი კოლეგების შრომების დიდი ნაწილი მიუწვდომელია საერთაშორისო საზოგადოებისათვის და ფიქსირებული განწყობის კვლევებით მეცნიერები ადასტურებენ ქართველი მკვლევრების მიერ გასული საუკუნის 30-50-იან წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებს, ისე, რომ არ იცნობენ მათი ნამუშევრების დიდ ნაწილს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავალიშვილი, ა. (1942). კრიტიკულ ექსპოზიციათა განმაწყობელი როლის საკითხისათვის განწყობის ცდებში. *ფსიქოლოგია, I*, 1942.
2. ბჟალავა, ი. (1961). კიბერნეტიკა და ფსიქოლოგია. დ.უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
3. კინწურაშვილი, ა. (1967). *განწყობა და მისი აღკვეთის პროცესი.* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”.
4. იმედაძე, ი. (2008). *ფსიქოლოგიის ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „მწიგნობარი“
5. ნადირაშვილი, შ. (1983). *განწყობის ფსიქოლოგია.* გამომცემლობა „მეცნიერება”
6. ნათაძე, რ. (1941). ტოლობაზე შექმნილი განწყობის საკითხისათვის. *სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XVII.*
7. რობაქიძე, მ (2009). *რეტინალური და განცდითი ფაქტორების მნიშვნელობა განწყობის ფიქსაციისათვის.* გამოუქვეყნებელი სადოქტორო დისერტაცია. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. საქართველო.
8. ქირია, გ. (2003). *აღქმის ფსიქოლოგია,* თბილისი.
9. უზნაძე, დ. (2009). *ბიბლიოგრაფია.* თბილისი, საქართველოს მაცნე.
10. უზნაძე, დ. (1977). *განწყობის ფსიქოლოგია.* შრომები (ტ. 6). თბილისი, საქართველო: მეცნიერება
11. Колерс, П. (1974) Иллюзия движения. *Восприятие. Механизмы и модели.* изд. «Мир», Москва.
12. Пиаже Жан, Поль Фресс. (1978). *Экспериментальная психология.* Москва, «Прогресс».

13. Хачапуридзе, Б, (1976). *Проблемы и закономерности действия фиксированной установки. Ч.1.* Тбилиси. Изд. Ганатлеба.
14. Uznadze, D. (1930) Ueber die Gewichtstäuschung und ihre Analoga. *Psychologische Forschung, XIV ,* 366-379
15. Bruno, N, Garofalo, Daneyko & Riggio L (2018) *Acta Pscyhology, 188:* p.122-130
16. Janzen, H., Maguer, T., Boersma, F. (1976) Paper presented at the Annual Meeting of the American Educational Research Association, SanFrancisco, California, April 19-23, 1.976
17. Piaget, J., & Lambercier, M,. (1944). 'Essai sur un effet d'Einstellung survenant au cours de perceptions visuelles (effet Usnadse)' [Essay on the Set Effect in the Course of Visual Perception (the Uznadze Effect)], *Archives de psychologie (Geneva), Vol. 30*, No. 118, 1944, p. 139–96.
18. Lyakhovetskii, V. & Karpinskaia, V. (2017). The aftereffects of muler-lyer and ponzo illusions: differences revealed in sensorimotor domain. *Latvian academy os sciences.* Section B, Vol. 71, No. 5 (710), pp. 352–358
19. Tibor Magos, (2002). Correlation between platelet monoamine oxidase activity and the strength of a visual illusion. *Vision Research. Volume 42*, issue 16. p. 2031-2035
20. Ucceli, S., Pisu V., Riggio L., & Bruno, N.(2019). The Uznadze illusion reveals similar effects of relative size on perception and action. *Experimental Brain Research. 237*, pages 953–965.

ფილოსოფიური შრომები

დიმიტრი უზნაძე

წინასიტყვაობა

თანამედროვე ფილოსოფოსთა შორის ა ნ რ ი ბ ე რ გ ს ო ნ ი განსაკუთრებით თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მის აზროვნებას უეჭველი ორიგინალობის ბეჭედი აზის: იგი ორიგინალურია არა მარტო თავისი ფილოსოფიური აზროვნების სისტემატურ მიმდინარეობაში, ორიგინალურია იგი აგრეთვე არსებულ ფილოსოფიურ შეხედულებათა კრიტიკულ კვალიფიკაციაშიც. მის აზროვნებაში ახალი სიო მოჩანს, და ამ სიოს გამაცოცხლებელ ზეგავლენას ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ცოცხალი ტემპერამენტი და მიმზიდველი მოთხრობის წესი კიდევ უფრო აძლიერებს.

ასეთ მოაზროვნეთათვის საზოგადოების ყურადღების ცენტრალური ადგილი მუდამ თავისუფალია. ამიტომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ შეუძლებელია საკმაოდ დიდი ლიტერატურა არ არსებობდეს; არა მარტო ფრანგულად, მის შესახებ სხვა ევროპულ ენებზეც (და შეიძლება აზიურზეც) ბევრს წერენ, სამაგიეროდ, ქართულად ბ ე რ გ ს ო ნ ი ს შესახებ არც ერთი გამოკვლევა არ არსებობს და წინამდებარე წიგნი ამ მხრივ პირველ ცდას შეადგენს. ამიტომ მისი გამოქვეყნების გასამართლებლად შეიძლება ეს გარემოებაც საკმარისად იქნეს მიჩნეული.

მაგრამ ეს წიგნი მარტო ქართველი მკითხველისათვის როდია განზრახული. მისი პრეტენზიები ცოტა უფრო შორს მიდის; იმ გამოკვლევათა შორის, რომლებიც ბ ე რ გ ს ო ნ ი ს შესახებ არსებობს, და რომელთაც ამ წიგნის ავტორი იცნობს, ბევრი მრავალმხრივ საყურადღებოა და საინტერესო; მაგრამ იმ მეთოდით, რომელიც ბ ე რ გ ს ო ნ ი ს თავისებურებას შეადგენს, არც ერთი არ არის აგებული.

ჩემი ღრმა რწმენით ძნელია, მეტს ვიტყვი, შეუძლებელია ფილოსოფიური სისტემის სათანადო გაგება, თუ რომ მისი მთავარი ძარღვი არ იქნა გაშიშვლებული, და აქედან - მთელი შენობა სისტემატურად გამოყვანილი. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ცალკე შეხედულებანი, მისი აზროვნების წესი, მისი დამოკიდებულება სხვებთან არსებულ ლიტერატურაში ხშირად ძალიან კარგად არის დახასიათებული. მაგრამ მისი უწყვეტი მთლიანობა არსად არ არის გაშუქებული. პირიქით, ჩემი პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, ის იყო, რომ მომენახა ძირითადი იმპულსი ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიურ აზრთა მოძრაობისა და მთელი სისტემა ამ იმპულსზე ამეგო.

ბ ე რ გ ს ო ნ ი თავის შეხედულებებს სხვადასხვა კერძო გამოკვლევებში და კერძო პრობლემების გამო აქვეყნებდა; მისი მსოფლმხედველობა თანდათანობით ირკვეოდა და ყალიბდებოდა. ეს არის მიზეზი, რომ მას საკმაო სისტემატური ხასიათი აკლია. როგორ მოიქცეოდა ბ ე რ გ ს ო ნ ი დღეს, როდესაც მისი მსოფლმხედველობის შენობა თავის უმთავრეს ნაწილებში მაინც უკვე საბოლოოდ არის გამორკვეული? როგორ მოიქცეოდა იგი, თავისი ფილოსოფიური შეხედულებების ერთ წიგნში სისტემატური დალაგება რომ დაესახა მიზნად? რა სახეს მისცემდა იგი თავის მოთხრობას და რა მეთოდზე ააგებდა იგი მას? უეჭველია მისი მეთოდი თავის არსებით ნაწილებში მაინც

ასეთი იქნებოდა: გ ა ნ წ მ ე ნ დ ა ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ უ ა ლ უ რ ი ს ა და გ ზ ი ს გ ა კ ა ფ ვ ა ი ნ ტ უ ი ტ უ რ ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ამის მიხედვით, მოთხრობის გეგმის მთავარი სქემა ალბათ შემდეგი ხაზებით შემოიფარგლებოდა: 1. შემეცნების კრიტიკა და, აქედან გამომდინარე, მეთოდი შემეცნებისა; 2. გამოცდილების სამი სფერო: ცნობიერება, ნივთიერება და სიცოცხლე, ინტელექტისათვის და ინტუიციისათვის; 3. ინტუიციის მონაპოვართა მეტაფიზიკური სინთეზი სამივე სფეროში; 4. გენეზისი გამოცდილების თითოეული სფეროსი; 5. გნოსეოლოიური სინთეზი.

ჩვენი გამოკვლევის თავისებურება ის არის, რომ იგი სწორედ ამ გეგმაზე არის აგებული; მისი პრეტენზია, მაშასადამე, იქითაა მიმართული, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მთელი ფილოსოფიური შენობის ერთი იმპულსიდან სისტემატური გამოყვანა სცადოს. ამიტომ მოთხრობის წესი ასეთია, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიური აზრები, რამდენადაც მათი ინტერპრეტაცია სადავო არ არის, საგანგებოდ გამოყოფილი და მათ შესახებ არსებული შეხედულებები არ არის აღნიშნული. ამ წიგნის ავტორი ასეთ შემთხვევებში ისე გამოთქვამს თავის აზრებს, თითქოს საჭიროდ არ მიაჩნდეს სხვათა ინტერპრეტაციის კრიტიკული შეფასება და თავისი შეხედულების საგანგებოდ explicite დასაბუთება. ვფიქრობ, მოთხრობის მთლიანობისათვის ეს წესი სჯობს, ხოლო რაც შეეხება საკუთარი ინტერპრეტაციის სამართლიანობას, ამას ყველაზე მეტად ის გარემოება ასაბუთებს, თუ რამდენად ბუნებრივად გამომდინარეობს ესა თუ ის აზრი ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიის ძირითადი იმპულსიდან, და რამდენად ეგუება იგი მთლიან ფილოსოფიურ შენობას. ამითვე აიხსნება ის გარემოებაც, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მოკლე დახასიათება და აუხილებელი კრიტიკა სრულიად ჩამოშორებულია მთავარ ნაწილს და წიგნის ბოლოს ცალკე თავად არის შეტანილი.

ავტორი
თბილისი, 6 ნოემბერი, 1920წ.

შესავალი

1. მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების ზოგადი დახასიათება

რაციონალიზმი და მისი მკვეთრი ნიადაგი: დ ე კ ა რ ტ ი, კ ა ნ ტ ი, ჰ ე გ ე ლ ი. ირაციონალიზმი: შ ე ლ ი ნ გ ი, შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი. ,,მატერიალიზმის ისტორია“ ლ ა ნ გ ე ს ი. კ ა ნ ტ ი ს განახლება და პოზიტივისტური აზროვნების აღორძინება. ისტორიზმი, გნოსეოლოგიზმი, ფსიქოლოგიზმი, შემეცნება თუ მოქმედება? ემპირიოკრიტიციზმი. პრაგმატიზმი, ღირებულებათა ფილოსოფია.

ა ნ რ ი ბ ე რ გ ს ო ნ ი ს პირველი დიდი თხზულება 1888 წელს გამოქვეყნდა. ახალგაზრდობამ იგი აღტაცებით მიიღო: ,,თორმეტიოდე წლის წინათ ჩვენ ხელახლა ვკითხულობდით და რამდენადმე ზეპირადაც კი ვსწავლობდით წიგნს. ,,უშუალო მონაცემნი ცნობიერებისა!“-ო, ამბობს ჰ ა ლ ე ვ ი 1901 წელს; და სწორედ ეს წიგნი იყო, რომ ა ნ რ ი ბ ე რ გ ს ო ნ მ ა თავისი უმაგალითო მჭევრმეტყველებისა და არაჩვეულებრივი ორიგინალობის ნიმუშად საფრანგეთის მოაზროვნე საზოგადოებას გადასცა. მაგრამ შეუძლებელია მარტო მჭერმეტყველებითა და აზროვნების ორიგინალობით აიხსნას ის არაჩვეულებრივი, პირდაპირ მომაჯადოებელი ზეგავლენა, რომელსაც ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ნაწარმოებნი ახდენენ საზოგადოებაზე. განა ა რ ტ უ რ შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ს ,,Welt als Wille und Vorstellung” ჰ ე გ ე ლ ი ს მძიმესა და უძრავ სტილთან შედარებით ნამდვილი გრაციისა და მსუბუქი გამჭვირვალობის ნიმუში არ იყო? განა ცოტა ორიგინალობა ჩანდა ნების მეტაფიზიკოსის პესიმისტური სულისკვეთების არგუმენტაციაში? მაგრამ რამდენ ხანს უნდა განევლო, სანამ მოაზროვნე გერმანია შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ს გამაბრუებელ გავლენას დაემორჩილებოდა!

მართლაც, თავი და თავი ასეთ შემთხვევაში არა თვით ავტორი და მისი სუბიექტური თვისებებია! უმთავრესი თვით საზოგადოებაა, რომელსაც იგი თავისი გავლენის ობიექტად ირჩევს. გამონახეთ ის ძარღვი, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ინტერესს ამოძრავებს და აღელვებს, რომელიც საზოგადოების აზრისა და გრძნობის არაცნობიერ ველშია ჩასახული, გააშიშვლეთ იგი, აიყვანეთ ცნობიერების განათებულ შუაგულზე, და თქვენი გავლენა საზოგადოებაზე უზრუნველყოფილ იქნება. აქვე უნდა ვეძიოთ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს გავლენის წყაროც.

მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება ანტინომიათა ქსელში იყო გახვეული: მიმდინარეობანი იბადებოდნენ და მომწიფების უმალვე ქრებოდნენ, რათა თავისი ადგილი ახალი, უფრო საიმედო მიმდინარეობისათვის დაეთმოთ. ახალი ფილოსოფიის ისტორია კონტინენტზე დ ე კ ა რ ტ ი ს ნაჩვენები გზით მიმდინარეობდა. რაციონალიზმი იყო ნაკადი, რომელიც მის მთავარ ამამოძრავებელ დედა-ძარღვს სიცოცლის ძალას აძლევდა. მაგრამ რაციონალიზმი, რომელსაც მთელი სინამდვილის ფარულ საიდუმლოებათა მათემატიკური სიცხადით გათვალისწინების შეურყეველი რწმენა ჰქონდა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს არა მარტო საკუთარი

უნაყოფობისა და შინაგანი წინააღმდეგობის გამო შეირყა, არა მარტო ემპირიული ფილოსოფიის წამომადგენელთა შეტევის გამო შესუსტდა; იგი განსაკუთრებით კ ა ნ ტ ი ს ,,კრიტიკის“ შეურყეველი არგუმენტებით იქნა ძლეული, მაგრამ რაციონალიზმი ადამიანის გონების ბუნებრივი რწმენაა, და მისი საბოლოოდ მოსპობა ვერც კანტის გენიამ შეძლო. ვერ შეძლო არა მარტო ამიტომ, არამედ იმიტომაც, რომ რაციონალიზმის ფესვებს ადამიანის მეცნიერების ყველა დარგის ნიადაგი კვებავს, და სანამ მეცნიერება დგას, იდგომება ის პირობებიც, რომლებიც ჩვენი შემეცნების ამ ბუნებრივი ჰაბიტუსის გამოცოცხლებას მარადის ხელს უწყობს, თვით კ ა ნ ტ ი ც არ იყო სავსებით თავისუფალი განსაზღვრულ სფეროში რაციონალიზმის უფლებათა შეწყნარების საჭიროების შეგნებისაგან. მისი სისტემა ,,სინტეზური მსოფლმხედველობის“ ცდა იყო, რომელსაც ემპირიზმისა და რაციონალიზმის დავაში შემრიგებელი პოზიცია უნდა დაეჭირა. ამიტომაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ რაციონალიზმმა ფილოსოფიაში კვლავ ამაყად წამოყო თავი: ფ ი ხ ტ ე და ახალგაზრდა შ ე ლ ი ნ გ ი კვლავ რაციონალიზმის მოციქულობას სწევდნენ, ხოლო ჰ ე გ ე ლ ი ს სისტემაში ამ მიმდინარეობამ ხომ თავისი განვითარების უკიდურესსა და უმწვერვალეს დონეს მიაღწია: ჰ ე გ ე ლ ი ს ფილოსოფიაში ადამიანის გონებას მთელი სინამდვილის საიდუმლოებათა კარი გაეღო; ყველგან და ყველაფერი აფსოლუტური გონების საქმედ იქნა გამოცხადებული. და ჰეგელს თავისი თვალსაზრისით სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: ,,ყოველივე ნამდვილი გონიერია და ყოველივე გონიერი ნამდვილია“.

ჰ ე გ ე ლ ი ს გავლენა განუსაზღვრელი იყო ,,შემდეგი დროის თაობისათვის, რომელიც ჰ ე გ ე ლ ი ს მოძღვრებას მარტო მისი მკვდარი წიგნებიდან და ლექციებიდან იცნობდა, სრულიად გაუგებარია, თუ როგორ შეეძლო ასეთი ხელოვნური ტერმინოლოგიით დამძიმებულ მოთხრობას ისეთი მომაჯადოებელი გავლენის მოხდენა, რომ თანამედროვეთ უმეტეს ნაწილად თვითონ დაიწყეს ამ ენით ლაპარაკი და ამ აზრებით მსჯელობაო“, - ამბობს Winderlband-ი[1].

მაგრამ ადამიანის გონება, თავისი შემეცნების მუშაობის დროს, ხშირად წაწყდომია ხოლმე ისეთ პუნქტებს, რომლის წინაშეც იგი გაკვირვებული და დარცხვენილი დამდგარა: მას არ ძალუძს არსებითად ნათელი გახადოს იგი თავისთვის ირაციონალური სინამდვილის წრეში უდავო ფაქტია, რომლის არსებობაც ინტელექტუალიზმის გარდუვალ საზღვარს შეადგენს. მაგრამ სანამ ადამიანის სულიერი განწყობილება გონების ყოვლისშემძლეობის რწმენით არის გატაცებული, ინტელექტუალისტური ფილოსოფია მაინც გაბედულად უდგება ირაციონალურს და მის მოთავსებას თავიებურ ინტელექტუალურ ფორმებში ცდილობს და რაგინდ ხელოვნურადაც არ უნდა მოქმედებდეს იგი ასეთ შემთხვევებში, გონების ძლიერებით გატაცებულ ადამიანს ეჭვი არ ეპარება, რომ ირაციონალური მხოლოდ ამა თუ იმ მკვლევრის შემეცნებითი ძალის სისუსტის მაჩვენებელია, რომ აბსოლუტური გონებისათვის შეუცნობელი არაფერი არსებობს. ასეთმა რწმენამ განსაკუთრებით ფართოდ XVIII საუკუნეში გაშალა ფრთა; იგი საფუძვლად დაედო ე. წ. განათლების ხანას და XVIII-XIX საუკუნეთა ევროპის რევოლუციურ მოძრაობებს სასიცოცხლო ძალა შთაბერა.

[1] W. Windelband, D. Philosophie im dentschen Geistesleben d.XIX Jahrunderts, Tübingen, 1909, S.46.

მაგრამ ადამიანის გონების მოთხოვნილებათა საზომი მრავალმხრივი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის შინაარსისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა; რევოლუციამ ვერ გაამართლა აღძრული იმედები, და ადამიანის ინტელექტის ძალებისადმი რწმენას ფრთები შეეკვეცა, თუ წინათ სინამდვილის ის მხარეები, რომელთა ახსნაც ასე ძლიერ უჭირდა ჩვენი გონების ძალებს, მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ იწვევდნენ, ახლა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა: ირაციონალური ყურადღების ცენტრად გადაიქცა და მისი არსებობა უნიჭო ჭეშმარიტებათა რიგში იქნა მოთავსებული; ინტელექტუალიზმს გასავალი დაეკარგა, და ფილოსოფიურ აზროვნებაში მისი საწინააღმდეგო მიმართულებისათვის გზა გაიხსნა. თავისი დროის ასეთ სულიერ განწყობილებას პირველად შ ე ლ ი ნ გ მ ა მისცა სათანადო გამოხატულება. ინტელექტის არსებობისა და გავლენის სფერო შემოიზღუდა და სინამდვილის ფარგლებში ირაციონალური პრინციპის ძიება შეიქმნა საჭირო. შ ე ლ ი ნ გ მ ა ასეთ პრინციპად ირაციონალური ნება, ,,ბნელი მისწრაფება“ დასახა! მაგრამ როგორ იყო შესაძლებელი ამ ირაციონალური პრინციპის შემეცნება, რომელიც შ ე ლ ი ნ გ ს სინამდვილის უშინაგანეს გულად მიაჩნდა? ინტელექტუალიზმი აქ, რა თქმა უნდა, გონებას წამოაყენებდა როგორც ერთადერთ ძალას, რომელიც მარტოდმარტოა მოწოდებული სინამდვილის შესამეცნებლად. მაგრამ შ ე ლ ი ნ გ ი ს ა თ ვ ი ს პრობლემის ასეთი გადაჭრა მიუღებელი იყო; და ისიც ამ ბნელი მისწრაფების, ამ ირაციონალური ნების წარმოშობას ძირითადად უცაბედ შემთხვევად (Urzufall) თვლიდა. ადამიანის გონება ლოგიკურ აუცილებლობას მოითხოვს, და რაკი აქ აუცილებლობა იმთავითვე უარყოფილია, ცხადია, გონებას აქ საქმე აღარა აქვს; ცხადია, მან თავისი უძლურება უნდა აღიაროს და ადგილი სხვა ძალას დაუთმოს და, შ ე ლ ი ნ გ ი ს აზრით, ბნელი, პირვანდელი ნების ახსნა-გაგება ჩვენი გონების ძალებს სრულიად არ შეეფერება; მას არ ძალუძს თავისი არგუმენტებით გასაგები გახადოს ჩვენთვის ძირითადი ,,ბნელი მისწრაფების“ წარმოშობა, არ ძალუძს იმიტომ, რომ იგი უცაბედი შემთხვევაა, რომლის მხოლოდ დადასტურება შეიძლება და ისიც შინაგანი განცდის მეშვეობით.

ამგვარად, ჰ ე გ ე ლ ი ს ინტელექტუალიზმს და რაციონალიზმს შ ე ლ ი ნ გ ი ს ვოლუნტარიზმი და ირაციონალიზმი დაუპირისპირდა; მაგრამ შ ე ლ ი ნ გ ი მისტიციზმის მძლავრ გავლენას განიცდიდა და მისი ირაციონალიზმიც ჯერჯერობით მიუღებელი აღმოჩნდა იმდროინდელი აზროვნებისათის. სამაგიეროდ, გზა ნაჩვენები იყო, ინტელექტუალიზმის სიმაგრე შერყეული, და შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ს ვოლუნტარიზმის გავლენისათვის ნათელი პერსპექტივები იშლებოდა. შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ მ ა სავსებით შეძლო შ ე ლ ი ნ გ ი ს მისტიკურ-რელიგიური მოტივების დაჩრდილვა და თავისი ირაციონალური ნებისყოფის მეტაფიზიკა შესაწყნარებელ ფორმაში ჩამოაყალიბა. კ ა ნ ტ ი ს ფილოსოფიაში ირაციონალური მომენტი „ნივთი თავისთავად“ (Ding an Sich) საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტი იყო. შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ მ ა მისი ირაციონალობა აღიარა, მაგრამ განაცხადა, რომ Ding an Sich უშუალო ჭვრეტის საშუალებით შეგვიძლია განვიცადოთ, და რომ ამ გზით იგი ჩვენს წინაშე ნებელობის სახით იშლება, ნება, ამგვარად, მთელი სინამდვილის აზრია, მაგრამ ეს არ არის ის ნება, რომელთანაც ჩვენ თვითდაკვირვების პროცესში გვაქვს საქმე, და რომელიც წარმოდგენათა ზეგავლენით მოქმედებს. არა, შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ს ნება თავისუფალია ყოველგვარი კავშირისაგან, რომელიც მას გონების მოქმედების ამა თუ იმ სახესთან უნდა აერთებდეს: შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ს ნება

არაგონიერი ნებაა, რომელსაც არაფერი სურს გარდა სიცოცხლისა, არაფერი, გარდა სურვილისა. მაშასადამე, იგი არსებითად მარადის დაუკმაყოფილებელი ნებელობაა. ამგვარად, შეუჩერებლელი წინსვლა, მისწრება, რომელსაც მიზანი არა აქვს, და რომელიც, ამ მიზნების გამო, ვერასდროს ვერ შეჩერდება, აი ნამდვილი აზრი, ნამდვილი რაობა მსოფლიოსი, სინამდვილეს, მაშასადამე, არა გონება, არამედ დაუკმაყოფილებელი ნება, არა შემეცნება, არამედ შეუჩერებელი მოქმედება გამოხატავს.

XIX საუკუნის შუა წლებში ჰ ე გ ე ლ ი ს ინტელექტუალიზმი იძულებული შეიქმნა შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ს ირაციონალიზმისა და ვოლუნტალიზმისათვის დაეთმო ადგილი, მართალია თვით შოპენჰაუერის სისტემის წარმოშობა 1819 წელს ეკუთვნის, მაგრამ მისი გავლენის გავრცელება და შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ ი ს დიდ ფილოსოფოსად აღიარება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლების საქმეა.

ამ დროისათვის, რწმენა ადამიანის ინტელექტის, ძალებისადმი დაკარგული იყო, მეტაფიზიკური ჭეშმარიტების შემეცნების კარები მის წინაშე დახშულად იყო მიჩნეული, და ამიტომ ჩვენი შემეცნებითი მოქმედების სარბიელად თუ შეიძლებოდა კიდევ რამე ჩათვლილიყო, ეს მხოლოდ ყოველდღიური ემპირიული სინამდვილე უნდა ყოფილიყო.

საზოგადოებრივი ცნობიერების ასეთი მიმართულება ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა იმ ფილოსოფიური მსოფლმხეველობის მკვდრეთით აღდგენისა და ფართო გავლენისათვის, რომელიც მატერიალიზმის სახელით დიდი ხნიდან იყო ცნობილი.

გერმანიაში 1854 წელს ნათელი შეიქნა, რომ მატერიალისტურ მსოფლმხედველობას ფართო ფესვები გაედგა, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველთა ცნობიერებაში. ჰეგელისა და სხვა ნატურფილოსოფოსთა შეხედულებანი ამ უკანასკნელთ სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, და ადამიანის შემეცნებითი ძალების მუშაობა ახლა მხოლოდ დაკვირვების ნიადაგზე მიაჩნდათ შესაძლოდ; მაგრამ ფ რ ი დ რ ი ხ ა ლ ბ ე რ ტ ლ ა ნ გ ე ს ,,მატერიალიზმის ისტორიამ“ დაამტკიცა, რომ მატერიალიზმი სწორედ იმ ავადმყოფობით იყო დაავადებული, რომელსაც იგი იდეალისტურ ნატურფილოსოფიას უსაყვედურებდა: მატერიალიზმი თვითონაც მეტაფიზიკური თეორია აღმოჩნდა და, როგორც ასეთი, იგი იმდროინდელი აზროვნებისათვის შეუწყნარებლად იქნა მიჩნეული.

ამგვარად, მატერიალიზმით გატაცების ხანამ მალე განვლო, და იმავე ლ ა ნ გ ე მ, რომელმაც პირველად ნათელყო მატერიალიზმის მეტაფიზიკური ხასიათი, მოაზროვნე საზოგადოებას თვითონ მოუპოვა ახალი გამოსავალი. ე დ უ ა რ დ ც ე ლ ე რ თ ა ნ და ო ტ ო ლ ი ბ მ ა ნ თ ა ნ ერთად, ლ ა ნ გ ე მ კ ა ნ ტ ი ს მოძღვრების განახლება მოითხოვა. მაგრამ კ ა ნ ტ ი ს კრიტიკული ფილოსოფიის მკვდრეთით აღდგენის საჭიროება იმდენად მატერიალიზმის პრეტენზიებსა და მისი ბუნების შეუსაბამობას არ გამოუწვევია, რამდენადაც იმ ახალ აზროვნებისა და ცხოვრების მიმართულებას, რომელმაც ო გ ი უ ს ტ კ ო ნ ტ ი ს ზეგავლენით ერთ ხანს მთელი ევროპის ცნობიერება თავის კლანჭებში დაატყვევა. საქმე ის არის, რომ ინტელექტუალიზმის კრედიტის დახურვა სრულიადაც არ ნიშნავდა შემეცნებითი მოღვაწეობის სრულ შეჩერებას: არა, ადამიანის გონების ძალებისადმი რწმენა მხოლოდ მეტაფიზიკური სინამდვილის შემეცნების სფეროში დაიმსხვრა; სამაგიეროდ,

ემპირიული სინამდვილე, ისე როგორც ეს წინა საუკუნეებშიც არაერთხელ ყოფილა აღიარებული, ჩვენი გონების შემეცნების ერთადერთ წყაროდ იქნა მიჩნეული. აქ, ამ ნიადაგზე ჩვენი ინტელექტისაგან უდიდეს საქმეთა გაკეთებას მოელოდნენ; მაშასადამე, ჩვენი შემეცნების სფერო ემპირიული სინამდვილის ფარგლებს არ უნდა გასცილებოდა. მისი საგანი არა „ნივთი თავისთავად“ უნდა ყოფილიყო, არამედ გრძნობადი, ფაქტიური სინამდვილე; ფაქტი - აი ის ერთადერთი ნიადაგი, რომლის დამუშავებაც ადამიანის გონებას მდიდარ მოსავალს უქადდა.

ამ შემეცნებას იმდროინდელი ირაციონალიზმის მეორე მხარეც თავისებურ მიმართულებას აძლევდა. საქმე ის არის, რომ, როგორც ვიცით, გონების საწინააღმდეგოდ სინამდვილის პრინციპად ნება იქნა აღიარებული, და როგორც ამგვარად გონებას ნებისათვის უნდა დაეთმო ადგილი, სწორედ ასე - შემეცნებას მოქმედებისათვის უნდა გაეხსნა გზა, თეორიას პრაქტიკისათვის უნდა გადაეცა პრიორიტეტი, ასე მოხდა, რომ ცხოვრებაში ეს სულიერი განწყობილება რეალური პოლიტიკის ლოზუნგის წამოყენებით, პრაქტიკულის, მოქმედებითი ენერგიის ხაზგასმით და მისი მაღალი შეფასებით დაგვირგვინდა. მაგრამ ეს შინაგანი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა ემპირიული სინამდვილის შემეცნებისა და თეორიის უარყოფის საჭიროებისა პირველი შეხედვით თითქოს იმთავითვე შეუძლებელ მდგომარეობას ქმნიდა; პრაქტიკულად ეს წინააღმდეგობა ადვილად გადაწყდა: პრაქტიკა თვით შემეცნების სფეროში იქნა გადატანილი, და ამ სახით გაჩაღდა სამეცნიერო მუშაობა, რომელიც მთელ თავის მნიშნელობას ფაქტიური სინამდვილის შემეცნებაში და შემდეგ მის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობაში ჭვრეტდა, წინანდებური განყენებული ლოგიკური მსჯელობის ნიადაგზე აბსტრაქტული თეორიების კონსტრუქცია უნაყოფო დროის ფლანგვად ეჩვენებოდა; ამის მაგიერ, ფაქტის დაკვირვება, მისი მასიური დაგროვება და პრაქტიკული შედეგების გამოძებნა, ერთი სიტყვით, წვრილმანი ხასიათის სამეცნიერო მუშაობა - აი რას თვლიდნენ ერთადერთ ღირსეულ საქმედ ადამიანის შემეცნებითი ძალებისთვის. ასეთ მდგომარეობაში და ასეთი სულიერი განწყობილებისათის ფილოსოფიას თავისი დამოუკიდებლობის ნიადაგი სრულიად უნდა გამოსცლოდა ფეხქვეშ. ამიტომაც მოხდა, რომ იგი ან სავსებით უნაყოფო საქმედ, ანდა ს პ ე ნ ს ე რ ი - ს ე ბ უ რ ა დ დადებით მეცნიერებათა მონაპოვრის უბრალო შემაერთებელ კონცეფციად იქნა აღიარებული, რომელსაც არსებითად არც საგანი დარჩა დამოუკიდებელი და არც მეთოდი.

რაკი ამგვარად თავისუფალი ფილოსოფიური შემოქმედების ღირებულება აღარავის სწამდა, ფილოსოფოსთა ერთადერთ საქმეს არა ძველებური, წმინდა ფილოსოფიური კვლევაძიება შეადგენდა, არამედ, დადებითი მეცნიერების ნიმუშის მიხედვით, ფილოსოფიური აზროვნების ფაქტის დაკვირვება და შესწავლა. ეს ფაქტი კი ძველ დიდ ფილოსოფოსთა სისტემის სახით იყო მოცემული, და პოზიტივიზმის ხანის ფილოსოფიური მუშაობა თითქმის სავსებით ძველ სისტემათა შესწავლით და მათი ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით შემოიფარგლა. ფილოსოფიური ლიტერატურა ფილოსოფიის ისტორიის ნაშრომებით აივსო; ფილოსოფიურ ფაკულტეტთა კათედრებიდან ხმა მარტო ძველ ფილოსოფოსთა მსოფლმხედველობის შესახებ ისმოდა. ერთი სიტყვით, ფილოსოფია ფილოსოფიის ისტორიად გადაიქცა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმდროინდელ ევროპაში, განსაკუთრებით

გერმანიაში, საუკეთესო ფილოსოფიურად განწყობილი მოაზრენი მთელ თავის ენერგიას სხვის გამოკვლევათა და მსოფლმხედველობათა შესწავლით ზღუდავდნენ და თავის ფილოსოფიურ წყურვილს სხვების სისტემათა გათვალისწინებითა და ისტორიული შეფასებით იკლავდნენ: ე დ უ არ დ ც ე ლ ე რ ი ს, ი ო ჰ ა ნ ე რ დ მ ა ნ ი ს ა და კ უ ნ ო ფ ი შ ე რ ი ს მრავალტომიან ისტორიულ-ფილოსოფიურ ნაშრომთა მსგავსი ნაწარმოებანი მხოლოდ ასეთ ხანას შეეძლო წარმოეშვა.

ამგვარად, ინტელექტუალიზმმა ირაციონალიზმი წარმოშვა, ირაციონალიზმმა და ვოლუნტარიზმმა - პოზიტივიზმი და პოზიტივიზმმა - ისტორიზმი.

მაგრამ ისტორიზმს ფილოსოფიაში სრულიად ბუნებრივი, მაგრამ პოზიტივიზმისათვის მოულოდნელი და არახელსაყრელი შედეგი მოჰყვა. შედეგი, რომელიც იმავე დროს თვით პოზიტივიზმისათვისაც ბუნებრივი იყო. საქმე ის არის, რომ ფილოსოფიის ისტორიულმა შესწავლამ სრულიად ვერ დააკმაყოფილა ფილოსოფიური წყურვილი; პირიქით, მან უფრო გააღიზიანა იგი: ხოლო პოზიტივიზმის სამეცნიერო, მეწვრილმანური კვლევა - ძიების განვითარებამ ფაქტიური სინამდვილის ნათელსაყოფად ხელახლა ფილოსოფიური სულისკვეთების გაღვიძება გამოიწვია, მეცნიერება ხანგრძლივად ვერ გასწყვეტს კავშირს იმ ძარღვთან, რომელმაც იგი წარმოშვა. თუ მას სასიცოცხლო ძალის შერჩენა სწადია, ასეთი ძარღვი კი ფილოსოფიაა, რომელმაც იგი დაბადა და რომელიც, რაც უნდა იყოს, მაინც მთავარი წყაროა ადამიანის შემეცნებითი მისწრაფებისა. დაუმატეთ ამას იმ დროის მატერიალისტური განწყობილება ბუნებისმეტყველებისა და მისი უნებური მეტაფიზიკა, და თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ ო ტ ო ლ ი ბ მ ა ნ ი ს ლოზუნგი კ ა ნ ტ ი ს ა კ ე ნ დაბრუნების შესახებ სავსებით დროის შესაფერისად იქნა მიჩნეული. მაგრამ ამით იმის თქმა როდი შეიძლება, თითქოს პოზიტივისტური მიმართულება მოიქანცა და კვლავ სპეკულატური ფილოსოფიის დრო დადგა. დამახასიათებელია, რომ ფილოსოფოსთა შორის სწორედ კ ა ნ ტ ი აირჩიეს.

რატომ კანტი და არა ჰეგელი? ცხადი საკითხი, რომლის ახსნაც თავისთავად გვეჩრება ხელში, მეცნიერების ღირებულების უაღრესობის რწმენა სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამდგარი პოზიტივიზმს: გონების უძლურება მეტაფიზიკური სინამდვილის შემეცნებაში მისი შეურყეველი დებულება იყო; მაგრამ ამავე დროს კ ა ნ ტ ი მძლავრი ფილოსოფიური ორიგინალობა იყო, რომელიც მეცნეირების ფილოსოფიურ საფუძველს ეძებდა. რაღა საკვირველია,რომ იმ ხანაში სწორენ კ ა ნ ტ ი აირჩიეს იმ წყაროდ, საიდანაც ყველას შეეძლო თავისი ფილოსოფიური წყურვილის დაკმაყოფილება. ბუნებისმეტყველი ჰელმჰოლცი სხვებთან ერთად კანტის განსაკუთრებულ ღირსებას იმაში ჭვრეტდა, რომ მან მეცნიერებას ემპირიული სინამდვილის შემეცნებაზე მიუთითა და მეტაფიზიკის შეუძლებლობა დაამტკიცა. იმ დროს სრულიად არავინ აქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ კ ა ნ ტ ი ს თ ვ ი ს მთავარი და უმნიშვნელოვანესი რაციონალური თეორიის დასაბუთება იყო, რომ მისი ბრძოლა მეტაფიზიკასთან მხოლოდ სამეცნიერო მეტაფიზიკის უარყოფასა და მის ნანგრევებზე რწმენის მეტაფიზიკური შენობის აგებას ემსახურებოდა. იმდროინდელმა აზროვნებამ სრულიად დაივიწყდა, რომ კ ა ნ ტ ი ს თეორიულსა და პრაქტიკულ ფილოსოფიას შორის უწყვეტი კავშირი იყო გაბმული, რომ ამ კავშრის უარყობა არსებითად თვით კ ა ნ ტ ი ს უარყოფა იყო; მან

კ ა ნ ტ ი ს სისტემაში მხოლოდ შემეცნების თეორია აღმოაჩინა და უყურადღებოდ დატოვა ის გარემოება, რომ თვით კ ა ნ ტ ი თავის ,,კრიტიკას“ პროპედევტიკად თვლიდა, რომელსაც ფართო ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სისტემა უნდა მოემზადებინა. მაგრამ იმ ხანას ასეთი მსოფლმხედველობა შეუძლებელ და ზედმეტ საქმედ მიაჩნდა. ვინაიდან მისი რეალური მუშაობისთვის ასეთი რამ სრულიად არ იყო საჭირო; და ასე მოხდა, რომ კ ა ნ ტ ი ს ნაწარმოებთა შორის მხოლოდ „წმინდა გონების კრიტიკას“ მოექცა განსაკუთრებული გულისყური, ხოლო... „პრაქტიკული გონებისა“ და „მსჯელობის უნარის კრიტიკას“ არავინ ყურადღების ღირსად არ თვლიდა.

ამგვარად, მხოლოდ გნოსეოლოგიური საკითხები იყო, რამაც იმდროინდელი ფილოსოფიური აზროვნება გამოაცოცხლა. და კ ა ნ ტ ი იმ დროისთვის, ვიმეორებთ, მხოლოდ შემეცნების თეორეტიკოსად იქნა გამოცხადებული, მაგრამ ასეთ პირობებში თვით „გონების კრიტიკაც“ გაუგებარი უნდა დარჩენილიყო. იმდროინდელი მისი ინტერპრეტაცია ნათლად მოწმობს, რომ „საქმისა და ფაქტის“ ხალხი კანტის ნაწერებში მხოლოდ იმას ხედავს, რისი დანახვაც მას ეწადა. და ასე მოხდა, რომ კანტის apriori-მ ანთროპოლოგიური და ემპირისტული სახე მიიღო; შემეცნების აუცილებელი ფორმები: დრო, სივრცე და კატეგორიები ადამიანის ბუნების სპეციფიკურ თავისებურებად იქნენ გამოცხადებული.

აქედან XIX საუკუნის ორმოციანისა და ოთხმოცდაათიანი წლების ფილოსოფიას, რაკი იგი ამ ნიადაგზე დადგა, შესაფერი დასკვნა უნდა გაეკეთებინა: მას საკითხი უნდა დაესვა და თავისებური გადაწყვეტაც გამოეხახა, თუ როგორ წარმოიშობა ადამიანის ცნობიერებაში მისი შემეცნების ფორმები. აპრიორული ფსიქოლოგიურ პრიორულად იქნა მიჩნეული, და შემეცნების პრობლემამ ფსიქოლოგიური ხასიათი მიიღო. ამგვარად, მოაზროვნე საზოგადოების ცნობიერებაში ახალი, ფსიქოლოგიური კვლევა - ძიების წყურვილი წარმოიშვა, რომელიც, სხვათა შორის, ფილოსოფიის ისტორიის ისედაც გაცხოველებული შესწავლის მისწრაფებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა, ვინაიდან საინტერესო იყო თითოეული სისტემის ფსიქოლოგიური მოტივების გამონახვა.

ამგვარად, XIX საუკუნის ბოლოს ფილოსოფია ფილოსოფიის ისტორიად და ფსიქოლოგიად გადაიქცა; ხოლო თვით ფსიქოლოგიაც, დროის შესაფერისად, წმინდა ემპირიულ მეცნიერებად გამოცხადდა, რომელსაც ფილოსოფიასთან საერთო არაფერი უნდა ჰქონოდა. ამას, რა თქმა უნდა, თავისებური გავლენა უნდა მოეხდინა ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდებზეც, და ვ ი ნ დ ე ლ ბ ა ნ დ ი ს სიტყვით, „ერთხანს გერმანიაში ფილოსოფიის კათედრის დაკავების უნარი უდავოდ ითვლებოდა, თუ რომ კანდიდატს შესწავლილი ჰქონდა მეთოდურად ელექტრონის აპარატზე ჩხაკუნი და თუ მას გრძელის, კარგად დაწყობილი ცდების ტაბელებით რიცხობრივად დამტკიცება შეეძლო, რომ ზოგი ადამიანი უფრო ადრე განიცდის ამა თუ იმ შთაბეჭდილებას, და ზოგი უფრო გვიან“.[1]

გაცხოველებულ ფსიქოლოგიურ კვლევა-ძიებას თავისებური ფილოსოფიური შედეგებიც მოჰყვა თან. ძირითადი საკითხი ვოლუნტარიზმის თუ ინტელექტუალიზმის საფუძვლიანობის შესახებ თავის დასაბუთებას ამიერიდან ფსიქოლოგიურ ნიადაგზე ეძიებდა: ინტელექტი თუ ნება, რომელი იყო მათ შორის უპირველესი? ეს საკითხი ადამიანის სულიერი ცხოვრების ზედმიწევნით

[1] Windelband. op. cit .S. 92

შესწავლას უნდა გადაეწყვიტა; და XIX საუკუნის ფსიქოლოგიაში კვლევა - ძიება ამ ორი მთავარი თვალსაზრისით წარმოებდა.

ასე იყო თუ ისე, ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ფილოსოფიის ძირითად საკითხად ისევ ინტელექტისა და ნების შემეცნებისა და მოქმედების პრობლემა დარჩა, მაგრამ ახლა მას დროის შესაფერისი ელფერი მიეცა, რადგან კანტის ძლიერი ზეგავლენისა და მეცნიერული კვლევა-ძიების არაჩვეულებრივი სწრაფი განვითარების გამო ფილოსოფიაში ცენტრალურ პრობლემად შემეცნების პრობლემა გადაიქცა, ვოლუნტარიზმმა და ინტელექტუალიზმმა ახალი ფორმულა მიიღეს: რა არის უპირველესი, შემეცნება თუ მოქმედება? როგორია როლი შემეცნებისა მოქმედებაში და მოქმედებისა შემეცნებაში? რომელ მათგანს ეკუთვნის ჰეგემონია?

გერმანიაში ა ვ ე ნ ა რ ი უ ს მ ა და მ ა ხ მ ა „აზროვნების ეკონომიის“ პრინციპი წამოაყენეს; ისინი ფიქრობდნენ, რომ ჩვენი შემეცნების ამა თუ იმ დებულებას მხოლოდ იმდენად აქვს ჭეშმარიტების ღირებულება, რამდენადაც მას ჩვენი აზროვნების ეკონომიის დაცვა შეუძლია; ამგვარად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აზროვნებაში იმას კი არა აქვს, თუ რამდენად უახლოვდება ესა თუ ის აზრი ობიექტის სინამდვილეს, არამედ იმას, თუ რამდენად გამოსადეგი და ხელსაყრელია იგი მეცნიერული კვლევა - ძიების დროს. ამგვარად, აზროვნებამ თავისი დამოუკიდებელი ღირებულება დაკარგა; იგი მოქმედებას, პრაქტიკას დაუქვემდებარა.

მაგრამ გაცილებით უფრო გაბედულად შემეცნების ჩამოქვეითება და პრაქტიკის ჰეგემონიის აღიარება ე. წ. პრაგმატიზმს ახასიათებს. თავი და თავი ადამიანის შემეცნებისათვის რწმენაა, ხოლო რამდენად მართებულია ეს რწმენა, ეს სულ ერთია. საკმარისია იგი მტკიცე იყოს და ჩვენც სავსებით კმაყოფილნი ვართ. მაგრამ თვით სიმტკიცე რწმენისა მის პრაქტიკულ ღირებულებაზეა დამოკიდებული. ამგვარად, პრაგმატზმისათვის ადამიანის შემეცნება პრაქტიკას უმორჩილდება და ჭეშმარიტება პრაქტიკულ გამოყენებას ნიშნავს. პრაგმატიზმი XX საუკ. დასაწყისში ერთ დროს ფილოსოფიური კონტროვერზების ცენტრში იდგა.

მაგრამ ამავე დროს მეორე ძირითადი ხასიათის პრობლემაც ჩამოყალიბდა. კ ა ნ ტ ი ს სისტემა თავისებური ვოლუნტარიზმისაგან არ იყო სავსებით თავისუფალი; მაგრამ აქ იგი ადამიანის მოქმედების სფეროს საზღვრებით იფარგლებოდა, თუ მთელი გამოცდილებითი სინამდვილე ერთადერთ ნიადაგად იყო მიჩნეული, რომლის დამუშავებაც ჩვენი სამეცნიერო შემეცნების ხელთ იყო, სამაგიეროდ ადამიანის ზნეობრივი მოქმედება თავის წიაღში ღრმა ძალას ააშკარავებდა, რომელიც ჩვენი ზნეობრივი ნორმების, შემოქმედების პრინციპში მდგომარეობდა; ფილოსოფია, ამ სახით, ზნეობრივი ნორმებისა და შეფასების მეცნიერებად უნდა გადაქცეულიყო, მას კულტურულ ღირებულებათა მეცნიერების სახე უნდა მიეღო, ასეთი მიმართულების განვითარებას განსაკუთრებით ისტორიისა და ფსიქოლოგიის წინსვლამ შეუწყო ხელი. აღმოჩნდა, რომ შემეცნება აქ სხვა გზით მიმდინარეობდა; აღმოჩნდა, რომ ფილოსოფიას განსაკუთრებული ადგილი არ ჰქონდა. რ ი კ ე რ ტ ი ს ა და ვ ი ნ დ ე ლ ბ ა ნ დ ი ს ზეგავლენით ფილოსოფიაში ახალმა იდეალიზმმა კვლავ შესავალი იპოვა.[1]

[1] Риккерт.,О понятии философии. Логос. I.1910 г.

2. ანრი ბერგსონის წინასწარი დახასიათება

ასეთი იყო ფილოსოფიური აზრი, როდესაც ასპარეზზე ანრი ბერგსონი გამოვიდა.

ცხადი იყო, რომ ფილოსოფია ახალ გზებს ეძიებდა, რომ ძველი გზები მისთვის საბოლოოდ დახშული იყო, მაგრამ ისიც ჩანდა, რომ მას ეს ახალი ჯერ კიდევ ვერ გამოენახა. ამიტომ იყო, რომ ერთი სისტემა მეორეს ცვლიდა და ზოგჯერ ერთი და იგივე მოაზროვნე წინათ მის მიერვე მიღებულ მიმართულებას ახალს უპირისპირებდა. მაგრამ ამის მიუხედავად, მთავარი პრობლემები მაინც გაირკვა და განსაკუთრებით ეს პრობლემები იყო, რომ ევროპის ფილოსოფიურ აზრს აღელვებდნენ: შემეცნება თუ მოქმედება, ნივთიერება თუ სული, ობიექტური სინამდვილე თუ ღირებულებათა სამკვიდრო?

და ასეთი ძიების დროს ანრი ბერგსონი ბევრისთვის ყველაზე უფრო პოპულარულ მოაზროვნედ გადაიქცა. გრანჟანი თავის წიგნაკს ბერგსონის შესახებ შემდეგ სათაურს აძლევს „რევოლუცია ფილოსოფიაში“[1] და შემდეგნაირად ახასიათებს მას: „ბერგსონი დიდ მეტაფიზიკოსთა ოჯახს ეკუთვნის. იგი გულთმისანია... ასი წლის შემდეგ და დიდხანს მას შემდეგაც ბერგსონზე, როგორც შემეცნების ერთ - ერთ უდიდეს თეორეტიკოსზე ილაპარაკებენ და მას გვერდში ამოუყენებენ პლატონს, დეკარტსა და კანტს“. გასტონ რაჟო ლაპარაკობს: „ბერგსონის დოქტრინა ყველა დანარჩენ მეცნიერულ ცდათა შორის ერთ უმნიშვნელოვანეს, უზედმიწევნილეს, უგონებამახვილეს სამეცნიერო სისტემატიზაციის ცდას წარმოადგენს... არც ერთი ფილოსოფიური პოზიცია არ ყოფილა არც უფრო ორიგინალური და არც უფრო შთაბეჭდილების მომხდენი... გზა პლატონიდან ბერგსონამდე შეადგენს ფილოსოფიურ ევოლუციას, რომლის ეტაპიც კანტი იყო“...[2] ჟუსენი, თავის მხრივ, შემდეგს უმატებს: „ბერგსონის ფილოსოფია ადამიანის აზროვნების ისტორიაში უდიდეს პროგრესს წარმოადგენს“...[3] შტენბერგენი ასე ახასიათებს ბერგსონის მოძღვრებას: „ბერგსონის სისტემა ისეთი მშვენიერი მთლიანია, რომ ცალკე ნაწილების კრიტიკა მას სრულიად ვერაფერს ავნებს; საფრანგეთში მის მნიშვნელობასა და ორიგინალობას ყველა ღრმა კრიტიკოსი აღიარებს, ხოლო გერმანიაში ბერგსონმა ჯერ კიდევ მიიპყრო ისეთი ყურადღება, როგორის სრული უფლებაც აქვს მას“.[4] რუსი ფილოსოფოსი ლოსკი ლაპარაკობს: ,,შეიძლება ითქვას, რომ ეს გამაცოცხლებელი თვისება თვით ბერგსონის ფილოსოფიას აქვს. როდესაც ეცნობი მას, გრძნობ ძალების მოზღვავებას; და არა მარტო პრობლემათა გადაწყვეტისათვის, არამედ ამ სულიერი განწყობილებისათვისაც არ შეიძლება ღრმა მადლობა არ ვიგრძნოთ იმ ფილოსოფოსის მიმართ, რომელიც მას ქმნის...“[5] გამოჩენილი ამერიკელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი უილიამ ჯემსი ბერგსონს თავის მოძღვრად თვლის, თუმცა ერთ - ერთი ძირითადი პრინციპი ბერგსონის ფილოსოფიისა მან ამ უკანასკნელზე ადრე გამოთქვა.

---

[1] Ганжан., Революция в философии. Учение Анри Бергсона. Рус. Перев. 1909 г. Москва.

[2] Г. Ражо, Учение и философия. Рус. Пер. 1911. Петербург. Стр. 2017-2018.

[3] Жуссэн, Бергсонизм и романтизм. Собр., соч. Бергсона, т. 4. Стр. 212. Петроград.

[4] A. Steenbergen, Bergsons intuitive Phiilosophie, 1909. S.107,f.

[5] Лосский, Интуитивная философия Бергсона, Петерб. 1914 г.

ბ ე რ გ ს ო ნ ი ს გავლენის შესახებ საკმარისი იქნება თუ ფრანგ გ რ ა ნ ჟ ა ნ ი ს შემდეგ სიტყვებს დავიმოწმებთ:

„ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიის წარმატება დღითი დღე იზრდება, უკანასკნელ წლებში ბერგსონიზმი საფრანგეთის საზღვრებს გასცდა და მრავალი მოაზროვნე დაემორჩილა: გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში და თვით რუსეთშც. ყოველ წამს მის თხზულებათა ახალი თარგმნები, ახალი კომენტარები და რეზიუმეები ჩნდებიან, მისი ნაწერები უკვე კლასიკური ხდებიან. ამზადებენ ამონაწერებს, ადგენენ კრებულებს; ქვეყნდება მათი მკაფიო და მოკლე განმარტება იაფფასიანი გამოცემების სახით. მაგრამ ბერგსონიზმს დიდად აფასებენ აღტაცებული პროფესიონალური ფილოსოფოსებიც. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ცხადსა და გამოჩენილ მიმდევართა შორის დავასახელებთ უწინარეს ყოვლისა უ. ჯ ე მ ს ს, რომელიც ძლიერ ადრე გარდაიცვალა და რომელსაც უთუოდ ძალზე ასიამოვნებდა თავისი ფრანგი მოძღვრის წარმატება; ე დ უ ა რ დ ლ ე რ უ ა ს, საფრანგეთის ნეოკათოლიციზმის ბელადს, ძლიერ კარგ ფილოსოფოსს, რომელმაც ბერგსონიზმი თეოლოგიისათვის გამოიყენა; ფსიქოლოგს ლ ი უ კ ე ს; ფილოსოფოსთ: ვ ი ლ ბ ო ა ს, გ რ ა ჟ ო ს, ჟ ი ლ უ ი ნ ს, შ ო მ ე ს, ჟ ო რ ჟ ს ო რ ე ლ ს, მ ი ლ ე ს, ს ე გ ო ნ დ ს, მაგრამ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ამალაში არა მარტო წმინდა ფილოსოფოსნი მონაწილეობდნენ: იქ არიან აგრეთვე გამოჩენილი არტისტები, მწერლები, როგორც პ ე გ ი უ და ს ი უ ა რ ე ს ი, მეცნიერები, ბიოლოგები, ეკონომისტები, პედაგოგები. იმიტომ, რომ ბერგსონი თავის დროზე მოვიდა, იგი, როგორც დიდ ფილოსოფოსთა უმეტესობა, წინამორბედი კი არა, იმ აზრის განმამარტებელია, რომელიც მთელს მის ხანას ეკუთვნის. იგი თავისი ეპოქის ფილოსოფოსია; მას წილად ხვდა განეაზრა და ნათლად გამოეთქვა ის, რასაც მისი თანამედროვენი ბუნდოვნად გრძნობდნენ. მან თანამედროვე ანტიინტელექტუალურ სიოს ფორმა, აზრი, დიალექტიკა და ნათელი ცნობიერება მისცა. იგი მთელი ეპოქის გენიალურ წარმომადგენლად დარჩება“.[1]

მაგრამ გადავიდეთ თვით ბ ე რ გ ს ო ნ ზ ე! ხოლო ჯერ მისი ცხოვრების მიმდინარეობა და სამწერლო მოღვაწეობა უნდა გავითვალისწინოთ.

3. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებნი

ა ნ რ ი ბ ე რ გ ს ო ნ ი ს სახით ებრაელობამ ერთხელ კიდევ მიუძღვნა ფილოსოფიას დიდი ადამიანი, რომელიც აზროვნების ისტორიაში უთუოდ საგრძნობ კვალს დატოვებს: პირველი იყო ინტელექტუალიზმის სანიმუშო წარმომადგენელი ბ ა რ უ ხ ს პ ი ნ ო ზ ა, მეორე - ანტიინტელექტუალიზმის მჭევრმეტყველი აპოლოგეტი, ა ნ რ ი ბ ე რ გ ს ო ნ ი. იგი პარიზში დაიბადა 1859 წელს. მისი მშობლები პოლონელი ებრაელის შთამომავალნი იყვნენ. საშუალო განათლება Lycée Condorcet-ში მიიღო, სადაც განსაკუთრებით მათემატიკას დაეწაფა. 18 წლის ახალგაზრდა იყო, როდესაც პირველი მათემატიკური გამოკვლევა გამოაქვეყნა და საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. უმაღლესი განათლება, როგორც ეს ხვა მრავალ გამოჩენილ ფრანგზეც ითქმის, Ecole normal-ში მიიღო. 22 წლის ახალგარდა მათემატიკიდან ფილოსოფიაზე გადავიდა და უკვე ანჟერის ლიცეუმში და შემდეგ კლერმონტისაში ფილო-

[1] Ф. Гранжан ., Op. cit. გვ. 122 და ა.შ.

სოფიური ლექციების კითხვა დაიწყო. მისი თხზულებანი: Quid Aristoteles de loco senserit და Essais sur les données immediates de la conscience, რომელნიც 1888 წელს გამოქვეყნდა, სადოქტორო დისერტაციის სახით ერთად იქნენ პარიზის უნივერსიტეტში წარდგენილნი.1896 წ. იგი თავის Matiére et mémoire-ს ბეჭდავს, 1900 წელს Collége de France-ში პროფესორად მიიწვიეს, 1901 წ. ბ ე რ გ ს ო ნ ი აკადემიის წევრად აირჩიეს, რაც 42 წლის მეცნიერისათვის არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. 1907 წელს მისი მესამე დიდი თხზულება გამოვიდა; Evolution creatrice, ხოლო ამაზე უფრო ადრე 1901 წ., Le rire-essai sur la signiflcation du comique. 1907 წლიდან დაწყებული ბ ე რ გ ს ო ნ ი მორალისა და ესთეტიკის საკითხებს ამუშავებს.

გარდა ამისა ბ ე რ გ ს ო ნ ს მრავალი მოხსენება და საჟურნალო შრომაც აქვს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: 1. Introduction à la métaphysique, 2. Le rève 3. Effort intellectuel, 4. Le souvenir du présent et la fausse recennaissance, 5. Le paralogisme psycho - physologique.

რა გააკეთა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბ ე რ გ ს ო ნ მ ა, სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით. საერთაშორისო ომმა თითქმის სრულიად გაწყვიტა ის კავშირი, რომელიც ევროპის სულიერ ცხოვრებასთან გვაერთებდა. ამიტომ იძულებული ვართ, ბ ე რ გ ს ო ნ ს მხოლოდ წინანდელი შრომების მიხედვით გავეცნოთ.

ყველა დასახელებული ნაწერი, გარდა პირველისა, რუსულადაც არის ნათარგმნი.[1]

[1] Анри Бенсон.,Собрание сочин. 5 томов. 1914, Семенов. Птргд.

თავი I

შემეცნების თეორიის ძირითადი პრინციპები

1. მეცნიერება და ფილოსოფია

ემპირიული სინამდვილე მეცნიერების ობიექტია. ფილოსოფია, როგორც ცდა სინამდვილის შემეცნებისა მეცნიერების მონაპოვართა ანალიზის ნიადაგზე. ასეთი ცდის მცდარობა. საფუძველი მეცნიერება-ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულების აზრის მცდარობისა: იდეა გამოცდილების მთლიანობისა და შემეცნების ერთიანობისა, შედეგი: დოგმატიზმი, ახალი ცდა. გამოცდილების ორი მიმდინარეობის აღიარება: ორგანულისა და არაორგანულის.

საკითხი ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ჩვენი დროისათვის თითქმის საბოლოოდ ჩამოყალიბდა. დღეს ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულების მიხედვით, კავშირი შემეცნების ამ ორ დარგს შორის უდავო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული. ჩვენი შემეცნების უშუალო საგანს ემპირიული სინამდვილე ან გამოცდილება შეადგენს, მაგრამ პირდაპირი დამოკიდებულება მასთან მხოლოდ სამეცნიერო კვლევა - ძიების ფარგლებშია მოქცეული: არაცოცხალი ბუნების მოვლენათა შესწავლა ფიზიკისა და ქიმიის საქმედ გადაქცეულა, ხოლო სიცოცხლის ფენომენთა შემეცნება ბიოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათ დაუსახავთ მიზნად. ემპირიული სინამდვილის ნიადაგზე ფილისოფიას ადგილი აღარ რჩება: ფაქტია, სამყარო მეცნიერების მონოპოლიად არის გამოცხადებული.

რა აინტერესებს თავის კვლევა-ძიებაში მეცნიერებას? რა არის მისი მიზანი? მთელი ფაქტიური სინამდვილის კანონშეწონილობა - აი რა უნდა გაითვალისწინოს მან. მაშ, სადღა რჩება ამ შემთხვევაში ადგილი ფილოსოფიას? რაღაა მისი კვლევა-ძიების საგანი? ეს საკითხი ფილოსოფიის raison d'être საკითხია. თანამედროვე აზროვნებას აუცილებლად მიაჩნია, ცალკე შემეცნების საგნად თვით მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფი აქციოს; მეცნიერების ჭეშმარიტებათა წრე თვითონ უნდა შეიქნეს პრობლემად, რომელსაც განსაკუთრებული შესწავლა და შეფასება ესაჭიროება. ამგვარად, შემეცნებას კიდევ რჩება სამოქმედო სარბიელი; და ეს სარბიელი ფილოსოფიას აქვს დათმობილი.მისი მოვალეობა, ამისდა მიხედვით, მეცნიერების წრეში დადასტურებულ ჭეშმარიტებათა შეფასებაში მდგომარეობს. ფილოსოფიას ეკისრება, განიხილოს მეცნიერების მონაპოვარი და იმის მიხედვით, თუ როგორი არის იგი, ან ემპირიული სინამდვილის გარეშე მდებარე სფეროს შესახებ გამოსთქვას თავისი აზრი, ამგვარად მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი სინამდვილე გაგვითვალისწინოს, ანდა თვით ჩვენი სამეცნიერო შემეცნების შემადგენლობა, საზღვარი და კანონები შეისწავლოს. მაშასადამე ფილოსოფიას მეტაფიზიკისა და შემეცნების თეორიის საკითხების გადაჭრა ევალება, მაგრამ არარეალური სინამდვილის უშუალო კვლევა-ძიების, არამედ მხოლოდ მეცნიერების მონაპოვართა შეწავლის მეშვეობით.

ამგვარად მდგომარეობა ასეთი იქნება: სინამდვილის პირდაპირი შესწავლა მეცნიერებას ეკისრება: ფილოსოფიას ნება არა აქვს ეს სინამდვილე თავისი კვლევა-ძიების უშუალო საგნად აქციოს; სამაგიეროდ, მას დავალებული აქვს, მეცნიერული კვლევა-ძიების მონაპოვართა ანალიზით მეტაფიზიკური სინამდვილისა და შემეცნების თეორიის საკითხები გადაჭრას. მაგრამ, არსებითად, ასეთი გაგება ფილოსოფიის პრობლემისა მისი ღირებულების დამოუკიდებლობის სრულ უარყოფას უდრის. საქმე ის არის, რომ ადამიანის მოქმედებასა და ბუნების მოვლენათა შორის მხოლოდ ზერელე ანალოგია არსებობს. ადამიანის საქციელის გამოკვლევა, მისი შესწავლა ერთი საქმეა და მისი შეფასება კიდევ მეორე; და ეს იმიტომ, რომ ადამიანის მოქმედების გარეშე, მასზე დამოუკიდებლად, ამ მოქმედების შემფასებელი საკანონმდებლო ნორმა არსებობს. ბუნების მოვლენათა მდგომარეობა კი სულ სხვაგვარია; აქ ნორმა, რომლის მიხედვითაც მათი შეფასება შეიძლება, ფაქტის გარეშე როდი დგას; არა, იგი თვით ფაქტში მარხია. ამიტომაც, აქ ყოვლად შეუძლებელია, ოდნავ მაინც სცადო მისი აღწერა ისე, რომ „მისი შინაგანი ბუნება და მისი ორგანიზაცია წინასწარ არ განსაჯო. აქ შეუძლებელია ფორმა სავსებით გამოჰყო მატერიას“.[1] აქედან ცხადია, რომ თვით მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება შეუძლებელი იქნებოდა, თუ რომ შემეცნების თეორიისა და მეტაფიზიკის საკითხები იმთავითვე წინასწარ არ ყოფილიყვნენ გადაწყვეტილნი. ამგვარად, ყოველ მეცნიერებას, რასაც არ უნდა ეხებოდეს იგი, ძალაუნებურად თავისი მეტაფიზიკა და შემეცნების თეორია ახლავს თან და როდესაც ფილოსოფიას ამ პრინციპების გამოკვლევას ავალებენ, მაგრამ არა თვით სინამდვილის, არამედ მხოლოდ მეცნიერების ფაქტის შესწავლის დახმარებით, ამით მას არსებითად აიძულებენ, რომ მხოლოდ ის ნათელყოს, რაც მეცნიერებაში უკვე წინასწარ და შეუცნობლად არის მიღებული. „ამიტომაც, ვინც ფილოსოფიას პრინციპების საკითხებს აწვდის და მას კერძო მეცნიერებათა მაღლა აყენებს საკასაციო სასამართლოს მსგავსად, რომელიც ნაფიც მსაჯულთა და სააპელაციო სასამართლოზე მაღლა დგას, იგი ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივა, რომ ფილოსოფია უბრალო კანცელარიად გამოაცხადოს, რომელიც უკვე მიღებული განაჩენის შესაფერი სიტყვიერი გამოხატულების ძიებით კმაყოფილდება“.[2]

ამგვარად, თუ რომ ფილოსოფიას მეტი მართლა არაფერი აქვს გასაკეთებელი, მისი raison d'être-ი სრულიად აღკვეთილად და თვითონ იგი ან მეცნიერების უბრალო მსახურად, ანდა კიდევ სრულიად ზედმეტ დისციპლინად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ბერგსონის შეხედულებით, ნამდვილი მდგომარეობა სულ სხვაგვარია: ფილოსოფიას, მისი აზრით, მაინც აქვს თავისი სპეციალური დავალება და, მაშასადამე, უფრო არსებითი მნიშვნელობაც.

საქმე ის არის, რომ თანამედროვე მეცნიერებას და მისი კვლევა-ძიების მთელი სინამდვილის სფეროზე გავრცელებას ერთი წინასწარ მიღებული აზრი უდევს საფუძვლად, რომლის სამართლიანობაც ჯერ კიდევ შესაფასებელი და შესამოწმებელია. თუ რომ მთელ ემპირიულ სინამდვილეს მარტო სამეცნიერო კვლევა-ძების სარბიელად აცხადებენ, ეს იმიტომ ხდება, რომ გამოცდილების მთლიანობა და შემეცნების ერთიანობა იმთავითვე უდავოდ არის მიჩნეული.

[1] Evol. creat. p. 166
[2] Ibid. გვ. 167

ნამდვილად კი არც გამოცდილება შეიძლება ჩითვალოს apriori მთლიან ერთეულად და არც შემეცნება.

ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, ასეთი წინასწარ მიღებული დებულება არა მარტო ფილოსოფიას იწირავს ზვარაკად, მისი მსხვერპლი ხდება თვით მეცნიერებაც. მართალია, მეცნიერებას აქ განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება: მართალია „მას საბაბი ეძლევა თავისი თავი ჭეშმარიტების ერთადერთ მოძღვრად წარმოიდგინოს: მაგრამ რადგანაც მალე აშკარავდება, რომ სინამდვილის ზოგი სფეროს შესახებ მეცნიერების დებულებანი ხშირად ყოველ ნიადაგს არიან ხოლმე მოკლებული, აუცილებელი ხდება, ერთხელ მაინც დაისვას საკითხი: აქვს თუ არა რაიმე აბსოლუტური მნიშვნელობა საერთოდ მეცნიერულ ჭეშმარიტებას? თუკი, ერთის მხრივ, მეცნიერული შემეცნება ამ მთლიანი სინამდვილის შესწავლის პროცესში ხშირად უძლურებას იჩენს, უნდა ვიფიქროთ, რომ მეცნიერების არც ერთ დებულებას არ უნდა ჰქონდეს გარდაუვალის, აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნების მნიშვნელობა და იგი მხოლოდ შედარებითი ხასიათის უნდა იყოს. ამგვარად, ბერგსონის სიტყვით, „წინანდელი გადაჭარბებული სიამაყე მეცნიერებისა, უნდა თქვას კაცმა, ახლა ზედმეტი თავის დამცირებით იცვლება. მეცნიერების იმედი იკარგება, და ამით ადამიანის შემეცნებაც უძლურ და უნაყოფო საქმედ გამოდის. წინანდელ მეცნიერულ დოგმატიზმს გადაჭარბებული ცკეპტიციზმი სდევს თან“.

მაშ, დავანებოთ თავი აპრიორულად მიღებულ ბუნებისა და შემეცნების მთლიანობის აზრს და მივმართოთ ჩვენს ყოველდღიურ დაკვირვებას. რას გვეუბნება იგი? გამოცდილებითი სინამდვილის სფერო მაშინ ორ მთავარ მიმდინარეობად ჩამოისახება: ერთი არის არაცოცხალი და მეორე - ცოცხალი ბუნება. მივიღოთ ეს განსხვავება, რომელიც სინამდვილის წრეში უნიჭოდ გვეჩვენება, და ჩვენი მსჯელობის ამოსასვლელ პუნქტად იგი დავსახოდ. შეიძლება, ამ გზამ სრულიად სხვა პერსპექტივები გადაგვიშალოს; შეიძლება მან ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების სხვა შესაძლებლობისთვის მიგვაგნებინოს. შეუძლია თუ არა მეცნიერებას სინამდვილის ორივე ამ მიმდინარეიბის შემეცნება, თუ მთლიანობა და ერთიანობა თვით შემეცნების წიაღშიც ფანტომად უნდა ჩაითვალოს, და აქაც ორგვარი მიმდინარეობის არსებობა უნდა ვაღიაროთ?

რა იარაღით სარგებლობს სამეცნიერო შემეცნება? „ეჭვი არ არის, რომ დადებითი მეცნიერება წმინდა ინტელექტის ქმნილება არისო“... ამბობს ა ნ რ ი ბ ე რ გ ს ო ნ ი,[1] და ამ მხრივ მას ვერავინ შეედავება, ჩვენ არ ვიცით ფილოსოფიის ისტორიაში არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ვისმე სამეცნიერო შემეცნებისა და ინტელექტის შეუსაბამობის აზრის მტკიცება სერიოზულად დაეწყოს. პირიქით, ვისაც სამეცნიერო კვლევა-ძიების ნაყოფიერებაში შეუტანია ეჭვი, მას ამისათვის სრულიად საკმარისად ინტელექტის ძალების უარყოფითი კრიტიკა მიუჩნევია: მეცნიერება ინტელექტუალიზმის ღვიძლი შვილია.

ამისდა მიხედვით, როდესაც სამეცნიერო შემეცნების სარბიელის განსაზღვრას ვისახავთ მიზნად, ძალაუნებურად ადამიანის ინტელექტის სამოქმედო ასპარეზის შესახებ გვმართებს ჩავფიქრდეთ, თუ აღმოჩნდა, რომ ამ ასპარეზის ფარგლებში მთელი სინამდვილე უკლებლივ ეტევა, მაშინ იძულებული შევიქნებით, ვაღიაროთ, რომ არა თუ ბუნებითი სინამდვილის მთლი-

[1] Op. Cit. გვ. 168

ანობის უარყოფაა ზედმეტი, არამედ შემეცნების მთლიან ერთეულად აღიარებაც საჭიროა.

მაშ, როგორია ინტელექტის დამახასიათებელი თვისებები? ბ ე რ გ ს ო ნ ი ს კონცეფცია ინტელექტისა ერთ - ერთი უმთავრესი დამახასიათებელი მომენტია მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობისთვის. ამიტომაც იგი არაერთხელ ეხება ამ საკითხს და თავისებურად ჭრის მას.

ინტელექტი ცნებებით აზროვნებს; ცნება წარმოდგენებს ემყარება, ხოლო წარმოდგენა - განცდას. ინტელექტის ბუნების ნათელსაყოფად, მაშასადამე, აუცილებელია, ჯერ განცდის რაობა გავითვალისწინოთ, აქედან წარმოდგენაზე გადავიდეთ და ბოლოს ცნების შემეცნებითი ღირებულებაც შევაფასოთ. ამ გზით, ბოლოს და ბოლოს, თვით ინტელექტის ბუნებასაც ვსწვდებით, და, მაშასადამე, მეცნიერების ღირებულების შესატყვის შეფასებასაც მოვახერხებთ.

2. განცდის თეორია, წარმოდგენა, ზოგადი იდეა

ძირითადი შეცდომა თავის ტვინის ფუნქციის შესახებ: თავის ტვინის ფუნქცია შემეცნებაა. ნამდვილი ფუნქცია თავის ტვინისა. განცდის გენეზისს ახსნა არ ესაჭიროება: განცდა ყოვლადია, იმთავითვე მოცემულია და, როგორც ასეთი, არაცნობიერია. ასახსნელი მხოლოდ ჩვენი განცდის ცნობიერებითი და კერძოობითი ხასიათია. მოქმედება და ცნობიერება. მოქმედება და კერძოობითობა. ადამიანის განცდის შემეცნებითი და პრაქტიკული ღირებულება, წარმოდგენა და მისი შემეცნებითი ღირებულება, ზოგადი იდეა, მისი გენეზისი და შემეცნებითი როლი.

შემეცნების თეორიაში განცდის გენეზისის პრობლემას მუდამ ცენტრალური ადგილი ეპყრა. ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩვენი შემეცნების საგნად გადაიქცეს თუ რომ იგი ჩვენზე ერთგვარ ზეგავლენას მოახდენს. მაგრამ ეს ზეგავლენა ყოველთვის განსაზღვრული ხასიათის არის. იგი ადამიანის ორგანიზმში განსაკუთრებულ ფიზიოლოგიურ პროცესს იწვევს, და შედეგად გარეშე საგნის ან მოვლენის განცდა იბადება.

როგორ ხდება ეს? როგორ არის შესაძლებელი, რომ ფიზიოლოგიურმა პროცესმა ფსიქიკური მოვლენის სახე დაბადოს? ბ ე რ გ ს ო ნ ი ს სიტყვით, აზრთა ტრადიციული მსვლელობა ამ საკითხში ჯადოსნური ჯოხით სარგებლობს. იგი ამოწმებს ობიექტურ გაღიზიანებას, ნერვულ პროცესს და უეცრად, სრულიად მოულოდნელად, ფსიქიკურ მოვლენას, განცდას უთმობს ადგილს, რატომ? რა უფლებით?

ახსნა ერთადერთია. ტრადიციული აზროვნების რწმენით, ადამიანის ტვინის ერთადერთ დანიშნულებას მიღებული შთაბეჭდილებების შემეცნება შეადგენს; მისი რწმენით, ტვინი შემეცნების ორგანოა. ნამდვილად კი ტვინს შემეცნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. სპეკულაცია მისი საქმე არ არის. ამის დამტკიცება არც ისე ძნელია. დავიწყოთ ცოცხალი მატერიის უბრალო სახით და გადავიდეთ უფრო რთულ ორგანიზმებზე.

როდესაც პროტოპლაზმური მასა გარეშე ზაგავლენას განიცდის, იგი ყოველ გაღიზიანებას მექანიკურის, ფიზიკურისა და ქიმიური რეაქციებით უპასუხებს. აქ გარეგან შთაბეჭდილებას მუდამ პროტოპლაზმის ერთგვარი რეაქცია სდევს თან. შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორ რთულდება ორგანიზმი, ფიზიოლოგიური მუშაობა უფრო და უფრო ნაწილდება: ჩნდება ნერვული უჯრედები, რომელნიც სხვადასხვა სისტემად ერთდებიან, და ამავე დროს და ამის გამოც გარეგანი შთაბეჭდილება სხვადასხვაგვარ რეაქციას იწვევს. ავტომატიზმი აქაც ცხადად ჩანს; მაგრამ ახლა იგი უფრი რთულ ხასიათს ღებულობს. როგორიც უნდა იყოს შთაბეჭდილება, იგი ცოცხალი ორგანიზმის რეაქციას იწვევს. ურთულეს ხერხემლიან ორგანიზმებში ნერვული უჯრედების დიფერენციაცია უმაღლეს დონეს აღწევს; ავტომატიზმი აქ ხერხემლის ტვინს უკავშირდება, ხოლო ნებითი მოქმედება თავის ტვინის მონაწილეობას გულისხმობს. ჩვეულებრივი შეხედულებით, აქ, თავის ტვინში, მიღებულ შთაბეჭდილებათა შემეცნება ხდება. ნამდვილად კი თავის ტვინისა და ხერხემლის ტვინს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს, რაც უთუოდ საჭირო იქნებოდა, თუ რომ მათი ფუნქციები ესოდენ განსხვავებული ყოფილიყვნენ, რაოდენ განსხვავებულია შემეცნება და მოქმედება. საკმარისია ოდნავ მაინც გავითვალისწინოთ ხერხემლისა და თავის ტვინის პროცესები, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა მცირე განსხვავება არსებობს მათ შორის.

ხერხემლის ტვინში პერიფერიული გაღიზიანება იმწამსვე უკან ბრუნდება, ცენტრით მსრბოლი მოძრაობის სახით. ხოლო თავის ტვინში პროცესი უფრი გრძელ გზას გაივლის. იმის მაგივრად, რომ პერიფერიული შთაბეჭდილება, მიაღწევს თუ არა ხერხემლის ტვინს, იმწამსვე ცენტრით მსრბოლი მოძრაობის სახით გამობრუნდეს უკანვე, იგი ხერხემლის ტვინის მოძრაობით უჯრედს არ ეხება და პირდაპირ თავის ტვინში გადადის, რათა შემდეგში უკანვე ჩამობრუნდეს და, ამავე ხერხემლის ტვინის მოძრაობითი უჯრედების მეშვეობით, მოძრაობის სახით იჩინოს თავი, რაშია აქ განსხვავება? არაფერში, გარდა იმ გზის სიგრძისა, რომელიც პირველსა და მეორე შემთხვევას ახასიათებს.

მაგრამ რა საჭირო იყო ან რა აზრი ჰქონდა ამ გზის გაგრძელებას? ეჭვი არ არის, აქ რაღაც მიზეზი უნდა არსებობდეს. ბ ე რ გ ს ო ნ ი ფიქრობს, რომ ეს მიზეზი შეიძლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ პერიფერიულ გაღიზიანებას მუდამ და ყოველთვის ერთი და იმავე მოძრაობის რეალიზაცია არ აქვს სახეში; ეს კი პირდაპირ აუცილებელი იქნებოდა, მას რომ უშუალოდ ხერხემლის ტვინის მოძრაობითი უჯრედები აღეძრა. როდესაც გაღიზიანება თავის ტვინის მიმართულებით ვრცელდება, და ამგვარად მისი გზა გრძელდება, ეს შეიძლება მხოლოდ იმიტომ ხდებოდეს, რომ თავის ტვინის ე. წ. სენსორული წრეები საშუალებას უნდა აძლევდნენ პერიფერიულ იმპულსს, ხერხემლის ტვინის ის მოძრაობითი მექანიზმი აირჩიოს, რომელიც მისთვის საჭირო მოძრაობას გამოიწვევს. როგორც ტელეფონით ლაპარაკისთვის აუცილებლად საჭიროა, ჯერ ის ადგილი გამოიძახო, სადაც ყველა ტელეფონის მავთული იწყება, რათა ვისმე დაელაპარაკო, სწორედ ასეა აუცილებელი, პერიფერიულმა ი მ პ უ ლ ს მ ა ჯერ იმ ადგილას მიაღწიოს, საიდანაც ყოველგვარი მოძრაობითი მექანიზმის არჩევა შეიძლება, და მხოლოდ შემდეგ გავრცელდეს ამ მექანიზმის მიმართულებით. ასეთ ადგილს კი უთუოდ თავის ტვინი უნდა წარმოადგენდეს. რაც უფრო განვითარებულია თავის ტვინი, მით უფრო მეტი და მრავალმხრივი უნდა იყოს ის გზა, რომლითაც პერიფერიულ იმპულსს ამა თუ იმ მოძრაობის

გამოწვევა შეუძლია: „ნერვების სისტემა, რომელშიც ნეირონები ისე არიან ერთიმეორეზე მიწყობილნი, რომ თითოეული მათგანის ბოლოდან სხვადასხვა შასაძლებლობის სხვადასხვა გზები იწყება, ნამდვილ გამოურკვევლობის აუზს წარმოადგენს“ (Ev. 137).[1]

ამრიგად „თავის ტვინი არაფერს წარმოადგენს გარდა ტელეფონის სადგურისა, მისი როლია ან შეერთება, ან კიდევ მოცდევინება. იგი არაფერს უმატებს იმას, რასაც იღებს“.[2] ცხადია, როგორც ხერხემლის, ისე თავის ტვინიც მოძრაობას ემსახურება; როგორც ერთი, ისე მეორეც მიღებული შთაბეჭდილების შესაფერ მოძრაობას ამზადებს. ხერხემლის ტვინი - პირდაპირ და იმთავითვე განსაზღვრულს, ხოლო თავის ტვინი - თავისუფალსა და სასურველს. მაშინ სადღაა შემეცნება? ცხადია, თვის ტვინის გარეშე შთაბეჭდილების შემეცნებასთან საქმე არა აქვს; ცხადია, შთაბეჭდილების განცდა აქ არ იბადება, როგორც ეს ტრადიციულ აზროვნებას ჰგონია.

მაშ, სად იბადება იგი? არსად! იგი იმთავითვე მოცემულია, იგი ყველგან არის, მთელ მსოფლიოში. თვით თანამედროვე მეცნიერებაც უდავო ჭეშმარიტებად თვლის განცდის ყოვლადობას. „შევადგინეთ მსოფლიო ატომებისაგან: თითოეული მათგანი გრძნობს როგორც რაოდენობით, ისე რომელობითაც, იმ ზემოქმედებას, რომელსაც მასზე ნივთიერების ყველა ატომი ახდენს, და რომელიც, იმის მიხედვით, თუ რა მანძილი უკავია, ყოველთვის სახეს იცვლის. წარმოიდგინეთ ძალთა ცენტრები: ძალების ხაზები, რომლებიც ყოველი ცენტრიდან ყოველი მიმართულებით ვრცელდება, ყოველი ცენტრისაკენ მთელი ნივთიერი მსოფლიოს გავლენას წაიღებენ. იგულისხმეთ მონადები. ყოველი მონადა, ლაიბნიცის არ იყოს, მთელი მსოფლიოს სარკე იქნება (Mm. 26). ამგვარად, მსოფლიოს რომელი ადგილიც, რომელი საგანიც უნდა ავიღოთ, ყველგან მთელი სინამდვილის გავლენას ვნახავთ თავმოყრილს; ყველგან და ყველაფერი ყველაფერს განიცდის.

ამგვარად, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს რწმენით, განცდა ყოვლადი, კოსმოსური მოვლენაა, მაგრამ იგი თავისებური განცდაა: მას ცნობიერება აკლია, ამიტომაც, ამ შემთხვევაში ლ ა ი ბ ნ ი ც ი ს ანალოგიას მართლა პირდაპირი მნიშვნელობა აქვს; როგორც მისი მონადა მთელ უნივერსუმს petite perception-თა სახით, ე. ი. შეუცნობლად განიცდის, სწორედ ისე, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მსოფლიოს თითოეული კერძო ფენომენიც მთელი სინამდვილის არაცნობიერ განცდას ატარებს. მაგრამ ეს ბ ე რ გ ს ო ნ ი ს პირადი მეტაფიზიკა კი არ არის; ეს, მისი აზრით, ყველას მიერ მიღებული უდავო ჭეშმარიტებაა.

ამგვარად, esse est percipere განცდა მოცემული ფაქტია, და მას ახსნა არ ესაჭიროება (Mm. 26, 28); მისი გენეზისის გათვალისწინების ცდა უიმედო დროის დაკარგვაა, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს განცდა ყოვლადია და არაცნობიერი.

ხოლო ჩვენი განცდა? იგიც ასეთივე ყოვლადობის მატარებელია? იგიც არაცნობიერია? რა თქმა უნდა არც ერთი და არც მეორე, ჩვენ ცალკე საგნებს ცალკე მოვლენებს განვიცდით; მთლიანი სინამდვილის ბადე ჩვენს ცხოვრებაში ცალკე უჯრედებად იჭრება; მათი სახე ჩვენი განცდის საშუალებით ნათლად და მკაფიოდ, ე. ი. ცნობიერად იქცევა. ერთი სიტყვით, ჩვენი განცდის დამახასიათებელი თვისება მისი ცნობიერება და ცალკეობა არის. და ასახსნელი სწორედ

[1] Ev -ის სახით ვამოკლებთ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს წიგნის, Evolution créatrice-ის სათაურს.
[2] Mm-ს Matière et mémoire-ის საბადლოდ ვხმარობთ.

ესაა: “თქვენ ის კი არ უნდა ახსნათ, თუ როგორ ჩნდება განცდა, არამედ ის, თუ როგორ იფარგლება იგი, ვინაიდან იგი ყველაფრის გამოხატულებას უნდა შეადგენდეს, ნამდვილად კი მხოლოდ კერძოობითი ხასიათისაა“ (Mm. 28).

ჩვენ შევთანხმდით, რომ მსოფლიოს თითოეული ნაწილი მთელი სინამდვილის სარკეს წარმოადგენს, იმიტომ, რომ იგი მის სრულ ზემოქმედებას განიცდის. მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვაგვარად განიცდის ამ ზეგავლენას. ავიღოთ მატერიალური, არაორგანული მსოფლიო. აქ თითოეული მოვლენა მთელის ზეგავლენას იღებს, ხოლო თვით მთლიანში ახალს არაფერს იწვევს. იგი სრულიად, ასე ვთქვათ, პასიურად რჩება და მთლიანის ზეგავლენას თავის არსში სავსებით ატარებს. ამიტომაც იგი მსოფლიოს არაცნობიერად გამოხატავს; მას მისი ცნობიერი განცდა აკლია. გადავიდეთ ცოცხალ, მაგრამ მარტივ ორგანიზმზე: აქ თითოეული ზემოქმედება განსაზღვრულ რეაქციას იწვევს, ასე რომ, შთაბეჭდილებასა და რეაქციას შორის მუდმივი მარტივი დამოკიდებულება არსებობს: ზემოქმედებას მუდამ ერთი და იგივე რეაქცია სდევს თან. და იგი, მაშასადამე, არც აქ ჩერდება, ამიტომ ცნობიერ განცდას არც აქ აქვს ადგილი. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაშია ადამიანის ორგანიზმი. იგი აქტიური მომენტია, რომელიც მსოფლიოს ზეგავლენას თავის აქტივობას უპირისპირებს და, იმის მიხედვით, თუ რამდენად მრავალმხრივია მისი მოქმედების უნარი, ამ ზემოქმედებას აყოვნებს ან აჩერებს. ზემოქმედების ამ შეჩერებას, საწინააღმდეგო რეაქციის მეშვეობით, ერთადერთი აზრი აქვს. ამას იგი იმიტო სჩადის, რომ ისეთი საპასუხო რეაქციის მოხდენა სწადია მსოფლიოზე, რომ მისგან მან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიიღოს: იგი მსოფლიოში ცხოვროვბს და თავის მოთხოვნილებეთა დაკმაყოფილებას, რა თქმა უნდა, მისგან მოელის.

მაგრამ უკვე ვიცით, რომ, ჩვენი მოქმედების მრავალმხრივობა ჩვენი ორგანიზმის, კერძოდ თავის ტვინის განვითარებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო განვითარებულია ტვინი, მით უფრო მრავალმხრივია შესაძლებლობა მსოფლიოზე სხვადასხვა მხრით ზემოქმედებისა. მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს, ცოცხალი ორგანიზმის მიერ მსოფლიო ზემოქმედების შეჩერების შესაძლებლობა თავის ტვინის განვითარებაზეა დამოკიდებული; იქ, სადაც განვითარებულია თავის ტვინი, იქ საპასუხო რეაქციაც უფრო განუსაზღვრელია, ხოლო მისი არჩევანი - უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი. ამგვარად ადამიანს, როგორც განვითარებული ტვინის პატრონს, განსაკუთრებული ადგილი უპყრია მსოფლიოში. აქ უკანასკნელის ზემოქმედება ბრკოლდება და, იმის მიხედვით, თუ რამდენად ხდება ეს, ჩვენ მისი ცნობიერად განცდის შესაძლებლობა გვეძლევა.

ამგვარად, ცნობიერი განცდის შესაძლებლობა ჩვენი ზემოქმედების უნარზეა დამოკიდებული. რამდენად უფრო მრავალმხრივია ჩვენი ზემოქმედება, იმდენად უფრო ცნობიერი და სრულია განცდაც. მაშასადამე, გენეზისი ცნობიერი განცდისა ახსნილია. იგი ჩვენი ზემოქმედების შესაძლებლობის გამო წარმოიშობა იმიტომ, რომ ჩვენ აქტიური ძალების ცენტრს შევადგენთ; და წარმოიშობა მით უფრო სრულად, რაც უფრო მეტი რეაქციის განვითარების უნარი გვაქვს; ეს კი, როგორც ვიცით, თავის მხრივ, ჩვენი ტვინის განვითარებაზეა დამოკიდებული. „რადგანაც ტვინის აგებულება მოძრაობათა დაწვრილებით პლანს იძლევა, რომელთაგანაც შეგიძლიათ, რომელიც გსურთ ის აირჩიოთ: რადგანაც, მეორეს მხრივ, გარეშე სახეა (საგანთა) ნაწილი,

რომელიც განცდათა შესაქმნელად თითქოს თავისთავს უბრუნდება, მსოფლიოში სწორედ იმ წერტილებს სვამს, რომელთა მიღწევაც ამ მოძრაობათ შეუძლიათ, ამიტომ ცნობიერი განცდა და ტვინის ცვლილებები ზედმიწევნით ეთანხმებიან ერთიმეორეს"... მაგრამ ეს იმიტომ როდი ხდება, რომ მათ შორის რაიმე მიზეზობრივი კავშირი არსებობდეს. არა, შეუძლებელია ტვინში განცდა წარმოიშვას; იგი როგორც ასეთი, მხოლოდ მოძრაობის ორგანოა. მაგრამ თუ მათ შორის მაინც შესაფერისობა ჩანს, ეს იმიტომ, რომ ორივე, განცდაცა და თავის ტვინიც ერთი მიზეზის მიერ არიან წარმოშობილი, რა არის ეს მიზეზი, ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

ამგვარად, განცდა ყოვლადი მოვლენაა, ხოლო ადამიანის განცდა კერძოობითისა და ცნობიერის სახეს ღებულობს. როგორც დავინეხეთ, ეს იმიტომ ხდება, რომ გარეშე საგნის ზემოქმედებათა საპასუხოდ ჩვენ მრავლის, ერთნაირად შესაძლებელი რეაქციის გამოწვევა შეგვიძლია; რამდენადაც საინტერესოა ჩვენთვის გარეშე ობიექტი, მხოლოდ იმდენად ვხდით მას ჩვენი რეაქციის საგნად; იმის მიხედვით, თუ რომელი მისი მხარეა ჩვენთვის სასარგებლო, ჩვენ ამა თუ იმ რეაქციაზე ვჩერდებით. მაშასადამე, ჩვენი განცდა საგნის მხოლოდ იმ მხარეს შეეფერება, რომელიც ჩვენს პრაქტიკულ მოთხოვნილებას აინტერესებს. ცხადია, ასეთ პირობებში იგი მთელი მსოფლიოდან მარტო ჩვენს მოთხოვნილებათა შესაფერის ნაწილს ამოჭრის და ცნობიერად მას გახდის, ხოლო თვით რთული სინამდვილე, თავისი განუწვალებადი მთლიანობით, ჩვენი განცდის გარეშე დარჩება.

მაგრამ რამდენად ობიექტური რეალობა აქვს ამგვარად წარმოშობილ ცნობიერ განცდას ადამიანისას? უეჭველია, არსებითად განცდის შინაარსი ობიექტური სინამდვილეა; მაგრამ ცნობიერი განცდის შინაარსში მხოლოდ მისი ის ნაწილი შევა, რომელიც ჩვენს პრაქტიკულ ინტერესს შეეფერება და ჩვენს ზემოქმედებას ემორჩილება. მაშასადამე, განცდა სინამდვილის შემეცნებას როდი ემსახურება; იგი უფრო ჩვენი პრაქტიკული მოქმედების გეგმაა. სინამდვილე ამის მიხედვით: ჩვენს განცდაში მარტო იმ მხარეს გვიჩვენებს, რომელიც ჩვენი მოქმედებისათვის არის საინტერესო. „მოქმედების თანაშემწე, განცდა, აცალკევებს მთლიანი რეალობიდან მხოლოდ მას, რაც ჩვენ გვაინტერესებს; იგი გაცილებით უფრო ნაკლებ თვით საგნებს გვიჩვენებს, ვიდრე იმას, რისი მიღებაც შეგვიძლია მათგან".[1]

თუ, ერთი მხრივ, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს გარეშე სინამდვილის ზეგავლენა ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ისეთი მხარეების განცდას იწვევს, რომლებიც ჩვენი მოქმედებისათვის არიან მნიშვნელოვანი, ხოლო თუ, მეორეს მხრივ, წარმოდგენა განცდათა ჯგუფს შეადგენს, მაშინ ცხადია, რომ ცნობიერი წარმოდგენის შინაარსი არა თვით სინამდვილე იქნება მთელი თავისი მრავალფეროვანი ბუნებით, არამედ რეალობის მხოლოდ ის გამოცალკევებული, პრაქტიკულად საინტერესო ნაწილები, რომელნიც ჩვენს განცდას შეადგენენ. მაშასადამე, წარმოდგენა სარკე კი არ არის სინამდვილისა, როგორც ზოგი ფიქრობს, არამედ ფოკუსია, რომელშიც მას პრაქტიკულად საინტერესო წერტილებს მოუყრია თავი. იგი შემეცნებისათვის როდია გამოსაყენებელი; არა, იგი ჩვენს პრაქტიკას ემსახურება.

[1] Бергсон. Восприятие изменчивости. Соб. Соч. Т. 4., стр. 13.

გადავიდეთ ზოგადად იდეაზე. ჩვენი აზროვნება ამ ზოგად იდეებში მოძრაობს; მისი შემეცნება მათი მეშვეობით ხორციელდება.

მაგრამ როგორია ზოგადი იდეის გენეზისი? ბერგსონისათვის ამ საკითხს არა მარტო ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს; იგი საინტერესოა გნოსეოლოგიურადაც.

ამ პრობლემის გადაწყვეტის ირგვლივ დავა აქვს ორ სხვადასხვა თეორიას; ნომინალიზმს და კონცეპტუალიზმს. ნომინალიზმის ამოსავალი პუნქტი ინდივიდუალური საგნის განცდაა. ჩვენ განვიცდით მას და შემდეგ განსაზღვრულ სახელწოდებას ვაძლევთ (nomen). ხოლო ეს სახელწოდება არ კმაყოფილდება მარტო ამ ინდივიდუალური საგნით; იგი ვრცელდება სხვა საგნებზეც, მაგრამ მხოლოდ ისეთებზე, რომელთაც პირველ საგანთან მსგავსება აქვთ. ამგვარად, იგი ზოგად იდეად იქცევა, რომელიც თავის მოცულობაში განსაზღვრულ საგანთა ჯგუფს შეიცავს. მაგრამ რატომ მარტო ამ საგანთა და არა სხვათაც? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ მათ საერთო თვისებები აქვთ. მაშასადამე, ნომინალიზმის ნამდვილი აზრით, სახელწოდების განზოგადებისათვის მსგავს თვისებათა ამოკრება და მათი გამოცალკევება, ე. ი. მათი გამოყენება ანუ აბსტრაქცია არის საჭირო. ერთი სირტყვით, აქ განზოგადება განყენებას გულისხმობს.

სულ სხვაგვარად იქცევა კონცეპტუალიზმი. იგი თითოეული ინდივიდუალური საგნის თვისებათა გამოცალკევებით ანუ განყენებით იწყებს. მაგრამ მისთვის თითოეული ასეთი განყენებული თვისება ზოგად თვისებად იქცევა. მაგალითად, ყვავილისა და თოვლის თვისებათა შორის ჩვენ ერთ - ერთს ვაცალკევებთ, სახელდობრ სითეთრეს, და ამ სითეთრეს ზოგად სითეთრედ, მაშასადამე, ზოგად იდეად ვსახავთ. მაგრამ ყვავილის სითეთრე და თოვლის სითეთრე მარტო ყვავილისა და მარტო თოვლის სითეთრედ დარჩებოდნენ, და მათი განზოგადება შეუძლებელი შეიქმნებოდა, თუ რომ ჩვენ ამ ორ სითეთრეს შორის მსგავსებას არ აღმოვაჩენდით, ე. ი. თუ რომ ეს სითეთრე განზოგადებული არ გვექნებოდა. ამგვარად, კონცეპტუალიზმის აზრით, განზოგადებისათვის განყენებაა საჭირო. მაგრამ თვით განყენებაც ხომ შეუძლებელია, თუ რომ მას განზოგადება არ უსწრებს წინ.

მაშასადამე, როგორც ნომინალიზმი, ისე კონცეპტუალიზმიც მოჯადოებულ წრეში არიან მოქცეული. კონცეპტუალიზმს განზოგადებისათვის აუცილებელ საჭიროებად განყენება მიაჩნია. მაგრამ დავინახეთ, რომ თვით განყენება უკვე განზოგადებას გულისხმობს, ხოლო ნომინალიზმს განყენებისავის განზოგადება მიაჩნია საკმარისად, მაგრამ დავრწმუნდით, რომ თვით განზოგადება შეუძლებელია, თუ რომ მას განყენება არ უსწრებს წინ.

როგორც შეიძლება თავი დავაღწიოთ ამ მოჯადოებულ წრეს? ამისათვის ჯერ ორივე აღნიშნული თეორიის საერთო ამოსასვლელ პუნქტს უნდა მივაგნოთ, როგორც ნომინალიზმი, ისე კონცეპტუალიზმიც ინდივიდუალურ საგანთა განცდით იწყებენ: პირველი ამ საგანთა შეჯგუფებით ზოგად იდეას ქმნის, ხოლო მეორე ამავე მიზანს მათი თვისებების ანალიზით აღწევს. მაგრამ შედეგი ის არის, რომ ერთიცა და მეორეც მოჯადოებულ წრეში ტრიალებს.

ეჭვი არ არის, შეცდომა სწორედ ამ ამოსასვლელ პუნქტში უნდა იყოს დაფარული. და მართლაც, განა ცხადი არაა, რომ ჩვენი განცდა ინდივიდუალურიდან არასდროს არ იწყება? ჩვენ გვახსოვს, რომ განცდას პრაქტიკული, უტილიტარული გენეზისი აქვს, რომ არსებულ სინამდვილეში მარტო მას

ვარჩევთ, რასაც ჩვენს მოთხოვნილებასთან აქვს კავშირი, რაც ჩვენთის სასარგებლოა. იმ საგნებიდან, რომელნიც ამ სინამდვილეში შედიან, ჩვენ არც ერთის ინდივიდუალობა არ გვაინტერესებს, ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებო მხოლოდ მათი უტილიტარული ღირსებაა. ამიტომაც, რაგინდ ძლიერაც უნდა განსხვავდებოდნენ ისინი ურთიერთისაგან, ჩვენი მათზე ზემოქმედებისათვის ეს განსხვავების განცდა კი არ არის საგულისხმო, არამედ ის საერთო უტილიტარული მნიშვნელობა, რომელიც მათ აქვთ. ბალახი თავისი ინდივიდუალური სახით კი არ აინტერესებს ცხოველს: არა, მისთვის მისი ფერი და სუნია საინტერესო, და ამიტომ მისი განცდის უშუალო შინაარსს მარტოდმარტო ეს ფერი და სუნი შეადგენს. ყველგან, სადაც იგი ამ ფერსა და სუნს განიცდის, ყველგან თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას გულისხმობს, „მინერალიდან დაწყებული მცენარემდე, მცენარიდან უმარტივეს ცოცხალ არსებამდე, ცხოველიდან ადამიანამდე. ჩვენ ყველგან შეგვიძლია გავითვალისწინოთ იმ პროცესის მიმდინარეობა, რომლითაც საგნები და არსებანი, მარტო იმას იტაცებენ გარეშე სინამდვილიდან, რაც მათ იზიდავს, რაც მათ პრაქტიკულად აინტერესებს, და იტაცებენ ისე, რომ სრულიან არ საჭიროებენ აბსტაქციას, - იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დანარჩენი ყველაფერი უცხოდ რჩება მათთვის: და აი, სწორედ ეს ზერელედ განსხვავებულ ქმედებათა საპასუხო რეაქციის იგივეობაა ის ჩანასახი, რომელსაც ადამიანის ცმობიერება ზოგად იდეებად ავითრებს“ (Mm. 174).

დავაღწიეთ თუ არა თავი იმ წრეს, რომელშიც ნომინალიზმისა და კონცეპტუალიზმის თეორია ორივე ჩაჭრილი იყო? „განზოგადება განყენებას გულისხმობს, მაგრამ თვით განყენება შეუძლია უგანზოგადებოდ,“- აი წრეც. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის განზოგადება, რომელიც განყენებას გულისხმობს, სხვაა, და ის, რომელსაც განყენება გულისხმობს, კიდევ სხვა, მაშინ წრე გაიშლება, და ჩვენს ზოგად იდეათა გენეზისს ნათელი მოეფინება. მართლაც და, ჩვენ ხომ ზოგადის განცდით ვიწყებთ! მაგრამ ეს ზოგადი განა აზროვნების ან განყენების შედეგი არის? არა, იგი პირდაპირი საგანია ჩვენი პირვანდელი განცდისა, და როგორც ასეთი, რა თქმა უნდა, არავის განყენებას არ გულისხმობს.

ამგვარად, ვრწმუნდებით, რომ თვით ზოგადი იდეაც თავისი არსებით პრაქტიკულის, უტილიტარული გენეზისის არის, და როგორც იარაღი ჭეშმარიტების შემეცნებისა, ისიც გამოუსადეგად უნდა ჩაითვალოს.

3. ინტელექტი და მისი როლი

ინტელექტი არა შემეცნების, არამედ პრაქტიკული ცხოვრების იარაღია. იგი ხელოვნური იარაღის წარმოების უნარია. ამიტომ მისი შემეცნება ცნობიერია, იგი მხოლოდ ურთიერთობას ანუ ფორმას ეხება. იგი მხოლოდ გამოცალკევებულს, უძრავს განიცდის; მისი სარბიელი დაუბოლოებადი, ჰომოგენური სივრცე ანუ არაორგანული ბუნებაა. ინტელექტი როგორც ორგანო უნივერსალური შემეცნებისა, შესაძლებლობა არაორგანული სინამდვილის საზღვრების გაცილებისა; ამ შესაძლებლობის რეალიზაცია: საზოგადოება, ენა და მისი როლი შედეგი ამ შესაძლებლობის რეალიზაციისა: სკეპტიციზმი.

ის, რითაც მოქმედებს ინტელექტი, როგორც ვხედავთ, პრაქრიკული მნიშვნელობისაა. უეჭველია, ასეთ პირობებში შეუსაბამობა იქნებოდა, ინტელექტის მუშაობისაგან სინამდვილის შემეცნება მოგვეთხოვა: სინამდვილე თავისთავად სრულიად არ აინტერესებს ინტელექტს; იგი მისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ ადამიანს ეს სინამდვილე გაუთვალისწინოს; არა, იგი სულ სხვა საქმისათვის ჩაისახა და განვითარდა.

ადამიანს არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვება ესაჭიროებოდა. აქ მას დახმარება ინტელექტმა გაუწია: იგი მას სინამდვილის მხოლოდ იმ მხარეებს უთვალისწინებდა, რომელნიც მის ზეგავლენას ემორჩილებოდნენ, და ამასაც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ასეთი ზეგავლენისათვის იყო საჭირო. არ უნდა თქმა, მთელი სინამდვილის ყოველმხრივი სახის გათვალისწინება საარსებო ბროლაში სრულიად უსარგებლო იყო, და, მაშასადამე, ზედმეტიც, ინტელექტი ამგვარად იმთავითვე პრაქტიკის, მოქმედების მსახურის როლში გამოვიდა და თავისი ძალები ამ როლის შესრულებაში განავითარა.

მაგრამ უფრო კონკრეტულად რაში გამოიხატა ინტელექტის პრაქტიკული მნიშვნელობა?

ადამიანის დამახასიათებელი თვისება ინტელექტია; მეორეს მხრივ, ადამიანის წარმოშობის დასაწყისის თარიღად, უეჭველია, ის დრო უნდა ჩაითვალოს, როდესაც ცოცხალმა ორგანიზმმა იარაღების მზადება დაიწყო. ამიტომ ადამიანს უფრო homo faber უნდა ეწოდოს, ვიდრე homo sapiens. ხელოვნური იარაღის შექმნამ ადამიანს ძლიერი საშუალება მისცა ხელთ: მათი წარმოების მეშვეობით მან თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გაიადვილა. და ინტელექტის მთავარი დამსახურება, უეჭველია, სწორედ ამ წარმოების შესაძლებლობის განაღდებაში მდგომარეობს. „ინტელექტი უწინარეს ყოვლისა წარმოებას ესწრაფვის“ (Ev. 165).

მაგრამ როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ინტელექტის შემეცნებითი ძალები? ჯერ ცხადია ერთი რამ: სახელდობრ ის, რომ ინტელექტმა აუცილებლად ცნობიერი შემეცნების ხასიათი უნდა მიიღოს; მართლაც, თუ რომ ინტელექტს ხელოვნური იარაღის დამზადება აქვს დავალებული, თავისთავად იგულისხმება, რომ თავისი ფუნქციის განხორციელების პროცესში იგი გარეგან შთაბეჭდილებასთან ერთად კი ვერ შექმნის ამ ხელოვნურ იარაღს, არამედ მისი რეაქცია შეჩერდება, სანამ იგი დაბრკოლებას არ სძლევს და თავისი მუშაობის „დროსა და ადგილს, ფორმასა და მასალას“ არ გამონახავს (Ev. 158). ხელოვნური იარაღის წარმოება დაბრკოლებებთან ბრძოლასა და შესაძლო

მოქმედების ამორჩევას გულისხმობს. ერთი სიტყვის, ინტელექტი იარაღის წარმოების ორგანო არ იქნებოდა, მას რომ ყოველ გარეგან ზემოქმედებაზე უშუალო რეაქციის სახით პირდაპირი პასუხის გაცემა შეძლებოდა. პირიქით, ფაქტიური რეაქცია, უშუალო ზემოქმედება, ყველგან შეჩერებულია, სადაც საუკეთესო მოქმედების იარაღი ჯერ კიდევ გამოსაგონებელია. იქ კი, „სადაც არსებობს მრავალი ერთნაირად შესაძლო მოქმედება, ხოლო არც ერთი ფაქტიური (მაგ: აწონდაწონვის დროს, რომელსაც მოქმედებამდე არ მივყევართ), იქ ცნობიერება ინტენსიურია“ (Ev. 157). ამგვარად ინტელექტი, თავისი არსებით ცნობიერია.

მაგრამ არის მეორე თვისებაც, რომელიც ინტელექტის შემეცნებას ახასიათებს და აგრეთვე მისი მთავარი ფუნქციის ბუნებიდან გამომდინარეობს. თუ რომ ადამიანის ინტელექტი არაორგანულს, ხელოვნურ იარაღს აწარმოებს, ეს იმიტომ ხდება, რომ მას სწადია, ცხოვრების ყოველგვარ პირობაზე ისეთი ზეგავლენა მოახდინოს, რომ მისგან მაქსიმალური სარგებლობა მიიღოს. ცხადია, მას საშუალება უნდა ჰქონდეს, ამ პირობებისდა მიხედვით თავისი იარაღები შეცვალოს, რათა ყოველთვის სათანადო ზემოქმედების შესაძლებლობა ჰქონდეს. „ინტელექტის არსებითი ფუნქცია ის არის, რომ მან ისეთი გზა გამონახოს, რომელიც მას ყოველგვარ გარემოებაში საუკეთესო გამოსავალს მიანიჭებს“ (Ev. 163), იგი ეძებს, თუ რა არის ამა თუ იმ შემთხვევაში მისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი, და ამისდა მიხედვით სათანადო იარაღს ქმნის, მაგრამ ყოველი ცალკე შემთხვევისათვის ცალკე იარაღის წარმოება ეს ხომ მხოლოდ ძიება იქნებოდა ხელსაყრელი იარაღისა, ვინაიდან იარაღი მხოლოდ მაშინ შეიძლება ნამდვილ იარაღად ჩაითვალოს, თუ რომ მას ყოველგვარ გარემოებაში სარგებლობის უზრუნველყოფა ძალუძს. როდის შეუძლია ინტელექტს ასეთი იარაღის შექმნა? ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან საგანთა და მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულება იცის. მისთვის სრულიად საჭირო არ არის თვით საგნების ცოდნა, ვინაიდან იგი თითოეული საგნისათვის ცალკე იარაღს როდი ქმნის; მისთვის საკმარისია, თუ ურთიერთდამოკიდებულება იცის იმ საგანთა ჯგუფისა, რომლებზეც ზეგავლენის მოსახდენად სათანადო იარაღს ეძებს. მაშასადამე, „იქ, სადაც აქტივობა წარმოებისაკენ არის მიმართული, იქ შემეცნება მხოლოდ ურთიერთობას ეხება“ (Ev. 163). ამგვარად, ინტელექტისათვის, როგორც იარაღთა წარმოების ორგანოსათვის, თვით საგანთა შემეცნება ზედმეტად უნდა ჩაითვალოს; სამაგიეროდ, მისთვის საგანთა ურთიერთობის ცოდნაა აუცილებელი.

საკმარისია ცოტაოდენი დაკვირვება, რათა აღმოვაჩინოთ, რომ ინტელექტს მართლაც ეს ურთიერთობათა შემეცნება ახასიათებს: „ახლად დაბადებულმა ბავშვმა არ იცის, ცნობიერი ცოდნის სახით არც განსაზღვრული საგნები და არც განსაზღვრული თვისებები ამა თუ იმ საგნისა; მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მისი თანდასწრებით რომელსამე ეპიტეტს იხმარენ ამა თუ იმ არსებითი სახელის მიმართ, იგი იმწამსვე მიხვდება, თუ რას ნიშნავს ეს. მას ბუნებრივად ესმის დამოკიდებულება განმარტებისა ქვემდებარისადმი; იგივე შეიძლება ითქვას ზოგადი ურთიერთობის შესახებაც, რომელსაც ზმნა გამოხატავს; იგი იმდენად უშუალოდ ესმის გონებას, რომ ენა მას პირდაპირ გულისხმობს, როგორც ეს ზოგიერთ პირველყოფილ ენაში ხდება, რომელსაც ზმნა სრულიად არა აქვს. ასეთივე ბუნებრივი ხასიათსაა ურთიერთობა თანასწორ სიდიდეთა შორის, მიზანსა და შედეგს შორის; ერთი სიტყვით,

ინტელექტმა საგნების არაფერი იცის, სამაგიეროდ მას ურთიერთობათა შემეცნების თანდაყოლილი უნარი აქვს.

მაგრამ რა ადგილი უჭირავს მთლიან შემეცნების აქტში ურთიერთობას? თუ ყოველი შემეცნება მართლა ფორმისა და მასალის მთლიანობაა, მაშინ ცხადია, რომ ურთიერთობათა შემეცნება არა მასალის, არამედ ფორმის შემეცნებად უნდა ჩაითვალოს. იმიტომ, რომ ფორმა სხვა არაა, თუ არ იმ ურთერთობათა ჯამი, რომელშიც შემეცნების სხვადასხვა მასალა ერთიმეორის მიმართ იმყოფება. ამგვარად, ინტელექტს, როგორც ურთერთობათა შემეცნების ორგანოს, შემეცნებაში თავისი წვლილი ფორმის სახით შეაქვს; იგი თანდაყოლილი ცოდნაა ფორმისა. ამიტომაც, ინტელექტუალური შემეცნება ყოველთვის ჰიპოთეტურ წინადადებათა დახმარებით მსჯელობს: „თუ პირობები ასეთი და ასეთი იქნა, მაშინ შედეგიც ასეთი და ასეთი იქნება“-ო, ასე ფიქრობს ინტელექტი. იგი ეხება მხოლოდ ურთერთობას: თვით საგანზე ან მოვლენაზე კი არაფერს ამბობს.

მაგრამ როგორი ხასიათის არიან ეს ურთიერთობანი? სინამდვილის რომელ სფეროს ეხებიან ისინი? აქაც ამოსასვლელ პუნქტად ის გარემოება უნდა იქნეს მიღებული, რომ ინტელექტი წარმოების ორგანოა. წარმოებას კი მხოლოდ უსულო ნივთიერებასთან აქვს საქმე. ხოლო თვით ამ უსულო ნივთიერებაშიც მარტო იმასთან, რაც უძრავი და უცვლელია. სახელდობრ - მტკიცე საგნებთან. ის, რაც მარადის იცლება, რაც მიმდინარეობს, თავისი არსებით წარმოების ზეგავლენის გარეშე დგას. იგი ხელიდან უსხლტება მას. ამგვარად, „ინტელექტს რა სახითაც იგი ბუნების ხელიდან გამოდის თავის მთავარ ობიექტად არაორგანული მტკიცე სხეული აქვს“ (Ev. 167).

ისეთი სინამდვილის სფეროში, რომლის დამახასიათებელ თვისებადაც უწყვეტი მთლიანობა უნდა ჩაითვალოს, წარმოება განუხორციელებელი იქნებოდა, და, მაშასადამე, ინტელექტიც სრულიად დაკარგავდა თავის აზრს. წამოება მთლიანის დაუბოლოებად განწვალებადობას გულისხმობს. იქ, სადაც ასეთი განწვალებადობა არ არის შესაძლებელი, იქ არც ჩვენ წარმოებას შეუძლია რაიმეს შექმნას, იგი არსებითად თითოეულ გამოცალკევებულ საგანს ეხება, მხოლოდ მას და მხოლოდ მისი საშუალებით ქმნის. აქედან ცხადია, რომ ინტელექტი ცუდი ორგანო იქნებოდა წარმოებისა, თუ რომ იგი სინამდვილეს ცალკე საგნების სახით არ წარმოიდგენდა: „ამიტომაც ინტელექტი მხოლოდ განცალკევებულს წარმოადგენს ნათლად“ (Ev. 167). იქ, სადაც ცალკეს, გამოყოფილს ადგილი არა აქვს, იქ, სადაც სინამდვილე უწყვეტი მთლიანობაა, იქ ინტელექტი ვერაფერს ხედავს, იქ იგი სრულიად ბრმაა ანდა, საუკეთესო შემთხვევაში, აქაც გამოცალკევებულსა და გამოყოფილს ეძებს.

წარმოებას არც მოძრაობასთან აქვს საქმე. მას თვით მოძრაობა სრულიად არ აინტერესებს არც საკუთარი და არც სხვისი. მისთის მხოლოდ ორი პუნქტია საინტერესო: ის, საიდანაც მოძრაობა იწყება, და ის, რითაც მოძრაობა თავდება, ასე რომ, იგი უძრავიდან იწყებს და უძრავით ათავებს. ამიტომაც, ჩვენი ინტელექტი ნათლად მხოლოდ უძრავს წარმოადგენს.

წარმოება შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ თითოეული საგნის ფორმა, როგორც შინაგანი სტრუქტურის შედეგი, უცვლელად იქნებოდა მასთან დაკავშირებული. ინტელექტს, როგორც წარმოების ორგანოს, ასეთი უცვლელი ფორმის არსებობა არა სწამს; მას შესაძლოდ მიაჩნია, ყოველ მასალას, როგორიც უნდა იყოს იგი, ყოველგვარი ფორმა მისცეს, ვინაიდან თვით წარმოება მარტო ფორმის ასეთ ცვლილებაში მდგომარეობს; იქ, სადაც ეს

ცვლილება შეუძლებელია, იქ წარმოებაც შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც, „ ინტელექტს ნივთის დაუბოლოებადი დაშლისა და დაუბოლოებადი შეერთების ნიჭი ახასიათებს“ (Ev. 170).

ასეთია ინტელექტი. ამისდა მიხედვით ნათელია, რომ იგი მარტო იქ ხედავს რასმე და მარტო იქ ამჩნევს, თუ თვით საგნებს არა, მათ ურთიერთობას მაინც, სადაც მტკიცე, უსიცოცხლო სხეულები არსებობენ, სადაც ისინი ერთი - მეორეის გარეშე დგანან და არ მოძრაობენ, ე.ი სადაც სივრცეა, და სადაც შესაძლებლობაა დაუსრულებადი დაშლისა და შეერთებისა, ე.ი სადაც კვლავ სივრცეა, იმიტომ, რომ სწორედ ერთგვაროვანი, დაუბოლოებადი სივრცე უნდა ჩაითვალოს იმ ნიადაგად, რომელიც ასეთი განუსაზღვრელი დაშლა - შეერთების შესაძლებლობას იძლევა.

ცხადია ინტელექტი, როგორც ორგანო წარმოებისა, მხოლოდ არაორგანულ ბუნებას შეგუებია, და თუ რასმე ხედავს იგი, უეჭველია, მხოლოდ იმას, რისი დანახვაც ამ არაორგანულ ბუნებაშია შესაძლებელი.

რამ განსაზღვრა ასე ინტელექტის შემეცნებითი ძალები? უეჭველია, მარტო იმ გარემოებამ, რომ იგი წარმოების ორგანო არის, და ამიტომ მისთვის მხოლოდ იმის შემეცნება და იმდენად შემეცნება არის საჭირო, რასაც და რამდენადაც წარმოებისათვის აქვს მნიშვნელობა. ინტელექტი პრაქტიკული ორგანოა და თეორიისათვის მას ძალა არ შესწევს.

ამგვარად, ჩვენ ბოლოს და ბოლოს ისეთ მდგომარეობას მივაღწიეთ, რომ აქედან უკვე ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რომელია ის სფერო სინამდვილისა, რომლის შემეცნებითი კვლევა-ძიებაც მეცნიერებას აქვს დაკისრებული. მართლაც და, თუ მეცნიერება ინტელექტით მუშაობს, ხოლო ამ უკანასკნელს მარტო არაორგანული ბუნების შემეცნების უნარი აქვს, ცხადია, მეცნიერების კვლევა-ძიების საგანს არა მთლიანი სინამდვილე, არამედ მარტოდ - მარტო მისი არაორგანული ნახევარი უნდა შეადგენდეს. მხოლოდ აქ, ამ არაორგანული ბუნების ნიადაგზე აღწევს მეცნიერება ამ საოცარ შედეგებს, რომლებმაც ადამიანის აზროვნება შეცდომაში შეიყვანა და ინტელექტი და მეცნიერება შემეცნების ერთადერთ იარაღად გამოაცხადა.

მაგრამ, თუ მეცნიერებას იმთავითვე და არსებითად მხოლოდ ამ განსაზღვრული სინამდვილის სფერო აქვს საკვლევ - საძიებლად მიჩენილი, როგორ მოხდა, რომ იგი უნივერსალური შემეცნების წყაროდ იქნა მიჩნეული? მარტო არაორგანული ბუნების კვლევა-ძიების ნაყოფიერება ხომ არ შეიძლება ასეთ მიზეზად ჩაითვალოს, იმიტომ, რომ ინტელექტუალიზმი გაცილებით უფრო ადრე განვითარდა, ვიდრე არაორგანული ბუნების შემეცნების წარმატება შეიქმნა თვალსაჩინო. და ესეც რომ არ იყოს, განა შესაძლებელი იქნებოდა ინტელექტის შემეცნებითი სფეროს გაფართოება, მისი გავრცელება სინამდვილის სხვა ნაწილებზეც. ჩვენი სურვილების მიხედვით, თუ რომ თვით ინტელქტის ბუნებაში არ ყოფილიყო ამის შესაძლებლობა ჩამარხული? ცხადია, ინტელექტს ზედმეტი ძალები უნდა ჰქონოდა, ვიდრე ეს არაორგანული ბუნების ნიადაგზე წარმოებისათვის არის აუცილებელი, რათა მისი გავრცელება სხვა სფეროებზეც შესაძლებელი გამხდარიყო. და ასეთი უნარი მართლაც აქვს ინტელექტს, და ეს უნარი „ცნობიერება გახლავთ, რომელსაც ძალა აქვს, თავის თავისადმი მიიმართოს“ (Ev. 272), და ამგვარად თავისი შემეცნების სარბიელად არა მარტო მკვდარი ბუნება, არამედ ცოცხალი პროცესიც (ცნობიერება ხომ სიცოცხლეა par excellence?) აქციოს. ამგვარად, შესაძლებლობა არაორგანული

სინამდვილის საზღვრების გაცილებისა თვითონ ინტელექტში მარხია. მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებლობაა. რა აქცევს მას აქტუალურ სინამდვილედ?

ადამიანი იმთავითვე საზოგადოებრივი არსებაა. მისი წარმოება საზოგადოებაში ხორციელდება. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ საზოგადოების წევრებს შორის რაიმე ნიშნების დახმარებით აზრთა გაცვლა - გამოცვლა წარმოებს. საზოგადოება უენოდ ძნელი წარმოსადგენია, ვინაიდან მხოლოდ „ენა ხდის შესაძლოდ საერთო მუშაობას“ (Ev. 171). ამგვარად, ცხადია, რომ ენა არა მარტო ადამიანს, არამედ ცხოველთა საზოგადოებებსაც უნდა ახასიათებდეს. მაგრამ ადამიანებისა და ცხოველების ენას შორის უთუოდ არსებითი განსხვავება არსებობს.

ცხოველის ყოველი მოქმედება მის ფიზიოლოგიურ ორგანიზაციაზეა დამყარებული. თითოეული ორგანოს თითოეული მოქმედების რეალიზაციის შესაძლებლობა ან ფუნქცია აქვს, და ამიტომ ამ ფუნქციათა რიცხვი ძლიერ მცირე უნდა იყოს. ამისდა მიხედვით, ცხოველის ლექსიკონიც შესაფერისი სიმდიდრის შეიძლება იქნეს, და თითოეული სიტყვა თითოეულ ოპერაციას ან საგანს უნდა შეეფერებოდეს.

სულ სხვაა ადამიანი. მის მოქმედებათა შესაძლებლობა ძლიერ ფართოა და ორგანოსა და ფუნქციას შორის აუცილებლობის კავშირი არ არსებობს; პირიქით, ერთ ორგანოს მრავალი ოპერაციის ასპარეზი აქვს გაშლილი, და ეს იმიტომ, რომ ადამინი თავისი სხეულის ორგანოს ხელოვნურ იარაღს ახმარს და, ამ სახით, გარეშე სინამდვილეზე ზეგავლენის შესაძლებლობას აფართოებს. ამ პირობებში ადამიანის სიტყვასაც შესაფერი თავისებურება უჩნდება: სიტყვა ერთ განსაკუთრებულ საგანთან აღარ არის დაკავშირებული. იგი საგნიდან საგანზე გადადის და „ყველაფერი რაც გინდა, ყველაფერს, რაც გინდა, აღნიშნავს“, როგორც ეს ბავშვის ენის განვითარებიდანაც ცხადად ჩანს. ამგვარად „სიტყვა, შექმნილი ერთი საგნიდან მეორეზე გადასასვლელად, მართლა მოძრავი და თავისუფალია, მას არა მარტო ერთ საგნიდან მეორეზე გადასვლა შეუძლია, არამედ განცდილი საგნიდან მის მოგონებაზე, სწორი მოგონებიდან უფრო გაურკვეველ სახეობაზე, ამ, თუმცა გაურკვეველის მაგრამ მაინც წამოდგენილი სახეობიდან - იმ აქტზე, რომლითაც იგი წარმოიდგინება და რომლის რეზულტატსაც იგი შეადგენს, ე. ი. იდეაზე“ (Ev. 173). ამგვარად ინტელექტის წინაშე, რომელიც გარეშე სინამდვილისაკენ იყო მიმართული, სრულიად ახალი სურათი იშლება, სურათი თავისი საკუთარი ოპერაციებისა, რომელშიც იგი თავისთავს ხედავს, ვითარცა შემოქმედს იდეებისას. მართალია, მისი იდეები პირველად მოქმედების ნიადაგზე აღმოცენდნენ, მაგრამ ამიერიდან იგი მოქმედების, პრაქტიკის სფეროს სცილდება და ცდილობს, ყველაფერზე თავისი იდეები იქონიოს.

ამგვარად, ინტელექტი თავისუფლდება. იგი პრაქტიკას ხელიდან უსხლტება და თავის საგნად მთელ სინამდვილეს აქცევს; იგი ამიერიდან თეორიულ ძალად იქცევა და გარდა არაორგანულისა, სიცოცხლისა და სულიერი ცხოვრების შესახებაც იწყებს მსჯელობას. ინტელექტი შემეცნების უნივერსალურ იარაღად იქცევა.

მაგრამ თავისი თვისებებით იგი მაინც ინტელექტად, ე. ი. წარმოების ორგანოდ რჩება. ორგანულსა და ცოცხალს იგი ისე ეპყრობა, როგორც მის ძალებს შეეფერება, სახელდობრ: როგორც არაორგანულს. ამიტომ ხდება, რომ აქ მისი მუშაობა აურაცხელ და გაუგებრობათა და წინააღმდეგობათა წყაროდ

იქცევა; განათების მაგიერ ეს ახალი სფერო ინტელექტის მუშაობისა სრულიად ბნელდება: და, ბოლოს და ბოლოს, ინტელექტს თავისი საკუთარი თავის იმედიც ეკარგება. რაკი იგი მისთვის სრულიად შეუფერებელი სინამდვილის პრობლემის გადაჭრაში უძლურებას იჩენს, ფიქრობს, რომ საზოგადოდაც ისეთი უძლური უნდა იყოს, როგორც უძლური აღმოჩნდა სიცოცხლის საკითხების გადაჭრაში. ამგვარად, ინტლექტის პირვანდელ გადაჭარბებულ იმედს თავისი ძალებისადმი გადაჭარბებული უიმედობა და სკეპტიციზმი სდევს თან.

4. ინსტინქტი და ინტუიცია

ადამიანის ცნობიერება ინტელექტით არ ამოიწურება, ინსტინქტი და მისი ბუნება: იგი ორგანული იარაღის წარმოების ორგანოა, იგი გაგრძელებაა სიცოცხლის პირვანდელი სწრაფვისა. ინსტინქტის შემეცნების ბუნება. იგი შინაგანი ხასიათის შემეცნებაა, ღრმაა, საგანთა ინდივიდუალობას სწვდება, კატეგორიულია. მაგრამ იგი უარყოფითადაც განსხვავდება ინტელექტისაგან: იგი არაცნობიერია და შეზღუდულია. ინტუიცია, როგორც გაცნობიერებული და განთავისუფლებული ინსტინქტი, ინტუიციის ფაქტი. მისი სიძნელე. ინტუიცია და ინტელექტი. ინტუიცია, როგორც აბსოლუტური შემეცნების წყარო.

ინტელექტის სფერო არაორგანული ბუნებაა. მართალია, იგი მეტს იჩემებს, მართალია, მას მთელი სინამდვილის შემეცნების ორგანოდ მოაქვს თავი, მაგრამ ჩვენთვის უკვე ცხადია,რომ ინტელექტის პრეტენზიებს ფრთები უნდა შეეკვეცოს, და მას თავისი ბუნებრივი სარბიელის საზღვრებში მიეჩინოს ადგილი.

მაგრამ ნუთუ უარი უნდა ვთქვათ სიცოცხლისა და ორგანული ბუნების შემეცნებაზე? ნუთუ იარაღი უნდა დავყაროთ იმ საიდუმლოებათა წინაშე, რომელიც სიცოცხლის პროცესების წიაღში გვეგულებიან?

საბედნიეროდ, ჩვენი სულიერი ძალების სიმდიდრე მარტო ინტელექტით არ ამოიწურება. ამიტომ, სკეპტიციზმის აღიარება აქაც უადგილოდ უნდა ჩაითვალოს.

თუ ადამიანის დამახასიათებელ თვისებას ხელოვნური იარაღების საშუალებით მოქმედება შეადგენს, სამაგიეროდ ცხოველებს ბუნებრივი, ორგანული იარაღით მოქმედება ახასიათებს. ხელოვნური იარაღის წარმოებისა და სარგებლობის ორგანო, როგორც ვიცით, ინტელექტია. ხოლო ბუნებრივ ორგანულ იარაღს ის თავისებური ძალა ამოძრავებს, რომელიც ინსტინქტის სახელით არის ცნობილი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ინსტინქტი ორგანოა არა მარტო ამ იარაღებით სარგებლობისა, არამედ ხშირად მათი წარმოებისაც. ინსტინქტი ორგანულ იარაღებს ქმნის.

რა დასკვნა შეიძლება აქედან გამოვიყვანოთ ინსტინქტის შემეცნებითი ბუნების შესახებ? თუ იგი მართლა ორგანულ იარაღს ქმნის, ცხადია, იგი ორგანიზმის დასრულების პროცესში შემოქმედ ძალად, მაშასადამე, იმ ზოგადი ძალის ერთ - ერთ სახედ უნდა ჩაითვალოს, რომელიც სინამდვილეში ორგანულ

ბუნებას წარმოშობს; ეს ძალა სიცოცხლეა. მაშასადამე, ინსტინქტი სიცოცხლის ძალაა. ამის დასამტკიცებელი საბუთები მრავალი მოიპოვება. „როდესაც წიწილა თავისი ნისკარტით კვერცხის კანსა სტეხს, იგი ინსტინქტის ძალით მოქმედებს: მაგრამ ამავე დროს მხოლოდ იმ მოძრაობას განაგრძობს, რომელიც მასში ჩანასახის მთელი ცხოვრების განმავლობაში ხდებოდა“ (Ev. 180). ცხადია, ინსტინქტი აქ იმ სიცოცხლის ძალის გაგრძელებაა, რომელიც წიწილის ორგანიზაციას ასრულებს.

მეორე მხრივ, თვით ამ სიცოცხლის პროცესშიც ბევრი ისეთი მოძრაობაა, რომელიც ინსტინქტისაგან ძალიან ძნელი გასარჩევია.

ავიღოთ ცოცხალი ორგანიზმი, სადაც „ათას უჯრედს ვხედავთ, რომელნიც საერთო მიზნისათვის ერთად მუშაობენ, ინაწილებენ ამ შრომას, ერთსა და იმავე დროს თავისთვისაც ცხოვრობენ და სხვებისთვისაც, ინახებიან, იკვებებიან, მრავლდებიან, ყოველგვარ ხიფათს სპეციალური თავის დამცველი ზემოქმედებით უპასუხებენ . - როგორ არ ვიფიქროთ ამ შემთხვევაში ინსტინქტის შესახებ? ნამდვილად კი აქ უჯრედის ბუნებრივი ფუნქციებია. მისი ცხოვრების კონსტიტუციური ელემენტებია“ (Ev. 180). ავიღოთ, მეორე მხრივ, სხვა, რომელიც ერთ მთლიან ორგანიზმს კი არა, ერთგვარ საზოგადოებას წარმოადგენს. საერთო ცხოვრება, შრომის განაწილება ფუტკრებს შორის აქ ინსტინქტის გზით ხორციელდება, მაგრამ ამის მიუხედავად, რა პატარა განსხვავებაა ორგანიზმის უჯრედებისა და თითოეული ფუტკრის ფუნქციებსა და მოქმედებათა შორის? შთაბეჭდილება ისეთია, რომ ძნელია არ იფიქრო: სკა ნამდვილი ორგანიზმია, ხოლო თითოეული ფუტკარი ცალკე უჯრედი, რომელიც სხვებთან უხილავი კავშირით არის გადაბმული. „ინსტინქტი, რომელიც ფუტკარს აცხოველებს, შეიძლება ან ნერვული უჯრედის განმასულიერებელ ძალას შევადაროთ; ან მის გაგრძელებას“ (Ev. 180).

მაგრამ თუ ინსტინქტი ასეთია, მაშინ ცხადია, რომ მისი შემეცნების სფეროდ, ინტელექტის საწინააღმდეგოდ, თვით სიცოცხლის პროცესი შეიძლება ჩაითვალოს. იგი არა მარტო სიცოცხლის მსგავსად არის ჩამოსხმული, თვით სიცოცხლის სწრაფვის გაგრძელებაცაა: „მაშინ როდესაც ინტელექტი მექანიკურად მოქმედებს, ინსტინქტი მოქმედებს ორგანულად“ (Ev. 179).

მაგრამ ეს გარემოება თავისებურ ელფერს აძლევს ინსტინქტის შემეცნებით ბუნებას. თუ იგი სიცოცხლის ძირითადი ინპულსის გაგრძელებაა, თუ იგი ამ იმპულსის გარეგანი გამოხატულებაა, მაშინ უეჭველია, რომ ინსტინქტის შემეცნება სიცოცხლის იმპულსისა არსებითად ამ უკანასკნელის თვითშემეცნებას წარმოადგენს. თვითშემეცნება კი, როგორც ეს ადამიანის სულიერი ცხოვრების ანალოგიიდანაც ცხადად ჩანს, სრულიად განსაკუთრებული ბუნების აქტია; იგი არ არის შედეგი ურთიერთ გარემდებარე მომენტების, სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთზეგავლენისა; იგი არ არის, მაშასადამე, გარედან მიღებული შემეცნება, როგორიც არის, უწინარეს ყოვლისა შემეცნება ინტელექტუალური: იგი თავისი საკუთარი თავის განცდაა, რომელიც შიგნიდან მომდინარეობს. ინსტინქტის შემეცნება, ამგვარად შინაგანი ხასიათის შემეცნებაა.

მაგრამ ინსტინქტი არა მარტო ამ მხრივ წარმოადგენს ინტელექტუალური შემეცნების ნაკლის შევსებას;იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მისი შემეცნება ფორმათა და ურთიერთობათა და, მაშასადამე ობიექტთა „ზედაპირულსა“ და „ცარიელ“ ცოდნას როდი იძლევა: არა, იგი თვით „საგანს“, მის „ინდივიდუალობას“ სწვდება და მის სრულსა და შესატყვის სახეს გვით-

ვალისწინებს. ამიტომ, მაშინ როდესაც ინტელექტი ჰიპოთეტურ მსჯელობებს ქმნის, ინსტინქტი კატეგორიულ წინადადებებს აგებს; იგი იმას როდი გვეუბნება, რომ, თუ პირობები ასეთია მოვლენაც ასეთი და ასეთი იქნებაო; არა, იგი პირდაპირ საგანზე მიგვითითებს და მას გვითვალისწინებს: „აი აქ, ესა და ეს არისო“, თითქოს გვეუბნება იგი. ამიტომ, ინსტინქტი სწორედ მას სწვდება, რაც ინტეელექტისათვცის ხელმიუწვდომელია; და რადგანაც მეორე მხრივ, მისი შემეცნება შინაგანი ხასიათისაა, რადგანაც იგი საგანთა გარეგანი ურთიერთობის შემეცნებით კი არ კმაყოფილდება, არამედ შიგნიდან სწვდება მის ინდივიდუალურ რაობას, ამიტომ, აბსოლუტური შემეცნების წყაროდ მარტო იგი უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ინსტინქტს ორი ძირითადი ნაკლი აქვს. და ამით იგი უარყოფითად განსხვავდება ინტელექტისაგან. პირველი ის არის, რომ ინსტინქტი, რომელიც განსაზღვრულ შთაბეჭდილებაზე სრულიად განსაზღვრული რეაქციის შესაძლებლობას იძლევა, არაცნობიერია. ამიტომ, მის შემეცნებას ინტელექტის სიცხადე და გარკვეულობა აკლია: ხოლო მეორე იმაში მდგომარეობს, რომ ინსტინქტიც პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებათა ქერქშია მოქცეული, და ამიტომ მისი შემეცნებითი მისწრაფება შორს ვერ მიდის.

ჩვენ ვიცით, რომ ინტელექტი ამგვარი შემოფარგლულობისაგან სრულიად თავისუფალია; მისი მისწრაფება პრაქტიკის მოთხოვნილებათა ფარგლებს სცილდება და ისეთი ობიექტების განხილვაზე გადადის, რომელთაც წმინდა თეორიული შემეცნებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ. თუმცა ინტელექტს მათი გათვალისწინების უნარი არ შესწევს, რომ ინსტინქტსაც შეძლებოდა, თავისი გულისყურიც აქეთ მოემართა, ცხადია, მისი შემეცნებითი ძალები მათი ინდივიდუალური რაობის ნათელ განცდას ადვილად მოახერხებდნენ; მაგრამ ინსტინქტი პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებათა ქერქით არის შემოზღუდული, და ასეთი შორს სწრაფვა მისთვის უცხოა: „არის საგანი, რომლის ძიებაც მარტო ინტელექტს შეუძლია, მაგრამ მისი პოვნის ძალა მას თავისთავად სრულიად არ შესწევს: მარტო ინსტინქტი შეძლებდა მის პოვნას, მაგრამ იგი მის ძიებას არასდროს არ დაიწყებს“ (Ev. 161). იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო, საჭირო იყო არა მარტო პრაქტიკულ მოთხოვნილებათა კლანჭებს გასხლტომოდა, არამედ ცნობიერი ხასიათიც მიეღო. მაშინ მის წინაშე მყის ყველა კარი გაიღებოდა, რომელიც სიცოცხლის საიდუმლოებათა შესავალს ახშობს; მაშინ აბსოლუტური მეტაფიზიკური შემეცნება ჩვენთვის ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცეოდა: „ინსტინქტი, რომელსაც არ ექნებოდა პრაქტიკული ინტერესი, რომელიც თავისი თავის მიმართ ცნობიერი იქნებოდა, რომელსაც უნარი ექნებოდა თავისი ობიექტის შესახებ აზროვნებისა და მისი დაუბოლოებადი გაფართოვებისა, ასეთი ინსტინქტი ჩვენ თვით სიცოცხლის წიაღში შეგვიყვანდა“ (Ev. 174).

ხოლო ამგვარ ინსტინქტს უკვე ინსტინქტი აღარ ეწოდება. იგი ის თავისებური შემეცნებითი ძალაა, რომელიც ინტუიციის სახელით არის ცნობილი. მაგრამ გვაქვს კი ასეთი ინტუიცია? ბერგსონის აზრით, უეჭველია, გვაქვს. ამას ის გარემოებაც ნათლად ამტკიცებს, რომ ადამიანს, ჩვეულებრივ განცდასთან ერთად, ესთეტიკური უნარიც ახასიათებს: „ჩვენი მხედველობა ცოცხალი არსების თვისებებს ხედავს, მაგრამ ეს უკანასკნელი მას სხვადასხვა ნაწილების შეჯგუფების და არა მათი ორგანიზაციის სახით ეჩვენებიან; მას ხელიდან უსხლტება სიცოცხლის სწრაფვა, ის მარტივი მოძრაობა, რომლითაც

ეს თვისებებია გაჟღენთილი და რომელიც მათ ურთიერთს უკავშირებს და აზრს აძლევს. სწორედ ამ სწრაფვას უნდა სწვდეს ხელოვანი, რისთვისაც იგი თავისებური სიმპათიის მეშვეობით ობიექტს შიგნიდან ექცევა და ინტუიტური ძალისხმევით იმ დაბრკოლებას ძლევს, რომელსაც სივრცე აგებს ხელოვანსა და მოდელს შორის“ (Ev. 492). მართალია, ეს ესთეტიკური ინტუიცია, ისე როგორც გარეგანი განცდაც, მხოლოდ ინდივიდუალურს ეხება. მაგრამ ჩვენ ხომ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კვლევა - ძიება, იმავე გზით მიმართული რომლითაც ხელოვნება მოძრაობს, ხოლო რომელიც თავის საგნად სიცოცხლეს სახავს საზოგადოდ; განა ფიზიკას თავისი ზოგადი კანონები ინდივიდუალურ მოვლენათა დაკვირვებიდან არ გამოჰყავს? მართალია, მეორე მხრივ, ინტუიტურ შემეცნებას ისეთი ცხადი და მკაფიო ხასიათი არ ექნება, როგორც ინტელექტუალურს, ვინაიდან „ინტელექტი ბრწყინვალე გულს წარმოადგენს, რომლის გვერდითაც ინტუიციის დონემდე განვითარებული და განწმენდილი ინსტინქტი მხოლოდ ბნელ ნისლს მოგვაგონებს“, მაგრამ ინტუიცია მაინც იძლევა საშუალებას ნამდვილი შემეცნების მიმართულების მიგნებისას: „ერთი მხრივ, ინტუიციას შეუძლია გამოიყენოს თვითონ გონების მექანიზმი, რათა დაგვიმტკიცოს, რომ ამ შემთხვევაში გონების კატეგორიების გამოყენება შეუძლებელია: მეორე მხრივ, თავისი საკუთარი მუშაობის მაგალითით იგი ბნელ წინათგრძნობას მაინც მოგვცემს იმისას, თუ რას უნდა დაეთმოს ამ კატეგორიების ადგილი“. ამგვარად, ინტუიცია ინტელექტის ფარგლებს სცილდება; მაგრამ ამას იგი იმავე ინტელექტის დახმარებით ახერხებს: „უინტელექტოდ ინტუიცია, ინსტინქტის სახით, სამუდამოდ დარჩებოდა მიჯაჭვული იმ სპეციალურ ობიექტზე, რომელიც მას მხოლოდ პრაქტიკულად აინტერესებს“ (Ev. 193).

ამგვარად, ცხადია, რომ ინსტინქტს შემეცნებითი მიმართულების მისაღებად განთავისუფლება და გაცნობიერება ესაჭიროება, რომ ასეთ განთავისუფლებასა და გაცნობიერებას განსაზღვრულ ფარგლებში ინტელექტი უზრუნველყოფს, რომ ინსტინქტი, მაშასადამე, ინტუიციად ინტელექტის დახმარებით იქცევა.

მაგრამ ეს არც ისე ადვილი და ჩვეულებრივი საქმეა. საზოგადოდ, ჩვენი ცნობიერების მუშაობა ინტელექტუალური გზით ვითარდება, იმისთვის, რომ ინტელექტის მაგიერ ინტუიცია ამოძრავდეს, არაადამიანური ძალისხმევაა საჭირო: „ არ უნდა თქმა, ამ მძიმე ძალისხმევის განხორციელება ჩვენ მხოლოდ ჩვენი ბუნების ძალდატანებით შეგვიძლია, და რამდენიმე წამზე მეტს იგი იშვიათად თუ შეძლებს გაგრძელდეს“; სამაგიეროდ, იგი ჩვენს აზრებს მოძრაობის საკმარო ენერგიას აძლევს; ჩვენი ინტელექტის საქმეა, ეს ერთხელ მიღებული მოძრაობა განაგრძოს და ინტუიტურად წამოჭრილი აზრები ურთიერთს შეუთანხმოს და, არა მარტო თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც გასაგები გახადოს. მართალია, იგი მალე იგრძნობს, რომ ფეხებიდან ნიადაგი ეცლება. მაგრამ ამ შემთხვევაში ახალი ინტუიციაა საჭირო, რომელიც, შესაძლებელია, კვლავ განმეორდეს, როგორც ამას მრავალი ფილოსოფიურად მნიშვნელოვანი სისტემები ამტკიცებენ (Ev. 259).

ამგვარად, ფილოსოფიური შემეცნების გზა ნათელი ხდება: ინტელექტი პრობლემებს აყენებს, ინტუიცია მათ ინტელექტუალისტურად გადაჭრის უნაყოფობას ააშკარავებს, მათ ახალ ახსნას ეძებს და ამ უკანასკნელს ისევ ინტელექტის დახმარებით გასაგებსა და მკაფიო სისტემატურ სახეს აძლევს.

5. სივრცისა და დროის პრობლემა და ინტელექტი

კ ა ნ ტ ი ს კონცეფცია სივრცის შესახებ და ბ ე რ გ ს ო ნ ი . მათი განსხვავება. გენეზისი ჰომოგენური სივრცისა და მისი თვისებების. ჰომოგენური დრო და ჰომოგენური სივრცე. მათი ურთიერთდამოკიდებულება. ჰომოგენური დროის გენეზისი. ინგლისური ფსიქოლოგიის შეცდომა; საკითხის გადაჭრა.

საკითხი სივრცის შესახებ, რამდენადაც იგი გნოსეოლოგიურია განსაკუთრებული მახვილგონიერებით კ ა ნ ტ მ ა წამოაყენა. მან უარყო მისი სუბსტანციურობა, ემპირიულობა, ცნებობა და იგი ჭვრეტის აპრიორულ ფორმად დასახა, არც ბ ე რ გ ს ო ნ ს მიაჩნია სივრცე სუბსტანციურ რეალობად; მაგრამ, როდესაც იგი სივრცესზე ლაპარაკობს, კ ა ნ ტ ი ს არ იყოს, არც ემპირიულ განფენილობას გულისხმობს. „უნდა ვთქვათო, - ამბობს იგი, - რომ ჩვენ რეალობის ორი სახე ვიცითო. ერთი სხვადასხვაგვაროვანი, რომელიც გრძნობად რომელობათა რეალობას შეიცავს, და მეორე - ერთგვაროვანი, რომელიც სივრცეს წარმოადგენს“ (E. 72) .[1] მაშ, სივრცე მისთვის, ისე როგორც კ ა ნ ტ ი ს თ ვ ი ს ა ც ერთგვაროვანი რეალობაა. ამის გარდა, იგი დაუბოლოებადი და დაუსრულებლად განჭრადი და განწვალებადია. კ ა ნ ტ ი სწორედ ასეთ სივრცეს თვლიდა ჭვრეტის აპრიორულ ფორმად. ამ მხრივ ამ ორ მოაზროვნეს შორის უთანხმოება არა ჩანს, მაგრამ კ ა ნ ტ ი ს და ბ ე რ გ ს ო ნ ი ს სივრცის თეორიებს შორის მაინც ორი ძირითადი განსხვავება არსებობს. ამ განსხვავებათა გათვალისწინება საუკეთესო საშუალებაა ბ ე რ გ ს ო ნ ი ს სივრცის თეორიის თავისებურების გასანათებლად.

კ ა ნ ტ ი ს თეორია ერთგვაროვანის, დაუბოლოებადისა და დაუსრულებლად განწვალებადი სივრცის აპრიორულ ფორმად ახსარებით კმაყოფილდება. ბ ე რ გ ს ო ნ ი, პირიქით, სწორედ აქედან იწყებს. მას სრულიად არ მიაჩნია საკმარისად სივრცის აპრიორიზმის დადასტურება. მისთვის განსაკუთრებით საგულისხმოა, ჯერ ერთი, იმ წყაროს აღმოჩენა, საიდანაც ეს აპრიორიზმი გამომდინარეობს, და შემდეგ, იმის ახსნა, თუ რადა აქვს ამ აპრიორულ ფორმას სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი თვისებები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადამიანის ინტელექტი წარმოების ორგანოა, და როგორც ასეთს, მისი მთავარი მიზანი რომლისამე განსაზღვრული საგნის ფორმის შექმნაა. ამიტომ მას, უწინარეს ყოვლისა, ეს ფორმა აინტერესებს, ხოლო რაც შეეხება მასალას, მისთის ისეთი მასალის არჩევაა საჭირო, რომელიც სასურველ ფორმას განსაკუთრებით კარგად უდგება. მაგრამ როგორ არის ასეთი მასალის გამორჩევა შესაძლებელი? ცხადია, „არჩევისათვის... საჭიროა, აზრად მაინც მასალის თითოეულ გვარს განზრახული საგნის ფორმა მისცე“ (Ev. 169), რათა დაინახო, თუ სად უნდა მოხდეს არჩევანი. „ეს იმას ნიშნავს, რომ ინტელექტი არავითარ ყურადღებას არ აქცევს მასალის ფაქტობრივ ფორმას, იგი მას ანგარიშს არ უწევს, თუნდ ეს ფორმა რომელიმე განსაზღვრული ნივთიერებისათვის ბუნებრივიც იყოს და არსებითიც. ინტელექტს, როგორც წარმოების ორგანოს, ამისდა მიხედვით, მთელი ნივთიერება ისეთ დიდ

[1] E – Essai sul les données immédiates de la conscience.

ქსოვილად უნდა ეჩვენებოდეს, „რომლიდანაც იმის გამოჭრა შეგვიძლია, რაც გვესაჭიროება, და იმის შეკერვა რაც მოგვეხასიათება“ (Ev. 170).

ამგვარად, ჩვენი ინტელექტი, რამდენადაც იგი წარმოების ორგანოა, სინამდვილეს განურჩევად გარემოდ თვლის, რომელიც, რაკი მისი ფორმის ცვლა დაუსრულებლივ უნდა შეიძლებოდეს, ერთგვაროვან რეალობას წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კონკრეტული მატერიალური სინამდვილე ერთგვაროვანი არ არის. ჩვენ მას განვიცდით როგორც რომელობათა ნაირნაირობას, როგორც სინამდვილეს, „დაყოფილს ხაზების მიხედვით, რომელნიც ნამდვილი საგნებისა და მათ ნამდვილი შემადგენელი ელემენტების კონტურებს განსაზღვრავენ“; ხოლო ჩვენი წარმოების ინტერესები ამ ნაირნაირობას ვერ ურიგდებიან, ვინაიდან აქ საგანი და მისი ფორმა მოცემულია; წარმოება კი თავისი მოთხოვნილების შესაფერისი ახალი საგნის ფორმის შექმნას ესწრაფვის. აქედან აუცილებელი ხდება ამ ნაირნაირობის გადაბიჯება და მის გადაღმა იმ ერთგვაროვანი რეალობის მიღება, რომელიც მარტოდმარტო ჰყოფს შესაძლოდ ჩვენს წარმოებას. ამგვარად, ინტელექტი რომ სინამდვილის შემეცნებისაკენ ყოფილიყო მიმართული, მას არავითარი იმპულსი არ ექნებოდა, კონკრეტული ნაირნაირობის საზღვრებს გადასცილდებოდა და მის მაგიერ ან მის გადაღმა განურჩევადი, ერთგვაროვანი არე შეექმნა. ასეთი არე მარტო მისთვისაა საჭირო, ვისაც სინამდვილე თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ საგანთა მასალად მიაჩნია. ამგვარად, ერთგვაროვანი სინამდვილე „უწინარეს ყოვლისა საგნებზე ჩვენი შესაძლო ზემოქმედების სქემას წარმოადგენს“ (Ev. 170; Mm. 243 და სხვ.).

როგორი უნდა იყოს ეს არე? თუ იგი ჩვენი წარმოების ველია, ცხადია, იგი ჩვენს წინაშე დაუბოლოებადად უნდა იშლებოდეს, მსგავსად მთელი ჩვენი მომავლისა. მაშასადამე, იგი დაუბოლოებადი უნდა იყოს - თუ იგი სქემაა ჩვენი შესაძლო ზემოქმედებისა ნივთიერებაზე, რომელიც ყოველგვარი ფორმის წარმოების შესაძლებლობას გულისხმობს. იგი დაუსრულებლივ განწვალებადი უნდა იყოს, იმის მიხედვით, თუ როგორია ჩვენი სურვილი; და ამავე დროს იგი, თავისთავად, ცარიელ არეს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც თავის საზღვრებში მხოლოდ ჩვენ მიერ გამოჭრილ საგანთ იტევს; წინააღმდეგ შემთხვევაში, „ჩვენი წარმოება იძულებული იქნებოდა, მოცემული საგნის წინაშე შეჩერებულიყო, და ამგვარად მას საზღვარი დაედებოდა“. ამ სახით, ჩვენ ვხედავთ, რომ ინტელექტი, როგორც იარაღი წარმოებისა, კონკრეტული სინამდვილის გადაღმა ერთგვაროვან, ცარიელს, დაუბულოებადსა და დაუსრულებრივ განწვალებვად არეს ქმნის, არეს, რომელიც მხოლოდ გამოხატულებაა ნივთიერებაზე ჩვენი ზემოქმედების შესაძლებლობისა. ასეთ არეს სივრცე ეწოდება.

მაშასადამე, სივრცე, ბერგსონისათვის, არ არის კონკრეტული სინამდვილე; იგი არც შემეცნების პირობაა, როგორც ეს კანტს ჰქონდა წარმოდგენილი. იგი „განწვალებისა და განმტკიცების პრინციპია, რომელიც შემეცნების კი არა, მოქმედებისათვის არის შეჭრილი სინამდვილეში“ (Mm. 236). და იგი იმიტომ არის ასეთ ე. ი. მას იმიტომ აქვს თავისი განსაზღვრული თვისებები: ერთგვაროვნება, სიცარიელე, დაუბოლოებადობა და დაუსრულებრივი განწვალებადობა, რომ იგი მხოლოდ „სქემაა ნივთიერებაზე ჩვენის შესაძლო ზემოქმედებისა“, და როგორც ასეთი, იგი „ქსოვილია, რომელიც კონრეტული რეალობის ქვეშ არის ჩვენ მიერ გაფენილი, და რომელსაც დაუბოლოებლივ

ცვალებადი და დაუბოლოებლივ კლებადი ღილები აქვს“; იგი „იდეური სქემაა, სქემა დაუსრულებელი განწვალებადობისა“ (Mm. 234).

კ ა ნ ტ ი ს ა თ ვ ი ს სივრცე გარეგანი განცდის ფორმაა. ამიტომ შინაგანი გამოცდილების, სულიერი ცხოვრების ფარგლებში მას გასავალი არა აქვს. ბერგსონის შეხედულება ამ მხრივ რადიკალურად ეწინააღმდეგება კანტისას. თუ სივრცე ჩვენი ინტელექტის ასპექტია, ცხადია იგი სინამდვილის ყოველ სფეროში იჭრება, რაწამს ეს უკანსაკნელი ჩვენი ინტელექტის საგნად, ჩვენი პრაქტიკული ინტერესების ზეგავლენის არედ ხდება. ადამიანის სულიერი ცხოვრების სამკვიდრო ამ მხრივ შეუძლებელია გამონაკლისს შეადგენდეს.

სულ სხვა საკითხია, არის თუ არა სინამდვილეში რაიმე მომენტი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი სივრცის იდეის გენეზისს და ამ მხრივ მას შედარებით მაინც ობიექტურ ხასიათს აძლევს; ან სად, სინამდვილის რომელ სფეროში უნდა ვიგულისხმოთ ასეთი მომენტი: გარეგანს, ფიზიკურში, თუ შინაგანს, სულიერში? ჩვენ თავის დროზე დავინახავთ, რომ ბერგსონისათვის ასეთი ობიექტური მომენტი უთუოდ არსებობს უწინარეს ყოვლისა გარეშე, ნივთიერი სინამდვილის სფეროში, მაგრამ არა მარტო მასში. ასეთ მომენტად მას რეალური, კონკრეტული განფენილობა მიაჩნია, მაგრამ განფენილობა ხომ სულიერ პროცესებსაც ახასიათებს: „აზრი, რომ ყველა შეგრძნება, განფენილობითია, სულ უფრო და უფრო მტკიცდება თანამედროვე ფსიქოლოგიაში?...“ გულისყურითი ფსიქოლოგია გვიაშკარავებს და უეჭველია, კიდევ უფრო გამოგვიაშკარავებს, რომ „ყოველი შეგრძნება განფენილობითიაო“, ამბობს ბ ე რ გ ს ო ნ ი (Mm. 242) და აქედან ცხადია, რომ სივრცის იდეა, მართალია, იდეალური სქემაა, მაგრამ თვით კონკრეტულ სინამდვილეშიც მოიპოვება საბაბი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ინტელექტს, ნაირნაირობის სამკვიდრო ერთფეროვანი სივრცის ბადეში გაახვიოს, მაგრამ ეს საბაბი უფრო ნათელი და ჩამოკვეთილი და ამიტომ უფრო აქტუალური გარეშე სინამდვილის სფეროშია. და ნაკლებ მკაფიო და აქტუალური - შინაგანს, სულიერ სფეროში. ცხადია, სივრცის იდეა, ამისდა მიხედვით განსაკუთრებით ნივთიერი სინამდვილის სფეროში ხორციელდება.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ინტელექტი ამ თავის ასპექტს სავსებით კარგავს, როდესაც იგი სულიერ ცხოვრებას ეხება: საბაბი აქაც არის, მაგრამ უფრო მკრთალი და ნაკლებად აქტუალური. სამაგიეროდ მის განფენილობაზე უფრო ხანიერობა (durée) ან დროულობა ახასიათებს. ამის მიუხედავად, ერთფეროვანი სივრცის კვალი აქაც უნდა ვეძებოთ. მაგრამ შეუძლებალია, იგი სულიერი მოვლენების განსაკურებული თვისების მძიმე დროულობის ზეგავლენის დაღით არ იყოს აღბეჭდილი. ამგვარად, იმთავითვე მოსალოდნელია, რომ ინტელექტისათვის ჩვენი სულიერი ცხოვრებაც ერთფეროვანი სივრცის ფარგლებში უნდა იშლებოდეს, რომელიც კონკრეტულ სულიერ მოვლენათა ხანიერების გამო უთუოდ სახეშეცვლილი უნდა იყოს.

კ ა ნ ტ ი შინაგანი ცხოვრების ჭვრეტის ფორმად დროს თვლის, რომელიც ისევე დაუბოლოებადი, ისევე ცარიელი, ისევე ერთფეროვანია, როგორც სივრცე. ასევე ფიქრობს დროის შესახებ თანამედროვე მეცნიერებაც. ფსიქიკური პროცესები, მაშასადამე, ერთფეროვანი ანუ ერთგვაროვანი დროის ფარგლებში გვეჩვენება, უნდა ვიფიქროთ, ამისდა მიხედვით, რომ სწორედ ეს ერთფეროვანი დრო უნდა იყოს ის სახეშეცვლილი სივრცე, რომელიც ჩვენი წარმოების მოთხოვნილებებს სულიერი ცხოვრების ფარგლებში გადაუტანია.

მაგრამ მართლა აქვს ერთგვაროვან დროს რაიმე საერთო სივრცესთან?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სივრცე ეთგვაროვანი არეა. მაგრამ დროსაც ასეთ ერთგვაროვნობად თვლიან. ამგვარად, ჩვენს წინაშე ორი ჰომოგენობა დგება, ჰომოგენური სივრცე და ჰომოგენური დრო. რა არის ჰომოგენობა, ერთგვაროვნობა, ერთფეროვნება? იგი ყოველგვარი რომელობის უარყოფაა, იგი ურომელობაა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რითღა განსხვავდება ერთი ჰომოგენობა მეორისაგან? ცხადია, არაფრით, „ამის მიუხედავად, ჩვეულებრივ, დროს უბოლოებად არედ თვლიან, რომელიც სივრცისაგან განსხვავდება, მაგრამ რომელიც სივრცესავით ჰომოგენურია!“ (E. 72).

ორი ჰომოგენობა, ამგვარად nonsense-ია. მაშასადამე, ცხადია, ნამდვილად მარტო ერთი ჰომოგენობა უნდა არსებობდეს, და მეორე მისგან უნდა გამომდინარეობდეს. მაშ, რომელი უნდა ავიღოთ ძირითადად, დრო თუ სივრცე?

ინგლისური ფსიქოლოგიური სკოლა ამ საკითხს დროის სასარგებლოდ ჭრის. მისი აზრით სივრცითი ურთიერთობანი დროითი თანამიმდევრობის ურთიერთობათაგან გამომდინარეობენ. ჩვენ ორგვარი დროითი წყება გვაქვს შეგრძნებებისა: ერთი ისეთი, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულების შეგრძნებათა თანამიმდევრობას გამოხატავს, და მეორე ისეთი, რომელიც ორსავე საწინააღმდეგო მიმართულებით ერთსა და იმავე სახეს იცავს; ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ: ერთი არაუკუქცევადი წყებაა, ხოლო მეორე - უკუქცევადი. პირველი წმინდა დროით წყებას წარმოადგენს, მეორე, ინგლისელ ფსიქოლოგთა შეხედულებით, სივრცით წყებას.

ავიღოთ მაგალითი: როდესაც დახურული თვალით რომელსამე მტკიცე ზედაპირზე ხელს ვატარებ, ჩემს ცნობიერებაში ერთი შეგრძნება (შეხების, მოძრაობის) მეორეს მისდევს, და, ამგვარად თანმიმდევარ შეგრძნებათა წყებას ქმნის, თუ ახლა ხელის მოძრაობას საწინააღმდეგო მიმართულებით დავიწყებ, ჩემს ცნობიერებაში იგივე წყება გაჩნდება, ოღონდ ელემენტთა თანა-მიმდევრობა ახლა შებრუნებული იქნება.

ამგვარად, სივრცე იგივე დროითი თანმიმდევრობაა, მაგრამ ისეთი თანმიმდევრობა, რომლის უკუქცევითი განმეორება არის შესაძლებელი: სივრცე უკუქცევადი დრო არის. ასეთია ის შეხედულება, რომელსაც ძირითად ჰომოგენობად დრო მიაჩნია.

მაგრამ ეს შეხედულება მოჯადოებულ წრეში ტრიალებს. იგი გულისხმობს შეგრძნებათა თანმიმდევრობის წყებას. მაგრამ როდის არის ამა თუ იმ წყების გათვალისწინება ან დაწესება შესაძლებელი? მისთვის, რომ განსაზღვრული ელემენტები დავაწყო, და ეს წყება განვიცადო, აუცილებლად საჭიროა, ამ ელე-მენტებს ერთიმეორისაგან ვარჩევდე და მათ ერთდროულად განვიცდიდე. მაშ, ყოველი წყება განსხვავებული ელემენტების ერთდროულობას გულისხმობს. მაგრამ, სადაც ერთდროულობა არის, იქ შეუძლებელია თანმიმდევრობაც არსებობდეს, ვინაიდან ის თანმიმდევრობა რაღა თანმიმდევრობაა, რომელიც ერთდროულია. ხოლო ის, რაც ჩვენ „მრავალის, ერთდროულისა და იგივეობითი შეგრძნებების განსხვავების შესაძლებლობას გვაძლევს, სწორედ სივრცეა“ (Es. 70).

მაშასადამე, „იდეა დროული თანმიმდევრობის განსაზღვრული წყებისა უკვე თავისთავად გულისხმობს სივრცის წარმოდგენას და შეუძლებელია, იგი ამ უკანასკნელის განსამარტებლად გამოდგეს“ (Ess. 75).

ამგვარად, სრულიად ცხადად ირკვევა, რომ ჰომოგენური სივრცე შეუძლებელია ჰომოგენური დროის იდეიდან გამომდინარეობდეს, როგორც ეს ინგლისელ ფსიქოლოგებს ეგონათ. პირიქით, ირკვევა სრულიად საწინააღმდეგო, სახელდობრ ის, რომ ჰომოგენური დროის იდეა თვითონ გამომდინარეობს სივრცის იდეიდან. მაშასადამე, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს განმარტება, რომლის მიხედვითაც სივრცე ჰომოგენური არეა, სრული უფლებით შეგვიძლია შევაბრუნოთ და ვთქვათ, რომ ყოველი ჰომოგენური არე, და, მაშასადამე, დროც, სივრცეა.

მაგრამ რად ხდება, რომ ჰომოგენური სივრცის იდეა, რა წამს იგი სულიერი ცხოვრების მიმდინარეობაზე გადადის, მყის ჰომოგენური დროის სახეს იღებს? „ჩვენს „მე“-ში არსებობს თანმიმდევრობა, მაგრამ არ არის ურთიერთ - გარემდებარება; ჩემს „მე“-ს გარეშე არსებობს ურთიერთ - გარემდებარება, მაგრამ არ არის თანმიმდევრობა“, ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ, ობიექტურ სინამდვილეში არსებობს რეალური სივრცე, რომლისთვისაც დროულობა უცხოა, ხოლო სუბიექტურ ან ფსიქიკურ სინამდვილეში რეალურ დროულობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მაგრამ რაწამს იგი ჩვენი ინტელექტის ან ჩვენი პრაქტიკული ინტერესების პრიზმაში იჭრება, სივრცე იქაც გზას იკვლევს და ცნობიერების კონკრეტულ თანმიმდევრობას თავისი საკუთარი დაღით აღნიშნავს. ამგვარად, დამახინჯებული კონკრეტული ცნობიერების დროული თანმიმდევრობა ჰომოგენური დროის სახეს ღებულობს.

მაგრამ როგორ ხდება ეს? როგორია ჰომოგენური დროის გენეზისი?

ჩვენი ცნობიერების წმინდა თანმიმდევრობა და ობიექტური სინამდვილის კონკრეტული ურთიერთ - გარემდებარება ადამიანის შემეცნების ფარგლებში თავის სრულ დამოუკიდებლობას ვერ იცავს. აქ მათ შორის ერთგვარი გაცვლა - გამოცვლა ხდება, გაცვლა -გამოცვლა, რომელიც ფიზიკოსების ე. წ. ენდოსმოსს მოგვაგონებს (E. 80). ავიღოთ ცნობიერების ცხოვრება: აქ ერთი მოვლენა მეორეს მოსდევს. მაგრამ ისე, რომ ეს მოვლენები ერთიმეორეში გადადიან და უწყვეტ რომელობით თანმიმდევრობას ქმნიან. აქ მოვლენები ურთიერთს ერთვიან და მათი ურთიერთგარემდებარების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ავიღოთ ახლა ობიექტური სინამდვილე. აქ თანამიმდევარ მოვლენათა შორის სრული ურთიერთ - გარემდებარება არსებობს. ერთი მოვლენა მეორეს ცვლის და, როდესაც მეორე მოვლენა იწყებს, პირველის უკვე კვალიც აღარ არის დარჩენილი. ვთქვათ, ამ გარემდებარე მოვლენებს ჩვენი ცნობიერება განიცდის, რა მოხდება მაშინ?

„რადგანაც თანამიმდევარი, მაგრამ მაინც ერთიმეორეში შეჭრილი ფაზები ჩვენი ცნობიერების ცხოვრებისა მათთან ერთდროულად მომხდარ ობიექტურ მოვლენას ცალ - ცალკე შეესაბამებიან; რადგანაც, მეორე მხრივ, ეს ობიექტური მოვლენანი მკვეთრად არიან ერთიმეორისაგან გამოცალკევებულნი, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ რჩება, როდესაც ახალი მოვლენა ჩნდება, - ჩვენ თანდათანობით ვეჩვევით, ჩვენი ცნობიერების ცხოვრების თანამიმდევარ მომენტთა შორისაც ასეთივე გამოცალკევება დავაწესოთ. ობიექტური მოვლენები, ასე ვთქვათ, ურთიერთგარემდებარე ნაწილებად შლის მას“ (E. 80).

ამგვარად, ისახება ჩვენს ცნობიერებაში ის ერთფეროვანი თანმიმდევრობა, რომელიც ჰომოგენური დროის სახელით არის ცნობილი.

თავი II

ინტელექტუალური გამოცდილების კრიტიკა

1. კვლევა-ძიების მეთოდი

ემპირიული ფაქტი ადამიანისათვის. საჭიროება მისი განწმენდისა ინტელექუალური ფენებისაგან. ინტუიტური განცდა განწმენდილი გამოცდილებისა და ცნებათა საშუალებით მისი გათვალისწინება.

ინტელექტუალურ შემეცნებას სინამდვილის ვიწროდ შემოფარგლული არე აქვს თავის საგნად მიჩენილი; იგი ის სანათია, რომელიც თავის სხივებს ჩვენი ცხოვრების პრაქტიკის გზას აფრქვევს; იგი რელატიური და სიმბოლურია; მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდება და უფრო შორს მიისწრაფვის. მას აფსოლუტური ჭეშმარიტება სწყურია.

ამიტომ მთელი სინამდვილე, არაორგანული და ორგანული, ძალაუნებურად ინტელექტის შემენეცნების საგნად გამხდარა და ყოველთვის ინტელექტის შემეცნებითი ფორმების დაღს ატარებს. მისი ნამდვილი, მისი აბსოლუტური სახე შერყვნილია. ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ჩვენს ჩვეულებრივ შემეცნებას იგი მუდამ ამ შერყვნილი სახით ევლინება. ამის მიხედვით, ის, რასაც ჩვენ ფაქტს ვუწოდებთ, რეალობის სახე კი არ არის, „იგი შეგუებაა რეალობისა, პრაქტიკის ინტერესებისა და სოციალური ცხოვრების მოთხოვნილებებისადმი“[1]. ცხადია, ნამდვილი სინამდვილის განსაცდელად, რეალობის შეურყვნელი სახის გასათვალისწინებლად საჭიროა, ერთხელაც არის ხელი ავიღოთ ჩვენი ბუნებრივი შემეცნების ჩვეულებებზე. განა ეს ჩვეულებები არ არის, რომ სინამდვილის ნამდვილ სახეს და ჩვენს ცნობიერებას შორის გამჭვირვალე ბადეს ქსოვს, რომელიც რეალურ სინამდვილეს მხოლოდ თავისი უცვლელისა და უძრავი უჯრედების სახით გვიჩვენებს! საჭიროა ხელი ავიღოთ სინამდვილის, ჩვენი პრაქტიკის ინტერესების მიხედვით, განცდისა და აზროვნების ჩვეულებებზე. საჭიროა იგი უშუალოდ ვჭვრიტოთ[2], უშუალოდ ვჭვრიტოთ იქ, სადაც მისი სახის შერყვნა ჩვენი პრაქტიკის მოთხოვნილებებს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ.

ასეთ უშუალო ჭვრეტას, ჩვენ ვიცით, ბ ე რ გ ს ო ნ ი ინტუიციას უწოდებს. ინტელექტის სათვალეების მოხსნა, მაშასადამე, საკმარისია, რათა ჩვენი ინტუიტური შემეცნება ამოძრავდეს, ამოქმედდეს და, ამგვარად, სინამდვილის ნამდვილი სახე გვაჩვენოს. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა. ამისათვის, ასე ვთქვათ, არაადამიანური, მწვავე ძალისხმევაა საჭირო: „საჭიროა, თამამად

[1] Ce qu’on appele ordinarement un fait, ce n’est pas la réalite telle qu’elle apparaitrait à une intuition immédiate, mais une adoptation de réel aux intérêts de la pratique et aux exigence de le vie sociale. Mat. et Memoire X გამ. გვ. 201.

[2] ... Il y aurait une dernière entreprise à tenter. Ce serait d’aller chercher expérience à sa, source ou plutôt au dessus de ce tourant decisif oû, s’infléchissant dans le sens de notre utilité êlle dévient proprement l’expérience humaine. Ibid. გვ. 203.

გასწიო წინ და ნებისყოფის აქტით ინტელექტი თავის საკუთარ საზღვრებს გადააცილო“ (Ev. 211).

ამისდა მიხედვით, აბსოლუტური სინამდვილის შემეცნებას წინ ერთი უდიდესი დაბრკოლება ეღობება. ეს არის ჩვენი ინტელექტი, რომელიც სინამდვილეს თავისებურ სახეს აძლევს და მას ამ ყალბი სახით გვიჩვენებს. ფილოსოფოსს, რომელსაც სინამდვილის შემეცნება სწადია, მაშასადამე, სრულიად გარკვეული კვლევა - ძიების გზა ესახება: მისი მთავარი საქმე ჩვენი ჩვეულებრივი, ემპირიული სინამდვილის განწმენდაა ყველა იმ ელემენტისაგან, რომელიც მისთვის ინტელექტუალურ შემეცნებას მიუცია. ამის შემდეგ, ფილოსოფოსს განწმენდილი რეალობის სახით ინტუიტურად განცდა და ცნებათა საშუალებით მისი სხვებისათვის გათვალისწინება მართებს. მართალია, ბერგსონი თვითონ ამ გზას ასე განცალკევებულად არ მიჰყვება: მის კრიტიკას ინტელექტისას ინტუიცია უსწრებს წინ და ამაგრებს მას. მაგრამ ბერგსონის ფილოსოფიური აზროვნების განსაცდელად ჩვენ ეს მეთოდი განსაკუთრებით ხელსაყრელად მიგვაჩნია.

ამისდა მიხედვით, ჩვენ ჯერ ამის გათვალისწინება მოგვიხდება, თუ რა სახეს იღებს სინამდვილე, ინტელექტის შემეცნებით პრიზმაში გატარებული; რა პრობლემებს წარმოშობს იგი, და როგორია ამ პრობლემათა გადაჭრის ცდა. შემდეგ, რაკი ამ სახით სინამდვილე ინტელექტუალური ფენებისაგან განიწმინდება, შესაძლებელი შეიქმნება, ნათლად გავითვალისწინოთ მისი ნამდვილი სახე, როგორითაც იგი პირდაპირ, უშუალო განცდას, ინტუიციას ევლინება.

2. სულიერი ცხოვრება

ჯერ კიდევ ნეტარმა ავგუსტინემ და შემდეგ განსაკუთრებით დეკარტმა შინაგანის, სულიერი ცხოვრების მიმდინარეობა ერთადერთ რეალობად დასახეს, რომელსაც ადამიანის შემეცნება უშუალოდ სწვდება და შეურყვნელის სახით განიცდის. „ბოლოს და ბოლოს ერთი რეალობა მაინც არსებობს, რომელსაც ჩვენ შიგნიდან ვწვდებით, ინტუიციის, და არა მარტივი ანალიზის გზითო“, ამბობს ბერგსონი[1]. და ამ მხრივ, ფრანგი ფილოსოფოსი ინტუიტივისტი ფრანგი ფილოსოფოსის, რაციონალისტის აზრს იმეორებს.

მაგრამ ბერგსონსა და დეკარტს შორის აქაც მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. დეკარტისათვის შინაგანი გამოცდილება მარტო იმდენად არის ფასეული, რამდენადაც იგი ლოგიკურ ფორმებში ყალიბდება. ბერგსონი, პირიქით, დარწმუნებულია, რომ რამდენადაც შინაგან გამოცდილებას ლოგიკური ფორმების კვალი ემჩნევა, იმდენად იგი დამახინჯებულია და თავის ნამდვილ სახეს დაშორებული. შინაგან გამოცდილებას, უწინარეს ყოვლისა, ლოგიკური ყალიბის კვალი უნდა მოეფხიკოს, ან მოეშალოს, და მხოლოდ ამის შენდეგ იქნება შესაძლებელი მისი ნამდვილი სახის განცდა, მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდება მას ის გნოსეოლოგიური მნიშვნელობა, რომელიც შინაგანი გამოცდილების ყველა ფოლოსოფოსს უდავოდ მიაჩნია. მაშ, ბერგსონისათვის პირველი ნაბიჯი შინაგანი გამოც-

[1] Введение в метафизику. Собр. Соч. Т. 5. 1924, ст. 7.

დილების კრიტიკისაკენ უნდა იყოს მომართული. დეკარტისათვის ასეთი კრიტიკის წარმოება, რასაკვირველია, ზედმეტად უნდა ჩათვლილიყო, ვინაიდან მისთვის რეალობის გატარება ინტელექტის ბრძმედში ადექვატურ შემეცნებას უფრო ნიშნავდა, ვიდრე მის დამახინჯებას.

ა. ფსიქიკურ მოვლენათა ინტენსივობა

თანამედროვე ფსიქოლოგია და სულიერ მოვლენათა ინტენსივობა, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფორმულა ინტენსივობის საკითხისა, სულიერ ფენომენთა ინტენსივობის აღიარებას მოჯადოებულ წრეში შევყავართ. ცდა ამ წრიდან გამოსვლისა. გენეზისი ინტენსივობის იდეისა. რომელობისა და რაოდენობის შერევა. რა არის ასეთი შერევის მიზეზი? ფსიქოფიზიკა, მისი მსჯელობა და მისი შეცდომა. მისი პოსტულატის სიყალბე. ფსიქოფიზიკის circulus vitiosus.

ჩვეულებრივი დაკვირვება სულიერ მოვლენათა მიმდინარეობისა ამოწმებს, თითქოს ჩვენი ფსიქიკური პროცესები თავიანთი ინტენსივობის მხრივაც იცვლებოდნენ. თანამედროვე ფსიქოლოგია ამ დაკვირვებას წარბშეუხრელად იზიარებს და ფსიქიკურ მოვლენათა ინტენსივობას უდავო ემპირიულ ჭეშმარიტებად აღიარებს. ამის მიხედვით, ჩვენი შეგრძნებები და ჩვენი გრძნობები ერთიმეორისაგან არა მარტო რომელობის, არამედ ინტენსივობის მხრივაც განირჩევიან.

საკითხი ფსიქიკურ მოვლენათა ინტენსივობის შესახებ ერთ - ერთი ძირიადი პრობლემაა ფსიქოლოგიაში. იმის მიხედვით, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხი, ჩვენი სულიერი ცხოვრების შემეცნების მიმართულებაც იცვლება. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ფსიქოლოგია, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული, სულ იმის ცდაში იყო, რომ თავისი კვლევა-ძიების პროცესში როგორმე ექსპერიმენტული მეთოდის ხმარების შესაძლებლობა დაემტკიცებინა. ექსპერიმენტი კი თანამედროვე მეცნიერებაში განსაკუთრებით იქ შეიქნა ნაყოფიერი, სადაც მოვლენების განზომილება უეჭველ ფაქტს წარმოადგენდა. ამით აიხსნება, ერთ დროს ფსიქოლოგიის ბედს მისი ობიექტის განზომილების შესაძლებლობას უკავშირებდნენ. თანამედროვე ფსიქომეტრია, რომელიც სულიერ მოვლენათა გაზომვისა და აღრიცხვის ფაქტის წინაშე გვაყენებს, ფართო პერსპექტივებს შლის ფსიქოლოგიური კვლევა -ძიების წინაშე. მაგრამ მისი განვითარება ისეთი ნელი და მხდალი ნაბიჯით მიმდინარეობს წინ, რომ სრულიად ბუნებრივად ძველი საკითხი კვლავ ახლის დაჟინებით ისმის: მართლა არის თუ არა ფსიქიკურ მოვლენათა გაზომვა შესაძლებელი? ანდა, რაც იგივეა, შეიძება თუ არა ფსიქიკური მოვლენა ოდენობად ჩაითვალოს? ბერგსონისათვის ამ საკითხს ასეთი ფორმულა შეგვიძლია მოვუნახოთ: არის თუ არა ინტენსივობა უშუალო, ინტუიტური განცდა, თუ იგი ჩვენი ინტელექტის მიერ ხელოვნურად შექმნილი ასპექტია?

„ჩვეულებრივ მიღებულია, თითქოს ცნობიერების მდგომარეობანი: შეგრძნებანი, გრძნობანი, ვნებანი, ძალისხმევანი იზრდებოდნენ და მცირდებოდნენ... და სიტყვა „მეტი“ და „ნაკლები“ მაშინაც არავის აკვირვებს, როდესაც საუბარი სუბიექტური ფაქტებისა და განუფენლობითი მოვლენების

შესახებ წარმოებს. ნამდვილად კი აქ უკიდურესად ბნელსა და წარმოუდგენლად მძიმე პრობლემასთან გვაქვს საქმე“ (E. 3).

პირველი შეხედვით, აქ ძნელი თითქოს არაფერი უნდა იყოს როდესაც ვამბობთ, ერთი ოდენობა მეტია, ვიდრე მეორე-თქო, აქ მუდამ ერთს ვგულისხმობთ, სახელდობრ იმას, რომ ერთი ოდენობა მეორეს შეიცავს. და მართლაც, როდესაც საკითხი არათანასწორ სივრცეებს ეხება, უფრო დიდად ის ითვლება, რომელიც მეორეს ფარავს: ხოლო, როდესაც ლაპარაკი ინტენსივობის შესახებ არის, მაშინ ვგულიოსხმობთ, რომ ერთი ინტენსივობა ამ აზრით შეიცავს მეორეს, რომ ინტენსივობის უმეტესი ხასირხის მისაღებად ინტენსივობის უმცირესი ხარისხების გავლაა საჭირო, მაგრამ შეუძლებელია ასეთი შეხედულება ფილოსოფიურად განვმარტოთ და თავი მოჯადოებულ წრეში არ ვიგრძნოთ, ამბობს ბ ე რ გ ს ო ნ ი (E. 2); და მართლაც! მივიღოთ, თითქოს შესაძლო იყოს ინტენსივობა ამ ნიშნის მიხედვით ოდენობად ჩაითვალოს, მაგრამ განვიზრახავთ თუ არა ამ ოდენობის აღრიცხვას, ჩვენ რიცხვის ნატურალური წყების მსგავსის ინტენსიური ოდენობის წყების შედგენა დაგვჭირდება, და მოვკიდებთ თუ არა ამ საქმეს ხელს, ჩვენს წინაშე კვლავ ძველი საკითხი წამოიჭრება: როგორ გავიგო, რომ ერთი ინტენსივობა მეტია და მეორე ნაკლები? რა ნიშნის მიხედვით შეიძლება ინტენსივობა ოდენობად ჩაითვალოს?

ამ წრიდან ზოგი იმ მხრივ პოულობს გამოსავალს, რომ პირდაპირ აცხადებს: ინტენსივობის გაზომვა შეუძლებელია. მაგრამ იგი მაინც ოდენობა არისო, ხოლო ოდენობა შეიძლება მარტო იმიტომ იზრდებოდეს ან მცირდებოდეს, რომ „მის უმცირეს ნაწილს, ასე ვთქვათ, მისი უდიდესი ნაწილი თავის წიაღში ატარებს“. განა ამის შემდეგ უაზრობა არ იქნებოდა, კვლავ არაექსტენსიური ოდენობის შესახებ დაგვეწყო ლაპარაკი? (E. 2).

ამგვარად, ვხედავთ, რომ, მივიღებთ თუ არა სულიერი პროცესების ინტენსივობას, როგორც ერთგვარ ოდენობას, ჩვენს წინაშე მყის ისეთი პრობლემები წამოიჭრება, რომელთა გადაჭრის თითოეულ ცდას ლოგიკურის აუცილებლობით მუდამ მოჯადოებულ წრეში შევყავართ. ცხადია, ფსიქიკური ინტენსივობა შეუძლებელია ოდენობას წარმოადგენდეს. ფსიქიკური პროცესები, თავისთავად, მეტნაკლებობის გარეშე უნდა იდგნენ, და ინტენსივობითი რაოდენობა მათთვის უცხო იდეა უნდა იყოს, იდეა, რომელიც ექტენსიური სინამდვილის წრიდან სულიერი ცხოვრების ზღუდეებში ფარულად არის გადატანილი.

ჩავუკვირდეთ, რა გვაქვს წარმოდგენილი, როდესაც მეტი ინტენსივობის ან მეტი განფენილობის შესახებ ვლაპარაკობთ, უეჭველია, ჩვენ ორივე შემთხვევაში ერთგვარი სიდიდის იდეა გვაქვს, რომელიც მეორეს შეიცავს. თვით ინტენსივობა კერძოდ რაღაც შეკუმშულის სახეს იძლევა, რომელიც უნდა დაიშალოს და სივრცეში გაიფინოს; მას, ერთი სიტყვით შეკუმშული განფენილობის სახე აქვს (E. 3). ამგავრად, მართლაც ცხადად ჩანს, რომ ინტენსივობაში ჩვენ ექსტენსივობა შეგვაქვს, რომელობაში - რაოდენობა, და ორი ინტენსივობის შედარება, ამის მიხედვით, ორი განფენილობის ურთიერთ დამოკიდებულების ბნელი წარმოდგენის მეტს არაფერს აჩენს (E. 3).

რა არის ამის მიზეზი? ჩვენი ინტელექტი პრაქტიკის ინტელექტია. პრაქტიკისათვის კი მოვლენებს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სუბიექტურ პროცესებს. ჩვენთვის ამიტომ სასარგებლოა ამ მოვლენების გაობიექტურობა

და, მაშასადამე მათში ყველაფრის იმის დანახვა, რაც ობიექტური სინამდვილისათვის არის დამახასიათებელი. „რაც უფრო იზრდება ჩვენი ცოდნა, მით უფრო ვამჩნევთ ინტენსიურს იქით ექსტენსიურს, რომელობის იქით რაოდენობას, მით უფრო ვცდილობთ, რომელობაში რაოდენობა შევიტანოთ და შეგრძნებებს ოდენობათა თვალით შევხედოთ“ (E. 52).

მაგრამ, რაკი ერთხელ მაინც ვაღიარეთ საჭიროდ ფსიქიკური მოვლენების ოდენობად შეწყნარება, იძლებული ვართ, აქედან შესაფერი დასკვნები გამოვიყვანოთ. თუ ფსიქიკური მოვლენის ინტენსივობა იზრდება ან კლებულობს, სრულიად ბუნებრივი იქნება, ვიკითხოთ: რამდენად კლებულობს ან იზრდება იგი? ასე იბადება ფსიქოფიზიკა, როგორც კანონიერი შვილი სულიერი პროცესების ინტენსიურ ოდენობად აღარებისა.

იმთავითვე მოსალოდნელი იყო, რომ ფისქოფიზიკას, როგორც ყალბი წინამძღვრების მართებულ დანასკვს, თავისი მუშაობის განვითარების პროცესში მაინც უნდა გამოეაშკარავებინა თავისი შინაარსი, რომლის განვითარებაც ბოლოს და ბოლოს საკუთარ სიყალბეს თვითონვე ნათელყოფდა.

ექსპერიმენტებით, როგორც ცნობილია, ვ ე ბ ე რ მ ა გაღიზიანებასა და შეგრძნებას შორის არსებული ურთიერთობის აღსანიშნავად შემდეგი ფორმულა წამოაყენა: $\frac{\Delta E}{E} = const$. ე. ი. იმისათვის, რომ ჩვენი შეგრძნება ოდნავ შეიცვალოს, საჭიროა, მოცემულ გაღიზიანებას (E) ახალი გაღიზიანება (ΔE) მივუმატოთ, და ცხადია მთელი რიგი ამტკიცებს, რომ ამ ორ გაღიზიანებას შორის დამოკიდებულება მყარი ხასიათისაა. როგორც ხედავთ, საკითხი სრულიად მარტივია: „აქ საუბარი შეგრძნების განზომას კი არა, იმ მომენტის აღმოჩენას ეხება, რომელშიც გაღიზიანების გაზრდა შეგრძნებას ცვლის“ (E. 46).

ამ საკითხის ახსნა სავსებით გამოცდილებაზეა დამყარებული, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია, გაღიზიანებათა შორის მართლა ასეთი დამოკიდებულება არსებობდეს.

მაგრამ ფსიქოფიზიკა სწორედ აქედან იწყებს: იგი არ კმაყოფილდება იმ ფაქტის დადასტურებით, რომ შეგრძნების შეცვლისათვის მისი გაღიზიანება განსაზღვრული პროპორციით უნდა იზრდებოდეს; მას სურს, გაღიზიანებით თვითონ შეგრძნება გაზომოს. „მაგრამ როგორ შეიძლება გაღიზიანებისა და მისი მინიმუმის ურთიერთობიდან იმ შეთანასწორებაზე გადავიდეთ, რომელიც „შეგრძნების რაოდენობას“ შესაფერის გაღიზიანებას უკავშირებს?“ (E. 47).

ამ პრობლების გადაჭრა ყველაზე ადრე ფ ე ხ ნ ე რ მ ა სცადა. მან იცოდა, რა თქმა უნდა, რომ შეგრძნებათა მათემატიკური გაზომვისათვის უწინარეს ყოვლისა ფსიქიკურის თანასწორი ერთეულების აღმოჩენა იყო საჭირო. ასეთი ერთეულების დაწესება ფიზიკაში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ვინაიდან ფიზიკური მოვლენები არა მარტო რომელობას, არამედ სივრცით განფენილობასაც შეიცავენ, და ამიტომ შესაძლებელია, ერთი მოვლენა განფენილობის მხრივ მეორეს ეთანასწორებოდეს, ხოლო რომელობის მხრივ სავსებით განსხვავდებოდეს მისგან. მაგრამ ფსიქიკურ ცხოვრებაში, სადაც თითოეული მოვლენა მარტოდმარტო რომელობითად განსხვავდება მეორე მოვლენისაგან და სადაც ექსტენსიურ განფენილობას ადგილი არა აქვს, ფსიქიკურ ცხოვრებაში მოვლენათა თანასწორობა შეიძლება მხოლოდ მათს რომელობით თანასწორობას ნიშნავდეს. რომელობითი თანასწორობა კი იგივეა, რაც სრული იგივეობა. მაშასადამე, სულიერ ცხოვრებაში თანასწორი ერთეულების აღმოჩენა არსებითად შეუძლებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ფ ე ხ ნ ე რ მ ა ამ სიძნელეს ასე შემოუარა: მან იცოდა, რომ როდესაც გაღიზიანება განუწყვეტლივ იზრდება, შეგრძნება ნახტომებით იცვლება. ამ ნახტომებს, რაკი ისინი გაღიზიანების ოდნავ საგრძნობ გადიდებას შეეფერებიან, მან მინიმალური შეგრძნება უწოდა. ეს იყო ის ერთეული, რომელიც ყველა შემთხვევაში თანასწორად უნდა ჩათვლილიყო. ამგვარად, მთავარი პრობლემა გადაწყვეტილი იყო. ახლა ცხადი გახდა, რომ ყოველი შეგრძნება ამ ერთეულთა ჯამად უნდა მიჩნეულიყო. ასე გაჩნდა ფეხნერის ფორმულა

$$\left(S = c\int_{u}^{E}\frac{dE}{f(E)}\right)$$

ჩვენ ვხედავთ, რომ სანამ ამ ფორმულის შედგენა იქნებოდა შესაძლებელი, საჭირო შეიქნა ძირითადი დებულების მიღება, რომლის მიხედვითაც გრძნობიერება გაღიზიანების ოდნავი გადიდებისა შეგრძნების მინიმალურ გადიდებად იქნა მიღებული და, როგორც ასეთი, ოდენობად აღიარებული. თუ არა ასეთი პოსტულატით, ფსიქოფიზიკური ფორმულის შემუშავება შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ თვით ეს პოსტულატია ყალბი, როდესაც გაღიზიანება E, რომელიც S შეგრძნებას შეეფერება, E' გაღიზიანებად იქცევა, რომელიც S შეგრძნების ადგილას S' შეგრძნებას გვაძლევს, ჩვენს ფსიქიკურ სფეროში მხოლოდ ორი რეალური ფაქი გვაქვს: ერთი შეგრძნება S და მეორე - შეგრძნება S'; ხოლო რაც შეეხება მინიმალურ შეგრძნებას - ΔS, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა რეალურ ფაქტად დაგვესახა, S და S' შეგრძნებანი რომ რიცხვითი რაოდენობანი ყოფილიყვნენ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისინი მხოლოდ რომელობით პროცესებს წარმოადგენენ და, როგორც ასეთნი, ერთიმეორის საშუალებით არ განიზომებიან.

მაშასადამე, ის მინიმალური ერთეული, რომელსაც ფ ე ხ ნ ე რ ი რაოდენობად თვლის, არა თუ რაოდენობას არ წარმოადგენს, არამედ რეალობადაც ვერ ჩაითვლება. ამიტომ „რაღაა ეს გადასვლა პირველი მდგომარეობიდან მეორეზე, თუ არ უბრალო აქტი თქვენი აზროვნებისა, რომელიც თვითნებურად და დასმული საკითხის ინტერესების მიხედვით ორი მდგომარეობის თანმიმდევრობას ორი ოდენობის განსხვავებას უთანასწორებს?“ (E. 49). „მოკლედ, ყოველი ფსიქოფიზიკა, უკვე თავისი წარმოშობის ძალით, უსათუოდ მოჯადოებულ წრეში ტრიალებს. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ თეორიული პოსტულატი, რომელსაც იგი ეყრდნობა, მას ექსპერიმენტულად შემოწმებას ავალებს, მაგრამ შეუძლებელია იგი ექსპერიმენტულად იქნეს შემოწმებული, თუ ეს პოსტულატი იმთავიდვე მიღებული არ იქნა“ (E. 52).

ამგვარად, ჩვენი ინტელექტი, რომელიც რომელობას რაოდენობის სახით იღებს და ინტენსივობას ექსტენსივობის სახით, ინტელექტი, რომელიც ფსიქიკური ცხოვრების ნაკადს სივრცის პრიზმაში ატარებს და ამგვარად თავისებური ხასიათის „სინამდვილეს“ ქმნის. ეს ინტელექტი თავისსავე საკუთარი ქმნილების წიაღში ისეთ აუხსნელ პრობლემებს პოულობს, რომ მათი სიმძიმის ქვეშ იძულებული ხდება, თავი უძლურად გამოაცხადოს.

ბ. ცნობიერების მოვლენათა მრავლიანობა

მრავლიანობა სულიერ მოვლენათა: ემპირიზმი და ასოციაციონიზმი, სულიერ მოვლენათა მრავლიანობა და რიცხვი. ანალიზი რიცხვის იდეისა. რიცხვი და სულიერი ცხოვრება. სიმბოლური ხასიათი სულიერ მოვლენათა აღრიცხვისა.

ჩვეულებრივი გონებისათვის ადამიანის ცნობიერება სულიერ მოვლენათა მრავლიანობას შეიცავს. ეს შეხედულება იმდენად გამჯდარია ჩვენი ინტელექტუალური აზროვნების, ასე ვთქვათ, ძვალსა და რბილში, რომ იგი მეცნიერულ კრიტიკასაც კი უძლებს და თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების ზოგი მიმართულებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელ მომენტად გამხდარა: ემპირიზმი ადამიანის „მე“-ს, ცნობიერების მოვლენათა უბრალო ჯამად თვლის; მასზე დამყარებული ასოციაციონიზმი მთელი სულიერი ცხოვრების მიმდინარეობას ურთიერთგარე-მდებარე ფსიქიკურ ფენომენთა შეკავშრებით ხსნის.

მაგრამ მართლა ახასიათებს სულიერ ცხოვრებას მრავლიანობა, თუ აქაც ინტელექტისა და პრაქტიკული ცხოვრების ქმნილებასთან გვაქვს საქმე?

როდესაც მრავლიანობის შესახებ ვლაპარაობთ, ჩვენ უთუოდ რიცხვი გვაქვს მხედველობაში. შეიძლება თუ არა სულიერ მოვლენათა რიცხობრივი აღნიშვნა? „ყოველი რიცხვი ერთიანობაა. მაგრამ ეს ერთიანობა ჯამის ერთიანობაა“ (E. 58).

მაშასადამე, რიცხვი გულისხმობს ორ რამეს: ერთეულებს და მათ ჯამს. თუ ერთეულები ძირითადად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, მაშინ ჯამის შესადგენად ისინი გამოუსადეგარნი არიან; მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც საჭიროა, რომ ამ ერთეულებს შორის ერთგვარი განსხვავება არსებობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჯამის შედგენის მაგიერ იგივეობითი ერთეულების განმეორებასთან გვექნებოდა საქმე, წარმოვიდგინოთ, რომ როდესაც ერთ ერთეულს ვაზროვნებ, მეორე უკვე უგზოუკვლოდ იკარგება ჩემი ცნობეირებიდან. იქნება თუ არა მაშინ ჯამის შედგენა შესაძლებელი? რასაკვირველია, არა. მაშასადამე, აუცილებელია ერთეულების ერთდროული წარმოდგენა. „მისთვის რომ რიცხვი იზრდებოდეს, მიუცილებელია, რომ მე თანამიმდევარ სახეებს ვიჭერდე და მათ სათითაოდ ახალი ერთეულის წყებაში ვათავსებდე. ეს კი მხოლოდ სივრცეში შეიძლება მოხდეს“ (E. 59). ამგვარად, ცხადია, რომ ყოველგვარი რიცხვის იდეა მიუცილებლად სივრცის იდეას გულისხმობს. „სივრცე ის მასალაა, რომლისაგანაც გონება რიცხვებს ქმნის, და ის არე, სადაც იგი მას ათავსებს“ (E. 63).

რიცხვის ასეთი ბუნება ყველასათვის უდავოა, როდესაც იგი ნივთიერ საგნებს ეხება. აქ ჩვენს წინაშე სივრცითი არე არსებობს, სადაც ყველა ეს საგანი მოთავსებულია, და „ჩვენ დაგვრჩენია, ჯერ ცალკე წარმოვიდგინოთ ისინი, და შემდეგ ერთდროულად იმავე არეში, სადაც მათ განვიცდით“ (E. 64). სულ სხვაა, როდესაც საქმე სულიერ ცხოვრებას ეხება. აქ ჩვენ იძულებული ვართ, ერთგვარი სიძნელის წინაშე შევჩერდეთ. საქმე ის არის, რომ სულიერი ცხოვრების პროცესები, როგორც ეს საერთოდ ყველას მიერ არის მიღებული, სივრცით არეში როდი მიმდინარეობენ. მაშასადამე, მათი განაწილება ურთიერთგარემდებარე მოვლენათა წყებად და თანადროულად განცდა

შეუძლებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს. ამის მიუხედავად, როგორც ჩვენი ჩვეულებრივი შეხედულებით, ისე მეცნიერ ფსიქოლოგთა რწმენითაც, სულიერი ცხოვრება მოვლენათა მრავლიანობის სარბიელად არის მიჩნეული. ცხადია, ამის შემდეგ, რომ ეს მრავლიანობა და მისი რიცხობრივად დათვლა თუ პირდაპირის არა, სიმბოლიური საშუალებით მაინც უნდა ხორციელდებოდეს, იქ, სადაც სულიერი მოვლენის მიზეზი სივრცითი ბუნების არის. აქ ასეთი სიმბოლო იმთავითვე თავისთავად იგულისხმება. „მაგალითად, როდესაც მე ქუჩაში ნაბიჯის ხმა მესმის, მე შერეული წარმოდგენა მაქვს ადამიანის შესახებ, რომელიც მიდის. თითოეული თანამიმდევარი ხმა თავსდება სივრცის იმ წერტილზე, რომელსაც მიმავალი ფეხს უნდა აბიჯებდეს. მე ვთვლი ჩემს შეგრძნებებს სივრცის იმ ადგილით, სადაც მათი შეხებითი მიზეზებია მოთავსებული. შეიძლება, ზოგი შორეული ზარის თანამიმდევარ ხმებსაც ასე ითვლიდეს. მათი ოცნება ზარის მოძრავ ენას წარმოადგენს. პირველი ორი ერთეულისათვის მათთვის სივრცითი ხასიათის ეს წარმოდგენაც საკმარისია. დანარჩენი ერთეულები მოსდევენ ამ პირველ ორს. მაგრამ ადამიანთა უმეტესობა სხვაგვარად იქცევა. ისინი თანამიმდევარ ხმებს იდეალურ სივრცეში შლიან... მართალია, ზარის ხმა ჩემამდე თანამიმდევრობით აღწევს“, მაგრამ როდესაც მას ვითვლი, მაშინ „ხმები ერთიმეორეს უნდა მოვაცილოთ და დავადისოციაციოთ; ეს დისოციაცია კი ერთგვაროვან არეში ხდება, რომელშიც ხმები, განძარცულნი რომელობათაგან და თითქოს დაცარიელებულნი, თავის მიმდინარეობის იდენტურ კვალს ტოვებენ. მართლია, რჩება საკითხი, სივრცეა ეს არე თუ დრო, მაგრამ... დროის მომენტი არასდროს არ შთება, რათა იგი მეორე მომენტს დაემატოს; ხმების დისოციაცია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ მათ შორის ცარიელი მანძილებია; ჩვენ მიტომ შეგვიძია მათი დათვლა, რომ ხმებს შორის იგივე მანძილია. მაგრამ როგორღა შეინახებოდნენ ეს მანძილები, ისინი რომ წმინდა დროითი ყოფილიყვნენ და არა სივრცითი. მაშასადამე, ეს ოპერაცია სივრცის დახმარებით ხდება. რაც უფრო შორს ვიჭრებით ცნობიერების სივრცეში, მით უფრო ძნელი ხდება იგი. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე შეგრძნებათა და გრძნობათა შერყვნილი მრავლიანობა დგას. მათი რიცხვი თვით იმ მომენტების რიცხვს ერთვის, რომელთაც ისინი დათვლის დროს ავსებენ, მაგრამ ეს მომენტები... ისევ მაინც სივრცის წერტილებს წარმოადგენენ“ (E. 68).

ამგვარად, სულიერ მოვლენათა მრავლიანობა მხოლოდ სიმბოლური წარმოდგენის დახმარებით იღებს რიცხვის სახეს, და ამ სიმბოლურ წარმოდგენაში უთუოდ ესა თუ ის სივრცითი ელემენტი შედის. მართალია, ამით იმის თქმა როდი გვსურს, თითქოს სულიერი ცხოვრების მოვლენათა მრავლიანობა პირდაპირ ჰომოგენურ სივრცეში იშლებოდეს; მართალია, მათ დროში ვითვლით, მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ჰომოგენური დრო ბოლოს და ბოლოს ისევ ჰომოგენურ სივრცედ უნდა ჩაითვალოს. მაშ, ცხადია, მრავლიანობა მხოლოდ იმდენად შეიძლება ცნობიერების ცხოვრებაში დადასტურდეს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ჰომოგენური დროის ან სივრცის არეში გვაქვს წარმოდგენილი. სივრცე კი ჩვენი მოქმედების სქემაა, როგორც ეს თავის დროზე იყო გარკვეული. მაშასადამე, სულიერი მოვლენების მრავლიანობა ჩვენი ინტელექტის ფიქციად და ცნობიერების ნამდვილი სახის შერყვნად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა არის შესაძლებელი გაგება ფსიქოლოგიური მიზეზობრიობისა, რომელიც სულიერ მოვლენათა მრავლიანობისა და მათის ურთიერთზემოქმედების ფაქტზეა დამყარებული? შეუძლებელია ამგვარმა მიზეზობრიობამ სულიერი ცხოვრების საიდუმლოებანი გააშუქოს, უფრო მოსალოდნელია, რომ იგი დაუბნელებს მათ და გადაუჭრელ პრობლემებს წამოაყენებს იქ, სადაც თავისთავად საპრობლემო შეიძლება არაფერიც არ იყოს.

გ. ნების თავისუფლების პრობლემა.

პრობლემა ნების თავისუფლებისა. მისი გადაჭრის ცდათა უნაყოფობა. დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი. დეტერმინიზმი: ფიზიკური და ფსიქოლოგიური. ფიზიკური დეტერმინიზმის ძირითადი პოსტულატები: ფსიქოფიზიკური პარალელიზმი და პრინციპი ენერგიის იგივეობისა. მათი კრიტიკა. ფსიქოლოგიური დეტერმინიზმი. მისი პოსტულატი: მრავლიანობა სულიერ მოვლენათა და მათი ასოციაციური კავშირი, ასოციაციური დეტერმინიზმი. დეტერმინიზმი განვლილ სულიერ ფაქტთა, აწმყოთა და მომავალთა: წინასწარმეტყველება.

ყველა თანახმაა, და არ შეიძლება თანახმა არ იყოს, რომ ჩვენი ცნობიერების მოწმობით ადამიანის ნება თავისუფალია. მაგრამ არის მრავალი მოსაზრება, რომელიც ცნობიერების უშუალო მოწმობას მძაფრად ეწინააღმდეგება და ადამიანის მოქმედებას მიზეზობრიობის წრის ხაზზე მიუთითებს თავის ადგილს. მაგრამ ისეთი მოსაზრებებიც იცის ჩვენმა გონებამ, რომელნიც ცნობიერების მოწმობას ადასტურებენ და ნების თავისუფლების იდეას საფუძვლებს უმაგრებენ.

სარწმუნოება და ზნეობა - ადამიანთა ცხოვრების ეს სპეციფიკური კულტურული ღირებულებანი - ყოველთვის მჭიდრო კავშირს გრძნობდენ ნების თავისუფლების იდეასთან და ხშირად თავის ყოფნა-არყოფნის საკითხს მის ბედს უკავშირებდენ. ფსიქოლოგიურად და, მაშასადამე, ისტორიულადაც ეს იყო მიზეზი, რომ აზროვნების საფიქსაციო ხაზი ძველადვე ამ იდეისაკენ მიიმართა, მაგრამ რაკი, მეორის მხრივ, იდეა პრობლემატური აღმოჩნდა, ნების თავისუფლებას თეორიული მნიშვნელობა მიეცა. და დიდი ხანია, რაც იგი სადისკუსიო საგნად არის გარდაქცეული. ამის მიუხედავად, პრობლემა დღესაც ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორშიც იგი ჯერ კიდევ თავის დაბადების დღეს იყო.

აქ იბადება იჭვი. შეიძლება ამ შემთხვევაშიც ისეთსავე პრობლებასთან გვქონდეს საქმე, როგორიც ფსიქიკურ მოვლენათა ინტენსივობისა და მრავლიანობის პრობლემები არიან? ბერგსონი სწორედ ასე ფიქრობს.

როგორც ყველამ იცის, ნების თავისუფლების საკითხს მრავალი მოაზროვნე უნახავს, რომელსაც მის გადასაჭრელად თავისი ძალები უცდია; მაგრამ პასუხი მხოლოდ ორი ახსოვს; ჰო ან არა: ინდეტერმინიზმი და დეტერმინიზმი, - სხვაგვარი ცდა თავისუფლების პრობლემის გადაჭრისა აზროვნების ისტორიამ არ იცის.

დეტერმინიზმი ორგვარია: ფიზიკური და ფსიქოლოგიური, ფიზიკური დეტერმინიზმი ნივთიერების კინეტიკურ თეორიებს ეყრდნობა, ყველაფერს მოლეკულებადა და ატომებად შლის და მთელი მსოფლიოს მრავალსახიანობა, მაშასადამე, სულიერი მოვლენებიც მათი მოძრაობიდან გამოჰყავს: ყოველი შეგრძნება, ყოველი გრძნობა, ყოველი იდეა გარედან მიღებული კვებათა და ნერვული ნივთიერების ატომთა პირვანდელ მოძრაობათა მექანიკურ თანასწორმოქმედს წარმოადგენს. „მაგრამ ამ მოლეკულარულ მოძრაობათა თანასწორმოქმედად შეიძლება ჩვენი ორგანიზმის გარეშე მსოფლიოზე რეაქციაც ჩაითვალოს, რეფლექტურისა და ნებითი მოძრაობის სახით", ხოლო, რადგანაც ენერგიის იგივეობის კანონი უნივერსალურ კანონად არის მიჩნეული, შესაძლებელი ხდება, იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნისა და ორგანიზმის ყველა მოლეკულის მდგომარეობა და მოძრაობა ვიცით, ადამიანის თითოეული მოქმედებაც ზედმიწევნითა და შეუცდომლად ვიწინასწარმეტყველოთ (E. 109). ამის მიხედვით ნებითი მოვლენანი მსოფლიო მექანიზმების ერთ ერთ რგოლს წარმოადგენენ; და, მაშასადამე, ნების თავისაუფლება სრულ ილუზიად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ გავსინჯოთ ამ აზრთა მსვლელობის ძაფის სიმტკიცე! ლოგიკური აზროვნება შეიძლება ზოგჯერ ფორმალურად უმწიკვლო და დამარწმუნებელიც იყოს. მაგრამ, ამის მიუხედავად, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც იგი ჭეშმარიტების საძიებელ გზას ოდნავაც ვერ გვინათებს. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ის ძირითადი დებულება მოინახოს და შემოწმდეს, საიდანაც აზრის ლოგიკური პროგრესი გამომდინარეობს.

ფიზიკურ დეტერმინიზმს ორი მთავარი პოსტულატი უდევს საფუძვლად. მართლაც და, როგორ შეიძლება ფიზიკური სინამდვილის მძაფრი კაუზალობიდან ფსიქიკური ცხოვრების მიზეზობრიობა დავასკვნათ, თუ რომ იმთავითვე გადაწყვეტილი არ არის საკითხი სინამდვილის ამ ორ მიმდინარეობას შორის პარალელური ურთიერთობის არსებობის შესახებ? ან და შემდეგ, როგორ შეიძლება სულიერი მოვლენის წინასწარმეტყველებაზე ლაპარაკი, თუ რომ იმთავითვე არ ვფიქრობთ, რომ რაც არის, არის, და ახალი რამ თვით სულიერ სფეროშიც შეუძლებელია გაჩნდეს. ერთი სიტყვით, ფსიქოფიზიკური პარალელიზმი და ენერგიის იგივეობის კანონის ყოვლადობა, აი ის ორი ძირითადი პოსტულატი, რომელიც ფიზიკურ დეტერმინიზმს თავის ურყევ საფუძვლად მიაჩნია.

რას ნიშნავს ენერგიის იგივეობის კანონის ყოვლადობა? ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მატერიალური წერტილი, რომელთაგანაც მსოფლიო შედგება, მხოლოდ მიზიდულობისა და რეპულსის ძალებს ემორჩილება, ძალებს, რომელნიც ამ წერტილებიდან გამომდინარეობენ და რომელთა ინტენსივობაც მარტო მანძილზეა დამოკიდებული. აქედან ცხადია, რომ ამ მატერიალური წერტილების შედარებითი მდებარეობა... მათი წინა მომენტის მდებარეობით განისაზღვრება“. მაშასადამე, „მდებარეობა, მიმართულება, სისწრაფე ტვინის მატერიის ყოველი ატომისა მარადის წინდაწინვე განსაზღვრულია“ (E. 111). ასეთია ლოგიკური შედეგი ენერგიის იგივეობის აღიარებისა.მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს ფსიქიკური მოვლენებიც ამ უწყვეტ რკალში იყვნენ მოქცეულნი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მიუცილებელი, ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის, რომ მძაფრი შესაბამისობა ყოფილიყო დადასტურებული. ასეთი შესაბამისობა კი მხოლოდ ისეთ შემთხვევაშია განხორციელებული, როდესაც

ესა თუ ის სულიერი მოვლენა განსაზღვრულ მექანიკურ პროცესებს უკავშირდება, როგორც, მაგალითად, მხედველობის ან სმენის შეგრძნებების შემთხვევებშია. აქ პარალელიზმი ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის უდავოა. მაგრამ ფსიქოფიზიკური პარალელიზმის მთელი სულიერი ცხოვრების გასაქანზე გავრცელების მართებულობა ჯერ არავის დაუმტკიცებია. ამის მიუხედავად, ფსიქოფიზიკური პარალელიზმი მაინც უნივერსალურ კანონად არის მიჩნეული.

როგორ მოხდა ეს? ბერგსონი ამას ფსიქოლოგიური არგუმენტებით ხსნის. „ცნობიერება მართლაც გვიჩვენებს, რომ ადამიანის მოქმედებათა უმეტესობა მოტივებით აიხსნება“ (E. 114). მაშასადამე, იფიქრეს, სულიერი ცხოვრება კაუზალური აუცილებლობის ნიშნის ქვეშ უნდა ვითარდებოდესო. მაგრამ როგორია ეს კაუზალობა? ცნობილია, რომ სულიერი ცხოვრების ზოგი მოვლენა, როგორც მაგალითად, შეგრძნება, მოლეკულურ მოძრაობასთან არის დაკავშირებული. მაშასადამე, მთელი ცნობიერების ცხოვრებაც ასეთ მოლეკულარულ პროცესებს უნდა შეესაბამებოდეს, და ამის მიხედვით, მისი კაუზალობა ფიზიკური მოვლენების კაუზალობის პარალელურ პროცესს წარმოადგენდეს. ასე გაჩნდა ფსიქოფიზიკური პარალელიზმი. მისი წარმოშობა, ამგვარად, წინასწარ მიღებული ფსიქოლოგიური მოსაზრებით უნდა აიხსნას. მიღებული იყო სულიერ მოვლენათა კაუზალური ურთიერთობა, მაგრამ რადგანაც მძაფრი კაუზალობა მარტო ფიზიკურ მოვლენებში ჩანდა, ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ ზოგი სულიერი მოვლენა ფიზიკურს უკავშირდება, და ეს კავშირი მთელი ცნობიერების ცხოვრებაზე გაავრცელეს; შედეგი ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორია იყო.

მაგრამ განა შესაძლებელია, რომ ამ გზით მიღებულ თეორიას რაიმე მტკიცე ლოგიკური საფუძველი ჰქონდეს? საკმარისია, ოდნავ დაკვირვებით გავსინჯოთ იგი, რათა იმ წამსვე აღმოვაჩინოთ, რომ ფსიქოფიზიკური პარალელიზმი მთელი თავისი შინაარსით ლოგიკურ შეუსაბამობაზეა აგებული, ბერგსონის აზრით, იგი წმინდა პარალოგიზმია.

რაში მდგომარეობს ეს პარალოგიზმი? „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თეზისი პარალელიზმისა გამოთქმის ორაზროვნებაზეა დამყარებული, რომ შეუძლებელია იგი მართებულად გამოითქვას და არ დაიშალოს, რომ მისი დოგმატური მტკიცება დოგმატურ ხერხს შეიცავს, რომლის დახმარებითაც აღნიშვნის (notation) ერთი სისტემიდან, სრულიად უკანონოდ, აღნიშვნის საწინააღმდეგო სისტემაზე გადადიან და ამ შენაცვლებას სრულიად ვერ გრძნობენ"... ამგვარად, ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეზისი ნამდვილ პარალოგიზმს წარმოადგენს, რომელიც იმდენად დაკავშირებულია ჩვენს აზროვნებასთან, რომ შეუძლებელია მას თავი დავაღწიოთ, თუ რომ პარალელიზმის თეზისს ცალ-ცალკე არ განვიხილავთ, ჯერ აღნიშვნის ერთი სისტემისა და შემდეგ მეორე სისტემის მიხედვით.

რას ნიშნავს აღნიშვნის სისტემა? როდესაც გარე მსოფლიოს შესახებ არის ლაპარაკი, შეგვიძლია იგი ან საგანთა სახით აღვნიშნოთ, როგორც ამას ფილოსოფიური რეალიზმი ჩადის, და ან წარმოდგენათა სახით, როგორც ეს იდეალიზმის მიმდევართათვის არის დამახასიათებელი. იდეალიზმი და

რეალიზმი, აი ის ორი სისტემა, რომელთა გარეშეც მსოფლიოს ანალიზის გაგება შეუძლებელია (Pp. 37, 41).[1]

მივიღოთ პირველი სისტემა, ი დ ე ა ლ ი ზ მ ი. მისთვის მთელი მსოფლიო წარმოდგენათა სამკვიდროს წარმოადგენს: ყველაფერი, რაც ა რ ი ს, ა რ ი ს იმდენად, რამდენადაც იგი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს შეადგენს. გ ა რ ე შ ე წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს ა ა რ ა ფ ე რ ი ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს, და წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა მ თ ე ლ რ ე ა ლ ო ბ ა ს შ ე ი ც ა ვ ს.

ამ თვალსაზრისით, ცხადია, ტვინი და ის ფიზიოლოგიური პროცესები, რომელიც მასში ხდება, მის მეტს, რაც წარმოდგენაშია, არაფერს არ შეიცავს. ამ აზრით, ტვინიც ერთ-ერთი წარმოდგენაა, და მეტი არაფერი. მეორე მხრვ, მთელი ობიექტური რეალობა წარმოდგენათა კომპლექსით ამოიწურება. მაშასადამე, ტვინი მხოლოდ ნაწილია ამ მთლიანი წარმოდგენისა. ასეთია იდეალიზმის შეხედულება. რა სახეს იღებს ფსიქოფიზიკური პარალელიზმი იდეალიზმის თვალსაზრისით? იგი ამბობს, რომ ტვინის ფიზიოლოგიური პროცესები მთელი ცნობიერების ექვივალენტს წარმოადგენენ, ან და, სხვანაირად რომ ვთქვათ, ტვინის პროცესებთან ერთად მთელი სინამდვილის წარმოდგენაც ჩნდება. მაგრამ იდეალიზმის რწმენით, ტვინი ხომ ერთ-ერთი წარმოდგენაა, ხოლო მთელი სინამდვილე წარმოდგენათა მთლიანობა, რომელიც, ვითარცა თავის შემადგენელ ნაწილს, ტვინის წარმოდგენასაც შეიცავს. გამოდის, რომ ფსიქოფიზიკური პარალელიზმი ნაწილის (ტვინის) და მთლიანის (ცნობიერების) ექვივალენტობას მოითხოვს. „ამ სახით, პარალელიზმის თეზისის ფორმულა იდეალისტურ ენაზე მოკლედ შემდეგი წინადადებით უნდა გამოითქვას: ნაწილი არის მთელი“ (Pp. 43). ცხადია, აქ აშკარა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე.

მაშ, იდეალიზმისათვის პარალელიზმი არსებითად შეუწყნარებელია. მაგრამ თუ იგი მაინც პარალელიზმის მომხრედ გამოდის, ცხადია, ეს იმიტომ ხდება, რომ იგი სავსებით ივიწყებს, რომ ტვინის მოლეკულარული მოძრაობა წარმოდგენაა, და გარდა იმისა, რაც ამ წარმოდგენაშია, სრულიად არაფერს შეიცავს. პირიქით, ახლა იგი მოძრაობას ისეთ ძალად თვლის, რომლის რეალობაც არა თუ მისი წარმოდგენით არ ამოიწურება, არამედ მთელი რეალობის წარმოდგენის ანუ ცნობიერების წარმომშობ ძალადაც ითვლება. ასეთი რეალობის აღიარება კი იდეალიზმის ღალატი და რეალიზმის თვალსაზრისის გაზიარებაა.

მაშასადამე, იდეალიზმი იწყებს იმით, რომ იგი მთელ რეალობას წარმოდგენებად შლის. ამით იგი ტვინისა და მსოფლიოს გამოცალკევების შესაძლებლობას ქმნის, იმიტომ, რომ ისიც და ესეც წარმოდგენაა, და, მაშასადამე, რა შეგვიშლის ხელს, რომ ეს წარმოდგენები განცალკევებულად ჩავთვალოთ? მაგრამ როდესაც იგი მათი ურთიერთობის საკითხს აყენებს, იგი, სრულიად შეუმჩნევლად თავისთვის, წარმოდგენების ადგილას საგნებს გულისხმობს და ამ სახით ტვინის და ცნობიერების ექვივალენტობას შესაძლოდ ყოფს. ამგვარად, პარალელიზმი გვავალებს: დავიწყოთ იდეალიზმით და შუა გზაზე რეალიზმზე გადავიდეთ.

[1] Pp-ფსიქოფიზიკური პარალოგიზმი. რუს. თარგ. т. 4. Вопросы философии и психологии. Птгрд. 1914.

მივიღოთ ახლა რეალიზმი. იგი მთელ სინამდვილეს წარმოდგენაში როდი ჭვრეტს; არა, რეალობას მისთვის სრულიად დამოუკიდებელი არსებობა აქვს, რომელიც ჩვენს წარმოდგენათა გადაღმა მოძრაობს და მათ უხილავ მიზეზად გამოდის. ამიტომაც, შეუძლებელია, წარმოდგენამ მთელი რეალობა ამოწუროს; იგი მხოლოდ ნაწილობრივი სუბიექტური გამოხატულებაა მთელი რეალობისა. თვით რეალობა, მაშასადამე, თავისთავად განუწყვეტელი, განუშლადი მთლიანობაა, და როდესაც ჩვენ მის მხარეებს ან ნაწილებს ურთიერთს ვაშორებთ, ნამდვილად ამით თვით რეალობას კი არა, ჩვენს წარმოდგენებს ვაცალკევებთ.

რა სახეს ღებულობს ფსიქოფიზიკური პარალელიზმი რეალისტის ხელში? ტვინის პროცესებსა და ცნობიერებას შორის, მისი რწმენით, ექვივალენტური ურთიერთობა უნდა არსებობდეს; მაგრამ, ამის დასამოწმებლად ხომ აუცილებელია ორივე პროცესის (ტვინისა და ცნობიერების) ცალკე განხილვა! ხოლო თუკი ისინი ერთ მთლიან რეალობას შეადგენენ, როგორც ამას რეალიზმის ძირითადი პრინციპი მოითხოვს, მაშინ როგორღაა შესაძლებელი მათი გამოცალკევება? ცხადია, რეალიზმმა აქ თავის თავს უნდა უღალატოს და იდეალიზმის შეხედულება მიიღოს, რომლის მიხედვითაც ერთიცა და მეორეც წარმოდგენებს შეადგენენ და მაშასადამე, მათ ურთიერთგამოცალკევებას არაფერი ეღობება.

მაგრამ რას ნიშნავს რეალიზმისათვის ასეთი გამოცალკევება? ასეთი გამოცალკევების ძალით გასაგები ხდება, რომ ცნობიერება და ტვინის პროცესები ურთიერთს შეესაბამებიან. მაგრამ ტვინის პროცესების რეალობა ობიექტური რეალობის ზეგავლენაზეა დამოკიდებული. მას ამ რეალობის ზემოქმედება ქმნის, ამგვარად, ტვინის პროცესები მხოლოდ იმდენად შეიცავენ რეალობას, რამდენადაც ისინი ობიექტურის და, მაშასადამე, მთლიანი რეალობის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. მაგრამ თუ გამოაცალკევებთ მათ ამ მთლიანობას, მაშინ საიდანღა უნდა მიიღონ თავისი რეალობა! რეალიზმისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არსაიდან, ხოლო თუ ტვინის პროცესებს ასეთი გამოცალკევების გამო ეკარგებათ რეალობა, მაშინ როგორღა არის შესაძლებელი, რომ ცნობიერება, რომელიც რეალობის ნაწილს და ისიც რეალურობას მოკლებულს, ე. ი. ტვინს შეეფერება, მთლიანი რეალობის პარალელურ მიმდინარებად ჩაითვალოს?

ამგვარად, პარალელიზმის პრინციპი რეალიზმსაც ისეთსავე მდგომარეობაში აყენებს, როგორშიც იდეალიზმს. როგორც იდეალიზმი იძულებული შეიქნა, მსჯელობის პროგრესის განსაზღვრულ საფეხურზე რეალიზმის ნიადაგზე დამდგარიყო, სწორედ ისე რეალიზმიც იდეალიზმის გზაზე გადადის და ამგვარად პარალელიზმის თეორიის სამსხვერპლოზე თავისი პრინციპების სიმტკიცე მიაქვს. „ასე გადადიან იდეალიზმიდან რეალიზმზე და რეალიზმიდან იდეალიზმზე, და გადადიან ისეთი სისწრაფით, რომ ფიქრობენ, თითქოს უძრავად ისხდნენ ორთავე სისტემაზე, რომელნიც ამის გამო ერთ სისტემად ერთდებიან. ეს მოჩვენებითი შერიგება ორი შეურიგებელი აზრთა მიმდინარეობისა თვით არსს შეადგენს პარალელიზმისას" (Pp. 50).

ამგვარად, ფიზიკური დეტერმინიზმის პირველი პოსტულატი სავსებით დარღვეულად უნდა ჩაითვალოს, რა უნდა ვთქვათ მისი მეორე პოსტულატის შესახებ?

ენერგის იგივეობის კანონის მოკლე ფორმულა ასეთია: „დახშულ სისტემაში ჯამი პოტენციალურისა და კინეტიკური ენერგიისა იგივეა“ (E. 206). მაშასადამე, შეუძლებელია, ამ სისტემაში თუნდ ერთი ისეთი მოვლენა ან მოვლენათა კომბინაცია აღმოვაჩინოთ, რომ იგი არსებითად ახალ რამეს წარმოადგენდეს და წინანდელი მომენტის მოვლენათა მდგომარეობით არ იხსნებოდეს. ამ მხრივ, მიზეზობრივი წინასწარგანსაზღვრულობა ყოველი მოვლენისა თავის თავად გასაგები ხდება. მაგრამ ეხება ეს წინასწარგანსაზღვრულობა ფსიქიკურ ცხოვრებასაც? რა თქმა უნდა, ეხება იმდენად, რამდენადაც ენერგიის იგივეობის კანონის სარბიელში სულიერი ცხოვრების ნაკადიც შედის. ჩვენ ვიცით, რომ პრინციპი ენერგიის იგივეობისა უნივერსალურ პრინციპად არის მიჩნეული, და მაშასადამე, მისს გასაქანს ვერც სულიერი ცხოვრება დაუდებს საზღვარს.

და აი გასარკვევია ორი რამ: ჯერ ერთი, არის თუ არა ენერგიის იგივეობის პრინციპი ისეთი რამ, რის მიმართულებაშიც შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ; და შემდეგ: შეიძლება თუ არა ეს პრინციპი უნივერსალურ პრინციპად ჩაითვალოს? ჩვენ ვიცით, რომ ენერგიის იგივეობის პრინციპი სამეცნიერო აზროვნების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე გაჩნდა. „სრულიად არ არის დამტკიცებული, რომ ლ ა ი ბ ნ ი ც ა მ დ ე ყველას დ ე კ ა რ ტ ი ს ა ვ ი თ სწამდა მოძრაობის ერთი და იმავე რაოდენობის დაცულობა სამყაროში. მაგრამ განა ამ გარემოებას რაიმე გავლენა ჰქონდა მათ აღმოჩენათა ღირებულებაზე, ან მათი კვლევა-ძიების წარმატებაზე?.. ცხადია, მაშასადამე, რომ მეცნიერნი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდენ უამკანონოდ" (E. 116). უეჭველია ამის შემდეგ, რომ იგივეობის პრინციპს სრულიად უ ს ა ფ უ ძ ვ ლ ო დ თ ვ ლ ი ა ნ ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო კ ვ ლ ე ვ ა - ძ ი ე ბ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ პ ო ს ტ უ ლ ა ტ ა დ.

მაგრამ არსებითად რომ შევამოწმოთ ენერგიის იგივეობის პრინციპის ღირებულება, მაშინაც ადვილად დავრწმუნდებით, რომ მას სრულიად არა აქვს ის მნიშვნელობა, რომელსაც მას აკუთვნებენ. მართლაც და, ჯერ ერთი, ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილად არა მარტო კინეტიკური ენერგია არსებობს, არამედ ცნობილია არსებობა სხვადასხვაგვარი ენერგიისაც (Ev. 206). მერმე, როგორ ვზომავთ ჩვენ ამ ენერგიას? ჩვენი გაზომვის ერთეული ბუნებრივად პირობითია, რელატიურია (მაგ. სითბოს ვერცხლის წყლის გაფართოების ხარისხით ვზომავთ). და ცხადია, რომ ენერგიის გაზომვის ერთეული ისეა არჩეული, რომ ენერგიის იგივეობის პრინციპი გამართლდეს. „ამგვარად, ამ პრინციპში პირობითი და შედარებითი ბევრი რამ არის" (Ev. 206). ამას გარდა, ცხადია ისიც, რომ ენერგიის იგივეობის შესახებ მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი, სადაც შემოქმედებით პროცესს ადგილი არა აქვს. მაგრამ არის კი დამტკიცებული, რომ ასეთი კონსერვატული სისტემა სადმე არსებობს?

მაშ, ენერგიის იგივეობის პრინციპი არა თუ სამეცნიერო კვლევა ძიების პოსტულატად ვერ ჩაითვლება, არამედ თვითონ გულისხმობს საკმაოდ მნიშვნელოვან პოსტულატს, სახელდობრ სისტემის კონსერვატულობას.

მაგრამ ვთქვათ, არაორგანიული სისტემა კონსერვატულია. ითქმის იგივე თუ არა ორგანიულის, კერძოდ სულიერი ცხოვრების შესახებაც? სანამ ეს საკითხი გარკვეული და დადებითად გადაწყვეტილი არ არის, რა უფლება გვაქვს მანამდე ენერგიის იგივეობის პრინციპი ყოვლად კანონად ვაღიაროთ? ცხადია, ლოგიკურ უფლებაზე აქ ლაპარაკიც არ შეიძლება. სამაგიეროდ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი საბუთი არსებობს, რომელმაც მეცნიერები აიძულა, ეს პრინციპი სულიერი ცხოვრების სფეროშიც გადაეტანათ: „მართალი თუ გნებავთ,

მექანიკამ ეს განყენებული პრინციპი მეცნიერების დასაბუთების აუცილებლობის გამო კი არა, ფსიქოლოგიური შეცდომის წყალობით გადააქცია ყოვლად კანონად" (E. 112). რაში მდგომარეობს ეს ფსიქოლოგიური შეცდომა? „ჩვენ არ ვართ მიჩვეულნი, ჩვენს თავს უშუალოდ დავაკვირდეთ, პირიქით, ჩვენ მას მუდამ გარესამყაროსგან ნასესხები ფორმების საშუალებით ვაკვირდებით" და ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი სულიერი ცხოვრებაც ისეთსავე უცვლელს, ინერტულს, კონსერვატულ სისტემას წარმოადგენს, როგორადაც გარესამყარო გვეჩვენება. მაგრამ რაკი ერთხელ მაინც უდავოდ არის მიჩნეული უცვლელობა და ინერტობა ჩვენი სულიერი ცხოვრების მიმდინარეობისა, თავისთავად იგულისხმება, რომ ამით იმთავითვე გადაჭრილია საკითხიც ნების თავისუფლების შესახებ: თუკი იგივე მოტივები იმავე პირებზე მოქმედებენ, ცხადია, ისინი, როგორც ერთი და იგივე მიზეზები, მუდამ ერთ და იმავე შედეგებს გამოიწვევენ.

ენერგიის იგივეობის პრინციპის სულიერ ცხოვრებაზე გავრცელება, ამგვარად, ნების თავისუფლების წანასწარ უარყოფაზეა დამკვიდრებული. ხოლო როდესაც სპეციალურად ისმის საკითხი, თავისუფალია თუ არა ადამიანის ნება, მის საწინააღმდეგო საბუთად ენერგიის იგივეობის პრინციპის ყოვლადობა მოჰყავთ. ამგვარად გამოდის: ერთი მხრივ, ენერგიის იგივეობის პრინციპი მიტომ არის სულიერი ცხოვრებისათვისაც მართებული, რომ ნების თავისუფლება არ არსებობს; და მეორე მხრივ, ნების თავისუფლების უარყოფა მიტომ არის კანონიერი, რომ სულიერ ცხოვრებაში ენერგიის იგივეობის პრინციპი მოქმედებს. ტიპური მოჯადოებული წრეა, რომელიც ასე ხშირად გვხვდება ხოლმე, როდესაც სულიერი ცხოვრების საკითხების გადაჭრას ინტელექტის საშუალებით ვლამობთ.

ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ურ ი დ ე ტ ე რ მ ი ნ ი ზ მ ი . რა არის ძირითადი; წინასწარმიღებული დებულება, რომელსაც თანამედროვე ფსიქოლოგიური დეტერმინიზმი ეყრდნობა? პასუხი ადვილია. „მე შემეძლო, თავი შემეკავებია მკვლელობისაგან, რომ ჩემი ანტიპათია დანაშაულისადმი და შიში მისი შედეგებისა უფრო ძლიერი ყოფილიყვნენ, ვიდრე მოტივები, რომელნიც დანაშაულისაკენ მიმიწევდენ“-ო, ამბობს მ ი ლ ი. საკმარისია ჩავუკვირდეთ ამას, და ფსიქოლოგიური დეტერმინიზმის ძირითადი პოსტულატი ცხადად აღიმართება ჩვენი გონების თვალთა წინაშე. ცხადია, ჯერ ერთი, სახელდობრ ისა, რომ ჩემი სულიერი ცხოვრება წარმოდგენილია როგორც არე, სადაც სულიერ მოვლენათა მრავლიანობას აქვს ადგილი; სხვადასხვა სულიერი მოვლენები აქ ერთიმეორეს ებრძვიან. მაშასადამე, თითოეული მათგანი ცალკე ძალად არის წარმოდგენილი. ამგვარად, პირველი პოსტულატი ასეთია: ცნობიერება მრავალი დამოუკიდებელი სულიერი მოვლენებისაგან შედგება.

მაგრამ ეს მრავალი დამოუკიდებელი მოვლენა ურთიერთთან არის დაკავშირებული. აზრი დანაშაულის შესახებ იწვევს, ერთი მხრივ, აზრს მისი შედეგების შესახებ, და მეორე მხრივ, აზრს მისი გასამართლებელი მოტივების შესახებ. მაშასადამე, აქ თავიდანვე მიღებულია განსაზღვრული შეხედულება ადამიანის სულზე, სახელდობრ — სულის ასოციაციური თეორია.

მრავლიანობა სულიერ მოვლენათა და მათი ასოციაციური კავშირი, აი ის ორი ძირითადი პორტულატი, რომელსაც ფსიქოლოგიური დეტერმინიზმი გულისხმობს.

ამ შემთხვევაში ჩვენ ასოციაციურ დეტერმინიზმთან გვაქვს საქმე. ყოველი მოვლენა, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში ჩნდება, როგორიც უნდა იყოს იგი, რომლისამე სხვა მოვლენისაგან გამომდინარეობს. უშუალო თვითდაკვირვება მართლაც ამტკიცებს, რომ სულიერ მოვლენებს შორის ასეთი თანმიმდევრობა არსებობს. მაგრამ დეტერმინიზმი მას მიზეზობრივ თანმიმდევრობად თვლის. რამდენად მართალია ასეთი შეხედულება?

„ერთხელ, შეწყვეტილი საუბრის განახლების დროს, მე შევნიშნე, რომ მე და ჩემი თანამოსაუბრე ერთ და იმავე დროს ერთ და იმავე ახალ საგანზე ვფიქრობდით. — იტყვიან, თითქოს თითოეული ჩვენგანი იმ იდეის ბუნებრივ განვითარებას მისდევდა, რომელზეც ჩვენი საუბარი შეწყდა, და ამგვარად ორთავეს ასოციაციათა ერთი და იგივე რიგი შეგვიმუშავდა... მაგრამ ზედმიწევნითმა ანალიზმა ამ შემთხვევაში სრულიად მოულოდნელ შედეგამდე მიგვიყვანა. მართალია, ორივე მოსაუბრე საუბრის ახალ საგანს ძველს უკავშირებდა; მათ შუამდებარე იდეების ჩვენებაც შეეძლოთ; მაგრამ ძალზე საინტერესოა, რომ ისინი ახალს ზოგად იდეას ყოველთვის ძველი საუბრის ერთსა და იმავე ადგილს არ უკავშირებდენ, და შუამდებარე ასოციაციების წყება ურთიერთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდენ. აქედან აშკარად გამომდინარეობს, რომ ეს ზოგადი იდეა უცნობი მიზეზით არის გამოწვეული - შეიძლება რომელიმე ფიზიკური ზეგავლენით - და რომ თავისი გაჩენის გასამართლებლად მან წინამსრბოლ ასოციაციათა წყება გამოიწვია, რომელნიც მათ ხსნიდენ და თითქოს მათ მიზეზად გამოდიოდენ, ნამდვილად კი მათი შედეგის მეტს არაფერს წარმოადგენდენ“. ამგვარად, როდესაც ჩვენ რომელიმე სულიერი მოვლენის ასახსნელად ასოციაციურ ჯაჭვს მივმართავთ და იქ ამ მოვლენის მიზეზს ვეძებთ, ნამდვილად ეს ასოციაციური ჯაჭვი მხოლოდ ახლა ჩნდება. ამიტომ ცხადია, რომ იგი უფრო შედეგია განსაზღვრული სულიერი მოვლენისა, ვიდრე მისი ნამდვილი მიზეზი. ამას თუნდ ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „როდესაც სუბიექტი განსაზღვრულ დროს იმ შთაგონებას ასრულებს, რომელიც მან ჰიპნოზის მდგომარეობაში მიიღო, იგი ფიქრობს, თითქოს ეს აქტი წინამსრბოლ ფსიქიკურ მოვლენათა წყებით იყოს გამოწვეული. ნამდვილად კი ეს წინამსრბოლი მოვლენები შედეგს წარმოადგენენ და არა მიზეზს: საჭირო იყო, რომ აქტი შესრულებულიყო; საჭირო იყო, რომ სუბიექტს მისი ახსნა დაეწყო. სწორედ მომავალმა აქტმა განსაზღვრა ერთგვარი მიმზიდველობის ძალით ის უწყვეტი რიგი ფსიქიკურ მდგომარეობათა, რომელთაგანაც შემდეგ მის გამოყვანას ლამობენ“ (E120). მაგრამ თუ ამის მიუხედავად ასოციაციური დეტერმინიზმი მაინც მოტივების ასოციაციური ჯაჭვის დამოწმებით ებრძვის ნების თავისუფლების იდეას, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მას იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონია ბედი ნების თავისუფლებისა, თორემ რად დაიწყებდა იგი შესრულებული აქტის იდეათა ხელოვნური ჯაჭვის შედგენას?

ცნობიერების მდგომარეობათა მექანიკური მრავლიანობის იდეა, როგორც უკვე განმარტებული იყო, სულიერ მოვლენათა გარემდებარებასა და მათს უცვლელობას მოითხოვს. ამიტომ არის, რომ როდესაც, დეტერმინისტის აზრით, ჩვენ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას ვაპირებთ, „მე“ ორ საწინააღმდეგო გრძნობას შორის ირყევა, სანამ ბოლოს და ბოლოს ერთერთზე არ შეჩერდება. აქ ცხადად ჩანს, რომ როგორც თითოეული გრძნობა, ისე „მეც" უცვლელ საგნებს წარმოადგენენ, რომელთა ერთხელ მოცემული ღირებულების მიხედვითაც ან

ასეთი და ან ისეთი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. მაგრამ, თუ „მე" არ იცვლება, თუ საწინააღმდეგო გრძნობები, რომელნიც მას აღელვებენ, აგრეთვე არ იცვლებიან, მაშ, როგორღა ხდება, თვით დეტერმინისტების მიერვე წამოყენებული მიზეზობრიობის პრინციპის ძალით, რომ „მე" ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას მაინც იღებს?

ცხადია, დეტერმინიზმი ამ საკითხზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემას ვერ შეძლებს, ვერ შეძლებს პასუხის გაცემას ვერც ინდეტერმინიზმი, ვინაიდან უძრავი ნებისა და უცვლელი მოტივების აღიარებას დეტერმინიზმთან ერთად იგიც იზიარებს.

მაგრამ როგორც დეტერმინიზმი, ისე ინდეტერმინიზმიც თავისი პოზიციების გამაგრებას წარსულ მოქმედებათა განხილვით ლამობენ. ინდერტერმინიზმის პოზიცია ასეთია: „ფსიქიკურ მდგომარეობათა ერთ და იმავე რიგს რამდენიმე განსხვავებულისა და ერთნაირად შესაძლო აქტების გამოწვევა შეუძლია" (E. 134). დეტერმინიზმის მსჯელობა კი სრულიად საწინააღმდეგოს ესწრაფვის: „განსაზღვრულს წინასწარ მოვლენებს მუდამ განსაზღვრული და მუდამ ერთადერთი შესაძლო აქტი სდევს თან" (E. 133).

როგორც დეტერმინიზმი, ისე ინდეტერმინიზმიც გულისხმობენ: ადამიანის ცნობიერება გაივლის მოვლენათა განსაზღვრულ რიგს და მიაღწევს მდგომარეობას, როდესაც იგი მერყეობას იწყებს, ეს გადაწყვეტილება გამოიტანოს, თუ ის, მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ორივე თეორია უძლურია გაგვითვალისწინოს, თუ როგორ ხდება აქ გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ მსჯელობა ამ სახით გრძელდება. ადამიანის ნებას ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება მაინც გამოაქვს, და აი დეტერმინიზმი ამბობს: ეს გადაწყვეტილება იმიტომ გამოიტანა ნებამ, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლოო. ინდეტერმინიზმი უპასუხებს: მას მეორე გადაწყვეტილების გამოტანაც შეეძლო. ჩავუკვირდეთ ამ მსჯელობას, არის თუ არა აქ რაიმე წინასწარ გადაწყვეტილი აზრი ნაგულისხმევი? ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ სანამ გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მანამ დეტერმინიზმიცა და ინდეტერმინიზმიც სდუმან. მათი მსჯელობა მხოლოდ აქტის შესრულების შემდეგ იწყება. მაშ, ცხადია, რომ ორივე თეორია შესრულებულ აქტს გულისხმობს. ისინი კვალდაკვალ როდი მიჰყვებიან ნებას და თითოეული აქტის, ასე ვთქვათ, მშობიარობის პროცესს ესწრებიან, არამედ დასრულებულ აქტს აქცევენ თავისი გამოკვლევის საგნად და სურთ, ერთი აქტის მეორე აქტისადმი დამოკიდებულებაში ნების თავისუფლების საკითხის გასაღები აღმოაჩინონ.

ინდეტერმინიზმი და დეტერმინიზმი ამგვარად ორივე დასრულებულ აქტს იღებს თავისი კვლევის საგნად. ეს მათი ძირითადი პოსტულატია.

მაგრამ დასრულებული აქტის მეხსიერებაში განახლებისათვის ისინი, ძალაუნებურად, ფსიქიკურ მოვლენათა თანამიმდევრობას სივრცითი სიმბოლოთი ცვლიან და ნებისყოფის უწყვეტ პროგრესს მისგან განვლილი გზის სახით წარმოიდგენენ. როდესაც ნებისყოფითი აქტის შესახებ მსჯელობენ, მათ თვალწინ მუდამ ეს სიმბოლური გზა აქვთ გამოსახული და, მაშასადამე, არსებითად მათი მსჯელობა უფრო ამ სივრცით სიმბოლოს ეხება, ვიდრე ცოცხალ ნებით პროცესს.

როგორია შედეგი ცოცხალი მოქმედების სივრცითი სიმბოლოთი შეცვლისა? ადამიანის ნება MO ხაზს გადის და როდესაც O წერტილს მიაღწევს, ჩერდება და ფიქრობს, OX-ის თუ OY-ის გზას დაადგეს.

როდესაც იგი OX-ს ირჩევს, დეტერმინიზმი ამბობს: შეხედეთ, ნება OX-ის გზას დაადგა, მაშასადამე, მას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. მაგრამ ინდეტერმინიზმი უპასუხებს: არა, ნებას შეეძლო OY-ის გზასაც დადგომოდაო. და ამასთან მას წარმოდგენილი აქვს ზემოაღნიშნული ნაკვეთის თითქოს ნების უკანვე დაბრუნება და O წერტილში ახალი გზის OY-ის ამორჩევა შეეძლოს, მაგრამ თუ O წერტილში ვაღიარებთ ნების ორმაგ აქტივობას, რა უფლება გვაქვს, ასეთი ორმაგი აქტივობა წინამსრბოლ წერტილშიც არ ვაღიაროთ: ხოლო თუ „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ X-ის მიმართულება იქნა არჩეული, აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს O წერტილში ინდიფერენტ აქტივობას ჰქონდეს ადგილი და არა აქტივობას, რომელიც იმ თავითვე OX-ის ხაზით იყო მიმართული" (E. 136). ამგვარად, პირველი შედეგი აღნიშნულის სივრცითი სიმბოლოს მიღებისა დეტერმინიზმის მართებულობის აღიარებაში მდგომარეობს.

მაგრამ, მეორე მხრივ, რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ჩვენი ცნობიერება ჩვენი ნების აქტებს ყოველთვის თავისუფლად თვლის? თუ ორივე გადაწყვეტილება ერთნაირად შესაძლო იყო, მაშინ რითღა ავხსნათ მომხდარი არჩევანი; ხოლო თუ მარტო ერთი გადაწყვეტილება იყო შესაძლო, რადღა ვთვლით ჩვენს აქტს თავისუფლად? (E. 138). ამ სახით, ცდა სივრცითი სიმბოლოს საშუალებით ნების თავისუფლების საკითხის გადაწყვეტისა აუხსნელი პრობლემების წინაშე გვაყენებს. და ეს გასაგებიც არის. საკმარისია ჩავუკვირდეთ დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის მსჯელობას, რათა იმწამსვე დავრწმუნდეთ, რომ არსებითად ნების თავისუფლების საკითხს არც ერთი მათგანი არ ეხება, როდესაც ინდეტერმინიზმი ორივე მიმართულების თანასწორ შესაძლებლობას აღიარებს, ამით იგი თითქოს იმ მომენტზე მიგვითითებს, როდესაც აქტი ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. მაგრამ რაკი ამასთანავე მას მაინც ორივე მიმართულება აქვს წარმოდგენილი, მაშასადამე, იგი უკვე შესრულებულ აქტს გულისხმობს, თორემ საიდან უნდა სცოდნოდა მას ამ ორი მიმართულების არსებობა! ამიტომ, როდესაც ინდეტერმინიზმი ამბობს: „გზა ჯერ კიდევ არ არის დახაზული, მაშასადამე, მას ორივე მიმართულების მიღება შეუძლიაო", დეტერმინიზმი სრულიად სამართლიანად უპასუხებს: „თქვენ გავიწყდებათ, რომ გზის შესახებ მხოლოდ მოქმედების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, ე. ი. მაშინ, როდესაც გზა უკვე დახაზული არისო... და რაკი გზა განსაზღვრულად არის დახაზული, მაშასადამე, მისი მიმართულება ყოველ-გვარი მიმართულება კი არა, სწორედ ეს განსაზღვრული მიმართულება უნდა იყოსო", მაშინ ინდეტერმინიზმი კვლავ თავისი ძველი თვალსაზრისით უპასუხებს: „გზის დახაზვამდე არც შესაძლო და არც შეუძლებელი მიმართულება არ არსებობდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გზის შესახებ მაშინ ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყოო" (E. 139). საკმარისია სივრცითი სიმბოლოს, ე. ი. გზის მაგიერ ის ვიგულისხმოთ, რასაც ორივე თეორია გულისხმობს, სახელდობრ, მოქმედება, რადა ამ არგუმენტაციის უძლურება ჩვენი გონების წინაშე მთელის თავისი უმწეობით წარმოდგეს; მაშინ დეტერმინისტების მტკიცება ასეთ სახეს მიიღებს: „როდესაც აქტი შესრულებულია,იგი უკვე შესრულებულია", ხოლო ინდეტერმინისტების ფორმულა ასეთი იქნება: „სანამ აქტი შესრულდებოდეს, იგი არ არის შესრულებული“ (E. 139).

მივმართოთ ეხლა არა წარსულის, შესრულებული აქტების პროცესს, არამედ მომავლისას. დეტერმინიზმის ფორმულა ამ შემთხვევაში ასეთი იქნება:

„სრული ცოდნა ყველა ანტეცედენციისა საკმარისია აქტის შეუმცდარი წინასწარმეტყველებისათვის". რა თქმა უნდა, როდესაც აქ ანტეცედენციებზეა ლაპარაკი, ამით სულიერი მოვლენები იგულისხმება. მაგრამ რას ნიშნავს ამა თუ იმ პირის სულიერი მოვლენის ცოდნა? როდესაც მე თვითონ ვგრძნობ მას, მაშინ მე მართლაც მისი ნამდვილი ცოდნა მაქვს. მე ვიცი მისი ინტენსივობა, მისი ადგილი და მნიშვნელობა ჩემი ცნობიერების ცხოვრების პროცესში. მაგრამ, როდესაც მე სხვისი ცნობიერების მოვლენაზე ვლაპარაკობ, მაშინ პირადად როდი განვიცდი მას, არამედ იძულებული ვარ, იგი რაიმე ინტელექტუალური სიმბოლოს ან იდეის სახით წარმოვიდგინო, რადგანაც ამ შემთხვევაში მის მნიშვნელობას, მის ინტენსივობას არა ვგრძნობ, საჭირო ხდება ამ ინტენსივობის ამა თუ იმ სახით გათვალისწინება. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რომ მას მათემატიკურ ხასიათს მივსცემ. „მე უნდა გავზომო მისი მნიშვნელობა, შევადარო იგი მას, რაც მას წინ უსწრებს ან რაც თან სდევს". მაშასადამე, ცოდნა ამა თუ იმ პირის სულიერი მოვლენისა თავისთავად გულისხმობს მისი მომავალი ისტორიის, მისი მომავალი მოქმედების ხასიათის ცოდნას, ვინაიდან თუ არა ამ უკანასკნელთან შედარებით, სხვაფრივ სულიერი მოვლენის მნიშვნელობის შემეცნება შეუძლებელ საქმედ უნდა იქმნას მიჩნეული.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რა სახეს ღებულობს დეტერმინიზმის დებულება, რომლის მიხედვითაც მომავალი აქტის საწინასწარმეტყველოდ მისი ანტეცედენციების სრული ცოდნაა საკმარისად მიჩნეული? უეჭველია, ჩვენ ამ შემთხვევაში შემდეგ მსჯელობასთან გვაქვს საქმე: აქტის ცოდნისთვის წინასწარი მოვლენების ცოდნაა საჭირო; მაგრამ თვით წინასწარი მოვლენების ცოდნისთვის მომავალი აქტის ცოდნაა აუცილებელი. ტიპური მოჯადოებული წრეა, რომელსაც ადამიანის ინტელექტი ლოგიკური აუცილებლობის ძალით იხაზავს თავის გარშემო, რა წამს იგი ისეთი საკითხების გადაჭრას იწყებს, რომელნიც სრულიად მის ძალასა და ბუნებას არ შეეფერებიან.

ამგვარად, დეტერმინიზმი აქაც იძულებული ხდება, ნების თავისუფლების საკითხის სიძნელის წინაშე თავისი ფარხმალი დაყაროს.

მაგრამ ახლა იგი ახალ გზას მიმართავს. იგი ამბობს: ვთქვათ, განსაზღვრული აქტის წინასწარმეტყველება მართლაც შესაძლებელია. სამაგიეროდ უეჭველია, რომ ყოველი აქტი, როგორიც უნდა იყოს იგი, თავისი ანტეცედენციებით არის წინასწარ განსაზღვრული, ან და, სხვანაირად რომ ვთქვათ, ცნობიერების ფაქტები, ბუნების მოვლენათა მსგავსად, განსაზღვრულ კანონებს ემორჩილება. მაშ აქ ჩვენს წინაშე მიზეზობრიობის პრინციპი დგას. საჭიროა განვიხილოთ, თუ რა არის არსებითად ეს პრინციპი და როგორია მისი ნამდვილი ბუნება.

მიზეზობრიობის პრინციპი უეჭველია შემდეგ დებულებათ გულისხმობს: 1. a, b, c, d მოვლენებს, რომელთაც ჩვენს გამოცდილებაში ჰქონდათ ადგილი, შეუძლიათ კვლავ თავისი ძველი ფორმით განახლდენ, 2. თუ რომ მოვლენა P გამოწვეული იყო a, b, c, d პირობებით, საკმარისია კვლავ ამ პირობათა განახლება, რათა აღნიშნული P მოვლენაც უცვლელად გამოწვეულ იქნეს. იქ, სადაც ჩვენს გამოცდილებას მოვლენათა თანამიმდევრობის სისწორე ახასიათებს, იქ მიზეზობრიობის პრინციპი მართლაც გამოცდილებაზეა დამყარებული, და ემპირისტები ამ მხრივ სრულიად მართალნი არიან. მაგრამ მაშინ მიზეზობრიობის კანონის ერთადერთი აზრი ის იქნებოდა, რომ იგი მხოლოდ იმის მოკლე რეზიუმედ უნდა ჩათვლილიყო, რაც წარსულში მომხდარა.

ამგვარად, ცხადია, რომ მიზეზობრიობის პრინციპს შეიძლება მხოლოდ იქ ჰქონდეს გასავალი, სადაც წარსულ გამოცდილებას მოვლენათა თანამიმდევრობის სრული სისწორე დაუდასტურებია.

მაგრამ დეტერმინისტი ამ გარემოებას ან სრულიად ივიწყებს, ან განზრახ აფუჩეჩებს, და ამიტომ მას არავითარ ანგარიშს არ უწევს. იგი მიზეზობრიობას ცნობიერების ცხოვრების მიმდინარეობაზეც ავრცელებს. და მერე რა მიზნით? იმ მიზნით, რომ აქედან მისი მოვლენების თანამიმდევრობის კანონშეწონილობა ანუ მათი სრული სისწორე გამოიყვანოს. მაგრამ ჩვენ ხომ დავრწმუნდით, რომ მიზეზობრიობის პრინციპი თვითონ გულისხმობს მოვლენათა თანამიმდევრობის სისწორეს. მაშასადამე, დეტერმინიზმი აქაც მოჯადოებული წრის ფარგლებში ებმება. ცნობიერების მოვლენათა კანონშეწონილობის დასამტკიცებლად იგი მიზეზობრიობას მიმართავს, მაგრამ მიზეზობრიობის პრინციპის ცნობიერებაზე გავრცელებისათვის თვით ამ კანონშეწონილობას თვლის უდავოდ. დეტერმინიზმის ასეთი შეუწყნარებული შეცდომა ადვილად აიხსნება, თუ რომ გავითვალისწინებთ, რა აზრით ხმარობს იგი ამ შემთხვევაში მიზეზობრიობის პრინციპს.

ამ პრინციპს ორგვარი შინაარსი აქვს: მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი და დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი. მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი მიზეზობრიობა, რომელიც სპინოზას ფილოსოფიაშია ჩამოყალიბებული, მოითხოვს, რომ შედეგი მთელი თავისი შინაარსით უკვე წინასწარ არსებობდეს მიზეზში იმის მსგავსად, როგორც ეს წინასწარ-არსებობა მათემატიკურ ნაკვთებშია განხორციელებული: „მოძრაობა, რომლითაც ჩვენ სიბრტყეზე წრეს ვხაზავთ, ერთსა და იმავე დროს ამ ნაკვთის ყველა თვისებას წარმოშობს; ამ აზრით თეორემათა განუსაზღვრელი რიცხვი უკვე მარტო გეომეტრიული ნაკვთის განმარტებაში არსებობს წინასწარ..." (E. 155). ცხადია, აქ საქმე იგივეობასთან გვაქვს, და ამიტომაც მათემატიკური მიზეზობრიობა დაუბოლოებლივ იგივეობის პრინციპს უახლოვდება „ისე, როგორც მრუდე თავის ასიმპტოტას" (E. 158). მისი აუცილებლობა იმაში როდი მდგომარეობს, რომ იგი აწმყოს მომავალს უკავშირებს, არამედ იმაში, რომ აწმყოს აწმყოსვე უკავშირებს (E. 157). ცხადია, ასეთ მიზეზობრიობას შეუძლებელია საქმე მოვლენათა თანამიმდევრობის სამკვიდროსთან ჰქონდეს; იგი უფრო ისეთ სამყაროს შეეფერება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა იყოს მოცემული და აწმყოს მომენტში მთელს თავისი შინაარსით ეტეოდეს. სპინოზას სამყაროც სწორედ ასეთი სამყარო იყო.

სულ სხვაა დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი მ ი ზ ე ზ ო ბ რ ი ო ბ ა. მიზეზი აქაც შეიცავს შედეგს, მაგრამ აქ შედეგის მიზეზში წინასწარ-არსებობას მათემატიკური აუცილებლობის ხასიათი სრულიად აღარა აქვს. დინამიკური მიზეზობრიობის იდეა ჩვენი ცნობიერების მიმდინარეობიდან არის ამოღებული: „მართლაც და, ჩვენ თანამიმდევარს სულიერ მდგომარეობად განვიცდით, და თუმცა თანამდევარი მდგომარეობა წინამსრბოლში არ შედის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი ბნელი წარმოდგენა მაინც გვაქვს. ამ იდეის რეალიზაცია, მაინცდამაინც, საბოლოოდ მტკიცედ კი არა, მხოლოდ შესაძლოდ გვეჩვენება. ამის მიუხედავად, იდეასა და შედეგს შორის ოდნავ შესამჩნევ შუამდებარე რგოლებს ვათავსებთ, რომელთა ერთობლიობაც ჩვენთვის განსაზღვრულ ფორმას იღებს, და მას ძალისხმევის გრძნობას ვუწოდებთ. გადასავალი იდეიდან ძალისხმევამდე და აქედან მოქმედებამდე იმდენად უწყვეტია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, სად თავდება იდეა და ძალისხმევა და სად იწყება

აქტი. ცხადია, ამ შემთხვევაში კიდევ შესაძლოა, განსაზღვრული აზრით აწმყოში მომავლის წინასწარ-არსებობის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ ეს წინასწარ-არსებობა უაღრესად უსრულოა, ვინაიდან მომავალი აქტი, რომლის წარმოდგენაც მე ამჟამად მაქვს, აწმყოში განხორციელებადად მეჩვენება და არა განუხორციელებადად. და როდესაც მე მის განსახორციელებლად უკვე ძალისხმევას ვიწყებ, მაშინაც კი კარგად ვგრძნობ, რომ შემიძლია თავი შევიკავო და არ განვახორციელო იგი“ (E.16I). ასეთია დინამიკური მიზეზობრიობა. როგორც ვხედავთ, აქ მიზეზსა და შედეგს შორის სრულიადაც არა ჩანს ის მიუცილებელი ურთიერთობის ხასიათი, რომელიც მათემატიკური კაუზალობის პრინციპისათვის არის დამახასიათებელი.

დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი კაუზალობა ცნობიერების ცხოვრებიდან არის ამოღებული და ამიტომაც, ვისაც ობიექტურს რეალობაშიც ასეთი კაუზალობა მიაჩნია განხორციელებულად, იგი, ძალაუნებურად ობიექტურ სინამდვილეს ყოველთვის ცნობიერების სახეს მისცემს. ძველი ჰილოძოიზმი და შემდეგ ლ ა ი ბ ნ ი ც ს მონადოლოგიზმი, ორივენი ადასტურებენ ამ მოსაზრებას. თუ მათემატიკური მიზეზობრიობის პრინციპის კლასიკური გამოხატულება სპინოზას ფილოსოფიაში უნდა ვეძიოთ, დინამიკური პრინციპის დასრულებული სახის გასათვალისწინებლად ლ ა ი ბ ნ ი ც ს ფილოსოფიას უნდა მივმართოთ.

ასეთია ორი, სრულიად განსხვავებული სახე მიზეზობრიობის პრინციპისა. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი აზროვნება ხშირად ივიწყებს ამ ძირითად აზრთა განსხვავებულობას და, როდესაც მიზეზობრიობის შესახებ მსჯელობს, ხან მის ერთ აზრს გულისხმობს და ხან მეორეს, და აი, ტიპიურ მსხვერპლად მიზეზობრიობის პრინციპის აზრთა ამგვარის არევ-დარევისა სწორედ დეტერმინიზმი უნდა ჩაითვალოს.

როდესაც ფიზიკურ მოვლენათა თანამიმდევრობას ვისახავთ დაკვირვების ობიექტად, ჩვენ, სრულებით შეუმჩნევლად, მიზეზობრიობის პრინციპის ხან ერთ მნიშვნელობას ვგულისხმობთ და ხან მეორეს. თუ უმთავრესად ფიზიკურ მოვლენათა სწორი თანამიმდევრობა და ის შინაგანი ძალისხმევა გვაინტერესებს, რომლითაც ერთი მოვლენა მეორედ იქცევა, მაშინ მიზეზობრიობის დინამიკური პრინციპით ვხელმძღვანელობთ, ხოლო თუ უმთავრესად ჩვენს ყურადღებას თანამიმდევრობის აბსოლუტურ სისწორეზე მივმართავთ, მაშინ სისწორის იდეიდან მათემატიკური აუცილებლობის იდეაზე გადავდივართ, და ამ სახით მათემატიკური მიზეზობრიობის პრინციპზე ვდგებით. ამგვარად დინამიკური მიზეზობრიობა, ფიზიკურ სინამდვილეში გადატანილი, მათემატიკურს ერთვის და მისი ზეგავლენით თავის პირვანდელ სახეს იცვლის.

როდესაც ახლა თვალი ჩვენი ცნობიერების მოვლენათა თანამიმდევრობაზე გადაგვაქვს, დინამიკური მიზეზობრიობა თავისი შერყვნილი სახით გვევლინება და ცნობიერების მდგომარეობათა ცვალებას მათემატიკური აუცილებლობის სახით გვიჩვენებს.

მაგრამ როგორ არის შესაძლებელი, რომ ცნობიერება იმთავითვე ვერ ამჩნევს დინამიკური მიზეზობრიობის დამახინჯებულ სახეს, რომელსაც გარე სინამდვილიდან მათემატიკური აუცილებლობის იერი უსესხებია? საქმე ის არის, რომ ჩვენი ინტელექტი თვით ცნობიერების კონკრეტულ სინამდვილეს ფიზიკური რეალობის ფორმებში ჭვრეტს: მას იგი სივრცეში ათავსებს და ცნობიერების მიმდინარეობას მოვლენათა მრავლიანობის სახით წარმოიდგენს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არათუ არ უშლის ხელს, დინამიკურმა

მიზეზობრიობამ თავისი დამახინჯებული სახით იჩინოს თავი, არამედ ხელსაც უწყობს მას, ცნობიერებაზეც იმ სახით გავრცელდეს, რა სახითაც იგი ფიზიკურ სინადვილეში მოქმედებდა.

3. ცნობიერების ინტუიტური ფაქტები:

ა. ინტენსივობა

რეპრეზენტატური და აფექტური შეგრძნებანი. რეპრეზენტატურ შეგრძნებათა ინტენსივობა. აფექტურ შეგრძნებათა ინტენსივობა.

ინტენსივობა, როგორც ოდენობა, ჩვენი ცნობიერების ინტელექტუალური ასპექტი აღმოჩნდა. მაგრამ რა არის იგი თავისთავად, თავისი უშუალო სახით?

ცნობიერების მოვლენათა შორის პირდაპირი დაკვირვება ორ თავისებურ მიმდინარეობას აღნიშნავს: ერთია ჩვენი შეგრძნება, მეორე — ჩვენი გრძნობა. შეგრძნებანი, თავის მხრივ, ორი სახით გვევლინებიან: რეპრეზენტატურისა და აფექტური შეგრძნებების სახით.

რეპრეზენტატურ შეგრძნებათა ტიპად შეიძლება ჩვენი მხედველობითი, კერძოდ სინათლის შეგრძნებანი დაისახონ. დავანებოთ თავი მათ ფიზიკურ ექვივალენტს, სინათლის წყაროს, რომელიც სივრცეშია მოთავსებული, და ჩვენი გულისყური პირდაპირ სულიერ პროცესს, თვით შეგრძნებას მივაპყროთ. რას დავინახავთ მაშინ იქ, სადაც სინათლე მეტნაკლებობის ან რაოდენობის სახით გვევლინება.

დღეს უკვე ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სინათლის გაძლიერებასთან ერთად თვით შეფერილი ზედაპირის ელფერიც იცვლება: „იმის მიხედვით, თუ რამდენად უახლოვდება სინათლის წყარო ფერს, იისფერი მოლურჯო იერს ღებულობს, მწვანე მუქ ყვითლად იქცევა და წითელი ჭახჭახა ყვითლად. პირიქით, როდესაც სინათლის წყარო შორდება მას, ჭახჭახა ლურჯი იისფერი ხდება, ყვითელი - მწვანე და, დასასრულ, წითელი, მწვანე და იისფერი მკრთალ-ყვითელს უახლოვდება" (E. 38). ამგვარად, სინათლის წყაროს გაძლიერება და დასუსტება, რამდენადაც იგი ფერებზე მოქმედობს, თავის ერთადერთ შედეგად ყოველთვის და მარტოდმარტო ფერთა შეგრძნების ქვალიტატიურ ცვლილებას იწვევს. ჩვენ კი ამას ყურადღებას არ ვაქცევთ და ვფიქრობთ, თითქოს აქ რომელობითი ცვლილება კი არა, ინტენსივობითი ცვლილება ხდებოდეს. იგივე უნდა ითქვას ისეთი შეგრძნებების შესახებაც, როგორიც არის, მაგალითად, შეგრძნება სითეთრისა. „მიაცქერდით ყურადღებით თეთრი ქაღალდის ფურცელს. მაგ: ოთხი სანთლით განათებულს, დააქრეთ თანდათანობით ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე, მეოთხე სანთელი. თქვენ იტყვით: ზედაპირი ისევ თეთრად რჩება, ოღონდ მისი სინათლე მცირდებაო... მაგრამ თუ რომ თქვენს მოგონებასა და ენის ჩვეულებებს განზე დატოვებთ, დარწმუნდებით, რომ თქვენს წინაშე თეთრი ზედაპირის სინათლის შემცირება კი არ მომხდარა, არამედ ჩრდილის ზოლი გაჩნდა, რომელიც სანთლის დაქრობისას თეთრ ზედაპირს გადაეფარა. ეს ჩრდილი თქვენი ცნობიერებისათვის ისეთივე სინამდვილეა, როგორც თვით სინათლე. თუ რომ განათებულ ზედაპირს თეთრს უწოდებდით,

ცხადია, რასაც ახლა ხედავთ, სხვა სახელი უნდა მოუძებნოთ“ (E. 40). რუხი და შავი ჩვენი ცნობიერებისათვის შესუსტებულის ან შემცირებული სითეთრის ხარისხს კი არა, სავსებით თანასწორ-ღირებულებიან რომელობას წარმოადგენს. „უშუალო ცნობიერებისათვის თეთრის ინტენსივობის კლებადი ხარისხები, რომელიც განსაზღვრულ ზედაპირს ანათებს, სპექტრის სხვადასხვა ფერებს ანალოგიურს ნაირ-ნაირფერად იერებს წარმოადგენს“ (E. 11). ამგვარად, უეჭველია: იქ, სადაც ჩვენი ინტელექტი სინათლის ინტენსივობას ხედავს, ნამდვილად, უშუალო, შეურყვნელი განცდისათვის რომელობითი ცვლილებების მეტი არაფერი არსებობს.

ავიღოთ მეორე ტიპიური შემთხვევა, ისეთი შემთხვევა, რომლის ინტენსივობაც თითქოს ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იდგეს. ავიღოთ შეგრძნება კუნთებრივი ძალისხმევისა (усиліе)! „სცადეთ, სულ უფრო და უფრო დაკუმშოთ მუშტი. თქვენ მოგეჩვენებათ, თითქოს ძალისხმევის შეგრძნება, რომელიც ხელშია მოთავსებული, თანდათანობით იზრდება. ნამდვილად კი ხელი ერთსა და იმავე შეგრძნებას განიცდის. ოღონდ, შეგრძნება, რომელიც პირველად მასში იყო მოთავსებული, ჯერ იდაყვზე ვრცელდება და ბეჭამდე ადის; ბოლოს დაძაბულობა მეორე იდაყვზე გადადის, აქედან ფეხებზე, და სუნთქვა გიძნელდებათ. ამიტომაა, რომ მთელი ხელი გრძნობს ამ ძალისხმევის შეგრძნებას..." (E. 17), „როდესაც მაგრად კუმავთ ტუჩებს, თქვენ ფიქრობთ, თითქოს ამ ადგილას ერთსა და იმასვე, მაგრამ გაძლიერებულ შეგრძნებას განიცდიდეთ“. ხოლო უფრო გულისყურით დაკვირვება გაგითვალისწინებთ, რომ ეს შეგრძნება სრულებით არ იცვლება, რომ მან ამ ოპერაციაში ჯერ თავისა და სახის ზოგიერთი მუსკული და შემდეგ მთელი სხეულის მუსკულები ჩაითრია. „არსებითად თქვენ შეგრძნების ამ თანდათანობით გაფართოებას გრძნობდით ზედაპირის ამ გადიდებას, რაც ნამდვილად რომელობით ცვლილებას წარმოადგენს" (E. 17).

ამგვარად, ცხადია, რომ კუნთებრივი ძალისხმევის ინტენსივობის ზრდა, ნამდვილად, თვით შეგრძნების მეტნაკლებობას როდი შეიცავს, არამედ იგი ახალს, პერიფერულ შეგრძნებათა ზედდანართს წარმოადგენს.

მაგრამ ხომ მუდამ რჩება ასეთ შემთხვევაში ერთი თავისებური შეგრძნება მაინც, რომელსაც ჩვენ იდაყვში ვგრძნობთ? რასაკვირველია; მაგრამ რაოდენობით ცვლილება არც მას უდგება: ჩვენ ვიცით, რომ ეს შეგრძნება ძალისხმევის გაძლიერებასთან ერთად ჯერ დაღლილობად იქცევა და შემდეგ ნამდვილი ტკივილის სახით გვევლინება. ცხადია, რომ ის ცვლილება, რომელსაც ამ თავისებურ შეგრძნებას ვაწერთ, ნამდვილად სხვადასხვა შეგრძნებით რომელობათა თანამიმდევრობის მეტს არაფერს წარმოადგენს.

მაშასადამე, განცდა პერიფერიულ შეგრძნებათა დიდი რიცხვისა და განცდა იმ რომელობითი ცვალებისა, რომელიც ერთ-ერთ მათგანში ხდება, - აი ყველაფერი ის, რასაც ნამდვილად აქვს ადგილი იქ, სადაც, ჩვეულებრივ, ძალისხმევის გაძლიერება გვეგულება.

ავიღოთ აფექტური შეგრძნებანი[1], მაგალითად, შეგრძნება ტკივილის. ა. რ ი შ ე ამბობს: „რაც უფრო ინტენსიურია ტკივილი, მით უფრო შორს

[1] ბ ე რ გ ს ო ნ ი ისეთ შეგრძნებას, როგორიც არის ტკივილი და რომელსაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გრძნობითი ტონი ახლავს თან, აფექტურს უწოდებს.

ვრცელდება იგი მახლობელ ნაწილებზეო“, მაგრამ თუ ეს ასეა, და ეს რომ ასეა, ამას უშუალო დაკვირვება უეჭველად ამტკიცებს, მაშინ იქ, სადაც ჩვენ ტკივილის გაძლიერებას ვგრძნობთ, ნამდვილად ახალ პერიფერიულ შეგრძნებათა რიცხვის გამრავლებასთან გვაქვს საქმე. პირვანდელი შეგრძნება ტკივილისა იგივე რჩება, მაგრამ თუ მაინც უფრო ძლიერად გვეჩვენება იგი, ეს მიტომ ხდება, რომ პირვანდელ შეგრძნებას ახალი პერიფერიული შეგრძნებები ემატება. როგორია ეს შეგრძნებები, ამას განსაკუთრებული სიცხადით დ ა რ ვ ი ნ ი გვითვალისწინებს: „ინტენსიური ტკივილის დროს პირის კუნთები ძალზე იკუმშებიან, კბილები ურთიერთს ეჭირება, თვალები ხან ფართოდ იშლება და ხან კიდევ თვალის ბაია ძალზე იკუმშება, ოფლი მთელ სხეულს ედება, სისხლის მოძრაობა და სუნთქვა იცვლება“[1]. ეჭვი არ არის, აქ მრავალი კუნთებრივი შეგრძნება იბადება, და თუ ტკივილის შეგრძნება განსხვავებულის სახით გვეჩვენება, ეს არსებითად მისი გაძლიერების ბრალი კი არა, ამ ახალი შეგრძნების ამოქმედების მიზეზითაა.

გადავიდეთ გრძნობაზე. აქაც იგივე სურათი იშლება ჩვენი უშუალო დაკვირვების წინაშე. ავიღოთ მაგალითად გრძნობა ღრმა სიხარულის ან მწუხარებისა. „შინაგანი სიხარული სრულიად არ წარმოადგენს განცალკევებულ ფსიქოლოგიურ ფაქტს, რომელსაც სულის ერთ-ერთი კუთხე უჭირავს და შემდეგ თანდათანობით მთელ სულზე ვრცელდება, თავისი განვითარების უდაბლეს საფეხურზე სიხარულის გრძნობა თითქოს მისწრაფებაა ჩვენი ცნობიერებისა მომავლისაკენ. ჩვენი იდეები და ჩვენი შეგრძნებები მისდევენ ურთიერთს სულ უფრო მეტისა და მეტი სისწრაფით, თითქოს ეს მისწრაფება მათ წონას ამჩატებდეს; ჩვენს მოძრაობას უკვე აღარ ესაჭიროება წინანდებური ძალისხმევა. ბოლოს, როდესაც უკიდურესი სიხარულის გრძნობა გვეუფლება, ჩვენი განცდანი და ჩვენი მოგონებანი შეუმჩნეველს რომელობით იერს ღებულობენ, რომელოობით იერს, რომელიც სინათლისა და სითბოს შეგრძნებას მოგვაგონებს. ეს იერი იმდენად ახალია, რომ ზოგჯერ, როდესაც ჩვენს თავს ვუბრუნდებით, გვიკვირს, რომ საკუთარ „მე"-ს ცნობას კიდევ ვახერხებთ. ამგვარად, არსებობს რამოდენიმე ტიპიური ფორმა შინაგანი სიხარულისა და ამდენივე თანამიმდევრობითი საფეხური, რომელიც ჩვენს ფსიქიკურ მდგომარეობათა მთელი ზვავის რომელობით ცვლილებებს შეეფერება" (E. 8). როდესაც ვამბობთ, ამა თუ იმ საგანს ჩვენს ცნობიერებაში დიდი ადგილი უჭირავს-თქო, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საგნის სახე ათასი განცდისა და იდეის იერს ცვლის და ამგვარად ყველაზე ერთდროულად ვრცელდება (E. 7).

ცხადია, რომ იქ, სადაც გრძნობის ინტენსივობას ვეძებთ, ნამდვილად არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს. ჩვენი ცნობიერების უშუალო დაკვირვება უდავოდ მოწმობს, რომ ასეთ შემთხვევაში ჩ ვ ე ნ ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ა მ გ რ ძ ნ ო ბ ი ს რ ო მ ე ლ ო ბ ი თ ც ვ ა ლ ე ბ ა ს თ ა ნ გ ვ ა ქ ვ ს საქმე, იქნება ეს მორალური გრძნობა, თუ გრძნობა ესთეტიკური, ერთი სიტყვით, ყველგან, სა-დაც ჩ ვ ე ნ ი ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ ი ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა ს ს ჭ ვ რ ე ტ ს, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მ ხ ო ლ ო დ რ ო მ ე ლ ო ბ ი თ ი ც ვ ა ლ ე ბ ა ან ქ ვ ა ლ ი ტ ა ტ ი ურ ი მ რ ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ ს.

[1] D a r v i n . The expression of emotions. გვ. 84.

ჩვენ დავინახეთ, რომ ინტენსივობა, როგორც ოდენობა, შეუძლებელია არსებობდეს. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ უშუალო განცდის მოწმობით, მის ადგილას ქვალიტატიური მრავალსახიანობა უნდა ვიგულოთ. მაგრამ რას ნიშნავს ეს მრავლიანობა? ჩვენ ხომ დავრწმუნდით, რომ რიცხობრივი მრავლიანობა სივრცითი ფენომენია და, მაშასადამე, შეუძლებელია, ცნობიერების ველში მას ადგილი ჰქონდეს. ახლა კი ისევ მრავლიანობაზე ვლაპარაკობთ, მართალია ქვალიტატიურს მრავლიანობაზე, მაგრამ მაინც მრავლიანობაზე, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ იგი?

ბ. სულიერ მოვლენათა მრავლიანობა

შეუვალობა და ურთიერთ გარე-მდებარეობა. მელოდიის განცდა და ქვალიტატიური, სოლიდარული მრავლიანობა. მელოდიის განცდა. სხვა მაგალითები.

ჩვენ ვიცით, რომ ნივთიერი სინამდვილის მრავლიანობა ე. წ. ნივთიერების შეუვალობის (непроницаемость) ნიადაგზე იშლება. იქ, სადაც ასეთი შეუვალობა არსებობს, იქ, რა თქმა უნდა, მოვლენათა რიგი ურთიერთგარემდებარე ფენომენთა წყებად დაიშლება. სამაგიეროდ სულიერი ცხოვრების უშუალო განცდა ნათლად ამოწმებს, რომ ცნობიერების მოვლენებისთვის ასეთი შეუვალობის პრინციპი სრულიად არ არსებობს. ამიტომ ცხადია, რომ მათთვის ურთიერთგარემდებარე მოვლენებად დაშლის შესაძლებლობაც სრულიად უცხოდ უნდა ჩაითვალოს. ჩავუკვირდეთ მელოდიის განცდას. რა არის მისთვის დამახასიათებელი? ცხადია, რომ აქ ჩვენს წინაშე ტონების, ე. ი. ბგერით რომელობათა მრავლიანობა დგას. მეორე მხრივ, ეს მრავლიანობა მელოდიაში ურთიერთგარეშე კი არ მდებარეობს, არამედ თითოეული ნოტი მეორეს ერთვის და, ამ სახით, მთლიანს რომელობით მიმდინარეობას ქმნის, „ამის დამტკიცება ადვილად შეიძლება: როდესაც მაგ: ტაქტს დავარღვევთ და ერთ-ერთ ნოტზე უფრო ხანგრძლივად შევჩერდებით, ვიდრე საჭიროა, მაშინ ჩვენს შეცდომას იმდენად ნოტის ზედმეტი სიგრძე როდი გამოამჟღავნებს, რამდენადაც ის რომელობითი ცვლილება, რომელიც მთელ მუსიკალურ ფრაზაში იქნება გამოწვეული" (E. 76). ცხადია აქ, რომ ერთი ტონი მეორის გარეშე როდი მდებარეობს, არამედ ყოველი მათგანი ურთიერთს ერთვის და ამ სახით თითოეული მათგანი ერთ და იმავე დროს თავის რომელობასაც იცავს და მთლიანსაც სრულად წარმოადგენს. როდესაც ვარდს ვყნოსავ, მისი სუნი ჩემს მეხსიერებაში მყის ჩემი ბავშვობის მოგონებებს იწვევს. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მოგონებანი ვარდის სუნმა გამოიწვია. არა, ყველა ისინი ვარდის სუნთან ერთად ჩავყნოსე, და ეს იმიტომ, რომ, თუმცა ვარდის სუნი და ყველა გახსენებული იდეა რომელობათა სიმრავლეს წარმოადგენს, მაგრამ ეს რომელობანი ყველანი ურთიერთში იყვნენ გალესილნი და მუსიკალურ მელოდიისებურ სოლიდარობასა და მთლიან ორგანიზაციას შეადგენდნენ. რა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ ვარდის სუნთან ერთად მე თვით ეს მოგონებებიც ჩავყნოსე (E. 124). ვთქვათ, ფანჯრის გასაღებად ვდგები, მაგრამ ავდექი თუ არა, მყის დამავიწყდა, თუ რას ვაპირებდი. მე უძრავად ვჩერდები... მაგრამ როდი ვჯდები. მე ბნელი გრძნობა მაქვს, რომ რაღაც უნდა გამეკეთებია. ცხადია, ჩემი უძრაობა აქ სრულიად არ არის ჩვეულებრივი უძრაობა, თითქოს ის აქტი, რომელიც უნდა ჩამედინა, ჩემს

პოზაშია განსახიერებული. ამიტომ, საკმარისია ამ პოზის შენარჩუნება, მისი გამოკვლევა, ან მისი შინაგანი გრძნობა, რათა მასში ის იდეა აღმოვაჩინო, რომელიც ერთბაშად გაჰქრა“ (E. 123). არ უნდა თქმა, რომ ჩემი სხეულის მდგომარეობა, ან და უკეთ რომ ვთქვათ, ის შინაგანი, ფსიქიკური პროცესები, რომელნიც მას შეეფერებიან, და აქტის იდეა, რომელიც უნდა ჩამედინა - ყველა ეს ერთად მთლიან რომელობით სახეს ღებულობს, რომელშიც თითოეული ელემენტი შემადგენელი ელემენტიც არის და მთლიანის სრული წარმომადგენელიც.

ერთი დაკვირვება კიდევ. ამ სტრიქონების წერის დროს საათის ხმა მესმის. მაგრამ მე მას ყურადღებას არ ვაპყრობდი და არ ვიცი, რამდენი დარეკა საათმა. მაგრამ ჩემს ცნობიერებაში მთლიანი შთაბეჭდილება დარჩა, რომელსაც განსაკუთრებული რომელობითი ხასიათი აქვს. საკმარისია ცოტა ჩავუკვირდე ამ მთლიან შთაბეჭდილებას, და მალე მივხვდები, რომ საათს ოთხი უნდა დაერეკა. რად მოხდა ეს? უეჭველია, აქაც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ცხადია, თითოეული ხმა ერთმანეთს ერთვის (და არა ურთიერთ გარეშე მდებარეობს) და ერთ მთლიან თავისებურ რომელობას ქმნის, რომელიც ყველა ხმას ერთად შეიცავს.

ცხადია, ყველა ამის მიხედვით, რომ რომელობათა მრავლიანობა, რომელიც ჩვენი ცნობიერების ცხოვრებას ახასიათებს, თავისებური მრავლიანობაა; რომ იგი მრავლიანობაა არა მოვლენათა გარემდებარეობისა, ე. ი. რიცხვობრივი მრავალიანობა, არამედ სოლიდარულის, შეერთებული ელემენტების, მელოდიური ორგანიზაციის მრავლიანობაა, ე. წ. განუწვალებადი ანუ რომელობითი მრავალიანობა.

გ: ხანიერობა.

ცვალება, როგორც არსი სულიერი ცხოვრების მოვლენებისა. ცვალება, რომელობითი მრავლიანობა და თანამიმდევრობა. რომელობითი დინამიკური მრავლიანობა და დრო. დრო და მისი მომენტები: აწმყო, წარსული, მომავალი.

ცნობიერების მოვლენათა განუწვალებადი, რომელობითი მრავლიანობა მაინც მრავლიანობაა. მაგრამ თუ იგი ურთიერთ გარემდებარებას უარჰყოფს, თუ იგი რომელობათა შეერთებულ დინამიკურ მთლიანობას წარმოადგენს, მაშინ როგორღა რჩება მას მრავლიანობის სახე და ერთ მთლიანად არ იქცევა? ამ საკითხზე ნათელ პასუხს ცნობიერების უშუალო განცდა იძლევა.

არ უნდა თქმა, რომ ცნობიერების მოვლენათა დამახასიათებელ თვისებას მუდმივი ცვალება შეადგენს: „არ არსებობს არც ერთი ისეთი სულიერი მდგომარეობა, რა გინდ მარტივიც უნდა იყოს იგი, რომ ყოველ მომენტში არ იცვლებოდეს“ ... „როგორც კი წყდება ცვალება რომელიმე სულიერი მოვლენისა, იგი უკვე ისპობა“ (Ev. 9). ცვალება თვითონ არსებაა ჩვენი ცნობიერებისა. მაგრამ, როდესაც ცვალების შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენს ინტელექტს მუდამ თვალწინ აქვს ის, რაც იცვლება, ე. ი. მყარი სუბსტრატი ამ ცვალებისა. ნამდვილად კი, თუკი ინტუიციას გავყვებით, სრულიად არ არის საჭირო ცვალების ასეთი მყარი

მატარებლის არსებობის შეწყნარება: „დაუგდეთ ყური მელოდიას: ნუთუ კიდევ იტყვით, რომ ამ შემთხვევაში თქვენ არა გაქვთ წმინდა განცდა მოძრაობისა, რომელიც არავითარ მოძრავ საგანთან არ არის დაკავშირებული, ზედმიწევნილობითი განცდა ცვალებისა, რომელსაც არაფერი ისეთი არა აქვს, რაც იცვლება" (Intr. 32).[1] წმინდა ცვალება უშუალო ფაქტია ცნობიერებისა. მაგრამ ცვალება რომელობათა მრავლიანობას გულისხმობს, რომელობათა მრავლიანობას, რომელნიც ურთიერთს ცვლიან და, ამ სახით, ცვალების ფაქტს შესაძლოდ ყოფენ. მეორე მხრივ, ცვალება რომელობათა თანამიმდევრობასაც გულისხმობს, და მისი წარმოდგენა მხოლოდ პროცესის სახით შეიძლება. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ჩვენი სულიერი ცხოვრების მოვლენათა მრავლიანობა თანამიმდევრობის სახით ხორციელდება. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, თუ როგორია ეს თანამიმდევრობა. აქ ურთიერთ გარე-მდებარე რომელობათა თანამიმდევრობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება; მაშ, ცხადია, რომ აქ დინამიკურ, ურთიერთში გალესილ რომელობათა თანამიმდევრობასთან გვაქვს საქმე. მუსიკალური მელოდიის მაგალითი ნათლად გვითვალისწინებს ასეთი თანამიმდევრობის ცნებას.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში უცილობელ ფაქტად არის მიჩნეული, რომ ასეთი თანამიმდევრობა დროის პროცესს წარმოადგენს. მაშასადამე, მართალი იყო კანტი, როდესაც იგი დროს ჩვენი ცნობიერების პროცესს უკავშირებდა. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ფსიქიკური ცხოვრება რომელობათა უწყვეტი თანამიმდევრობაა და „სწორედ ეს განუწვალებადი უწყვეტობაა ცვალებისა, რაც ნამდვილ დროს შეადგენს" (Intr. 24).

მაგრამ, ჩვეულებრივ, დროს დასრულებულ მომენტებად ყოფენ, ჩვენ ვიცით, რომ არც ერთი სულიერი მოვლენა არ შეიძლება ასეთ მომენტად ჩავთვალოთ, არ შეიძლება იმიტომ, რომ ყოველი სულიერი მოვლენა უწყვეტი ცვალების პროცესს წარმოადგენს, ყოველი სულიერი მოვლენა ორგანიულად უკავშირდება ყოველ თანამიმდევარ სულიერ მოვლენას, როგორც ეს მელოდიის პროცესში ხდება, ამიტომ ყოველი წინა მომენტი დროითი პროცესისა ყოველ ახალ მომენტში არსებობს, იგი არ კვდება, იგი მუდამ ცოცხალია. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ დრო ჰომოგენურ არეს როდი წარმოადგენს, არამედ უფრო შემოქმედების, გამდიდრების პროცესს, რომელშიც წარსული კი არ ძველდება და ქრება, არამედ ახალში გადადის და მას განუწყვეტლივ ამდიდრებს. დრო ამ აზრით შემოქმედებითი ცვალებაა, შემოქმედებითი ცვალება, რომელსაც ბერგსონი ხანიერობას (durée) უწოდებს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა ავხსნათ ის გარემოება, რომ ჩვენ დროის მომენტებს, წარსულს, აწმყოსა და მომავალს, ვარჩევთ? როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ მარტო აწმყო და არა წარსული ან მომავალი მიგვაჩნია არსებულად? უბრალო, უშუალო დაკვირვება გვიკარნახებს, რომ როდესაც აწმყოს შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ ყოველთვის განსაზღვრული დროითი ხანის შესახებ ვფიქრობთ. მაგრამ რომელი დროითი ხანის შესახებ? შეუძლებელია მისი ზედმიწევნითი განსაზღვრა: იგი რაღაც მერყევია. ჩემი აწმყო, ეხლა, ის ფრაზაა, რომლის გამოთქმასაც ვსცდილობ. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე მსურს ჩემი ყურადღების არე ამ ფრაზით

[1] Introduction à la métaphysique. რუს. თარგმანი.

შემოვფარგლო. ამ ყურადღებას შეუძლია, გაგრძელდეს ან შემოკლდეს, ფარგლის წვერებს შორის არსებული მანძილის მსგავსად. ამჟამად ეს მანძილი მხოლოდ იმდენად გრძელდება, რამდენადაც ეს ჩემი ფრაზის თავისა და ბოლოს დასატევად არის საჭირო, მაგრამ თუ მას კიდევ უფრო გავაგრძელებ, ჩემი აწმყო მაშინ ჩემი უკანასკნელი ფრაზის გარდა აგრეთვე იმასაც დაიტევს, რაც წინ უსწრებდა მას. ამისთვის მარტო ნიშნების მდგომარეობის შეცვლა იყო საკმარისი. განვაგრძოთ. ყურადღებას, რომელსაც დაუბოლოებადი გაფართოების უნარი შესწევს, შეეძლო გავრცელებულიყო ლექციის ყველა წინანდელ ფრაზებს გარდა აგრეთვე იმ მოვლენებზეც, რომელნიც წინ უსწრებდენ ლექციას, და იმის ყოველგვარ ნაწილზეც, რასაც ჩვენ „ჩვენს წარსულს ვუწოდებთ. მაშასადამე, ის განსხვავება, რომელსაც აწმყოსა და წარსულს შორის ვხედავთ, თუ სავსებით ნებაყოფლობითი არაა, ყოველ შემთხვევაში იმ არეს სიფართოვით მაინც არის განსაზღვრული, რომელსაც ჩვენი ყურადღება შეიცავს. „აწმყოს“ სწორედ იმდენი ადგილი უპყრია, რამდენიც ჩვენი ყურადღების ძალისხმევას. „როგორც კი სცილდება რამე ამ სპეციალური ყურადღების ფარგლებს, იმწამსვე იგი წარსულს ერთვის და წარსულად იქცევა. „ერთი სიტყვით“, ჩვენი აწმყო იმწამსვე წარსულში გადადის, როგორც კი წყდება ჩვენი მისდამი ინტერესი".[1]

როგორც ვხედავთ, წარსულს და აწმყოს შორის არაფერი განსხვავება არ არსებობს. გაავრცელეთ ყურადღება, და წარსული აწმყოდ გადაიქცევა, შეამოკლეთ იგი და აწმყოს ნაწილი წარსულის სახეს მიიღებს. აწმყოს ჩვენი ინტელექტი მომენტად თვლის, რომელიც წარსულის და მომავლის საზღვრებზე მდებარეობს და რომელსაც, როგორც ასეთს, არავითარი ხანიერობა არა აქვს. ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი გეომეტრიის წერტილისებური მომენტი სინამდვილეში არსებობს; პირიქით, დროის ყოველი მომენტი ხანიერია, თუნდაც იგი აწმყოდაც იწოდებოდეს; საჭიროა ოღონდ ამ მომენტზე ჩვენი აქტუალური ინტერესი ვრცელდებოდეს. ცხადია, მაშასადამე, რომ თვითონ დრო თავის-თავად უწყვეტ მიმდინარეობას წარმოადგენს, რომლისთვისაც მომენტებად განაწილება სრულიად უცხოა. ასეთ მომენტს მხოლოდ ინტერესი ქმნის (Mm. 145). ამიტომ, თუკი როგორმე წარმოვიდგენთ ისეთ ყურადღებას, რომელიც თავისუფალია ყოველი პრაკტიკული ინტერესისაგან, მაშინ იგი მთელ წარსულ ისტორიაზე გავრცელდებოდა და მას აწმყოს სახით განიცდიდა. ამ შემთხვევაში ხომ ცხადია, რომ ჩვენ ხანიერ აწმყოსთან გვექნებოდა საქმე, აწმყოსთან, რომელიც ერთ და იმავე დროს განუწყვეტლივი აწმყოც იქნებოდა და განუწყვეტელი მიმდინარეობაც.

ასეთი ყურადღება სინამდვილეშიც არსებობს, მართალია, გამონაკლისის სახით, მაგრამ ჩვენი მიზნისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, „მოხდება ხოლმე, რომ ყურადღება ერთბაშად წყდება თავის ცხოვრებისადმი ინტერესს. იმწამსვე თითქოს გრძნეულებრივი ძალით ჩვენი წარსული მყის აწმყოდ იქცევა. ადამიანს, რომლის წინაშეც მოულოდნელი სიკვდილის საშიშროება დგას; ალპინისტს, რომელიც უფსკრულის სიღრმეში ვარდება; იმას, ვინც წყალში იხრჩობა ან ვინც უნდა ჩამოახრჩონ; ყველა ამათ ყურადღებაში სწრაფი და მკვეთრი გარდატეხა ხდება, თითქოს ცნობიერება თავის მიმართულებას ცვლიდეს. თუ მანამდე იგი მომავლისაკენ იყო მიპყრობილი და მოქმედების

[1] Le souvenir du présent et la fausse reconaissance 1908, რუს. თარგ. გვ. 27.

მოთხოვნილებებში ჩაფლული, ახლა იგი მისდამი ინტერესს სწრაფად კარგავს, და ეს საკმარისი ხდება, რათა უთვალავი ათასი დავიწყებული წვრილმანები მყის მოგონებულ იქნეს, რათა პიროვნების მთელმა ისტორიამ მის წინაშე პანორამასავით გაიელვოს".[1]

ამ სახით ცხადი ხდება, რომ დრო რომელობათა უწყვეტ თანამიმდევრობას წარმოადგენს, რომელშიც თითოეული რომელობა მეორეს ორგანულად ერთვის, რომელშიც თითოეული რომელობა მეორისაგან განუწყვეტლივ გამომდინარეობს, და ამ გამომდინარეობაში როდი სწყდება მას, არამედ ყველა წინამსრბოლ მომენტს თავის არსებასთან და თავის არსებაში ატარებს. ამ მხრივ, დრო უწყვეტი და შემოქმედებითი ცვალების პროცესია; ამ მხრივ იგი თითქოს თოვლის გუნდას წააგავს, რომელიც რომ დაგორდება, სულ უფრო და უფრო იზრდება და ბოლოს უზარმაზარ ზვავად იქცევა.

ასეთია დრო, იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი ცნობიერების ცხოვრებაც. დრო და სულიერი ცხოვრება ერთი და იგივეა, მაგრამ როგორ ხდება, რომ სულიერი მოვლენანი ურთიერთს ერთვიან და განუწყვეტელს რომელობით მრავლიანობას ქმნიან? როგორ ხდება, რომ წარსული ახალში განაგრძობს ცხოვრებას? ამ ფაქტს ცნობიერების ის თავისებური თვისება ხსნის, რომელსაც „მეხსიერებას“ ვუწოდებთ.

დ. მეხსიერება

მეხსიერება და მისი ორი სახე. სხეულებრივი მეხსიერება. სულიერი მეხსიერება და ცნობიერება.

ბ ე რ გ ს ო ნ ი დაწვრილებით ეხება ამ საკითხს და ერთ-ერთ თავის თხზულებაში ორიგინალურად აშუქებს მას. მაგრამ ჩვენთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ რომ იმ მხარეს მაინც აღვნიშნავთ მეხსიერებისას, რომელსაც ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

როდესაც გაკვეთილს ვსწავლობ, ბუნებრივად მას რამდენიმეჯერ ვიმეორებ. თითოეულ ახალ წაკითხვასთან ერთად უფრო და უფრო ვიმახსოვრებ მას. და ბოლოს, მრავალგზის განმეორების შემდეგ, ჩემს მიზანს ვაღწევ. მე უკვე ვიცი გაკვეთილი და მისი ზეპირად გამეორებაც შემიძლია: „ამბობენ... იგი ჩემს მეხსიერებაში ჩაიბეჭდაო“ (Mm. 72). „ახლა მე მსურს, ვიცოდე, თუ როგორ დავისწავლე გაკვეთილი და ამისთვის წარმოვიდგენ ყველა ფაზას, რომელიც რიგრიგობით განვლე. მაშინ თითოეული თანამიმდევრობითი კითხვა კვლავ განახლდება ჩემს ცნობიერებაში ყველა თავისი თავისებურებით; მე კვლავ ვხედავ მას ყველა იმ პირობასთან ერთად, რომელიც მას სდევდა თან: ისინი ახლაც მის გარშემო იყრიან თავს; ეს კითხვა წინამსრბოლსა და თანამიმდევართაგან იმ ადგილითაც განსხვავდება, რომელიც მას დროში ეჭირა. მოკლედ რომ ვთქვათ, თითოეული ამ კითხვათაგანი კვლავ ჩემს წინაშე ტარდება, ჩემი ისტორიის განსაზღვრული მოვლენის სახით, იტყვიან, ეს სახენი მოგონებათ წარმოადგენენ, რომ ისინი ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდნენ. ორსავე შემთხვევაში ერთ და იმავე სიტყვას ხმარობენ: მაგრამ აქ განა ერთ და იმავე საგანზეა ლაპარაკი" (Mm. 73).

[1] ibid 28 და Mm. 163.

მართლაც და, არის თუ არა ამ ორ შემთხვევას შორის რაიმე თვალსაჩინო განსხვავება? პირველ შემთხვევაში ხანგრძლივი ვარჯიშობა დამჭირდა, და შედეგი ის არის, რომ ჩემთვის ახლა მხოლოდ ერთი ნებითი იმპულსია საკმარისი, რომ მთელი გაკვეთილი ზეპირად გავიმეორო; და აღსანიშნავია, რომ ეს განმეორების პროცესი ავტომატურ მოძრაობათა სისტემით ამოიწურება, ავტომატურ მოძრაობათა სისტემით, რომელნიც ურთიერთს ერთი და იმავე წესით სდევენ თან და ერთნაირ დროს იკავებენ. როგორც ხედავთ, აქ ყველა ის მომენტია წარმოდგენილი, რომელიც საზოგადოდ ე. წ. ჩვეულებას ახასიათებს. ვარჯიშობა, ნებითი იმპულსი და ავტომატური მოძრაობა.

განვიხილოთ მეორე შემთხვევა. განა შეიძლება ითქვას, რომ მოგონება რომელიმე კითხვისა, მეორესი თუ მესამესი, ამის მსგავსს რამეს მოითხოვს? აქ ვარჯიშობა სრულიად არ იყო საჭირო. მისი სახე ერთბაშად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრულ დროს ეხება, მაშასადამე, მისი გამეორება არსებითად შეუძლებელია. მისი პირვანდელი სახე უცვლელია, და განმეორებითი კითხვის პროცესი მას სრულიად არაფერს მატებს: იგი რაც იყო იმადვე რჩება (Mm. 74).

ცხადია, აქ ჩვენ მართლაც ორ სრულიად განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. პირველი ჩემი ჩვეულებაა. იგი ახლა ჩემი არსების ერთ-ერთ კუთვნილებად გადაიქცა: წარსულთან მას საქმე აღარა აქვს, რადგანაც იგი ისეთს არაფერს ატარებს, რაც მის წარმოშობაზე, რაც წარსულში მისდამი კუთვნილ ადგილზე მიგვითითებდეს. ახლა იგი, ვითარცა ჩემი ჩვეულება, წარსულს კი არა, აწმყოს ეკუთვნის; და ჩემს მეხსიერებაში რომ არ დარჩენილიყო კვალი იმ კითხვის პროცესებისა, რომელნიც მის დასასწავლად იყვნენ საჭირონი, მაშინ არც კი მეცოდინებოდა, რომ იგი შეძენილია ჩემ მიერ, როგორც შედეგი ძალისხმევის მრავალგზისი განმეორებისა, და მას ჩემს თანდაყოლილ კუთვნილებად ჩავთვლიდი (Mm. 75).

სულ სხვაა მეორეგვარი მეხსიერება. იგი მთელი თავისი არსებით წარსულს ეხება: იგი თვით წარსულია, ჩემს ცნობიერებაში ხელახლა გამოწვეული. იგი ჭვრეტაა ამ წარსულის განსაზღვრული მომენტისა, მაშინ როდესაც პირველი მხოლოდ შეძენილი მოძრაობითი მექანიზმია. ამიტომ სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მეხსიერება ორგვარია: მეხსიერება ჩვეულება და მეხსიერება-ჭვრეტა. პირველი ს ხ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა ა, იმიტომ, რომ იგი მოქმედებისაკენ არის მიმართული, ან და, უკეთ რომ ვთქვათ, თვით მოქმედებაა, რომელიც აწმყოში წარსულს წარმოადგენს; მეორე, ს უ ლ ი ე რ ი მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა ა იმიტომ, რომ იგი წარსულს მოქმედებით კი არ იმეორებს, არამედ მას მთელი მისი ინდივიდუალობით ჭვრეტს. ამგვარად, ცხადად ჩანს, რომ მთელი წარსული, თითქოს თავისთავად, ჩვენი მხრივ ძალდაუტანებლივ, ჩვენს ცნობიერებაში გროვდება და სულიერი მეხსიერების სახით მუდამ თან გვახლავს. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგები ხდება, რომ ჩვენი ცნობიერება, ერთ მხრივ, მართლაც თოვლის გუნდას ჰგავს, რომელიც გზაზე სულ ახალსა და ახალ თოვლს იზიდავს და დაუბოლოებადად იზრდება.

მაგრამ ამ შემთხვევაში როგორღა ავხსნათ ის უცილობებელი ფაქტი, რომ წარსულიდან ჩვენ მხოლოდ მცირედი ნაწილი გვაქვს ნათლად შეგნებული? გამოდის, რომ ერთ და იმავე დროს ჩვენი წარსული კიდეც არის ცნობიერებაში და არც არის; არის მეხსიერების სახით, მაგრამ არც არის, რადგანაც ის, რაც

ცნობიერებაშია, უკვე თავისთავად ცნობიერი უნდა იყოს, ხოლო უეჭველია, რომ მთელი წარსული სრულიად არა გვაქვს ცნობიერის სახით წარმოდგენილი.

რა არის ცნობიერება? „იგი არსებობის სინონიმი კი არ არის, არამედ სინონიმია რეალური მოქმედებისა... როგორც არ უნდა შევხედოთ ცნობიერებას თავისთავად... ძნელი უარსაყოფია, რომ მისი მიზანი სხეულებრივი ფუნქციებიანი არსებისათვის, უმთავრესად, მოქმედების მიმართვასა და არჩევნის დახმარებაში მდგომარეობს" (Mm. 149). მაშ ცხადია, რომ ცნობიერად მხოლოდ ის უნდა ჩაითვალოს, რაც მოქმედებს; ხოლო ის, რაც არ მოქმედებს, შეიძლება თუმცა ცნობიერებას არ ეკუთვნოდეს, მაგრამ სხვა ფორმით მაინც არსებობდეს. მაშასადამე, ყველაფერი, რაც აწმყოს ეკუთვნის, მარტო იმით განსხვავდება წარსულისაგან, რომ, მაშინ როდესაც პირველი მოქმედია, აქტუალურია და, მაშ, პრაქტიკული ინტერესის მატარებელიც, მეორე უმოქმედოა, პასიურია, უძლურია, ამისდა მიხედვით ცხადია, რომ მთელი წარსული შეიძლება სავსებით განაგრძობდეს არსებობას. მაგრამ პასიურის, უმოქმედო სახით. საკმარისია, რომელსამე მომენტს წარსულისას პრაკტიკული ინტერესი შეეხოს, რათა იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მყის ჩვენი ცნობიერების ზედაპირზე ამოტივტივდეს.

ამგვარად, მთელ ჩვენს წარსულს ყოველ წუთს თან ვატარებთ. მაგრამ თუ მას ცნობიერად ვერ განვიცდით, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ უწინარეს ყოვლისა პრაქტიკულად მიმართულნი, მოქმედი არსებანი ვართ. საკმარისია ეს პრაქტიკული ინტერესი შეწყდეს, რათა მთელი ჩვენი წარსული ჩვენს ცნობიერებას მთელის თავისი მოცულობით მოეფინოს. ასე ხდება სიზმარში, ძილის დროს, როდესაც მოქმედებისაგან ვისვენებთ; ასე ხდება სიკვდილის წინადაც, როდესაც ჩვენი მომავლის ინტერესი ქრება, და ცნობიერებაში საოცარი სისწრაფით მთელი წარსული ახლდება.

ე. ნების თავისუფლება

კაუზალობა და სულიერი ცხოვრება. ნების თავისუფლების პრობლემა უქმი პრობლემაა. თავისუფლება ფაქტია. ნების თავისუფლება და შემოქმედებითი პროცესი.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ მთელი ჩვენი წარსული მუდამ ჩვენთან არის და, მაშასადამე, ყოველი სულიერი მოვლენა, რომელიც კი ჩვენს ცნობიერებაში ოდესმე გაჩენილა, ჩნდება ამ წარსულის ნიადაგზე. მაგრამ რადგანაც სულიერი მოვლენანი უწყვეტს სოლიდარულს, დინამიკურს, რომელობით მრავლიანობას წარმოადგენენ, ამიტომ ყოველი ახალი სულიერი მოვლენა მთელი წარსულის რომელობით დანასკვს შეადგენს, რომელშიც მთელი წარსული კვლავ ცოცხლობს და თავისი რომელობითი შემადგენლობით მის ქვალიტატურ იერს თავის ელფერს აძლევს. ამ აზრით, სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ყოველი სულიერი მოვლენა, როგორიც უნდა იყოს იგი, მთელი ცნობიერების წარსულსა და აქტუალურ შინაარსს თავის არსებაში შეიცავს, რომ იგი პიროვნების მთელ ისტორიას იმეორებს და განსაზღვრული სახით წარმოადგენს.

აქედან ცხადია, რომ კაუზალობის ძირითადი პრინციპი მოვლენათა განმეორების შესაძლებლობის შესახებ ჩვენი ცნობიერების მიმდინარეობის პროცესს არსებითად ეწინააღმდეგება. ეწინააღმდეგება იმიტომ, რომ

ცნობიერების ხანიერობის პროცესი უწყვეტი და შეუჩერებელია. ხოლო სანამ იგი მოძრაობს, მანამ ყოველი მისი მოვლენა, ყოველი მისი აქტი განსხვავებულია, და განსხვავებულია ისე, როგორც განსხვავებულია განფენილობა მისი ისტორიისა. მაშასადამე, საკითხი ნების თავისუფლების შესახებ უქმია. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წამოჭრილიყო, ცნობიერების აქტებს შორის გარემდებარებითი ურთიერთობა რომ ყოფილიყო, იმიტომ, რომ მაშინ ბუნებრივად წამოიჭრებოდა პრობლემა: როგორი დამოკიდებულება არსებობს ორ განცალკევებულ აქტს შორის? მაშინ ყოფელი აქტი ან თავისთავად, ნებაყოფლობით მიიღებდა ამა თუ იმ მიმართულებას, ან და მეორე აქტის ზეგავლენით შეიქმნებოდა იძულებული, სწორედ ეს და არა ის მიმართულება მიეღო. ერთი სიტყვით, მაშინ საკითხის გადაჭრა ან დეტერმინიზმის სახით იქნებოდა შესაძლებელი, ანდა ინდეტერმინიზმის სახით.

მაგრამ თუ ჩვენი სულიერი ცხოვრებისათვის აქტთა გარემდებარება არ არსებობს; თუ ჩვენი ცნობიერების ცხოვრება უწყვეტი დინამიური და სოლიდარული მიმდინარეობაა, რომელმაც ურთიერთს დაპირდაპირებული, დასრულებული აქტების არსებობის არა იცის რა, მაშინ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება, ითქვას, რომ ერთი აქტი ან დამოკიდებელია მეორეზე, ანდა დამოუკიდებული. ნების თავისუფლება, ამ აზრით, სულიერ მოვლენათა მშობიარობის თავისუფლებაა, და მეტი არაფერი. იგი ფაქტია ისე, როგორც ფაქტია თვით სულიერი ცხოვრების პროცესი, იმიტომ, რომ „ანალიზქმნა საგნის შეიძლება, და არა პროცესის, დაშლა სივრცის შეიძლება და არა ხანიერობის" (E. 167).

თავი III

ინტელექტუალური გამოცდილების კრიტიკა

1. ნივთიერი სინამდვილე

ნივთიერსა და სულიერს საწინააღმდეგო თვისებები აქვს. ნივთიერება ჩვეულებრივის მეცნიერულისა და ფილოსოფიური თვალსაზრისით: ცალიერი სივრცე და ატომთა მოძრაობა. ნივთიერების კონცეფცია რეალიზმისა და იდეალიზმის თვალსაზრისით: პრობლემა რომელობისა და მოძრაობის პარალელიზმის შესახებ. მოძრაობა მეცნიერების თვალსაზრისით: ძენონის არგუმენტები მოძრაობის წინააღმდეგ და მათი უძლეველობა მოძრაობის არსებული კონცეფციის მიხედვით. მოძრაობა მათემატიკის თვალსაზრისით. აბსოლუტური მოძრაობა და მისი კრიტიკა. თუ მოძრაობა სივრცის არეში ხდება. იგი უთუოდ რელატიურია.

ადამიანის ბუნებრივი აზროვნება დუალისტურია, და ეს დუალიზმი იმდენად ღრმად არის ჩვენს ლოგიკურ აზროვნებაში ფესვგადგმული, რომ მისი ზეგავლენა საბედისწერო მიმართულებით ამოძრავებს როგორც ჩვეულებრივ ფილოსოფიურ, ისე თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებასაც. მართლაც და, სად იპოვის ჩვენი აზროვნება უფრო ღრმასა და უფრო შორს მწვდომ წინააღმდეგობას, ვიდრე ის წინააღმდეგობაა, რომელიც მას სულიერსა და ნივთიერს შორის ეგულება. სული ჩვენთვის რომელობათა სამყაროა, ნივთიერი სინამდვილე კი, პირიქით, სარბიელია წმინდა რაოდენობათა; სულიერისთვის უცხოა განფენილობა და ვრცეულობა, ხოლო ნივთიერი იმდენად მჭიდროდ უკავშირდება ამ უკანასკნელს, რომ სივრცე ან მის აუცილებელ თვისებად არის მიჩნეული, ანდა განსაკუთრებით კანტს შემდეგ, მისი განცდის აუცილებელ ფორმად. სული თავისუფლების სამყაროა, ნივთიერება კი აუცილებლობის გზით ვითარდება. ამგვარად, ერთი მხრივ, რომელობა, უვრცეულობა და თავისუფლება, ხოლო მეორე მხრივ - რაოდენობა, ვრცეულობა და აუცილებლობა: და ამ ორ მკვეთრ დუალისტურ სამყაროს შორის მცირე, სუსტი შემაკავშირებელი ძაფიც კი არა ჩანს, რომელსაც მათი მძაფრი წინააღმდეგობის განელება მაინც შეძლებოდა.

როგორია ჩვეულებრივი წარმოდგენა როგორც ფილოსოფიაში, ისე მეცნიერებაშიც ფიზიკური, ნივთიერი სინამდვილის შესახებ?

თანამედროვე მეცნიერება ასე მსჯელობს: არსებობს ჰომოგენური სივრცე, და ამ სივრცეში განცალკევებული ატომები და მოლეკულები; ამათი მოძრაობა მთელ იმ „მოვლენათა მრავალფეროვნებას“ ქმნის, რომელსაც ჩვენ ნივთიერ სინამდვილეს ვუწოდებთ. მაგრამ არის კი ნივთიერების ასეთი კონცეფცია რაიმე მხრივ დამაკმაყოფილებელი?

ფიზიკური სინამდვილე განსაზღვრულ თვისებათა მატარებელია: ე. წ. გრძნობადი რაომელობანი, ე. ი. ის, რასაც ჩვენ გრძნობათა ორგანოების საშუალებით განვიცდით: ფერი, ხმა, სუნი და სხვა ამგვარი, ყველაფერი ეს ჩვენს ცნობიერებაში ნივთიერების თვისებათა სახით იჭრება; ხოლო თვით ფიზიკურ

სფეროში, ასე ფიქრობს მეცნიერება, მოძრაობის მეტი არაფერი არსებობს, და გრძნობადი რომელობანი, მაშასადამე, მხოლოდ ცნობიერებაში უნდა ვიგულოთ. ამგვარად, სფერო ნივთიერი სინამდვილისა და სფერო იმ რომელობათა, რომელთაც ჩვენ ამ ნივთიერ სინამდვილეს მივაწერთ, ურთიერთს ეთიშებიან, და მათ შორის გარდუვალი უფსკრული იჩენს თავს.

მაგრამ, თუ ეს მართლა ასეა, მაშინ რითიღა და როგორღა უნდა ავხსნათ ის იდუმალი პარალელიზმი, რომელიც მოძრაობასა და რომელობას შორის არსებობს? მატერიალიზმი ამ სიძნელის გადალახვას თავისებურად ლამობს. მას რომელობა მოძრაობიდან გამოჰყავს. მაგრამ უეჭველია, რომ „განცდა დაუბოლოებადად სცილდება ტვინის მდგომარეობას“ (Mm. 192), და „სხეული ისეთივე სახეობაა, როგორიც არის ყველაფერი სხვა" (Mm. 192). იდეალიზმის რწმენით კი მოძრაობა რომელობის შემოქმედებაა; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „ნივთიერება ყოველმხრივ სცილდება ჩვენი წარმოდგენის ზღუდეებს", და რომ, მეორე მხრივ, „ჩვენს გონებაში არსებობს ნიჭი გაწვალების, განსხვავებისა და ლოგიკური დაპირისპირების, და არა ნიჭი შემოქმედებისა და აღმშენებლობის" (Mm. 192). ამგვარად, ნივთიერების აღნიშნულ კონცეფციას თავის მიუცილებელს ლოგიკურ შედეგად ისეთი პრობლემა სდევს თან, რომლის გადაწყვეტაც არსებითად შეუძლებელი ხდება. უნდა ვიფიქროთ ამიტომ, რომ თვით კონცეფცია მატერიისა ყალბია, და მის მაგიერ ახლის ძიებაა საჭირო.

მაგრამ საიდან გამომდინარეობს ეს სიყალბე? ეჭვი არ არის, ან რომელობის ბუნებაა შეუფერებლად წარმოდგენილი, და ან მოძრაობისა, რომელიც ჰომოგენურ სივრცეშია ნაგულისხმევი. დავიწყოთ მოძრაობიდან. როგორ აქვს თანამედროვე მეცნიერებას იგი წარმოდგენილი? უეჭველია, რომ ჩვეულებრივი აზროვნება ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ სამეცნიერო აზროვნებისთვისაც გადამწყვეტ როლს ასრულებს. ეს ცხადად ჩანს თუნდ იმ აზრთა მიმდინარეობიდან, რომელიც ე ლ ე ე ლ ი ფილოსოფოსის, ძ ე ნ ო ნ ი ს არგუმენტების გარემო ამოძრავდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძ ე ნ ო ნ ე ლ ე ე ლ ი, მიუხედავად იმ მძაფრი წინააღმდეგობისა, რომელიც მან ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პროცესში გამოიწვია, ჯერ კიდევ არ არის სავსებით ძლეული; და ეს იმიტომ, რომ, ის ძირითადი თვალსაზრისი, რომელიც ძ ე ნ ო ნ ს მოძრაობის შესახებ წინასწარ ჰქონდა მიღებული, დღესაც არ არის შემოწმებული, და მსჯელობის ამოსასვლელ პუნქტად დღემდეც უცვლელად არის დატოვებული. ეს თვალსაზრისი ჩვეულებრივი, პრაქტიკული მსჯელობის თვალსაზრისია. მისი მიხედვით 1. მოძრაობა სივრცეში ხდება ხოლო 2. ის, რაც მოძრაობს, შეიძლება ამ სივრცის ყოველ წერტილზე შეჩერდეს.

რა გამომდინარეობს აქედან? თუ რომ მოძრაობა გადასვლაა ერთი წერტილიდან მეორეზე, თუ რომ, მაშასადამე, იგი სივრცის განვლაა, ხოლო თუ, მეორე მხრივ, სივრცე დაუბოლოებლივ განწვალებადია, მაშინ ცხადია, რომ მოძრაობაც,რომელიც სივრცის განსაზღვრულ ხაზზე მიმდინარეობს, სრულიად სოლიდარული უნდა იყოს ამ უკანასკნელთან და, მაშასადამე, მასსავით განწვალებადად უნდა ჩაითვალოს. დაუმატეთ ამას ის გარემოებაც, რომ ჩვენი რწმენით, ყოველი მოძრაობა, როგორც უნდა იყოს იგი, განსაზღვრული ხანგრძლივობის არის, და მაშასადამე, სრულიად საკმარისია, აიღოთ ამ ხანგრძლივობის ერთი რომელიმე მომენტი, რომ უფლება გექნეთ თქვათ, რომ მოძრავმა საგანმა ამ მომენტში სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა

დაიჭირა, მდგომარეობა, რომელიც, ამ სახით, სრულიად გამოეყო დანარჩენ მდგომარეობათ. ცხადია, მოძრაობა აქაც ისევე განწვალებადად გვეჩვენება, როგორც თვით დრო, რომლის განმავლობაშიც ეს მოძრაობა ხდება, ერთი სიტყვით, თუ რომ სივრცე იმ არედ იქნება წარმოდგენილი, რომელზეც მოძრაობა ხორციელდება და თუ, მაშასადამე, სივრცე, როგორც ასეთი, წინ უსწრებს მოძრაობას, მაშინ ცხადია, რომ მათ შორის სოლიდარობა უნდა იქნეს აღიარებული და მოძრაობის განწვალებადობა უდავო ფაქტად მიჩნეული.

მაგრამ ძ ე ნ ო ნ ე ლ ე ე ლ მ ა ხომ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მოძრაობის განწვალებადობის აღიარება მის სრულ უარყოფას ნიშნავს! ხომ ვერავინ ვერ შეძლო მისი არგუმენტების დარღვევა! ცხადია, მაშასადამე, რომ უწინარეს ყოვლისა კრიტიკა თვით ძირითადი დებულების წინააღმდეგ უნდა მიიმართოს. უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად მართებულია ჩვეულებრივი თვალსაზრისი, რომელსაც ძ ე ნ ო ნ ი ც ეყრდნობა, და რომლის მიხედვითაც სივრცეა ის არე, სადაც მოძრაობა ხორციელდება. სანამ ეს არ იქნება შესრულებული, და მოძრაობა სივრცის ფარგლებში დარჩება მომწყვდეული, მანამდე მეცნიერება და ფილოსოფია იძულებული იქნებიან აღიარონ, რომ მოძრაობა იმ გზასავით განწვალებადია, რომელზედაც იგი სრულდება; ხოლო სანამ იგი განწვალებადია, მანამ იგი უძლურია, თავისი რეალობა ძ ე ნ ო ნ ი ს არგუმენტების იერიშს გადაარჩინოს და ფაქტად განამტკიცოს.

ასეა თუ ისე, თანამედროვე მეცნიერებას მაინც სწამს მოძრაობის ფაქტი, მაგრამ მისი განმარტებით, მოძრაობა სივრცეში ხორციელდება და, მაშასადამე, იგი მანძილის ცვალებას წარმოდგენს. თუ ასე გავიგებთ მოძრაობას, ცხადია, რომ აქ ჩვენ მხოლოდ სიგრძის ცვალებასთან გვექნება საქმე; მაგრამ რადგანაც მანძილის აბსოლუტური ოდენობა იგივე დარჩება, საიდანაც არ უნდა გავზომოთ იგი, წერტილიდან ღერძამდე, თუ პირიქით, ღერძიდან წერტილამდე, ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ერთ და იმავე წერტილს გინდ მოძრაობა მივაწეროთ და გინდ უძრაობა, იმის მიხედვით, თუ საიდან ვიწყებთ მანძილის გაზომვას. ამგვარად, თუ რომ მოძრაობა მართლა მანძილის ცვალების მეტს არაფერს წარმოადგენს (ხოლო სანამ მის არედ სივრცეა ცნობილი, იგი მეტს მართლაც არაფერს წარმოადგენს), მაშინ უეჭველია, რომ ყოველი მოძრაობა შეფარდებითია, რელატიურია, და რეალურად არ არსებობს. მოძრაობის რელატიურიობა განსაკუთრებით მათემატიკას სწამს. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან იგი თავის ოპერაციებს სიმბოლოთა ფარგლებში ახორციელებს; ხოლო მათემატიკის სიმბოლოთ, რომელსაც მხოლოდ გაზომვასთან აქვს საქმე, მარტო მანძილის გადმოცემა შეუძლიათ, და არა თვით მოძრავი საგნისა.

სამაგიეროდ, ფიზიკას სწამს აბსოლუტური მოძრაობის რეალურობა. მაგრამ მოძრაობას იგიც სივრცეში ათავსებს და, მაშასადამე, მასში მანძილის ცვალების მეტს ვერაფერს პოულობს.

რა სახეს იღებს მისთვის ამ პირობებში აბსოლუტური მოძრაობა?

თუ მოძრაობა აბსოლუტურია და იგი ადგილის ცვალებას წარმოადგენს, ცხადია, სივრცის სხვადასხვა ადგილები ურთიერთისაგან აბსოლუტურად უნდა განსხვავდებოდნენ: მაშინ „ერთი ადგილი მეორისაგან განსხვავებული იქნებოდა ან თავისი რომელობით და ან მთლიან სივრცესთან თავისი დამოკიდებულებით: ასე რომ, ამ ჰიპოთეზის თანახმად, სივრცე სხვადასხვაგვარი ნაწილებისაგან შემდგარი და, მაშასადამე, დაბოლოებადი იქნებოდა. მაგრამ დაბოლოებად სივრცეს ჩვენ მეორე სივრცეს მივცემდით

საზღვრად, ხოლო სხვადასხვაგვაროვან სივრცეში ერთგვაროვანს წარმოვიდგენდით, ასე რომ, ორსავე შემთხვევაში აუცილებლივ ერთგვაროვანსა და გამოურკვეველ სივრცეს დავუბრუნდებოდით", რომელშიც აბსოლუტურად განსხვავებულ წერტილებს ადგილი არა აქვთ, და სადაც, მაშასადამე, თუკი რაიმე მოძრაობა არსებობს, ეს მხოლოდ რელატიურ მოძრაობად უნდა იქნეს ჩათვლილი.

ამგვარად, უეჭველია, რომ სანამ მოძრაობის არედ სივრცეა მიჩნეული, და თვით მოძრაობა მანძილის ცვლილებადაა აღიარებული, მანამ მოძრაობის რელატიურობა მიუცილებელია. თუნდ იგი იმთავითვე აბსოლუტურადაც იყოს გამოცხადებული. ერთი სიტყვით, სანამ მოძრაობა დამყარებულია ხაზზე, რომელსაც იგი გაივლის, მანამ ერთი და იგივე წერტილი, იმის მიხედვით, თუ რას ვუფარდებთ მას, ხან უძრავად მოგვეჩვენება, ხან მოძრავად (Mm. 210).

2.ნივთიერება ინტუიციის სინათლეში

საჭიროება მოძრაობის უშუალო დაკვირვებისა. მოძრაობის განუწვალებადობა. მოძრაობის განუწვალებადობის იდეის წყარო. ძენონის შეცდომა. მოძრაობის რეალობა. რხევითი მოძრაობანი, როგორც გრძნობად რომელობათა ფიზიკური შესატყვისი. იდეა უძრავი სუბსტრატისა. უშუალო განცდა და მეცნიერების განვითარების უმაღლესი დონის მოწმობა მოძრაობის შესახებ. ნივთიერების ცალკე საგნებად დაშლა და ამის უსაფუძვლობა. მოძრაობა როგორც ხანიერობა. რომელობა და ხანიერი მოძრაობა. გენეზისი გრძნობად რომელობათა. ორი ტემპი ხანიერობისა. ნივთიერება და მისი ხანიერობის ტემპი. ნივთიერება თავისი ტენდენციით არა ხანიერია.

ახლა ცხადია, რომ ადამიანის ლოგიკური აზროვნება, რომელიც მოძრაობას სივრცის არეში ჭვრეტს, მისი ნამდვილი ბუნების ნათელი განცდის მაგიერ, იძულებული ხდება, აურაცხელ პრობლემათა ბადე მოქსოვოს, რომელთა ქსოვილშიც თვითონ იხლართება და ვერსაით გამოსავალს ვერ პოულობს. ცხადია, აქაც უშუალო განცდას, პირდაპირ ინტუიციას უნდა მივმართოთ. მისთვის უცხოა აღნიშნული სიძნელენი და წინააღმდეგობანი, აღნიშნული პრობლემები, რომელნიც არა საქმის ნამდვილი ვითარებიდან გამომდინარეობენ, არამედ იმ სიმბოლური ქსოვილის რეალურად აღიარებიდან, რომელიც ადამიანის გონებამ ჰომოგენური სივრცის სახით მოძრაობის არედ მიიჩნია. უშუალო შემეცნება კი იმთავითვე გვითვალისწინებს, რომ „მოძრაობა, რამდენადაც იგი გადასვლაა უძრაობიდან უძრაობაზე, აბსოლუტურად განუწვალებადად“ უნდა ჩაითვალოს (Mm. 203).

ავიღოთ მოძრაობის უბრალო ფატი: თუნდა ჩვენი ხელი, რომელიც ერთი წერტილიდან მეორეზე გადადის. აქ მოძრაობის აქტი ორი გზით იჭრება ჩემს ცნობიერებაში: შინაგანი განცდისა და გარეშე განცდის, ანუ მხედველობის გზით. „ცნობიერება უბრალო ფაქტის შინაგან შეგრძნებას იძლევა, ვინაიდან A-ში უძრაობა იყო, B-ში კვლავ უძრაობაა, ხოლო A-სა და B-ს შუა თავსდება

განუწვალებადი ანდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ განუწვალებელი აქტი, გადასვლა უძრაობიდან უძრაობაზე", ე. ი. რასაც მოძრაობას უწოდებენ. ხოლო ჩემს მხედველობას, პირველი შეხედვით მაინც, მოძრაობა AB ხაზის სახით ეჩვენება, იმ ხაზის სახით, რომელსაც მოძრავი საგანი ტოვებს, და რომლის ნებაყოფლობითი განწვალება სავსებით შესაძლებელია. მაგრამ საკმარისია ოდნავ ჩავუკვირდეთ საქმეს, და ჩვენ იმწამსვე დავრწმუნდებით, რომ თვით მოძრაობა თვალისთვისაც განუწვალებად აქტს წარმოადგენს.

მართლაც და, რას ჭვრეტს თვალი? თვით მოძრაობას თუ მოძრავი საგნის ადგილის ცვალებას? უეჭველია, უკანასკნელს, და არა პირველს. მისთვის მოძრაობის პროცესი სივრცეში მოთავსებული პუნქტების თანამიმდევრობით ცვალებაა, რომელსაც მოძრავი საგანი განიცდის. ხელი ერთი ეტაპიდან მეორეზე გადადის, და ჩვენი თვალიც განსაკუთრებით ამ ეტაპების ცვალებას აღნიშნავს. მაგრამ ხომ ცხადია, რომ სანამ ხელი მოძრაობს, მანამ არც ეტაპები არსებობენ. ეტაპი მხოლოდ იქ არის, სადაც ხელი ჩერდება; მაშასადამე, თუ ეტაპებად მარტო A და B უნდა ჩაითვალოს, მათ შორის მოძრაობის აქტის მეტს ვერაფერს ვერ დავადასტურებთ, და რაკი, ამგვარად, მანამ, სანამ მოძრაობა გრძელდება, ეტაპების არსებობა რეალურად უნდა უარყოფილ იქნეს, თავისთავად იგულისხმება, თვით ამ აქტის განწვალების შესაძლებლობაც უნდა უკუვაგდოთ.

ცხადია, შეცდომა საიდან გამომდინარეობს: „მოძრაობა, პირველი შეხედვით, გადასვლაა ერთი წერტილიდან მეორეზე; მაშასადამე, იგი გავლაა განსაზღვრული სივრცისა, მაგრამ რადგანაც განვლილი სივრცე დაუბოლოებლივ განწვალებადია, და რადგანაც მოძრაობა იმ ხაზს ერთვის, რომელსაც გაივლის, იგი ამ ხაზთან სოლიდარულად და, მაშასადამე, მასავით განწვალებადად გვეჩვენება, განა მოძრაობა არ იყო, რომ ეს ხაზი გაავლო? განა მოძრაობა არ იყო, რომ რიგრიგობით ყველა მისი წერტილის თანამიმდევარი წყება განვლო? დიახ, უეჭველია, მაგრამ ეს წერტილები მხოლოდ გატარებულ ხაზში შეიცავენ რეალობას, ე. ი. უძრავ ხაზში; და თქვენ რომ მოძრაობას რიგრიგობით ამ სხვადასხვა წერტილზე წარმოიდგენთ, ამით მას უთუოდ აჩერებთ აქ; თქვენი თანამიმდევრობითი მდებარეობანი, არსებითად, წარმოდგენილი შეჩერების მეტს არაფერს შეიცავენ. გზის ნაცვლად ტრაექტორიას აყენებთ და, რადგანაც გზის ქვეშ ტრაექტორიაა მიყენებული, გგონიათ, თითქოს ისინი ურთიერთს ერთვოდნენ. მაგრამ როგორ შეიძლება, რომ ს რ ბ ო ლ ა ნ ი ვ თ ს დაერთოს და მოძრაობა უძრაობას?" (Mm. 209).

ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, ძენონის არგუმენტების სიმტკიცე მანამ შეურყეველი დარჩება, სანამ ჩვენს უშუალო განცდას არ გავყვებით და მოძრაობას სივრცის კლანჭებიდან არ განვათავისუფლებთ; სანამ არ მივხვდებით, რომ თუ მოძრაობა განვლილი გზის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი, იგი უთუოდ დაუბოლოებლივ განწვალებადად უნდა ჩაითვალოს, და, მაშასადამე, ამ ნიადაგზე ძ ე ნ ო ნ ი ს წინააღმდეგ ბრძოლა მარადის მისი გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. ხოლო თუ ჩვენ შევიგნებთ, რომ მოძრაობას ჰომოგენურ სივრცის სქემასთან საერთო არაფერი აქვს, მაშინ ადვილად დავინახავთ, რომ ძ ე ნ ო ნ ი ს არგუმენტები არა ნამდვილის, არამედ ხელოვნურად და ყალბად წარმოდგენილი მოძრაობის წინააღმდეგ არიან მიმართულნი, რომ ისინი არა რეალურისა, არამედ ყალბის, არარეალური მოძრაობის რეალობას უარყოფენ, და ამ მხრივ მართლაც უძლეველნი და დამარწმუნებელნი არიან.

ამგვარად, უშუალო ინტუიცია მოძრაობის რეალობასა და განუწვალებადობას ადასტურებს: უეჭველია, რომ „რეალური მოძრაობა, რამდენადაც იგი გადასვლაა უძრაობიდან უძრაობაზე აბსოლუტურად განუწვალებადია" (Mm. 207).

მაგრამ არსებობს კი რეალური მოძრაობა? ჩვენ ვიცით, რომ რამდენადაც მოძრაობა სივრცის არეშია წარმოდგენილი, იგი უთუოდ რელატიური მოძრაობის სახეს ღებულობს. მაგრამ ხომ ცხადია, რომ ფიზიკოსისათვის მაინც მოძრაობის აბსოლუტურობა უნიჭო ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ დეკარტი, რომელიც როგორც მათემატიკოსი მოძრაობას რელატიურად თვლიდა, როგორც ფიზიკოსი აბსოლუტური მოძრაობის კანონებს ეძიებდა. ამითვე აიხსნება ის ახირებული მოვლენაც, რომ ფიზიკოსი ნიუტონი აბსოლუტური მოძრაობის იდეის უზრუნველსაყოფად ისეთ ცხად შეუსაბამობასაც კი იზიარებდა, როგორიც არის აღიარება აბსოლუტურ სივრცეში აბსოლუტურ მდებარეობათა არსებობისა. რეალურად რომ მოძრაობა მართლა არსებობს, ეს ყველასათვის ნათელია. თორემ რითღა უნდა აგვეხსნა მაშინ ცვალების ფაქტი სამყაროში. ან და, განსაკუთრებით, ჩვენს საკუთარ მოძრაობათა ცნობიერება? ტყუილად კი არ ეუბნებოდა მორუსი დეკარტს: „როდესაც მე წყნარად ვზივარ, ხოლო სხვა ვინმე ათასი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ დაღლილობით გაწითლებულა, ეჭვი არ არის, რომ ვინც მოძრაობს, სწორედ ის არის, ხოლო ვინც ისვენებს, მე ვარო" (Mm. 215). სხვანაირად რომ ვთქვათ, „მე ყოველთვის პირდაპირ ვეხები მოძრაობის რეალობას, როდესაც იგი მდგომარეობის თუ რომელობის ცვალების სახით ჩემს არსებაში იჩენს თავს" (Mm. 217). ამგვარად, აბსოლუტური მოძრაობის აღიარება შეუძლებელია, როდესაც მას სივრცეზე ვამყარებთ; იგი ადვილად გასაგები ხდება იმწამსვე, როგორც კი მას უშუალო განცდის საგნად ვაქცევთ.

მაგრამ თუ საკუთარს რომელობითს ცვალებას იქით უთუოდ აბსოლუტურ მოძრაობას ვგულისხმობ, რა საბუთი მაქვს, ასეთსავე აბსოლუტად არ ჩავთვალო ის მოძრაობაც, რომელიც თანამედროვე ფიზიკის მოწმობით გარეშე მოვლენათა რომელობით ცვლილებას უდევს საფუძველად? უეჭველია ყველგან, სადაც რომელობის ცვლილებას აქვს ადგილი, ყველგან აბსოლუტურ მოძრაობას უნდა ვგულისხმობდეთ. ამ ჭეშმარიტების შემეცნებას მეცნიერებაში ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უშლის ხელს. საქმე ის არის, რომ როდესაც ჩვენ ჩვეულებრივ გამოცდილებაში მოძრაობის ფაქტს ვაკვირდებით, ყველგან იძულებული ვხდებით, ერთი რამ აუცილებლად აღვნიშნოთ. ყოველთვის არსებობს რაღაც, რაც მოძრაობს, და ამიტომ ჩვენი ოცნებისათვის მუდამ ძნელი წარმოსადგენი ხდება რაიმე მოძრაობა ისე, რომ მას თავისი სუბსტრატი არ ჰქონდეს. სამეცნიერო აზროვნებაც ამ გზას მისდევს, და იმ ურიცხვ რხევით მოძრაობას, რომელიც გრძნობად რომელობათა ფიზიკურ შესატყვისად გვეგულება, უმცირეს ნივთიერ სხეულთა, კორპუსკულთა მოძრაობის სახით აზროვნებს. ხოლო რაწამს, ამ გზით, მოძრაობა ნივთიერ სხეულთა მდგომარეობად ხდება, იგი ამ უკანასკნელთა ურთიერთ მდებარეობის სახეს იღებს და, ამ სახით, ლოგიკურის აუცილებლობით რელატიურ მოძრაობად იქცევა.

მაგრამ მეცნიერების რხევითი მოძრაობა არა მარტო რელატიურია; იგი იმავე დროს ერთგვაროვანის, განყენებული მოძრაობის სახესაც ღებულობს, იმ მოძრაობის სახეს, რომელსაც მექანიკა იცნობს და თავისებურად

სწავლობს. მექანიკის მოძრაობა, როგორც მომენტი მოძრავი საგნისა, „აბსტრაქტია ან სიმბოლო, საერთო საზომი, საერთო აღმნიშვნელი, რომელიც რეალურ მოძრაობათა ურთიერთთან შედარების საშუალებას გვაძლევს“ (Mm. 218) და როგორც ასეთი, იგი უთუოდ ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ მოძრაობად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, რხევითი მოძრაობანი, რამდენადაც ისინი გრძნობად რომელობათა ფიზიკურ შესატყვისს შეადგენენ, როგორც ნივთიერ სხეულთა ან კორპუსკულთა მოძრაობანი, აუცილებლობის ძალით რ ე ლ ა ტ ი უ რ ი ს ა დ ა ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი ს, განყენებული მოძრაობის სახით გვევლინებიან. მაგრამ გავსინჯოთ, მართლა მიუცილებელია მათთვის ნივთიერის, გამოცალკევებული სუბსტრატის არსებობის აღიარება? თუ აღმოჩნდა, რომ ამ საკითხის უარყოფითი გადაჭრა უფრო მისაღებია, ვიდრე მისი დადებითი გადაჭრა, მაშინ თავის თავად მოისპობა ის საბუთიც, რომლის ძალითაც მოძრაობის რელატიურობა და ერთგვაროვნება მიუცილებელ ფაქტად იქნა აღიარებული.

ამ საკითხისათვის ჩვენ ორი ძირითადი მნიშვნელობის მოწმობას უნდა მივმართოთ: უშუალო შემეცნებას, ერთი მხრივ, და თვით მეცნიერების განვითარების უმაღლეს დონეს, - მეორე მხრივ. მართალია, ორივე ეს მოწმობა არსებითად განსხვავებული წყაროებიდან მომდინარეობს, მაგრამ მით უკეთესი: რაც უფრო დაშორებული არიან მოწმენი ერთიმეორეს, მით უფრო საიმედოა მათი ჩვენება: და ამას გარდა, აღსანიშნავია განსაკუთრებით ისიც, რომ „ცოდნა და ცნობიერება არსებითად ურთიერთს ეთანხმებიან, თუ რომ ცნობიერებას თავისი უშუალო მოწმობით ავიღებთ, ხოლო მეცნიერებას - თავისი უშორესი იმედმისწრაფებით“ (Mm. 212). მაშ, რას გვეუბნება ჯერ უშუალო დაკვირება ჩვენი საკითხის შესახებ?

ფიზიკურ სინამდვილეს ჩვენ სხვადასხვა გრძნობათა ორგანოების მეშვეობით განვიცდით; ხოლო ამ ჩვენს განცდას ყველაფერი მთლიანის, უწყვეტი რეალობის სახით ევლინება: „როგორც კი ავახელთ თვალს, იმწამსვე მთელი ჩვენი მხედველობის არე იფარება, და რადგანაც მტკიცე საგნები ურთიერთს ეხებიან, ამიტომ ჩვენი შეხების ორგანო იძულებული ხდება, საგანთა ზედაპირსა და კიდეებზე იმოძრაოს, და ამ მოძრაობის დროს მას არსად ნამდვილი ნახტომის გაკეთება არ უხდება" (Mm. 211). ცხადია, უშუალო სინამდვილე უწყვეტი მთლიანის სახით გვევლინება და საგანთა განცალკევებული არსებობის კვალი მასში არსად არა ჩანს. ამისდა მიხედვით, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ თავისთავად მთლიანი სინამდვილისათვის განცალკევებული, დამოუკიდებელი ნივთიერი საგნების არსებობა სრულიად უცხოდ უნდა ჩაითვალოს. ფიზიკური სინამდვილე მეცნიერების განვითარების უმაღლესი საფეხურიდანაც ასეთსავე უწყვეტისა და მთლიანი სახით გამოიყურება: თუ არსებობს ჭეშმარიტება, რომელიც მეცნიერებამ ყოველ ეჭვს გარეშე დააყენა, ეს უთუოდ ნივთიერების ყველა ნაწილის ურთიერთზე მოქმედებაა. ნივთიერ სხეულთა მოლეკულებს შორის მეცნიერება მიზიდულობის ძალების არსებობას ადასტურებს, ასე რომ, ცხადია, ატომებს შუა უთუოდ რაღაც უნდა არსებობდეს. ჩვენ შეგვიძლია ეს რაღაც განსაზღვრულის, თუნდ ნივთიერის სახით წარმოვიდგინოთ: მაგრამ მეცნიერება, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ უფრო მართებული იქნებოდა, თუ ნივთიერების ადგილას ძალას წარმოვიდგენდით. „ატომების შესახებ კიდევ დიდხანს იქნება ლაპარაკი: ატომი ჩვენი გონებისათვის,

რომელიც მას აცალკევებს, კიდევ შეინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას, მაგრამ მისი სიმტკიცე და ინერტობა ან მოძრაობაში გაილესება, ან ძალთა ხაზებში, რომელთა ურთიერთ სოლიდარობა მსოფლიოს უწყვეტობას აღადგენს" (Mm. 216). ბ ე რ გ ს ო ნ ი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ფიზიკოსები, როგორც ტ ო მ ს ო ნ ი და ფ ა რ ა დ ე ი, იძულებული შეიქნენ, სწორედ ამ დასკვნამდე მოსულიყვნენ. ფარადეის განმარტებით, ატომი მათემატიკურ წერტილს წარმოადგენს, რომელშიც ურთიერთს ხვდებიან ძალთა დაუბოლოებადი ხაზები, ხაზები, რომელნიც მთელ სივრცეში ვრცელდებიან და რომელნიც რეალურად ატომს შეადგენენ. „ამგვარად, თითოეულ ატომს უპყრია მთელი სივრცე, რომელზეც მიზიდულობა ვრცელდება", და „ყველა ატომი ურთიერთს ერთვის". ტ ო მ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს მთელ სივრცეს სრულიად ერთგვაროვანი, შეუკუმშვადი და უწყვეტი სითხე ავსებს, და ატომი მხოლოდ რკალია უცვლელი ფორმისა, რომელიც ამ უწყვეტ არეში ტრიალებს და რომლის არსებობა და ინდივიდუალობა მის მოძრაობაზეა დამოკიდებული.

ასე რომ, ცხადია, რაც უფრო უახლოვდებით ნივთიერების უკანასკნელ ელემენტებს, მით უფრო სუსტდება და ისპობა მატერიის ცალკე დამოუკიდებელ სხეულებად დაშლა, და მის ადგილს უწყვეტი რეალობა იჭერს. მატერიალური სინამდვილე უწყვეტი სფეროა და განცალკევებულ საგანთა, მოლეკულათა თუ ატომთა მოძრაობის სუბსტრატად აღიარებას არც უშუალო ინტუიციის საფუძველი ამაგრებს და არც მოწმობა განვითარებული მეცნიერული აზროვნებისა.

მაგრამ მაინც საინტერესოა, რაღა საბუთი აქვს ადამიანის ჩვეულებრივ გონებას, როდესაც იგი თავისთავად სრულიად უწყვეტ სინამდვილეში დამოუკიდებელ, აბსოლუტურად გამოკვეთილი კონტურებით აღბეჭდილ, განცალკევებულ საგნებს ხედავს. ბ ე რ გ ს ო ნ ი აქაც პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებებს მიმართავს და აღნიშნავს; ინდივიდუალური ცნობიერება გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ უ ლ მოქმედებაში იჩენს თავს, ხოლო ამისთვის განცალკევებული „მატერიალური ზონებია" საჭირო, რომელნიც ცოცხალ ორგანიზმს შეეფერებიანო. ამგვარად, უწყვეტი რეალობის არეში ყველაზე უფრო ნათლად და მკაფიოდ ჩ ე მ ი და ს ხ ვ ი ს ი ცოცხალი სხეულები გამოიყოფიან. მაგრამ რაკი ეს სხეული გამოიყო და დაწესდა, მისი მოთხოვნილებები უკვე თავისთავად გამოიწვევენ სხვა სხეულების გამოყოფასა და დაწესებას; და ეს იმიტომ, რომ ყოველი მოთხოვნილება განსაზღვრულ ძალისხმევას უკავშირდება, რომელიც ერთი განსაკუთრებული ცენტრისაკენ არის მიმართული; ცხადია, რომ სწორედ ეს ცენტრი უნდა გადაიქცეს იმ დამოუკიდებელ საგნად, რომელმაც აღნიშნული მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. რადგანაც ცოცხალ ორგანიზმს მრავალი მოთხოვნილება აქვს; ამიტომ მრავალი ამდაგვარი ცენტრი ხდება საჭირო. ასე რომ, „თითოეული ჩვენი მოთხოვნილებათაგანი სხივების კონას ემსგავსება, რომელიც გრძნობად რომელობათა უწყვეტობისაკენაა მიმართული და იქ ცალკე საგნებს გამოხატავს" (Mm. 220).

რაკი ამგვარად უწყვეტი სინამდვილის ცალკე საგნებად დაშლა ერთხელ მაინც დაიწყო, უკვე აღარ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რომელსაც ჩვენთვის გზაზე გადაღობება შეეძლოს, და ნივთიერი სინამდვილის უმცირეს ელემენტებად, ატომებად და მოლეკულებად დაშლას ხელი შეუშალოს. აქედან

ცხადია, რომ „ყოველგვარი განაწილება მატერიისა დამოუკიდებელი, აბსოლუტურად განსაზღვრულს კონტურებიან საგნებად ხელოვნური განაწილებაა" (Mm. 218). მაგრამ თუ რეალურად სინამდვილე მართლა უწყვეტობას წარმოადგენს, რომელმაც განცალკევებული საგნების, ატომებისა და მოლეკულების სრულიად არაფერი იცის, მაშინ ცხადია, რომ მეცნიერების რხევითი მოძრაობა, გრძნობად რომელობათა ფიზიკური შესატყვისი, არა მარტო აბსოლუტურ მოძრაობად, არამედ არაერთგვაროვანადაც უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ თუ აბსოლუტური მოძრაობა განუწვალებადია და არაერთგვაროვანი, მაშინ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ უფრო კონკრეტად იგი? რით განსხვავდება ერთი მოძრაობა მეორისაგან? სივრცე და ატომთა განსხვავებული მდგომარეობანი მისთვის სრულიად უცხონი არიან. უშუალო დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ განსხვავება შეიძლება მხოლოდ მოძრაობის ხანგრძლივობაში, მის „ხანიერობაში" მდგომარეობდეს. მაშინ მატერიალური სინამდვილის პრინციპად, ისე როგორც ფსიქიკურისაც, კვლავ ხანიერობა უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, ბერგსონისათვის მატერიალური სინამდვილე სრულიად გარკვეულ სახეს ღებულობს. ჩვენ ვხედავთ, რომ იგი არსებითად აბსოლუტურ მოძრაობათა უწყვეტ კავშირს წარმოადგენს, რომელნიც ურთიერთისაგან მხოლოდ ხანიერობის მხრივ განსხვავდებიან. ბერგსონი ასე განმარტავს თავის შეხედულებას: „შეუერთეთ ურთიერთს განცალკევებული საგნები თქვენი ყოველდღიური გამოცდილებისა; დაიყვანეთ, შემდეგ, მათი თვისებების უწყვეტობა ადგილობრივ რხევით მოძრაობაზე; დაივიწყეთ განწვალებადი სივრცე, რომელიც ამ მოძრაობაში გქონდათ ნაგულისხმევი, და ისე ჩაუკვირდით, რომ დაუტოვეთ მას მხოლოდ მოძრაობის მომენტი, ეს განუწვალებადი აქტი, რომელსაც თქვენი ცნობიერება თქვენსავე საკუთარ მოძრაობაში იჭერს, და თქვენ მიიღებთ ნივთიერების განცდას, შეიძლება ძლიერ დამქანცველს თქვენი ოცნებისათვის, მაგრამ სამაგიეროდ წმინდას, სრულიად განთავისუფლებულს ყველა იმისაგან, რაც სიცოცხლის მოთხოვნილებათა ზეგავლენით იძულებული იყავით, დაგემატებინათ გარეგანი განცდისათვის" (Mm. 232).

ამგვარად, იქ, სადაც ჩვენ მრავალფეროვან ფიზიკურ სინამდვილეს ვხედავთ, ნამდვილად მოძრაობათა უწყვეტობის, ანუ ხანიერობის მეტი არაფერი არსებობს. ამ მხრივ სულიერსა და ნივთიერს შორის არსებითი განსხვავება არ ჩანს: იქაც და აქაც რეალურად მართო ხანიერობასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ მაშინ როგორ ხდება, რომ ფიზიკური ან ნივთიერი სინამდვილე ჩვენს ცნობიერებაში გრძნობად რომელობათა სახით იჭრება, რომელობათა სახით, რომელთაც მოძრაობასთან თითქოს არავითარი მსგავსება არ უნდა ჰქონდეთ? თუ არსებითად სულიერ მოვლენასა და მატერიალურს შორის განსხვავება არ არის, თუ იქაც და აქაც რეალურად მხოლოდ ხანიერობა არსებობს, მაშინ განსხვავება რომელობასა და მოძრაობას შორის შეიძლება მხოლოდ ამ ხანიერობის მხრივ აღმოჩნდეს. მართლაც და, საკმარისია ოდნავ ჩავფიქრდეთ, რომ სულიერსა და ნივთიერს შორის იმწამსვე ხანიერობითი განსხვავება დავინახოთ.

თანამედროვე მეცნიერების მოწმობით, გრძნობად რომელობათა შესატყვის რხევით მოძრაობათ სრულიად განსაზღვრული სისწრაფე ახასიათებს. იქ, სადაც მაგალითად, წითელ ფერს განვიცდით, მეცნიერებას 400 ტრილიონი რხევა ეგულება სეკუნდში. ასეთივე განსაზღვრულია სხვა შეგრძნებათა შესაფერ რხევათა სისწრაფეც.

ხოლო თუ ადამიანის ცნობიერებას ავიღებთ და მისი მოვლენების ხანიერობას შევამოწმებთ, იმწამსვე დავრწმუნდებით, რომ აქ სრულიად განსხვავებულ ტემპთან გვაქვს საქმე: „ხანიერობა, რომელსაც ჩვენი ცნობიერება განიცდის, განსაზღვრული ტემპის ხანიერობა არის, სრულიად განსხვავებული იმ დროისაგან, რომელზეც ფიზიკა ლაპარაკობს და რომელიც ამა თუ იმ განსაზღვრულს ხანაში რამდენიც გსურს, იმდენ მოვლენათა რიცხვს უყრის თავს.“

ჩვენი ცნობიერების ხანიერობის ტემპის გასათვალიწინებლად საჭიროა მოვიგონოთ Exner-ის აზრი, რომლის მიხედდვითაც უმცირესი დროითი ხანგრძლივობა, რის განცდაც ადამიანს შეუძლია, სეკუნდის ორს მეათასედს უდრის: წარმოვიდგინოთ ახლა, რომ რომელიმე ცნობიერება წითელი ფერის შესატყვის რხევით მოძრაობას, ე. ი. 400 ტრილიონ რხევას განიცდის, მაგრამ ისე, რომ თითოეულ რხევას შორის სეკუნდის ორი მეათასედი გადიოდეს, რადგანაც უმცირესი ხანგრძლივობის ნათლად წარმოსადგენად, როგორც აღვინიშნეთ, სწორედ ეს დროა საჭირო; მაშინ რამდენმა ხანმა უნდა განვლოს, სანამ ეს ცნობიერება ყველა 400 ტრილიონ რხევას განიცდიდეს? „სულ უბრალო გამოანგარიშება გვიმტკიცებს, რომ ამ ოპერაციის დასასრულებლად უკანასკნელი 25000 წელიწადი მაინც არის საჭირო“. ასე რომ ჩვენი ცნობიერების ხანიერობის ერთი სეკუნდი ფიზიკური ხანიერობის ორასორმოცდაათ საუკუნეს უდრის.

ამგვარად, ცხადად ვხედავთ, რომ ნივთიერი სინამდვილე თუკი რითიმე განსხვავდება ცნობიერების ცხოვრებისაგან, ეს განსხვავება ყოვლის უწინარეს ხანიერობას ეხება. ამისდა მიხედვით, ჩვენს გარეშე ურიცხვი რხევითი მოძრაობა არსებობს; მაგრამ ჩვენს განცდაში ეს ურიცხვი მოძრაობანი ადამიანის ცნობიერების ტემპს ემორჩილებიან, და ის, რაც თავისთავად მომენტთა აურაცხელ რაოდენობაზე გავრცელდებოდა, ჩვენი ხანიერობის ერთს მომენტში ერთდება. განცდის მთელი ბუნება მარტო ამაში მდგომარეობს, ასე რომ, მასსა და მოძრაობას შორის არავითარი განსხვავება არ არის. ამგვარად, ე. წ. გრძნობადი რომელობანი ახალს სრულიად არაფერს არ შეიცავენ: ისინი იგივე მოძრაობანი არიან, მაგრამ მოძრაობანი, რომელნიც ჩვენი ცნობიერების ხანიერობის მიერ ერთ მომენტში არიან შეკუმშულნი.

როგორ ხდება ეს შეკუმშვა, ამის გათვალისწინება ადვილია. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის ცნობიერებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელ მომენტს **მეხსიერება** წარმოადგენს. თითოეული მოძრაობა, რომელიც სინამდვილეში ხორციელდება, ამიტომ ყოველი ახალი მოძრაობის წარმოშობასთან ერთად როდი ისპობა; არა, ჩვენი მეხსიერება ყოველ ძველ რხევას ახალს უერთებს და რხევათა აურაცხელ რაოდენობას, თუკი აქ რაოდენობის შესახებ შეიძლება ლაპარაკი, ერთ განცდაში აერთებს. ასე ხდება, რომ ის, რაც ნივთიერს სინამდვილეში ყოველ მომენტში ხელახლა იწყება, ჩვენი ცნობიერების ტემპის შესაბამად, ადამიანის განცდაში ერთად იკუმშება და ამ გზით სრულიად თავისებურ სახეს იღებს. ეს განსხვავებული სახეა, რასაც ჩვენ გრძნობად

რომელობას ვუწოდებთ და რისი ფერითაც მთელს ნივთიერ სინამდვილეს ვღებავთ.

ეს რომ მართლა ასეა, და ჩვენი განცდა ე. წ. გრძნობადი რომელობისა მოძრაობათა იმობილიზაციის მეტს არარას წარმოადგენს, ეს ცხადად ჩანს თუნდ შემდეგი დაკვირვებიდან: „იქ, სადაც მოძრაობის რითმი საკმაოდ ნელია იმისთვის, რომ ჩვენი ცნობიერების ჩვეულებებს მიუდგეს, - როგორც, მაგალითად, გამის დაბალს ნოტებში, - განა არა ვგრძნობთ, რომ განცდილი რომელობა თავისთავად იშლება განმეორებითსა და თანამიმდევრობით რხევებად, რომელნიც ურთიერთს შორის შინაგანი განუწყვეტლობით არიან შეერთებულნი?“ (Mm. 219). ასე რომ, ჩვენ, რომ რხევით მოძრაობათა უფრო ნელი რითმით განცდის ძალა შეგვწევდეს, ვიდრე ეს ჩვენი ცნობიერების ხანიერობას შეეფერება, მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ ის მომხიბვლელი ფერები, რომელთაც ბუნებაში განვიცდით, ის ხმები, რომელნიც ხშირად გვატყვევებენ ხოლმე, ერთი სიტყვით, ყველა ეს გრძნობადი რომელობა, რომლის სამოსშიაც მთელი ფიზიკური სინამდვილე გვევლინება, ყველაფერი ეს ნელ-ნელა შენელდებოდა, თავის ფერებს დაჰკარგავდა და თანდათანობით წმინდა რხევითი მოძრაობის სახეს მიიღებდა.

მაგრამ დრო, ანუ ხანიერობა, როგორც დავრწმუნდით, ნივთიერი სინამდვილის მთლიანს ეხება. ხოლო თითოეული ცალკე საგანი, რომელსაც ჩვენ ანორგანიულ მსოფლიოში განვიცდით, იმდენად დროში არ მიმდინარეობს, რამდენადაც სივრცეში მდებარეობს. მართალია, საგანთა გამოცალკევება ჩვენი განცდის საქმეა, რომლის მაკრატელი, ასე ვთქვათ, ჩვენი მოქმედების ხაზს მისდევს და, მაშასადამე, სათანადო მიმართულებას ორგანიზმის მოთხოვნილებათა ზეგავლენით იღებს, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც უნდა ითქვას, რომ თვით მთლიან ნივთიერ სინამდვილეში მოიპოვება საბაბი, რომელიც მისი დაშლის შესაძლებლობას ცალკე სისტემებად და საგნებად ობიექტურ საფუძველს აძლევს.

რაში მდგომარეობს ეს საბაბი? ჩვენ ვიცით, რომ მატერია ობიექტურად განსაკუთრებული რითმის რხევით მოძრაობას წარმოაგენს. მართალია, თითოეული მოძრაობა, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი, განსაზღვრული დროის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ ეს ხანგრძლივობა იმდენად მცირეა, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ნივთიერი სინამდვილის დამახასიათებელ თვისებად არა დროულობის, არამედ უ დ რ ო უ ლ ო ბ ი ს ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა მივიღოთ. საერთოდ, თუკი მართალია, რომ სინამდვილის არც ერთი სფერო არ უნდა ჩაითვალოს ერთხელ და სამუდამოდ დასრულებულად, თუკი მართალია, რომ რეალობის ძირითადი პრინციპი ქ მ ნ ა დ ო ბ ა ა და არა ყ ო ფ ნ ა. მაშინ ცხადია, რომ სინამდვილის სფეროების ურთიერთისაგან განმასხვავებელ ნიშნად არა დასრულებული და მკაფიოდ ჩამოკვეთილი თვისებები უნდა მივიჩნიოთ, არამედ ის უპირატესი ტენდენციები, რომელნიც რეალობის ამა თუ იმ სფეროში განსაკუთრებით არიან წარმოდგენილი, ამ თვალსაზრისით, უეჭველია, რომ, თუ სულიერი ცხოვრების ძირითად ტენდენციად ხანიერობა ანუ დრო უნდა ჩაითვალოს, ნივთიერი სინამდვილისათვის ასეთ ტენდენციად უ დ რ ო უ ლ ო ბ ა უნდა ვაღიაროთ. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც სულიერი ცხოვრებისათვის უკანასკნელ ზღვარად აბსოლუტური ხანიერობაა ნაგულისხმევი, ისე ნივთიერისთვისაც ისეთ ზღვარად, რომელსაც იგი დაუბოლოებად ესწრაფვის, აბსოლუტური უდროულობა უნდა მივიჩნიოთ.

ამიტომაც, ჩვენ ადვილად შეგვიძლია „წარმოვიდგინოთ არსებობა, რომელიც მარტო აწმყოთია განსაზღვრული, აწმყოთი, რომელიც განუწყვეტლივ ხელახლა იწყება; აქ აღარ არის რეალური ხანიერობა, არამედ მარტო მომენტებია, რომლებიც მუდამ ისპობა და კვლავ ჩნდება“ (Ev. 225), და ეს არსებობა ნივთიერების არსებობაა.

აქედან ცხადია, რომ ნივთიერებას თავის არსში აქვს დამარხული ტენდენცია დაშლისა და დანაწილებისადმი; იგი ამ მხრივ საკმაო საბაბს იძლევა მატერიის ჰომოგენურ სივრცეში გაშლისა და, მაშასადამე, იქედან ცალკე საგნების გამოჭრისათვის.

თავი IV

ინტელექტუალური გამოცდილების კრიტიკა

1. ბიოლოგიური სინამდვილე

ტრანსფორმიზმი, მექანიზმი და ტელეოლოგიზმი, როგორც აუცილებელი ფორმები ინტელექტუალური შემეცნებისა. მათი კრიტიკა თვალის გენეზისის მაგალითზე: დარვინი; ჰუგო დეფრიზი; ეიმერი; ნეოლამარკიზმი; ვეისმანი. დასკვნა: ევოლუციის პროცესის შემეცნების შეუძლებლობა ინტელექტის მეშვეობით.

მივმართოთ სინამდვილის მესამე სფეროს, ორგანიული ბუნების პროცესებს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ, თუკი ჯერ კიდევ სადმე გრძნობს მეცნიერული აზროვნება თავის სისუსტეს, ეს განსაკუთრებით ბიოლოგიური მოვლენების შესწავლის შესახებ ითქმის, ცნობილია, რომ ბიოლოგიურ მეცნიერებათა ძიების შედეგები სრულიად ვერ აკმაყოფილებენ იმ იმედებს, რომელთაც სამართლიანად თუ უსამართლოდ მათზე ვამყარებდით. მაგრამ გავითვალისწინოთ, რა სახით იჭრება ბიოლოგიური სფერო სინამდვილისა ჩვენს ფილოსოფიურსა და მეცნიერულს შემეცნებაში?

ბ ე რ გ ს ო ნ ი აღნიშნავს, რომ არსებობს ორი თვალსაზრისი, რომლითაც, ჩვეულებრივ, სიცოცხლის პროცესებს იხილავენ, „ორი ტლანქად დაჭრილი დამზადებული სამოსი“, რომლის გარეშეც ბიოლოგიურ მოვლენათა განხილვა ვერ მოუხერხებიათ: მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი და დ ი ნ ა მ ი ზ მ ი (ან ტელეოლოგიზმი). ეს ორი თვალსაზრისი აუცილებელი შეიქნა მეცნიერული აზროვნებისათვის, და ეს მანამ დარჩება ასე, სანამ ადამიანის ინტელექტი შემეცნების ერთადერთი ორგანოს პრეტენზიებზე საბოლოოდ ხელს არ აიღებს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს რწმენით, როგორც მექანიზმი, ისე ტელეოლოგიზმიც ჩვენი ინტელექტუალური აზროვნების აუცილებელ ბუნებრივ თვალსაზრისს შეადგენენ.

განვიხილოთ მოკლედ, რას გვეუბნება თითოეული მათგანი, და შემდეგ მათი შემეცნებითი ღირებულება იმ სურათის გათვალისწინების დახმარებით შევამოწმოთ, რომლის სახითაც მათ ბიოლოგიური პროცესების სინამდვილე ეხატებათ. ეს ნათლად დაგვანახებს, ერთი მხრივ, იმ ბურუსს, რომლითაც ინტელექტუალური შემეცნება სიცოცხლის პროცესების ნამდვილ ბუნებას ჩრდილავს და, მეორე მხრივ იმ ნათელ პერსპექტივას, რომელსაც ჩვენს წინაშე ამ შემთხვევაშიც უშუალო შემეცნება შლის.

უეჭველია, რომ „...ტრანსფორმიზმის ენა ახლა ისევე აუცილებელია ყოველი ფილოსოფიისათვის, როგორც მისი დოგმატური მიღება მეცნიერებისათვის“-ო (Ev. 28). ამბობს ბ ე რ გ ს ო ნ ი და ამგვარად თავის თავს იმთავითვე ევლუციონიზმის მომხრეთა ბანაკში ათავსებს. ფილოსოფიისათვის, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, ევლუციის თეორიას შეუძლია მხოლოდ ერთადერთი აზრი ჰქონდეს; მისთვის ტრანსფორმიზმი, უმთავრესად, იდეალური ნათესაობის მიმართებათა დამოწმებაა, ან დადასტურება იმისა, რომ იქ, სადაც ცოცხალ ფორმებს შორის ლოგიკურ თანამიმდევრობას აქვს ადგილი, იქ ამ ფორმათა

განხორციელების, ცოცხალი ორგანიზმების, ქრონოლოგიური თანამიმდევრობაც არსებობს, თანამედროვე მეცნიერებამ მრავალი საბუთი იცის ტრანსფორმიზმის თეორიის განსამტკიცებლად: თავისი განვითარების პროცესში ყოველი ინდივიდუალური ჩანასახი საერთოდ ყველა იმ ცვლილებას განვლის, რომელიც, ევოლუციონიზმის მოძღვრების თანახმად, დაახლოებით მაინც მთელ გვარს განუვლია; ჩვენ საკუთარი თვალით ვხედავთ, რომ სიცოცხლის ურთულესი ფორმები უმარტივესიდან ვითარდებიან; პალეონტოლოგიური ნაშთები სრულიად ნათლად ამტკიცებენ, რომ განვითარება ისტორიულად მართლაც ამ გზით ხდებოდა, და ეს სინათლე განსაკუთრებით მიტომ ხდება ყველასათვის ცხადი, რომ პალეონტოლოგიური გამოკვლევანი ამა თუ იმ ორგანულ სახეთა განვითარების შესახებ სავსებით ეთანხმებიან იმ შედეგებს, რომელთაც ამავე საკითხში ემბრიოლოგიამ და შედარებითმა ანატომიამ მიაღწიეს, „თითოეული ახალი პალეონტოლოგიური აღმოჩენა იმავე დროს ახალი საბუთია ტრანსფორმიზმის სასარგებლოდ“ (Ev. 26), ხოლო ჰ უ გ ო დ ე ფ რ ი ზ ი ს ახალი თეორია მუტაციებისა არა თუ არ არღვევს ამ მოსაზრებას, არამედ კიდევ უფრო ამტკიცებს მას, ვინაიდან, თუ მართალია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები არც თუ ისეთი ნელის თანდათანობით ვითარდებოდენ, როგორც ამას დ ა რ ვ ი ნ ი ფიქრობდა, მაშინ ცხადია, რომ პალეონტოლოგიას საქმე გაუადვილდება, და მას ვეღარავინ მოსთხოვს, ნელი განვითარების თითოეული საფეხურისათვის ცალკე აღმოჩენა მოახდინოს. „ამგვარად, ტრანსფორმიზმის ჰიპოთეზა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ჭეშმარიტებას. მართალია, არსებითად მის დამტკიცებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ იმ რწმენის გარდა, რომელსაც თეორეტიული ან გამოცდილებითი არგუმენტები იძლევიან, არსებობს აგრეთვე დაუბოლოებლივ ზრდადი ეგებისობაც, რომელიც თვალსაჩინოების ადგილს იკავებს და მას, ვით თავის ზღვარს, ესწრაფვის. სწორედ ამგვარ ეგებისობას წარმოადგენს ტრანსფორმიზმიც“ (Ev. 27).

ასეა თუ ისე, ტრანსფორმიზმის მიღება აუცილებელი ხდება: უიმისოდ ორგანული სინამდვილის შემეცნება უიმედო საქმედ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საკითხი სწორედ აქ ისმის: როგორ უნდა ავხსნათ მისი პროცესები? როგორ ხორციელდება ევოლუციური განვითარება?

ამ საკითხზე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ორგვარი პასუხი არსებობს: ერთია მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი და მეორე — თ ე ო რ ი ა ს ა ბ ო ლ ო ო მ ი ზ ნ ე ბ ი ს ა ა ნ უ ტ ე ლ ე ო ლ ო გ ი ზ მ ი.

„მექანისტურ განმარტებათა არსება იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლოდ მიაჩნიათ წარსულისა და მომავლის გამოანგარიშება, როგორც მყოფადის ფუნქციისა; ამგვარად, ყველაფერი იმთავითვე მოცემულად იგულისხმება (Ev. 38). საკმარისი უნდა იყოს, ამისდა მიხედვით, იცოდე უმარტივესი ელემენტები და უმარტივესი კანონები მათი შეერთებისა, რომ ყოველი მოვლენა, წარსულის იქნება იგი თუ მომავლისა, თავისი ქმნადობის მხრივ სრული სიცხადით გადაიშალოს შენს წინაშე. მექანისტური მსოფლმხედველობის ბუნება ლ ა პ ლ ა ს ს აქვს სრული სიცხადით განმარტებული; იგი ამბობს: „რომელსამე გონებას რომ განსაზღვრულ მომენტში ბუნებაში მოქმედი ყველა ძალები და იმ საგანთა ურთიერთ-მდებარეობა სცოდნოდა, რომელნიც ბუნებას შეადგენენ, და ეს გონება რომ საკმაოდ ძლიერი ყოფილიყო იმისათვის, რომ ყველა ეს ფაქტი ანალიზეყო, უეჭველია, იგი ბუნებისა და სამყაროს უბუმბერაზეს ძალთა და

უმსუბუქეს ატომთა მოძრაობას ერთ ფორმულაში მოაქცევდა. მისთვის უცნობი აღარაფერი დარჩებოდა, და მომავალი, ისე როგორც წარსულიც მისი მხედველობის წინაშე გაიშლებოდა“ (Ev. 38). დ უ- ბ უ ა რ ა ი მ ო ნ ი და ჰეკელი კიდევ უფრო კონკრეტულ გამოხატულებას აძლევენ ლ ა პ ლ ა ს ი ს აზრს (Ev. 38). ასეთია მექანისტური მსოფლმხედველობა.

თავისთავად იგულისხმება, რომ სინამდვილის უმარტივესი ელემენტებისა და მისი შეერთების უმარტივესი კანონების ძიება, ამ მსოფლმხედველობის მიხედვით, გადამჭრელი მნიშვნელობის საქმედ ითვლება. მეცნიერების ისტორიამ საკმაოდ დაამტკიცა, რომ არაორგანიული ბუნების სფეროში, სადაც ჩვენ ხელოვნურად გამოყოფილსა და გამოცალკევებულ სისტემებთან გვაქვს საქმე, მექანისტურ მსოფლმხედველობას საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგების მოცემა შეუძლია, თავისთავად იგულისხმება, თუ რომ ჩვენ არაორგანიულისა და ორგანიული მატერიის ერთგვარობასა და ერთობას ვაღიარებთ, მექანიზმი ბიოლოგიური პროცესებისათვისაც გამოსადეგი და თანაბრად ნაყოფიერი აღმოჩნდება. და აი, სწორედ ეს ლოგიკური საბუთი შეიქმნა საკმარისი, რათა მექანისტურ მსოფლმხედველობას ბიოლოგიური სინამდვილის კვლევა-ძიების სფეროშიც გასავალი მოეპოვებია, მაგრამ ეს მხოლოდ ლოგიკური არგუმენტია, რომელსაც მექანისტები თავის გასამართლებლად მიმართავენ ხოლმე. მათი ნამდვილი საბუთი კი სულ სხვაა. იგი უფრო ბუნებრივი ხასიათის არის და მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ინტელექტს მხოლოდ მექანისტური თვალსაზრისით შეუძლია სინამდვილის შესახებ მსჯელობა.

ასეა თუ ისე, ორგანული მოვლენების ასახსნელადაც ნივთიერი ელემენტებისა და მათი მარტივი კანონების გამოძებნა მიაჩნიათ გადამწყვეტად. ფიზიკა-ქიმიას აქაც უკანასკნელის, გადამწყვეტი ხმის უპირატესობა ენიჭება. ამას თითქოს გამოცდილებაც საბოლოოდ ადასტურებს. ორგანული სინთეზების განხორციელება ქიმიაში ჩვეულებრივ საქმედ გარდაიქცა; ცნობილია ისიც, რომ ხელოვნურად ორგანიზმის განსაზღვრულ მოვლენათა გარეგანი სახის შექმნას ახერხებენ, მაგ:, არაპირდაპირი განწვალება უჯრედისა და პროტოპლაზმის ცირკულაციისა. (Ev. 34). გარდა ამისა, შესაძლოდ არის ცნობილი ერთუჯრედიანი ორგანიზმის, ყოველ შემთხვევაში, ამიობის მოძრაობანი მექანისტურად იქნენ ახსნილი. ასე რომ, მექანისტური მსოფლმხედველობის საფუძვლიანობა თითქოს ემპირიულადაც საბოლოოდ მტკიცდება.

მაგრამ ზოგი მეცნიერის აზრით, ცოცხალ ქსოვილებში ორგვარი პროცესი ხორციელდება: ა ნ ა გ ე ნ ე ზ ი ს ი, ე. ი. არაორგანულ ნივთიერებათა შეთვისების წყალობით შინაგანი ენერგიის სათანადო დონემდე აწევა (ეს ანაგენეზისია, რომ ქსოვილებს აახლებს), და კ ა ტ ა გ ე ნ ე ზ ი ს ი, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს და ენერგიის დაკარგვაში და არა გაძლიერებაში მდგომარეობს. ფიზიკა-ქიმიას მხოლოდ კატაგენეტურ პროცესებთან აქვს საქმე, ე. ი. არა სიცოცხლის, არამედ სიკვდილის ფაქტებთან (Ev. 35), და ბოლოსდაბოლოს, თუ საქმეს რიგიანად ჩავუკვირდებით, იძულებულნი ვიქნებით, Wilson - თან ერთად ჩვენც განვაცხადოთ, რომ „უჯრედის შესწავლა საერთოდ უფრო ადიდებს, ვიდრე ამცირებს იმ უზარმაზარ მანძილს, რომელიც არაორგანიულ სამყაროსა და სიცოცხლის უმარტივეს ფორმებს შორის არსებობს" (Ev. 38).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორგანული პროცესების მექანისტური თვალსაზრისით განხილვა უნაყოფო ცდის მეტს არსებითად არაფერს წარმოადგენს.

მაგრამ მათემატიკური სიმტკიცითა და სიცხადით ამის დასაბუთება შეუძლებელია. ხოლო თუ დამტკიცდება, რომ ბიოლოგიური ორგანიზმი მთლიანი, განუწვალებადი ინდივიდუმია, თუ დამტკიცდება, რომ ბიოლოგიურ პროცესშიც, ისე როგორც ფსიქიკურსა და მთლიანს მატერიალურ სამყაროშიც, არსებობის საფუძველი შემოქმედებითი პროცესი ანუ დროა, მაშინ ამით დასაბუთებული იქნება ხელოვნურობა, ერთის მხრივ, ცოცხალი ორგანიზმის ფიზიკურ-ქიმიურ ელემენტებად განწვალებისა და, მეორე მხრივ, შეუძლებლობა წარსულის განმეორებისა და მისი წინასწარმეტყველებისა. ეს კი უარყოფა იქნება იმ ძირითადი პრინციპებისა, რომელთაც მექანიზმი მთელი თავისი სიმძიმით ეყრდნობა. იგივე ითქმის საბოლოო მიზანთა თეორიის ანუ ტელეოლოგიზმის შესახებაც. მით უმეტეს ითქმის იგივე უკანასკნელის შესახებ, რომ ეს თეორია, ბოლოს და ბოლოს, მჭიდრო კავშირში იმყოფება მექანისტურ მსოფლმხედველობასთან და არსებითად შებრუნებული მექანიზმის მეტს არაფერს წარმოადგენს.

ისე როგორც მექანისტურ ჰიპოთეზაში, აქაც ყველაფერი იმთავითვე მ ო ც ე მ უ ლ ა დ არის ნაგულისხმევი. განა ტელეოლოგიზმი არ არის, რომ ფიქრობს: ყველა საგანი თუ არსი წინასწარ განსაზღვრულ პროგრამას ასრულებსო (Ev. 89). ტელეოლოგიზმს ამგვარად იგივე პოსტულატი აქვს, რაც მექანიზმს, ხოლო „იმ განსხვავებით, რომ საგანთა მოჩვენებითი თანამიმდევრობის განხილვის დროს იგი იმ სანათს, რომელსაც უნდა მივყვეთ, უკან კი არა, წინ სდგამს“ (Ev. 39). საქმე კი ამით სრულიად არ იცვლება, და ერთხელ მოცემული არე სინამდვილისა უცვლელად იგივე რჩება; მას ახალი სრულიად არაფერი არ ემატება.

ტელეოლოგიზმი ორის სახით გვევლინება: ერთი მხრივ, ფიქრობენ: მთელი მსოფლიო წინასწარ-განსაზღვრულ მიზანს ემორჩილება, და მას სრული მიზანშეწონილობა ახასიათებსო. მაგრამ ემპირიულად ყველასათვის ცხადად მტკიცდება, რომ ეს ასე არ არის: არა თუ არაორგანიულში, არამედ ორგანიულ სინამდვილის სფეროშიც ფაქტები სრულიად საწინააღმდეგოს ადასტურებენ: წესრიგის გვერდით უწესრიგობა, პროგრესთან ერთად სრული რეგრესი - აი ფაქტები, რომელიც ცოცხალი სინამდვილიდანაა ამოღებული.

ამიტომ მთლიანი მიზანშეწონილობის ადგილი, ზოგის შეგნებაში, ნაწილობრივი, ანუ ინდივიდუალური ორგანიზმის მიზანშეწონილობის ჰიპოთეზამ დაიკავა: „ხომ ცხადია, რომ ამ უკანასკნელში შრომის საოცარი განაწილება არის განხორციელებული, ნაწილთა გასაოცარი შეთანხმება, დაუბოლოებად სირთულესთან ერთად, წესრიგის სრულყოფა. ასე რომ, შეიძლება თითოეული ცოცხალი არსება მისთვის მიჩენილ გეგმას ახორციელებდეს"(Ev. 43). მართალია, გარეგანი მიზანშეწონილობა, რომლის მიხედვითაც თითქოს ერთი საგანი მეორისათვის არის გაჩენილი, მაგალითად, „ბალახი ძროხისათვის და კრავი მგლისათვის“, სასაცილოა, მაგრამ სამაგიეროდ არსებობს შ ი ნ ა გ ა ნ ი მიზანშეწონილობა: „თითოეული ცოცხალი არსება თავისთავისთვის არის შექმნილი, ყველა მისი ნაწილი ურთიერთს მთლიანის უდიდესი სიკეთისათვის ეთანხმება და ამ მიზნის მისაღწევად გონივრულ ორგანიზაციას ქმნის“ (Ev. 41).

მაგრამ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, თუ კი მართლა არსებობს რაიმე მიზანშეწონილობა, იგი უთუოდ გ ა რ ე გ ა ნ ი უნდა იყოს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქმნებოდა. საქმე ის არის, რომ

თუ რთული ორგანიზმის მიზანშეწონილობა მისი ნაწილების მთლიანისადმი სამსახურით გამოიხატება, რა გვიშლის ხელს, ვიფიქროთ, რომ თითოეული ეს ელემენტარული ნაწილი თვითონ წარმოადგენს ცალკე ორგანიზს და, მაშასადამე, უფრო რთულს ემსახურება. მაშინ ხომ დარღვეული იქნებოდა შინაგანი მიზანშეწონილობის ჰიპოთეზა, და მის ადგილას კვლავ გარეგანი მიზანშეწონილობის პრინციპი გაჩნდებოდა. თანამედროვე მეცნიერება საბუთიანად ამტკიცებს, რომ ორგანიზმის ელემენტარული ნაწილები და უჯრედები დამოუკიდებელ ცხოვრებას აწარმოებენ, რომ ფაგოციტები მაგ:, იმდენად „ავტონომიურნი" არიან, რომ თავის მკვებავ ორგანიზმს თვით ესხმიან თავს, ან რეგენერაციის მოვლენების დროს. ელემენტების ჯგუფი, რომელიც წინათ უბრალო მცირე ფუნქციით კმაყოფილდებოდა, სრულიად გარდაიქმნის და ზოგჯერ მთელი ორგანიზმის ექვივალენტობასაც კი სწევს (Ev. 45).

ამგვარად, „მიზანშეწონილობის დაქუცმაცება სრულიად არ აქცევს მას უფრო მისაღებად. ამიტომ ჰიპოთეზა სიცოცხლის მიზანშეწონილობის შესახებ ან სრულიად უნდა უკუგდებულ იქმნეს ანდა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, სულ სხვა აზრით უნდა იქმნეს შეცვლილი" (Ev. 43).

მიუხედავად ცხადი მცდარობისა, მექანიზმი და ტელეოლოგიზმი მაინც სამეცნიერო აზროვნების აუცილებელ ფორმებად დარჩებიან, და ეს იმიტომ, რომ „პირველიდანვე ჩვენ მისთვის ვაზროვნებთ, რომ ვიმოქმედოთ, და ჩვენი აზროვნებაც მოქმედების ფორმებში ისხმებოდა" (Ev. 47); ამ მხრივ, არც სამეცნიერო აზროვნება შეადგენს გამონაკლისს, და იგიც მოქმედების ფორმებში ჩამოყალიბდა. მექანიზმი და ტელეოლოგიზმი სწორედ ამ მოქმედების აუცილებელ ფორმებს წარმოადგენენ. მართლაც და, „მისთვის რომ ვიმოქმედოთ, პირველად მიზანს ვისახავთ, გეგმას ვადგენთ და შემდეგ იმ მექანიზმის დეტალებზე გადავდივართ, რომელმაც იგი უნდა განახორციელოს. ამგვარად, ადამიანის ცნობიერება, რამდენადაც იგი მოქმედების მოთხოვნილებათ ეფარდება, მდგომარეობს როგორც განზრახვაში, ისე აღრიცხვაშიც, რომელიმე მიზნისათვის საშუალებათა კოორდინაციაში და მექანიზმის სულ უფრო და უფრო გეომეტრიული ფორმებით წარმოდგენაში“ (Ev. 47). სრულიად ბუნებრივია ამიტომ, რომ ტელეოლოგიზმი უმეტეს შემთხვევაში ძალიან უახლოვდება წმინდა მექანისტურ შეხედულებას.

რა საშუალებით ცდილობს მექანიზმი, სიცოცხლის პროცესების თავისებურება ახსნას? ჩვენ ვიცით, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე ერთი და იგივე ორგანოები ჩნდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმის განვითარების პირობები სხვადასხვაგვარნი არიან. უნდა ვიფიქროთ, რომ მექანიზმის წინაშე, რომლისთვისაც დებულება: „ერთგვარი მიზეზები ერთგვარ შედეგებს იძლევიან“, არსებით ჭეშმარიტებას შეადგენს. ამ შემთხვევაში უძლეველი დაბრკოლება იზრდება. მართლაც და, როგორ შეიძლება სხვადასხვა პირობებში ერთი და იმავე ორგანოების წარმოშობა, თუ რომ ერთგვარი მიზეზები ყოველთვის ერთგვარ შედეგებს იძლევიან?

მექანიზმი ამ დაბრკოლების გვერდის ახვევას შეგუების ცნების დახმარებით სცდილობს. მაგრამ ამ ცნების ბუნება თანამედროვე ბიოლოგიაში ორგვარად არის განმარტებული: დარვინიზმისათვის შეგუება სრულიად არ წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომელსაც ორგანიზმში უშუალოდ რაიმე ცვლილების გამოწვევა შეეძლოს: არა, ცვლილება შემთხვევით ჩნდება, მაგრამ ასეთ შემთხვევით წამოჭრილ ცვლილებათა შორის მარტო ისეთები რჩებიან,

რომელთაც არსებობისათვის ბრძოლაში რაიმე განსაკუთრებით დადებითი მნიშვნელობა ენიჭებათ; ხოლო დანარჩენები, როგორც უსარგებლონი, მათი ორგანიზმის მატარებელთან ერთად იღუპებიან. ცხადია, რომ „შემთხვევითი ცვლილება, თუნდა სრულიად მინიმალურიც, უთუოდ მრავალი მცირე ფიზიკურისა და ქიმიური მიზეზების შედეგს წარმოადგენს. განა საფიქრებელია, რომ ეს წმინდა შემთხვევითი მიზეზები ყველანი ერთად და იმავე წესრიგით დროისა და სივრცის სხვადასხვა წერტილებზე განმეორდებიან? ამას არავინ იტყვის “ (Ev. 61), და თვითონ დარვინიზმიც იმ აზრს იზიარებს, რომ, თუმცა ერთი და იგივე მიზეზი ერთ და იმავე შედეგს იძლევა, ერთი და იგივე შედეგი მაინც შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. მაგრამ აქ ერთი რამ ავიწყდებათ: ავიწყდებათ ის, რომ ორგანიზმის ესა თუ ის მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ბოლოს და ბოლოს რთულ ორგანოდაც კი იქცევა, არსებითად ყველა წინამსრბოლი მცირე ცვლილების ჯამს წარმოადგენს და, ასე ვთქვათ, მათ სახეს შეიცავს; ავიწყდებათ, მაშასადამე, რომ აქ „მიზეზები თავის კვალს აჩენენ... შედეგებს და მასში კონსტიტუტიურ ელემენტებად შედიან (Ev. 62).

მაშასადამე, შედეგთა იგივეობა ასეთ შემთხვევაში ყოველთვის კონსტიტუტიურ ელემენტთა, ე. ი. მიზეზთა იგივეობასაც წარმოადგენს. ამგვარად ცხადია, რომ დარვინიზმი არსებითად სრულიად უძლურია, თავისი თვალსაზრისი მტკიცედ დაიცვას და სხვადასხვა პირობებთან შეგუების ცნების მეშვეობით, ერთსა და იმავე ორგანოს წარმიშობა ახსნას, ვინაიდან მაშინ იგი მოვალე იქნებოდა განემარტებია, თუ როგორ მოხდა, რომ ეს უამრავი მიზეზი სხვადასხვა დროსა და სივრცეში ერთი და იმავე სახით განმეორდენ, ე. ი. შეუძლებელი როგორ შეიქმნა შესაძლებელი?

რომ ავიღოთ ერთი რომელიმე კერძო კონკრეტული შემთხვევა, მაგ:, თვალის განვითარება სხვადასხვა ორგანიზმებში, მაშინ დარვინიზმის მცდარობა კიდევ უფრო ნათელი შეიქმნება. დარვინიზმის თვალსაზრისის მიხედვით, როგორც ვიცით, პირველად ერთი რომელიმე შემთხვევითი ხასიათის ცვლილება ჩნდება, რომელიც, იმ შემთხვევაში, თუ რომ იგი სასარგებლო აღმოჩნდება, ზრდას განაგრძობს და ბოლოს რთული ორგანოს სახეს მიიღებს. ეს ცვლილების ზრდა შეიძლება ორგვარად იყოს წარმოდგენილი: ან როგორც ნელი, ოდნავ შესამჩნევი და თანდათანობითი, როგორც თვითონ დ ა რ ვ ი ნ ი ჰფიქრობდა, ანდა უფრო სწრაფი და ნახტომებით ზრდადი, როგორც ამას ჰ უ გ ო დ ე ფ რ ი ზ ი ს თეორია გულისხმობს. მაგრამ როგორც უნდა წარმოვიდგინოთ ეს ცვლილებები, სულ ერთია, ისეთი ორგანოს წარმოშობის ახსნას, როგორიც არის, მაგ:, თვალი, მარტო მათი დახმარებით მაინც ვერ შევძლებთ მართლაც და, თუ რომ ამ ცვლილებებს ნელი და თანდათანობითი სახით წარმოვიდგენთ, მაშინ სრულიად გაუგებარი დარჩება, თუ როგორ მოხდა, რომ წინასწარ წამოჭრილი ცვლილება მანამ არ ისპობა, სანამ მას შემდეგი ცვლილებები არ დაერთვის. რა ძალაა, რომ მას ახალი ცვლილების ზედდართვამდე ინახავს? თავისთავად იგი, რასაკვირველია, საჭირო ხანგრძლივობას ვერ შეინარჩუნებდა, ვინაიდან მას, როგორც მცირეს, ოდნავ შესაჩნევ ცვლილებას, რა თქმა უნდა, თვალის ფუნქციისათვის, მხედველობისათვის, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, და, მაშასადამე, როგორც უსარგებლო ცვლილება, თანახმად დ ა რ ვ ი ნ ი ს პრინციპისა, უთუოდ უნდა მოსპობილიყო, სანამ ახალი ცვლილებების ზედდართვის გამო რაიმე

სარგებლობის მოტანას ვერ შეძლებდა: „თუ რომ მხედველობითი აპარატის რომელიმე წერტილის შემთხვევითი ცვლილება, ამბობს ამ აზრით ბ ე რ გ ს ო ნ ი , ძალიან უმნიშვნელოა, იგი, რა თქმა უნდა, თვალის ფუნქციის შესრულებას ხელს ვერ შეუშლის; შემდეგ, ამ პირველს შემთხვევით ცვლილებას შეუძლია, ასე ვთქვათ, მოიცადოს, სანამ მას დამატებითი ცვლილებები ზედ არ დაერთვის და მხედველობას სისრულის უფრო მაღალ საფეხურამდე არ აიყვანს. ვთქვათ, რომ ეს ასეა; მაგრამ, თუ რომ შეუმჩნეველი ცვლილება ხელს არ უშლის თვალის ფუნქციის შესრულებას, არც ხელს უწყობს მას, სანამ დამატებითი ცვლილებები ჯერ კიდევ არ გაჩენილან; მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ როგორ ხდება, რომ იგი ბუნებრივი შერჩევის გამო ინახება?" (Ev. 70). ამიტომ ორში ერთი: ან უნდა უარვყოთ შეუმჩნეველ ცვლილებათა გზით თვალის წარმოშობის ახსნის შესაძლებლობა, ანდა უნდა იდუმალი ძალის, „კეთილმოქმედი გენიის არსებობა ვიგულისხმოთ, რომელიც განვითარების პროცესში ერევა და ამ ცვლილებების შენარჩუნებას მანამ უზრუნველჰყოფს, სანამ მათ ახალი ცვლილებანი არ დაერთვიან და ამ გზით სასარგებლოდ არ აქცევენ, რათა ხანგრძლივად დაცულ იქნენ".

ვთქვათ, რომ ჰ უ გ ო დ ე ფ რ ი ზ ი მართალია, და ორგანოს ცვლილებები უფრო სწრაფი გზით ხორციელდებიან. მაშინ პირველ შემთხვევით ცვლილებას მეორე შემთხვევითი, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილება დაემატებოდა, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც მნიშვნელოვანი და, მაშასადამე, სასარგებლოც, ბუნებრივი შერჩევის კანონის ძალით, შეინახებოდა, სანამ მას კვლავ საგრძნობი მნიშვნელობის ცვლილება არ დაერთვოდა.

მაგრამ საკმარისია ოდნავ ჩავფიქრდეთ, რომ ამ თეორიის უძლურებაც ნათლად განვიცადოთ. საქმე ის არის, რომ როგორც პირველ შემთხვევაში, ისე აქაც იმთავითვე ნაგულისხმევია, თითქოს სასარგებლო ცვლილებანი ყოველთვის გარემოებათა შემთხვევითი შეკავშირების, ან მატერიის მოძრავი ნაწილების შემთხვევითი შეხვედრის გამო ხდებოდეს, და მაშასადამე, როგორც ასეთნი, სრულიად შემთხვევითი ხასიათის იყვნენ.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შეიძლება, რომ სრულიად შემთხვევითი ხასიათის ცვლილება სასარგებლო აღმოჩნდეს? ხომ უეჭველია, რომ „როდესაც თვალის ბადურას ფაქიზი აგებულება ვითარდება და რთულდება, ასეთი პროგრესი არა თუ არ გააუმჯობესებს მხედველობას, არამედ გააუარესებს მას, თუ რომ მხედველობითი ცენტრები თვალის ორგანოს სხვადასხვა ნაწილთან ერთად ერთდროულად არ განვითარდენ. ხოლო სრულიად ცხადია, რომ, თუ ცვლილებანი შემთხვევითნი არიან, შეუძლებელია ისინი ორგანოს ყველა ნაწილში ისე ერთდროულად განხორციელდენ, რომ მან თავისი ფუნქციის შესრულება განაგრძოს" (Ev. 70). ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თვალის ცვლილებათა განვითარება რომ მექანიკურად კი არა, რომელიმე ცნობიერი ძალის ზეგავლენით წარმოებულიყო, რომელიც ამ შემთხვევაშიც იზრუნებდა იმის შესახებ, რომ შესაფერი მნიშვნელოვანი ცვლილებები ორგანოს სხვადასხვა ნაწილში ერთდროულად გამოეწვია და ამგვარად ისინი მართლა სასარგებლო შენაძენად გადაექცია. მაგრამ თუ რომ ასეთის ცნობიერი ძალის არსებობას მივიღებდით, მაშინ ორგანოს განვითარების მიმართულების მიმცემი მექანიკური შემთხვევითი პროცესები კი არა, სწორედ ეს შეგნებული ძალა იქნებოდა.

ამგვარად, ცხადია, რომ შემთხვევით ცვლილებათა თეორია არა თუ ვერ ხსნის ევოლუციის პროცესებს, არამედ ისეთ წინააღმდეგობათა ქსელში ებმის, რომ იქიდან მხოლოდ ერთადერთ გამოსავალს ჭვრეტს, და ეს გამოსავალი თავის თავის უარყოფაა.

დავანებოთ თავი დარვინიზმს და ახლა შეგუების პრინციპის მეორე ჰიპოთეზა განვიხილოთ. ბ ე რ გ ს ო ნ ს ამ შემთხვევაში Eimer -ის ორთოგენეზისის ჰიპოთეზა აქვს მხედველობაში, რომლის მიხედვითაც შეგუება შეუფერებელ ცვლილებათა დაღუპვასა და შესაფერისთა შერჩევას როდი ნიშნავს, არამედ თვით ცვლილებათა წარმოშობას ხსნის. ე ი მ ე რ ი ს დაკვირვებათა მიხედვით დამტკიცდა, რომ გარეშე პირობათა ზეგავლენით არა მარტო ორგანიზმის ისეთი მეორეხარისხოვანი თვისებები იცვლებიან, როგორიც არის მაგ:, ფერი, არამედ სხვადასხვა პირობების ზეგავლენით ერთი და იმავე ორგანიზმის ჩანასახიც იმდენად განსხვავებულ სახეს ღებულობს, რომ მას სრულიად განცალკევებულსა და დამოუკიდებელ სახედ თვლიან: აქედან დასკვნა ცხადია: გარეშე პირობები უშუალოდ მოქმედებენ ორგანიზმზე და მასში შესაფერის ცვლილებებს იწვევენ; ამიტომ ყველგან, სადაც ერთი და იმავე ცვლილებასთან გვაქვს საქმე, პირობებიც ერთი და იგივე უნდა ვიგულისხმოთ; აქ უკვე უეჭველია, რომ ერთი და იგივე შედეგები ერთ და იმავე მიზეზებით უნდა იყვნენ გამოწვეული. ამგვარად, ე ი მ ე რ ი ს ორთოგენეზისის ჰიპოთეზის სახით ჩვენს წინაშე წმინდა მექანისტური თვალსაზრისი დგას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამდაგვარ ჰიპოთეზაში ცნება „შეგუება" ორაზროვნად იხმარება, და მხოლოდ ამ ორაზროვანი ცნების ხარჯზე ხერხდება, რომ ჰიპოთეზას გარეგნულად მაინც მთლიანი მექანისტური თვალსაზრისის სახე რჩება. მართლაც და, თუ გარეშე პირობების პირდაპირი ზეგავლენით ორგანიზმში განსაზღვრული ცვლილებები ჩნდება, და ორგანიზმის შეგუებაც სწორედ ასეთ ცვლილებათა შექმნაში მდგომარეობს, მაშინ, ცხადია, რომ ეს შეგუება შესაძლებელია, მართლა ორი განსხვავებული აზრით წარმოვიდგინოთ: ან იმ აზრით, რომ გარეშე პირობათა ფიზიკურ-ქიმიური ზეგავლენის გამო ორგანოში ისეთი ცვლილებები ჩნდება, რომ ისინი გარეშე პირობებისათვის უფრო შესაფერისნი არიან; ან და იმ აზრით, რომ ამავე პირობათა ზეგავლენით თვალში ისეთი ცვლილებები იჩენენ თავს, რომ მას შესაძლებლობა ეძლევა, სულ უფრო უკეთა და უკეთ ისარგებლოს ამ პირობებით. „პირველ შემთხვევაში ნივთიერება მხოლოდ ემორჩილება ზეგავლენას; მეორე შემთხვევაში იგი თვით ახდენს ზეგავლენას აქტიურად, იგი ხსნის ამოცანას" (Ev. 76). როდესაც ვამტკიცებთ: თვალი უკეთ შეეგუა სინათლესთქო, უეჭველია, ის კი არა გვაქვს მხედველობაში, რომ იგი სინათლის ზეგავლენას პასიურად განიცდის და ამის გამო იმდაგვარად იცვლება, რომ სინათლის ზეგავლენის ბეჭედს ატარებს, არამედ ის გვაქვს მხედველობაში, რომ მასში ისეთი ცვლილებები განხორციელდა, რომ იგი სინათლის პირობებით ორგანიზმის სასარგებლოდ სულ უფრო უკეთა და უკეთ სარგებლობს. და თუ ეს ასეა, განა ცხადი არ არის, რომ სინათლის ფიზიკურ-ქიმიურ გავლენას სრულიად არ შეუძლია ისეთი ცვლილებები გამოიწვიოს თვალში, რომ მისი ფუნქცია პროგრესიულად გაუმჯობესდეს? თვალი ხომ მარტო პიგმენტის ლაქას არ წარმოადგენს? იგი ტვინთან არის დაკავშირებული, და ამ გზით მთელ ნერვიულ სისტემასთანაც. და თუ ეს ასეა, ხოლო თუ, მეორე მხრივ, ყველა ამ რთულ ცვლილებას სინათლის ზეგავლენა იწვევს, მაშინ ცხადია, რომ ეს ზეგავლენა გაცილებით უფრო

მიზანშეწონილად მომქმედი ნებისყოფის გამოსახულებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ეს უკიდურეს ტელეოლოგისტს შეუძლია წარმოიდგინოს.

ამგვარად, გარეგნულად ე ი მ ე რ ი ს წმინდა მექანისტური ჰიპოთეზა, ისე როგორც დ ა რ ვ ი ნ ი ს ა ც, ბოლოს და ბოლოს იძულებული ხდება თავის ძირითად პრინციპებს თვითვე უღალატოს.

სულ სხვაგვარია ნეოლამარკიზმი. მისი შეხედულებით, ორგანიზმის ცვლილებები ხდება არა გარეშე პირობათა ზეგავლენით, არამედ ვითარდება ორგანოთა ვარჯიშის გამო. ხოლო ორგანოთა ამა თუ იმ მხრივ ვარჯიში სავსებით იმ მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული, რომელიც ორგანიზმს აქვს. ამგვარად, ამა თუ იმ ორგანოს წარმოშობა და განვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: თუ წინაპრებსა და შთამომავლობას ერთი და იგივე მოთხოვნილებები ჰქონდათ, ისინი იძულებულნი იქნებოდენ, ერთი და იგივე ორგანოები ევარჯიშებიათ და მათში თანდათანობით სხვადასხვა ცვლილებები გამოეწვიათ. ესენი ერთი თაობიდან მეორეზე უნდა გადასულიყვნენ, ახალ თაობათა ორგანოების ვარჯიშობის გამო გამოწვეულს ახალ ცვლილებებს დამატებოდენ და, ამგვარად, ბოლოს და ბოლოს, რთულ ორგანოდ განვითარებულიყვნენ. თუ საქმეს ასე წარმოვიდგენთ, ცხადია, ადვილი ასახსნელი იქნება ისიც, თუ როგორ ხდება, რომ ზოგჯერ განვითარების სხვადასხვა ხაზებზეც კი ერთი და იგივე ორგანოები ჩნდებიან: „ერთსა და იმავე მისწრაფებას ერთი და იმავე პირობებით სარგებლობისადმი ერთსა და იმავე შედეგებამდე მივყავართ, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ რომ გარეშე პირობების მიერ წამოყენებული ამოცანის ახსნა მხლოდ ერთი გზით არის შესაძლებელი“ (Ev. 81).

მაგრამ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, ნეოლამარკიზმის ძირითადი პრინციპი, რომელიც ინდივიდის მიერ მოპოვებულ ცვლილებათა გადაცემის შესაძლებლობას მემკვიდრეობის გზით გულისხმობს, აღარ შეეფერება ბიოლოგიური მეცნიერების აწინდელ მდგომარეობას.

ბ ე რ გ ს ო ნ ს მხედველობაში აქვს ვ ე ი ს მ ა ნ ი ს გამოკვლევები, რომელთა მიხედვითაც მემკვიდრეობის მატარებლად არა სომატიური, არამედ ჩანასახის უჯრედები უნდა ჩაითვალონ. და, მაშასადამე, თაობიდან თაობაზე არა ინდივიდუალური, ცხოვრებაში შეძენილი თვისებები და ჩვეულებები უნდა გადადიოდენ, არამედ ის ბუნებრივი მიდრეკილებანი, რომელნიც ჩანასახის პლაზმის მეშვეობით ერთი თაობიდან მეორეზე გადადიან. ამგვარად, მემკვიდრეობა მხოლოდ იმ ცვლილებებს ეხება, რომელიც ჩანასახის პლაზმაში ხორციელდება და ამ სახით მრავალი გენერაციის შემაერთებელ ძაფად გამოდის. ბ ე რ გ ს ო ნ ი სავსებით იზიარებს ვ ე ი ს მ ა ნ ი ს აღნიშნულ შეხედულებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ცვლილებას, რომელსაც მისი ჰიპოთეზისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. იგი ფიქრობს, რომ, მართალია მემკვიდრეობის მატარებლად არა სომატიური, არამედ ჩანასახის უჯრედები უნდა ჩაითვალონ, მაგრამ ამ უკანასკნელთა განსხვავებანი შეუძლებელია სრულიად შემთხვევითად და ინდივიდუალურად ვაღიაროთ: „ჩვენ არ შეგვიძლია არ განვაცხადოთ, რომ ეს განსხვავებანი იმ იმპულსის განვითარებას წარმოადგენენ, რომელიც ინდივიდების მეშვეობით ჩანასახიდან ჩანასახზე გადადის, რომ ამიტომ ისინი უბრალო შემთხვევითი მოვლენები არ არიან, და რომ მათ სავსებით შეეძლოთ, გასჩენოდნენ ერთ და იმავე დროს და ერთი და

იმავე ფორმით ერთის და იმავე სახის თუ ყველა წარმომადგენელს არა, მათ განსაზღვრულ რიცხვს მაინც" (Ev. 93).

ასეთია ბ ე რ გ ს ო ნ ი ს კრიტიკა ტრანსფორმიზმის არსებული თეორიებისა: მისი აზრით, ყველა ეს თეორია, ვითარცა ინტელექტუალისტური, ბოლოს და ბოლოს, მექანისტურია, და როგორც ასეთი, ცხოვრების ევოლუციური პროცესების შემეცნებას მისი შემადგენელ ელემენტებად დაშლისა და ამ ელემენტების ხელახალი შეერთების დახმარებით ლამობს. შედეგი ასეთი ოპერაციისა ის არის, რომ ვერც ერთი აღნიშნული თეორია ვერ ახერხებს, თავის პრინციპულ გზას მტკიცედ დაადგეს და ფარულად და შეუგნებლად მაინც დასახმარებლად საწინაღმდეგო თეორიას არ მიმართოს. ცხადია, ინტელექტი ბიოლოგიური სინამდვილის სფეროშიც შემეცნების უძლურს იარაღად უნდა ჩაითვალოს, ხოლო მის მიერ შექმნილ ხელოვნურ პრობლემათა და წინააღმდეგობათა ხლართიდან გამოსავალს ისევ უშუალო, ინტუიტური შემეცნება უნდა იძლეოდეს.

ჩვენ საკმაოდ დავრწმუნდით, რომ სანამ ორგანულ სინამდვილეს იმთავითვე მოცემულ დამთავრებულ წრედ წარმოვიდგენთ, სანამ მის პრინციპად დებულებას: „ყველაფერი იმ თავითვეა მოცემული“, ვაღიარებთ, სანამ ამგვარად მის პროცესებს მექანიზმის სახით ვიგულისხმებთ, მანამ იძულებულნი ვიქნებით, ვთქვათ: ორგანული სინამდვილე ბურუსით არის მოცულლი. და ტრანსფორმიზმის ახსნის ცდა ყოველთვის მარცხით თავდება-თქო.

მაგრამ გადავცდებით თუ არა მექანისტური მსოფლმხედველობის და ტელეოლოგიზმის ვიწრო ჩარჩოებს, სიცოცხლე სულ სხვა სახით გაიშლება ჩვენს წინამე. ჩვენ მაშინ დავინახავთ, რომ ცალკე ნივთიერ საგანთა და ცოცხალ ორგანიზმთა შორის უდიდესი განსხვავებაა. თუ ნივთიერი განცალკევებული საგანი ხელოვნურად არის ჩვენი განცდის მთლიანი სინამდვილიდან ამოჭრილი, სამაგიეროდ, ცოცხალი ორგანიზმი გამოცალკევებული და გამოყოფილია ბუნებრივად: „იგი სხვადასხვა ურთიერთის შემავსებელი ნაწილებისაგან შედგება. იგი სხვადასხვას, ურთიერთის შემცვლელ ფუნქციებს ასრულებს. იგი ინდივიდია და არცერთს საგანზე, კრისტალზეც კი არ შეიძლება ითქვას ეს ასეთივე უფლებით, ვინაიდან კრისტალი არც ნაწილების სხვადასხვაობას შეიცავს და არც ფუნქციებისას“ (Ev. 13).

მაგრამ არის კი ეს ასე? მართლა შეიძლება ცოცხალი ორგანიზმი ინდივიდუმად ჩაითვალოს? საქმე ის არის, რომ სრული ინდივიდუალობა განწვალების შესაძლებლობას არსებითად ეწინააღმდეგება, და ამისდა მიხედვით, ცოცხალი ორგანიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩათვლილიყო ინდივიდუალურად, თუ რომ ვერც ერთი მისი ნაწილი ვერ შეძლებდა ცალკე ცხოვრებას, ნამდვილად კი ეს ასე არ არის; ამას გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ი ს ფაქტი ცხადად ამტკიცებს, ვინაიდან რა არის იგი, თუ არა აგება ახალი ორგანიზმისა ერთ-ერთი ნაწილისაგან, რომელთაც მეორე ორგანიზმს გამოეყო? Lumbriculus-ის ნაფლეთებს კვლავ უჩნდებათ თავი, და დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან; იგივე ემართება არსებითად ჰიდრასაც; ზღვის ბუძგის კვერცხის ნაწილები მთლიან ჩანასახად ვითარდებიან. ცხადია, აქ ორგანიზმის ნაწილებს სრულიად გამოცალკევებული ცხოვრების უნარი უნდა ახასიათებდეთ. მაშასადამე, სად არის აქ ინდივიდუალობა? მაგრამ ამას მხოლოდ ის იტყოდა, ამ ფაქტების გამო მხოლოდ ის უარყოფდა აღნიშნულ ორგანიზმთა ინდივიდუალობას, ვინც მექანისტური მსოფლმხედველობის ზეგავლენით ურყევად მიიჩნევდა იმ დებულებას,

რომლის მიხედვითაც „აწმყო წარსულზე მეტს არაფერს შეიცავს, და შედეგში მხოლოდ ის შეიძლება მოინახოს, რაც უკვე იყო მიზეზში“ (Ev. 14); მაგრამ ოდნავი დაკვირვებაც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ ცოცხალა ორგანიზმს საქმე არა აქვს მექანიზმთან, რომლისთვისაც ყველაფერი არსებულ ელემენტთა შეერთების მეტს არაფერს არ წარმოადგენს. თუ რომ ჩვენ მექანისტურ თვალსაზრისს თავიდან ავიცილებთ და ფაქტებს ისე შევხედავთ, მაშინ სრულიად არ გაგვიკვირდება, რომ წინათ ერთი ორგანიზმი იყო და შემდეგ იგი მრავალ ორგანიზმად გარდაიქცა; არ გაგვიკვირდება იმიტომ, რომ ახლა ხელს ვერაფერი შეგვიშლის, ცოცხალი ორგანიზმის დამახასიათებელ თვისებად ზრდა და უწყვეტი ცვალება მივიღოთ; ხოლო სადაც ასეთი რამ იქნება აღსარებული, რად უნდა იყოს გაუგებარი, რომ ცოცხალი ორგანიზმი ორად იყოფა, და თითოეული ნახევარი სრულ ინდივიდად გამოდის? ასე რომ, ორგანიულ სინამდვილეში, უეჭველია, ინდივიდუალური ორგანიზმის ახალ ინდივიდებად განწვალებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ინდივიდუალობის განმარტებას: „მისთვის რომ ინდივიდუალობა ვაღიაროთ, სრულიად არ არის საჭირო, რომ ორგანიზმს ცოცხალ ნაწილებად გაყოფა არ შეეძლოს. საკმარისია, თუ რომ ორგანიზმი, განწვალებამდე მაინც, ნაწილთა განსაზღვრულ სისტემატიზაციას წარმოადგენს, და თუ არსებობს მისწრაფება, რომ გაყოფილ ნაწილებშიც იგივე სისტემატიზაცია განახლდეს, ორგანიულ სინამდვილეში კი სწორედ ამას ვხედავთ“ (Ev. 15).

ამგვარად, ფაქტი ორგანულ მსოფლიოში ინდივიდუალობის რეალობისა ბერგსონს უნიჭო ჭეშმარიტებად მიაჩნია. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს ცოცხალი ორგანიზმი უეჭველად დასრულებული ინდივიდის სახეს ატარებდეს. საქმე ის არის, რომ ასეთ დასრულებულ ინდივიდებს ჩვენ ვერსად ვერ ვპოულობთ, და ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ვერც კი გვითქვამს, ინდივიდად უნდა ჩაითვალოს ესა თუ ის ორგანიზმი, თუ არა. ხოლო ეს საკვირველს არაფერს შეიცავს: ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან „მხოლოდ დასრულებულ ფაქტს შეუძლია მიიღოს ზედმიწევნითი განმარტება; სიცოცხლის თვისებები კი სრულად არასდროს არ არიან განხორციელებულნი: ისინი ყოველ წამს ხორციელდებიან, და იმდენად მდგომარეობას არ წარმოადგენენ, რამდენადაც ტენდენციას" (Ev. 14). მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ორგანულ მსოფლიოში ინდივიდუალობა უეჭველად არსებობს, მაგრამ არსებობს როგორც ტენდენცია, რომელსაც ყოველ წამს სხვა ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება უხდება.

ასეა თუ ისე, ყოველს შემთხვევაში, მაინც უდავოა, რომ ორგანული სფერო სინამდვილისა იმით განირჩევა არაორგანულისაგან, რომ აქ გამოცალკევებული საგნების ობიექტური რეალობა უნდა უარყოფილ იქმნეს, ხოლო იქ ცოცხალი ორგანიზმები რეალურ ინდივიდებად უნდა ჩაითვალონ. ასე რომ, პირველი შეხედვით მაინც, ორგანიული სინამდვილე თითქოს ცალკე დამოუკიდებელ ორგანიზმებად იშლება, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ, და ამიტომ მთელი ეს სინამდვილე ნაკლებ მთლიანად უნდა წარმოვიდგინოთ, ვიდრე ანორგანიული მსოფლიო. დასკვნა მართლაც სამართლიანია, მაგრამ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ასე არ არის; ჩვენ დავრწმუნდებით, რომ სიცოცხლე მაინც მთლიანი მიმდინარეობაა, არა ნაკლებ მთლიანი, ვიდრე ნივთიერი სინამდვილე, ანდა თუნდ ჩვენი ცნობიერების მიმდინარეობაც. მაგრამ ჯერ ისევ

ინდივიდუალურ ორგანიზმს დავუბრუნდეთ. უშუალო დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ცოცხალი ორგანიზმის ცხოვრება დროში მიმდინარეობს, მაგრამ ეს დრო ის ჰომოგენური დრო როდია, რომელშიც ცალკე ნივთიერ საგნებსა და მოვლენებს ვათავსებთ: ჰომოგენური დრო მხოლოდ ჩარჩოა, რომელიც თვით საგნებზე არავითარ გავლენას არ ახდენს; ხოლო ის დრო, რომელშიც ცოცხალი ორგანიზმის პროცესები ხდება, სულ სხვაგვარია: იგი თვითონ შედის ამ პროცესებში. ანდა მათს ბუნებაზე, თავისი კბილების ბეჭედს სტოვებს; იგი თვით ამ პროცესების თანამიმდევრობაა, მათი ცვალებაა. ხომ ცხადია, რომ ყოველი დროის განმავლობაში ცოცხალი ორგანიზმი იცვლება და ბ ე რ დ ე ბ ა; მასში თანდათანობით შეუმჩნეველი ცვლილებები ხდება, რომელიც ურთიერთს ერთვის და ორგანიზმში თანდათანობით სულ უფრო და უფრო შესამჩნევ ცვლილებებს იწვევენ, მართალია, დ ა ბ ე რ ე ბ ი ს ფაქტი ორგანული სინამდვილის სფეროში ყოველთვის თანაბრად ნათელითა და ჩამოყალიბებული სახით არა ჩანს; მართალია, როდესაც ინდივიდუალობა მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, ძნელი გასარკვევია, რომელ ნაწილში ხდება დაბერების პროცესი; მაგრამ ეს არაფერს არ ამტკიცებს, ვინაიდან ორგანიულს სინამდვილეში დასრულებული ფაქტები არ არსებობს; იქ მთავარი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ა, მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ა, ხოლო ასეთი მიმართულების არსებობა ჩვენი უშუალო დაკვირვებისათვის უეჭველ ფაქტს წარმოადგენს, და „ყველგან, სადაც არის სიცოცხლე, შესაძლებელია დროის კვალიც მოინახოს" (Ev. 117).

მაგრამ რაში მდგომარეობს აქ დაბერების პროცესი? ბიოლოგიაში ეს საკითხი საკმაოდ საინტერესოდ ითვლება, და მისი გადაჭრა უმთავრესად მექანისტური თვალსაზრისის მიხედვით ხდება: მას უმთავრესად ორგანიული დაშლის მოვლენებს უკავშირებენ და მის მიზეზად სკლეროზს, უჯრედის პროტოპლაზმის ჰიპერტროფიას და დაშთენილ ნივთიერებათა მოგროვებას სთვლიან.

ნამდვილად კი სიბერის მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. „ჩვენ გვწამს, რომ ჩანასახისა და მთელი ორგანიზმის განვითარებას შორის სრული უწყვეტობა არსებობს. ბიძგი (la poussée), რომლის ძალითაც ცოცხალი არსება იზრდება, ვითარდება და ბერდება, წარმოადგენს იმავე ბიძგს, რომელმაც ემბრიონალური ცხოვრების ფაზისები გამოიწვია, ხოლო ჩანასახის განვითარება ფორმის მუდმივ ცვალებაში მდგომარეობს. ვინც მისი თანამიმდევარი ფორმების აღწერას მოისურვებდა, მას დაუბოლოებადი დრო დაჭირდებოდა, როგორც ეს ყოველთვის ხდება, როდესაც საქმე უწყვეტობასთან (continuité) გვაქვს ხოლმე. სიცოცხლე გაგრძელებაა იმ განვითარებისა, რომელიც ჯერ კიდევ დაბადებამდე დაიწყო. ამის დასამტკიცებლად ის გარემოება უნდა ჩავთვალოთ, რომ ხშირად არც კი შეგვიძლია ვთქვათ, რასთან გვაქვს საქმე: ორგანიზმთან, რომელიც ბერდება, თუ ჩანასახთან, რომელიც განვითარებას განაგრძობს... მეორე მხრივ, ისეთ ორგანიზმებში, როგორიც არის ჩვენი ორგანიზმი, იმგვარი კრიზისები, როგორც სქესობრივი მოწიფულობა ან თვიურის შეწყვეტა, რომელნიც ინდივიდის სრულ ცვლილებას იწვევენ, სავსებით ჩანასახის ცვლილებებს მოგვაგონებენ, - ამის მიუხედავად ისინი მაინც დაბერების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. თუმცა ყველაფერი განსაზღვრულ ასაკში და საკმაოდ სწრაფად ხდება, მაინც არავინ იტყვის, რომ ისინი გარედან ex abrupto ჩნდებიან, მარტო იმიტომ, რომ განსაზღვრული ასაკია

მიღწეული, იმდაგვარად, როგორც ოცი წლის ასაკის მიღწევასთან ერთად სამხედრო ბეგარა იწყება. ცხადია, რომ სქესობრივი მოწიფულობის ცვლილება დაბადებიდან ან დაბადებამდე იწყება და მთელი ხნის განმავლობაში მზადდება; რომ ცოცხალი არსების ბერების პროცესი ამ კრიზისამდე ნაწილობრივ მაინც ამ მომზადებაში მდგომარეობს. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც არის სასიცოცხლო ბერების პროცესში, ფორმის განუწყვეტლივ, დაუბოლოებად მცირე ცვლილებას წარმოადგენს. უეჭველია, რომ ამ ცვლილებებს ორგანიული დაშლის მოვლენებიც სდევს თან, და სიბერის მექანისტური განმარტება სწორედ მათ უკავშირდება... მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ხილულ შედეგს წარმოადგენს შინაგანი მიზეზისას, ცოცხალი არსების განვითარება, ისე როგორც ჩანასახისაც, ხანიერობის განუწყვეტლივ აღნიშვნას, წარსულის განგრძობას აწმყოში და, მაშასადამე, ორგანიული მეხსიერების ერთგვარ მსგავსებას წარმოადგენს“ (Ev. 19-21).

ამგვარად, ცოცხალი ორგანიზმის რეალობა მის ხანიერობაში მდგომარეობს. იგი მარადის ცვალების პროცესშია ჩაბმული, და ეს ცვალება იმთავითვე მოცემული იმპულსის განვითარებას შეადგენს.

მაშასადამე, რამდენადაც ცოცხალი, ინდივიდუალური ორგანიზმი ამ პირველყოფილი ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ს წ რ ა ფ ვ ი ს ან იმპულსის (Elan vital) მატარებელია, მხოლოდ იმდენად არის შესაძლებელი პროცესი მისი თანდათანობითი დაბერებისა ან ცვალებისა. მექანიზმისათვის ორგანიზმის განვითარების თითოეული საფეხური ამ ცვლილებების ჯამს წარმოადგენს, ხოლო რა აერთებს მათ მთლიან ორგანიზმში, ეს მისთვის გაუგებარი რჩება; ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს კი საქმის მდგომარეობას სრული ნათელი ეფინება: გამოდის, რომ ყველა ეს ცვლილება შინაგანი მიზეზის, ს ი ც ო ც ხ ლ ი ს პ ი რ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი ს წ რ ა ფ ვ ი ს გამოაშკარავებაა და, მაშასადამე, რაგინდ სხვადასხვა სახის უნდა იყვნენ ისინი, როგორც გამოხატულებანი ერთის შინაგანი ძალისა, მაინც ერთი მთლიანი ორგანიზმის სახით ხორციელდებიან. - მეორე მხრივ, მექანიზმისთვის, რომელსაც ვერ მოუნახავს პრინციპი ორგანიზმის განვითარების მთლიანობისა და განუწყვეტლობისა, ევოლუცია, ბოლოს და ბოლოს, თითოეულს საფეხურზე ახლად დაბადებასა და მყის სიკვდილს წარმოადგენს. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს თვალსაზრისით კი საქმეს სხვა მიმართულება ეძლევა. მართლაც და, თუ ყოველგვარი ცვლილება იმთავითვე მოცემული იმპულსის ნიადაგზე ხორციელდება, მაშინ ცხადია, რომ ორგანიზმი თავისი განვითარების ყოველ საფეხურზე ხელახლა როდი იბადება, არამედ მისი განვითარება წარსულის აწმყოში უწყვეტ განგრძობას შეადგენს.

ცხადია, ამგვარად, რომ, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს, თითოეული ინდივიდუალური ორგანიზმი, რამდენადაც იგი პირვანდელი სიცოცხლის სწრაფვის მატარებელია, ცვლილებების მთლიან, უწყვეტ თანამიმდევრობათა სინთეზს წარმოადგენს, სინთეზს, რომელშიც ყოველივე წარსული კვლავ სიცოცხლეს განაგრძობს და ინდივიდუალური ორგანიზმის სიცოცხლის პროცესს, ადამიანის სულიერი ცხოვრების მსგავსად, უწყვეტი შემოქმედების პროცესად ხდის. ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ მ ი ს ს ი ც ო ც ხ ლ ე, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ხ ა ნ ი ე რ ო ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს.

მაგრამ თუ ეს ასეა, ხოლო თუ, მეორე მხრივ, თითოეული ცოცხალი ორგანიზმი დამოუკიდებელი ინდივიდუუმია, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ ს ი ც ო ც ხ ლ ე ს ა ზ ო გ ა დ ო დ განყენების მეტს არაფერს შეიცავს, რომ

რეალურად იგი არ არსებობს, რომ, პირიქით, კონკრეტულ სინამდვილეში სწორედ იმდენი დამოუკიდებელი სიცოცხლის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ, რამდენი ინდივიდუალური ორგანიზმიც არსებობს. მაშინ სიცოცხლის ზოგადი მიმდინარეობის შესახებ ლაპარაკი სრულიად ზედმეტი იქნებოდა, და მის მთლიანობაზე ერთხელ და სამუდამოდ ხელის აღება დაგვჭირდებოდა.

მაგრამ სიცოცხლის პროცესების ყურადღებითი შესწავლა სულ სხვა პერსპექტივას შლის ჩვენს წინაშე. გვახსოვს, რომ, როგორც კი უნდა იყვნენ სიცოცხლის განვითარების შტოები ურთიერთს დაშორებულნი, რა გინდ განსხვავებულსა და თავისებურ პირობებში უნდა უხდებოდეთ მათ ცხოვრება, მაინც შესაძლებელია, რომ თავისი ორგანიზაციის მხრივ ისინი ზოგჯერ ერთმანეთს უახლოვდებოდნენ.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ამ გარემოების აღნიშვნისა: ჩვენ დავინახეთ, რომ მიუხედავად ცხოვრების პირობების საკმაოდ დიდი განსხვავებისა, ხერხემლიან ცხოველებს და მოლუსკებსაც კი აქვთ საერთო ზოგი ისეთი რთული ორგანოები, როგორიც არის, მაგალითად, თვალი, მექანიზმისა და ტელეოლოგიზმისათვის ამ გარემოების ბუნებრივი ახსნა ბოლოს და ბოლოს სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ მართალია არსებითად უნაყოფოა, მექანიზმსა და ტელოლოგიზმს გარეშე მაინც, ამ მოვლენის განმარტების ცდა? თუ აღმოჩნდა, რომ ეს არა თუ შეუძლებელი არ არის, არამედ მისი გაგება მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, მაშინ, ვინ იცის, შეიძლება სიცოცხლის მთლიანობის აღდგენა სწორედ ამ მხრივ შეიქმნეს მოსახერხებელი.

ბ ე რ გ ს ო ნ ი აღნიშნავს, რომ პრობლემის გადასაწყვეტად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმ კონტრასტის გათვალისწინებას აქვს, რომელიც თვალის ორგანოს უსაზღვრო სირთულესა და მისი ფუნქციის უკიდურეს სიმარტივეს შორის არსებობს. „ორი რამ გვაოცებს ისეთ ორგანოში, როგორიც არის თვალი: მისი აგებულების სირთულე და მისი ფუნქციის სიმარტივე. თვალი შესდგება მკაფიოდ გამოსახული ნაწილებისაგან, ხოლო დეტალები თითოეული ამ ნაწილისა პირდაპირ დაუბოლოებადია. თუ მაგ: მარტო ბადისებური გარსით დავკმაყოფილდებით, დავინახავთ, რომ იგი სამ ურთიერთზე შეწყობილ ნერვულ ელემენტს შეიცავს, - უჯრედებს მრავალპოლუსიანს, ორპოლუსიანს და მხედველობითს, - რომელთაგანაც თითოეულს თავისი ინდივიდუალობა აქვს და, უეჭველია, საკმაოდ რთულ ორგანიზმს წარმოდგენს, მაგრამ ესეც ამ გარსის ფაქიზი აგებულების მხოლოდ განმარტოვებულ სქემად უნდა ჩაითვალოს. მანქანა, რომელიც თვალს წარმოადგენს, მანქანათა დაუბოლოებადი რიცხვისაგან შედგება, რომელთაგანაც თითოეული უკიდურესად რთულ კონსტრუქციას შეიცავს, მაგრამ ამის მიუხედავად, მხედველობა მაინც მარტივ მოვლენას წარმოადგენს. იგი იმწამსვე ხორციელდება, როგორც კი გაიღება თვალი... და სწორედ იმიტომ, რომ ფუნქცია აქ მარტივია, ბუნების სულ მცირე გადახვევაც კი საკმარისი იქნებოდა ამ დაუბოლოებადად რთული მექანიზმის აგების დროს, რომ მხედველობა შეუძლებელი გამხდარიყო“ (Ev. 36).

მექანიზმსა და ტელეოლოგიზმს მხოლოდ ერთი მხარე აქვთ მიღებული მხედველობაში: ისინი თვალის მექანიზმის რთული კონსტრუქციის შესახებ ლაპარაკობენ, და ამ სირთულის ახსნას მცირე ცვლილებათა თანდათანობითი გართულების მეშვეობით ლამობენ. მაგრამ როგორ არის, რომ ეს თანდათანობითი ცვლილებანი მხედველობის აქტისთვის აუცილებელ ურთიერთდამოკი-

დებულებას იცავენ, ეს სრულიად გაუგებარი ხდება, და, მაშასადამე, თვით პრობლემაც გადაუჭრელი რჩება.

შეუძლებელია, რომ თვალის აპარატის საოცარი კონსტრუქცია ელემენტთა შეერთების გზით ხორციელდებოდეს, როგორც ეს მექანიზმსა და ტელეოლოგიზმს აქვს წარმოდგენილი. საქმე ის არის, რომ როდესაც ერთი და იგივე ობიექტი, ერთი მხრივ, მარტივად და, მეორე მხრივ, დაუბოლოებლივ რთულად გვეჩვენება, შეუძლებელია ორივე ამ მხარეს ერთი და იგივე მნიშვნელობა, ან და უკეთ, რეალობის ერთი და იგივე ხარისხი ჰქონდეს. ამ შემთხვევაში სიმარტივე თვით ობიექტს ეხება, ხოლო სირთულე იმ თვალსაზრისს, რომლითაც მას სხვადასხვა მხრივ მივმართავთ, იმ სიმბოლოთა კრებულს, რომლითაც მათ ჩვენი გრძნობები და ჩვენი ინტელექტი გვითვალისწინებს, ანდა უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, - „ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რ ი გ ი ს ელემენტებს, რომელთა მეშვეობითაც მას ვბაძავთ, მაგრამ, რომლებთანაც იგი არაა თანაზომიანია, რადგანაც სულ სხვა ბუნებისაა, ვიდრე ეს სიმბოლოები“ (Ev. 97).

ეს ნათლად ჩანს იმ უბრალო ანალოგიიდან, რომელსაც ბ ე რ გ ს ო ნ ი იმოწმებს: გენიალურმა მხატვარმა ტილოზე ფიგურა დახატა: ჩვენ შეგვიძლია, მისი სურათის პირი გადავიღოთ და ამისათვის სხვადასხვა ფეროვანი მოზაიკის ქვებით ვისარგებლოთ. არ უნდა თქმა, რაც უფრო რთულია სურათი, და რაც უფრო მეტია ჩვენი სურვილი უფრო ზედმიწევნით პირის გადაღებისა, მით უფრო მეტი და მრავალფეროვანი უნდა იყვნენ ის ქვის კუბებიც, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ. მხატვრისათვის კი ეს სიმრავლე სრულიად არ არსებობდა. სურათი მის ინტუიციაში მთლიანისა და მარტივი სახით იყო წარმოდგენილი. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი თვალები ისეა მოწყობილი, რომ მხატვრის ნაწარმოებში მოზაიკის მეტს ვერაფერს ვერა ვჭვრეტთ, და მის შემოქმედებას მხოლოდ მოზაიკის შეწყობისდაგვარი მუშაობით ვხსნით. მაშინ მხატვრის შემოქმედება პატარა ქვების შეგროვების სახით მოგვეჩვენებოდა, და ჩვენს წინაშე მექანისტური ჰიპოთეზა იდგომებოდა.ხოლო თუ ამ შეგროვებასთან ერთად განსაზღვრულ გეგმასაც ვიგულისხმებდით, მაშინ ჩვენს წინაშე საბლოოო მიზანთა თეორია იქნებოდა.

მაგრამ ნამდვილ პროცესს ვერც პირველსა და ვერც მეორე შემთხვევაში ვერ მივწვდებით, რადგანაც მასში კვადრატების შეერთების მსგავსი არაფერი არსებობს. ნამდვილად აქ მხოლოდ სურათია, ე. ი. უბრალო მოქმედება, რომელმაც თავისი ანარეკლი ტილოზე გამოსახა; მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ მას განვიცდით, იგი ჩვენს თვალში ათას საოცრად შეხამებულს კვადრატად იშლება, სწორედ ასევეა შესაძლებელი, რომ თვალი თავისი გასაოცრად რთული აგებულებით მხედველობის უბრალო აქტს წარმოადგენდეს. ეს აქტი ჩვენთვის უჯრედთა მოზაიკად ნაწილდება, და მათი წესრიგი მით უფრო საკვირვლად გვეჩვენება, რაც უფრო მთლიანი კრებულის სახით წარმოვიდგენთ მას (Ev. 98).

ასეა ჩვენი მოძრაობაც. იგი თავისთავად უბრალო აქტს შეადგენს, ხოლო თვალისათვის მთელი ხაზის სახეს ღებულობს, რომელიც ჩვენი ცნობიერებისათვის მოძრავი საგნის აურაცხელ მდებარეობათა კრებულს წარმოადგენს. უეჭველია, რომ ეს აურაცხელი მდებარეობანი და მათი წესრიგი თვითმოძრაობის განუწვალებადი აქტიდან გამომდინარეობენ. რა თქმა უნდა, ადამიანის გონებისათვის ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ ხდება, რომ ასეთი დაუბოლოებადი სირთულე ელემენტებისა და მათი შეერთებისა ისეთი მარტივი

აქტიდან გამომდინარეობს, როგორიც არის აქტი მოძრაობისა; ან და, თუ მხედველობაში თვალის რთულ მექანიზმს მივიღებთ, როგორ ხდება, რომ ბუნების უბრალო განუწვალებადი აქტი ელემენტების ამ საოცარ მიზანშეწონილ კომბინაციას ახორციელებს.

ძნელია ადამიანის გონებისათვის ამის შეგნება; და ძნელია იმიტომ, რომ იგი ასეთი რთული აპარატების წარმოშობას ბიოლოგიურ სფეროშიც წარმოების (fabrication) სახით ითვალისწინებს. „მაგრამ ერთია წარმოება, და მეორეა ორგანიზაცია. ადამიანისათვის პირველი ოპერაციაა დამახასიათებელი. ამის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ იგი ნივთიერების გამოყოფილ ნაწილებს კრებს და ამგვარად მათ მთლიანის სასარგებლო საგნის სახეს აძლევს. იგი პერიფერიიდან ცენტრისაკენ მიმდინარეობს, ან და, როგორც ფილოსოფოსები ამბობდნენ, მრავლიანობიდან ერთიანობაზე გადადის, ხოლო ორგანიზაციის მუშაობა, პირიქით, ცენტრიდან პერიფერიისაკენ მიიმართება. იგი იწყება ისეთ პუნქტზე, რომელიც თითქმის მათემატიკურ წერტილს წარმოადგენს, და მის გარშემო კონცენტრიული, სულ უფრო და უფრო ფართო ტალღების სახით ვრცელდება. წარმოება მით უფრო ენერგიულია, რაც უფრო მეტი ნივთიერებაა მის განკარგულებაში; იგი კონცენტრაციასა და შეკუმშვაში მდგომარეობს. ორგანიზაცია, პირიქით, აფეთქებას ჰგავს. მისთვის პირველად რაც შეიძლება ნაკლები ადგილი და ნაკლები ნივთიერებაა საჭირო. თითქოს საორგანიზაციო ძალები თავისი სურვილის წინააღმდეგ ვრცელდებოდნენ სივრცეში. სპერმატოზოიდი, რომელიც ჩანასახის ცხოვრების ევოლუციურ პროცესს ამოძრავებს, ორგანიზმის ერთ უმცირეს უჯრედთაგანს წარმოადგენს, და ისიც მისი სულ მცირე ნაწილი იღებს მონაწილეობას ამ პროცესში" (Ev. 100).

მაგრამ კიდევ არის სხვა, უფრო ძირითადი ხასიათის განსხვავებაც, რომელიც წარმოებასა და ორგანიზაციას შორის არსებობს. როდესაც ჩვენ რომელსამე რთულ საგანს ვაკეთებთ, ჯერ მის ნაწილებს ვამზადებთ, და მთლიანის კონსტრუქციაზე მხოლოდ შემდეგ გადავდივართ. ასე რომ, მთლიანში სრულიად ადვილად ვარჩევთ მის შემადგენელ ნაწილებს, რომელნიც ჩვენი წარმოების პროცესში მთლიანს წინ უსწრებდენ: „აქ რეზულტატი სავსებით წარმოადგენს მთელ მუშაობას, და მის თითოეულ ნაწილს რეზულტატის თითოეული ნაწილი სავსებით შეეფერება“ (Ev. 101).

სულ სხვაა ორგანიზაციის რეზულტატი. აქ მთლიანის ცალკე ნაწილები კი არ შეეფერებიან თვით მუშაობის ცალკე ნაწილებს, არამედ ასეთი შესაფერისობა მხოლოდ მთლიან რეზულტატსა და მთლიან საორგანიზაციო მუშაობას შორის არსებობს.

ასეთია განსხვავება წარმოებასა და ორგანიზაციას შორის. თვალის წარმოშობა, რასაკვირველია, ორგანიზაციის საქმეა, და როდესაც ჩვენი ინტელექტი ამ საორგანიზაციო პროცესს წარმოების სახით წარმოიდგენს, ცხადია, ასეთი რთული ორგანიზმის გენეზისი მისთვის სრულიად გაუგებარი რჩება: „მხედველობის აპარატის შექმნა ისევე ვერ აიხსნება მისი ანატომიური ელემენტების შეერთებით, როგორც არხის გაყვანა მიწის დაგროვებით, რომელიც მისი კედლებისათვის იყო საჭირო“.

ამგვარად ამა თუ იმ ორგანოს გენეზისის პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: არსებობს შინაგანი, განუწვალებადი აქტი, რომელიც თავისი განვითარების პროცესში ნივთიერების სახით ერთგვარ დაბრკოლებას ხვდება, და ამ დაბრკოლების გადასალახავად ის თავისებური პროცესი იწყება,

რომელსაც ორგანიზაცია ეწოდება. ნივთიერება ამ ორგანიზაციის მუშაობის პროცესში განსაკუთრებული აპარატის სახეს ღებულობს, და რადგანაც საორგანიზაციო მუშაობისა და მისი შედეგის ნაწილებს შორის კი არა, მთლიან მუშაობასა და მის მთლიან რეზულტატს შორის არსებობს შესაფერისობა, ამიტომ, თავისთავად იგულისხმება, რომ როგორც მთლიანი და განუწვალებადია შინაგანი საორგანიზაციო აქტი, ისე მთლიანი და განუწვალებად უნდა იყოს თვით ორგანოს წარმოშობაც, რომელსაც ეს აქტი იწვევს.

თუ მართლა ასეთია ორგანოს წარმოშობის პროცესი, მაშინ სრულიად გასაგებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თვალის მექანიზმის შემოქმედების პროცესში ყოველგვარი ცვლილებები, რომელიც მასში ხორციელდება, ისეთი განსაზღვრული კოორდინაციით ხდება, რომ იგი თვალის ფუნქციის განვითარებას ხელს არასდროს არ უშლის. ან კი როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს, თუ რომ აპარატის შექმნა ერთბაშად და დასრულებულის სახით, და არა ნელი და თანთანობითი ცვლილებების ურთიერთ დართვის მეშვეობით ხდება. ერთხელ და სამუდამოდ რომ სრული ნათელი მოეფინოს ბერგსონის მიერ აღმოჩენილ გზას ევოლუციისას, გავითვალისწინოთ ერთი ანალოგია კიდევ. ტყუილად კი არ უყვარს ბერგსონს ანალოგიები. თუ სავსებით არ ძალუძთ მათ ფილოსოფოსის ინტუიციის გაშუქება, ყოველ შემთხვევაში ადამიანის ცნობიერების აღძვრა მაინც შეუძლიათ ამ ინტუიციის მიმართულებით. ამ მხვრივ ისინი ფილოსოფოსს მეტ დახმარებას უწევენ, ვიდრე ცნებათა საშუალებით დისკურსიული განვითრება ლოგიკური აზროვნებისა.

„წარმოვიდგინოთ, რომ მოძრაობს ჩვენი ხელი, მაგრამ მოძრაობს არა ჰაერში, არამედ რკინის ნახერხებში, რომელნიც ჩვენს მოძრაობასთან ერთად იკუმშებიან და გვეწინააღმდეგებიან. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ხელი ძალებისაგან იცლება: ამ მომენტში ნახერხები შეერთდებიან და განსაზღვრული ფორმის სახეს მიიღებენ, სახელდობრ, გაჩერებული ხელისა და სხეულის მოსაზღვრე ნაწილების სახეს. წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ვერც ხელს ვხედავთ და ვერს სხეულის აღნიშნულ ნაწილს. მაშინ უეჭველია, რომ ამ ფორმის მიზეზის ძიებას თვით ნახერხებსა და მათი შეერთების შინაგან ძალებში დაიწყებენ. ზოგი თითოეული ნახერხის მდებარეობას ახლობელი ნახერხების ზედმოქმედებით ახსნის; - ესენი მექანისტური განმარტების მომხრენი იქნებიან. სხვები იტყვიან, ამ ელემენტარული აქტების წვრილმანებს მთლიანის გეგმა ხელმძღვანელობდაო; ესენი მიზანშეწონილობის მომხრეები არიან. ნამდვილად კი აქ ნახერხებში ხელის მოძრაობის უბრალო განუწვალებადი აქტის მეტი არაფერი ყოფილა; თვალუწვდენელი წვრილმანები ნახერხების მოძრაობისა და მათი საბოლოო განაწილების წესრიგი მხოლოდ უარყოფითად გამოსახავენ ამ განუწვალებად მოძრაობას და მათი წინააღმდეგობის მთლიან ფორმას, და არა მოქმედებათა დადებითი ელემენტების სინთეზს წარმოადგენენ. თუ რომ ამიტომ ნახერხების განაწილებას „შედეგს“ ვუწოდებთ, ხოლო ხელის მოძრაობას „მიზეზს", მაშინ არსებითად შესაძლებელი იქმნება ვთქვათ, რომ მთლიანი შედეგი მთლიანი მიზეზით აიხსნება, და მიზეზის ნაწილები სრულიად არ შეეფერებიან შედეგის ნაწილებს... იგივე ეხება მხედველობისა და მის ორგანოსაც. იმის მიხედვით, თუ რამდენად წინ მიდის განუწვალებადი აქტი, რომელიც მხედველობას შეადგენს, სწორედ ამდენადვე მზადდება ორგანოს ნივთიერებაც ერთად შეთანხმებული ელემენტების მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი რიცხვიდან. შეუძლებელია,

რომ იგი ნაწილობრივი იყოს. ვინაიდან რეალურ პროცესს, რომელიც მას ქმნის, ვიმეორებთ, ნაწილები არა აქვს“ (Ev. 103).

ამგვარად, ორგანოს წარმოშობა, რაგინდ რთული უნდა იყოს იგი, ყოველთვის მთლიანად ხორციელდება; ხოლო ის, რისი ევოლუციაც რეალურად ხდება, შინაგანი განუწვალებადი აქტია, რომელიც ორგანიზმის ტრანსფორმიზმს რეალურ საფუძვლად უდევს. ჩვენ ვიცით, თუ რა არის ეს განუწვალებადი აქტი. ბ ე რ გ ს ო ნ მ ა მას პირვანდელი სიცოცხლის სწრაფვა უწოდა (élan vital).

მაგრამ თუ ასეთია ორგანოს განვითარების პროცესი, მაშინ სრულიად გასაგები ხდება ის, პირველი შეხედვით, საოცარი მოვლენაც, რომლის მიხედვითაც ხშირად განვითარების სხვადასხვა ხაზებზეც კი ანალოგიური ან იგივეობითი ორგანოები ჩნდებიან: გასაგები ხდება, მაშასადამე, ის მსგავსებაც, რომელიც ადამიანისა და მოლუსკის თვალის აგებულებას შორის არსებობს. მართლაც და, თუ თვალის აპარატის განვითარებას ეს შინაგანი იმპულსის წინსვლა უდევს რეალურ საფუძვლად, მაშინ ცხადია, რომ ყველგან, სადაც ორგანიზმის ეს იმპულსი ან სწრაფვა თანაბარ დონეზე დგას, ორგანოც თანაბარი ფორმის უნდა იყოს, „ვინაიდან ორგანოს ფორმა მხოლოდ იმ ზომას გამოსახავს, რომლის ფარგლებშიც ფუნქციის ვარჯიშობა ხდებოდა" (Ev. 104).

ამგვარად, ორგანოების იგივეობა არსებითად იმპულსის იგივეობას ნიშნავს. ჩვენ ვხედავთ, მაშასადამე, რომ თითოეული ორგანიზმი რეალურად სიცოცხლის სწრაფვის ევოლუციის განსაზღვრული საფეხურის მეტს არაფერს შეიცავს. ხოლო რადგანაც, ტრანსფორმიზმის მოძღვრების მიხედვით, ორგანული ევოლუციის დასაწყისი უმარტივესი ორგანიზმით იწყება, ჩვენთვის უეჭველია, რომ სიცოცხლის იმპულსი, რომელსაც თითოეული ორგანიზმი ატარებს, სიცოცხლის პირვანდელი მთლიანი სწრაფვის განვითარების განსაზღვრულ სახეს წარმოადგენს. თუ ევოლუცია ამ იმპულსის მოქმედების ხაზზეა რეალურად დამყარებული, მაშინ ცხადი ხდება, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ორგანიული ცხოვრების განვითარების პროცესი. არის პირვანდელი სიცოცხლის სწრაფვა: იგი საფუძვლად უდევს ყოველ ცვლილებას, რომელსაც ადგილი აქვს იმ ჩანასახის უჯრედში, რომლის მატარებელიც არის ესა თუ ის ინდივიდი. ეს ცვლილება, როგორც ცვლილება ჩანასახის უჯრედისა, მეორე თაობის ინდივიდის ჩანასახში გადადის, და ასე ამგვარად მთელი სხვადასხვაობა ცოცხალ ორგანიზმთა გენერაციების ჩანასახის უჯრედთა უწყვეტი ძაფით ერთდება და ერთ მთლიან სინამდვილის მიმდინარეობას ქმნის. ამგვარად, ცხადად ჩანს, რომ ინდივიდუალურ ორგანიზმთა შორის აგებული რიდეები, რომლებიც, პირველი შეხედვით მაინც, ბიოლოგიურ სინამდვილეს დამოუკიდებელ ნაწილებად ყოფს, საბოლოოდ იმსხვრევა, და ორგანიული სინამდვილე ჩვენს წინაშე ერთი უწყვეტი რეალობის სახით იშლება.

ეს სინამდვილე, თავისი არსებით, პირვანდელი სიცოცხლის სწრაფვაა, რომელიც ნივთიერების წინააღმდეგობისა და მასში დამარხულ შესაძლებელობათა მრავალმხრივობის გამო განვითარების სხვადასხვა ხაზზე მიმდინარეობს, მაგრამ ყველგან თავისი პირვანდელი ბუნების არსს შლის. მისი ბუნება უწყვეტი შემოქმედებაა. მაშასადამე, წარსულის აწმყოში გადატანა, ზრდა ანდა ხანიერობა, - აი ის, რაც ბიოლოგიური სინამდვილის ევოლუციაში ერთადერთ რეალობად უნდა ჩაითვალოს.

დასასრულ შეიძლება აღინიშნოს ერთი გარემოება კიდევ. ბ ე რ გ ს ო ნ ი შეურიგებელი მოწინააღმდეგეა როგორც მექანისტური მსოფლმხედველობის,

ისე ტელეოლოგისტურისაც; მაგრამ, ერთი მხრივ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ერთიცა და მეორეც ადამიანის ინტელექტის ბუნებრივ მიდრეკილებას უფრო უწევენ ანგარიშს, ვიდრე სინამდვილის რეალური ბუნების თავისებურებას; ხოლო, მეორე მხრივ, - იმდენად, რამდენადაც ისინი თავიანთ სფეროს, ხელოვნური ნივთიერი სისტემების გათვალისწინების ფარგლებს, ცილდებიან და ბიოლოგიური სინამდვილის შემეცნების მონოპოლიურ უნარსაც იჩემებენ. მაგრამ ტელეოლოგიზმის წინააღმდეგობა ისე რადიკალური არ არის, როგორც წინააღმდეგობა მექანიზმისა; და ეს იმიტომ, რომ ტელეოლოგიზმი უფრო პლასტიურია, ვიდრე მექანიზმი, და მას ფორმათა მრავალმხრივობა ახასიათებს; ასე რომ, უარყოფთ თუ არა მის ერთ-ერთ ფორმას, იმწამსვე მეორესთან გექნებათ საქმე. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, ამიტომ, შესაძლებელი ხდება, ტელეოლოგიზმის ისეთი ფორმაც არსებობდეს, რომელიც ინტუიტურ შემეცნებას არა თუ არსებითად არ ეწინააღმდეგება, არამედ მას საუკეთესოდაც ეგუება. ასეთი

ტელეოლოგიზმის მიღება შესაძლებელიც არის და მიუცილებელიც; მაგრამ მაშინ იგი ტელეოლოგიზმის სრულიად ახალ ფორმად უნდა ჩაითვალოს, რომლის მსგავსიც არსებულ ბიოლოგიურ მეცნიერებაში არსად მოიპოება.

ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს ევოლუციის მამოძრავებელი რეალური საფუძველი, როგორც ვიცით, ფსიქოლოგიური ბუნების არის. იგი სიცოცხლის სწრაფვაა, რომელიც ჩანასახის უჯრედთა მეშვეობით ერთი თაობიდან მეორეზე გადადის და მათ უწყვეტ მთლიანობას რეალურ ფაქტად აქცევს. ამიტომ შესაძლებელი ხდება, ორგანიული მსოფლიო ჰარმონიული მთლიანის სახით წარმოვიდგინოთ. მაგრამ მაშინ ეს ჰარმონია, ჩვეულებრივი ტელეოლოგიზმის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, სრულად უნდა ჩათვლილიყო. ხოლო მეორე მხრივ, როგორც განხორციელება ერთხელ დასახული მიზნისა, მომავალს უნდა მიკუთვნებოდა. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს კი იგი არც სრულია, ვინაიდან „თითოეული გვარი და თითოეული ინდივიდი სიცოცხლის მთლიანი სწრაფვიდან მხოლოდ განსაზღვრულ იმპულსს ღებულობს და ამ ენერგიას თავისი საკუთარი ინტერესებისდა მიხედვით იყენებს“, და არც მომავალს ეკუთვნის, ვინაიდან „იგი დამოკიდებულია არა მისწრაფებათა ერთობაზე, არამედ იმპულსის იგივეობაზე“. პირიქით, სიცოცხლის იმპულსი ცოცხალ ორგანიზმს იმთავითვე აქვს მიღებული; მაშასადამე, იგი იმდენად წინ არ უნდა ვიგულისხმოთ, რამდენადაც უკან (Ev. 55); ამგვარად ბ ე რ გ ს ო ნ ი თავისებურ ტელეოლოგისტად უნდა ჩაითვალოს.

თავი V

ონტოლოგიური სინთეზი

1. ონტოლოგიური პრინციპი, როგორც ქმნადობის პროცესი...

ემპირიული სინამდვილის სფეროთა ონტოლოგიური სინთეზი. ონტოლოგიური პრინციპი, როგორც ქმნადობის პროცესი; ცვალება ინტელექტის პრიზმაში: რომელობა, ფორმა, მოქმედება, კინემატოგრაფიზმი ინტელექტუალური აზროვნებისა და მისი კალედეის-კოპიზმი.

ჩვენ ცალკე განვიხილეთ ემპირიული სინამდვილის სხვადასხვა სფეროები: ადამიანის ცნობიერება, არაორგანული მსოფლიო და სიცოცხლის პროცესები. ჩვენ დავინახეთ, რომ თითოეული მათგანი ადამიანის ინტელექტუალური შემეცნებისათვის სრულიად განსხვავებულს, სპეციალურ სახეს ღებულობს. იგი ჰომოგენური სივრცის არეში იშლება, და მისი პროცესები ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ელემენტთა წრეში მომწყვდეულის გარდუვალი აუცილებლობის კაუზალობით მიმდინარეობენ.

უშუალო ინტუიციამ სულ სხვა სურათი გაშალა ჩვენს წინაშე. მან შეძლო სინამდვილის სამივე სფეროს შინაგანი ბუნების არსის გაშიშვლება; მან შეძლო მისი ნამდვილი ბუნების იმ სახით განცდა, რომლითაც იგი ადამიანის გამოცდილების ზღურბლს გადაღმა არსებობს; და ჩვენ დავრწმუნდით, რომ ცნობიერების ცხოვრების არსს უწყვეტი შემოქმედებითი პროცესი ანუ ხანიერობა შეადგენს; ჩვენ დავრწმუნდით, აგრეთვე, რომ ერთი მხრივ არაორგანული ბუნება (არა თავისი შემადგენელი განკერძოებული ნაწილების მხრივ, არამედ მთლიანად), და მეორე მხრივ ორგანული სინამდვილეც უწყვეტსა და მთლიან შემოქმედებით პროცესს, მარადის დაუშრეტელ სიცოცხლის სწრაფვას შეიცავს, და რომ თავისთავად მისი რეალობაც ხანიერობის შემოქმედებითი პროცესით უნდა განისაზღვროს.

ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ სინამდვილის ყველა სფერო, რაგინდ უცხოდ, რაგინდ დაშორებულადაც უნდა გვეჩვენებოდნენ ისინი ურთიერთისაგან, თავისი ნამდვილი რაობით, ბოლოს და ბოლოს, მაინც ერთდებიან და ჩვენი უშუალო ინტუიციის არეში ერთ განუწყვეტელ ნაკადად მიმდინარეობენ; ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ემპირიული სინამდვილის შეურიგებელი წინააღმდეგობა თავისი ობიექტური რეალობის მხრივ ერთ პრინციპს ემყარება. მაგრამ ეს პრინციპი არ არის ჩვეულებრივი მონისტური პრინციპი. ჩვენ დავინახავთ, რომ აქ სრულიად განსხვავებულ, სრულიად თავისებურ მონიზმთან გვაქვს საქმე. მას ბევრი რამ ისეთი მოეპოება, რაც მას ზოგისთვის მაინც მკაფიოდ გამოკვეთილს, სრულიად ჩამოყალიბებული დუალიზმის სახეს აძლევს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს პრინციპი, რომელშიც სინამდვილის სხვადასხვა მიმდინარეობათა ონტოლოგიური სინთეზი ხდება, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა-

თ ვ ი ს ხ ა ნ ი ე რ ო ბ ა ს წარმოადგენს. ახლა ვნახოთ, როგორია მისი დამახასიათებელი თვისებები?

უწინარეს ყოვლისა, იგი პ რ ო ც ე ს ს, მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს შეიცავს. ჩვეულებრივი, ბუნებრივი მეტაფიზიკისათვის ონტოლოგიური გული სინამდვილისა ერთხელ და სამუდამოდ მოცემულის ჩამოყალიბებული სინამდვილის სფეროს სახით გვევლინება. ამ მხრივ შეიძლება ტიპიურად პ ლ ა ტ ო ნ ი ს იდეათა სამყარო ანდა ს პ ი ნ ო ზ ა ს ღვთაება ჩაითვალოს. — ადამიანის ინტელექტისათვის ქმნადობა, ან პროცესი სრულიად გაუგებარია; მას იგი მხოლოდ მას შემდეგ მიაჩნია გასაგებად, თუ რომ ჯერ წინასწარ ყოფნა იქნება ნაგულისხმევი. პ ლ ა ტ ო ნ ი ს იდეათა სამყარო აზრთა ამ მიმდინარეობიდან დაიბადა. მართლაც და, ხომ ცხადი იყო, რომ ადამიანის გამოცდილება ცვალების, მიმდინარეობის, ქმნადობის ფაქტს ადასტურებდა. ჰ ე რ ა კ ლ ი ტ ე მ საკმაო პოპულარობა მოუპოვა ამ ფაქტს. მართალია, ელეატებმა მისი სრული უარყოფა სცადეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თავის უარყოფითი მსჯელობის პროცესში ისე შორს წავიდენ, რომ იძულებულნი შეიქმნენ, სრულიად უკუეგდოთ ზოგი რამ ისეთიც, რაც უეჭველ რეალობას წარმოადგენდა. ამიტომ საჭირო იყო ისეთი მსოფლმხედველობის სისტემის აგება, რომელიც ცვალების ან ქმნადობის იდეას გასაგებად გახდიდა. ეს იყო მიზეზი, რომ პ ლ ა ტ ო ნ მ ა ქმნადობის სინამდვილეს უცვლელი რეალობის სფერო დაუდო საფუძვლად, ე.წ. იდეათა სამყარო, და ამ ცვალების გაგების შესაძლებლობა ამ გზით სცადა.

პ ლ ა ტ ო ნ ი ს კონცეფცია კლასიკური შეიქმნა, და ეს იმიტომ, რომ იგი საუკეთესოდ ეგუება ადამიანის ინტელექტის ბუნებრივ შეხედულებას. მართლაც და, როგორა გვაქვს ჩვეულებრივ წარმოდგენილი ქმნადობის პროცესი, და მართლა ასეთია ქმნადობა იმ რეალობისა, რომელიც ხანიერობის სახით მთელი ობიექტური სინამდვილის ონტოლოგიურ სინთეზს წარმოადგენს?

ბ ე რ გ ს ო ნ მ ა თავისი განსაკუთრებული ყურადღების საგნად დასახა ეს საკითხი, და ის პასუხი, რომელიც მან ბოლოს და ბოლოს მიიღო, უარყოფითი ხასიათის გამოდგა. ხანიერობის პირველი თვისების, მისი არსებითი ბუნების გასათვალისწინებლად აუცილებლად საჭიროა, მკაფიო ხაზი გატარდეს ქმნადობის იმ კონცეფციებს შორის, რომელთაგანაც ერთი ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს არის დამახასიათებელი, ხოლო მეორე - ტრადიციული ფილოსოფიური აზროვნებისათვის.

როგორ აქვს ადამიანის ინტელექტს ცვალების პროცესი წარმოდგენილი? ამ შემთხვევაში მისთვის სახელმძღვანელო ნიმუშს თვით ადამიანის მოქმედება წარმოადგენს. „ინტელექტის როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენს მოქმედებათ. მოქმედებაში კი ჩვენ მისი შედეგები გვაინტერესებენ; ხოლო საშუალებათ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, ოღონდ მიზანი კი იყოს განხორციელებული“ (Ev. 256). საკმარისია, ოდნავ გავითვალისწინოთ, თუ რა გვაქვს წარმოდგენილი, როდესაც მოქმედების შესახებ ვლაპარაკობთ, რათა იმწამსვე ნათელი შეიქნეს, ჩვენთვის რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მართლაც მხოლოდ მოქმედების მიზანი გვაქვს სახეში. ამგვარად, ერთი მოძრაობა ან მოქმედება ჩვენთვის მხოლოდ მიზნების მხრივ განსხვავდება მეორისაგან: „ინტელექტს მარტო მიზნები აქვს წარმოდგენილი მოქმედებაში, მიზნები, რომელნიც უნდა განხორციელდნენ (Ev. 256). მიზანი კი ის მომენტია, სადაც მოქმედება ჩერდება, თვით მოქმედება კი არა, მისი დასასრულია, მოძრაობა კი არა, უძრაობის წერტილია. - მაგრამ მისთვის, რომ „ჩვენმა

ცნობიერებამ მოქმედების შედეგის უძრავად წარმოდგენა შეძლოს, აუცილებელია, რომ ინტელექტმა ასევე უძრავად წარმოიდგინოს ის არეც, რომელშიც ეს შედეგი შედის“; ეს არე კი ნივთიერი მსოფლიოა, ამიტომაც ხდება, რომ ჩვენ აქაც ყველგან უძრაობის, ყველგან მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა თ ა ცვალების მეტს ვერაფერს ვხედავთ: თვით პროცესი ცვალებისა ჩვენი გონებისათვის დაფარულია: ჩვენ მხოლოდ იმ მდგომარეობათ ვჭვრეტთ, რომელსაც იგი ამა თუ იმ მომენტში აღწევს.

ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ სინამდვილეში მხოლოდ რ ო მ ე ლ ო ბ ა ს , ფ ო რ მ ა ს ა და მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს ვჭვრეტთ. მაგრამ როგორ გვაქვს თითოეული მათგანი წარმოდგენილი? რომელობა, როგორც უკვე გათვალისწინებული გვქონდა, რეალურად „ელემენტარულ მოძრაობათა უდიდეს რიცხვად იშლება... იგი „უეჭველია, ცვალებას წარმოადგენს “ (Ev. 258). მაგრამ ამ მოძრაობას, ამ ცვალებას ჩვენ სრულიად ვერ ვხედავთ; პირიქით, რომელობა მათ კონდენსაციას შეადგენს, რომელიც ჩვენი განცდის ერთ მომენტში ხორციელდება: იგი უფრო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა ჩვენთვის, ვიდრე ცვალება. — აიღეთ ფ ო რ მ ა, რომლის თანამიმდევრობის სახითაც ჩვენი გონების წინაშე ევოლუციის პროცესი იშლება. ჩვენ ვიცით, რომ ორგანული სხეული განუწყვეტლივ იცვლება, მაგრამ ეს ცვალება შეუმჩნევლად ხდება; „ხოლო როდესაც იგი იმდენად მნიშვნელოვანი შეიქმნება, რომ მას ჩვენი განცდის ინერტობის ძლევა შეეძლება, მხოლოდ მაშინ ვიტყვით: სხეულმა თავისი ფორმა იცვალა-თქო. ნამდვილად კი იგი ყოველ მომენტში ცვლის თავის ფორმას; უფრო მართებული იქნებოდა ამიტომ, თუ ვიტყოდით, რომ ფორმა საზოგადოდ არც კი არსებობს, იმიტომ, რომ ფორმა რაღაც უძრავია, სინამდვილე კი მოძრაობაა. ნამდვილია მხოლოდ განუწყვეტლივი ცვლილება ფორმისა; თ ვ ი თ ფ ო რ მ ა კ ი წ ა მ ი ე რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა ა მ ა თ უ ი მ პ რ ო ც ე ს ი ს ა " (Ev. 259). ამგვარად, ცხადია, რომ ჩვენი ცნობიერება მოძრაობის წარმოდგენას აქაც უძრავის საშუალებით ცდილობს.

როდესაც ჩვენ სხეულთა მოქმედების შესახებ ვლაპარაკობთ, ნამდვილად მოძრაობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ თვით მოძრაობას ვერც აქ ვამჩნევთ. როდესაც, მაგ: საქმე მარტივ მოძრაობას ეხება, ჩვენ მხოლოდ მისი მიმართულება გვაინტერესებს, ხოლო როდესაც საქმე უფრო რთულ მოძრაობასთან გვაქვს, მაშინ მისი მ ი ზ ნ ი ს შესახებ ვკითხულობთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით მოძრაობის ფაქტი ჩრდილშია დატოვებული, ხოლო ყურადღება უკვე შესრულებული აქტის უძრავი სურათისაკენ არის მიპყრობილი. მართლაც და, „ჩვენთვის ძალიან ძნელი იქნებოდა, წარმოგვედგინა მოძრაობა, რომელიც დაკავშირებულია ჭამასთან, სმასთან, ჩხუბთან და სხვ. ჩვენთვის სრულიად საკმარისია, თუ ზოგადი და გამოურკვეველი ფორმით მაინც ვიცით, რომ ყველა ეს მოქმედება მოძრაობას წამოადგენს... ამგვარად, შემეცნება მდგომარეობათ უფრო ეხება, ვიდრე თვით ცვალებას" (Ev. 260).

მაშასადამე, საერთო დასკვნა შესაძლებელია ასეთი იყოს: „ეხება საქმე რომელობით ცვლილებებში ევოლუციონურ მოძრაობას, თუ მოძრაობას ექსტენსიურს, სულ ერთია. ჩვენი გონება ყველგან ისწრაფვის, ცვალებას უძრავის თვალსაზრისის საშუალებით ჩაწვდეს. ამისთვის იგი...სამგვარი წარმოდგენით სარგებლობს: რომელობით, ფორმებით და მოქმედებით" (Ev. 260). სხვა საშუალება ჩვენს გონებას არ გააჩნია. და ალბათ ეს არის მიზეზი, რომ ადამიანის ენის პირველ ელემენტებს სიტყვების სწორედ ის კატეგორიები

შეადგენენ, რომელნიც აღნიშნულ წარმოდგენებს შეეფერებიან: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს ჩვენი ინტელექტი სავსებით უარჰყოფდეს ქმნადობის პროცესს, რომ იგი შეგნებულად მხოლოდ უძრავ ფორმათა, რომელობათა და მოქმედებათა რეალობას აღიარებდეს. არა, ქმნადობა მასაც რეალურად მიაჩნია: ხოლო მას ძალა არ შესწევს, მის მოძრავ ბუნებას სწვდეს და მისი ნამდვილი სახე წარმოიდგინოს. მაგრამ როგორ ცდილობს მაინც იგი, უძრავ მდგომარეობათა შეერთებით მოძრაობისა და ცვალების პროცესი ახსნას?

ეჭვი არ არის, რომ ქმნადობის (devenir) პროცესები დაუბოლოებად სხვადასხვაგვარნი არიან. წითელი ფერი სულ სხვაა, ვიდრე ლურჯი; ჩანასახი სხვაა, და მწერი, რომელიც ამ უკანასკნელიდან განვითარდა, სხვა; ჭამა და სმა სხვაა და ჩხუბი კიდევ სხვა. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე, რა თქმა უნდა, ცვალების პროცესი ან ქმნადობა დგას, მაგრამ თითოეული ეს პროცესი სრულიად განსხვავებული სახისაა, იმდენად განსხვავებულის, ინდივიდუალური სახის, რომ არსებითად არავითარი უფლება არა გვაქვს, ყველა ამ პროცესებს ერთი სახელი ვუწოდოთ. ამის მიხედვით, „ჩვენი განცდის და აგრეთვე ჩვენი ინტელექტისა და ენის ხელოვნურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ უაღრესად სხვადასხვაგვაროვანი პროცესებიდან ვიღებთ ერთიან წარმოდგენას რაღაც გამოურკვეველი ქმნადობის შესახებ საზოგადოდ; ეს აბსტრაქციაა, მაგრამ აბსტრაქცია, რომელიც თავისთავად არაფერს არ გვეუბნება, და რომლის შესახებაც ჩვენ ფიქრითაც კი იშვიათად ვფიქრობთ; ამ უცვლელსა და ამასთანავე ბნელ ან არაცნობიერ იდეას თითოეულს კერძო შემთხვევაში ერთს ან რამდენიმე ნათელ სახეს ვუერთებთ, რომელნიც მდგომარეობათ წარმოადგენენ და ყველა პროცესის ურთიერთისაგან განსასხვავებლად გვემსახურებიან. სწორედ ეს შეკავშირებაა განსაზღვრულ სპეციფიკურ მდგომარეობათა და გაურკვეველი ცვალებისა საზოგადოდ, რომ ჩვენ ამა თუ იმ სპეციფიკური ცვალების ადგილას ვათავსებთ. ჩვენს წინაშე სხვადასხვაგვარად შეფერილი პროცესების აურაცხელი მრავლიანობა მიმდინარეობს. მაგრამ ჩვენ მათში ფერთა უბრალო განსხვავების მეტის არაფრის დანახვას არ ვცდილობთ, ე. ი. მდგომარეობათა დანახვას, რომელთა ქვეშაც ყველგან და ყოველთვის ერთნაირი, უცვლელად უფერული პროცესი სიბნელეში მიმდინარეობს" (Ev. 261).

ბერგსონი ქმნადობის ასეთ ხელოვნურად აგებულ პროცესს, რომელიც ადამიანის ინტელექტუალური აზროვნებისათვის არის დამახიათებელი, კინემატოგრაფიულს უწოდებს: „ვთქვათ, ჩვენ გვსურს აღვადგინოთ ეკრანზე რომელიმე ცოცხალი სცენა, მაგალითად, ჯარის მოძრაობა. ამის მოხერხება სხვადასხვა გზით შეიძლება. შეიძლება, მაგალითად, ამოვჭრათ მოძრავი ფიგურები, რომელნიც თითოეულ ჯარისკაცს გამოხატავენ; გადავცეთ თითოეულ მათგანს იმგვარი მოძრაობა, რომელიც სიარულის დროს ხდება, ხოლო იმ სახით, რომ იგი თითოეულ ინდივიდს თავისებური ჰქონდეს, მაგრამ საერთო რამ, დამახასიათებელი კაცთა მთელი გვარისათვის მასში დაცული მაინც დარჩეს, და შემდეგ ყველაფერი ეს ეკრანზე გადავიღოთ. ამ მცირე საქმისთვის უეჭველია დიდი შრომის დახარჯვა იქნებოდა საჭირო, ხოლო რეზულტატი არც მაინც და მაინც ბრწყინვალე აღმოჩნდებოდა, ვინაიდან საეჭვოა, თუ რამდენად მოვახერხებდით ამ შემთხვევაში სიცოცხლის

მოქნილობისა და მრავალსახიანობის სრულ აღდგენას. მაგრამ არის მეორე გზაც, უფრო ადვილი და უფრო უტყუარიც: შეიძლება მოძრავი ჯარის მომენტალურ ფოტოგრაფიულ სურათთა მთელი წყების გადაღება, და შემდეგ მათი საპროექციო ეკრანზე ისე მოთავსება, რომ ერთი სწრაფად ცვლიდეს მეორეს. ასე იქცევა კინემატოგრაფი. ამგვარ ფოტოგრაფიათა მეშვეობით, რომელთაგანაც თითოეული მთელი ჯარის უძრავ მდგომარეობას წარმოადგენს, კინემატოგრაფი მიმავალი ჯარის მოძრაობას გამოხატავს. მართალია, ჩვენ რომ საქმე მარტო სურათებთან გვქონოდა, რამდენიც უნდა ჩავკვირვებოდით მათ, სულერთია, ისინი სიცოცხლეს მაინც ვერ გადმოგვცემდენ; მოძრაობას ვერასდროს ვერ მივიღებდით უძრავი ნაწილებიდან, რაგინდ უბოლოებადად ახლო უნდა ყოფილიყვნენ ისინი ურთიერთზე მიმოხვეულნი. მისთვის, რომ მათ სიცოცხლე გადაეცეთ, უთუოდ აუცილებელია, სადმე მოძრაობა არსებობდეს, და იგიც არის აქ, სახელდობრ, აპარატში. სწორედ იმიტომ, რომ კინემატოგრაფის ლენტი იშლება, და თითოეული სურათი განსაზღვრული სანახაობისა, რიგრიგობით, ურთიერთის გაგრძელებას წარმოადგენს, სწორედ ამიტომ ხდება, რომ სანახაობის თითოეული ნაწილი თავის მოძრაობას პოულობს. თითოეული ნაწილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აგებს თავის თანამიმდევარ მდგომარეობათ კინემატოგრაფიული ლენტის უხილავ მოძრაობაზე. ამგვარად, ეს გზა, საერთოდ, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა იმ მოძრაობიდან, რომელიც ყველა ფიგურას ეკუთვნის, ამოღებულ იქმნეს ერთგვარი, უპიროვნო მოძრაობა, განყენებული და მარტივი, მოძრაობა, ასე ვთქვათ, საზოგადოდ; მოთავსებულ იქნეს იგი აპარატში, და ამ საზოგადო მოძრაობის უძრავ ფიგურათა ცალკე მდგომარეობებთან დაუღლებით თითოეული კერძო მოძრაობის ინდივიდუალობა იქნეს აღდგენილი. კინემატოგრაფის ამოცანა სწორედ ამაში მდგომარეობს. ასეთივეა ამოცანა ჩვენი შემეცნებისაც. საგანთა შინაგანი პროცესის განხილვის მაგივრად ჩვენ მათ გარე ვთავსდებით, და ამ პროცესს ხელოვნურად ვადგენთ. მიმდინარე სინამდვილიდან ჩვენ თითქოს მომენტანურ სურათებს ვიღებთ, და ვინაიდან ეს უკანასკნელნი ამ სინამდვილისათვის დამახასიათებელნი არიან, ჩვენთვის საკმარისად ითვლება, თუ მას ერთგვარ, განყენებულს, ხოლო სახოვანს, უხილავს პროცესზე ავაგებთ, რომელიც ჩვენი შემეცნების აპარატის საფუძველზეა მოთავსებული, და ამგვარად იმას წავბაძავთ, რაც ამ პროცესისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს..." (Ev. 262).

ასეთია ქმნადობის პროცესი, რომელსაც ჩვენი ინტელექტი აზროვნობს. ცხადია, ნამდვილი, კონკრეტული ცვალებისა აქ არაფერი ჩანს. ამიტომ, ვისაც ქმნადობის ნამდვილი ბუნების ჭვრეტა სწადია, მან საბოლოოდ ხელი უნდა აიღოს მისი განცდის ინტელექტუალურ ძალისხმევაზე და სულ სხვაგვარ, უფრო მძიმეს, მაგრამ უფრო საიმედო ძალისხმევას მიმართოს: ინტუიციას, როგორც არა ერთხელ აღუნიშნავს ბერგსონს; თორემ ინტელექტს, უეჭველია, წმინდა პრაკტიკული ხასიათი აქვს. „თითოეულს ჩვენს მოქმედებას სახეში აქვს მხოლოდ შეჭრა ჩვენი ნებისა სინამდვილეში. ჩვენს სხეულსა და სხვა სხეულებს შორის ერთგვარი შეუღლება ხდება, რომელიც შეიძლება მინის ნაჭრების შეერთებას შევადაროთ, კალეიდოსკოპურ, ფიგურას რომ ქმნის... ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სინამდვილის შემეცნების კინემატოგრაფიული ხასიათი დამოკიდებულია მისდამი შეგების კალეიდოსკოპურ ხასიათზე" (Ev. 263).

საინტერესოა, რომ კინემატოგრაფიული შემეცნება ქმნადობისა განსაკუთრებით დამახასიათებელი შეიქნა საბერძნეთის ფილოსოფიისათვის: აქედან იგი ახალი ფილოსოფიის ისტორიაშიც შეიჭრა და მისი მეშვეობით თანამედროვე მეცნიერებასაც თავისი სპეციფიკური დაღი დააჩინა. მაგრამ მას შემდეგ, რაც თანამედროვე მეცნიერებაში კვლევა-ძიების საგნად თვით დრო გადაიქცა, ხოლო, მეორე მხრივ, ფილოსოფიაში, ჯერ ინგლისელებისა და შემდეგ განსაკუთრებით კ ა ნ ტ ი ს ცდით, მექანისტური მეტაფიზიკა ძლეულ იქნა, იმედი დაიბადა, რომ ფილოსოფია ახლად გადაშლილი ფართო პერსპექტივის მიმართულებით დაიწყებდა მოძრაობას და ამ გზით კინემატოგრაფიული აზროვნების ბადეს გაუსხლტებოდა. მაგრამ კ ა ნ ტ მ ა თვითონ დაუხშო ფილოსოფიას გასავალი მის მიერვე აღმოჩენილი პერსპექტივისაკენ; განა კ ა ნ ტ ი არ იყო, რომ სინამდვილის შემეცნების ერთადერთ ორგანოდ გონებას თვლიდა, ხოლო დროს მარტო შინაგანი განცდის ფორმად აღიარებდა; ამიტომ, კინემატოგრაფიზმი კვლავ დამახასიათებელი დარჩა თანამედროვე ფილოსოფიისა და მეცნიერებისათვის, და სინამდვილის უტყუარი სახე კვლავ დაუბოლოებად აუხსნელ პრობლემათა ტყეში დაიჩრდილა. აქედან ცხადია, რომ თუ სინამდვილის ონტოლოგიური პრინციპი ქმნადობის სახით უნდა წარმოვიდგინოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ, ეს ქმნადობა უძრავ მდგომარეობათა თანამიმდევრობას როდი შეიცავს, არა, იგი თვით მოძრაობაა, რომელიც ცვალების შუაგულში ხორციელდება და მთელი სინამდვილის მთლიანობას ხანიერობის უწყვეტობის სახით განამტკიცებს.

2. ონტოლოგიური პრინციპი, როგორც შემოქმედებითი პროცესი

ინტელექტუალიზმი და შემოქმედების შეუძლებლობის ცრუმორწმუნეობა. შემოქმედება და მთლიანი სამყარო. ენერგიის იგივეობისა და დეგრადაციის პრინციპები. შემოქმედება არასივრცითი პროცესია. რომელობითი მრავლიანობა და ონტოლოგიური პრინციპი. ანალოგიები ამის გასათვალისწინებლად, ონტოლოგიური პრინციპი, როგორც მეცნობიერება.

მეორე თვისება აბსოლუტური რეალობისა, რამდენადაც აქ თვისების შესახებ შეიძლება ლაპარაკი, ის არის, რომ იგი შემოქმედებით პროცესს წამოადგენს.

ინტელექტუალისტური ფილოსოფიისათვის, რომელიც არსებითად მექანისტურია, ყველაფერი იმთავითვეა მოცემული. ამიტომ მისთვის სრულიად შეუძლებელია, სამყაროში ოდესმე არსებითად ახალი რამ განხორციელდეს. ბ ე რ გ ს ო ნ ი ცდილობს, გაგვითვალისწინოს, რომ ინტელექტუალისტური აზროვნებისათვის ეს დასკვნა იმიტომ არის აუცილებელი, რომ იგი ერთ საბედისწეროს, იმთავითვე მიღებულ ცრუმორწმუნეობას ემყარება: მისთვის აბსოლუტური დრო არ არსებობს, და ამიტომ სამყარო ან მარადისობაშია მოცემული და ან შემოქმედებითს აქტში, რომელიც იმთავითვე ღვთაების არსებაშია ნაგულისხმევი. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს ეს ცრუმორწმუნეობა არ არსებობს. ამიტომ შემოქმედების ფაქტის აღიარებაში მას ხელს არაფერი უშლის.

მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს შემოქმედება? თუ ვიგულისხმებთ სამყაროს, როგორც საგანთა განსაზღვრულ ჯამს, მაშინ შემოქმედებითმა პროცესმა ამ ჯამს ახალი რამ უნდა დაუმატოს და ამ სახით იგი გაამდიდროს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბერგსონისათვის გამოცალკევებული საგანი ობიექტურ რეალობას არ წარმოადგენს, რომ იგი ჩვენი პრაქტიკული ზედმოქმედების მიერ ხელოვნურად შექმნილ მოვლენას შეცავს. ამიტომ ცხადია, რომ ხანიერობა, როგორც შემოქმედებითი პროცესი, სრულიად არ ქმნის ახალ საგნებსა და ახალ მოვლენებს; სამაგიეროდ, თუ მთელ სამყაროს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ სრული უფლება გვექნება ვთქვათ, რომ იგი განუწყვეტლივ ახალ სამკვიდროთა შემატების გამო იზრდება. ცხადია, მთელი სამყარო მარტო ჩვენი მზის სისტემით არ ამოიწურება: უეჭველია, იქ სხვა მზის სისტემებიც არსებობენ; მართალია, მათ შორის უთუოდ ერთგვარი კავშირი უნდა იყოს: ჩვენი მზე თავისი სისტემის გადაღმა ავრცელებს სითბოს, და მთელი სისტემა განსაზღვრული მიმართულებით მოძრაობს, თითქოს მას ერთგვარი ცენტრი იზიდავდეს; მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს მზის სისტემა ხელოვნურად იყოს ჩვენ მიერ გამოყოფილი უნივერსალური მთლიანობისაგან, ვინაიდან უეჭველია, რომ ის კავშირი, რომელიც სხვადასხვა სისტემებს შორის არის, დაუბოლოებადად უფრო მცირეა, ვიდრე ის კავშირი, რომელიც ერთი და იმავე სისტემის ნაწილებს შორის არსებობს.

ამგვარად, თუ სინამდვილეს მთლიანი მასშტაბით შევხედავთ, ჩვენ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ის პროცესი, რომელიც მის ობიექტურ საფუძველს შეადგენს, შემოქმედებითი ხასიათისაა, და რომ იგი ზრდის იდეასთან უნდა იქნეს დაკავშირებული.

ამას თითქოს, უწინარეს ყოვლისა, ენერგიის იგივეობის კანონი ეწინააღმდეგება; მაგრამ ჩვენ საკმაოდ გავეცანით ამ კანონის ღირებულებას და ვიცით, რა ფასი აქვს მას. სამაგიეროდ, არსებობს მეორე პრინციპი, რომელსაც მეტაფიზიკისათვის გაცილებით უფრო მეტი ღირებულება აქვს. ეს არის პრინციპი ენერგიის ინტენსივობის დეგრადაციისა, პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი ფიზიკური ცვალება სითბოდ იქცევა, ხოლო ეს უკანასკნელი ისწრაფვის, ყველა საგანს შორის თანაბრად განაწილდეს და, მაშასადამე, თანდათანობით შემცირდეს. რადგანაც ეს კანონი სრულიად არ მოითხოვს, რომ იგი ოდენობათა თვალსაზრისით იქნეს გამოხატული, ამიტომ მისთვის უცხოა პირობითი ხასიათი ჩვენი საზომებისა, რაც, პირიქით, ენერგიის იგივეობის პრინციპისათვის პირდაპირ აუცილებელია. ამიტომ „იგი ფიზიკურ კანონთა შორის ყველაზე უფო მეტაფიზიკურია, რამდენადაც ყოველგვარი სიმბოლისტიკისა და პირობითი გაზომვის გარეშე გვიჩვენებს იმ მიმართულებას, რომლითაც სამყარო მოძრაობს" (Ev. 264). ამ კანონის თანახმად, ყოველი ცალკე მსოფლიო, როგორიც არის მაგ: ჩვენი მზის სისტემა, თავისი ცვალების უნარს ყოველ წუთს უნდა კარგავდეს. მაგრამ საიდან იღებს იგი ამ ცვალების ენერგიას? სივრცის სხვა რომელიმე წერტილიდან? მაგრამ აქ იგივე საკითხი რჩება: თვით ეს მეორე წერტილი საიდანღა იღებს მას? შეიძლება თქვან: სამყაროთა რიცხვი, რომელიც ურთიერთს უგზავნის ენერგიას, უბოლოებადია და, მაშასადამე, ასევე უბოლოებადია თვით ამ ენერგიის ჯამიცო! მაგრამ უბოლოებადად მხოლოდ განყენებული სივრცის იდეა მიგვაჩნია, და როდესაც სამყაროს ვთვლით უბოლოებადად, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სავსებით ამ განყენებულ სივრცეს ემთხვევა. მაგრამ მაშინ სამყაროს ყველა ნაწილები

ურთიერთგარემდებარედ უნდა გვეცნო, როგორც ამას ჩვენი განყენებული სივრცის იდეა მოითხოვს. ეს კი სრულიად მიუღებელია, ვინაიდან მაშინ ამ ნაწილთა ურთიერთმოქმედების იდეა უნდა უარგვეყო, მაშინ როდესაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის სწორედ ეს ურთიერთქმედებაა მთავარი. - შეიძლება სიძნელეს იმ გზით დავაღწიოთ თავი, რომ მსოფლიოში სხვადასხვა პერიოდები ვაღიაროთ: პერიოდი ენერგიის დაგროვებისა და გამრავლებისა და პერიოდი მისი რაოდენობის შემცირებისა, რომელთაგანაც ერთი მეორეს ცვლის. თეორიულად ამ ჰიპოთეზის წინააღმდეგ ვერაფერი ითქმის, მაგრამ პრაქტიკულად იგი თითქმის სრულიად შეუძლებელია, როგორც ეს ბოლცმანის მათემატიკური გამოანგარიშებიდანაც ნათლად ჩანს.

ცხადია, ამგვარად, რომ ფიზიკა, რომელიც ენერგიას სივრცისა ამა თუ იმ ნაწილს უკავშირებს, სრულიად უძლურია, ეს პრობლება სათანადოდ გადაჭრას. უეჭველია, ამ ენერგიის წყაროდ, საიდანაც იგი უწყვეტლივ გამომდინარეობს, ჩვენ არ შეგვიძლია, სივრცე ჩავთვალოთ; ბერგსონის რწმენით, მისი წარმოშობა არა სივრცით პროცესებში უნდა ვეძიოთ, და ეს პროცესი ის ხანიერობაა, რომელიც ბერგსონმა სინამდვილის რეალურ საფუძვლად აღიარა.

ამგვარად, ენერგიის იგივეობის პრინციპი არა თუ არ უარყოფს ხანიერობის შემოქმედებით პრინციპად აღიარების შესაძლებლობას, არამედ, რამდენადაც თერმოდინამიკის მეორე პრინციპს, ენერგიის დეგრადაციის კანონს, მოგვაგონებს, პირდაპირ აუცილებლად სახავს მას.

რეალური სინამდვილის ობიექტური პრინციპის შემდეგი დამახასიათებელი მხარე ის არის, რომ მისთვის უცხოა როგორც კატეგორია ერთიანობის, ისე მრავლიანობის აც. ძნელია მისი ნამდვილი ბუნების ნათელი წარმოდგენა, მაგრამ ჩვენ მაინც საშუალება გვაქვს დავახასიათოთ იგი როგორც ერთიანი მრავლიანობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, შემოქმედებითი პროცესი დროისა თავის ბუნებაში ელემენტთა ურთიერთგარემდებარებას სრულიად ვერ იტევს, მისთვის უფრო მათი ურთიერთშედუღებაა დამახასიათებელი; — ეს თავისთავადაც გასაგებია, რამდენადაც განწვალებისა და, მაშასადამე, რიცხობრიობის პრინციპად ჰომოგენური სივრცე, და არა ხანიერობა უნდა ჩაითვალოს.

ყველა აღნიშნული მხარე ცხადად მოგვაგონებს სწორედ იმას, რაც ინტუიციამ ადამიანის ცნობიერების შესახებ დაგვიდასტურა. ტყუილად კი არ ლაპარაკობს ბერგსონი: „არსებობს ერთი რეალობა მაინც, რომელსაც ჩვენ შიგნიდან, ინტუიციის და არა უბრალო ანალიზის საშუალებით ვწვდებით. იგი ჩვენი პიროვნებაა მის დროულ მიმდინარეობაშიო" (Intr. 7). და შემდეგ ამ რეალობის გათვალისწინებას სხვადასხვა ანალოგიების დახმარებით ცდილობს.

ცნობიერების მოვლენათა მიმდინარეობა „მდგომარეობათა თანამიმდევრობაა, რომელთაგანაც თითოეული წინასწარ გვაუწყებს იმას, რაც თან სდევს მას, და შეიცავს იმას, რაც წინ უსწრებს მას. მართალი რომ ვთქვათ, მდგომარეობათა ეს მრავლიანობა მხოლოდ მაშინ ისახება, როდესაც მე უკვე გადავაბიჯე მათ და შემდეგ მათი კვალის თვალის გადასავლებლად მოვბრუნდი, როდესაც ვგრძნობდი მათ, ისინი ისეთ მჭიდრო ორგანიზაციულ კავშირში იმყოფებოდენ, ისე ღრმად იყვნენ საერთო ცხოვრებით სულშთანაბერნი, რომ მე ვერასდროს ვერ შევძლებდი მეთქვა, თუ სად იწყება ერთი მათგანი და სად თავდება მეორე.

ნამდვილად, არც ერთი მათგანი არც სადმე იწყება და არც სადმე თავდება, არამედ ყველანი ურთიერთის წიაღში გრძელდებიან. - თუ გსურთ, ეს გაშლაა, ვინაიდან არ არსებობს არცერთი ისეთი ცოცხალი არსება, რომელიც არ გრძნობდეს, რომ იგი თავისი მორგვის ბოლოს უახლოვდება, და სიცოცხლეც იმაში მდგომარეობს, რომ ვბერდებით. მაგრამ ეს იმავე დროს მუდმივი დახვევაც არის. მსგავსი მორგვზე ძაფის დახვევისა, ვინაიდან ჩვენი წარსული ჩვენვე გვსდევს თან... უკეთ რომ ვთქვათ, ეს არც დაშლაა და არც დახვევა, იმიტომ, რომ ორივე ეს სახე იწვევს წარმოდგენას ხაზებისას და ზედაპირისას, რომელთა ნაწილებიც ერთგვაროვანნი და ურთიერთდამთხვევადნი არიან. მაშინ როდესაც ერთ და იმავე ცნობიერ არსებობას ორი მომენტიც კი არა აქვს ისეთი, რომ ურთიერთის განმეორებას წარმოადგენდეს. აიღეთ სულ მარტივი გრძნობა, იგულისხმეთ იგი მყარად, მოათავსეთ მასში მთელი პიროვნება მთლიანად: ცნობიერება, რომელიც თან ახლავს ამ გრძნობას, მაინც ვერ შეძლებს ორ თანამიმდევარ მომენტში ერთი და იმავე უცვლელი სახით დარჩეს, ვინაიდან შემდეგი მომენტი, წინამსრბოლ მომენტს გარდა, ყოველთვის იმ მოგონებასაც შეიცავს, რომელიც ამ უკანასკნელმა თავის შემდეგ დატოვა... ამიტომ უნდა გამოვიწვიოთ სპექტრის სახე მისი ათასგვარი ელფერით, რომელნიც შეუმჩნევლად ერთვიან ერთიმეორეს. შეგრძნების ნაკადი, რომელიც სპექტრს ჭრის, შეიფერებოდა რა თითოეული ამ ელფერით, განვლიდა თანამიმდევარ ცვლილებებს, რომელთაგანაც თითოეული წინასწარ გვაუწყებდა თანამდევარს და თავის არსებობაში წინამდევართა მოკლე რეზიუმესაც მოგვცემდა. მაგრამ სპექტრის თანმიმდევარი ელფერნი მაინც ურთიერთ-გარე-მდებარედ დარჩებიან. ისინი რიგრიგობით არიან დაწყობილნი. მათ სივრცე უკავიათ. წმინდა ხანიერობა კი, პირიქით, რიგრიგობით დაწყობის, ურთიერთ-გარე-მდებარების, ვრცეულობის ყოველგვარ წარმოდგენას უარჰყოფს.“

„უკეთესია, დაუბოლოებად მცირე კაუჩუკი წარმოვიდგინოთ, თუ შესაძლებელია მათემატიკური წერტილის საზღვრამდე შეკუმშული. გავწელოთ იგი თანდათანობით ისე, რომ წერტილიდან ხაზი ამოვიდეს, რომელიც სულ უფრო და უფრო გრძელდება. მივაპყროთ ჩვენი ყურადღება არა ხაზს, როგორც ხაზს, არამედ მოქმედებას, რომელიც მას ხაზავს. ვთქვათ, რომ ეს მოქმედება, მისი ხანგრძლივობიანობის მიუხედავად, განუწვალებადია, თუ რომ ვიგულისხმებთ, რომ იგი შეუჩერებლივ ხორციელდება; რომ, თუ იგი შეჩერდა, მაშინ ერთის მაგიერ ორ მოძრაობად იქცევა, და თითოეული მათგანი განუწვალებადი იქნება: რომ განწვალებადი თვით უმოძრავი მოქმედება კი არა, ის უძრავი ხაზია, რომელსაც ეს მოქმედება თავის კვალად ტოვებს სივრცეში. განვთავისუფლდეთ, დასასრულ, სივრცისაგან... რათა ანგარიში გავუწიოთ მხოლოდ თვით მოძრაობას, დაძაბულობის აქტს, ერთი სიტყვით, წმინდა მოძრაობიანობას. მაშინ უფრო ნამდვილ სახეს მივიღებთ ჩვენი „მე“-ს ხანიერობაში განვითარებისას“ (Intr. 8-9).

ასეთია ადამიანის ცნობიერება, მაგრამ ასეთია მსოფლიოს მეტაფიზიკური საფუძველი, კონკრეტული, რეალური ხანიერობაც, ამიტომ სრული საბუთი აქვს ბ ე რ გ ს ო ნ ს, ამ უკანასკნელს ცნობიერება უწოდოს. მაგრამ სინამდვილის მეტაფიზიკური რეალობა მაინც საკმაოდ განსხვავდება ადამიანის ცნობიერებისაგან; და ერთი უდიდესი, ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ცნობიერება შეზღუდული, შეფერხებული პროცესია,

რომელსაც ორგანიზმის სახით ნივთიების პასივობა ეღობება წინ. მეტაფიზიკური რეალობის შესახებ ამას, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, ამიტომ უფრო მართებული იქნება, თუ მას ცნობიერებას კი არა, ზ ე ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა ს ვუწოდებთ. მაშინ ჩვენ, ერთი მხრივ, ცნობიერების ყველა დადებითი მხარეების წარმოდგენაც შეგვრჩება, და მეორე მხრივ, მისი უარყოფითი, პასიური; ზეცნობიერებისათვის შეუფერებელი თვისებებიც უკუგდებულად იქნებოდა ნაგულისხმევი.

ამგვარად, მეტაფიზიკური სინამდვილე უწყვეტი, დაუბოლოებადი შემოქმედებითი წინსწრაფვის სახით უნდა წარმოვიდგინოთ, შეუჩერებელი ზრდის, დაუღალავი იმპულსის სახით, რომელიც განუწყვეტელ სიცოცხლეს, მოქმედებასა და თავისუფლებას შეიცავს. „თუ რომ ასეთ განმარტებას მივცემთ ღმერთს, მასში დასრულებული არაფერი იქნება; იგი წარმოადგენს განუწყვეტელ სიცოცხლეს, მოღვაწეობასა და თავისუფლებას" (Ev. 212).

3. არარაობის პრობლემა

იდეა ყოფნისა და არყოფნისა. მეორე წინ უსწრებს პირველს. საფუძველი არყოფნის იდეისა და მისი გავლენა ფილოსოფიაზე. არყოფნის იდეა როგორც სახეობა; როგორც ცნება. მისი შეუძლებლობა. უარყოფა და მისი ნამდვილი აზრი, პრობლემა არყოფნისა ფსევდოპრობლემაა.

როგორიც უნდა იყოს სინამდვილის ონტოლოგიური სინთეზი, ჩვენი ინტელექტი მაინც მარადის ერთ ძირითად საკითხს სვამს: ს ა ი დ ა ნ გ ა ჩ ნ დ ა ე ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე , რ ო გ ო რ შ ე ი ქ მ ნ ა ი გ ი ? ეს საკითხი მუდამ აუცილებელი იქნება, ხოლო მისი დამაკმაყოფილებელი პასუხის მოძებნა ყოველთვის შეუძლებელი, სანამ ჩვენ წინასწარ დარწმუნებული ვიქნებით იმაში, რომ ყ ო ფ ნ ა ს, ა რ ს ე ბ ო ბ ა ს აუცილებლად ა რ ყ ო ფ ნ ა უსწრებს წინ. საჭიროა, ერთხელაც არის მაინც, შემოწმდეს ეს ჩვენი რწმენა: რა საბუთი აქვს მას და რა შემეცნებითი ღირებულება? ბერგსონმა ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა, რომელიც შემდეგ თავის მთავარ თხზულებაში ერთ-ერთ თავად შეიტანა. განვიხილოთ მოკლედ, რამდენად საფუძვლიანია ჩვენი რწმენა, თითქოს ყოფნას არყოფნა უსწრებდეს წინ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს რწმენა იძულებითის, აუცილებლობითი ხასიათისაა. ჩვენ მუდამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის, რაც არსებობს, ერთ დროს არ არსებობდა, რომ ერთობლივ მთელს არსებობას სიცალიერე უსწრებდა წინ ისე, როგორც ჭიქის შინაარსს, მაგალითად, ჭიქის სიცალიერე. ეს იდეა მუდამ გადამწყვეტ ზეგავლენის ახდენდა ფილოსოფიურს აზროვნებაზე; საჭირო იყო ისეთი რეალობის დადასტურება, რომელიც, მაშასადამე, მარადის არსებულად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. ასეთი რეალობა კი მხოლოდ ლოგიკური ხასიათის რეალობაა: „ვთქვათ, დაფაზე შემოხაზულია წრე. მის არსებობას ახსნა ესაჭიროება. ამ წმინდა ფიზიკურ არსებობას თავისთავად სრულიად არა აქვს ძალა გადალახოს არყოფნა, სამაგიეროდ, „ლოგიკური არსი“ წრისა, ე. ი. შესაძლებლობა მისი დახატვისა

განსაზღვრული კანონის მიხედვით, ერთის სიტყვით, განმარტება წრისა, უთუოდ მარადიულად მეჩვენება; იგი არც განსაზღვრულ ადგილს ეხება და არც განსაზღვრულ დროს, ვინაიდან წრის ნახატი არსად და არასდროს არ იწყებს, შესაძლოდ იქცეს" (Ev. 216). მაშასადამე, თუ რომ სინამდვილის საფუძველი მარადიული უნდა იყოს, უეჭველია, მას ლოგიკური პრინციპის ხასიათი უნდა მიეცეს, და ჩვენ ვიცით, რომ რაციონალისტური ფილოსოფია სწორედ ასე იქცევა.

მაგრამ მართლა უფრო ნათელია „არყოფნის" იდეა, ვიდრე იდეა არსებობისა? როგორ გვაქვს ეს იდეა წარმოდგენილი? ცხადია, ან რიგორც ერთგვარი ს ა ხ ე, რომელსაც ჩვენი ოცნება ქმნის, ან და როგორც ცნება, რომელსაც ჩვენი გონება სწვდება. ვთქვათ, არყოფნა სახეს წარმოადგენს. მაგრამ საკმარისია, საქმეს ოდნავ ჩავუკვირდეთ, რომ დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ უსაფუძვლოა ასეთი შეხედულება. მართლაც და, თქვენ შეგიძლიათ, მოსპოთ თქვენს ცნობიერებაში მთელი მისი შინაარსი, რომელსაც იგი გარედან იღებს; თქვენ შეგიძლიათ მოსპოთ ის ორგანული შეგრძნებებიც, რომლებიც გარედან მიღებულ ელემენტთა მოსპობის შემდეგ დაგრჩებათ: თქვენ შეგიძლიათ მოსპოთ თქვენი საკუთარი ცნობიერებაც; მაგრამ დაიწყებთ თუ არა ამას, იმწამსვე შეამჩნევთ, რომ თქვენში მეორე ცნობიერებამ წამოჰყო თავი, რომელიც პირველის მოსპობას უთვალთვალებდა. ერთი სიტყვით, „როდესაც არაფერია ჩემს ცნობიერებაში გარეშე საგანთა შესახებ, მაშინ ჩემი საკუთარი თავის ცნობიერება მაინც მრჩება: როდესაც ამ შინაგან შემეცნებასაც ვსპობ, მაშინ თვით ეს მოსპობა იქცევა ობიექტად განსაზღვრული „მე"-სათვის, რომელიც ამ შემთხვევაში მოსპობილ „მე"-ს განიცდის, როგორც გარეშე ობიექტს. ამგვარად, ჩვენი ცნობიერება ყოველთვის ამა თუ იმ ობიექტს წარმოიდგენს, ან შინაგანს და ან გარეგანს" (Ev. 238). ცხადია, სრული სიცალიერის, სრული არყოფნის, ყველაფრის უარყოფის წარმოდგენა ჩვენს ცნობიერებას სრულიად არ შეუძლია. ამიტომ, როდესაც არყოფნის იდეას ჩვენი წარმოდგენის საქმედ აღიარებენ, ცხადია, უეჭველ შეცდომას სჩადიან.

მაგრამ ვთქვათ, არყოფნის წარმოდგენა მართლა შეუძლებელია. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს აზროვნებას მისი ნათელი ცნების შედგენა მაინც არ ძალუძს? ხომ ამბობდა დ ე კ ა რ ტ ი, რომ ჩვენ ნათლად შეგვიძლია ვიაზროვნოთ ცნება ათასგვერდიან მრავალკუთხედისა, თუმცა მისი წარმოდგენა ჩვენი ოცნების ყოველ ფარგალს სცილდებაო. რა გვიშლის ხელს, თითოეული საგანი, რომელიც ჩვენი გამოცდილების შინაარსს ქმნის, ცალ-ცალკე არაარსებულად წარმოვიდგინოთ? უეჭველია, ამ ნაწილობრივი უარყოფით თანდათანობით მთელი სინამდვილის შინაარსის ამოწურვას მოვახერხებთ და, მაშასადამე, ბოლოს სრული სიცარიელის, ე. ი. სრული არყოფნის ცნებას მივიღებთ. თითქოს ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერი ვერ უნდა ითქმოდეს. მაგრამ ნამდვილად აქაც შეუძლებელსა და სრულიად უაზრო ცნებასთან გვაქვს საქმე.

რას ნიშნავს მთლიან სინამდვილეში რომელიმე განსაკუთრებული საგნის არაარსებულად აზროვნება? უეჭველია, მხოლოდ ერთს, რომ მის ადგილას იგი აღარ არსებობს, რომ მისი ადგილი სხვა საგანმა დაიკავა ან და, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ცალიერი ფორმა დარჩა, ე. ი. სივრცე, აქ ყოფილი საგნის კონტურებითაა შემოხაზული. როდესაც ამ განსაკუთრებულ ადგილას ჩვენი საგნის არყოფნას ვაზროვნებთ, ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვახსოვდა

მისი აქ არსებობა, ველოდით, რომ იგი აქ დაგვხვდებოდა, და გვწყინს, რომ მოლოდინი არ გამართლდა. ვთქვათ, რომ ჩვენ არც მეხსიერება გვაქვს და არც გრძნობები გვაღელვებენ. რას ვიტყოდით მაშინ? ცხადია, რომ ჩვენ აქ მხოლოდ იმას განვიცდიდით, რისი განცდაც შესაძლებელი იქნებოდა; არაფრის განცდა არ შეიძლება; მაშასადამე, ჩვენ ვიტყოდით, რომ აქ განსაზღვრული საგანი არსებობს, და არარსებობაზე შორეული აზრიც კი არ გაგვიჩნდებოდა.

ამგვარად, ცხადია, რომ საგნის არყოფნის აზროვნება მის ადგილას მეორე საგნის ყოფნას გულისხმობს. მაშასადამე, ამ აზრით მხოლოდ მანამ შეიძლება ცალკე საგნების არყოფნა ვიაზროვნოთ, სანამ ჯერ კიდევ შესაძებელია რომ მათი ადგილი სხვა რომელიმე საგანმა დაიჭიროს. ხოლო რადგანაც ჩვენ საგანთა მთელი ჯამის არყოფნის ცნებაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, სრულ უაზრობას ჩავდივართ, ვინაიდან რამ უნდა დაიჭიროს არსებულად ნააზრევი საგნის ადგილი, თუკი ყველაფერი არარსებულად არის ნაგულისხმევი? მაგრამ ერთი საგნის ადგილს მეორე ვერ დაიჭერს, მაშასადამე, არა თუ ყველაფრის, არამედ ერთი საგნის არყოფნაზეც კი შეუძლებელი იქნება ლაპარაკი. მაგრამ იტყვიან: ყველაფერი ეს მართალია, სანამ მთლიანი სინამდვილის შესახებ ვლაპარაკობთ; მაგრამ რა გვიშლის ხელს, განცალკევებული საგნის სრული აბსტრაქცია მოვახდინოთ, ამგვარად იგი მთლად ჩამოვაცილოთ დანარჩენ სინამდვილეს და შემდეგ არარსებულად ვიაზროთო! - ხოლო მდგომარეობას ვერც ეს მოსაზრება შველის, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ კ ა ნ ტ მ ა დაამტკიცა, რომ აზრი საგნის შესახებ უკვე გულისხმობს აზრს მისი არსებობის შესახებ; მაშასადამე, როდესაც ჩვენ ვაზროვნებთ საგანს არარსებულად, ამით უკვე მისი არსებობაც ნაგულისხმევია; განსხვავება ოღონდ იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში ნააზრევი არსებობა არა რეალურად, არამედ იდეალურად არის მიჩნეული. „სხვანაირად რომ ვთქვათ, რაგინდ ახირებულადაც უნდა მოგვეჩვენოს ჩვენი დასკვნა, რომელიმე ს ა გ ნ ი ს „ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ი ს“ ცნებაში ნაკლები კი არა, მეტი შინაარსია მოქცეული, ვიდრე ამავე საგნის „არსებობის" ცნებაში, ვინაიდან ცნება „არაარსებული“ ობიექტის შესახებ შეიცავს აგრეთ-ვე ცნებას „არსებული ობიექტის შესახებაც, რომელსაც ამას გარდა დაერთვის კიდევ წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ეს საგანი არსებულის მთლიანი სინამდვილიდან გამორიცხულია" (Ev. 244).

მაგრამ შეიძლება თქვან: თუ ამ გზით არა, განყენებული საგნის ცნებისადმი უარყოფითი ნაწილაკის მიმატებით მაინც შეიძლება ამა ითუ იმ ობიექტის სრული უარყოფითი ცნების შედგენაო. - ცხადია, აქ უარყოფას, დადასტურების მსგავსად, განსაზღვრულ ძალას აწერენ, რომლის დახმარებითაც ახალი ცნების შედგენა მიაჩნიათ შესაძლოდ. მაგრამ უეჭველია, რომ დადასტურებისა და უარყოფის ღირებულების გათანასწორება ცხად შეცდომად უნდა ჩაითვალოს. დადასტურება წმინდა ინტელექტუალური აქტია: მასში ჩვენი გონება პირისპირ დგას ობიექტთან და თავის სჯას მხოლოდ მისი თვისებების შესახებ აგებს: „მაგიდა თეთრია“, - აი მარტივი მაგალითი დადასტურებითი სჯისა, და აქ ჩვენ, ცხადია, მხოლოდ ობიექტის ნიშნების შესახებ გვაქვს მსჯელობა. სულ სხვაა უარყოფითი სჯა: ატრიბუტული იქნება იგი, თუ ეგზისტენციალური, სულ ერთია, მასში ჩვენ პირდაპირ ობიექტს როდი ვეხებით, მის განსაზღვრულ ნიშანს როდი ვადასტურებთ; არა, უარყოფით სჯაში მხოლოდ განსაზღვრულ პოზიციას

აღვნიშნავთ, რომელსაც ჩვენი გონება რომელიმე განსაკუთრებული დადასტურებითი სჯის მიმართ იკავებს, და ამგვარად იგი არა წმინდა ინტელექტუალურ აქტს წარმოადგენს, არამედ უცხოს, არაინტელექტუალურ მომენტს შეიცავს. „მაგიდა არ არის თეთრი“, - აი ნიმუში უარყოფითი სჯისა; ცხადია, რომ აქ ჩვენი გონება იმას როდი აღნიშნავს, რასაც პირდაპირ განიცდის, იმიტომ რომ არსებობს „შავი“, „ლურჯი" და სხვა, ხოლო „არათეთრი"-ს შესახებ ამის თქმა შეუძლებელია, ვინაიდან ასეთ ნიშანს ჩვენი გონება ვერსად ვერ პოულობს. ხოლო თუ მაინც ვამბობთ: „მაგიდა არ არის თეთრი", ამით არა თვითონ საგნის, არამედ დადასტურებითი სჯის შესახებ ვმსჯელობთ და თითქოს ვამბობთ: თქვენ, ან მე, შეიძლება, ეს საგანი თეთრად ჩავთვალოთ, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ეს სჯა შევცვალოთ და მისი ადგილი სხვა რომელსამე სჯას დავუთმოთ. „ამგვარად, უარყოფა მით განსხვავდება დადასტურებისაგან, რომ იგი მეორე ხარისხის დადასტურებას წარმოადგენს. იგი ადასტურებს რასაც რომელსამე დადასტურების შესახებ, რომელიც თვით საგნის შესახებ ადასტურებს რასმე“ (Ev. 246). ასე რომ, ცხადია, უარყოფითი მსჯელობის აქტში ურთიერთობა სუბიექტსა და ობიექტს შორის როდია წარმოდგენილი, არამედ ორ სუბიექტს შორის, რომელთაგანაც ერთი მეორეს ედავება და მსჯელობაში დახმარებას უწევს. ასე რომ, უარყოფითი მსჯელობა უფრო პედაგოგიურისა და სოციალური ბუნების არის, ვიდრე წმინდა ინტელექტუალურის.

გარდა ამისა, უარყოფითი მსჯელობა წარმოადგენს მხოლოდ ერთ ნაწილს ინტელექტუალური აქტისას, რომლის მეორე ნაწილიც სრულიად გამოურკვეველი რჩება. როდესაც ვამტკიცებ: „მაგიდა არ არის თეთრი“-თქო, მე გაფრთხილებთ, რომ სჯა „მაგიდა თეთრია", მეორე სჯით უნდა შეცვალოთ, მაგრამ რომელი მეორე სჯით, ეს სრულიად გაურკვეველი რჩება (Ev. 247).

ამგვარად, ცხადად ირკვევა, რომ იდეა არყოფნისა არც ჩვენი ოცნებისათვის არის ნათელი და არც ჩვენი აზროვნებისათვის: იგი არც ცხადი სახეა და არც შინაარსიანი ცნება. იგი ფსევდოიდეაა. უეჭველია ამიტომ, რომ ყოფნისა და არყოფნის დაპირდაპირება, განსაკუთრებით კი პრობლემა: რატომ არსებობს ესა თუ ის საგანი, თუ მოვლენა, უფრო ფსევდოპრობლემას წარმოადგენს, ვიდრე ნამდვილ საკითხს, რომლის ასახსნელადაც ღირს ფილოსოფიამ თავისი ყურადღება შეაჩეროს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ კერძო საკითხიც, რომელმაც აღნიშნულ აზრთა მსჯელობა გამოიწვია, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა პირველყოფილი არარაობისაგან სინამდვილის მეტაფიზიკური საფუძველი, ზეცნობიერების შეუკავებელი შემოქმედებითი სწრაფვა, უქმად და უსაფუძვლო საკითხად უნდა ჩაითვალოს.

თავი VI

სინამდვილის სფეროთა გენეზისი

1. ნივთიერების გენეზისი

ნივთიერება თავისი ძირითადი ტენდენციით არახანიერია; მისი პრინციპი სივრცეა; ამ მხრივ იგი რადიკალურად განსხვავდება მეტაფიზიკური პრინციპისაგან. დუალიზმი თუ მონიზმი. შემოქმედებითი პრინციპის ორი მიმდინარეობა: რეგრესული და პროგრესული. მიმდინარეობის ორგვაროვნება ადამიანის ცნობიერებაში. რეგრესიული მიმდინარეობა და ვრცეულობა. ნივთიერება და მეცნობიერების დაძაბულობის შესუსტება. დაძაბულობის მღვარი და ნივთიერების მღვარი.

აბსოლუტური სინამდვილე, უეჭველია, არამატერიალურ პროცესს წარმოადგენს; როგორც ასეთი, იგი რადიკალურად ეწინააღმდეგება ნივთიერებას. მაშინ როდესაც პირველი მთლიანობასა და შეუჩერებელ შემოქმედებით პროცესს შეიცავს, მეორეს დაშლადობა და მარადიული განმეორებადობა ახასიათებს; მაშინ როდესაც პირველი ხანიერობაში ვითარდება, მეორისათვის ამის თქმა არ შეიძლება: „ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ არსებობა, რომელიც მხოლოდ აწმყოთი განისაზღვრება, რომელიც განუწყვეტლივ ხელახლა იბადება; ამ შემთხვევაში დრო არ არსებობს, არამედ არის მხოლოდ წამი, რომელიც მარად ქრება და ხელახლა იწყება" (Ev. 219).

მაგრამ ნივთიერება, როგორც მთლიანი სინამდვილე, აბსოლუტურად არა მარტო არადროითი არ არის, იგი არც დაშლადია აბსოლუტურად: ჩვენ ვიცით, რომ „ჩვენს მსჯელობათ, რამდენჯერაც გსურთ, იმდენჯერ შეუძლიათ დაასკვნან, რომ წარსული, აწმყო და მომავალი ისტორია ცალკე სისტემებისა შეიძლება ერთბაშად გაიშალოს, მარაოს მსგავსად; ამის მიუხედავად, ეს ისტორია იმგვარად იშლება, თითქოს მას ჩვენი დროის ანალოგიური დრო ეკავოს. როდესაც შაქრის წყალს ვამზადებ, იძულებული ვხდები, მოვითმინო, სანამ შაქარი გადნებოდეს. მეორის მხრივ, თუმცა ცალკე საგნები ხელოვნურად არიან გამოყოფილნი მთლიანი სინამდვილიდან, მაგრამ თითოეული გამოყოფილი საგნის ნაწილებს, რამდენადაც აქ ნაწილების შესახებ შეიძლება ლაპარაკი, გაცილებით უფრო მეტი კავშირი აქვთ ურთიერთთან, ვიდრე სხვა საგნების ნაწილებთან. ამ მხრივ, უეჭველია, ცალკე საგნებად დაშლის ტენდენცია თვითონ ნივთიერებისათვის არის დამახასიათებელი.

ამგვარად, თუმცა აბსოლუტურად არა, მაგრამ თავისი ტენდენციით მაინც, ნივთიერება არადროითიც არის და დაშლადიც. იგი დაუბოლოებადად ისწრაფვის უდროულობისა და დაშლადობის პრინციპის, სივრცის მიმართულებით; და მისთვის სწორედ ეს მისწრაფებაა დამახასიათებელი. ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს, განვმარტოთ ნივთიერება როგორც განფენილი მრავლიანობა, და მის პრინციპად, მაშასადამე, სივრცე დავსახოთ.

მაგრამ თუ ასე რადიკალურია წინააღმდეგობა ნივთიერებასა და სინამდვილის მეტაფიზიკურ პრინციპს, ზეცნობიერებას შორის, მაშინ როგორღა შეიძლება ეს უკანასკნელი სინამდვილის ერთადერთ პრინციპად ვაღიაროთ? როგორღა შეიძლება, ნივთიერი სინამდვილე ამ პრინციპიდან გამოვიყვანოთ? ამგვარად, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს წინაშეც ისეთივე სიძნელის პრობლემა იშლება, რომლის საბოლოოდ დაძლევაც დღემდე ვერც ერთ მონისტურ მეტაფიზიკას ვერ მოუხერხებია, და რომელიც დუალიზმისათვის მუდამ საიმედოსა და უშრეტ მოტივს წარმოადგენდა და წარმოადგენს. მაგრამ ბ ე რ გ ს ო ნ ი აქაც თავისებურად უვლის აღნიშნული პრობლემის სიძნელეს.

მონიზმი სინამდვილის ერთ-ერთ სფეროს, ფსიქიკურს ან მატერიალურს, ან და ორთავეს ერთად, როდესაც მას მესამე, სრულიად განსხვავებული პრინციპი აქვს მეტაფიზიკურ რეალობად აღსარებული, ფანტომად აღიარებს. დუალიზმი, პირიქით, ორივე სფეროს თანაბრად დამოუკიდებელს რეალურ პრინციპად თვლის, რომელთაგანაც ერთიცა და მეორეც იმთავითვე და ერთდროულად მარადის მოცემულია. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს ორივე ეს შეხედულება შეუფერებელია; მისთვის ერთხელ და სამუდამოდ, დაუბოლოებად მარადისობაში არაფერია მოცემული: მისთვის მეტაფიზიკურ სინამდვილეს შეუჩერებელი შემოქმედებითი სწრაფვა, დაუბოლოებადი ძალისხმევა და დაძაბულობა (tension) წარმოადგენს. მაგრამ თუ ეს ასეა, რა გვიშლის ხელს აღვნიშნოთ, რომ სწრაფვას, ძალისხმევას, დაძაბულობას შეიძლება თავისი ხარისხები ჰქონდეს? რა გვიშლის ხელს ვაღიაროთ, რომ ეს ხარისხი შეიძლება ხან უფრო დაბალი და ხან უფრო მაღალი იყოს? მაშინ სინამდვილის მიმდინარეობაში, შესაძლებელი იქნებოდა, რეალობის ორი მიმართულება დაგვედასტურებინა: შემოქმედებითი სწრაფვის დაძაბულობის პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი და მ ი ს ი რ ე გ რ ე ს უ ლ ი პ რ ო ც ე ს ი. პირველ შემთხვევაში რეალობის განმტკიცებასთან გვექნებოდა საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში მის შესუსტებასა და უარყოფასთან. ვინ იცის, იქნება ფსიქიკურისა და მატერიალური სფეროების წინააღმდეგობა ამ ერთი პროცესის ორი მიმართულების განსხვავებაზე აღმოჩნდეს აგებული.

„არსებობს ერთი რეალობა მაინც, რომელსაც ჩვენ შიგნიდან ვწვდებით... ეს რეალობა ჩვენი პიროვნებაა"-ო, ამბობს ბ ე რ გ ს ო ნ ი. მაშასადამე, საჭიროა არა ანალიზის, არამედ უშუალო ჭვრეტის, ინტუიციის დახმარებით ჩავიხედოთ ჩვენი ცნობიერების ნაკადში, რათა დავრწმუნდეთ, მართლა ახასიათებს რეალობას ორგვარობა მიმართულებისა, თუ არა. თუ სინამდვილის მეტაფიზიკურ საფუძველს ზეცნობიერებას ასეთი რამ მართლა ახასიათებს, მაშინ უეჭველია, რომ მას ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება ჩვენს ცნობიერებაში უნდა ჰქონდეს.

„რაც უფრო დავუახლოვებთ ჩვენს პროგრესიულ განვითარებას წმინდა დროულობას, მით უფრო ვგრძნობთ, რომ ჩვენი არსების სხვადასხვა ნაწილები ერთიმეორეს ერთვიან, და ჩვენი პიროვნების სრული კონცენტრაცია ერთი წერტილის გარშემო ხდება, რომელიც განუწყვეტლივ გადადის მომავალში. სიცოცხლე და თავისუფალი მოქმედება სწორედ ამაში მდგომარეობს. პირიქით, მივუშვათ ჩვენი ფსიქიკის სადავე და, მოქმედების მაგიერ, ვიოცნებოთ. ჩვენი „მე", ასე ვსთქვათ, იმწამსვე ნაწილებად დაიშლება. ჩვენი წარსული, რომელიც აქამდე ჩვენი ფსიქიკის ერთ მთლიან სწრაფვად იყო შედუღებული, ათასსა და ათიათას მოგონებად იშლება, ხოლო თვით ეს მოგონებანი

ურთიერთგარემდებარედ იქცევიან. ამგვარად, ჩვენი „მე" კვლავ სივრცის მიმართულებას, იღებს", ვინაიდან ვრცეულობა ნაწილთა ურთიერთ-გარემდებარეობაში მდგომარეობს" (Ev. 219). ანდა კიდევ: „როდესაც პოეტი თავის ლექსს მიკითხავს, მე შემიძლია, იმდენად დაინტერესებული ვიყო, რიმ მისი აზრებითა და გრძნობებით განვიმსჭვალო და ის მარტივი მდგომარეობა განვიცადო, რომელიც მან ფრაზებსა და სიტყვებში გააბნია. მე შემიძლია ამასთანავე მის შთაგონებას თანავუგრძნო, მივსდიო მას ერთი განუწყვეტელი მოძრაობით, რომელიც, თვითშთაგონების მსგავსად, შეიძლება ერთს მთლიან აქტს წარმოადგენდეს. მაგრამ საკმარისია, შევაჩერო ყურადღება, მოვადუნო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მავთული ჩემი სულისა, რომელიც ამ მომენტამდე განსხირპული იყო, რომ ბგერებმა თავისი აზრი დაკარგონ და ისინი თავისი მატერიალობით ურთიერთის თანამიმდევრად მოგვეჩვენონ. ამისათვის ჩემთვის სრულიად არ არის საჭირო რისამე დამატება, საკმარისია, პირიქით, შემცირება. რაც უფრო ვაძლევ თავს ამ მიმდინარეობას, მით უფრო ინდივიდუალურად იქმნებიან თანამიმდევარი ბგერები; როგორც წინადადება ცალკე სიტყვებად, სწორედ ისე იშლება ცალკე სიტყვებიც, თავის მხრივ, თანამიმდევრობით მარცვლებად. წავიდეთ ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს... რაც უფრო შორს წავა ჩემი ყურადღების უარყოფითი განთავისუფლება (relachement), მით უფრო მეტ განფენილობასა (extension) და სირთულეს შევქმნი" (Ev. 227).

ამგვარად, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ადამიანის ცნობიერების მიმდინარეობაში ორგვარი მიმართულება არსებობს: როდესაც ჩვენი ნებისყოფის დაძაბულობა ძლიერია, მაშინ სულიერი მოვლენანი უღრმეს კონცენტრაციას განიცდიან და სოლიდარულ ორგანიზაციულ კავშირს ქმნიან: ხოლო, როდესაც მისი მოდუნება ხდება, მაშინ მათი სოლიდარული მთლიანობა ირღვევა, და ცნობიერების ელემენტი ურთიერთგარე მდებარე განცალკევებულ მოვლენებად იშლებიან. ცხადია, რომ ეს ორი მიმართულება ერთი და იმავე მიმდინარეობის წიაღში უნდა ვეძიოთ. ამიტომ გაცილებით უფრო მართებული იქნება, თუ მას ორ ცალკე მიმდინარეობად კი არ ჩავთვლით, არამედ ერთი და იმავე მიმდინარეობის შეცვლად, ან შეწყვეტად. მაშინ ეს მიმდინარეობის შეწყვეტა დადებითი რეალობის შემცირებად უნდა იქნეს აღიარებული.

ჩვენი ცნობიერების ნაკადის ინტუიტური განცდა, მაშასადამე, არა მარტო ადასტურებს ფაქტს მიმართულების შეცვლისას, არამედ მის ბუნებასაც ნათლად გვითვალისწინებს: ჩვენ ვხედავთ, რომ მიმართულების შეცვლა, ან დაძაბულობის შეწყვეტა სულიერ ფენომენთა ვრცეულობაში გაშლას ნიშნავს: „ვრცეულობაო, ამბობს ბ ე რ გ ს ო ნ ი, დაძაბულობის შეწყვეტის მეტს არაფერს წარმოადგენსო" (Ev. 266). ვრცეულობა კი მატერიალობის განსაკუთრებით დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. მაშასადამე, საკმარისია, მარტო შევასუსტოთ ჩვენი ნებისყოფა, რომ შემოქმედებითი ხასიათის რეალობიდან გაშლადი (qui se dêfait) რეალობის სფეროში გადავიდეთ და სულის დაძაბულობიდან მატერიალობის განფენილობა (extension) მივიღოთ.

აქედან, სრული უფლება გვეძლევა, ზეცნობიერების სფეროშიც გადავიდეთ. მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ აღნიშნული შეწყვეტა შემოქმედებითი სწრაფვის დაძაბულობისა იქაც ვრცეულობაში გაშლასა და, მაშასადამე, ნივთიერი სინამდვილის წარმოშობას იწვევს. ამგვარად, ერთი მხრივ, „სულიერობას" და, მეორე მხრივ, „მატერიალობას შეიძლება საფუძვლად ორი, თავისი მიმართულებით, საწინააღმდეგო პროცესი დაედოს, ასე რომ, ერთიდან მეორეზე

მიმართულების შეცვლის, ან და, უბრალოდ, შეწყვეტის საშუალებით შეიძლება გადავიდეთ, თუ მართალია, რომ მიმართულების შეცვლა (inversion) და შეწყვეტა (interruption) ორ ტერმინს წარმოადგენს, რომელნიც აქ სინონიმებად უნდა ჩაითვალონ (Ev. 219).

ამგვარად, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს რწმენით, მეტაფიზიკური სინამდვილის პრინციპი, შემოქმედებითი სწრაფვა, ხანიერობა, ანდა ზეცნობიერება, შესაძლებელია, თავისი დაძაბულობის მხრივ შესუსტდეს. მაშინ, უეჭველია, რეალობის შესუსტებასთან გვექნება საქმე. ეს რეალობის შესუსტება სინამდვილის ურთიერთგარე მდებარე ელემენტებად დაშლის, ე. ი. ვრცეულობისა და მატერიალობის სახით მოგვევლინება. აქ გასაკვირველი სრულიად არაფერია, შემოქმედებითი სწრაფვა, შეისვენებს თუ არა, სივრცეში გავრცელდება: ნივთიერება, ამიტომ, შეიძლება მეტაფიზიკური სინამდვილის პრინციპის უბრალო შესვენებად და, მაშასადამე, წმინდა უარყოფით ტენდენციად ჩავთვალოთ. ეს უარყოფითი ტენდენცია მეორე მხარეა დადებითი ტენდენციისა. იგი მხოლოდ იქ იჩენს თავს, სადაც ეს უკანასკნელი წყდება.

ამის გათვალისწინება არაა ადვილი საქმე, მაგრამ შეუძლებელი მაინც არ არის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული დახმარების გაწევა ანალოგიას შეუძლია: „გადავთვალოთ ყველა ასო, რომელიც შედის ყველა ოდესმე დაწერილ ნაწარმოებში: ჩვენ აზრადაც კი არ მოგვივა, რომ ახალი პოემის შესაქმნელად კიდევ ახალი ასოების შექმნაა საჭირო. მაგრამ ჩვენ შვენივრად გვესმის, რომ როდესაც პოეტი ახალ პოემას ქმნის, იგი ადამიანის აზრს ამდიდრებს; ეს შემოქმედება გონების მარტივ აქტს წარმოადგენს, და მისთვის რომ ეს აქტი თავისთავად დაირღვეს ცალკე სიტყვებად, რომელნიც, თავის მხრივ, ცალკე ასოებად დაიშლება, და ეს ასოები უკვე არსებულს, ძველ ასოებს დაემატოს, სრულიად საკმარისია, მის მაგივრად, რომ იგი ახალ შემოქმედებაში გაგრძელდეს, მხოლოდ შეწყდეს. სწორედ ამგვარადვე, ჩვენი გონების ჩვეულებანი სასტიკად იქნებოდნენ შელახულნი და ჩვენი გამოცდილება შეურაცხყოფილი, რომ განსაზღვრულ მომენტში ატომთა რიცხვი, რომელიც ნივთიერ მსოფლიოს შეადგენს, გამრავლებულიყო. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში სულ სხვა რიგის უნივერსუმთან გვაქვს საქმე. უნივერსუმთან, რომელიც ისე უკავშირებს ურთიერთს ატომებს, როგორც პოეტი ანბანის ასოებს, და რომელიც მოულოდნელ დამატებათა საშუალებით იზრდება. ამდაგვარი დამატების მეორე სახე, შესაძლებელია რომელიმე მსოფლიო ყოფილიყო, რომელიც, რა თქმა უნდა, სიმბოლურად, ატომთა შეერთების სახით გვაქვს წარმოდგენილი“ (Ev. 261). ასეა თუ ისე, არსებობს პირველადი შემოქმედებითი სწრაფვა, რომელიც წინ მიდის, მაგრამ რომლის დაძაბულობის ხარისხი იცვლება: და ეს შეცვლა შესუსტება დაძაბულობის ხარისხისა, არის ის, რაც სინამდვილეს სივრცის არეში შლის და, მაშასადამე, მას ნივთიერების სახეს აძლევს. - ასეთია გენეზისი მატერიისა.

მაგრამ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მატერიალურ სინამდვილეში რეალურად არც აბსოლუტური უდროულობა არის განხორციელებული და არც სრულიადი განწვალებადობა და დაშლადობა. ყველაფერი ეს იმ ტენდენციისათვის, იმ ზღვარისათვის არის დამახასიათებელი, რომლისაკენაც ნივთიერება უბოლოებად მიისწრაფვის. ცხადია, მაშასადამე, რომ, როდესაც ნივთიერების აბსოლუტურ ფორმად ჰომოგენურ სივრცეს ვაღიარებთ, ჩვენ არა კონკრეტულ ნივთიერებასთან, არამედ იდეალურთან გვაქვს საქმე.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შევურიგოთ ამას ის გარემოება, რომ მატერია სინამდვილის პოზიტიური პროცესის შეწყვეტას ან მისი მიმართულების შეცვლას აღნიშნავს? ცხადია, აქ დიდ პრობლემასთან სრულიად არა გვაქვს საქმე. მართლაც და, ბ ე რ გ ს ო ნ ი ხომ დაძაბულობის ხარისხის შესახებ ლაპარაკობს, რომელიც, როგორც ასეთი, ხან უფრო მაღლა და ხან უფრო დაბლა დგას. მაშასადამე, მისი სრული მოსპობის, აღკვეთის შესხებ ლაპარაკიც კი არ შეძლება, ვინაიდან მაშინ მეტაფიზიკური სინამდვილის სიკვდილისა და კვლავ დაბადების შესაძლებელობა უნდა მიგვეღო. ცხადია, რაგინდ შესუსტებულიც არ უნდა იყოს უნივერსალური შემოქმედებითი სწრაფვის ხარისხი, იგი ასე თუ ისე მაინც არსებობს, და, მაშასადამე, შეუძლებელი ხდება, ნივთიერი სინამდვილე სავსებით დროულობისა და მთლიანობის გარეშე დარჩეს. ამიტომ სწორედ ისე, როგორც დაძაბულობის ხარისხის შესუსტების საბოლოო საზღვარს მისი სრული მოსპობა შეადგენს, სწორედ ასე, ნივთიერი სინამდვილის იდეალურ ზღვარსაც სრული უდროულობა და აბსოლუტური ვრცეულობა წარმადგენს.

2. სიცოცხლის გენეზისი და განვითარება

სიცოცხლის სწრაფვა და ორგანული სინამდვილე. ორგანიზმი, როგორც modus vivendi რეალობის ორი ძირითადი მიმდინარეობის ოპოზიციისა. Elan vital-ის ცალკე ტოტებად დაშლა. ნივთიერების როლი ამ შემთხვევაში. ორგანიზმის თვისებები, როგორც სიცოცხლის სწრაფვის ორგანოსა, და ორმაგობა მისი შანაგანი ტენდენციისა, როგორც მიზეზი მისი დაშლისა. მიკროორგანიზმი, მცენარე, ცხოველი, ადამიანი. და მათი დამახასიათებელი ტენდენციები. ნერვული სისტემა, როგორც სიცოცხლის იმპულსის განვითარების უმაღლესი დონე. რეზიუმე.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ არაორგანული ნივთიერება აბსოლუტური შემოქმედებითი სწრაფვის მოდუნების უკიდურეს ტენდენციას წარმოადგენს. მაგრამ ეს მხოლოდ ტენდენციაა, რომელიც სავსებით არსად არ არის განხორციელებული. შემოქმედებით სწრაფვას თავისი დაძაბულობის ესა თუ ის ხარისხი მაინც ყოველთვის ახასიათებს: იქ, სადაც ეს ხარისხი მეტია, იქ დადებითი, შემოქმედებითი რეალობაც მეტი უნდა ვიგულისხმოთ. ამ მხრივ უეჭველია, რომ ჯერ სულიერი ცხოვრება და მერე ორგანული მსოფლიო, რომელშიც ნივთიერებასთან ერთად სულიერობასაც ვგრძნობთ, რეალობის უფრო მაღალ ხარისხს უნდა შეიცავდეს, ვიდრე მსოფლიო არაორგანული. ცხადია, ამის მიხედვით, არაორგანული მსოფლიო, ორგანული ბუნება და ცნობიერების ცხოვრება - ყველაფერი ეს, უწინარეს ყოვლისა, მეტაფიზიკური სინამდვილის ძირითადი პრინციპის, შემოქმედებითი სწრაფვის განთავისუფლების ხარისხებს და, მაშასადამე, დადებითი რეალობის სხვადასხვა საფეხურებს წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით და ამ პერსპექტივაში ორგანული სინამდვილის გენეზისის გათვალისწინება განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული. როგორია ეს გენეზისი?

„წარმოვიდგინოთ ქვაბი წოლითი ძალის მაღალი ხარისხის ორთქლით, რომელიც ჭურჭლის ნახვრეტებიდან ნაკადის სახით გამოდის გარეთ, ეს გარეთგამოსული ორთქლი თითქმის სავსებით წვეთებად იკუმშება, და წვეთები ძირს, მიწაზე ეშვებიან; ცხადია, ეს შეკუმშვა და ძირს დაშვება ერთგვარ დაკარგვას, ერთგვარ შეწყვეტასა და დეფიციტს წარმოადგენენ. მაგრამ ორთქლის ერთი მცირე ნაწილი რამდენიმე წამის განმავლობაში მაინც შეუკუმშველი რჩება; ეს ნაწილი ისწრაფვის, ძირისაკენ მსრბოლი წვეთები ზევით ასწიოს, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში წვეთების შეჩერების მეტს ვერაფერს ახერხებს. სწორედ ასე, სიცოცხლის უძირო აუზიდანაც განუწყვეტლივ მომდინარეობენ ცალ-ცალკე ნაკადები, რომელნიც თავისი დაცემის წამს სამყაროებს ქმნიან. ამ სამყაროთა ფარგლებში ცოცხალ არსებათა განვითარება პირველადი ნაკადის ნაშთს წარმოადგენს, იმ იმპულსისას, რომელიც მატერიალობის პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება... კიდევ უკეთესი იქნება, თუ რომ ამ შემოქმედებას რომელსამე მოძრაობას შევადარებთ, მაგ: ხელის აწევას. როდესაც ხელს თავის ნებაზე მივუშვებთ, იგი ძირს ეშვება; მაგრამ მასში მაინც რჩება ნაწილი ნებისა, რომელიც მის მაღლა აწევას ესწრაფვის. ეს სახე შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ჟ ე ს ტ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც ი რ ღ ვ ე ვ ა, საკმაოდ მართებულ წარმოდგენას გვაძლევს ნივთიერების შესახებ. სიცოცხლის მოქმედებას, ამ შემთხვევაში, შეეფერება ის, რაც შეცვლილ მოძრაობაში პირველადი მოძრაობიდან რჩება, ე. ი. სიცოცხლის მოქმედება წარმოადგენს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს, რ ო მ ე ლ ი ც ი ქ მ ნ ე ბ ა ი ქ, ს ა დ ა ც რ ღ ვ ე ვ ა ხდება" (Ev. 262-9).

თუ რომ ძირს დაშვებული წვეთების სახით არაორგანულ ნივთიერებას წარმოვიდგენთ, ცხადია, ორგანული სინამდვილე იმ წვეთების სახით უნდა ვიგულისხმოთ, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ შეუკუმშველი ნაწილები ორთქლისა, და რომელნიც ამიტომ ამ უკანასკნელთა ზეგავლენით ძირისაკენ მიმართულს თავის მოძრაობას ეწინააღმდეგებიან. თუ რომ, მეორე მხრივ, მაღალი წოლითი ძალის ოთქლის სახით სინამდვილის ძირითად პრინციპს, შემოქმედებით სწრაფვას წარმოვიდგენთ, მაშინ ცხადია, რომ ის, რასაც ბ ე რ გ ს ო ნ ი სიცოცხლის სწრაფვას (élan vital) უწოდებს, შეუკუმშველი ორთქლის ნაწილების მსგავსად უნდა ჩავთვალოთ, რომელნიც წვეთების ძირს დაცემას ეწინააღმდეგებიან და აფერხებენ.

აქედან ცხადად ჩანს, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს élan vital, რომელიც ორგანული სინამდვილის განვითარებას უდევს საფუძვლად, მთლიანი შემოქმედებითი სწრაფვის გ ა მ ო ც ა ლ კ ე ვ ე ბ უ ლ ნ ა კ ა დ ს წარმოადგენს, ნაკადს, რომელიც შემოქმედებითი იმპულსის შეფერხებულს, შემცირებულ ხარისხს შეიცავს და, მაშასადამე, ნივთიერებასთან არის შეერთებული. მაგრამ ეს ნივთიერება არ არის უბრალო, ჩვეულებრივი ნივთიერება. არა, იგი, როგორც მთლიანი დამოუკიდებელი საწინააღმდეგო მიმდინარეობა, შეგუებული არის შემოქმედებითს პოზიტიურ მიმდინარეობასთან, რომელიც თავის მხრივაც ეგუება მას; იგი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი ნივთიერებაა, იგი ო რ გ ა ნ ი ზ მ ი ა: „სიცოცხლე მოძრაობაა, მატერიალობაც ამავე მოძრაობას წარმოადგენს, მაგრამ მოძრაობას საწინააღმდეგო მიმართულებით; თითოეული ამ მოძრაობათაგანი მარტივია და მთლიანი; მატერია, რომელიც სამყაროებს ქმნის, ერთ განუწვალებად მოძრაობას შეიცავს. ასევე განუწვალებადია სიცოცხლეც, რომელიც მატერიაში ტარდება და აქედან ცოცხალ არსებათ გამოყოფს. ამ ორი ნაკადიდან მეორე პირველს ეწინააღმდეგება, მაგრამ

პირველიც იღებს ცოტას რამეს მეორისაგან; მათ შორის ერთგვარი modus vivendi ჩნდება, და სწორედ ეს არის, რომ ორგანიზმს ვუწოდებთ" (Ev. 271).

მაგრამ რად ხდება, რომ მთლიანი შემოქმედებითი ნაკადი élan vital-ისა ცალკე ტოტებად იშლება, და ეს ტოტები კიდევ მრავალ ცალკე ორგანიზმებს შორის ნაწილდება? „ასაფეთქებელი მასალის დაშლა აფეთქების დროს ყოველ ცალკე შემთხვევაში დამოკიდებულია როგორც მასში მოთავსებული წამლის აფეთქებითი ძალაზე, ისე მისი მეტალური გარსის წინააღმდეგობაზეც. სწორედ ამგვარადვე, სიცოცხლის დაშლა ინდივიდებსა და გვარებს შორის ორგვარ მიზეზზე არის დამოკიდებული: მკვდარი მატერიის წინააღმდეგობაზე და იმ აფეთქებითი ძალაზე, რომელიც თვით სიცოცხლეშია დამარხული და მისწრაფებათა მერყევი წონასწორობითაა გამოწვეული“ (Ev. 107).

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამ უკანასკნელ გარემოებას აქვს: სიცოცხლის იმპულსი, როგორც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანი შემოქმედებითი სწრაფვის ნაგლეჯი, მასავით ტენდენციათა შინაგან მრავლიანობას შეიცავს. ეს ტენდენციები, განვითარების წინსვლასთან ერთად, ვეღარ თავსდებიან ერთად და იძულებულნი ხდებიან, თავის დამოუკიდებელს, განსხვავებულ გზას დაადგენ. სწორედ ასეთივეა თითოეული პიროვნების ისტორიაც: ბავშობისას ჩვენ მრავალ ტენდენციას ვატარებთ, თითქოს ჩვენს არსებაში რამოდენიმე პიროვნება იყოს ერთად თავმოყრილი. „ასე რომ, ბავშვში თითქმის ყოველგვარი შესაძლებლობაა დამარხული: ეს მრავალი იმედის აღმძვრელი გაურკვევლობაა ის, რაც განსაკუთრებით მიმზიდველად ხდის ბავშვს.“ მაგრამ ზრდის პროცესში ამ მრავალ შესაძლებლობათა შორის ჩვენ მხოლოდ ერთს ვირჩევთ; დანარჩენებს კი განზე ვტოვებთ: „ჩვენი სიცოცხლის გზა მოფენილია იმის ნამსხვრევებით, თუ რად ვიწყებდით გარდაქცევას და რად იყო შესაძლებელი, გარდავქცეულიყავით“. შემოქმედებითი უნივერსალური პროცესი კი სულ სხვაგვარად იქცევა; იგი უფრო რომანისტს მოგვაგონებს, რომელიც თავისი ნაწარმოების დასაწყისში ხასიათის ათასგვარ მხარეს გულისხმობს თავისი გმირისათვის. მაგრამ შემდეგში იძულებული ხდება, მათ შორის მხოლოდ ზოგიერთი აირჩიოს. დანარჩენები კი მას სხვა რომანებისა და სხვა გმირებისათვის შეიძლება გამოადგეს. უნივერსალური შემოქმედებითი სწრაფვა სწორედ ასე იქცევა: თავის არსში დამარხულ ტენდენციათა შორის ერთს განვითარების ერთს ხაზზე აძლევს გასაქანს, ხოლო მეორეს - მეორე ხაზზე. ასე ხდება, რომ მთლიანი შემოქმედებითი პროცესი ცალკე ევოლუციურ ხაზებად და ცალკე ორგანიზმებად იშლება.

მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. ტენდენციათა შინაგანი მერყევი წონასწორობის ცალკე მიმდინარეობად დაშლას საბაბი არ ექნებოდა, იგი რომ დაუბრკოლებადი შემოქმედებითი სწრაფვა ყოფლიყო და, მაშასადამე, ნივთიერებასთან არ ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის. მაშასადამე, დაშლის რეალიზაციას შემოქმედებითი იმპულსის შეფერხება, მისი შეჩერება, ე. ი. ნივთიერება ასრულებს; „მატერიაო, ამბობს ბერგსონი, ფაქტიურად ანაწილებს მას, რაც მხოლოდ ძალით წარმოადგენდა სხვადასხვაობასო; ამ აზრით, ინდივიდუალიზაცია ნაწილობრივ მატერიისას და ნაწილობრივ იმის შედეგს წარმოადგენს, რასაც სიცოცხლე თავის არსში ატარებს“ (Ev. 280).

უნივერსალური შემოქმედებითი იმპულსი ყველგან და ყოველთვის თავის შესაძლებლობათა სრულ გაშლას ესწრაფვის, მაგრამ სიცოცხლის სწრაფვის სახით მას თავისი მიზნის მიღწევა ნივთიერების საშუალებით უხდება. ამიტომ მისი ერთადერთი გზა ამ შემთხვევაში შეიძლება ნივთიერების მხოლოდ ისეთ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა შ ი მდგომარეობდეს, რომ იგი რაც შეიძლება უფრო შეეგუოს მის მიზნებს და, ამგვარად, შემოქმედების ორგანოდ გადაქცევა შეძლოს, ორგანული მსოფლიოს ევოლუციის მთელი აზრი და მიმართულება სავსებით ამით განისაზღვრება.

როგორი უნდა იყოს ორგანიზმი, რომ მან სიცოცხლის სწრაფვის მიზნების განხორციელება შეძლოს? უეჭველია, ჯერ ერთი, მას უნდა შეეძლოს უნივერსუმში გაბნეული ენერგიის შეგროვება და ამ სახით სიცოცხლის სწრაფვის ძალთა შენახვა და განმტკიცება; და შემდეგ, მისი ორგანიზაცია ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მას ყოველნაირი მოქმედების ამორჩევისა და შესრულების უნარი შესწევდეს: „მხოლოდ ორი რამ არის აუცილებელი, ამბობს ბ ე რ გ ს ო ნ ი, ჯერ ერთი, თანდათანობითი დაგროვება ენერგიისა, და შემდეგ - პლასტიკური კანალიზაცია ამ ენერგიისა სხვადასხვა ცვალებადსა და გამოურკვეველ მიმართულებათა მხრივ, რომელთა ბოლოშიც თავისუფალი მოქმედებანი იმყოფებიან“ (Ev. 277). სრულიად საკმარისია, ოდნავ გადავავლოთ თვალი ბიოლოგიურ სფეროს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს მართლა ასეა: „ცხოველთა ცხოვრება მდგომარეობს 1. ენერგიის მოგროვებაში და 2. სხვადასხვა წინასწარ გამოურკვეველ მიმართულებათა მხრივ, რაც შეიძლება უფრო მოქნილი მატერიის საშუალებით მის დახარჯვაში“ (Ev. 275).

მაგრამ იყო კი შესაძლებელი ერთი ორგანიზმის ფარგლებში ორივე ამ მიზნის განხორციელება? „ერთ და იმავე ორგანიზმს სრულიად არ შეუძლია ერთდროულად ორი როლის შესრულება: თანდათანობითი დაგროვება და სწრაფი უტილიზაცია. ამიტომ მოხდა, რომ ყოველგვარი უცხო ზეგავლენის გარეშე, მარტო ორმაგი შინაგანი ტენდენციის გამო, რომელიც პირველყოფილ სწრაფვაში იყო ჩასახული... ზოგმა ორგანიზმმა ერთი მიმართულება მიიღო, და ზოგმა კიდევ მეორე. ასე გაჩნდა განვითარების სხვადასხვა ხაზი, თავისი არსებითი ნაწილების მხრივ მაინც“ (Ev. 276).

თუ რომ მთლიან ევოლუციურ პროცესს გადავავლებთ თვალს, ჩვენ დავინახავთ, რომ სიცოცხლის მიმდინარეობის ერთი ხაზი განსაკუთრებით ერთი ტენდენციის განხორციელებას ემსახურება, და მეორე ხაზი - მეორისას. მართალია, გამონაკლისებთან ხშირად გვექნება საქმე. რეგრესულ მოძრაობასთან, ზოგჯერ განვითარების სრულ შეჩერებასთან, ათასგვარ შემთხვევითი ხასიათის მოვლენასთან, მაგრამ, საერთოდ, ორი სრულიად ჩამოყალიბებული, ურთიერთს დაშორებული ტენდენცია მაინც მკაფიოდ გამოიხატება ჩვენს წინაშე; და ჩვენ დავინახავთ, რომ თითოეული ეს ტენდენცია სრულიად განსაკუთრებული გზით მიმდინარეობს და სრულიად განსაკუთრებული ორგანიზმების შექმნის მეშვეობით ხორციელდება. მართალია, სიცოცხლის სწრაფვა, სანამ იგი ასეთ მდგომარეობას მიაღწევდა, გზებს ეძიებდა, და ამ ძიების პროცესში ისეთ ორგანიზმებს ქმნიდა, რომელთაც თანაბრად, „მაგრამ სუსტად ჰქონდათ ორივე ეს ტენდენცია განვითარებული. ასეთი არის მაგ: სამკვიდრო მიკრორგანიზმებისა, რომელთა ორგანიზაციაც შეუფერებელი აღმოჩნდა სიცოცხლის სწრაფვის მიზნებისათვის, და რომელნიც ამიტომ თავისი ევოლუციის პროცესში ერთ დონეზე დარჩნენ გაჩერებულნი. მაგრამ

სამაგიეროდ სხვა ხაზებზე განვითარება უფრო ბედნიერი მიმართულებით მიმდინარეობდა. მცენარეთა სამკვიდრო და ცხოველთა სამეფო ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია; სიცოცხლის იმპულსმა ბოლოს და ბოლოს მაინც შეძლო, თავისი მიზნის უწყვეტი შემოქმედების შესაფერისი ორგანიზაციის შექმნა.

თუ რომ განვითარების ამ ხაზების გასარჩევად ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული თვისებების ძიებას დავიწყებთ, უეჭველია მათ საბოლოოსა და ზედმიწევნით განსაზღვრას ვერ შევძლებთ, და ეს მიტომ, რომ ისინი ერთი წყაროდან გამომდინარეობენ და ხშირად ერთ და იმავე თვისებებს ატარებენ; ისინი ერთი ტენდენციის განცალკევებულ ტოტებს შეადგენენ, მაგრამ, განცალკევების მიუხედავად, თავისი წარმოშობის ერთგვაროვნების ნაშთებს მაინც ყოველთვის თვალსაჩინოდ ააშკარევებენ: „როდესაც ტენდენცია თავისი განვითარების პროცესში ცალკე ნაწილებად იშლება, თითოეული ამ სახით წარმოშობილი კერძო ტენდენცია ცდილობს, შეინარჩუნოს და განავითაროს ყველაფერი, რაც მის სპეციალურ ფუნქციას არ ეწინააღმდეგება". ამიტომ, განვითარების ხაზთა გასარჩევად განსხვავებული თვისებებით ხელმძღვანელობის მაგიერ, უკეთესი იქნება, თუ ყურადღებას მხოლოდ განსაკუთრებულ ტენდენციას მივაპყობთ, ტენდენციას, რომელიც ამა თუ იმ ხაზის მიმართულებით ვითარდება.

ამ თვალსაზრისით, უეჭველია, რომ სიცოცხლის პირველადი სწრაფვა თავის ევოლუციურ პროცესში ორ განსხვავებულ ტოტად უნდა გაყოფილიყო: პირველი იყო მ ც ე ნ ა რ ე თ ა ს ა მ ე ფ ო , და მეორე - ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა მ კ ვ ი დ რ ო . ორივე ეს სამკვიდრო მკაფიოდგანსხვავდება ურთიერთისაგან იმ განსაკუთრებული ტენდენციებით, რომელნიც განვითარების თითოეულ ხაზს ახასიათებენ.

ტენდენციათა სხვაობა უწინარეს ყოვლისა კვების წესში იჩენს თავს. მცენარეები უშუალოდ იკვებებიან ჰაერით, წყლითა და მიწით, საიდანაც ისინი ნახშირბადსა და აზოტს იღებენ. ასეთია მცენარეების საზრდო და, ცხადია, რომ სწორედ ეს საზრდოა, რომლის სახითაც მცენარე მსოფლიოში გაბნეულ მზის ე ნ ე რ გ ი ა ს თანდათანობით აგროვებს. მაგრამ ამ მიზნის განსახორციელებლად თვით მცენარეთა ევოლუციის პროცესშიც ერთგვარი შრომის განაწილება მოხდა: მიკროსკოპული მცენარეების მთავარ საქმედ ჰაერისა და მიწიდან აზოტურ ნივთიერებათა გამოყოფა და მათი უმაღლეს მცენარეებისადმი გადაცემა შეიქნა; ხოლო ამ უკანასკნელთა ფუნქცია ნახშირბადისაკენ მიიმართა: თავისი მწვანე ნაწილებით, რომელნიც საკმაოდ შეიცავენ ქლოროფილს, მცენარე ერთგვარს თავისებურ ქიმიურ რეაქციას ახდენს, ატმოსფეროს ნახშირის სიმჟავეს შლის და, ამგვარად, ნახშირბადს აგროვებს. რაკი ასეთია საზრდო მცენარეულობისა, ამიტომ ამ უკანასკნელისათვის საზრდოს ძიება და, მაშასადამე, მოძრაობაც სრულიად ზედმეტი შეიქნა, უძრაობა, მთავარი ტენდენციაა, რომელიც მცენარეთა სამეფოს ახასიათებს.

ამგვარად, სიცოცხლის იმპულსმა ერთ-ერთი თავისი მიზნის განხორციელება, ე ნ ე რ გ ი ი ს თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ ი დ ა გ რ ო ვ ე ბ ა, მცენარეთა ორგანიზაციის მეშვეობით შეძლო. სულ სხვაგვარია ის ტენდენცია, რომელიც ცხოველთა სამეფოში განვითარდა. ცხოველი თავის საზრდოს უშუალოდ როდი იღებს ბუნებიდან. არა, იგი მხოლოდ ორგანული ნივთიერებით იკვებება, რომელსაც ან მცენარეულობაში, ან ცხოველებში პოულობს; ასე რომ, ბოლოს და ბოლოს ცხოველი მცენარეულობით საზრდოობს.

ეს არის პირველი ძირითადი განსხვავება. მასთან დაკავშირებულია მეორე. „რაკი ცხოველს არ შეუძლია, აზოტი და ნახშირბადი იმ სახით შეითვისოს, რა სახითაც იგი ყველგან მოიპოება, ამიტომ იგი იძულებული ხდება, თავის საზრდოდ ან მცენარეულობა ეძიოს, რომელსაც ეს ელემენტები უკვე შეთვისებული აქვს, ანდა ისეთი ცხოველები, რომელთაც იგივე ელემენტები მცენარეთა სამეფოდან აქვთ მიღებული, ამგვარად, ცხოველისათვის პირდაპირ აუცილებელი ხდება მოძრაობის უნარი“ (Ev. 118). საკმარისია ოდნავ თვალი გადავავლოთ ცხოველთა სამეფოს, რათა იმწამსვე შევნიშნოთ, რომ ანომალური ცხოვრება, უბრალო ამებიდან დაწყებული, ვიდრე ურთულეს ხერხემლიანებამდე, საერთოდ სივრცეში მოძრაობით ხასიათდება.

ამგვარად, თუ სიცოცხლის სწრაფვა ენერგიის თანდათანობითი დაგროვების მიზანს მცენარეთა ორგანიზაციის მეშვეობით ახორციელებს, პირიქით, მეორე თავის მიზანს ამ ენერგიის დახარჯვას, მის მოძრაობად გარდაქმნას, იგი ცხოველთა ორგანიზმის დახმარებით ახერხებს.

ჩვენ ვხედავთ, რომ სიცოცხლის იმპულსი თავისი შემოქმედებითი სწრაფვის განთავისუფლებას პირველად ერთი ორგანიზმის ფარგლებში ცდილობს. ასე ჩნდებიან მიკროორგანიზმები. მაგრამ ისინი ამ შემოქმედებითი სწრაფვის მხოლოდ უმნიშვნელო ხარისხს წარმოადგენენ; ამიტომ სიცოცხლის სწრაფვა აღნიშნული მდგომარეობით არ კმაყოფილდება და თავის განთავისუფლებას განვითარების სხვა ხაზებზე ეძებს. თავისი ძირითადი ტენდენციის გაყოფის საშუალებით იგი უფრო მაღალ ხარისხს აღწევს. მცენარეთა ორგანიზაციით ენერგიას აგროვებს, ხოლო ცხოველთა ორგანიზმების სახით ამ ენერგიის მოძრაობად გარდაქმნას ახერხებს. მაგრამ სიცოცხლის იმპულსი თავისი განთავისუფლების უფრო მაღალი ხარისხის განსახორციელებლად ისეთი ანიმალური ორგანიზმის შექმნას ესწრაფვის, რომელსაც რაც შეიძლება უფრო მეტისა და უფრო თავისუფალი მოძრაობის განხორციელება უნდა შეეძლოს. ამგვარად, ცხოველთა სამეფოში განვითარების სხვადასხვა ხაზები ჩნდებიან, რომელთა ორგანიზაციაც სულ უფრო და უფრო რთულ მოძრაობათა გამოსახატავად არის აგებული. დასასრულ, განვითარების ხაზი ნ ე რ ვ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ი ა ნ ი ცხოველების ორგანიზაციამდე აღწევს. ვინაიდან ნერვების სისტემა, ბოლოს და ბოლოს, მოძრაობათა გართულებასა და განთავისუფლებასთან არის დაკავშირებული, ხოლო, მეორე მხრივ, ცხოველის მთელი ორგანიზმის raison d’être-ი სწორედ ამ მოძრაობათა მრავალმხრივობისა და განთავისუფლების უმაღლესი დონის მიღწევაში მდგომარეობს, ამიტომ უეჭველია, რომ ნერვების სისტემა მთელი ორგანიზმის ცენტრს და უცილობელ მბრძანებელს უნდა წარმოადგენდეს.

საკმარისია, ყურადღებით შევისწავლოთ უმაღლესი ორგანიზმის აგებულება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს მართლა ასეა. ჯერ კიდევ კ ი უ ვ ი ე მ აღნიშნა: „ნერვების სისტემა არსებითად მთელ ცხოველს წარმოადგენს; დანარჩენი სისტემები მისთვის არსებობენ, რომ მას ემსახურონო“. და მართლაც, განა საჭმლის მონელების, სუნთქვის, სისხლის მიმოქცევისა და სხვათა ორგანოების როლი მარტო იმაში არ მდგომარეობს, რომ ცენტრალური სისტემა, ერთის მხრივ, გაამაგრონ, დაიფარონ, განწმინდონ და საერთოდ შესაფერი შინაგანი გარემო შეუქმნან, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციალური ენერგია გადასცენ, რომელიც მან მოძრაობად უნდა გარდაქმნას (Ev. 136). „უბრალო მონერებიდან დაწყებული, ვიდრე უნიჭიერეს მწერებსა და უგონიერეს

ხერხემლიანებამდე, ნამდვილი პროგრესი, უმთავრესად, ნერვების სისტემის პროგრესსა და იმ ნაწილების დამატებათა და გართულებათა წინსვლაში მდგომარეობდა, რომელთაც პირველი პროგრესი მოითხოვდა... ნერვების სისტემა, რომელშიც ნეირონები იმგვარად არის დალაგებული, რომ თითოეული მათგანის ბოლოს სხვადასხვა შესაძლებლობის სხვადასხვა გზები იწყება, გაურკვევლობის“ (ე. ი. ყოველგვარი მოქმედების შესაძლებლობის) ნამდვილ აუზს წარმოადგენს. „ამგვარად, ორგანული სამყაროს მოკლე განხილვა, საერთოდ, გვითვალისწინებს, რომ სიცოცხლის იმპულსს არსებითად სწორედ ამგვარი აპარატის შექმნა უნდა გამოეწვია" (Ev. 137).

მაგრამ თვით ამგვარი აპარატის ორგანიზაციის პროცესიც ევოლუციის გზით მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, მხოლოდ ადამიანის ნერვული სისტემა, განსაკუთრებით კი ადამიანის ტვინი, უნდა ჩაითვალოს იმ უმაღლეს დონედ, რომელსაც დღემდე სიცოცხლის იმპულსმა ორგანულ მსოფლიოში მიაღწია. მართალია, ყოველგვარი ტვინის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი არჩევანის მიხედვით მოძრაობის მექანიზმები ამა თუ იმ მიმართულებით აამოქმედოს, მაგრამ ადამიანს რომ მოძრაობათა შესწავლა და კომბინაცია შეუძლია, ამის მსგავსს ცხოველთა სამეფოში სხვაგან ვერსად შევხვდებით. ეს იმით აიხსნება და იმას ამტკიცებს, რომ ადამიანის ტვინს აურაცხელი მექანიზმების ამოძრავების უნარი აქვს, და, მაშასადამე, იმ მოქმედებათა წრე, რომელშიც არჩევანის მოხდენა შეგვიძლია, განუსაზღვრელად უნდა ჩაითვალოს. უეჭველია, თუკი სადმე ძალუძს შემოქმედებითი სიცოცხლის იმპულსს თავისი დანიშნულების, დაუბრკოლებადი შემოქმედების განხორციელება, ეს მას უწინარეს ყოვლისა „გამოურკვევლობათა რეზერვუარში" უნდა შეეძლოს.

ამ აზრით, ადამიანის ნერვული სისტემა, თუ საბოლოო მიზნად არა, სიცოცხლის იმპულსის განვითარების უმაღლეს დონედ მაინც უნდა ჩაითვალოს.

ერთი სიტყვით, უნივერსალური შემოქმედებითი სწრაფვა, რომელიც élan vital-ის სახით თავისი დაძაბულობის განსაზღვრულ ხარისხს წარმოადგენს, დროის პროცესში თავისი შემოქმედებითი ძალების განთავისუფლებას ესწრაფვის. ეს სწრაფვა ნივთიერებასთან ბრძოლის სახით გვევლინება: თითოეული წინგადადგმული ნაბიჯი სიცოცხლის სწრაფვისა ისეთი ორგანიზმების შექმნაში იჩენს თავს, რომელთა კონსტრუქციაც სულ უფრო მეტისა და მეტი მოქნილობით ეგუება მის ბუნებას, დაუბრკოლებად შემოქმედებას. ამიტომაც, ორგანული ბუნების ევოლუციის პროცესი, რომელიც უძრაობიდან და მარტივი მოძრაობიდან სულ უფრო რთულისა და მრავალმხრივი მოძრაობის განხორციელების შესაძლებლობისაკენ მიიმართება, სიცოცხლის იმპულსის ნივთიერებაზე გამარჯვებისა და მისი ხარისხების გრადაციული ზრდის ისტორიად უნდა ჩაითვალოს. ევოლუცია ორგანული სინამდვილისა, იმისდა მიხედვით, ევოლუციაა პოზიტიური რეალობის ზრდისა, რომლის დასასრულადაც დღეს ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემა შეიძლება იქნეს მიჩნეული; იგი ევოლუციაა სიცოცხლის იმპულსის ნივთიერებაზე გამარჯვებისა, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ ნივთიერება, ადამიანის ორგანიზმის სახით, მის მაგიერ რომ ებრძოლოს სიცოცხლის შემოქმედებითი სწრაფვას, ემსახურება და ახორციელებს მას.

ამგვარად, სიცოცხლის სწრაფვის პარადოქსალური მიზანი სრულ განხორციელებას დაუახლოვდა: მას უნდოდა, ნივთიერებაზე ნივთიერებისავე საშუალებით გაემარჯვა. და ადამიანის ორგანიზმის სახით მან მართლაც შექმნა ისეთი მექანიკოსი, რომელმაც სძლია თვით მექანიზმს.

3. სულიერი ცხოვრების გენეზისი

ცნობიერება და მცენარეთა სამეფო. ცხოველთა სამეფო, ცნობიერება და ინსტინქტი. ინსტინქტის ბუნება და მისი გენეზისი. ინსტინქტი და სიცოცხლის სწრაფვა. ინტელექტი, მისი თვისებები. ინტუიცია. მეცნობიერება, ინტელექტი და ინტუიცია.

უნივერსალური შემოქმედებითი პროცესი, სიცოცხლის სწრაფვის სახით, ორგანულ ნივთიერებას სამი მიმართულებით ამოძრავებს: მცენარეულობა, ცხოველთა სამეფო და ადამიანი,- აი ის სამი ტოტი განვითარებისა, რომელთა გზითაც ევოლუციური პროცესი იშლება. ჩვენ უკვე გათვალისწინებული გვაქვს, თუ რა სახით ახორციელებს სიცოცხლის სწრაფვა თითოეულს ამ ტოტზე თავის შინაარსს, რამდენადაც ეს ნივთიერების ორგანიზაციაში იჩენს თავს. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როგორ სახიერდება თითოეულ ევოლუციურ გზაზე იგივე შემოქმედებითი სწრაფვა, რამდენადაც იგი ზეცნობიერებას წარმოადგენს. მცენარეთა სამეფოს დამახასიათებელ ტენდენციად, სხვათა შორის, უძრაობა იქნა აღნიშნული. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბერგსონის აზრით, „მოძრაობასა და ცნობიერებას შორის ცხადი დამოკიდებულება არსებობს; რომ ცნობიერება მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო ფართოა ის წრე, რომელიც შესაძლო მოქმედებათა ჯამს შეიცავს; რომ ცნობიერება იმ არითმეტიკული სხვაობით განისაზღვრება, რომელიც ნამდვილსა და შესაძლო მოქმედებათა შორის არსებობს (Ev. 157). მაშასადამე, უეჭველია, რომ მცენარეთა სამეფოსთვის, რომელსაც განსაკუთრებით უძრაობისაკენ მიმართული ტენდენცია ახასიათებს, ცნობიერება სრულიად უცხო უნდა იყოს.

ზეცნობიერება, ამგვარად, რამდენადაც იგი მცენარეთა ორგანიზმის საევოლუციო გზით მიიმართება, მკრთალდება და თავისი საერთო ტენდენციით სრულიად იძინებს. მცენარეს, საზოგადოდ, უგრძნობლობა და უცნობიერობა ახასიათებს, თუ რომ ცალკე გამონაკლისთ ყურადღებას არ მივაქცევთ და მხედველობაში მხოლოდ ძირითად ტენდენციას მივიღებთ.

სულ სხვაა ცხოველთა ორგანიზმი. მისი მთავარი ინტერესი მოძრაობაა; მისი მთავარი ტენდენცია ადგილმაცვალობისა და მოქმედებისაკენ არის მიმართული. ამისდა მიხედვით, უეჭველია, რომ მცენარეთა სამეფოში ჩაძინებული ცნობიერება ცხოველის ორგანიზმში თავისთავს უბრუნდება და იღვიძებს: უეჭველია, ცხოველთა სამკვიდროს ნიშანდობლივ თვისებას გრძნობიერება და ცნობიერება შეადგენს. მაგრამ რა სახეს იღებს ცხოველის ორგანიზმში გაღვიძებული ცნობიერება ევოლუციური პროცესის იმ ტოტებზე, რომელზეც ანიმალური ცხოვრება იშლება?

ამის გასარკვევად უფრო ხელსაყრელი იქნება, თუ რომ ეკოლუციის პირველ ნაბიჯებს კი არა, მის უმაღლეს საფეხურებს მივიღებთ მხედველობაში. ჩვენ ვიცით, რომ ცხოველთა სამეფო თავისი განვითარების უმაღლეს დონეს, ერთი მხრივ, არტროპოდებში და, მეორე მხრივ, ხერხემლიან ცხოველებში აღწევს. პირველ შემთხვევაში ჩვენ ჭიანჭველათა სამეფოსთან გვაქვს საქმე, რომელთაც სამართლიანად ნიადაგის მეფედ თვლიან, ხოლო მეორე შემთხვევაში - ადამიანთან, ამ „ბუნების მეუფესთან“. უეჭველია, სიცოცხლის

სწრაფვის ძირითადი ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აქ, განვითარების ამ უკიდურეს წერტილებზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

ცნობილია, რომ ჭიანჭველათა განსაკუთრებით ი ნ ს ტ ი ნ ქ ტ ი ახასიათებს, ხოლო ადამიანს - ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ ი.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორია ინსტინქტის ნიშანდობლივი თვისებები. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ინსტინქტი „ბუნებრივი იარაღის," ორგანოების ხმარებისა და ზოგჯერ მათი შექმნის უნარს წარმოადგენს. საკმარისია უბრალო მაგალითი, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ, რათა ამაში მტკიცედ დავრწმუნდეთ. მართლაც და, როდესაც წიწილა თავისი ნისკარტით კვერცხის კანს ამტვრევს, იგი, რა თქმა უნდა, სიცოცხლის პირველად იმპულსს აგრძელებს, რომელიც მისი ორგანიზმის განვითარებას და ამით თავის ემბრიოლოგიურ გზას ასრულებს. ამ მხრივ, კვერცხის კანის გამტვრევა ის მოძრაობაა, რომელშიც სიცოცხლის შემოქმედებითი სწრაფვა წიწილას ორგანიზაციას განაგრძობს. მაგრამ ამავე დროს ეს მოძრაობა ინსტინქტური მოძრაობაცაა. ამგვარად, ინსტინქტი, როგორც უნარი ნივთიერების ორგანიზაციისა, სიცოცხლის სწრაფვის გაგრძელებაა; მაგრამ იგი უფრო ხშირად უკვე განვითარებული ორგანოების გამოყენების ფუნქციითაც განისაზღვრება. რა თქმა უნდა, არც ეს გარემოება ცვლის ინსტინქტის ბუნებას; იგი აქაც სიცოცხლის იმპულსის საქმეს განაგრძობს, ვინაიდან სრულიად შეუძლებელია, მკაფიო საზღვარი გაავლო ორგანულ აქტივობასა (რომელიც სიცოცხლის ფუნქციების იარაღებს ქმნის) და იმ ინსტინქტს შორის, რომელიც ამგვარად შექმნილი იარაღებით სარგებლობს. „ცხოველის ჩანასახის მეტამორფოზებში „არსად არ გვხვდება ხაზი, რომელიც ცხოველის ინსტინქტსა და ცოცხალი ნივთიერების ორგანიზატორულ შრომას მკაფიოდ ჰყოფდეს ურთიერთისაგან" (Ev. 152).

ამგვარად, სიცოცხლის იმპულსი თავისი განვითარების შინაგანის, ფსიქიკური შინაარსის მხრივ ცხოველთა სამეფოს ეგულუციის ერთ ხაზზე ინსტინქტის სახით ყალიბდება. აქ სოცოცხლის იმპულსი უშუალოდ იღებს ფსიქიკური პროცესის სახეს და პირდაპირ სწვდება თავისთავს; და აღსანიშნავი განსაკუთრებით ის არის, რომ ეს წვდომა, ეს შეგნება თავისი საკუთარი თავისა წმინდა შინაგანის, წმინდა უშუალობისა და, მაშასადამე, აბსოლუტური ხასიათის არის. ეს ნათლად ჩანს ფ ა ბ ე რ ი ს დაკვირვებიდან, როდესაც კრაზანა ისეთ ადგილას ჰკბენს მრვალფეხასა და ჭიას, რომ იგი სრულიად კი არ მოკვდეს, არამედ მხოლოდ მოძრაობის უნარი დაკარგოს, შთაბეჭდილება ისეთი ჩნდება, თითქოს კრაზანა სწავლული ქირურგი იყოს, რომელმაც იცის, რომ ამ მიზნისათვის მოძრაობის ცენტრების დაზიანებაა საჭირო. უეჭველია, კრაზანას ანატომია არ შეუსწავლია; უეჭველია, მას მოძრაობითი ცენტრები სხვა ცენტრებიდან არ ამოუჭრია და ამ სახით მათი თვისებები არ გაუთვალისწინებია. მაგრამ ამავე დროს ისიც უეჭველია, რომ კრაზანას მოძრაობანი, მსხვერპლის წინააღმდეგ მიმართულნი, არც სავსებით ა ვ ტ ო მ ა ტ უ რ ი ხასიათის არიან, თორემ მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა ის შეცდომები, რომელიც ზოგჯერ მას მოსდის ხოლმე, და რომლის მიხედვითაც თავისი მსხვერპლის პარალიზაციის მაგიერ იგი სრულიად კლავს მას. ამგვარად, აქ ჩვენს წინაშე არც სავსებით ავტომატური მოძრაობა დგას და არც შეგნებულად შესწავლილი. მაშ რაღა ბუნებისაა ეს ახირებული მოძრაობა, რომელიც კრაზანას თავის მიზანს აღწევინებს? რა ხასიათის არის ის ცოდნა, რომელიც ინსტინქტის თითქმის აბსოლუტურს შეუცდომლობაში იჩენს თავს?

არსებულ ბიოლოგიურ ლიტერატურას ამ საკითხზე, უმთავრესად, ორგვარი პასუხი აქვს მზად. ერთნი ფიქრობენ: ინსტინქტი რთული მექანიზმია, რომელიც, შეგუების პრინციპის მიხედვით, შემთხვევითი ხასიათის მცირე ცვლილებებიდან იქნა აგებულიო. - მეორენი ამბობენ: ინსტინქტი ცნობიერად შეთვისებული და შემდეგ ავტომატურად გარდაქმნილი ჩვეულება არისო. მაგრამ უეჭველია, რომ არც პირველი პასუხი არის სავსებით დამაკმაყოფილებელი და არც მეორე. მათი საერთო შეცდომა იმაშია, რომ „რაკი მეცნიერულ აზროვნებას ამ საგნის ნამდვილი ანალიზის შესაძლებლობა არა აქვს, ამიტომ იგი მას ინტელექტის ტერმინოლოგიით ხსნის“. კერძოდ კი, პირველი ჰიპოთეზა ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერს შემთხვევას. მართლაც და, როგორ შეუძლია მას ისეთი რთული ინსტინქტების შექმნა, როგორიც არის მაგ:, პარალიზატორული ინსტინქტი კრაზანისა? „ეჭვი არ არის, შეუძლებელია, ამდაგვარ ინსტინქტებს თავისი სირთულის ახლანდელი საფეხურისათვის ერთბაშად მიეღწიოთ: ალბად, ისინი თანდათანობითის გზით განვითარდენ. იმგვარი ჰიპოთეზების თანახმად, როგორიც არის ნეოდარვინისტული ჰიპოთეზა, ინსტინქტის განვითარება მხოლოდ ახალი ნაწილების თანდათანობითი დაგროვების გზით უნდა მომხდარიყო, ახალი ნაწილების, რომელნიც მხოლოდ ბედნიერი შემთხვევების წყალობით უნდა დართვოდნენ ურთიერთს. მაგრამ უეჭველია, უმეტეს ნაწილად შეუძლებელი იქნებოდა, ინსტინქტი მარტო უბრალო ზრდის საშუალებით გაუმჯობესებულიყო. თითოეული ახალი ნაწილაკის გაჩენა უთუოდ მოითხოვდა, ან მთელი ინსტინქტი გარდაქმნილიყო და ან სრულიად დაღუპულიყო. მაგრამ შეეძლო კი ასეთ გარდაქმნას შესაფერისი შემთხვევისათვის ეცადა?.. ცხადია, ინსტინქტის განვითარებისათვის საჭირო უნდა ყოფილიყო, რომ მხოლოდ სიცოცხლის უნარის მქონე კომპლიკაციები განხორციელებულიყვნენ. ეს კი მხოლოდ იმ შემხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ რომ თითოეული ახალი ელემენტის გაჩენა ყველა წინანდელი ელემენტის შესაფერ შეცვლას გამოიწვევდა; მაგრამ ვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ შემთხვევას ასეთი სასწაულის მოხდენა შეუძლია?“ (Ev. 284).

სამაგიეროდ, მეორე ჰიპოთეზა სრულიად ადვილად უვლის გვერდს ამ სიძნელეს, როდესაც იგი თანდათანობითი ცვლილებების ზრდას საფუძვლად ცნობიერებას უდევს. მაგრამ მას მეორე დაუძლეველი დაბრკოლება ეღობება წინ. „როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კრაზანა თანდათანობით, ერთიმეორეს შემდეგ ეცნობოდა თავისი სხვერპლის იმ წერტილებს, რომელთა განგმირვაც იყო საჭირო, რათა მას მოძრაობის უნარი დაეკარგა, და იმ საგანგებო ქცევას, რომლითაც იგი ტვინს უნდა მოპყრობოდა, რათა დამბლა ისე დაწყებულიყო, რომ მას სიკვდილი არ გამოეწვია; როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესოდენ ზედმიწევნით ცოდნის ესოდენ სპეციალური ელემენტები სწორი მემკვიდრეობით გადადიოდენ თაობიდან თაობაზე? ჩვენ რომ მთელს ჩვენს გამოცდილებაში ასეთი მემკვიდრეობითი გადაცემის თუნდა ერთი მაგალითი მაინც გვქონოდა, მაშინ შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობის წინააღმდეგ ხმის ამოღებასაც ვერავინ გაბედავდა“ (Ev. 188).

ამგვარად, უეჭველია, რომ ინსტინქტის ახსნის ცდა მისი ინტელექტუალურ ან ინტელეგიბელურ ელემენტებად ანალიზის მეშვეობით ყოველთვის უნაყოფოდ თავდება.

დარჩა ერთადერთი შესაძლებლობა ინსტინქტის ნამდვილი ბუნების ახსნისა. თუ რომ ინსტინქტს თანაგრძნობად, სიმპატიად

ვაღვიარებთ, „ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით“, მაშინ ყოველგვარი სიძნელე თავიდან იქნება აშორებული; მაშინ ჩვენ მივხვდებით, რომ ინსტინქტის „ცოდნის“ საოცარი შეუცდომლობა თანდათანობითის გამოცდილებიდან და გარეგანი განცდიდან როდი გამომდინარეობს, არამედ ერთგვარი სიმპატიიდან, რომელიც „ასე ვსთქვათ, შიგნიდან აცნობს" კრაზანას მისი მსხვერპლის ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილის თვისებებს, თითქოს ორივე ეს ცხოველი ერთ მთლიან ორგანიზმად ყოფილიყვნენ ოდესმე შეერთებულნი. ეს გაერთიანება ორი განცალკევებული ორგანიზმისა, რომელიც მათი სიცოცხლის სწრაფვის მთლიან ერთობას მოგვაგონებს, მათი შეხვედრის დროს ხორციელდება. ინსტინქტი, მაშასადამე, ის საგულისხმო აქტივობაა, რომელიც ორგანიზმის ცნობიერებაში სიცოცხლის იმპულსის მთლიანობასა და არსებით განუწვალებადობას გამოხატავს.

„ინსტინქტურ ცოდნას თავისი საფუძველი თვით სიცოცხლის იმ ერთიანობაში აქვს, რომელიც, ერთი ფილოსოფოსის სიტყვით, წარმოადგენს სიმპატიას თავისი თავის მიმართ", და რადგანაც ჩვენ მთელს ჩვენს წარსულს თან ვატარებთ, რა საკვირველია, რომ წარსული ერთიანობის გრძნობა ინსტინქტის შემეცნების სახით იჩენდეს თავს? (Ev. 181).

ამგვარად, ჩვენ თითქოს სრული უფლება გვეძლევა ვთქვათ, რომ სწორედ ინსტინქტია ის ფსიქიკური პროცესი, რომელშიც სიცოცხლის სწრაფვა თავის საკუთარ თავს პოულობს, რომელშიც იგი მთელი თავისი შინაარსით იშლება და რომლისთვისაც უნივერსალური მეტაფიზიკური პრინციპი, დაუღალავი შემოქმედებითი იმპულსი, მთელი თავისი ბუნებით ცხადდება.

მაგრამ ჩავუკვირდეთ კიდევ უფრო მეტი ყურადღებით ინსტინქტის ბუნებას, და ჩვენ დავინახავთ, რომ ასეთი დასკვნა ნაადრევია.

საქმე ის არის, რომ, როდესაც კრაზანა თავის მსხვერპლს სწორედ შესაფერის ადგილას ჰკბენს და ამით თითქოს მისი ანატომიური აგებულების სრულ ცოდნას იჩენს, იგი შეუგნებლად მოქმედებს. ინსტინქტი არაცნობიერი აქტია: ჩვენ ვიცით, რომ ცნობიერება მოქმედებათა არჩევის შესაძლებლობას გულისხმობს: ხოლო იქ, სადაც გაღიზიანებას ყოველთვის ერთი გარკვეული მოძრაობა სდევს თან, იქ ცნობიერება სრულიად ზედმეტია, ინსტინქტში სწორედ ასეთ გარკვეულ მოძრაობასთან გვაქვს საქმე. ამიტომ არის, რომ ბერგსონი ცნობიერებას „ინსტინქტის დეფიციტს“ უწოდებს, მაშასადამე, კრაზანას ცოდნა მისი მსხვერპლის ანატომიური აგებულებისა შეუძლებელია ცნობიერს ცოდნად ჩაითვალოს, იგი უფრო „განცდილი" ან „საქმითი" ცოდნაა, რომელიც მოძრაობათა შეუცდომლობაში პოულობს თავის გამოხატულებას, იგი არ არის ცოდნა ცნობიერი ანუ „წარმოდგენილი“, ან შეგნებული; იგი არ არის „ნააზრევი, იგი უფრო ნაგრძნობი ცოდნაა“ (Ev. 186).

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ინსტინქტის ცოდნას კიდევ აქვს მეორე ისეთი თვისება, რომელიც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო საგრძნობლად ამცირებს. მართალია, ინსტინქტი უშუალოდ წვდება თავის ობიექტს, და მისი ცოდნა სრულია; იგი არა გარეგნული და ზედაპირული, არამედ შინაგანი და ღრმაა; მაგრამ ამის მიუხედავად ინსტინქტი მხოლოდ განსაზღვრული ობიექტებისაკენ და, კიდევ უფრო ხშირად, ობიექტების განსაზღვრული ნაწილებისაკენ არის მიმართული. მას მხოლოდ ის აინტერესებს, რასაც ორგანიზმისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს; იგი ორგანიზმის მოთხოვნილებებს ემსახურება. ამიტომ არის, რომ ცხოველმა მხოლოდ სასარგებლო ობიექტები იცის და

ისიც მხოლოდ მარტო ის ნაწილები ამ ობიექტებისა, რომელთაც უშუალო მნიშვნელობა აქვთ მისი მოთხოვნილებებისათვის. ამგვარად, მართალია, ინსტინქტის „ცოდნა" სრულია და შინაგანი ბუნებისაც არის, მაგრამ სამაგიეროდ იგი მხოლოდ განსაზღვრულ საგნებს და ისიც მხოლოდ მათს ერთ-ერთს განცალკევებულ მხარეს ეხება; იგი, ამიტომ, ძალიან ვიწროდ შემოფარგლული ხასიათის ცოდნას შეიცავს. უეჭველია, ამის მიხედვით, რომ ინსტინქტში სიცოცხლის იმპულსი მართლაც პოულობს თავის საკუთარ თავს, მაგრამ რაკი ინსტინქტი ცხოველის ორგანიზმის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა მსახურად გარდაიქცა, ამიტომ იგი სიცოცხლის იმპულსის მხოლოდ ძლიერ უმნიშვნელო, მარტო მისი მოთხოვნილებებისათვის საინტერესო ნაწილს განიცდის; ხოლო რაკი ინსტინქტს ცნობიერებაც აკლია, ამიტომ იგი ამ უმნიშვნელო ნაწილსაც კი თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სიბნელეში სწვდება, და ისიც არა იმდენად მხედველობის, რამდენადაც შეხების მეშვეობით."

სიცოცხლის იმპულსი ინსტინქტში ვერ ახერხებს თავისი შინაარსის გაშლას: „ამ მხრივ ყველა ჰორიზონტი იმთავითვე დახშულია" (Ev. 197). სამაგიეროდ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მას ინტელექტი ეხმარება. ინტელექტს ცნობიერება ახასიათებს; მეორე მხრივ, იგი, ვითარცა ორგანო ფორმალური შემეცნებისა, არ არის ერთი განსაზღვრული საგნით შემოზღუდული; იგი პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებათა ფარგალს სცილდება და უფრო შორს ისწრაფვის.

ამგვარად, ზეცნობიერებამ ადამიანის ინტელექტში გამოსავალი იპოვა; იგი აქ განთავისუფლდა და ამავე დროს თვითცნობიერი ხასიათიც მიიღო: „ყველგან, გარდა ადამიანისა, ცნობიერება ყრუ შუკაში მოექცა, მხოლოდ ადამიანში განაგრძო მან თავისი გზა. მაშასადამე, ადამიანი დაუბოლოებად განაგრძობს სიცოცხლის მოძრაობას, თუმცა მთელი სიცოცხლის შინაარსი მარტო მასში როდია თავმოყრილი. სხვა ტენდენციები, რომელთაც სიცოცხლე შეიცავდა, სხვა გზით წავიდენ; უეჭველია, ადამიანმა ზოგი მათგანი შეინარჩუნა, ვინაიდან ხომ ყველაფერი ერთვის ყველაფერს? მაგრამ შეინარჩუნა მან ძალიან ცოტა გამოდის ისე, თითქოს ერთ-ერთი სუსტი და მერყევი არსება, რომელსაც, თუ გნებავთ, ადამიანი ან ზეადამიანი შეიძლება ეწოდოს, რეალიზაციისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც თავის გზაზე თავისი საკუთარი თავის ნაწილი დატოვა" (Ev. 289). მართალია, ზეცნობიერებამ ადამიანის ცნობიერების ფაქტში მხოლოდ ინტელექტუალური ხასიათი მიიღო; მართალია, მისი ინსტინქტი ინტუიციის დონემდე მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში მაღლდება, მაგრამ განთავისუფლება ერთი მიმართულებით მაინც მოხდა, და ეს განთავისუფლება არც ინსტინქტის იმ ნაშთისათვის აღმოჩნდა სრულიად უმნიშვნელო, რომელიც ადამიანს კიდევ შერჩა: ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ინტელექტის განვითარების მაღალი დონე შეიქმნა იმ ძალად რომელიც ადამიანის ინსტინქტს ზოგჯერ მაინც ინტუიციის უპირატესობას ანიჭებს და ამით ჩვენს წინაშე აბსოლუტური შემეცნების შესაძლებლობას შლის.

თუ რომ ინტუიცია და ინტელექტი ის ორი გზაა, რომელზეც ზეცნობიერება ადამიანის ცნობიერებაში აშკარავდება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი თითოეულს ამ გზაზე თავისი მიმდინარეობის განსაკუთრებულ მიმართულებას ხდის ცნობიერად. ჩვენ ვიცით, როგორია ეს მიმართულებანი: პირველი დაძაბულობის

მაღალ ხარისხს, მაშასადამე, წმინდა შემოქმედებით სწრაფვას ან ხანიერობას წარმოადგენს; მეორე კი - ამ სწრაფვის მოდუნებას, ვრცეულობის ან ნივთიერების მიმდინარეობას. ამისდამიხედვით, ჩვენი ინტუიცია ადამიანის სულიერი ცხოვრების მოვლენათა წმინდა შემოქმედებითი პროცესის ან თავისუფლების გამოხატულებაა, ხოლო ინტელექტი საწინააღმდეგო მიმართლებას, ჩვენი ცნობიერების დეტერმინისტულ პროცესებს გამოსახავს. ამიტომ ხდება, რომ მხოლოდ იშვიათად ვგრძნობთ თავს თავისუფლად. უფრო ხშირად ჩვენი სულიერი ცხოვრება ინტელექტის სარბიელს წარმოადგენს, რომელიც მასში თავისი კატეგორიების შესაფერ ნიადაგს: მრავლიანობასა და გარემდებარეობას პოულობს. ასეთია ჩვენი სულიერი ცხოვრება.

ამგვარად, ზეცნობიერება ევოლუციური პროცესის უმაღლეს დონეზე, სახელდობრ, ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, ორი მიმართულებით მოძრაობს: პირველი არის შემოქმედებითი სწრაფვა სულიერი ცხოვრებისა, რომლის პრინციპადაც ხანიერობა და თავისუფლება უნდა ჩაითვალოს. მეორე არის მოდუნება ცნობიერების ცხოვრებისა, რომელშიც ჩვენი სულიერი პროცესების განუწვალებადი მთლიანობის დაშლასა და დეტერმინისტულ მიმდინაროებას უდევს საფუძვლად. პირველის ცნობიერი განცდაა ინტუიცია, მეორესი - ინტელექტი. „ცნობიერებასო", ამბობს ბ ე რ გ ს ო ნ ი , - რომელიც მატერიაში შეიჭრა, შეეძლო თავისი ყურადღება ან საკუთარი მიმართულებისათვის მიეპყრო, ანდა იმ მატერიისათვის, რომელშიც იგი ტარდებოდა. ამგვარად, მას შეეძლო ან ინტუიციისაკენ მიმართულიყო ანდა ინტელექტისაკენ"-ო (Ev. 197).

ინტუიციისა და ინტელექტის გენეზისი, ამისადა მიხედვით, მატერიასთან არის დაკავშირებული. როდესაც ზეცნობიერება მატერიაში ტარდება, იგი, ერთი მხრივ, თავის საკუთარ მოძრაობას აპყრობს ყურადღებას, და ამ შემთხვევაში ინტუიციასთან გვაქვს საქმე; მეორე მხრივ, მას „არ შეეძლო არ შეგუებოდა მატერიას", ხოლო ეს შეგუება სწორედ ის არის, რასაც ინტელექტუალობას ვუწოდებთ (Ev. 293).

ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრი, ამგვარად სრულიად ნათელ სახეს ღებულობს, მოკლედ იგი, შეიძლება ასე გამოისახოს: აბსოლუტური სინამდვილის პრინციპი, უნივერსალური შემოქმედებითი სწრაფვა, თავისი დაძაბულობის ხარისხის მიხედვით, სინამდვილის ორი მიმართულებით იშლება: ერთია მისი ორგანული სფერო, და მეორე - არაორგანული. როგორც ზეცნობიერება, ეს ორი მდინარეობა ადამიანის ცნობიერების ველში, ერთი მხრივ, ინტუიციაში პოულობს თავის გამოხატულებას და, მეორე მხრივ, - ინტელექტში. ამგვარად, ინტელექტის გენეზისი იმავე მიმართულებით უნდა ვეძიოთ, რომლითაც მატერიის გენეზისი ინტელექტუალობა და მატერიალობა - ორივე შემოქმედებითი პრინციპის მოდუნებას წარმოადგენს.

თავი VII

გნოსეოლოგიური სინთეზი

1. შემეცნების შესაძლებლობა და წესრიგის პრობლემა

გამოცდილების და შემეცნების ერთიანობა ყალბი პოსტულატია. შემეცნების შესაძლებლობის საკითხი და მეოთხე ალტერნატივა. ერთდროული გენეზისი ნივთიერებისა და ინტელექტისა და მათი ურთიერთისადმი შეგუება. რეალობის უარყოფა. სირთულე და წესრიგი, სივრცე, როგორც ფორმა, რომელზეც შეჩერდენ ინტელექტი და ნივთიერება. ინდუქცია და დედუქცია. ნივთიერება და მათემატიკური წესრიგი. პრობლემა წესრიგისა. დამოკიდებულება მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის.

კ ა ნ ტ ზ ე უფრო ღრმა და შორსმწვდომი გავლენა, შეიძლება ითქვას, არავის მოუხდენია ფილოსოფიურ აზროვნებაზე. თანამედროვე ფილოსოფიის განვითარება, საზოგადოდ, დღესაც იმავე გზით მოძრაობს, რომელზეც იგი ამ ასიოდე წლის წინათ, კრიტიციზმის მამამთავარმა დააყენა. ეს გზა კრიტიციზმის გზაა, და ვინ იტყვის, რომ ფილოსოფიის ნამდვილი პროგრესი ამ გზის გარეშე შეიძლება განხორციელდეს.

მაგრამ კ ა ნ ტ ი ს ფილოსოფიური სისტემა მხოლოდ ეტაპი იყო ფილოსოფიის განვითარების ამავალ ხაზზე, და აქ, ამ სისტემაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც შეუმოწმებლად და დოგმატურადაა მიღებული. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, ასეთ იმთავითვე უკრიტიკოდ ნაგულისხმევ აზრს უთუოდ ის იდეაც შეადგენს, რომლის მიხედვითაც, როგორც გამოცდილება, ისე შემეცნებაც, მთლიან და ერთიან ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ ვიცით, თუ რაოდენ სახიფათონი და რაოდენ უიმედონი არიან ის პრობლემები, რომელნიც ამ წინასწარ ნაგულისხმევ იდეას სდევენ თან. ახლა ჩვენ მეტიც ვიცით: ვიცით ისიც, რომ თვით ეს იდეა სრულიად მოკლებულია ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს. იგი ყალბი იდეაა, და, ცხადია, თვით ის პრობლემებიც, რომელთაც იგი იწვევს, ყალბ პრობლემებად უნდა ჩაითვალონ. ინტუიციამ საბოლოოდ ნათელჰყო, რომ გამოცდილება ორი ურთიერთისაგან განსხვავებული გზით მიმდინარეობს, რომ, მეორე მხრივ, ჩვენი შემეცნებითი ძალების შინაარსი მარტო ინტელექტით არ ამოიწურება, რომ მისი საზღვრები ამ უკანასკნელის გადაღმა უნდა ვეძიოთ, რომ შემეცნებაც, მაშასადამე, სრულიად არ არის მთლიანი ერთიანი. ამიტომ, საკითხი შემეცნების შესაძლებლობის შესახებ სრულიად სხვა პერსპექტივაში გვევლინება. როდესაც კ ა ნ ტ ი ამ შესაძლებლობის შესახებ ლაპარაკობდა, მას გამოცდილებისა და შემეცნების მთლიანობის იდეა ჰქონდა წინასწარ ურყევ ჭეშმარიტებად ნაგულისხმევი. ამიტომ ამ საკითხის გადასაჭრელად მას მხოლოდ სამი ალტერნატივა მიაჩნდა შესაძლოდ, და შემეცნების თეორიას, მისი აზრით, არჩევანი ამ სამების ფარგალში უნდა მოეხდინა, მართლაც და, თუ რომ შემეცნება შესაძლებელია და თუ, მეორე მხრივ, სინამდვილისა და შემეცნების ერთიანობა უნდა იყოს

მიღებული, მაშინ ცხადია, რომ სინამდვილესა და ჩვენს შემეცნებითი ძალებს შორის ასეთი დამოკიდებულება უნდა ვიგულისხმოთ: 1. ან მოცემულია სინამდვილე, და გონება მხოლოდ ეგუება მას, და მის თვისებებს გვითვალისწინებს: 2. ან, პირიქით, თვით სინამდვილე ეგუება გონებას; ან და, დასასრულ, 3. სინამდვილესა და გონებას შორის წინასწარ დაწესებული ჰარმონია არსებობს. კ ა ნ ტ მ ა პირველი და მესამე ალტერნატივა სრულიად უარჰყო; სამაგიეროდ, ჭეშმარიტებად მეორე შესაძლებლობა აღიარა. მაგრამ რა საბუთით?

ჩვენ ვიცით, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, გონებასა და მთლიან სინამდვილეს შორის, შეუძლუბელია, თანაბარი შესაფერისობა ვაღიაროთ. გონება მთელი გამოცდილებით სინამდვილეს როდი სწვდება; მის საგანს ამ სინამდვილის მხოლოდ მცირე ნაგლეჯი, სახელდობრ, ნივთიერი სინამდვილე შეადგენს; და საკითხი სწორედ ამ უკანასკნელის შესახებ უნდა დაისვას. აქ კი, შესაძლებელია, მეოთხე ალტერნატივაც წარმოვიდგინოთ: არც მატერია განსაზღვრავს ინტელექტის ფორმას, არც ინტელექტი აძლევს მატერიას თავის ფორმას, როგორც კ ა ნ ტ ს ეგონა, და არც წინასწარ დაწესებული ჰარმონია არსებობს მათ შორის; შესაძლებელია, ინტელექტი და მატერია ერთი და იმავე გენეზისის არიან, და თავისი განვითარების პროცესში ისინი მანამ ეგუებოდენ ურთიერთს, სანამ არ მიაღწიეს იმ ფორმას, რომელიც ორივეს თანაბრად ახასიათებს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ინტელექტისა და მატერიის გენეზისი ერთი და იგივეა. აბსოლუტური სინამდვილის პრინციპი, უწყვეტი შემოქმედების სწრაფვა, გამოცდილების ორ მიმდინარეობას წარმოშობს; მისი დაძაბულობა ორგანულსა და სულიერ ცხოვრებას შლის სინამდვილეში: მ ი ს ი შ ე წ ყ ვ ე ტ ა, ა ნ შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა, ჩ ვ ე ნ ს გ ა რ ე თ, ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ი ს ს ა ხ ი თ ი შ ლ ე ბ ა, ხ ო ლ ო ჩ ვ ე ნ შ ი - ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ ი ს ს ა ხ ი თ. ნივთიერება და ინტელექტი ამისდა მიხედვით, აბსოლუტური რეალობის შესუსტების ერთი და იმავე ხარისხის გამოაშკარავების მეტს არაფერს წარმოადგენს:

ინტელექტი და ნივთიერება - ორივე ერთი და იმავე მიმდინარეობის, სახელდობრ, აბსოლუტური რეალობის შესვენების გამოხატულებას შეადგენენ, ამიტომ ორთავე არა დადებითის, არამედ უარყოფითი რეალობის სახედ უნდა ჩაითვალონ. ასეთია ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მეტაფიზიკის ძირითადი ქვაკუთხედი.

მაგრამ ძნელია დავრწმუნდეთ, რომ ნივთიერება და ინტელექტი მართლა უარყოფითი რეალობის მეტს არაფერს წარმოადგენენ. ძნელია მიტომ, რომ ჩვენი ინტელექტი ნივთიერს სინამდვილეში, საოცარ სირთულესთან ერთად, კიდევ უფრო საოცარ წესრიგს ადასტურებს: არაორგანიული ბუნების მოვლენათა მათემატიკური კანონშეწონილობა, მათი წინასწარი გამოანგარიშებისა და ზოგჯერ წინასწარმეტყველების შესაძლებლობა, თითქოს უდავოდ უნდა გვქონდეს აღიარებული, თორემ როგორ გსურთ, ყველა ეს თვისება მარტო უარყოფათა სისტემად მიიჩნიოთ? ბ ე რ გ ს ო ნ ი ფიქრობს, რომ აქ, არსებითად, არავითარი სიძნელე არ არსებობს. საქმე ის არის, რომ მისი რწმენით, სინამდვილის შეწყვეტას შეიძლება თან სდევდეს როგორც ელემენტთა უაღრესი გართულება, ისე მათი კოორდინაციის სისრულეც, ამას ნათლად გვითვალისწინებს შემდეგი ანალოგია.

„როდესაც პოეტი თავის ლექსს მიკითხავს, შემიძლია იმდენად დავინტერესდე მით, რომ მისი აზრებითა და გრძნობებით განვიმსჭვალო, რომ ის

მარტივი მდგომარეობა განვიცადო, რომელიც მან ფრაზებსა და სიტყვებში გააბნია. მე შემიძლია თანავუგრძო მის ხელოვნურ აღფრთოვანებას, შემიძლია გავყვე მას უწყვეტი მოძრაობით, რომელიც ამ აღფრთოვანების მსგავსად, ერთ მთლიან აქტს წარმოადგენს. მაგრამ საკმარისია შევწყვიტო ყურადღება, რომ ... ბგერებმა თავისი აზრი დაკარგონ, და თავისი მატერიალობის სახით ურთიერთის თანამიმდევრად მომეჩვენონ. ამისათვის ჩემთვის სრულიად არ იყო საჭირო, რამე მიმემატებია; პირიქით, სავსებით საკმარისი იყო რაღაც შემემცირებია. რაც უფრო მივენდობი ამ მიმდინარეობას, მით უფრო ინდივიდუალდებიან თანამიმდევარი ბგერები; როგორც წინადადებები სიტყვებად, სწორედ ისე იშლებიან სიტყვები მარცვლებად, რომელთაც მე ერთიმეორის შემდეგ განვიცდი. განვაგრძოთ გზა იმავე მიმართულებით. მაშინ ჩვენ ასოებსაც დავინახავთ, რომელნიც წარმოდგენილი ქაღალდის ფურცელზე მიმდინარეობენ და ურთიერთს ეხლართებიან, მე, შესაძლებელია, გამაოცებდა მათი კომბინაციების გარკვეულობა, საკვირველი მიმდინარეობა ასოებისა, და მათი გარკვეული შეერთებაც მარცვლებად, მარცვლებისა სიტყვებად და სიტყვების - წინადადებებად. რაც უფრო შორს მიდის ჩემი უარყოფითი განთავისუფლება ყურადღებისაგან, მით უფრო მეტს განფენილობისა და სირთულეს ვქმნი, ხოლო რაც უფრო იზრდება ეს სირთულე, მით უფრო საოცრად მიმაჩნია ის წესრიგი, რომელიც ურყევად არის გამეფებული ელემენტთა შორის, ამასთანავე ეს სირთულე და ეს განფენილობა დადებითს არაფერს წარმოადგენს; იგი ჩემი ნებისყოფის შესუსტების მეტს არაფერს გამოხატავს. მეორე მხრივ, პირდაპირ აუცილებელია, რომ წესრიგი გართულებასთან ერთად გაძლიერდეს, ვინაიდან იგი ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მხარის მეტს არაფერს შეიცავს. რაც უფრო მეტი ნაწილებისაგან შემდგარად წარმოვიდგენთ, სიმბოლიურად, განუწვალებად ერთეულს, მით უფრო გაიზრდება ამ ნაწილებს შორის არსებულ ურთიერთობათა საჭირო რიცხვი, ვინაიდან სინამდვილის წინანდელი მთლიანობა კვლავინდებურად განაგრძობს ბატონობას იმ სიმბოლური ელემენტების ზრდად რიცხვში, რომლებადაც მას ჩვენი ყურადღების გაბნევა შლიის (Ev. 228).

აქედან ცხადია, რომ შესაძლებელია, სინამდვილე საოცარი სისწრაფით რთულდებოდეს და იმავე დროს არანაკლებ საოცარ წესრიგსაც იცავდეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, დადებითს მაინც არაფერს წარმოადგენდეს. სწორედ იგივე უნდა ითქვას ნივთიერი სინამდვილის შესახებაც. „დადებითი რეალობის ერთ და იმავე შესუსტებას, პირველადი მოძრაობის ერთ და იმავე შებრუნებას შეუძლია შექმნას ერთ და იმავე დროს როგორც სივრცითი განფენილობა, ისე ის საოცარი წესრიგიც, რომელსაც ჩვენი მათემატიკა ადასტურებს მასში“ (Ev. 225).

როგორია ის ფორმა, რომელზეც თავისი განვითარების პროცესში ნივთიერება და ინტელექტი შეჩერდნენ? ავიღოთ ჯერ მატერია, ცნობილია, რომ ნივთიერი სინამდვილის ფორმად კ ა ნ ტ მ ა სივრცე აღიარა. და პირველი შეხედვით ეს თითქოს უდავო ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ რაც უფრო მეტის ყურადღებით ჩავუკვირდებით ნივთიერებას, მით უფრო თვალსაჩინო შეიქნება ჩვენთვის, რომ მისი ნაწილები ურთიერთს ერთვიან, რომ თოთოეული მათგანი მთლიანის უეჭველ გავლენას განიცდის; ასე რომ, ეს უკანასკნელი თითქოს მარადის წარმოდგენილია ყოველ ცალკე ნაწილში. ამგვარად, მატერია სივრცისაკენ მიიმართება, მაგრამ აბსოლუტურ ვრცეულად მაინც შეუძლებელია იგი ოდესმე ჩაითვალოს. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული,

რომ ნივთიერების დამახასიათებელ თავისებურებას სივრცისაკენ მიმართული ტენდენცია შეადგენს; ასე რომ, რა მხრივაც და როგორც უნდა აიღოთ ნივთიერება, თქვენ ყოველთვის დაინახავთ, რომ იგი სივრცისაკენ მიიმართება: „რა მდგომარეობაშიც უნდა ჩააყენოთ პატარა დედოფალა, რომელსაც ქვედა ნაწილში ტყვია აქვს გაკეთებული, წამოაქცევთ მას ზურგზე, დააყენებთ თავზე, თუ აისვრით ჰაერში, იგი ყოველთვის ავტომატურად ფეხზე დადგება. სწორედ იგივე უნდა ითქვას ნივთიერების შესახებაც. რა მხრივაც უნდა მივუდგეთ მას და რა ოპერაციაც უნდა მოვახდინოთ მასზე, იგი ყოველთვის და ყველგან სივრცის ფორმას შეინარჩუნებს, და, რადგანაც მათემატიკა სივრცეზეა დამყარებული, ამა თუ იმ მათემატიკურ ფორმულას დაექვემდებარება“ (Ev. 239).

ავიღოთ ახლა ინტელექტი, „თუ ჯერ ჩვენი ცნობიერების უმაღლეს პოზიციას დავიჭერთ და შემდეგ ნელის თანდათანობით ჩამოვეშვებით ძირს, იმწამსვე ვიგრძნობთ, რომ ჩვენი „მე“, იმის მაგივრად, რომ ერთ მთლიან მოქმედ სურვილად ჩამოისახოს, ინერტულს ურთიერთ გარე-მდებარე მოგონებებად დაიშლება" (Ev. 225). ამგვარად, უეჭველია, რომ ჩვენს ცნობიერებაშიც არსებობს ერთგვარი მიმდინარეობა, რომელიც სივრცისაკენ არის მიმართული; და ეს მიმდინარეობა, როგორც ვიცით, ინტელექტია. თუ რომ წარმოვიდგენთ, რომ იგი თავისი მიმართულების უკიდურეს წერტილს აღწევს, მაშინ ჩვენს წინაშე სრულიად გარკვეული, ჩამოყალიბებული სივრცის იდეა იდგომება. ცხადია, ამის მიხედვით, ჩვენი ინტელექტის დამახასიათებელ თავისებურებადაც ის მიმდინარეობა უნდა ჩაითვალოს, რომელიც სივრცისაკენ არის მიმართული და თავისი განვითარების უკიდურეს ზღვარში აბსოლუტურს, ჰომოგენურ სივრცედ იქცევა. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი ინტელექტუალური შემეცნება განსაკუთრებით თავისუფლად მათემატიკაში გრძნობს თავს, რომ იგი მთელ სინამდვილეს მათემატიკური ფორმულების ყალიბში ასხამს. „ჩვენი ინტელექტის ყველა მოქმედება გეომეტრიისაკენ ისწრაფვის, ვითარცა თავისი ბუნებრივი ზღვარისაკენ, და თავის ყოველმხრივ დასრულებას მასში პოულობს. მაგრამ რადგანაც გეომეტრია წინ უსწრებს ყველა ამ მოქმედებას (ვინაიდან ეს ოპერაციები ვერასდროს მიგვიყვანენ სივრცის რეკონსტრუქციამდე და ყოველთვის იმთავითვე მოცემულად გულისხმობენ მას), ცხადია, რომ სწორედ ფარული, ჩვენი სივრცის წარმოდგენისადმი კუთვნილი გეომეტრიაა, რომ ჩვენი გონების მთავარ მამოძრავებელ ძარღვს შეადგენს. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ რომ გონების ორს მთავარ ფუნქციას, დედუქციისა და ინდუქციის ნიჭს განვიხილავთ“ (Ev. 229-30).

გავითვალისწინოთ ჯერ დედუქციის ბუნება. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, თუკი სადმე უნდა ჰქონოდა გასავალი ჩვენი გონების ამ ოპერაციას, ეს უწინარეს ყოვლისა ჩვენი სულიერი ცხოვრების მოვლენათა სფეროში უნდა ყოფილიყო. განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ აქ სულის ოპერაციებთან გვაქვს საქმე, რომლის საგანსაც თვით სული შეადგენს? მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენი დედუქცია არსად არ იჩენს ისეთ სისუსტეს, როგორსაც სულიერი ცხოვრების პროცესების გათვალისწინების დროს: ფსიქოლოგიურსა და მორალურ მეცნიერებათა სფეროში დედუქციის ოპერაციების წრე ძლიერ ვიწროდ არის შემოფარგლული. სამაგიეროდ, მათემატიკურს და ფიზიკურ მეცნიერებათა შესახებ სულ სხვა მოვლენას აქვს ადგილი. თუკი სადმე აქვს გასავალი დედუქციურ მსჯელობას, განსაკუთრებით ეს შემეცნების ამ დარგების შესახებ ითქმის, სადაც გონებას გარემდებარე საგნებთან აქვს საქმე. რას ამტკიცებს ეს გარემოება? უეჭველია,

მხოლოდ ერთს; სახელდობრ იმას, რომ დედუქცია ნივთიერი სინამდვილისაკენ არის მიმართული, რომ იგი მხოლოდ იქ გრძნობს თავისუფლად თავს, სადაც არა რომელობასთან, არამედ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს თ ა ნ გვაქვს საქმე, სადაც სინამდვილე არა დროის, არამედ აბსოლუტური სივრცის მიმართულებით მიმდინარეობს, როდესაც ჩვენი გონება ფსიქოლოგიურისა და მორალური ცხოვრების მოვლენათა შესამეცნებლად მიიმართება, იგი მხოლოდ ხელოვნურად ახერხებს დედუქციური გზით მსჯელობას: რომელობათა სამყარო, რომელსაც აღნიშნული მეცნიერებანი იკვლევენ, რაოდენობათა სიმბოლურ სახეს იღებენ, და დედუქცია მხოლოდ ამ შემთხვევაში პოულობს აქ თავის ობიექტს, — ცხადია, „დედუქციაში ყოველთვის ნაგულისხმევია ფარული აზრი სივრცის ინტუიციისა“ (Ev. 233).

იგივე უნდა ითქვას ინდუქციის შესახებაც. „ინდუქცია დამყარებულია რწმენაზე, რომ არსებობენ მიზეზები და შედეგნი, და რომ ერთსა და იმავე მიზეზს ერთი და იგივე შედეგი სდევს თან“ (Ev. 233). უეჭველია, რომ ორივე ამ რწმენას არსებითად ერთი და იგივე საფუძველი აქვს: მისთვის, რომ მიზეზთა და შედეგთა არსებობა ვაღიარო, საჭიროა, წინასწარ მქონდეს მიღებული აზრი, თითქოს სინამდვილე ცალკე დამოუკიდებელ ჯგუფებად იშლება, რომელთაგანაც თითოეულს თავისი მიზეზობრივი კავშირი ახასიათებს. მაგალითად, როდესაც საკითხი დუღილის პროცესს ეხება, წყალი - ქვაბი - ცეცხლი დამოუკიდებელ მიკროკოსმოსად გვაქვს მიჩნეული, და ეს არის მიზეზი, რომ ამ მოკროკოსმოსის მოვლენათა შორის არსებულ მიზეზობრივ ურთიერთობას ვაცალკევებთ. მაგრამ ასეთი გამოცალკევება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც სივრცეა ნაგულისხმევი. ამგვარად, უეჭველია, რომ პირველი რწმენა, რომელსაც ინდუქცია ემყარება, წინასწარ მიღებულ სივრცის იდეას გულისხმობს.

მეორე რწმენა, რომელიც მიზეზსა და შედეგს შორის აუცილიებლობითი ხასიათის დამოკიდებულების არსებობას ემყარება, რომელიც მოითხოვს, რომ რაკი ცეცხლი დანთებულია და წყლით სავსე ქვაბი შედგმულია მასზე, უეჭველად რამდენიმე ხნის შემდეგ დუღილის პროცესიც უნდა დაიწყოს, ეს მეორე რწმენაც მთელი თავისი სიმძიმით სივრცის იდეაზეა აგებული. მართლაც და, აუცილებლობითი კავშირი მხოლოდ რაოდენობათა შორის არსებობს: როდესაც ჩემს წინაშე ორი რიცხვია მოცემული, მათი განსხვავების რაოდენობა სრულიად არ არის ჩემზე დამოკიდებული; იგი თავისთავად ამ ორი რიცხვის ბუნებიდან გამომდინარეობს; როდესაც ჩემს წინაშე ორი სამკუთხედი დგას, რომელთაც ორი გვერდი და მათ შუა მდებარე კუთხე თანასწორი აქვთ, უეჭველია, რომ მესამე უკვე თავისთავად არის მოცემული, და იგი მთელ სისტემას ასრულებს.

მაგრამ თუ ასეთი უდავო ხასიათისაა დამოკიდებულება რაოდენობათა შორის, უეჭველია, რაც უფრო ახლო იქნება ესა თუ ის მოვლენა თავისი ბუნებით რაოდენობასთან, მით უფრო საიმედოდ უნდა ჩაითვალოს რწმენაც ასეთ მოვლენათა დამოკიდებულების აუცილებლობითი ხასიათის შესახებ. უეჭველია ამიტომ, რომ ჩვენი ინდუქცია, რასაც უნდა ეხებოდეს იგი, ყველგან სივრცესა და რაოდენობას გულისხმობს, და ამისდა მიხედვით, მთელი გამოცდილებითი სინამდვილე მის თვალში რაოდენობათა სამყაროდ იქცევა; იგი, ისე როგრც დედუქციაც, რომელობას სივრცითი რაოდენობის არეში აფერმკრთალებს და ყველგან და ყოველთვის ვრცეულობას გულისხმობს.

ამგვარად, მოძრაობას, „რომლის ზღვარსაც ვრცეულობა შეადგენს, თავის ეტაპებად ინდუქციისა და დედუქციის უნარი, ე. ი. მთელი ჩვენი ინტელექტუალობა აქვს" (Ev. 236); მაშასადამე, ცხადია, რომ როგორც ნივთიერებას, ისე ინტელექტსაც ერთი და იგივე ფორმა მიუღიათ და რომ ამ ფორმას ვრცეულობა წარმოადგენს, არ უნდა თქმა, რომ ინტელექტი და ნივთიერება ურთიერთის ზეგავლენით ჩამოყალიბებულან: ნივთიერება იმთავითვე მიმართული იყო სივრცისაკენ, მის თვალსაჩინო თვისებას განფენილობა შეადგენდა; ამის გამო მან შესაფერი მოძრაობა გამოიწვია ჩვენს სულიერ ცხოვრებაში, რომელიც აგრეთვე განფენილობისაკენ მიიმართა, მაგრამ მოძრაობა ნივთიერების განფენილობაზე უფრო შორს წავიდა და თავის ზღვარში აბსოლუტური სივრცის იდეა შექმნა, რომელიც შემდეგ ნივთიერებაზე გაავრცელა. ეს იყო მიზეზი, რომ ნივთიერება, რომელიც არსებითად არასდროს წარმოადგენს სრულ ვრცეულობას, ინტელექტის თვალში აბსოლუტური განფენილობის სახეს იღებს; და სულიერი ცხოვრება, რომელიც არსებითად განუწვალებადია, ნივთიერების ზეგავლენით ურთიერთ-გარემდებარე მოვლენებად იშლება. ახლა ცხადია, თუ რაში მდგომარეობს ინტელექტისა და მატერიის ურთიერთისადმი შეგუება. „ეს შეგუება სრულიად ბუნებრივად განხორციელდა იმიტომ, რომ ერთ და იმავე ცვლილებამ ერთი და იმავე მოძრაობის მიმართულებით ერთდროულად შექმნა როგორც სულის ინტელექტუალობა, ისე საგანთა მატერიალობაც“ (Ev. 225).

თუ ასეთია დამოკიდებულება ინტელექტსა და ნივთიერებას შორის, მაშინ ძნელი აღარ არის, საბოლოოდ გადაიჭრას საკითხი შემეცნების თეორიის ძირითადი პრობლემის შესახებაც. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი მეცნიერება, ეს პრობლემა ორ რასმე გულისხმობს: ჯერ ერთი, რა ფასი აქვს მეცნიერულ შემეცნებას, და მეორე - როგორ არის შესაძლებელი ის წესრიგი, რომელსაც მეცნიერება ემპირიულ სინამდვილეში გულისხმობს?

ჩვენ დავინახეთ, რომ ბერგსონის აზრით, სამეცნიერო, ე. ი. ინტელექტუალური შემეცნება, ინტელექტისა დი მატერიის შეგუების შედეგს წარმოადგენს, რომ, მაშასადამე, არც ინტელექტი აძლევს თავის ფორმას სინამდვილეს, არც ეს უკანასკნელი უკარნახებს მას პირველს, და არც რაიმე წინასწარ დაწესებული ჰარმონია არსებობს მათ შორის. ჩვენ დავინახეთ, რომ შემეცნების შესაძლებლობა სავსებით იმაზეა დამყარებული, რომ ინტელექტიცა და მატერიაც ორივე ერთ და იმავე მიმდინარეობას შეადგენენ. მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ შემეცნებას? არის თუ არა მეცნიერებაში მიღებული კანონშეწონილობა, ის ობიექტური სინამდვილე, რომელიც თვითონ ემპირიულ მსოფლიოს ამოძრავებს? ერთი სიტყვით, როგორია ობიექტური ღირებულება მეცნიერული კანონებისა?

საქმე ის არის, რომ ჩვენი მეცნიერება სავსებით პირობითი ხასიათის არის: არა მარტო გაზომვის ერთეული გვაქვს ჩვენს ნებაზე არჩეული (ვინაიდან „განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ სითბოს ყველა თვისება ვერცხლის წყლის განსაზღვრული რაოდენობის გაფართოებით გამოიხატება"?), არამედ თვით გაზომვის ფაქტიც სრულიად ხელოვნურ საქმედ უნდა ჩაითვალოს: „ბუნებას სრულიად არ ჰქონდა მხედველობაში ასეთი მოქმედება: იგი არც ზომავს და არც აღრიცხავს" (Ev. 238).

ამის მიუხედავად მთელი ჩვენი მეცნიერება და ის კანონშეწონილობა, რომელსაც იგი ბუნებაში ჭვრეტს, სავსებით მათემატიკური ხასიათის არის.

მეორე მხრივ, კიდეც რომ ყოფილიყო ობიექტურად განხორციელებული რაიმე კანონშეწონილობა ბუნებაში, როგორ უნდა მოგვენახა გაზომვის ნორმალური ერთეულები და გამოგვეცალკევებია ის ცვალებადი სიდიდენი, რომელთაც მეცნიერება მათი ურთიერთდამოკიდებულების განსამარტებლად იღებს? უეჭველია მეცნიერება პირობითი ხასიათის არის, და მისი შეხედულებანი სრულიად არ წარმოადგენენ ობიექტური სინამდვილის კანონშეწონილობის შესატყვის ანარეკლს.

მაგრამ რითღა უნდა აიხსნას მაშინ ის გარემოება, რომ მეცნიერება თავისი განვითარების პროცესში მაინც უეჭველი წარმატების გზაზე დგას? ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, იმის მიუხედავად, რომ ჩვენი გონების ოპერაციებს ობიექტური რეალობის ღირებულება არა აქვთ, ამის მიუხედავად, მათ მაინც აქვთ ერთგვარი ობიექტური საფუძველი, რომელიც სამეცნიერო კვლევა-ძიების ნაყოფიერების ასახსნელად სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვიცით, რომ მართალია, მატერია აბსოლუტურ სივრცეს არ წარმოადგენს, მაგრამ იგი ხომ მაინც ვრცეულობისაკენ არის მიმართული. მაშასადამე, მისი ტენდენცია ამ შემთხვევაში სავსებით შეეფერება იმ მიმართლებას, რომელსაც მათემატიკა მიუთითებს. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ჩვენი მეცნიერება, იმის მიუხედავად, რომ იგი სავსებით პირობითი ხასიათის არის, მაინც წარმატებით ვითარდება. შესაძლებელი იყო, მას სხვა ხასიათი ჰქონოდა, შესაძლებელი იყო, მას სხვა კანონები და მათემატიკური ფორმულები შეემუშავებია, სულერთია, იგი მაინც ნაყოფიერად იმუშავებდა, ვინაიდან ნივთიერება გეომეტრიით არის განმსჭვალული, და მასში განხორციელებული წესრიგი თავისი ტენდენციით მათემატიკური ხასიათისაა.

მაგრამ როგორ გაჩნდა ეს წესრიგი? ფილოსოფიაში ყოველთვის გაბატონებული იყო აზრი, თითქოს წესრიგს უწესრიგობა და ქაოსი უსწრებდეს წინ, თითქოს ამიტომ მათემატიკური წესრიგიც ერთგვარ პლიუსს და, მაშასადამე, ერთგვარ დადებით რეალობას წარბოადგენდეს. რეალიზმი და იდეალიზმი ორივე ამ ბუნებრივ რწმენაზე არიან აღმოცენებულნი და მის გადაჭრას თავისებურად ლამობენ. რეალიზმი იმით, რომ „მატერიაზე“ ლაპარაკობს, რომელსაც „იდეას“ უმატებს, ხოლო იდეალიზმი იმით, რომ ნივთთა „შეგრძნებად განსხვავებას" აყენებს, და მის ორგანიზაციას გონებას ავალებს.

ნამდვილად კი წესრიგისა და უწესრიგობის დაპირისპირებას, როგორც რეალობის ორი, თანაბარი ღირებულების სახისას, არავითარი ლოგიკური საფუძველი არა აქვს. არ არის მართალი, თითქოს წესრიგს უწესრიგობა და ქაოსი უსწრებდეს წინ; არ არის მართალი მიტომ, რომ არავითარი ქაოსი არ არსებობს, ისე, როგორც არ არსებობს არავითარი უარყოფითი იდეა ან „არარაობა“. საქმე ის არის, რომ სინამდვილის სფეროში ორი ურთიერთისადმი საწინააღმდეგო მიმართულების მიმდინარეობა არსებობს: რეალობის დაძაბულობა და მისი მოდუნება. პირველი რეალობის აღმავალი ტენდენციაა, ხოლო მეორე - ჩამომავალი ტენდენცია. პირველი სიცოცხლის პროცესებში იჩენს თავს, მეორე - ნივთიერი სინამდვილის სახით იშლება, პირველს შემოქმედება და თავისებური მიზანშეწონილობა ახასიათებს, მეორეს — გეომეტრიზმი და მექანიზმი. როდესაც ჩვენ წესრიგის შესახებ ვფიქრობთ, მხედველობაში ყოველთვის მეორე პროცესი გვაქვს. ერთადერთ წესრიგად გეომეტრიული წესრიგი მიგვაჩნია: მაგრამ განა ნაკლები წესრიგია ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი ს სიმფონიებში? ამოტომ მ ა თ ე მ ა ტ ი -

კ უ რ წ ე ს რ ი გ ს უწესრიგობა კი არა, ს ი ც ო ც ხ ლ ი ს წ ე ს რ ი გ ი უნდა დავუპირდაპიროთ.

ამგვარად, სინამდვილეში ორი და მხოლოდ ორი წესრიგი არსებობს: მათემატიკური და სიცოცხლის წესრიგი. ამიტომ, სადაც ერთი მათგანი არ არის, იქ უთუოდ მეორე უნდა ვიგულოთ, და არა სრული უარყოფა წესრიგისა, ხოლო როდესაც ჩვენ მაინც ვამბობთ: აქ უწესოება არსებობს-თქო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერთ წესრიგს მოველოდით, და მეორე კი შეგვხდა, და არა იმას, თითქოს მართლა უწესრიგობასთან გვქონდეს საქმე: „როგორც ყოველი სიტყვა, რომელიც არ არის პროზა, ლექსია, და უთუოდ ლექსად არის ცნობილი, და, პირიქით, ყოველი არა ლექსითი ფორმა პროზაა და მიჩნეულია ასეთად, - სწორედ ასე, ყოველი გვარი არსებობისა, რომელიც არ უდგება ერთ-ერთ წესრიგს, უდგება უთუოდ მეორეს და აუცილებლად ითვლება ასეთად“ (Ev. 263).

ასე რომ, ძირითადი საკითხი შემეცნების თეორიისა: როგორ არის მეცნიერება შესაძლებელი, ე. ი. რატომ არსებობს წესრიგი და არა უწესრიგობა, სრულიად უქმ საკითხად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვხედავთ, რომ წესრიგის არსებობა არავითარ ახსნას არ საჭიროებს, ვინაიდან იგი ამა თუ იმ სახით იმთავითვე მოცემულია: „ლაპარაკი უწესრიგო ნაირნაირობის შესახებ, რომელსაც შემდეგ წესრიგი ემატება, ნამდვილს petitio principii-ს შეიცავს, ვინაიდან, როდესაც ჩვენ უწესრიგობას წარმოვადგენთ, ნამდვილად ერთ-ერთ წესრიგს ვგულისხმობთ..." (Ev. 267).

მაგრამ როგორია მაშინ დამოკიდებულება მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის? მეცნიერება (ბუნებისმეტყველება) მათემატიკურ წესრიგს გადმოგვცემს, და სხვაგვარი წესრიგის წარმოდგენას ვერ ახერხებს. ნამდვილად კი „სიცოცხლის წესრიგიც" არსებობს, და იგი დადებითი რეალობის მიმდინარეობას შეიცავს. მეცნიერებას ძალა არ შესწევს, ამ დადებითი რეალობის გათვალისწინებისა. სამაგიეროდ აქ ფილოსოფიის წინაშე იშლება ფართო პერსპექტივები.

ამგვარად, ფილოსოფიის საგანი თვით რეალობაა თავისი უღრმესის, უდადებითესის მხრივ; ხოლო მეცნიერება რეალობის შეწყვეტის მიმდინარეობას იკვლევს. ამიტომ, თუ მეცნიერების სარბიელად ნივთიერი სინამდვილე უნდა ჩაითვალოს, ფილოსოფიას გამოსაკვლევად, უწინარეს ყოვლისა, სიცოცხლის პროცესები რჩება. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს მეცნიერებისა და ფილოსოფიის საგნები აბსოლუტურად იყვნენ ურთიერთისაგან გამოყოფილნი. პირიქით, მეცნიერება სიცოცხლის პროცესებსაც იკვლევს, ხოლო ფილოსოფია ნივთიერ სინამდვილესაც ეხება. და ასეთი მდგომარეობა სრულიადაც არ ჩაითვლება უკანონოდ: თუ საჭიროა, რომ ჩვენი ზედმოქმედების არე გავრცელდეს, რად არ უნდა შეეძლოს მეცნიერებას ცოცხალი პროცესებიც თავის საგნად აქციოს და მას უსიცოცხლო მატერიასავით მოეპყროს? (Ev. 217). მეორე მხრივ, თუ რომ ჩვენთვის მატერიალური სინამდვილის უღრმესი ბუნების თეორიული შემეცნებაა საინტერესო, რად არ უნდა ჰქონდეს უფლება ფილოსოფიას, თავისი გულისყური აქეთ მოაპყროს? ასე რომ, ფილოსოფია და მეცნიერება, ბოლოს და ბოლოს მაინც, ერთგვარ სამსახურს უწევენ ურთიერთს, ვინაიდან ურთიერთის შევსების შესაძლებლობას ქმნიან. „ფილოსოფია უნდა კვალდაკვალ მიჰყვებოდეს მეცნიერებას და სამეცნიერო ჭეშმარიტებათ მეორეგვარ ცოდნას უმატებდეს, ცოდნას, რომელსაც შეიძლება მეტაფიზიკური ეწოდოს... მეცნიერებისა და ფილოსოფიის შეერთებულის, პროგრესული განვითარების დახმარებით ჩვენ თვით არსს ვწვდებით სინამდვილისას, მთელი მისი სიღრმით" (Ev. 217).

თავი VIII

ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შეფასება

1. ბერგსონის გნოსეოლოგიიდან

ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ადგილი ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ამავალ ხაზზე. ინტელექტისა და ინტუიციის ბუნება და მათი შემეცნებითი ღირებულება. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ძირითადი პოსტულატი ინდივიდუალობის მეტაფიზიკური ღირებულების შესახებ, როგორც წყარო ინტელექტისა და ინტუიციის გნოსეოლოგიური შეფასებისა. ბიოლოგიზმი და მისი ფასი შემეცნების თეორიაში. შემეცნებისა და პრაქტიკის წინააღმდეგობა და ბიოლოგიური პროცესი.

ა ნ რ ი ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიური სისტემის ნათლად განსაცდელად და შესაგნებად საჭირო იყო მის თვალსაზრისზე დავმდგარიყავით, და მისი არგუმენტაციისათვის მთელი დარწმუნებელი ენერგიის ამოწურვის შესაძლებლობა მიგვეცა. ახლა კი დროა, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დამფასებლის თვალითაც განვიცადოთ.

ფილოსოფიის ისტორია ისტორიაა ფილოსოფიური შემეცნების თვითშეგნებისა. დ ე კ ა რ ტ მ ა არსებული მეცნიერულისა და ფილოსოფიური შემეცნების მონაპოვარნი კითხვის ქვეშ დააყენა. დებულება: de omnibusdu bitandum მისი სახელმძღვანელო პრინციპი შეიქნა. თავისი მსჯელობა ბ ე კ ო ნ მ ა ც ამავე გზით მიმართა; და ევროპის ორსავე ნაწილში ფილოსოფიის განახლების აქტი დაიწყო. მაგრამ არც დ ე კ ა რ ტ ი ს ა ს და არც ბ ე კ ო ნ ი ს კრიტიკას არ ჰქონია რადიკალური გასაქანი: ერთიცა და მეორეც ან სამეცნიერო აზროვნების მონაპოვარის, ან და ჩვეულებრივ ხმარებული მეთოდის ღირებულებას ეხებოდა. სამაგიეროდ კ ა ნ ტ მ ა საკითხს უფრო შორს მწვდომი ასპარეზი მისცა: იგი თვით სამეცნიერო და ფილოსოფიური აზროვნების მონაპოვართა ნიადაგზე დადგა და აქედან ადამიანის შემეცნებითი აქტის ბუნების ღირებულებაზე დაიწყო მსჯელობა. დაიწყო მეორე ხანა ფილოსოფიური აზროვნების განახლებისა.

ბ ე რ გ ს ო ნ ი განვითარების ამავე ხაზზე დგას, მაგრამ მის საქმეს კიდევ უფრო შორსმსწრაფი ტენდენცია ახასიათებს: იგი კრიტიკის სხივებს თვით ჩვენი შემეცნების ორგანოს გზით მიმართავს: თუ წინათ ინტელექტის შემეცნებითი ძალების რწმენაში ეჭვი არავის შეჰქონდა, თუ საპრობლემოდ მხოლოდ ინტელექტის სათანადო ხმარების საკითხი იყო მიჩნეული, ბ ე რ გ ს ო ნ მ ა თავისი კრიტიკა იმ ძირითადი პოსტულატების გასაშუქებლად და შესაფასებლად აამოძრავა, რომელთაგანაც თვით ინტელექტის შემეცნებითი მუშაობის პროცესი გამომდინარეობს. ამ სახით, მის კრიტიკას უფრო ღრმა და შორსმისაწვდომი გასაქანი მიეცა. ამიტომ, შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით,

რომ ბერგსონის ფილოსოფიური საქმე ახალ ეტაპს ქმნის ფილოსოფიურ-სამეცნიერო აზროვნების ისტორიაში.

თქმა არ უნდა, რომ ბერგსონის საქმეს წინამორბედნიც საკმაოდ ჰყავდა, მაგრამ მათ კრიტიკას არც ბერგსონისებური სისტემატიური ხასიათი ჰქონია და არც მისებრივი რადიკალური გავლენა. თუ შელინგს, შოპენჰაუერს, პასკალს, მისტიციზმს და განსაკუთრებით ვლადიმირ სოლოვიოვს - ყველას ინტელექტუალური შემეცნებისადმი მეტი თუ ნაკლები უიმედობა ახასიათებდა, ეს უიმედობა მაინც არ იყო არც საკმაოდ დასაბუთებული და არც საკმაოდ კრიტიკული აზროვნების ბრძმედში გატარებული. ამ გარემოებას ისტორიული საბუთები ჰქონდა. დეკარტის ფილოსოფიის განახლების საქმე ახალი მეცნიერებისა და აზროვნების დაბადებისა და განმტკიცების ნიადაგზე აღმოცენდა. კანტის კრიტიკა მათემატიკურ-ფიზიკურ მეცნიერებათა განვითარების შვილი იყო, ხოლო კანტს შემდგომ სამეცნიერო აზროვნებამ ძველს გარდა ახალი სარბიელიც გაიჩინა: ბიოლოგია, ფსიქოლოგია და ისტორია — ყველაფერი ეს არაჩვეულებრივი წარმატების გზას დაადგა, და მათემატიკური შემეცნების ყოვლადობის რწმენა ახალ მეცნიერებათა ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იმსხვრეოდა. ამ ნიადაგზე გზა ფილოსოფიური კრიტიკის ახალი ეტაპისათვის ნელა, თანდათანობით იკაფებოდა, და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისათვის შეიქმნა შესაძლო, რომ ანრი ბერგსონს ამ ეტაპის განსახორციელებლად არაჩვეულებრივი ფილოსოფიური ძალისხმევისათვის მიემართა.

რამდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა ეს ცდა, ეს სხვა საკითხია: ხოლო ერთი რამ მაინც ცხადად და მკაფიოდ გაირკვა. თუ კანტის კრიტიკამ, რომელიც სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო აზროვნებას ემყარებოდა, მეტაფიზიკური შემეცნების შესაძლებლობის საფუძვლები საგრძნობლად შეარყია, ბერგსონის კრიტიკამ სხვა შედეგებს მიაღწია: მან კანტის მონაპოვარის მნიშვნელობა შეიწყნარა, რამდენადაც საქმე სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო აზროვნებას ანუ ინტელექტს ეხებოდა, და მეტაფიზიკური სინამდვილის ბჭენი ინტელექტუალური შემეცნების გასაღებისათვის მიუწდომლად გამოაცხადა; სამაგიეროდ, ახალ მეცნიერებათა წინსვლის გზაზე ნაპოვნი შემეცნებითი გასაღები მეტაფიზიკური რეალობისათვისაც გამოსადეგად მიიჩნია, და, ამგვარად, ჩვენი ბუნებრივი მეტაფიზიკური სწრაფვისათვის ახალი საიმედო საშუალების მოძებნის შესაძლებლობა აღიარა.

უეჭველია, ფოლოსოფია რომ ბერგსონის გზას დაადგეს, მისი კვლევა-ძიების სარბიელი მარტო შემეცნების თეორიით აღარ შემოიფარგლება, და მეტაფიზიკას კვლავ პატივი და ავტორიტეტი დაუბრუნდება. და რომ ფილოსოფია ბერგსონის გზას დაადგება, ეს აუცილებელია; აუცილებელია იმდენად, რამდენადაც აუცილებელია ბიოლოგიურ და ისტორიულ მეცნიერებათა ზეგავლენის გაძლიერება ჩვენი აზროვნების მიმართულების ხასიათზე. შეიძლება ამ გზაზე ბევრი რამ სხვა იქნეს ნაპოვნი, რასაც ბერგსონის თვალი ჯერ კიდევ ვერ სწვდა; მაგრამ თვით ბერგსონის ისტორიულ მნიშვნელობას ეს გარემოება ოდნავაც ვერ შეამცირებს.

ძნელია, ბერგსონის კრიტიკოსთა გზას სავსებით გაჰყვეს კაცი: ისინი ბევრ რამეს ისეთს უსაყვედურებენ ბერგსონს, რომ ხშირად ეჭვი გეპარება, რასთან გაქვს საქმე: გაუგებარ უგულწრფელობასთან, თუ გულწრფელ

გაუგებრობასთან. მაგრამ, ამის მიუხედავად, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს პოზიტიურ შეხედულებათა შორის მაინც მოიპოება ბევრი რამ ისეთი, რომ შეუძლებელია, მათი უმართებულობის შესახებ ხმა არ ამოიღო. არ არის საჭირო, ერთხელ კიდევ განმეორებულ და შეფასებულ იქნეს სიმტკიცე იმ იერიშებისა, რომელნიც არა ერთისა და ორის მხრივ ყოფილა მოტანილი ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიური ციხე-სიმაგრის დასანგრევად. არც ის არის საჭირო, რომ ჩვენი ფილოსოფოსის ყველა სუსტი მხარე ახალი საზვერავი პუნქტიდან იქნეს გაშუქებული. მე ვფიქრობ, ჩვენი მიზნისათვის სრულიად საკმარისი იქნება, თუ რომ მთავარი გულისყური ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ზოგი უმთავრესი ძირითადი დებულებისაკენ იქნა მიპყრობილი. ამ მხრივ კი განსაკუთრებით საყურადღებოდ შემდეგი მიგვაჩნია.

ბ ე რ გ ს ო ნ მ ა თავისი შემეცნების თეორიის ძირითად დებულებად ინტელექტის მეტაფიზიკური უძლურება და ინტუიციის უეჭველი ნაყოფიერება გამოაცხადა. მაგრამ რა საბუთით შეძლო მან ამის დამტკიცება? რატომ უნდა ჩაითვალოს ინტელექტი მეტაფიზიკური შემეცნებისათვის შეუფერებელ იარაღად? ბ ე რ გ ს ო ნ ი ინტელექტუალური შემეცნების ბუნების ანალიზით ცდილობს ინტელექტის უძლურების ფაქტი თვალსაჩინოდ გახადოს, მაგრამ ასეთ ანალიზს განა შეუძლია რისიმე დამტკიცება? ბოლოს და ბოლოს, მისი შედეგი, საუკეთესო შემთხვევაში, ინტელექტის ბუნების გათვალისწინების მეტს ვერაფერს მოგვცემს. ჩვენ გვეცოდინება, თუ როგორია ინტელექტუალური შემეცნება; მაგრამ განა ინტელექტის ამ თვისებათა გათვალისწინებასთან ერთად ჩვენ მის ღირებულებასაც ვწვდებით? უეჭველია, ვერა. ვერ ვწვდებით იმიტომ, რომ ინტელექტუალური აზროვნების მეტაფიზიკური უნაყოფობის აღიარებისათვის საჭიროა, მისი თვისებები მეტაფიზიკური სინამდვილის თვისებებს შევადაროთ და მათი ურთიერთისადმი შეუსაბამობა დავადასტუროთ. მაშასადამე, საჭიროა მეტაფიზიკური სინამდვილის შეუმცდარი შემეცნება უკვე ჩვენს ხელთ იყოს, სანამ ინტელექტის თვისებათა ღირებულების შესახებ ვიტყოდეთ რასმე. ასე რომ, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს გზა რკალისებური მიმართულების გზაა. ვინც ამ გზას დაადგება, იგი აუცილებლად უკანვე დაბრუნდება. ამიტომ ბ ე რ გ ს ო ნ ს, სანამ იგი ინტელექტის მეტაფიზიკური ღირებულების შესახებ იტყოდეს რაიმეს, პასუხი უკვე მზად აქვს, მზად აქვს იმიტომ, რომ მას ორი წინასწარ უკრიტიკოდ მიღებული მოტივი აქვს: ერთია იდეა მეტაფიზიკური შემეცნების შესაძლებლობისა, და მეორე - მეტაფიზიკური სინამდვილის უტყუარი ბუნების პრეზუმფცია.

მართლაც და, როგორ იქცევა ბ ე რ გ ს ო ნ ი ? როდესაც იგი ინტელექტუალური შემეცნების შეუსაბამობას ამტკიცებს, ამას იგი იმით ახერხებს, რომ ინტელექტს ზოგადის და ფორმალურის შემეცნების იარაღად აღიარებს. ხოლო „ზოგადი" და „ფორმალური“ მას მეტაფიზიკური სინამდვილისათვის შეუფერებლად მიაჩნია: იქ მას „ინდივიდუალური" ეგულება. და რადგანაც ინტელექტი ინდივიდუალურს ვერ წვდება, იგი მეტაფიზიკური სინამდვილის შემეცნებისათვის სრულიად შეუფერებელ იარაღად ცხადდება. მაგრამ საიდან იცის ბ ე რ გ ს ო ნ მ ა, რომ სინამდვილის მეტაფიზიკური არისათვის ზოგადი და ფორმალური მართლა ასე უცხოა? საიდან იცის მან, რომ სინამდვილის ამ სფეროს ინდივიდუალურობა ახასიათებს? უეჭველია, ეს მას კრიტიკის გზით არ მოუნახავს იმიტომ, რომ თვით მისი კრიტიკა მხოლდ აქედან გამომდინარეობს. ვთქვათ, მასავით უკრიტიკოდ მიიღო ვინმემ; პ ლ ა ტ ო ნ ი ს მსგავსად, რომ მეტაფიზიკურ სინამდვილეს სწორედ ზოგადი და სწორედ ფორმალური

ახასიათებს, მაშინ რას იტყოდა ასეთი ფილოსოფოსი ინტელექტის ღირებულების შესახებ? უეჭველია, იგი ინტუიციას, როგორც ინდივიდუალის ორგანოს, შეუფერებლად აღიარებდა, და მეტაფიზიკური შემეცნების ერთადერთ ორგანოდ მარტო ინტელექტს გამოაცხადებდა; და მისი შეცდომა ბერგსონს შეცდომაზე უფრო შეუწყნარებელი არაფრით იქნებოდა. თუ პლატონმა ინტელექტის ცნებების ჰიპოსტაზიზაცია მოახდინა, და მისი სისუსტე ამაში მდგომარეობდა, სამაგიეროდ ბერგსონმა ინტუიციას უყო ასეთივე ჰიპოსტაზიზაცია, და მისი შეცდომა, რა თქმა უნდა, პლატონისაზე ნაკლები არ არის.

ბერგსონი ინტელექტის შემეცნებითი მნიშვნელობის გაშუქებას მისი ბიოლოგიური როლის გათვალისწინების მეშვეობით სცდილობს. მაგრამ რა კავშირი არსებობს ინტელექტის გნოსეოლოგიურ ღირებულებასა და მის ბიოლოგიურ როლს შორის? ვთქვათ, ინტელექტი მართლა ადამიანის პრაქტიკის ან წარმოების ორგანოა. აქედან ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება, სახელდობრ იმისა, რომ ინტელექტუალურ აზროვნებას თავისი განსაკუთრებული თვისებები შეუმუშავდა. მაგრამ რამდენად გამოსადეგნი არიან ეს თვისებები წმინდა თეორიული შემეცნებისათვის. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ნათელი, თუ წინასწარ გვეცოდინებოდა, როგორია თეორიული შემეცნების ობიექტის ბუნება. თვით ბერგსონი ამბობს, რომ „მოქმედება შეუძლებელია არა რეალურში წარმოებდესო, და თუ ამიტომ ინტელექტი ერთი მხრივ მაინც მატერიალური სინამდვილის შემეცნების იარაღად ითვლება, ამით განა უარყოფილი არ არის, თითქოს პრინციპიალურად შეუძლებელი იყოს, პრაქტიკის ორგანო ოდესმე სინამდვილის რაობის შემეცნების ორგანოდ ჩაითვალოს? მართალია, ნივთიერება, რამდენადაც იგი ინტელექტუალური შემეცნების ობიექტად არის დასახული, ნამდვილ რეალობას არ შეიცავს; მართალია, იგი შესუსტებაა ამ ნამდვილი რეალობისა, მაგრამ იგი მაინც რეალობაა, თორემ მაშინ რაღა აზრი ექნებოდა განცხადებას: მოქმედება ირეალურში ვერ იწარმოებსო“.

მაგრამ ვთქვათ, რომ ინტელექტი მართლაც იმის გამოა მეტაფიზიკური უძლურებით დაავადებული, რომ მან იმთავითვე წარმოების ორგანოს როლში დაიწყო მოქმედება. მაგრამ განა მარტო ეს როლი აქვს ინტელექტს დაკისრებული? ბერგსონი თვითონ ამბობს, რომ მას მეტაფიზიკური შემეცნების დიდი წყურვილი და პრეტენზიები ახასიათებს. ეჭვი არ არის, რომ წმინდა შემეცნების მუშაობაში ინტელექტზე მეტად არცერთს ჩვენს სულიერ ძალას არ უვარჯიშებია; მეცნიერებისა და ფილოსოფიის მთელი ისტორია საუკეთესო მოწმეა ამ გარემოებისა. მაშ, როგორ მოხდა, რომ ერთ შემთხვევაში ვარჯიშობამ შესაფერისი უნარი განუვითარა ინტელექტს, მეორე შემთხვევაში - არავითარი? ასეთი შეუსაბამობა მით უფრო რთულდება, რომ ორივე აღნიშნული სფერო ვარჯიშობისა არა თუ არ ეწინააღმდეგება ურთიერთს, პირიქით, ერთი ხელს უწყობს მეორეს, ვინაიდან „მოძრაობა ირეალურში შეუძლებელია წარმოებდეს“ . ბერგსონი ამის ასახსნელად მეტაფიზიკურ სინამდვილეს მიმართავს და ინტელექტის პრაქტიკული მნიშვნელობის საფუძველს იქ მიუთითებს: ინტელექტის ობიექტს, ნივთიერებას, დადებითი რეალობის საწინააღმდეგო მიმდინარეობად აცხადებს. მაგრამ რა ფასი აქვს ისეთ მეტაფიზიკას, რომელიც ჩვენი შემეცნების კრიტიკას უსწრებს წინ, საიდან იცის მან, რომ ასეთია ორი მიმდინარეობა მეტაფიზიკური რეალობისა, თუკი მისი შემეცნების შესაძლებლობის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული.

ჩვენ ამით, რა თქმა უნდა, სრულიად არა გვაქვს განზრახვა, ინტელექტის დამცველის როლში გამოვიდეთ: პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინტელექტუალიზმის უძლურება განსაკუთრებით მას შემდეგ შეიქნა ყველასათვის თვალსაჩინო, რაც ბერგსონმა ის მოჯადოებული წრე აღმოაჩინა, რომელიც მუდამ და ყოველთვის დისკურსიული აზროვნების მიმდინარეობის გზას წარმოადგენდა. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურდა, რომ ბერგსონის მსჯელობა ყოველთვის დამარწმუნებული არ არის, და რომ ამიტომ საჭიროა, მისი საბუთები ერთხელ კიდევ გადასინჯული იქნენ.

ბერგსონის ათვის არაერთხელ მიუთითებიათ, რომ თუ ინტელექტი მეტაფიზიკური შემეცნებისათვის მართლა მიტომ არის უძლური, რომ იგი იმთავითვე პრაქტიკულ მოთხოვნილებათა მსახურის როლში გამოდის, რად მოხდა, რომ ასეთივე პრაქტიკული ხასიათი ინსტინქტზეც იმავე გავლენას არ ახდენსო. და ეს შენიშვნა უთუოდ სამართლიანია. ერთი რამ ჩვენც გვსურს აქ განსაკუთრებით აღვნიშნოთ, სახელდობრ ის, რომ ინტელექტის პრაქტიკული მნიშვნელობა თვით ბერგსონის აზრითაც მარტო იმდენად არის დადებითი ხასიათის, რამდენადაც იგი სინამდვილის პრაქტიკულად საინტერესო მხარეებს სწვდება. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა; და ეს იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებანი თვითონ წარმოადგენენ რეალობას და, როგორც ასეთებს, მათ მარტო რეალური სინამდვილის ამა თუ იმ მხარის უტილიზაციით შეუძლიათ დაკმაყოფილებულ იქნენ და არა მისი ილუზიური წარმოდგენით. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ პრინციპიალურად შემეცნებასა და პრაქტიკას შორის სრულიად არ არსებობს ისეთი აუცილებელი წინააღმდეგობა, რომ ერთი მათგანი მეორეს უარჰყოფდეს, პირიქით, უფრო მეტის უფლებით შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკული წარმატებითი მოღვაწეობა სავსებით შეუწყნარებელი იქნებოდა ყველგან, სადაც შემეცნების შესაძლებლობა იმთავითვე აბსოლუტურად უარყოფილად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ თუ ასეთია პრაქტიკასა და თეორიას შორის არსებული დამოკიდებულების ბუნება, მაშინ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სიცოცხლის ევოლუციის პროცესში ბიოლოგიური ინტერესი უფრო ისეთი ძალის განვითარებას შეუწყობდა ხელს, რომელიც ფართოდ და უფრო უშუალოდ სწვდებოდა სინამდვილეს, ე. ი. ინტუიციას, ვიდრე ისეთი ძალის განვითარებას, რომელიც სინამდვილეს უფრო ვიწროდ და უფრო მეტის გაჭირვებით სწვდება, ე. ი. ინტელექტს? ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, ბიოლოგიური ევოლუციის ძირითად პრინციპად ეკონომიის საწინააღმდეგო პრინციპი რომ ყოფილიყო მეცნიერულად აღიარებული. მაგრამ შეიძლება ბერგსონმა ამის საწინააღმდეგოდ ერთი გარემოება მოგვაგონოს. სახელდობრ ის, რომ ინტუიცია გაცილებით უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ინტელექტი. ეს უეჭველია, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს ძალისხმევა? განა თვითონ ბერგსონი არ ლაპარაკობს, რომ იგი ჩვენი ინტელექტუალური აზროვნების ჩვეულებრივი მიმდინარეობის შეწყვეტისა და შეცვლის სიძნელეში უნდა ვეძიოთ? მაგრამ, თუ საქმეს ევოლუციური თვალსაზრისით შევხედავთ, ასეთ ბრძოლას ინტუიციასა და ინტელექტს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაეთმოს ადგილი, თუ რომ ინტელექტუალური აზროვნების განვითარების ბუნებრივობა და ძლიერება უკვე საკმაოდ წინწასულად არის წინასწარ ნაგულისხმევი. მაგრამ საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად საბუთიანია ასეთი აზრის, სამართლიანობის წინასწარ მიღება.

2. ბერგსონის მეტაფიზიკიდან

ინტუიციის მოწმობა და შესაძლებლობა ინტელექტის მიერ შეფასებისა. წყარო მეტაფიზიკურ სინამდვილეში ორი საწინააღმდეგო მიმდინარეობის აღიარებისა, ფსიქოლოგიის მოწმობა ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, რეგრესიული მიმდინარეობის რეალობა, დუალისტური ტენდენცია ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიაში.

გადავიდეთ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მეტაფიზიკაზე. ძნელია ამ სფეროსათვის შესაფერი კრიტიკული თვალსაზრისის გამონახვა; ძნელია იმიტომ, რომ მეტაფიზიკა ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა თ ვ ი ს წმინდა ი ნ ტ უ ი ც ი ი ს მონოპოლიურ სარბიელს წარმოადგენს. ამიტომ, თუ კი შესაძლებელია, რაიმე დაუპირდაპირდეს მას, ეს უწინარეს ყოვლისა თვითონაც ინტუიციის ბუნების უნდა იყოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ინტუიტურად განცდილ სინამდვილეს მეორე, აგრეთვე ინტუიტურად განცდილი სინამდვილის სურათი უნდა ამოუდგეს გვერდში, და მათი ღირებულების შეფასება მკითხველის უშუალო გრძნობას უნდა მიენდოს. მაგრამ, მეორე მხრივ, განა თვითონ ბ ე რ გ ს ო ნ ი არ არის, რომ ინტუიციის მონაპოვართა სხვისადმი გაზიარების შესაძლებლობას პრინციპულად აღიარებს, და ამას ინტელექტის ძალთაგან მოელის? ხოლო როგორ იქნება ასეთი გაზიარება შესაძლებელი, თუ რომ ინტუიციის მონაპოვარი ჩვენი ინტელექტის ცნებათა ფარგლებს არ ეგუება? უეჭველია, ინტელექტი თვითონ, დამოუკიდებლად, მეტაფიზიკური სინამდვილის წრეში ვერაფერს დაინახავს; მაგრამ ის, რაც ხელმიუწდომელია მისთვის, სრულიად არ არის აუცილებელი, რომ არსებითად მისი აზროვნების წესებს ეწინააღმდეგებოდეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ხომ ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი ინტუიციის მონაპოვართა სხვისათვის გაზიარების შესაძლებლობის შესახებ? ამიტომ და ამ განსაზღვრული აზრით, უეჭველია, ინტუიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები, თუ რომ მისი მონაპოვარი ჩვენი დისკუსიული აზროვნების გამოცდას დაიჭერდა.

ამიტომ, ვფიქრობთ, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მეტაფიზიკურ შეხედულებათაგან ზოგი რამ მაინც შეიძლება შეფასებულ იქნეს. ჩვენი მიზანია, ამჟამად უმთავრესი ყურადღება სინამდვილის ძირითადი პრინციპის ორ საწინააღმდეგო მიმდინარეობას მივაპყროთ: მიმდინარეობას პროგრესულს, რომელიც დადებით რეალობას შეიცავს, და მიმდინარეობას რეგრესულს, რომელიც უარყოფითი სინამდვილის, მატერიალობის პროცესად უნდა ჩაითვალოს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ჩვენ აქ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს თავისებურ მონიზმთან გვაქვს საქმე, მონიზმთან, რომელიც, როგორც თვითონ ბ ე რ გ ს ო ნ ი ც აღიარებს,ზოგის მხრივ პ ლ ა ტ ო ნ ი ს მონიზმს მოგვაგონებს. მაგრამ რა უფლება გვაქვს, სწორედ ნივთიერების პროცესი ვააღიაროთ აბსოლუტური რეალობის შესუსტებად და, მაშასადამე, რეგრესულ მიმდინარეობად? თუ სინამდვილის მეტაფიზიკურ პრინციპს შემოქმედებითი პროგრესი ახასიათებს, თუ, მეორე მხრივ, ნივთიერება ასეთი რამ არა ჩანს, მაშინ სრულიად ცხადია, რომ ნივთიერება მხოლოდ რეგრესულ მიმდინარეობად უნდა იქნეს მიჩნეული. უეჭველია, რომ ბ ე რ გ ს ო ნ მ ა აღნიშნულ აზრს ამდაგვარი სილოგიზმის გზით მიაგნო; ინტუიცია ამ შემთხვევაში შეიძლება, მხოლოდ სილოგიზმის წინამძღვრებს ეხებოდა. მაგრამ განა იგივე ინტუიცია არ იყო, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ს

ნივთიერების არსებობისათვის მიაგნებია? წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სავსებით ნივთიერების იდეალისტური კონცეფციის გზას დაადგებოდა. მაშ რა საბუთი ჰქონდა მას, ინტუიციის სფეროში აღმოჩენილი რეალობის ერთი სახისათვის სინამდვილის მეტი ხარისხი მიენიჭებია, და მეორე სახისათვის - ნაკლები? უეჭველი, აქ ერთადერთ საბუთს მხოლოდ აღნიშნული სილოგიზმის დანასკვი წარმოადგენდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ბ ე რ გ ს ო ნ ი საბედისწერო ალტერნატივის წინაშე დგას: ან მეტაფიზიკური სინამდვილის ბჭეთა გახსნა სილოგიზმის მეშვეობითაც უნდა იყოს შესაძლებელი, ანდა ინტუიციის მოწმობათა შორის უფრო მართებულად ერთ-ერთის აღიარება ფილოსოფოსის ნება-სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული. ცხადია, არც ერთი შესაძლებლობაა შესაწყნარებელი და არც მეორე.

ბ ე რ გ ს ო ნ ი აღნიშნულ მიმდინარეობათა არსებობის დასამოწმებლად და მათი ბუნების ცხადსაყოფად ადამიანის სულიერი ცხოვრების სამკვიდროს მიმართავს. ჩვენ გვახსოვს ხელოვნური ნაწარმოების განცდის მაგალითი, რომლის სურათსაც ჩვენი ფილოსოფოსი ესოდენ ფსიქოლოგიური სიღრმით გვიხატავს, ანდა მეორე მაგალითი, რომელიც იმავე საკითხს ეხება: „რაც უფრო დავუახლოვებთ ჩვენს პროგრესულ განვითარებას წმინდა დროულობას, მით უფრო ვგრძნობთ, რომ ჩვენი არსების სხვადასხვა ნაწილები ერთიმეორეს ერთვიან, და ჩვენი პიროვნების კონცენტრაცია ერთი წერტილის გარშემო ხდება, წერტილის გარშემო, რომელიც განუწყვეტლივ მომავალში გადადის, სიცოცხლე და თავისუფლება სწორედ ამაში მდგომარეობს, პირიქით, მივუშვათ ჩვენი ფსიქიკის სადავე და, მოქმედების მაგიერ ვიოცნებოთ. ჩვენი „მე", ასე ვთქვათ, იმწამსვე ნაწილებად დაიშლება. ჩვენი წარსული, რომელიც აქამდე ფსიქიკის ერთ მთლიან სწრაფვად იყო შედუღებული, ათასსა და ათიათას მოგონებად დაიშლება, ხოლო თვით ეს მოგონებანი ურთიერთ-გარემდებარედ გარდაიქცევიან... და ჩვენი „მე“ კვლავ სივრცის მიმართულებას მიიღებს"... (Ev. 219). ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრი აქ ცხადია: იქ, სადაც საქმე ყურადღების ძალისხმევასა და კონცენტრაციასთან გვაქვს, ჩვენს წინაშე სიცოცხლე და თავისუფლება, ე. ი. რეალობის პროგრესული მიმდინარეობა იშლება; ხოლო იქ, სადაც ყურადღების მოდუნებას აქვს ადგილი, ვრცეულობა და ნივთიერება, ე. ი. რეალობის რეგრესული მიმდინარეობა იწყება.

ჩვენ ვიცით, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მეტაფიზიკისა და გნოსეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად დებულებას ინტელექტისა და ნივთიერების შესატყვისობის აღიარება შეადგენს. მაშასადამე, როდესაც ცნობიერების კონცენტრაციაზე ვლაპარაკობთ, ნამდვილად მხედველობაში ინტუიცია უნდა გვქონდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში ინტელექტზე უნდა ვფიქრობდეთ. - მაგრამ განა გვაქვს რაიმე საბუთი, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მაგალითში აღნიშნულ მეორე მიმდინარეობას ინტელექტის მუშაობის პროცესი ვუწოდოთ? უეჭველია, რომ აქ, როდესაც ყურადღების მოდუნებასა და სულიერ მოვლენათა გარემდებარებაზე ვლაპარაკობთ, ნამდვილად, საქმე ე. წ. პასიურ, ა ს ო ც ი ა ც ი უ რ პროცესებთან გვაქვს, ინტელექტს კი ასეთი რამ სრულიად არ ახასიათებს: იგი, უწინარეს ყოვლისა ა პ ე რ ც ე პ ც ი უ ლ პროცესად უნდა ჩაითვალოს, და ითვლება კიდეც ასეთად. მაშ, ცხადია, თუ ბ ე რ გ ს ო ნ ი ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ნამდვილს, პროგრესიულ მიმდინარეობას მხოლოდ იქ ჭვრეტს, სადაც ყურადღების კონცენტრაციასთან გვაქვს საქმე, იგი მოვალეა, ასეთს რეალურ პროგრესულ მიმდინარეობად უწინარეს ყოვლისა სწორედ ინტელექტი გამოაცხადოს; ხოლო

იქ, სადაც ინტუიციაზე შეიძლება ლაპარაკი, უეჭველია, ძალისხმევის ნაკლები მომენტებია დამადასტურებელი. მაშასადამე, ორში ერთი: ნივთიერება და ხანიერობა ან არ წარმოადგენს ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მიერ აღნიშნულ თვისებებს, ანდა თუ წარმოადგენს, მაშინ პირველს ინტუიცია უნდა შეეფერებოდეს, და მეორეს - ინტელექტი. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს შეხედულების თანახმად კი მდგომარეობა სულ სხვაგვარად იხატება.

აღნიშნულ იდეასთან ერთ გარემოებას აქვს კიდევ კავშირი. თუ ნამდვილ რეალობას მხოლოდ შემოქმედებითი პროცესის პროგრესული მიმდინარეობა წარმოადგენს, თუ, ამისდა მიხედვით, რეგრესული მიმდინარეობა რეალობის უეჭველ შემცირებად უნდა ჩაითვალოს, მაშინ რაღა საბუთი გვაქვს ვთქვათ, რომ რეგრესული მიმდინარეობაც არსებობს? უეჭველია, რომ ის, რაც არსებობს, არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თავისი ბუნებით შემოქმედებითი სწრაფვის მატარებლად გამოდის. არ უნდა თქმა, რომ ამ სწრაფვას შესაძლებელია თავისი ხარისხები ჰქონდეს;

არ უნდა თქმა, რომ შესაძლოა, მისი დაძაბულობა ან მეტი ან ნაკლები იყოს, მაგრამ, თუ თავს დავანებებთ იმ გარემოებას, რომ მეტნაკლებობის თვალსაზრისი, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა ვ ე რწმენით, ინტელექტუალური შემეცნების თვალსაზრისია, და, მაშასადამე, მეტაფიზიკურ სფეროში მის გადატანას არავითარი ობიექტური საფუძველი არა აქვს, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი სწრაფვის დაძაბულობის ხარისხი ხარისხის მეტს სრულიად არაფერს არ შეიცავს; და, მაშასადამე, შემოქმედებითი პროცესის საწინააღმდეგო მიმდინარეობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დარჩენილი ადგილი, თუ რომ ონტოლოგიური რეალობა არა მარტო შემოქმედებითი პრინციპის სარბიელად იქნებოდა გამოცხადებული, არამედ მისი საწინააღმდეგო პოზიტიური რეალობის სარბიელადაც. მაგრამ მაშინ ნივთიერება, ან რეგრესული მიმდინარეობა, არა მარტო შემცირება იქნებოდა რეალობისა, არამედ თანასწორუფლებიან ონტოლოგიურ პრინციპად ჩაითვლებოდა.

ეს რომ ასე მიეღო ბ ე რ გ ს ო ნ ს, უეჭველია, მისი გზა დუალისტური იქნებოდა. მაგრამ ვინ დაამტკიცა, რომ დუალიზმი ინტუიციისათვისაც შეუწყნარებელ შეხედულებად უნდა ჩაითვალოს? მაშასადამე, რა უფლება გვექნებოდა მაშინ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ასეთი თვალსაზრისის წინააღმდეგ გველაპარაკნა? სამაგიეროდ, მისი აზროვნება ბევრის მხრივ მოგებული დარჩებოდა. საქმე ის არის, რომ მის ნააზრევს ცხადი დუალისტური ტენდენციები და მოტივები ახასიათებს. ამას ბევრმა მიაქცია ყურადღება, და განსაკუთრებით შ ტ ე ნ ბ ე რ გ ე ნ მ ა, რომელმაც თავის მონოგრაფიას ბ ე რ გ ს ო ნ ი ს შესახებ სწორედ ეს დუალისტური ტენდენცია დაუდვა საფუძვლად.[1]

მაგრამ თვით ბ ე რ გ ს ო ნ ი ცხადად ებრძვის ამ თავის ტენდენციას: უეჭველია, მას ამ შემთხვევაში თავისი ინტუიციის მოწმობა ინტელექტის ცრუმორწმუნეობის სამსხვერპლოს წინაშე ზვარაკად მიაქვს. ამის მიუხედავად, იგი მაინც ვერ ფარავს სავსებით თავის ძირითად ტენდენციას, თორემ რით აიხსნება ის გარემოება, რომ მას სინამდვილის სფეროში ორი რიტმის, ცნობიერებისა და ნივთიერების ხანიერობის რიტმის არსებობა აქვს აღიარებული?

[1] A. Stenbergen, Henri Bergsons intuitive philosophie, Jena. 1909.

ბერგსონის მონიზმი[1]

დიმიტრი უზნაძე

„ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მსჯელობა აღბეჭდილია შეუსაბამობით და წინააღმდეგობით. ჩვენ მიერ ამ დისკუსიის დროს მითითებული სიძნელე შესაძლებელია ბერგსონმა გააქარწყლოს, როგორც წმინდა სახის აბსტრაქტული და ნაკლული ინტელექტუალიზმის წყალობით შექმნილი წარმოდგენა. ხოლო თუკი ინტუიციამდე ავმაღლდებით და სინამდვილეს ისე შევიცნობთ, როგორც არსებობს, მაშინ ყოველი სიძნელე გაჰქრება“, ამბობს რ ა დ ა კ რ ი შ ნ ა ნ ი თავის ერთერთ წერილში ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიისთვის (Mind & Yuly 1907, 338). ვინც მხედველობაში მიიღებს ბერგსონის ფილოსოფიის თავისებურების, ახალ ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებულს განმარტებათ, სრულიად დაგვეთანხმება, თუ რ ა დ ა კ რ ი შ ნ ა ნ ი ს ზემოთ მოყვანილ სიტყვებს ფრიად დამახასიათებლად დავსახავთ. მართლაცდა, რას ვხედავთ აქ, თუ არა ნათლად გამოთქმულს აზრს, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ძირითადი პრინციპები მართლაც შინაგან წინააღმდეგობას ამჟღავნებს და რომ ეს წინააღმდეგობა და უსისტემობა ქრება, როგორც კი ინტელექტუალიზმს უარსა ვყოფთ და ინტუიციას მივმართავთ.

აქ საქმე გვაქვს ინტელექტისა და ინტუიციის ურთიერთობაზე ფრიად თავისებურ შეხედულებასთან. ირკვევა, რომ შემეცნების ამ ორი საშუალების ამგვარი დაპირისპირება რადიკალურ, დამხმარე ღონისძიებად არის აღიარებული, რომელიც ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზროვნების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოსალოდნელ იერიშს უიმედო და უშედეგო განზრახვად აქცევს. მართლაც რანაირად შეიძება ინტუიციით მოპოვებული ჭეშმარიტების ღირებულების შეფასება, თუ ლოგიკური აზროვნება ამისათვის სრულიად შეუსაბამოა? მაგრამ რას ვუწოდებთ საზოგადოდ კრიტიკას თუ არა ჩვენი შემეცნებითი მოქმედების რომელიმე შედეგის ცნობიერ შეფასებას! შესაძლებელია თუ არა ისეთი საშუალების გამონახვა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ცნობიერიც იყოს, და ლოგიკურს აზროვნებასთანაც არავითარი კავშირი ჰქონდეს? ყოველ შემთხვევაში ბ ე რ გ ს ო ნ ი ს რწმენის თანახმად (და აქ საზოგადოდ მხოლოდ ბერგსონის რწმენაზე ვლაპარაკობთ) სავსებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ყოველი ცნობიერი შემეცნებითი მოქმედება ლოგიკური აზროვნების სფეროა. თუ საკითხის ვითარება ამგვარია და ინტუიციისა და აზროვნების ზემოთ დახასიათებული დაპირისპირება სწორი, ეჭვი არ არის, რომ არ უნდა სრულიად უკუვაგდოთ კრიტიკის ყოველივე უფლება, ან თუ კრიტიკა შესაძლებელია, ინტუიციისა და აზროვნების აღნიშნული დაპირისპირება უსაფუძვლოდ უნდა ჩავთვალოთ და, მაშასადამე, ინტუიციის ყოველი შედეგი ლოგიკური აზროვნების სფეროში მოვათავსოთ. მეორე მხრივ, თუ ინტუიციისა და ლოგიკური აზროვნების ურთიერთობა იმ სახისაა, როგორც იგი რადაკრიშნანს წარმოუდგენია, მაშინ ყოველივე ლოგიკური უკუღმართობა ინტუიციის სახელით უნდა გავამართლოთ და ბ ე რ გ ს ო ნ ი ს მთელი კვლევა -

[1] დ. უზნაძე, თხზულებათა ტ. 2, 1960.

ძიების დასკვნები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს ადეკვატურად წარმოსადგენ ინტუიტურად მოპოვებულს ემყარება, იდეათა უაზრო ვარჯიშობად დავსახოთ.

ბ ე რ გ ს ო ნ ი ს საკუთარი შეხედულება ინტუიციისა და ლოგიკური აზროვნების ურთიერთობის ცხადყოფისათვის, ჩვენი აზრით, მკაფიოდ მიგვითითებს პრობლემის ამოცნობის ერთადერთ შესაძლო მიმართულებას, ყოველ შემთხვევაში, არა იმ გეზს, რომელსაც რ ა დ ა კ რ ი შ ნ ა ნ ი ხედავს.

უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ბ ე რ გ ს ო ნ ი ს შეხედულების თანახმად, ინტუიციის შემეცნებით მოქმედებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, სანამ მას ლოგიკურად მიმართებული აზროვნება არ უძღვის წინ: ყოველი შემდეგი ძიება მხოლოდ გონების იძულებით ხდება, „არსებობს საგნები, რომელთა ძიება მარტო ინტელექტს შეუძლია... ამ საგნებს მხოლოდ ინსტინქტი აღმოაჩენდა, მაგრამ იგი მათ ძიებას ვერასდროს ვერ დაიწყებს“[1]. თეორიული აზროვნება გონების სფეროა, მაგრამ მის მიერ თეორიული ჭეშმარიტების ძიება სრულიად უნაყოფოა; მხოლოდ ინტუიციის საშუალებით შეიძლება თეორიული ჭეშმარიტების მოპოვება, მაგრამ იგი პრაქტიკული ინტერესების ჯაჭვს ვერ გაარღვევს, თუ მას გონება არ დაეხმარება.

მაგრამ აზროვნებისა და ინტუიციის ურთიერთობა მარტო ამით არ ამოიწურება. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზრით, ინტუიცია თავისი ნეგატიური გავლენით ლოგიკური აზროვნების წრეში შეიჭრება: იგი სარგებლობს ინტელექტის მექანიზმით, რათა დაგვარწმუნოს, რომ ლოგიკური აზროვნება თავისი კატეგორიებით უძლურია მისწვდეს სინამდვილეს; გონების უძლურების აღმოჩენა მხოლოდ ამ გზით შეიძლება (Ev. 193). მაგრამ თუ, ამგვარად, ლოგიკური აზროვნების ნაკლოვანებასა და შეუსაბამობას ნათელყოფს, ცხადია, რომ არ შეუძლია ისეთი რამ გაგვითვალისწინოს, რაც ლოგიკურად სრულიად მიუღებელი იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ან თვით ინტუიციის უძლურება აგვეღიარებია, ანდა ინტუიციურად მოპოვებულის როგორმე გადმოცემის შეუძლებლობა. პირველი არ არის სწორი, თორემ მაშინ ინტუიცია ყოველგვარს თავის შემეცნებით თეორიულ მნიშვნელობას დაკარგავდა; მაგრამ არც მეორეა სწორი, ვინაიდან მაშინ რითღა უნდა გაგვემართლებია ბერგსონის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა!

ცხადია, რომ როლი, რომელსაც ბ ე რ გ ს ო ნ ი ლოგიკურ აზროვნებას ანიჭებს, მცირე მნიშვნელოვანი არ არის: განა ეს თვითონ არ ლაპარაკობს, რომ - დიალექტიკა მიტომაა საჭირო ინტუიციისაათვის, რომ იგი არგუმენტებს აძლევს მას და, აგრეთვე, მისი მონაპოვრის ცნებებში ჩამოყალიბებისა და სხვებისთვის გათვალისწინების შესაძლებლობას-ო!

მაგრამ განა ეს შესაძლებელი იქნებოდა, რომ ინტუიტურად შეძენილ იდეათა ლოგიკური აზრებით გადმოცემა აუცილებლივ ამ გადმოცემულ იდეათ წინააღმდეგობითა და შეუსაბამობით აღბეჭდავდეს?!

ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ არა მხოლოდ მწერლობის ფაქტი და წესი ჩვენი ფილოსოფოსისა, არამედ მისი სიტვებიც საუკეთესოდ მოწმობენ, თუ რამდენად დაშორებულია იგი იმ აზრს, რომ ვითომ ინტუიტური სულიერი მოქმედების შედეგების ლოგიკურად წარმოსადგენი ფორმით გადმოცემა და დამუშავება პრინციპულად შეუძლებელი იყოს. ჩვენი აზრით, ბერგსონის შეხედულება შემდეგნაირად უნდა განვმარტოთ: აზროვნება თავისი

[1] H. Bergson, L’évolution créatrice XV éd. Paris, 1914.

მიზნით აბოლუტისადმი არის მიმართული, მაგრამ მას ვერ მიაღწევს. ინტუიცია კი, რომელმაც თავისთავად არაფერი იცის აბსოლუტის, მისწვდება მის წარმოსადგენ ფორმას, როგორც კი ლოგიკური აზროვნება ამის საბაბს მისცემს; შეასრულებს რა ამას, მხოლოდ იმავე ლოგიკური აზრების საშუალებით მოგვცემს მის სურათს. ხოლო აქ სახიფათოა გონებამ ინტუიტურად შეძენილის საზღვრები არ გადალახოს, რასაც მართლა ვხედავთ, როგორც კი ლოგიკური აზროვნება საკუთარ ფეხებზე დაყრდნობას მოისურვებს; მაგრამ ეს გარემოება ლოგიკური განხატების პრინციპულ შეუფერებლობას როდი მოწმობს, არამედ მისთვის ინტუიციის განუწყვეტლივი დახმარების საჭიროებას; თუ გონება წინააღმდეგობასა და უსისტემობაში გაება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მან ინტუიციის მოპოვებულის ნიაგადი დასტოვა და ცდილობს აბსოლუტს თავისი საკუთარი ძალებით მისწვდეს. მაშინ, ცხადია, კვლავ ინტუიციას უნდა დავუბრუნდეთ, რათა იდეათა მერყეობას თავი დავაღწიოთ. ინტუიციისა და გონების ურთიერთობის ამგვარი განმარტება ნათელსა ჰფენს ინტუიტური ფილოსოფიის დარგში კრიტიკული მსჯელობის შესაძლებლობის პრობლემას. როდესაც ლოგიკურ აზროვნებას აბსოლუტური ინტუიტური შემეცნების დედა - გული ამოძრავებს, როდესაც იგი ყოველ ნაბიჯზე მისსავე იმპულსს ემორჩილება, მაშინ, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ იგი ნამდვილი საქმის ვითარების სურათის გადმოცემას შეძლებს. მეორე მხრივ კი, თუ ლოგიკური მსჯელობით აბსოლუტის გათვალისწინების გზა წინააღმდეგობისა და უაზრობის გარდა არაფერს გვაძლევს, ეს უნდა ან ინტუიციის ნაკლს, ან მის სისუსტეს მივაწეროთ, ყოველ შემთხვევაში, არა აბსოლუტის სფეროში ინტუიტურად ნახულის გადმოცემისთვის ლოგიკური აზროვნების პრინციპულ შეუსაბამობას.

ამგვარად ცხადია, რომ ინტუიტურად შეძენილის გადმოცემა პრინციპულად შეუძლებელი არ არის და, მაშასადამე, ყოველივე წინააღმდეგობა და შეუსაბამობა მუდამ თვით იდეათა ნაკლოვანებას ამჟღავნებს. ამიტომაც შეცდომა იქნებოდა ბ ე რ გ ს ო ნ ი ს პოზიტიური შეხედულებანი ლოგიკურად უაზროდ დაგვესახა, ხოლო ინტუიციის სახელით გაგვემართლებია. გვაქვს თუ არა ნამდვილად რაიმე საბაბი ბერგსონის განწყობილება მონიზმის პრობლემისადმი წინააღმდეგობით და შეუსაბამობით სავსედ ვაღიაროთ? ღირსაღსანიშნავია, რომ, როგორცა ჩანს, სწორედ ეს პრობლემა ყველაზე მეტ გაუგებრობას ბადებს: შ ტ ე ნ ბ ე რ გ ე ნ ს სურს ბერგსონის ფილოსოფიაში მკაფიო დუალისტური მიდრეკილება აღმოაჩინოს; რადაკრიშნანი აქ დუალისტური და მონისტური ტენდენციის უშედეგო ბრძოლის სანახაობას ხედავს, სახელდობრ: ერთი შეხედვით, თითქოს დუალიზმი სინამდვილის ერთადერთი მბრძანებელი იყოს; შემდეგ კი ირკვევა, რომ იგი მოწოდებულია მონიზმს თავისი ადგილი დაუთმოს; ხოლო ნათლად ჩანს, რომ დუალიზმი პრინციპულად უძლურია ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. როდესაც ბ ე რ გ ს ო ნ ი ს აზროვნებას ითვალისწინებ, მართლაც იძულებული ხდები, აღიარო, რომ სწორედ ეს დუალისტური ტენდენციაა, რაც მას თავისებურ იერს აძლევს.

„Données immédiates de la conscience" - ის მთავარი პრობლემა ნების თავისუფლების შესახებ ცხადყოფს იმ ძირითად წინააღმდეგობას, რომელიც დროისა და სივრცის, მატერიასა და სულს შორის გარდაუვალი უფსკრულის სახით არსებობს. „Matière et mémoire" „მიმართულია რა ამ წინააღმდეგობათა შერიგების, არამედ მათი გამძაფრებისა და გაღრმავებისადმი. მხოლოდ „Evolution créatrice" - ში ხედავს ამ წინააღმდეგობის შესუსტების პირველ ცდას

ონტოლოგიური პრინციპის მეშვეობით, რომელიც მოწადინებულია გამოცდილების მოპირდაპირე პოლუსები სინთეზურად შეადუღოს. მაგრამ ამავე დროს აქაც საგრძნობი სიმტკიცის მომენტებს ვხვდებით, რომლებიც წინანდელი შრომების დუალიზმს კვლავ საფუძველს უმზადებს. რანაირია მატერიისა და სულის არსებითი თვისება? ვულგარული დუალიზმი, რომელიც ინტელექტუალისტური გამოცდილების ზედაპირს კმაყოფილდება, მატერიისა და სულის-თვის დამახასიათებელ თვისებათა სასტიკ განსხვავებას მიუთითებს, სახელდობრ: მაშინ როდესაც იქ, ნივთიერებაში განფენილი კონტინუუმის სამყაროს სჭვრეტს, აქ სულიერობაში განუფენლობას აცხადებს უმთავრეს მომენტად. თუ ამ დაპირისპირებას არ გავაღრმავებთ და ვცეულობისა და დროულობის განსხვავებას არ დავუკავშირებთ, მაშინ ნამდვილად მივიღებთ იმას, რითაც რეალობის ორი პოლიუსი უნდა დახასიათდეს. ამასთან ერთად მატერია დახასიათდება როგორც ქვანტიტატური, სული კი - როგორც ქვალიტატური. თუ ამას მატერიალურის აუცილებლობას და კანონშეწონილებას, ხოლო სულიერის თავისუფლებას დავურთავთ, საბოლოოდ ნათელსა ვყოფთ მატერიასა და სულს შორის არსებულ განსხვავებას. თუ ამ დაპირისპირებულ თვისებათა კვლევას გავაღრმავებთ, მყისვე დავინახავთ, რომ ხსენებულ თვისებათა დაპირისპირება ვრცეულობასა და დროულობას, პასივობასა და აქტივობას, შემოქმედებით თავისუფლებასა და თვითმყოფ მექანიზმს შორის არსებულს მკაცრ ანტაგონიზმად გარდაიქმნება. გასაგებია ამიტომ, რომ ბერგსონი მატერიასა და სულს შორის არსებულ წინააღმდეგობას ამ ორი პრინციპის წარუხოცველს მტრულ განწყობილებას უკავშირებს.

როგორც კი გავითვალისწინებთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზრდისა და შემოქმედებითი ევოლუციის იდეას ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიაში, ჩვენს წინაშე აღიმართება საკითხი, თუ სად უნდა ვეძიოთ ის არე, სადაც ევოლუციის პროცესში მატერიისა და სულის წინააღმდეგობა იბადება. ცხადია, რომ ინდივიდუალური ცხოვრება, „მე“-ს ზრდა და განვითარება არარაობა იქნებოდა, რომ მატერიასა და სულს შორის ანტაგონიზმი არ არსებობდეს: განა მართალი არ არის, რომ ჩვენს საკუთარს სრულყოფას იმ დაბრკოლებათა დაძლევით ვპოულობთ, რომელთაც მატერია გვიმზადებს? მატერია უნდა ინდივიდუალური არსებობის ევოლუციის შესაძლებლობის უცილო წინამძღვრად ჩაითვალოს. თუ საზოგადოდ ცხოვრებას თვალს გადავავლებთ, აქაც მატერიასა და სულს შორის იმავე ბრძოლას შევხვდებით, ხოლო აქ იგი კოსმიური მნიშვნელობის საფეხურს აღწევს. ცალკე არსთა და მათი ევოლუციის დეტალური შესწავლის მეშვეობით ბ ე რ გ ს ო ნ ი ზოგად მსოფლმხედველობას ასაბუთებს, რომლის მიხედვითაც სიცოცხლე მატერიის საწინააღმდეგოდ მიმართულ შემოქმედებით ნაკადად უნდა დაისახოს: „უხეში მატერიის წინააღმდეგობა ის დაბრკოლებაა, რომელიც დაძლეულ უნდა ყოფილიყო უპირველესად“ (EV. 107). სიცოცხლის შემდეგი განვითარება მას სულის მატერიაში შეჭრის შეუჩერებელ პროცესად ეჩვენება: „...მთელი ცხოვრება წარმოგვიდგება მისწრაფებად, რომელიც იღწვის ენერგიას თავი მოუყაროს და შემდეგ იგი მოქნილს, ცვალებად არხებში დაჰფანტოს და მათ განაპირას ზღვარდაუდებელი, მრავალფეროვანი საკუთარი მუშაობა აწარმოოს. აი ერთის დაკვრით რის მოპოვება სურს მატერიაში შეჭრილ ცხოვრების სწრაფვას“ (Ev. 275). მისი (სულის) სწრაფვა მუდამ მიმართულია ისეთი ორგანოს მოწყობისადმი, რომელიც „ნამდვილი განუსაზღვრელობის

აუზი“ შეიქმნებოდა. მოკლედ, მატერია ევოლუციის აუცილებელ პირობად არის ცნობილი, უიმისოდ ცხოვრება არ იქნებოდა.

* * *

მაგრამ, თუ მატერიისა და სულის კონტრასტი ევოლუციის ცნებისათვის მართლაც ეგზომ მნიშვნელოვანია, ჩანს, რომ უნდა სრულიად უკუვაგდოთ ევოლუციის ცნება ანდა მკაფიოდ გამოთქმული დუალიზმი მივიღოთ. ბერგსონი არც ერთსა და არც მეორეს არ ჩადის: იგი გარკვეული ქმნადობის ფილოსოფიის ნიადაგზე რჩება და სწორედ ამის გამო დუალიზმი საფუძვლიანად შერყეულად მიაჩნია. ამის შემდეგ, თითქოს მას მხოლოდ ერთი გზაღა დარჩენია - მონიზმის ცნობა. მაგრამ აქ კვლავ ახალი ამოცანა წარმოჰყოფს თავს, ამ ორი დაპირის-პირებული პრინციპის შერიგება, ანდა მესამე პრინციპის გამონახვა, რომელსაც ორთავე ეყრდნობა. მკაფიოდ აღბეჭდილი სპირიტუალისტური ტენდენციის გამო სულის მატერიით შეცვლა ბერგსონისათვის სრულიად მიუღებელია: მატერი-ალიზმი მას პრობლემის ამოცნობისათვის არ გამოადგება; მაგრამ ეს სრული-ადაც არ მოასწავებს, რომ ამგვარი მნიშვნელობა წმინდა სპირიტუალიზმს შეიძლება მიეწეროს. სული მისთვის ხომ შემოქმედებითი ევოლუციაა. მაგრამ უკანასკნელი მატერიის წინააღმდეგობას მიგვითითებს: სული უმატერიოდ არ არსებობს. ამგვარად, საჭიროა ორივე მოწინააღმდეგე პრინციპი მესამეს დავუ-კავშიროთ, რაც არც მატერიაა და არც სული, მაგრამ რაც ორივეს საფუძვლად უდევს. როგორც ვიცით, ბერგსონი ამ პრინციპს „ზეცნობიერებას“ უწოდებს: „თუ ჩვენი ანალიზი სწორია, ამბობს ის, ცხოვრების სათავეში დგას ცნობიერება ან ზეცნობიერება“. მისთვის სულის და მატერიის პირველწყარო რეალობის ამ დასაბამ პრინციპშია მოთავსებული. მაგრამ აქ იბადება კითხვა, როგორ უნდა ავხსნათ, რომ ზეცნობიერება, რომელიც, მაშ, არავითარ წინააღმდეგობას არ ხვდება, თავის შინაარსს ავითარებს, ევოლუციაში შლის. ბ ე რ გ ს ო ნ მ ა ხომ მატერია ევოლუციის შესაძლებლობის აუცილებელ წინამძღვრად გამოაცხადა და, მეორე მხრივ კი, იგი (მატერია) ზეცნობიერებიდან გამოიყვანა! ამაზე რ ა დ ა კ რ ი შ ნ ა ნ ი სრულიად სამართლიანად შენიშნავს: „ჩვენ ვკითხულობთ თუ დასაბამ ზეცნობიერებასა ან პირველყოფილი სულისთვის შესაძლებელია ცხოვრებით ან მატერიით ცხადყოფა, უცხო ძალის არსებობის გარეშე, რატომ არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ცხოვრება დედამიწის ზურგზე ამგვარათვე წარმოებს? თუ ზეცნობიერება ცალკე ტოტებს აღმოაცენს, ყოველი დამაბრკოლებელი მედიუმის გარეშე თავის ევოლუციას გამოსჭედს, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პლანეტის ცხოვრების ევოლუცია დამაბრკოლებელ წინააღმდეგობას საჭი-როებს, რათა იგი მთელი თავისი შესაძლებლობით გამოჩნდეს“.[1]

ეჭვი არ არის, ამ სიძნელის დაძლევა დუალიზმისაკენ დაბრუნებას მოით-ხოვს, რათა ამ გზით ევოლუციის შესაძლებლობა დასაბუთდეს. მე ვფიქრობ, სწო-რედ ეს გაარემოებაა, რომ ბერგსონის კრიტიკოსთა ცნობიერებას განსაზღრულ მიმართულებას აძლევს, როდესაც იძულებულად გრძნობენ თავს, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიაში ცხადი დუალისტური მიდრეკილება დაადასტურონ.

როგორც “Matière et mémoire”, აგრეთვე, „Evolution creatrice”-ში ბერგსონი ხსენებულ პრობლემას დეტალურად განიხილავს; ირკვევა, რომ როგორც

[1] 1 Mind, 1907. გვ. 336, 103.

მატერია, ასევე სულიც თავისებურ მოძრაობად უნდა წარმოვიდგინოთ, სახელდობრ: ორ ისეთ მოძრაობად, რომელნიც ერთმანეთს არსებითად ეწინააღმდეგება. მაგრამ თუ აქ ორს ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ მოძრაობას დავინახავთ, მაშინ მართლაც იძულებულნი ვიქნებით კვლავ დუალიზმს დავუბრუნდეთ. ბერგსონს თითქოს სურს მატერიას თავისი რეალობა სრულიად წაართვას, ვინაიდან იგი მას ნეგატიურ მოძრაობად აქვს წარმოდგენილი: „ცხოვრება მოძრაობაა, მატერია - უკუმოძრაობა“; იგი თავს იჩენს, სადაც კი რეალობის პოზიტიური მოძრაობა შეჩერდება. „მატერია დამოუკიდებელი მოძრაობა არ არის, არამედ ცხოვრების აღმართი, მოძრაობის უბრალო უკუბრუნვაა“. ეს გარემოება, ბერგსონის კრიტიკოსთა აზრით, საკმარისად მოწმობს, რომ ბერგსონს, რომელიც მატერიას უბრალო ილუზიად თვლის, არ ძალუძს გაარკვიოს თუ რანაირად შეიძლება ერთი პოზიტიური პროცესისაგან მეორე, აგრეთვე პოზიტიური, მართალია საწინააღმდეგო მიმართულების, მაგრამ მაინც პოზიტიური, პროცესის წარმოშობა.

ამგვარად, საქმის მდგომარეობა ასე ისახება:

1. ყოველი ევოლუცია გულისხმობს მატერიის არსებობას.

2. რეალობის პირველადი პრინციპი ზეცნობეირებაა, რომელიც მატერიას არა უკან, არამედ წინ უძღვის და ამის გამო ევოლუციის შესაძლებლობას ვერ ასაბუთებს.

3. სული პოზიტიური მოძრაობაა; მატერია კი, მართალია, პოზიტიური მოძრაობა არ არის, მაგრამ მაინც პოზიტიურ პროცესადაა წარმოდგენილი, რაც წინააღმდეგობად უნდა ჩაითვალოს.

ვინც აღნიშნულ დებულებათ გაიზიარებს, მას თითქმის არავითარი უფლება არ ექნება, მათი შედეგები უარყოს: მაშინ ბერგსონის მიერ მონიზმის პრობლემის გარკვევა მართლაც სრულიად გაბათილებულად უნდა ვაღიაროთ. საკითხის გადასაჭრელად უკეთესი იქნება, თუ ამ დებულებათა ანალიზის დროს სწორედ ბერგსონის აზროვნების ძირითადი ტენდენციით ვიხელმძღვანელებთ. სხვა მხრივ, ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ჩვენი პრობლემისადმი ნამდვილი დამოკიდებულება ჩვენთვის განუფანტველ ბურუსში დარჩება.

უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვისაც ბერგსონის მატერიის კონცეფციაზე საფუძვლიანი მსჯელობა სურს, მუდამ თვალში მისი მსოფლმხედველობის ევოლუციონისტური იერი უნდა იქონიოს. მაშინ სრულიად ნათელი შეიქმნება რომ არც მატერიას და არც სულს, როგორც განცალკევებულს, თავიანთი არსებითი თვისებით დამთავრებულს რეალობას არ უნდა შევხედოთ. თუ ამ პრინციპებს ერთმანეთს ვუპირისპირებთ, მხოლოდ როგორც ევოლუციის მიმართულების სხვადასხვა მიდრეკილებას და არა მის პროცესში განსაკუთრებულ სხვადასხვა საგანს და მოვლენას, თუ მატერიას თავისი არსებითი თვისებით ჰომოგენური სივრცის ცნების წრეში მოვათავსებთ, ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ აქ ლაპარაკია არა სრული გაიგივების, არამედ მარტოოდენ იმ მიმართულების ნიშნებისთვის, რომლისკენაც მატერიალობის განვითარება იხრება. ამგვარად, ჰომოგენური სივრცე უნდა დაუბოლოებად მიმზიდველ და არასდროს სრულიად მისაღწევ უკიდურეს საზღვრად დავსახოთ. მატერია და ჰომოგენური სივრცე არასდროს ერთმანეთს არა ჰფარავენ და მატერიის ზემოთ ნახსენები თვისებანი მხოლოდღა დაახლოებითობისა, ეგებისობის ნისლში იკარგებიან: „მართალია მატერია ჰომოგენური სივრცისაკენ ისწრაფვის, მაგრამ მას საბოლოოდ ვერასდროს ვერ აღწევს“ (Ev. Créat. 177).

გარკვეულობას და მკაფიო საგნობრიობას მატერიას მხოლოდ ინტელექტი ანიჭებს, როდესაც მას თავის ჰომოგენური სივრცის ქსელს გადააფარებს.

თუ ინტუიტურად მატერიის გაგებას შევეცდებით, თვალწინ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება: „თუ გავითვალისწინებთ მატერიას, რომელიც პირველად სივრცეში გვერევა, დავინახავთ, რომ რამდენადაც მეტს ვაკვირდებით, იმდენად მისი, ჩვენი აზრით, შეკოწიწებული ნაწილები ერთმანეთში შეიჭრება და ყოველი მათგანი განიცდის მთელის მოქმედებას, რომელიც, მაშასადამე, მათშია ამა თუ იმ სახით წარმოდგენილი. ამგვარად, მართალია, მატერიის გაშლა სივრცის მიმართულებით წარმოებს, მაგრამ იგი მას სავსებით ვერ აღწევს“ (Ev. Créat. 226); ეს კი იმას მეტყველებს, რომ, მართალია, მატერია თავისი ტენდენციით სულისადმი აბსოლუტურად დაპირისპირებული გვეჩვენება, მაგრამ ნამდვილად მასთან რაღაც საერთო აქვს.

თუ ახლა სულს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი არსებითად მხოლოდ შემოქმედებითი თავისუფლების სახით წარმოგვიდგება, რომელსაც მატერიის განყოფადებასა და ნაწილთა შეკოწიწებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

იგი წმინდა ხანიერობაა, მასთან ვრცეულობას საქმე არა აქვს. მაგრამ ეს აბსოლუტური კონტრასტი სულსა და მატერიას შორის მხოლოდ პრინციპულად არსებობს, სინამდვილეში კი საქმე მარტოოდენ ტენდენციებთან გვაქვს. სულიერი ცხოვრება წმინდა ხანიერებად მხოლოდ იშვიათად ცხადდება: „მომეტებულს შემთხვევაში ჩვენ ნამდვილი „მე“-ს გარეშე ვცხოვრობთ, ჩვენ მხოლოდ ჩვენი საკუთარი „მე“-ს ლანდს, ჩრდილს ვამჩნევთ, რომელსაც წმინდა ხანიერება ჰომოგენურ სივრცეში ისვრის“. ამგვარად, ჩვენი არსებობა უფრო სივრცეშია განფენილი, ვიდრე დროში. ჩვენ უფრო გარე სამყაროსთვის ვცხოვრობთ, ვიდრე ჩვენთვის. წუთები, როდესაც ჩვენს თავს შევიცობთ იშვიათია და ამიტომ იშვიათადა ვართ თავისუფალი. უეჭველია, რომ თუ მატერიაში რასმე სულიერისას აღმოვაჩენთ, სულშიც აგრეთვე რასმე მატერიალურს ვპოვებთ. წმინდა მატერია და წმინდა სულიც ტენდენციად უნდა იქნეს წარმოდენილიი. ვერც მატერიას და ვერც სულს საბოლოოდ დამთავრებულად და გამიჯნულად ვერ დავსახავთ. აზრი, თითქოს ყველაფერი არსებული ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია - რაც დასაბამით არსებული მრავალფეროვანი მატერიის ანუ ღვთაების სახით შემოქმედებითი აქტის მიღებას გვავალებს - ბერგსონის აზრით, ცრუ რწმენაა, რომელიც სამუდამოდ გამომზეურებულ და უარყოფილ უნდა იქნეს. რეალობა უფრო ორგვარ ტენდენციად გვესახება და არა ორ განსხვავებულ, დასაბამით განსაზღვრულ პრინციპად, რომელიც მატერიალობისა და სულიერობის დუალობის მყარ საფუძველს ქმნის.

მაშ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე განსაზღვრულ პრინციპთა დუალიზმთან კი არა გვაქვს, არამედ ერთამენეთისადმი დაპირდაპირებულ ტენდენციებთან. ამგვარად, ჩანს, ბერგსონს სურს ჩვეულებრივ დუალიზმს შეებრძოლოს, რათა თუნდაც სხვა ნიღბით, მას უკეთესი შემავლობა განუმზადოს. მაგრამ მაშინ სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენს ზეცნობიერებაში ორი, სავსებით განსხვავებული, ტენდენციის შეთავსება. მოსალოდნელია მაშინ საქმე სპინოზას სუპსტანციის ანალოგონთან გვექნებოდა, რომელიც აგრეთვე აზროვნებისა და განფენილობის დაპირისპირებული ატრიბუტებით არის აღჭურვილი. მაგრამ უფრო დეტალური დაკვირვება არსებითად სულ სხვა

მდგომარეობას ამჟღავნებს. რა გვაქვს ტენდენციად წარმოდგენილი, როდესაც იძულებული ვართ სინამდვილე მისვე ორგვაროვნობას დავუკავშიროთ? ბერგსონის ინტუიტური ფილოსოფიის თანახმად, ამ პრობლემის გახსნასაც ინტუიციის გზით უნდა შევეცადოთ: „რაც უფრო მეტად დავუახლოვებთ პროგრესულ განვითარებას წმინდა დროულობას, მით უმეტესად ვგრძნობთ, რომ ჩვენი არსების სხვადასხვა ნაწილი ერთვის და ხდება მთელი ჩვენი პიროვნების კონცენტრაცია ერთ წერტილად, უკეთესია ერთ წამახულად, რომელიც მომავალს შეეთავსება და მარად კვეთს მას. ეს არის ცხოვრება და თავისუფალი მოქმედება. პირიქით, მოქმედების მაგიერ, ვიოცნებოთ, ჩვენი „მე“ მყისვე განიბნევა; აქამდე ჩვენთვის განუყოფელ იმპულსად შედუღებული ჩვენი წარსული, ურთიერთ გარე - მსრბოლ, ათასსა და ათიათასს მოგონებად იშლება, რომელნიც რამდენადაც მეტს გამყარდებიან, იმდენად ურთიერთშეჭრას იუარებენ. ამგავრად, ჩვენი პიროვნება კვლავ სივრცისაკენ მიიმართება (Ev. 219). ანდა კიდევ: როდესაც პოეტი თავის ლექსებს მიკითხავს, შემიძლია საკმაოდ დაინტერესებული ვიყო მისი პიროვნებით, რათა მისი აზრებით განვიმსჭვალო, მის გრძნობად შევეთავსო და მის სიტყვებსა და ფრაზებში გაბნეული მარტივი მდგომარეობა განვაახლო. ამ დროს მე თანავუგრძნობ მის შთაგონებას, მას მივსდევ უწყვეტი მოძრაობით, რომელიც თვით შთაგონების მსგავსად განუყოფელი აქტია. მაგრამ საკმარისია ჩემი ყურადღება შევაჩერო, მოვადუნო ის, რაც ჩემს შორის განსხიპრული იყო, რომ აქამდე გრძნობაში ჩაგებულ ბგერათ თავიანთი თანმიმდევრობითი მატერიალური კაფობა დაჰკარგონ“ (Ev. 228). მოკლედ, ყველგან, სადაც კი სულიერ ცხოვრებაში ხსენებული ორი ტენდენცია იჩენს თავს, იმავე დროს ვამჩნევთ, რომ აქ საქმე გვაქვს მხოლოდ სულით დაძაბულობის მოდიფიკაციასთან: თუ იგი კონცენტრულია, ფიზიკური ცხოვრება თვისუფალ, მთლიან, მოძრავ პროცესად გაიშლება; თუ იგი ცოტაოდენად ირღვევა, მყისვე მატერიალობისადმი ტენდენცია აღმოჩნდება. ამგვარად, „ვრცეულება სხვა არაფერია, თუ არა დაძაბულობის შეწყვეტა. ცხადია, აგრეთვე, რომ მატერიისა და სულის დუალიზმის საფუძველი ტენდენციათა ორგვარობა მხოლოდ დაძაბულობის, თავისთავად რელატიურის, ბუნებას უნდა დავუკავშიროთ. დაძაბულობა ხომ მცნებაა, რომელიც აუცილებლივ თავისთავად ცვალებას, სახელდობრ ხარისხოვან ცვალებას გულისხმობს. თუ ზეცნობიერებას სინამდვილის ონტოლოგიურ პრინციპად ვაღიარებთ, თავისთავად ცხადი შეიქნება, რომ იგი ორი ტენდენციით არის აღჭურვილი; ეს კი იმას ნიშნავს,რომ მისი სწრაფვა აუცილებლად დაძაბულ - ხარისხოვანია.[1]

ახლა ნათლად ჩანს, რომ ზემოთ აღნიშნული აზრები, რომელნიც დუალიზმის პრობლემის განუვალობას ამყარებდნენ, თავის მნიშვნელობას კარგავს; ამის შემდეგ აზრი აღარა აქვს ლაპარაკს, რომ რეალობის დასაბამითი პრინციპი (ზეცნობიერება) მატერიას უკან კი არა,წინ უძღვის და, ვინაიდან მატერიის წინააღმდეგობის გარეშე ევოლუცია შეუძლებელია, იგი (ე.ი ევოლუცია) დაუსაბუთებლად რჩება. მაგრამ წინ თუ უკან მდევარი მატერიისთვის მხოლოდ მაშინ გვექნებოდა ლაპარაკის უფლება, თუ რომ იგი განსაზღვრულ რეალობად იქნებოდა წარმოდგენილი, ხოლო ზეცნობიერება, რომელიც აუცილებლივ დაძაბულობის მოდიფიკაციის ცნებას შეიცავს, არც წმინდა

[1] შდრ. დ. უ ზ ნ ა ძ ე, ბერგსონის ფილოსოფია, გვ. 237 და შემ. თბილისი, 1920

სულიერია და არც მატერიალური, როგორც დაძაბულობის ხარისხი, იგი აგრეთვე მატერიალურია, როგორც სულიერი, სახელდობრ: დაძაბულობის უმაღლეს ხარისხთან შედარებით იგი მატერიალურია, მაგრამ შედარებით მის უფრო მდაბალ ხარისხთან - სულიერი. მოკლედ, დროის ყოველ წერტილში რეალობა ერთსა და იმავე დროს სულიერიც არის და მატერიალურიც, ვინაიდან იგი ამა თუ იმ ხარისხით არის დაძაბული. აგრეთვე, აზრი არ აქვს მსჯელობას წმინდა სულიერობისა თუ წმინდა მატერიალობაზე, ვინაიდან წმინდა სულიერობა აბსოლუტურ დაძაბულობას გულისხმობს; მაგრამ აბსოლუტური დაძაბულობა წარმოუდგენელია, რადგან დაძაბულობა „ინტენსიური“ და, მაშასადამე, აუცილებლად რელატიური ცნებაა. რაც შეეხება წმინდა მატერიალობას, მისი შესაძლებლობისთვის არსებითად სხვა არა ითქმის რა, ვინაიდან წმინდა მატერიალობა დაძაბულობის სრულ მოსპობას ნიშნავს, ე.ი. რეალობის და, რასაკვირველია მასთან ერთად მატერიალობის სრულ მოსპობას. ამგვარად, ვხედავთ, რომ ბერგსონის ინტუიტივიზმს ვულგარულ დუალიზმთან ან მონიზმთან საერთო არა აქვს რა და სიძნელენი, რომელთაც სპინოზა და ლაიბნიცი ესოდენი გონებამახვილობით ებრძოდნენ, მხოლოდ აბსოლუტურ - ინტელექტუალურ თვალთახედვის შეზღუდულობას უნდა მივანებოთ. ევოლუციონისტური და ინტუიტიური თვალსაზრისისათვის, მგონია, შესაძებელი უნდა იყოს თავისებური პრინციპის მიღება, რომელიც დუალისტური ტენდენციის ცნებას შეიცავს და ამით ვულგარული დუალიზმისა და მონიზმისაგან დარჩენილ სიძნელეთ და ცრუ პრობლემათ ნიადაგს გამოაცლის.

საძიებელი

ავგუსტინე 54
ავენარიუსი რ. 16
ანგესი ა.ლ. 7

ბეკონი ფ. 183
ბეთჰოვენი 181
ბერგსონი ანრი 5-8,17-31,54,48,
50,53,56,81,88,99,102,103,
108-113,115,117,119,121,124-
-126,129-140,142-144,151-159,
171-174,176,179-200
ბოლცმანი 142

გრანჭანი 17,18 19
გრაჭო 19

დარვინი ჩ. 81,109,115,118
დეკარტი რ. 7,8,17,54,68,99,183
დეფრიზი ჰუგო 109, 115, 116

ეიმერი 117,118
ერდმანი იოჰან 13

ვებერი 57
ვეისმანი 119
ვილბოა 19
ვინდელბანდი 9,15,17

კანტი ი. 7,8,11,14,15,17,18,45,
47,48,139,147,172,173,175,183
კიუვიე 162
კონტი ოგიუსტ 12

ლაიბნიცი 28,68,77,78,204
ცლანგე 11
ლაპლასი 110
ლერუა ედუარდ 19
ლიბმანი ოტო 11,14
ლიუკე 19
ლოსკი

მახი ე. 16
მილი 19,70
მორუსი 99

ნიუტონი ი. 99

პასკალი ბ. 184
პეგიუ 19
პლატონი 17,134,186,187

ჟილუინი 19
ჟუსენი 18

რადაკრიშნანი 193,199
რაიმონი დე-ბუა 100
რაჟო გასტონ 17
რიკერტი ჰ. 17
რიშე ა. 81

სეგონდი 19
სიუარე 19
სპენსერი ჰ. 13
სპინოზა ბარუხ 19,134,204
სოლოვიოვი ვლადიმირი 184
სორელი ჟორჟ 19

ტომსონი 102

უზნაძე დ. 193,203

ფაბერი 166
ფარადეი 102
ფეხნერი 58,59
ფიშერი კუნო 13
ფიხტე ი. 8

შელინგი 7,8,9,10,184
შომე 19
შოპენჰაუერი არტურ 7,10,11,184
შტენბერგენი 18,193,196

ცელერი ედუარდ 11,13

ძენონი 95,96,99

ჯემსი ვ. 18,19

ჰეგელი 7,8,9,10,11,14
ჰერაკლიტე134
ჰილევი 7

ბერგსონის ფილოსოფიის ინტერპრეტაცია და კრიტიკა დიმიტრი უზნაძის მიერ

თამარ ცხადაძე
ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

გიორგი ხეოშვილი
მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

ტექსტი და კონტექსტი

სიცოცხლის ფილოსოფიის ცნობილი ფრანგი წარმომადგენლის - ანრი ბერგსონის (1859-1941) ორიგინალური ფილოსოფიური ნააზრევი ქართული კულტურისთვის XX საუკუნის პირველი ათწლეულებიდან გახდა ცნობილი. 1914 წელს ქუთაისში გამოიცა ალექსანდრე ჯანელიძის (1888-1975) ნარკვევი „ეროვნული შემოქმედება“, რომელიც მნიშვნელოვანწილად ბერგსონის ფილოსოფიურ თვალსაზრისს ეყრდნობა. ჯანელიძე აღიარებს განვითარებისა და ცვალებადობის უნივერსალურ ხასიათს და უარყოფს განვითარების პროცესში განმეორების შესაძლებლობას. თავისი თვალსაზრისის გასამყარებლად ის მოიხმობს დროის ბერგსონისეულ კონცეფციას, რომლის თანახმად, სიცოცხლის განვითარების პროცესში ყოველი აქტი თვისებრივ სიახლეს წარმოადგენს. 1923 წელს ბათუმში გამომავალ გაზეთში - „ასპიროზი“- დაიბეჭდა კონსტანტინე კაპანელის (1889-1952) ნარკვევი „სული და იდეა,“ რომელშიც ავტორი, ნიცშესა და ბერგსონის ცალკეული იდეების გამოყენებით, ცდილობს ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფციის შემუშავებას. ხოლო 1920 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა დიმიტრი უზნაძის (1886-1950) მონოგრაფია „ანრი ბერგსონი“, რომელიც ქართულ აკადემიურ სივრცეში ბერგონის ფილოსფიის რეკონსტრუქციისა და ინტერპრეტაციის პირველ ცდას წარმოადგენს.

ის ფაქტი, რომ ფრანგი მოაზროვნის შემოქმედება მის სიცოცხლეშივე იქცა ქართული სამეცნიერო საზოგადოების ინტერესის საგნად, ქართული კულტურისთვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა. საქმე ისაა, რომ ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქართული კულტურის წიაღში, ანტიკური და აღმოსავლურ-ქრისტიანული (ბიზანტიური) სააზროვნო მემკვიდრეობის ათვისების გზით, ყალიბდება ფილოსოფიური რეფლექსიის განხორციელებისათვის საჭირო გარკვეული ტრადიცია და იქმნება შესაბამისი ტერმინოლოგიური აპარატი. ქართველი მოაზროვნეები ორიგინალის ენაზე ეცნობიან და ითვისებენ ბერძნული ფილოსოფიის წყაროებს. ამის დასტურად XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველი ფილოსოფოსის, იოანე პეტრიწის ხსენებაც კმარა, რომელმაც ქართულად თარგმნა და ვრცელი კომენტარებით აღჭურვა ნეოპლატონიკოსი მოაზროვნის, პროკლეს ნაშრომი „თეოლოგიის საფუძვლები.“ სამწუხაროდ, მოგვიანებით ქართული კულტურის აღმავლობა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რთულმა ისტორიულმა პერიპეტიებმა და უცხოელი დამპყრო-

ბლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის მიერ ფიზიკური გადარჩენისათვის წარმოებულმა მრავალსაუკუნოვანმა ბრძოლამ ტრადიციული კულტურულ-რელიგიური კერების ნგრევა გამოიწვია, რაც, ბუნებრივია, ქართულ ფილოსოფიაზეც უარყოფითად აისახა. ახალ დროში ცალკეული ქართველი მოაზროვნეების ძალისხმევის მიუხედავად, სრულყოფილად ვერ მოხერხდა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში გაჩენილი ხარვეზების შევსება და ევროპული ფილოსოფიის კონტექსტში სრულფასოვნად ჩართვა. მხოლოდ პირველი ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების ჟამს (1918 წელს) გახდა შესაძლებელი ქვეყანაში პროფესიული ფილოსოფიური სკოლის შექმნა. ამ საქმის აღმსრულებლებად მოგვევლინნენ, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში განსწავლული, პირველი თაობის ქართველი ფილოსოფოსები: შ. ნუცუბიძე (1888-1969), ს. დანელია (1887-1963), მ. გოგიბერიძე (1897-1949), კ. კაპანელი (1889-1952), კ. ბაქრაძე (1898-1970). სწორედ ამ პლეადის ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ბერგსონის ფილოსოფიის პირველი ქართველი მკვლევარი, დიმიტრი უზნაძე. მოგვიანებით დიმიტრი უზნაძე საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ცნობილი გახდა, როგორც ავტორი ორიგინალური ზოგადფსიქოლოგიური თეორიისა, რომელიც განწყობის ფსიქოლოგიის სახელითაა ცნობილი. ფსიქოლოგიის სფეროში ამ მნიშვნელოვან აღმოჩენას წინ უძღოდა დ. უზნაძის არანაკლებ ნაყოფიერი და საინტერესო ძიებები ფილოსოფიაში.

დ. უზნაძე ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას ლაიფციგის უნივერსიტეტში ცნობილი მეცნიერის, ვილჰელმ ვუნდტის (1832-1920) ხელმძღვანელობით ეუფლებოდა. უზნაძის მიერ ლაიბნიცის ფილოსოფიის ცალკეული საკითხების შესახებ შესრულებული პირველი ნაშრომი ლაიფციგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს პრემიით აღინიშნა. უზნაძემ 1909 წელს ჰალეს უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ვლადიმერ სოლოვიოვი - მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა“. ეს ნაშრომი იმავე წელს გერმანიაში წიგნად გამოიცა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, უზნაძემ თბილისის უნივერსიტეტში დააარსა ფსიქოლოგიის კათედრა და კვლევითი ლაბორატორია. პარალელურად იგი აქვეყნებდა შრომებს სხვადასხვა ფილოსოფიურ თემაზე (მაგ: „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი,“ „რა არის შემეცნების თეორია,“ „ცხოვრების რაობა,“ „ომის ფილოსოფია,“ „ორგანული მსოფლმხვედველობა“ და სხვა). გამოკვლევა „ანრი ბერგსონი“ დიმიტრი უზნაძის ბოლო ფილოსოფიური შრომაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გამოკვლევა ქართული სამეცნიერო ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან მრავალსაუკუნოვანი იძულებითი იზოლაციის შემდეგ, ქართული ფილოსოფიური აზრი კვლავ დაუბრუნდა ევროპული ფილოსოფიის წიაღს და იმავე თემატიკის ათვისება-დამუშავებას მიჰყო ხელი, რაც თანადროულ ევროპულ ფილოსოფიას აღელვებდა. ამ გამოკვლევის შემდეგ დ. უზნაძეს წმინდად ფილოსოფიური ხასიათის სხვა შრომა აღარ გამოუქვეყნებია. 1921 წელს საქართველო ბოლშევიკური რუსეთის მიერ იქნა ოკუპირებული და მარქსიზმი სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადდა. უზნაძეს მარქსიზმი მხოლოდ ეკონომიკურ თეორიად მიაჩნდა და მისი ფილოსოფიური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა არადამაჯერებლად ესახებოდა (თევზაძე 2003,148). სავარაუდოდ, ამით უნდა იყოს განპირობებული ის ფაქტი, რომ ამ დროიდან

მოყოლებული უზნაძის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები მთლიანად ფსიქოლოგიის სფეროთი შემოისაზღვრა.

ბერგსონის შესახებ უზნაძის მონოგრაფია საინტერესოა არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ ის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის რეცეფციისა და ქართველი მოაზროვნეების საერთო ფილოსოფიურ პროცესში ჩართვის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტია. არანაკლებ საინტერესოა, თუ რა პოტენციალს შეიცავდა ბერგსონის უზნაძისეული რეკონსტრუქცია. მართალია, ისტორიულმა შემთხვევითობებმა (პოლიტიკური კატაკლიზმებისა თუ ენობრივი ბარიერების ჩათვლით) განაპირობა, რომ გასული საუკუნის დასაწყისში ქართველი მოაზროვნის მიერ განვითარებული ინტერპრეტაცია XX საუკუნეში ბერგსონის ფილოსოფიის გარშემო განვითარებული დისკუსიის მაგისტრალურ ხაზს მიღმა დარჩა, მაგრამ, ამის მიუხედავად, იმის გამოკვლევა, თუ რა შეიძლება შეეთავაზებინა ამ ინტერპრეტაციას აღნიშნული დისკუსიისთვის, სულ მცირე, ისტორიული ინტერესის საგანი მაინც არის. თუ სერიოზულად მივიღებთ ჟილ დელიოზის (1925-1995) მოწოდებას ბერგსონთან დაბრუნებისა და თანამედროვე ფილოსოფიისათვის მისი რელევანტურობის შესახებ (Deleuze 1991, 115-118), შეიძლება, რომ ასეთი გამოკვლევის მნიშვნელობა ისტორული ინტერესის ფარგლებსაც სცილდებოდეს.

აშკარაა, რომ დიმიტრი უზნაძის მიერ კვლევის საგნად ბერგსონის ფილოსოფიური თეორიის არჩევას არ განაპირობებდა მხოლოდ ამ ფრანგი მოაზროვნის საერთაშორისო აღიარება და მისი ცალკეული იდეებისადმი მთელს მსოფლიოში არსებული უჩვეულოდ დიდი ინტერესი (საინტერესო ფაქტია, რომ დაახლოებით იმავე პერიოდს ემთხვევა სიცოცხლის ფილოსოფიის გერმანელი წარმომადგენლის, ფრიდრიხ ნიცშეს ბუმი ევროპაში, მაგრამ ამ მოაზროვნეს თითქმის არ ახსენებს უზნაძე თავის შრომებში). ბერგსონიზმით ქართველი მოაზროვნის დაინტერესება უფრო ღრმა და შინაგან ფილოსოფიურ ინტენციას უნდა განეპირობებინა. ფილოსოფიის ისტორიის ცნობილი ქართველი მკვლევარი, გურამ თევზაძე (1932-2018) მიიჩნევს, რომ უზნაძისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ინტუიციონიზმი, როგორც დამოუკიდებელი ფილოსოფიური მიმდინარეობა (თევზაძე 2002, 51). შესაბამისად, უზნაძე იკვლევდა ინტუიციას, როგორც გონების მიღმა (ან გვერდით) არსებულ შემეცნებით უნარს, რომელსაც შესწევს ძალა თვისებრივი ნახტომი განახორციელოს საკვლევი ობიექტის შესწავლის პროცესში. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის ერთ-ერთი ინტერპრეტატორი და მისი შრომების რედაქტორი, ფსიქოლოგი შოთა ნადირაშვილი (1926-2011) კი წერს: უზნაძის „კრიტიკული მოსაზრებები ბერგსონის ინტუიტივიზმის წინააღმდეგ საფუძვლად დაედო მის მოძღვრებას განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ“ (ნადირაშვილი 2014, 6). ვფიქრობთ, აღნიშნული მოსაზრების დადასტურებას მკვლევარი ამ ორი თეორიის დეტალური შედარებითი ანალიზის გზით თუ შეძლებს. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ უზნაძის დაინტერესებას ბერგსონის ფილოსოფიით ყველაზე მეტად განაპირობებს ორივე ავტორისთვის დამახასიათებელი ანტიპოზიტივისტური განწყობილებები და, მექანიცისტური მსოფლმხედველობის საპირისპიროდ, ორგანული ფილოსოფიური თეორიის შექმნის სურვილი. აშკარაა, რომ უზნაძე, ბერგსონისა და ვლ. სოლოვიოვის (1853-1900) მსგავსად, თვლის, რომ ფილოსოფიამ უნდა აღიდგინოს თავისი

უფლებამოსილება მეტაფიზიკაზე, რადგან მსგავსი განმაზოგადებელი თეორიის გარეშე ფილოსოფია კარგავს თავის სპეციფიკას და ვერ პასუხობს მის მიმართ საზოგადოებაში გაჩენილ მოლოდინებს. ფრანგი ფილოსოფოსიც და მისი ქართველი მკვლევარიც ფიქრობენ, რომ თანამედროვე საბუნებისმეტყველო და ისტორიული ცოდნის სფეროში მოპოვებული შედეგები ამ მიზნის მიღწევისთვის ახალ შესაძლებლობებს აჩენს. შემთხვევითი არაა, რომ ბერგსონის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ფსიქიკური ცხოვრების კვლევის შედეგად მოპოვებული ახალი მონაცემები და მათი ინტერპრეტაცია მეტაფიზიკური თეორიისათვის საჭირო მიმართულებით. უზნაძეს, როგორც ფსიქოლოგიის საკითხებით სიღრმისეულად დაინტერესებულ მკვლევარს, ბერგსონის ნააზრევში განსაკუთრებით იზიდავს სულიერი ცხოვრების ცალკეული აქტების ახლებური ინტერპრეტაციის ეს მცდელობები.

მონოგრაფიის წინასიტყვაობაში უზნაძე ბერგსონს თანამედროვე ფილოსოფიის განსაკუთრებულად თვალსაჩინო მოვლენას უწოდებს და წერს: „იგი ორიგინალურია არა მარტო თავისი ფილოსოფიური აზროვნების სისტემატურ მიმდინარეობაში, ორიგინალურია იგი აგრეთვე არსებულ ფილოსოფიურ შეხედულებათა კრიტიკულ კვალიფიკაციაშიც“ (უზნაძე 1986, 5). უზნაძე იქვე დასძენს, რომ ბერგსონის ნაშრომებში, რომელშიც გამოსჭვივის ავტორის ცოცხალი ტემპერამენტი და მიმზიდველი თხრობის წესი, საზოგადოებამ ფილოსოფიის გამაცოცხლებელი ახალი სიო იგრძნო. ამიტომ მოექცა მისი თეორია ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

აღნიშნულის მიუხედავად, უზნაძის აზრით, იმ მრავალრიცხოვანი ლიტერატურის ნაკადში, რომელიც ბერგსონის ცალკეული იდეების საფუძვლიან კვლევას წარმოადგენს, ჯერაც არ მოიპოვება ისეთი გამოკვლევა, რომელშიც მთელი მისი ფილოსოფიური სისტემა უწყვეტ მთლიანობად იქნება წარმოდგენილი. „ჩემი ღრმა რწმენით, ძნელია, მეტს ვიტყვი, შეუძლებელია ფილოსოფიური სისტემის სათანადოდ გაგება, თუ რომ მისი მთავარი ძარღვი არ იქნება გაშიშვლებული, და აქედან - მთელი შენობა სისტემურად გამოყვანილი“, - აცხადებს უზნაძე (იქვე) და ბერგსონის ნააზრევთან მიმართებაში აღნიშნული ამოცანის განხორციელებას საკუთარი მონოგრაფიით ცდილობს.

ამრიგად, ქართველი მკვლევრის მიზანი უფრო შორსმიმავალია, ვიდრე ქართველი საზოგადოებისთვის ფრანგი ფილოსოფოსის ძირითადი იდეების გაცნობა. უზნაძის მიზანია ბერგსონის ფილოსოფიური შეხედულებების, როგორც ერთიანი სისტემის რეკონსტრუირება იმ მეთოდის საფუძველზე, რომელიც თავად ბერგსონის ფილოსოფიის თავისებურებას წარმოადგენს. ბერგსონის ფილოსოფიისთვის ასეთ საფუძვლად კი უზნაძეს ინტელექტის შესაძლებლობათა კრიტიკული ანალიზი და ინტუიციური გამოცდილებისთვის ახალი სარბიელის მიცემა ესახება. უზნაძე თვლის, რომ ბერგსონს თვითონ რომ ეცადა საკუთარი ფილოსოფიური ნააზრევის ერთ წიგნში სისტემურად დალაგება, ამას შემდეგი თემატური სქემის მიხედვით განახორციელებდა: 1. შემეცნების ტრადიციული ფორმების კრიტიკული ანალიზის შედეგად შემეცნების მეთოდის განსაზღვრა; 2. იმის გარკვევა, თუ რას და როგორ ადგენენ ინტელექტი და ინტუიცია გამოცდილების სფეროებთან (ცნობიერება, ნივთიერება, სიცოცხლე) მიმართებაში; 3. ინტუიციური წვდომის გზით გამოცდილების სამივე სფეროში მიღებული ცოდნის მეტაფიზიკური სინთეზის განხორციელების შესაძლებლობა; 4. გამოცდილების თითოეული ამ სფეროს გენეზისის დადგენა და 5.

გნოსეოლოგიური სინთეზის, როგორც საბოლოო შედეგის მიღწევა (უზნაძე 1986, 6). უზნაძე სწორედ ამ თანმიმდევრობით ცდილობს ბერგსონის ფილოსოფიური შეხედულებების სისტემაში მოყვანას. ნაშრომის ძირითადი ნაწილიც სწორედ ამ საკითხების შესახებ ბერგსონის მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტების დემონსტრირებას ეთმობა. ბერგსონისეული არგუმენტებისადმი საკუთრივ უზნაძის დამოკიდებულება კი ნაშრომის ბოლო ნაწილშია გადმოცემული ცალკეული კრიტიკული შენიშვნის სახით. უპრიანი იქნება, რომ ბერგსონის ნააზრევის შესახებ უზნაძის კრიტიკული მოსაზრებების ჩვენეულ ანალიზს ბერგსონის ფილოსოფიური სისტემის იმ რეკონსტრუქციის შეჯამება წაუმძღვაროთ, რომელსაც თავად უზნაძე იძლევა ნაშრომის პირველ თავებში.

ბერგსონის ფილოსოფიის უზნაძისეული სისტემატიზაცია

უზნაძე ბერგსონის ფილოსოფიური შეხედულებების სისტემატიზაციას იწყებს ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებებს შორის ურთიერთმიმართების შესახებ მისი თვალსაზრისის ანალიზით. იმჟამად, პოზიტივისტური მსოფლმხედველობის გავლენით, საკითხის შემდეგნაირი ხედვა იყო გავრცელებული: ითვლებოდა, რომ სინამდვილის კონკრეტულ სფეროებს სწავლობს შესაბამისი კერძო მეცნიერება (მაგ: არაცოცხალი ბუნების კანონზომიერებებს სწავლობს ფიზიკა ან ქიმია, სიცოცხლის ფენომენებს კი - ბიოლოგია და ფსიქოლოგია) და ემპირიული სინამდვილის უშუალო კვლევასთან ფილოსოფიას არაფერი ესაქმება. ფილოსოფიის ფუნქციად მეცნიერული შემეცნების საზღვრების, შემადგენლობისა და კანონების შესწავლა მიიჩნეოდა. ამგვარად, ფილოსოფიას შემეცნების თეორიის პრობლემათა გადაჭრა ევალებოდა და არა ობიექტური სინამდვილის უშუალო კვლევა-ძიება. ბერგსონის აზრით, ასეთი მიდგომა არასწორია და შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. საკვლევი ობიექტის შესწავლისას ყოველი მეცნიერება წინასწარ ნაგულისხმევ მეტაფიზიკურ და შემეცნების თეორიულ პოსტულატებს გულისხმობს; გამოდის, რომ ფილოსოფიას აიძულებენ მხოლოდ ის ნათელყოს, რაც მეცნიერებაში წინასწარ და შეუცნობლად არის მიღებული (უზნაძე 1986, 22). გარდა ამისა, ბერგსონის აზრით, სინამდვილის მთელ სფეროზე მეცნიერების უპირობო უფლებამოსილების გავრცელება კიდევ ერთ უკრიტიკოდ მიღებულ დაშვებას ემყარება, რომელიც გამოცდილების მთლიანობასა და შემეცნების ერთიანობას უეჭველ ფაქტად მიიჩნევს. რეალობა გვიჩვენებს, რომ მეცნიერების პრეტენზია, იყოს ჭეშმარიტების ერთადერთი დამდგენი, სინამდვილის ზოგიერთი სფეროს შესწავლისას კრახს განიცდის. ეს განსაკუთრებით აშკარაა სიცოცხლის ფენომენის შესწავლისას (უზნაძე 1986, 23). ბერგსონი ფიქრობს, რომ ფილოსოფიის უფლებამოსილება შეიზღუდა, მაგრამ მეცნიერებაც უძლური აღმოჩნდა მთლიანი სინამდვილის შესწავლის პროცესში. მეცნიერების დებულებებიც არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი ბუნებისა ყოფილა. მეცნიერება ინტელექტის პირმშოა. ინტელექტი ცნებითი აზროვნებაა; ცნება წარმოდგენების საფუძველზე აღმოცენდება, წარმოდგენებს კი განცდა უდევს საფუძვლად. ამიტომ, ინტელექტის ჭეშმარიტი ბუნების გასარკვევად აუცილებელია განცდის, წარმოდგენისა და ზოგადი იდეების (ცნებების) არსში გარკვევა.

გავრცელებული აზრი, რომ გარემომცველი სინამდვილე ადამიანური შემეცნების საგნად მხოლოდ იმდენად შეიძლება იქცეს, რამდენადაც მას ადამიანზე ზემოქმედების გზით განცდის წარმოშობა შეუძლია, ბერგსონისთვის ნაკლებ დამაჯერებელია და დაზუსტებას საჭიროებს. ბერგსონი ცდილობს ახსნას, თუ როგორაა შესაძლებელი, გარე გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად, ორგანიზმში წარმოქმნილი ფიზიოლოგიური პროცესის ფსიქიკურ მოვლენად გარდაქმნა. საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, რომ ადამიანის ტვინი შემეცნების ერთადერთი ორგანოა. ბერგსონი კი თვლის, რომ ცოცხალი მატერიის უმარტივესი ფორმებიდან დაწყებული და ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე რთული ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლით დამთავრებული, ყველაფერი საპირისპიროზე მეტყველებს - ტვინს შემეცნებასთან ასეთი პირდაპირი კავშირი არ გააჩნია. როგორც ხერხემლის, ისე თავის ტვინი მიღებული შთაბეჭდილების შესაბამისი მოძრაობის მომზადებას ემსახურება, მაგრამ თავად შთაბეჭდილების განცდა მათში არ ჩნდება (უზნაძე 1986, 26). ბერგსონის აზრით, განცდა სამყაროში არსებული საყოველთაო პროცესია; სამყაროს რომელი ადგილი ან საგანი არ უნდა ავიღოთ, ყველგან მთელი სინამდვილის გავლენას ვნახავთ თავმოყრილს. განცდა, როგორც საყოველთაო მოვლენა, გულისხმობს თითოეული ფენომენის მიერ მთელი სინამდვილის არაცნობიერი განცდის ქონას. რადგან ეს განცდა საყოველთაო და არაცნობიერია, ბერგსონის აზრით, ის უნდა ვაღიაროთ, როგორც ფაქტი, რომელსაც ახსნა არ ესაჭიროება (უზნაძე 1986, 27).

ეს საყოველთაო მოვლენა ადამიანურ განცდად გადაქცევისას ცნობიერ ხასიათს იძენს. ადამიანი სინამდვილის მრავალფეროვნებიდან მხოლოდ ნაწილს აქცევს განიცდის ობიექტად. ადამიანური განცდა ცნობიერი ბუნების ფენომენია, რომელსაც თავის ობიექტად სინამდვილის ლოკალური ფრაგმენტი აქვს შერჩეული. გამოდის, რომ არაორგანული სამყარო მთელი სინამდვილის პასიური ზემოქმედების ობიექტია; მატერია ამ ზემოქმედებას არაცნობიერად ემორჩილება. ცოცხალი ორგანიზმები კი სამყაროს ზემოქმედებას საკუთარ აქტივობას უპირისპირებენ და მის მოქმედებას სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაბამისად წარმართავენ. სადაც ცოცხალი ორგანიზმის თავის ტვინი უფრო განვითარებულია, სამყაროს ზემოქმედებაზე საპასუხო რეაქციაც უფრო მრავალმხრივი, თავისუფალი და დამოუკიდებელია. განცდა და ტვინში მიმდინარე ცვლილებები ერთმანეთს ეთანხმება, მაგრამ მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არ არსებობს. ტვინი მხოლოდ მოძრაობის ორგანოა და შეუძლებელია მასში განცდა წარმოიშვას. განცდასა და ტვინს შორის თუ მაინც შეინიშნება შესაბამისობა, ეს იმიტომ, რომ ორივე მათგანი საერთო მიზეზიდანაა წარმოშობილი (უზნაძე 1986, 30). რამდენადაც მრავალმხრივია ცოცხალი ორგანიზმის ზემოქმედების უნარი, იმდენად მეტად ცნობიერი და სრულია განცდა. ადამიანი გარეშე ობიექტს იმის მიხედვით აქცევს რეაქციის საგნად, თუ რამდენად საინტერესოა მისთვის ის. გამოდის, რომ განცდა საგნის მხოლოდ იმ მხარეს შეეფერება, რომელიც ჩვენს პრაქტიკულ მოთხოვნილებას აინტერესებს. ბერგსონისთვის წარმოდგენაც განცდის ჯგუფის მოვლენაა. წარმოდგენის შინაარსი ვერ იქნება სინამდვილის მთელი მრავალფეროვნება, არამედ მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო რომელიმე ნაწილი ჩვენი განცდისა (უზნაძე 1986, 31). ასე აჯამებს უზნაძე ბერგსონის შეხედულებას ცნობიერი განცდისა და წარმოდგენის გენეზისის თაობაზე.

უზნაძე განიხილავს ბერგსონის თვალსაზრისს ზოგადი იდეების გენეზისის შესახებ. ადამიანი შემეცნებას ზოგადი იდეების მეშვეობით ახორციელებს. ამიტომ, ბერგსონისათვის იდეათა გენეზისის პრობლემა მნიშვნელოვანია როგორც ფსიქოლოგიის, ასევე გნოსეოლოგიური თვალსაზრისით. ის აფასებს ზოგადი იდეების წარმოშობის შესახებ იმ დროს გავლენიან ორ ძირითად თეორიას - ნომინალიზმსა და კონცეპტუალიზმს - და ორივეს არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. ორივე თეორია კონკრეტული საგნის განცდის ფაქტიდან ამოდის. ნომინალიზმის მიხედვით, მსგავს საგანთა შეჯგუფების გზით იქმნება ზოგადი იდეა, კონცეპტუალიზმის მიხედვით კი, ეს საგანთა თვისებების ანალიზის გზით მიიღწევა. შესაბამისად, კონცეპტუალიზმის მიხედვით, განზოგადებისთვის აუცილებელი წინაპირობაა განყენება (აბსტრაქცია), ნომინალიზმი კი განყენების წინაპირობად განზოგადებას მიიჩნევს. ბერგსონი ამტკიცებს, რომ ორივე თეორია მოჯადოებულ წრეშია მოქცეული, ვინაიდან განყენება მართლაც გულისხმობს წინაპირობად განზოგადებას, მაგრამ თავად განზოგადება შეუძლებელია განყენების გარეშე (უზნაძე 1986, 32).

უზნაძე ამ პრობლემის გადაჭრის ბერგსონისეულ ვარიანტს ამგვარად წარმოადგენს: ჩიხის გამომწვევ მთავარ შეცდომად ბერგსონს ორივე კონცეფციის ამოსავალი პუნქტი - ზოგადი იდეების გენეზისის ინდივიდუალურ საგანთა განცდით დაწყება - მიაჩნია. სიმართლე კი ისაა, რომ განცდა არასოდეს იწყება ინდივიდუალური საგნებით. განცდას პრაქტიკული გენეზისი აქვს და მას სინამდვილიდან მხოლოდ ის აინტერესებს, რაც მოთხოვნილებასთან არის კავშირში. მას არ აინტერესებს საგნების ინდივიდუალობა, არამედ აინტერესებს ის, რაც მათში საერთოა და პრაქტიკული თვალსაზრისითაა ღირებული. განცდის უშუალო შინაარსს ეს საერთო შეადგენს. ასეთი საერთოს უშუალო განცდა კი სრულიად არ საჭიროებს აბსტრაქციას - იმ მიზეზის გამო, რომ სხვა ყველაფერი ისედაც განცდის მიღმა რჩება. „სწორედ ეს ზერელედ განსხვავებულ ზემოქმედებათა საპასუხო რეაქციის იგივეობაა ის ჩანასახი, რომელსაც ადამიანის ცნობიერება ზოგად იდეებად ავითარებს“ - იმოწმებს უზნაძე ბერგსონის სიტყვებს „მატერია და მეხსიერებიდან“ (Bergson 1991, 160). ამრიგად, უზნაძის მიხედვით, ბერგსონისათვის ზოგადი იდეების წარმოშობის ახსნა გულისხმობს, რომ პირვანდელი განცდის საგანი თვითონ ზოგადია და არა ინდივიდუალური საგანი, თავის განუმეორებლობასა და ერთადერთობაში. ამასთან იმას, რომ ზოგადი იდეების გენეზისი პრაქტიკულია, მნიშნელოვანი შედეგები აქვს მათი შემეცნებითი ღირებულების მხრივაც.

აღმოჩნდა, რომ ინტელექტუალური შემეცნებისთვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი ინტელექტის პრაქტიკული ბუნებითაა განსაზღვრული. ინტელექტი ადამიანის, როგორც მწარმოებელი სუბიექტის, პრაქტიკული ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება. ეს კი აუცილებლობით განაპირობებს იმას, რომ ინტელექტს აინტერესებს მხოლოდ უძრავი, უსასრულოდ დანაწევრებადი, მატერიალური სხეულები, რომელთაც უცვლის ფორმას და წარმოებისთვის იყენებს. სწორედ ამიტომ, ინტელექტს და მეცნიერებას (რომელიც ინტელექტის პროდუქტია) არა მთელი თავისთავადი სინამდვილის, არამედ მხოლოდ არაორგანული ბუნების შემეცნების უნარი აქვს (უზნაძე 1986, 36).

ამრიგად, ბერგსონის თანახმად, ინტელექტის პრაქტიკული ინტერესით განპირობებულობა გამორიცხავს მის მიერ სინამდვილის ჭეშმარიტი შემეცნების შესაძლებლობას. გონებას მხოლოდ სინამდვილის ცალკეული ასპექტების

გაგება ძალუძს, მაგრამ არამც და არამც - მთელი სინამდვილის. გონება სიცოცხლის ევოლუციის სრულყოფილ ხედვას მხოლოდ მაშინ შეძლებდა, სინამდვილის დაუინტერესებელი მჭვრეტელი რომ ყოფილიყო და პრაქტიკული ინტერესების სფეროდან ამორთვა შესძლებოდა. ინტელექტს, როგორც პრაქტიკული საქმიანობის ორგანოს, თეორიის შესაქმნელად საჭირო ძალა არ შესწევს. გონებას აინტერესებს მყარი კაუზალური მიმართებები და განმეორებადი კავშირები. გონების ცნებითი აპარატი მხოლოდ უმოქმედო და სტატიკური ფორმების აღსაწერად შეიძლება გამოდგეს. ამდენად, გონებისთვის სრულიად მიუწვდომელია მატერიის მიღმური სამყარო, ანუ სიცოცხლე, რომელიც მუდმივი შემოქმედებითი ქმნადობისა და უწყვეტი ევოლუციური განვითარების სფეროა (უზნაძე 1986, 37).

სამყაროში მოძრაობის ორი ფორმა - მექანიკური მოძრაობა და შემოქმედებითი ევოლუცია - არსებობს. მოძრაობის პირველი ფორმა მატერიალური სინამდვილის სფეროთი შემოიფარგლება, მეორე კი საყოველთაო ხასიათისაა და მის ზემოქმედებას სხვადასხვა ინტენსიურობით ექვემდებარება სინამდვილის ყველა ფენომენი, განსაკუთრებით, ორგანული სამყარო. გონება უძლურია ჩასწვდეს მოძრაობის ნამდვილ არსს. გონებას არ შეუძლია მოძრაობის გამოთქმა, რადგან იგი მოძრაობას, როგორც სამყაროში უწყვეტად მიმდინარე პროცესს, ცალკეული უძრავი წერტილების მექანიკურ ერთიანობად აღწერს. უძრაობათა ჯამი კი მოძრაობის, როგორც პროცესის, გამოსახატად სრულიად გამოუსადეგარია. ჯერ კიდევ ძენონი შენიშნავდა, რომ უძრაობათა ჯამი არ გვაძლევს მოძრაობას (უზნაძე 1986, 95). ბერგსონი იზიარებს ამ თვალსაზრისს და ფიქრობს, რომ კინემატოგრაფიაში უძრავი კადრების მონაცვლეობის მსგავსად, გონებასაც მოძრაობის მხოლოდ მოჩვენებითი გამოხატვა შეუძლია (უზნაძე 1986, 137). შემოქმედებითი ევოლუცია, როგორც უწყვეტი მოძრაობა, ისეთი მთლიანობაა, რომელიც ცალკეულ მომენტებად არ ნაწილდება. სიცოცხლის ევოლუცია მხოლოდ სივრცეში გაშლა კი არ არის, არამედ დროში განვითარება და განვრცობაა. შემოქმედებითი ევოლუციის ერთიანი პროცესის მომენტებად დაშლა მისი მოსპობა იქნებოდა, რაც ყოვლად წარმოუდგენელია.

ბერგსონი ამტკიცებს, რომ ევოლუციის პროცესს ხანიერება (durée), ანუ დროულობა ახასიათებს; ამიტომ, შემოქმედებითი ევოლუციის ძირითადი ფორმა დროა და არა სივრცე. ინტელექტი დროის გაგებას სივრცული მიმართების აღწერისათვის გამოსადეგი სქემებით ცდილობს, რაც შეცდომაა და გამორიცხავს გონების მიერ სულიერი ცხოვრების უწყვეტი ქმნადობისა და ნების თავისუფლების გაგების ყოველგვარ შესაძლებლობას. დროულობა, როგორც შემოქმედებითი ცვლილება, ისეთი უწყვეტობაა, რომლის არცერთი ცალკეული მომენტი არ მეორდება. ბერგსონი თვლის, რომ დიდ შეცდომას უშვებდა ყველა, ვინც შეგრძნებათა სამყაროს ახსნას რაოდენობრივი ცვლილების მეშვეობით ცდილობდა. კიდევ უფრო დიდ შეცდომას უშვებს გონება ადამიანის მოქმედებისა და ნების თავისუფლების ახსნის დროს. ბერგსონის აზრით, ნების თავისუფლების ასახსნელად შექმნილი დეტერმინისტული და ინდეტერმინისტული თეორიები ერთნაირად მიუღებელია, რადგან ისინი თავისუფლების გაგებას შესაძლებლობების ერთგვაროვნების ან მრავალგვაროვნების დაშვებით ცდილობენ. ორივე თეორიაში თავისუფლების აქტის განხორციელების ან განუხორციელებლობის შესაძლებლობის გამოთვლადობა წინასწარაა

ნაგულისხმევი, როგორც უეჭველი ფაქტი. გამოდის, რომ ორივე თეორიას თავისუფლება მიაჩნია განსაზღვრულად, მაშინ, როცა შეუძლებელია თავისუფალი ნების აქტის ყოველგვარი დამაჯერებელი განსაზღვრება და აღწერა გონების მიერ შემუშავებული ცნებითი აპარატის მეშვეობით (უზნაძე 1986, 73).

უზნაძე მიიჩნევს, რომ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს, ინტელექტუალური შემეცნების ფორმების ბერგსონისეული კრიტიკა და გონების შეზღუდულობის მტკიცება მიზნად ისახავს შემეცნების სფეროში აგნოსტიციზმის ან სკეპტიციზმის გამართლებას. ბერგსონი, უძნაძის აზრით, უარყოფს როგორც გონების აბსოლუტიზაციას, ასევე, სკეპტიციზმს და ნიადაგს უმზადებს სინამდვილის წვდომის ინტუიციურ მოდელს, როგორც ცოდნის სრულყოფილებამდე გაფართოების ახალ შესაძლებლობას. გონება არაა შემეცნების ერთადერთი იარაღი. გონების შესაძლებლობათა შემოფარგვლის მიზანია შემეცნების ახალი, განსხვავებული უნარისთვის გზის გაკაფვა. ეს უნარი კი ინტუიციაა.

ბერგსონისეული ინტუიციის არსი კი უზნაძეს ასე ესმის: როგორც უკვე ვნახეთ, გონების მეშვეობით დგინდება მატერიის უცვლელი კანონზომიერებები და შესაძლებელი ხდება მატერიალური სინამდვილის ცალკეული საგნებისთვის ისეთი ფორმის მიცემა, რომელიც მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს შექმნის სასიცოცხლო ინტერესების რეალიზებისთვის. თავად სიცოცხლეს კი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის წვდომისა და საკუთარი შემოქმედებითი მისწრაფებების შეცნობის სურვილი ამოძრავებს. ამ საქმეში მას გონება ვერ გაუწევს სამსახურს. სიცოცხლის სწრაფვას საამისოდ სხვა უნარი გააჩნია; ესაა ინტუიცია. ინტელექტისაგან განსხვავებით, ინტუიცია წარმოადგენს მზერის მიმართვას საკუთარი თავისაკენ, ანუ სიცოცხლისაკენ. ინტუიცია, როგორც სიცოცხლის თვითწვდომა, არის თანაგანცდა, რომლის მიზანია შეავსოს ინტელექტისათვის დამახასიათებელი - სიცოცხლის ბუნებრივ ვერგაგებით გამოწვეული - ნაკლოვანება.

ინტუიცია უჩვენებს, რომ მატერიისგან განსხვავებით, სიცოცხლე არის სწრაფვა თავისუფალი შემოქმედებისაკენ. ამიტომ, იგი ხასიათდება, როგორც ხანიერება (durée). მატერიის არსებობის ფორმა არის ვრცეულობა, ანუ მისი ელემენტების სივრცეში თანაარსებობა. ფიზიკური დროის ფაზები, სივრცის წერტილების მსგავსად, ერთად და ერთბაშადაა მოცემული. მატერიალური საგნის მდგომარეობებს შორის აუცილებელი კავშირია, იმ აზრით, რომ ერთი მდგომარეობის მოცემულობასთან ერთად მოცემულია მთელი დანარჩენი მდგომარეობებიც. ამ ფაქტს ფიზიკურ ხდომილებათა კაუზალური დეტერმინიზმი შეიძლება ვუწოდოთ (უზნაძე 1986, 63). სივრცის ეს თვისებები უკრიტიკოდ ვრცელდება ფიზიკურ დროზეც. ეს არის სივრცის გავლენით შემუშავებული არასწორი გაგება დროის ფენომენისა. ბერგსონის მიხედვით, ამგვარად გააზრებულ დროში შეუძლებელია შეიქმნას ნამდვილი აზრით რაიმე ახალი.

სიცოცხლის არსებობის უნივერსალური ფორმა კი სწორედ დროა, როგორც მარადიული შემოქმედებითი ცვალებადობა და გარდაქმნა. სულიერი ცხოვრების პროცესში სხვადასხვა მდგომარეობები ერთმანეთში მონაწილეობენ და ერთმანეთს მსჭვალავენ; სულის ყოველი მომენტი, მეხსიერების ძალით, შეიცავს წარსულს, ხოლო უსასრულო შესაძლებლობათა რეალიზაციის ძალით - მომავალს.“თუ ჩვენი სულიერი ცხოვრებისათვის აქტთა გარემდებარეობა არ არსებობს; თუ ჩვენი ცნობიერების ცხოვრება უწყვეტი დინამიკური და სოლიდარული მიმდინარეობაა, რომელმაც ურთიერთს დაპირისპირებული,

დასრულებული აქტების არსებობის არა იცის რა, მაშინ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება, ითქვას, რომ ერთი აქტი ან დამოკიდებულია მეორეზე, ანდა დამოუკიდებელი. ნების თავისუფლება, ამ აზრით, სულიერ მოვლენათა მშობიარობის თავისუფლებაა, და მეტი არაფერი. იგი ფაქტია ისე, როგორც ფაქტია თვით სულიერი ცხოვრების პროცესი"- აცხადებს უზნაძე ბერგსონის განაზრებათა საფუძველზე (უზნაძე 1986, 93-94). სულის ყოველი მოძრაობა წარსულის უწყვეტი შემონახვა და გაგრძელებაა აწმყოში. ეს, ბერგსონის მიხედვით, ეხება არა მხოლოდ ადამიანურ ცნობიერებას, არამედ სიცოცხლეს საერთოდ. სიცოცხლის დრო, ფიზიკური დროისაგან განსხვავებით, აწმყოს, მომავლის და წარსულის უწყვეტობაა და, ამ აზრით, იგი შეუქცევადია. დიმიტრი უზნაძე ბერგსონის მიერ აღწერილ ამ ფენომენს თარგმნის, როგორც „ხანიერებას".

ინტუიცია თავისთავადი სინამდვილის შემეცნების გაფართოების ერთადერთი შესაძლებლობაა; მხოლოდ ინტუიციის წყალობით ახერხებს სიცოცხლე საკუთარი არსისა და მიზნების წვდომას. მაგრამ თავად ინტუიციური პროცესის განხორციელებისა და მისი შედეგების აღწერისას გონების მიერ შექმნილი ცნებითი აპარატი ბევრს ვერაფერს გვეუბნება. ამის გამო, ინტუიციის პოზიტიური განსაზღვრება თითქოს გადაულახავ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ინტელექტუალური განსჯის იარაღი უძლურია ინტუიციის აღწერისას. ამიტომ, უზნაძეც, ბერგსონის მსგავსად, ამ ფენომენზე მსჯელობისას მხატვრულ-მეტაფორული ანალოგიების მოშველიებით ცდილობს გასაგები გახადოს, თუ რა ფენომენთან გვაქვს საქმე. ინტუიცია ჩასაქრობად გამზადებული ლამპარისთვის დამახასიათებელი უეცარი აალების მსგავსი მოვლენაა, რომელიც უკუნეთი სიბნელით მოცულ გარემოს, ძლიერი გამონათების წყალობით, სინათლის შუქს მოჰფენს.

მიუხედავად იმისა, რომ ინტუიციას საკუთარი გამოხატვის მექანიზმი არ გააჩნია, ბერგსონი მაინც ცდილობს მის შესახებ გარკვეული პოზიტიური შინაარსების ჩამოყალიბებას. ირკვევა, რომ ადამიანი, როგორც ინტელექტუალური არსება, იარაღის შექმნით ცდილობს გარემოსთან შეგუებას, ცხოველი კი გარემოსთან შესაგუებლად იმთავითვე ფლობს ინსტინქტს. ინტელექტი ცნობიერია, ინსტინქტი - არა. ცნობიერება გულისხმობს არჩევანის შესაძლებლობას, ინსტინქტს კი არაფერი აქვს საერთო არჩევანთან. ინტელექტი სიცოცხლის ბუნებრივი არგაგებაა, მაგრამ ინსტინქტიც ვერ ახერხებს ამას, რადგან უმთავრესად ისიც გარეგანზეა მიმართული. სიცოცხლის თვითწვდომის აქტის განსახორციელებლად ინსტინქტი ინტუიციამდე უნდა ამაღლდეს. „ინსტინქტი, რომელსაც არ ექნებოდა პრაქტიკული ინტერესი, რომელიც თავისი თავის მიმართ ცნობიერი იქნებოდა, რომელსაც უნარი ექნებოდა თავისი ობიექტის შესახებ აზროვნებისა და მისი დაუბოლოებადი გაფართოებისა, ასეთი ინსტინქტი ჩვენ თვით სიცოცხლის წიაღში შეგვიყვანდა" (Bergson 1944, 194.). ინტუიცია სიცოცხლის თანაგრძნობის აქტია. ინსტინქტისგან განსხვავებით, ინტუიცია შინაგანი სიმპათიის ფორმაა. თუ ინტელექტი სინამდვილის რაღაც ნაწილის ფარდობით ცოდნას გვაძლევს, ინტუიცია აბსოლუტურს სრულად სწვდება და ცხადჰყოფს. ამიტომაა, რომ ინტელექტს უჭირს ინტუიციის გაგება, ინტუიციას კი ინტელექტის წვდომა შეუძლია. ინტელექტი ქმნის მეცნიერებას, როგორც სინამდვილის ცალკეული ფრაგმენტების შესახებ ლოგიკური კონსტრუქციებით გამყარებულ ცოდნას, რომელიც კაუზალური ურთიერთმიმარ-

თებების აღწერას გულისხმობს. ინტუიცია კი, ახერხებს რა ჩასწვდეს სინამდვილეს თავის ორგანულ მთლიანობაში, მეტაფიზიკური თეორიის შემოქმედ ძალად გვევლინება. ფილოსოფიას მეტაფიზიკისკენ, როგორც მთლიანი სინამდვილის საერთო თეორიისკენ, ინტუიციამ უნდა გაუკვალოს გზა. მეტაფიზიკის საგანი სიცოცხლეა, რომლის წვდომაც ინტელექტის ცნებითი აპარატით შეუძლებელია. ამიტომ, ინტუიციის ცალკეული გამონათებები უფრო მეტს სძენს ფილოსოფიას, ვიდრე ინტელექტის მთელი მონაპოვარი (უზნაძე 1986, 42).

ბერგსონის ანტიინტელექტუალიზმი არ ნიშნავს ინტელექტის როლისა და მნიშვნელობის სრულ უარყოფას ცოდნის სისტემის რთულ და მრავალწახნაგოვან კონსტრუქციაში. ამ გარემოებას კარგად აცნობიერებს დიმიტრი უზნაძე, რომელიც, ბერგსონის გნოსეოლოგიური კონცეფციის გადმოცემისას, ყოველთვის ცდილობს წარმოაჩინოს ინტელექტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებული ის ცხადი თუ შეფარული მომენტები, რომელიც ფრანგი მოაზროვნის თეორიაში იჩენს თავს. აშკარაა, რომ ბერგსონის შემეცნების თეორია უზნაძეს ესმის, როგორც ინტელექტუალური შემეცნების პროცესისთვის დამახასიათებელი შეზღუდვების დასაძლევად საჭირო ახალი გზების ძიებისაკენ მოწოდება და არა - როგორც გონების როლისა და მნიშვენელობის საბოლოოდ უარმყოფელი გნოსეოლოგიური თეორიის შექმნის მცდელობა.

უზნაძის მიერ ბერგსონის გნოსეოლოგიის შეფასება

უზნაძე აღიარებს გნოსეოლოგიის სფეროში ბერგსონიზმის რეფორმატორული მიდგომის სამართლიანობას; იგი წერს: „თუ წინათ ინტელექტის შემეცნებითი ძალების რწმენაში ეჭვი არავის შეჰქონდა, თუ საპრობლემოდ მხოლოდ ინტელექტის სათანადო ხმარების საკითხი იყო მიჩნეული, ბერგსონმა თავისი კრიტიკა იმ ძირითადი პოსტულატების გასაშუქებლად და შესაფასებლად აამოძრავა, რომელთაგანაც თვით ინტელექტის შემეცნებითი მუშაობის პროცესი გამომდინარეობს. ამ სახით, მის კრიტიკას უფრო ღრმა და შორსმისაწვდომი გასაქანი მიეცა. ამიტომ, შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბერგსონის ფილოსოფიური საქმე ახალ ეტაპს ქმნის ფილოსოფიურ-სამეცნიერო აზროვნების ისტორიაში“ (უზნაძე 1986, 184). ეს გარემოება ხელს არ უშლის ქართველ მკვლევარს იმ ცალკეული შეცდომისა და ბუნდოვანების მხილებაში, რომელიც ამ წამოწყების პროცესში იჩენს თავს. უზნაძის მიერ ბერგსონის შემეცნების თეორიის შეფასება ასე შეიძლება შევაჯამოთ:

1. თუ კანტმა მათემატიკური ცოდნის საფუძვლების ანალიზზე დაყრდნობით მეტაფიზიკური შემეცნების შესაძლებლობა უარყო, ბერგსონმა საბუნებისმეტყველო ცოდნის ახალი მონაპოვრების ინტერპრეტირების საფუძველზე მეტაფიზიკისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება სცადა. „უეჭველია, ფილოსოფია რომ ბერგსონის გზას დაადგეს, მისი კვლევა-ძიების სარბიელი მარტო შემეცნების თეორიით აღარ შემოიფარგლება, და მეტაფიზიკას კვლავ პატივი და ავტორიტეტი დაუბრუნდება. და რომ ფილოსოფია ბერგსონის გზას დაადგება, ეს აუცილებელია“ (უზნაძე 1986, 185).

2. ბერგსონი ინტელექტუალური შემეცნების ბუნების ანალიზის საფუძველზე ცდილობს აჩვენოს მისი შეუსაბამობა მეტაფიზიკასთან და ინტუიციის უპირატესობა ამ მიმართულებით. მაგრამ ინტელექტის თავისებურებების

გამოაშკარავება, ზოგადად, შემეცნების ამა თუ იმ უნარის შესაძლებლობათა ცოდნა, იმის გარკვევაში თუ დაგვეხმარება, სინამდვილის როგორი სურათი შეგვიძლია შევქმნათ მის საფუძველზე. ხოლო იმისთვის, რომ სინამდვილის მიმართ ასეთი სურათის ადეკვატურობაზე ვიმსჯელოთ, საჭიროა წინასწარ უკვე გვქონდეს ამ სინამდვილის „შეუმცდარი შემეცნება“ (უზნაძე 1986, 186). ამრიგად, ბერგსონის მიერ ინტელექტის მეტაფიზიკური ღირებულების უარყოფა უნდა ემყარებოდეს მეტაფიზიკური სინამდვილის წინასწარ ცოდნას. რა ფასი აქვს ისეთ მეტაფიზიკას, რომელიც ჩვენი შემეცნების კრიტიკას უსწრებს წინ?! შესაბამისად, ბერგსონის არგუმენტი ინტელექტის მეტაფიზიკური უნაყოფობის შესახებ, უზნაძის აზრით, წრიულია. „ბერგსონს, სანამ იგი ინტელექტის მეტაფიზიკური ღირებულების შესახებ იტყოდეს რაიმეს, პასუხი უკვე მზად აქვს, მზად აქვს იმიტომ, რომ მას ორი წინასწარ უკრიტიკოდ მიღებული მოტივი აქვს: ერთია იდეა მეტაფიზიკური შემეცნების შესაძლებლობისა, და მეორე - მეტაფიზიკური სინამდვილის უტყუარი ბუნების პრეზუმცია“ (იქვე).

ამ კრიტიკული შენიშვნის სახესხვაობა ან კონკრეტიზაციაა უზნაძის კრიტიკის მომდევნო სამი პუნქტიც:

3. მეტაფიზიკური სინამდვილისათვის ინტელექტის გამოუსადეგრობის დასაბუთებას ბერგსონი იმით ცდილობს, რომ ინტელექტს ზოგადისა და ფორმალურის შემეცნების იარაღად მიიჩნევს, ხოლო მეტაფიზიკურს ინდივიდუალურის სფეროდ აცხადებს. უზნაძე სვამს კითხვას: „საიდან იცის ბერგსონმა, რომ სინამდვილის მეტაფიზიკური არისათვის ზოგადი და ფორმალური მართლა ასე უცხოა? საიდან იცის მან, რომ სინამდვილის ამ სფეროს ინდივიდუალურობა ახასიათებს? უეჭველია, ეს მას კრიტიკის გზით არ მოუნახავს იმიტომ, რომ თვით მისი კრიტიკა მხოლოდ აქედან გამომდინარეობს“ (იქვე). ვინმეს, პლატონის მსგავსად, მეტაფიზიკური სინამდვილის სფერო ზოგადისა და ფორმალურისთვის რომ დაეკავშირებინა, მაშინ ასეთივე წარმატებით შეძლებდა ემტკიცებინა, რომ მეტაფიზიკური შემეცნების ერთადეთი ორგანო ინტელექტია და არა ინტუიცია. ამ უკანასკნელის შეცდომა ბერგსონის შეცდომაზე უფრო შეუწყნარებელი არაფრით იქნებოდა, აცხადებს უზნაძე.

4. ბერგსონი ინტელექტის შემეცნებითი მნიშვნელობის გარკვევას მისი ბიოლოგიური როლის გათვალისწინების გზით ცდილობს, რაც, უზნაძის აზრით, ასევე შეცდომაა, რადგან არ არსებობს პირდაპირი კავშირი ინტელექტის ბიოლოგიურ გენეზისსა და მის გნოსეოლოგიურ ღირებულებას შორის. ბერგსონის მიერ ინტელექტი ადამიანის პრაქტიკის ან წარმოების ორგანოდაა აღიარებული, საიდანაც მხოლოდ ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება, სახელდობრ იმისა, რომ ინტელექტუალურ აზროვნებას თავისი განსაკუთრებული თვისებები შეუმუშავდა. წმინდა თეორიული შემეცნებისთვის ინტელექტუალური აზროვნების თვისებების ვარგისიანობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ნათელი, თუ თეორიული შემეცნების ობიექტის ბუნება წინასწარ გვეცოდინებოდა. ბერგსონი ამბობს, რომ „მოქმედება შეუძლებელია არარეალურში წარმოებდესო, და თუ ამიტომ ინტელექტი ერთი მხრივ მაინც მატერიალური სინამდვილის შემეცნების იარაღად ითვლება, ამით განა უარყოფილი არ არის, თითქოს პრინციპულად შეუძლებელი იყოს, პრაქტიკის ორგანო ოდესმე სინამდვილის რაობის შემეცნების ორგანოდ ჩაითვალოს?“ (უზნაძე 1986, 187). ესეც რომ არ იყოს, თავად ბერგსონი აღიარებს, რომ ინტელექტუალურ შემეცნებას ყოველთვის განსაკუთრებული მისწრაფება და

პრეტენზია გააჩნდა მეტაფიზიკური სფეროს შემეცნებისა. „ეჭვი არ არის, რომ წმინდა შემეცნების მუშაობაში ინტელექტზე მეტად არცერთ ჩვენს სულიერ ძალას არ უვარჯიშია; მეცნიერებისა და ფილოსოფიის მთელი ისტორია საუკეთესო მოწმეა ამ გარემოებისა. მაშ, როგორ მოხდა, რომ ერთ შემთხვევაში ვარჯიშმა შესაფერისი უნარი განუვითარა ინტელექტს, მეორე შემთხვევაში - არავითარი?“ (უზნაძე 1986, 187). აღნიშნული შეუსაბამობიდან გამოსავალს ბერგსონი კვლავ მეტაფიზიკურის სფეროში ეძებს და ინტელექტის ობიექტს, ნივთიერებას, დადებითი რეალობის საწინააღმდეგო მიმდინარეობად აცხადებს. საიდან უნდა იცოდეს ბერგსონმა მეტაფიზიკური რეალობის განსხვავებული სფეროების შესახებ, თუკი ამ სფეროს შემეცნების შესაძლებლობის პრობლემა ჯერ კიდევ გაურკვეველია.

5. ბერგსონთან მეტაფიზიკა ინტუიციის სფეროა, რადგან ინტელექტისთვის, რომელიც მხოლოდ „მათემატიკურ წესრიგს“ სცნობს და სწავლობს, „სიცოცხლის წესრიგი“ მიუწვდომელი და შეუცნობელი რამაა. ინტუიცია ჩვენს ცოდნას მეტაფიზიკურის შესახებ ცოდნით ავსებს, რადგან ის სინამდვილის არსს სწვდება. მაგრამ როგორაა შესაძლებელი ამგვარი ცოდნის შინაარსის გადაცემა-გაზიარება ადამიანთა შორის? ბერგსონი ინტუიციის მონაპოვართა სხვისთვის გაზიარებას შესაძლებლად მიიჩნევს და ამ საქმეში ინტელექტის დახმარების აუცილებლობას აღიარებს; რაც იმის დაშვებას ნიშნავს, რომ ინტუიციის მონაპოვარმა დისკურსიული აზროვნების, ე.ი. ინტელექტის გამოცდას უნდა გაუძლოს. სხვაგვარად მეტაფიზიკის მიღება-არმიღება მხოლოდ ფილოსოფოსის პირად ნება-სურვილზე იქნებოდა დამოკიდებული და არა ობიექტური აუცილებლობით განსაზღვრული (უზნაძე 1986, 191).

ბერგსონის მეტაფიზიკური თეორია და მონიზმის საკითხის უზნაძისეული ანალიზი

უზნაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფრანგი მოაზროვნის მეტაფიზიკური თეორიის მნიშვნელოვან ასპექტებსაც, კერძოდ, ბერგსონის ონტოლოგიური კონცეფციის ანტიმექანისტურ და ანტიტელეოლოგისტურ ხასიათს და მონიზმის პრობლემას.

უზნაძის გამოკვლევაში აღნიშნული პრობლემის ანალიზს წინ უძღვის ბერგსონის მეტაფიზიკური კონცეფციის ვრცელი რეკონსტრუქცია, რომლის ძირითადი მომენტები მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ: სინამდვილე, ბერგსონის მიხედვით, ორი ძირითადი ტენდენციის სახით ვლინდება. ეს ტენდენციებია: სიცოცხლის სწრაფვა (élan vital) და მატერია. სამყაროს მატერიალური ელემენტი არასდროს არის სიცოცხლის სწრაფვისაგან სავსებით დაცლილი. სხვადასხვა სახის მატერიაში სიცოცხლის სწრაფვა სხვადასხვა ძალითაა გამოვლენილი: არაორგანულ მატერიაში სიცოცხლის სწრაფვა სუსტადაა გამომჟღავნებული. მცენარეთა სამყაროში მას ნაკლები გასაქანი აქვს, ვიდრე ცხოველებში, ხოლო ცხოველებში ნაკლები, ვიდრე გონიერ არსებათა სამყაროში, ანუ ადამიანებში. სიცოცხლის სწრაფვა არის სწრაფვა შემოქმედებითი ცვალებადობისკენ; სიცოცხლე თავის უმაღლეს გამოვლინებაში ცნობიერების აქტამდე მაღლდება.

მატერია ინერტულია თავისი ბუნებით და მისი უმთავრესი მახასიათებელია განფენილობა და სივრცის გარკვეულ მონაკვეთში ყოფნა. მატერიის შემადგენელ ელემენტებს გარკვეული ადგილი უკავიათ ერთმანეთის მიმართ. მატერიის ცვლილება სხვა არაფერია, თუ არა მისი ელემენტების მიერ ადგილის გადანაცვლება. მატერიალური სხეულის მოძრაობას და ცვლილებას გარეგანი ძალის ზემოქმედება იწვევს. ამასთან, გარემო პირობების ერთგვაროვნობის შემთხვევაში, მატერიალური სამყაროს კავშირები უცვლელად მეორდება, რადგან ეს კავშირები აუცილებელი ხასიათისაა; მატერიალური სინამდვილის ფაქტები და მოვლენები წინასწარგანსაზღვრული და დეტერმინირებულია, ანუ მოცემულია წარსულსა და აწმყოსთან ერთად, ისე, რომ არაფერი ხდება ნამდვილად ახალი. მაგრამ სინამდვილე, განხილული თავის მთლიანობაში, მხოლოდ მატერიალურით არ ამოიწურება. მასში მოქმედებს სიცოცხლის სწრაფვა, რომელიც მსჭვალავს ინერტულ მატერიას და მასალისა და ობიექტის სახით იყენებს მას. სიცოცხლის სწრაფვა გარდაქმნის მატერიას გაუთვალისწინებელი მიმართულებით და ახალ ფორმებს აძლევს მას. სიცოცხლის მოქმედება გამოიხატება მატერიალური სინამდვილის ფორმათა ცვლილებასა და გარდაქმნაში. სიცოცხლის არსია თავისუფალი მოქმედება, ანუ მატერიის მასალაზე ახალ ფორმათა მუდმივი ქმნადობა; სიცოცხლე შემოქმედებითი ევოლუციის უსასრულო პროცესია.

სიცოცხლის სწრაფვა, ბერგსონის მიხედვით, მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმებში არ ხორციელდება და არც მასთან ერთად წარმოშობილა; სიცოცხლის სწრაფვა იმთავითვე მოქმედებდა; არაცოცხალ ბუნებაში მისი მოქმედება შეზღუდულია. ცოცხალი ორგანიზმების წარმოქმნა იმის დასტურია, რომ სამყაროს მოძრაობა, თავის მთლიანობაში, სიცოცხლის სწრაფვით იყო განპირობებული და წარმართული. სიცოცხლის სწრაფვა მატერიის „განმასულიერებელი“ მარადიული საწყისია; მატერია კი სიცოცხლის სწრაფვისათვის არის ძალა, რომელიც მასთან შეთანხმებასა და შეგუებას მოითხოვს. უზნაძე სამართლიანად შენიშნავს ბერგსონის თეორაში პანთეისტური ტენდენციის არსებობას და ბერგსონის მეტაფიზიკის კავშირს ლაიბნიცის მონადოლოგიასთან (უზნაძე 1986, 28).

უზნაძის მონოგრაფიაში განსაკუთრებული მსჯელობის საგნადაა ქცეული ბერგსონის მეტაფიზიკის ანტიმექანისტური და ანტიტელეოლოგისტური ტენდენციები. ცალკეული თეორიის მიმდევრები ცდილობდნენ ცოცხალი ორგანიზმის გაგებას სხეულებრივ ნივთთან ანალოგიის გზით. ცოცხალი ორგანიზმი გარემო პირობებთან შეგუების პროცესში, თითქოს, სხეულებრივი ნივთის მსგავსად, მხოლოდ გარე ზემოქმედების ძალას ექვემდებარება; ფიქრობდნენ, რომ ცოცხალი ორგანიზმი სხვა არაფერი, თუ არა გარემო პირობებით დეტერმინირებული, მუდმივად განმეორებადი თვისებების ერთობლიობაა. ერთგვაროვან პირობებში ცოცხალი ორგანიზმი, თითქოს, მუდამ ერთგვაროვნად რეაგირებს; ამიტომ, მისი მომავალი სავსებით პროგნოზირებადია - ინტელექტს შესწევს ძალა სრული სიზუსტით განჭვრიტოს სიცოცხლის ყველა შემდგომი გამოვლინება თუ მდგომარეობა. მსგავსი თვალსაზრისი აღიარებს მთელი სინამდვილის, - მათ შორის ცოცხალი ორგანიზმების, - განსაზღვრულობას მხოლოდ მატერიალურ ელემენტთა გარეგანი ზემოქმედებით, რომელიც ზუსტ გამოთვლას ექვემდებარება. ბუნებრივია, რომ ბერგსონის მეტაფიზიკისთვის ეს მექანისტური თვალსაზრისი სრულიად მიუღებელია (უზნაძე 1986, 114-115).

არსებობს მეორე თვალსზრისიც - ტელეოლოგიზმი, ანუ მოძღვრება „საბოლოო მიზნების“ თაობაზე. ტელეოლოგიური თვალსაზრისის თანახმად, ყველაფერი, რასაც აკეთებს ან მომავალში გააკეთებს ცოცხალი არსება, განსაზღვრულია წინასწარმოცემული მიზნით. ტელეოლოგიზმი უგულებელყოფს სიცოცხლის სწრაფვისთვის დამახასიათებელ თავისუფლების ფაქტორს; ტელეოლოგიზმი არ აღიარებს, რომ სიცოცხლე არის ჭეშმარიტი ქმნადობა და მუდმივი „შემოქმედებითი ევოლუცია“. ბერგსონი ფიქრობს, რომ მცდარია სამუდამოდ დადგენილ „საბოლოო მიზნებზე“ ლაპარაკი; სიცოცხლე ერთი და იგივე „საბოლოო მიზნის“ გახორციელება კი არა, არამედ - მუდმივად ახალი მიზნების დადგენაა. სიცოცხლის მიმდინარე პროცესში გამოვლენილი მიზნები აუცილებლობით არ გამომდინარეობენ ძველი მიზნებიდან. სიცოცხლის პროცესი არის მიზანთა მარადიული ცვლა, შემოქმედებითი ევოლუციის უსასრულო პროცესი (უზნაძე, 1986, 110).

ბერგსონი თავისი მეტაფიზიკური თეორიით ცდილობს გადაჭრას ურთულესი და მარადიული პრობლემა სულისა და მატერიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ; ბუნებრივია, რომ ბერგსონის ნააზრევის ეს ასპექტი უზნაძის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ერთი შეხედვით, ბერგსონი მაინც ტრადიციული ფილოსოფიის დუალისტურ სქემაში რჩება, ოპერირებს რა ისეთი ბინარული დაპირისპირებებით, როგორებიცაა რაოდენობრივი და თვისებრივი განსხვავება, ხანიერება და ვრცეულობა, ინტელექტი და ინტუიცია, მეხსიერება-მოგონება და მეხსიერება-ჭვრეტა და ა.შ. ამის მიუხედავად, მისი გავლენიანი ინტერპრეტატორები ცდილობენ აჩვენონ ბერგსონის ფილოსოფიის საფუძვლადმდებარე მონიზმი. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ უზნაძე ერთ-ერთი ადრეული ინტერპრეტატორია, რომელიც საგანგებო ყურადღებას უთმობს ბერგსონის მონიზმის დასაბუთებას და უპირისპირდება თავის თანამედროვე ავტორებს, რომლებიც ბერგსონთან საბოლოოდ მაინც არარედუცირებად დუალიზმს ხედავდნენ.

გარდა ვრცელი მონოგრაფიისა, რომელიც უზნაძემ ბერგსონის ფილოსოფიას მიუძღვნა, ის ბერგსონის მონიზმის საკითხს ეხება 1921 გამოქვეყნებულ სტატიაში „ბერგსონის მონიზმი“. აქ უზნაძე ეკამათება სარვეპალი რადაკრიშნანს, სახელდობრ, მის 1917 წლის სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მართალია, ბერგსონის ფილოსოფია თავისი ძირითადი ტენდენციითა და თავისი განზრახულობით მონისტურია, მაგრამ მისი დეტალური არტიკულაცია მაინც ვერ აღწევს თავს დუალისტურ წინასწარდაშვებას (Radhakrishnan, 1917). რადაკრიშნანი თავის მტკიცებას იმაზე მითითებით ასაბუთებდა, რომ ბერგსონთან ევოლუციური პროცესის ახსნაში სოცოცხლის ძალასთან (élan vital) ერთად პოსტულირებულია განსხვავებული ფაქტორის - მატერიის - წინასწარი არსებობა, რომელიც არანაკლებ აუცილებელია ევოლუციური პროცესის როგორც დაწყების, ისე გაგრძელებისათვის; élan vital-ის აქტივობის აღძვრისათვის აუცილებელია წინააღმდეგობა, რომელსაც ის ინერტული მატერიის სახით ხვდება და რომელიც მის გარეშე არსებობს (იქვე, 329). უზნაძე აქვე ასევე ცდილობს გადააფასოს ალბერტ შტენბერგენის მოსაზრება, რომ ბერგსონის ფილოსოფიაში მკაფიო დუალისტური ტენდენცია იკვეთება (Steenbergen, 1909).

სახელდობრ, უზნაძე ამტკიცებს, რომ ბერგსონის ადრეული შრომები („Données immédiates dela conscience“ (1889) და „Matière at mémoire“ (1896)) მართლაც ქმნის დუალისტურის შთაბეჭდილებას - მათში „სივრცეს, მატერიასა

და სულს შორის გარდაუვალი უფსკრულია“ გამოკვეთილი და ეს წინააღმდეგობა არა შერიგებული, არამედ გამძაფრებული და გაღრმავებულია (უზნაძე 1986, 197). ამ წინააღმდეგობის შესუსტების პირველ ცდას ის „Evolution créatrice“-ში (1907) ხედავს, სადაც ბერგსონი, მისი აზრით, გამოცდილების საწინააღმდეგო პოლუსების „სინთეზურად შედუღებას“ ონტოლოგიური პრინციპის მეშვეობით ცდილობს. მაგრამ, მიუთითებს უზნაძე, აქაც ძალას ინარჩუნებს რადიკალური განსხვავება მატერიისა და სულის თვისებათა შორის: განფენილობა განუფენლობის, რაოდენობრიობა თვისებრიობის, აუცილებლობა და კანონზომიერება თავისუფლების საპირისპიროდ - რაც თითქოს ისევ რეალობის ორი პოლუსის ამარა უნდა გვტოვებდეს. ამ დუალიზმის გადალახვის გზა ბერგსონთან, უზნაძის აზრით, ორი დაპირისპირებული პრინციპის - სულისა და მატერიის - მესამესთან, ზეცნობიერებასთან დაკავშირებაზე გადის, რომელიც ორივეს საფუძვლად უდევს და ორივეს პირველწყაროდ გვევლინება (იქვე, 199). მაგრამ რეალობის ასეთი ერთი დასაბამი პრინციპის პოსტულირება ჯერ კიდევ არ არის დუალიზმიდან თავის დაღწევის გარანტია, რადგან ზეცნობიერების ევოლუციაში გაშლის შესაძლებლობის პირობას, ბერგსონის კონცეფციის მიხედვით, მაინც წარმოადგენს დამაბრკოლებელი წინააღმდეგობა მატერიასა და სულს შორის. უზნაძე ეთანხმება რადაკრიშნანს იმაში, რომ გაუგებარია, რატომ უნდა საჭიროებდეს ამ პლანეტაზე ცხოვრების ევოლუცია ამ დამაბრკოლებელ წინააღმდეგობას, თუკი ზეცნობიერებას შეუძლია ყოველგვარი უცხო ძალის, მისგან დამოუკიდებელი დამაბრკოლებელი მედიუმის არსებობის გარეშე აღმოაცენოს ცხოვრებისა თუ მატერიის ცალკეული ტოტები თავისი ევოლუციის მსვლელობაში (იქვე). სწორედ ეს მომენტია, უზნაძის აზრით, ის, რაც ბერგსონის კრიტიკოსებს საფუძველს აძლევს, მასთან აშკარა დუალისტური მიდრეკილება დაინახონ.

თუმცა, უზნაძეს მიაჩნია, რომ ასეთი ინტერპრეტაცია ბერგსონის აზროვნების ძირითადი ტენდენციის, ან, როგორც სხვაგან უწოდებს, „მისი მთავარი ძარღვის“ გაუთვალისწინებლობის შედეგია. სახელდობრ, ამ ინტერპრეტაციაში მატერია თავისი არსებით ჰომოგენური სივრცის, გარკვეული და მკაფიო საგნობრიობის სახითაა წარმოდგენილი. მაგრამ მატერიის ასე წარმოდგენა ხომ ბერგსონისთვის მხოლოდ ინტელექტის ოპერაციების ნაყოფია. თუ მატერიას ინტუიციის მეშვეობით გავიგებთ, დავინახავთ, რომ ის ბოლომდე არასოდეს არ იფარება ჰომოგენური სივრცით - წმინდა სივრცობრიობა, გარკვეულობა და საგნობრიობა მხოლოდ მიმართულებას, უკიდურეს ზღვარს მონიშნავს, რომლისკენაც მატერიალურობის განვითარება იხრება, მაგრამ რომელსაც ის სრულად ვერასოდეს აღწევს. ამრიგად, ინტელექტის ოპერაციებით შეურყვნელად, ინტუიციის მეშვეობით შეხედვა დაგვანახებს, რომ მატერიის თითქოსდა ერთმანეთის გარემდებარე ნაწილები „ერთმანეთში იჭრება და ყოველი მათგანი განიცდის მთელის ზემოქმედებას, რომელიც, მაშასადამე, მათშია ამა თუ იმ სახით წარმოდგენილი. ამგვარად, მართალია, მატერიის გაშლა სივრცის მიმართულებით წარმოებს, მაგრამ ის მას სავსებით ვერ აღწევს“ (იქვე, 199). ანალოგიური ვითარებაა სულის შემთხვევაშიც: ის, რომ სული წმინდა ხანიერებაა და ვრცეულობას მასთან საქმე არ აქვს, მხოლოდ პრინციპის დონეზეა სიმართლე, ხოლო სინამდვილეში ესეც მარტოოდენ ტენდენციაა.

„სულიერი ცხოვრება წმინდა ხანიერებად მხოლოდ იშვიათად [გვი]ცხადდება... უეჭველია, რომ თუ მატერიაში რასმე სულიერისას აღმოვაჩენთ,

სულიერშიც აგრეთვე რასმე მატერიალურს ვპოვებთ. წმინდა მატერია და წმინდა სულიც ტენდენციად უნდა იქნეს წარმოდგენილი. ვერც მატერიას და ვერც სულს საბოლოოდ დამთავრებულად და გამიჯნულად ვერ დავსახავთ. აზრი, თითქოს ყველაფერი არსებული ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია, ...ბერგსონის აზრით, ცრურწმენაა, რომელიც სამუდამოდ გამომზეურებულ და უარყოფილ უნდა იქნეს“ (იქვე, 201-202).

ამ ეტაპზე უზნაძე კიდევ ერთხელ დაინახავს ბერგსონის დუალისტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იმაში, რომ, მართალია, არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საპირისპირო პრინციპების, მაგრამ ზეცნობიერებაში ორი დაპირისპირებული ტენდენციის აღიარებასთან მივედით. ის კითხულობს: ბერგსონისეული ზეცნობიერების სახით ხომ არ გვაქვს საქმე სპინოზასეული, აზროვნებისა და განფენილობის საპირისპირო ატრიბუტებით აღჭურვილი სუბსტანციის ანალოგთან (იქვე, 202) მაგრამ ამ კითხვას მაშინვე უარყოფით პასუხს სცემს და პრობლემის გასაღებს ისევ ინტუიციაში ხედავს: ინტუიცია დაგვანახებს, რომ „სადაც სულიერ ცხოვრებაში ორი ტენდენცია იჩენს თავს, ...საქმე გვაქვს მხოლოდ სულით დაძაბულობის მოდიფიკაციასთან“ (იქვე). რაც უფრო მეტია დაძაბულობა, მით უფრო კონცენტრირებულად, მთლიან, მოძრავ პროცესად წარმოგვიდგება სულიერი ცხოვრება; ხოლო მეტ მოდუნებასთან ერთად ის მატერიალობისადმი ტენდენციას ავლენს (იქვე, 203). ასეთ დროს „აქამდე ჩვენთვის განუყოფელ იმპულსად შედუღებული ჩვენი წარსული ურთიერთ გარე-მსრბოლ, ათასსა და ათიათასს მოგონებად იშლება, რომელნიც რამდენადაც მეტს გამყარდებიან, იმდენად ურთიერთშეჭრას იუარებენ. ამგვარად, ჩვენი პიროვნება კვლავ სივრცისაკენ მიიმართება“ - იმოწმებს უზნაძე ბერგსონის სიტყვებს „შემოქმედებითი ევოლუციიდან“ (Bergson 1944, 229).

ამგვარად, უზნაძისთვის ის, რაც ერთი შეხედვით ბერგსონთან რეალობის დამოუკიდებელი პრინციპების ან ერთ რეალობაში არსებული განსხვავებული ტენდენციების დუალიზმად შეიძლება მოგვეჩვენოს, სინამდვილეში მხოლოდ სულიერი დაძაბულობის მოდიფიკაცას წარმოადგენს. „ზეცნობიერება, რომელიც დაძაბულობის მოდიფიკაციის ცნებას შეიცავს, არც წმინდა სულიერია და არც მატერიალური, როგორც დაძაბულობის ხარისხი, იგი აგრეთვე მატერიალურია, როგორც სულიერი... დროის ყველა წერტილში რეალობა ერთსა და იმავე დროს სულიერიც არის და მატერიალურიც, ვინაიდან იგი ამა თუ იმ ხარისხით არის დაძაბული“ (იქვე, 203-204). წმინდა სულიერება შეუძლებელია, რადგან ასეთი რამ აბსოლუტურ დაძაბულობას უნდა გულისხმობდეს, ხოლო ასეთი ზედა ზღვარი არ არსებობს. მეორე მხრივ, ასევე შეუძლებელია წმინდა მატერიალურობა, რადგან ეს დაძაბულობის სრულ მოსპობას ნიშნავს, რაც რეალობისა და, მასთან ერთად, მატერიალურის არარსებობის ტოლფასია (იქვე, 204). მოკლედ, წმინდა სულიერება და წმინდა მატერიალურობა ინტელექტის კონსტრუქტებია, მისი აბსტრაქციებია. მათ შესაბამისს ვერაფერს ვიპოვით რეალობაში, როგორადაც მას ინტუიციით ვწვდებით.

დასკვნის სახით უზნაძე ამტკიცებს, რომ ბერგსონის ინტუიციონიზმი დაცულია ვულგარული მატერიალიზმისა და მონიზმის სიძნელეებისგან, რომლებიც აბსოლუტისტურ-ინტელექტუალისტური თვალსაზრისის შეზღუდულობებითაა განპირობებული. ხოლო ბერგსონის ევოლუციონიზმი და ინტუიციონიზმი ამ უკანასკნელთაგან თავისუფალია (იქვე).

შეიძლება საინტერესო იყოს ბერგსონის ფილოსოფიის მონისტური რეკონსტრუქციის უზნაძისეული ვერსიის შედარება ჟილ დელიოზის ანალოგიურ პროექტთან. მით უფრო, რომ დელიოზისთვისაც ბერგსონის ინტერპრეტაციის უმთავრესი გამოწვევაა იმის ახსნა, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთთან ჰარმონიაში გავიაზროთ დროის მონიზმის, ხანიერებათა თვისებრივი მრავლობითობისა და გაშლა (détente) - კონცენტრაციის მიმართულებების ბინარობის ბერგსონისეული კონცეფციები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დელიოზის „ბერგსონიზმი“, რომელიც უზნაძის მონოგრაფიისა და სტატიის გამოქვეყნებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1966 წელს გამოვიდა, უდავოდ არის ბერგსონის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და პოპულარული ინტერპრეტაცია, დაწერილი იმ დროს, როდესაც ფრანგულ ფილოსოფიაში ანტიბერგსონიზმის განსაკუთრებულად ძლიერი ტალღა დომინირებდა (Gioly, 2003).

დელიოზი ბერგსონის მონიზმთან დაკავშირებულ პრობლემას უზნაძისაგან განსხვავებულად აყალიბებს: თუ ვიფიქრებთ, რომ ბერგსონთან დუალიზმიდან მონიზმზე გადასვლა დამოკიდებულია გადასვლაზე თვისებრივი განსხვავებებიდან გაშლისა და კონცენტრაციის დონეების განსხვავებაზე, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის თავისი მოძღვრების საფუძვლად უკან შემოაბრუნებს იმას, რასაც ყველაზე რადიკალურად ემიჯნებოდა - განსხვავებებს ხარისხსა და ინტენსიურობაში, ანუ რაოდენობრივ განსხვავებებს? როგორ შეიძლება ერთმანეთთან შევარიგოთ ბერგსონის ორი მტკიცება: ერთი, რომ წარსულსა და აწმყოს შორის განსხვავება თვისებრივია, და მეორე, რომ აწმყო წარსულის მაქსიმალურად კონცენტრირებული ხარისხია (Deleuze 1991, 91)? აქ, როგორც დელიოზი ამბობს, საქმე გვაქვს არა საკუთრივ მონიზმის პრობლემასთან (რომელიც გადაჭრილია იმით, რომ გაშლისა და კონცენტრაციის სხვადასხვა ხარისხის თანაარსებობა ერთიანი დროის არსებობას გულისხმობს), არამედ თვისებრივი განსხვავებების დუალიზმისა და გაშლის (détente) ხარისხების მონიზმის ერთმანეთთან შეთანხმების პრობლემასთან (იქვე).

ამ პრობლემიდან გამოსავალს დელიოზი იმაში ხედავს, რომ აღნიშნული დუალიზმი და მონიზმი განვიხილოთ, როგორც მეთოდის სხვადასხვა მომენტი, და არა - როგორც დოქტრინის სხვადასხვა კომპონენტი (იქვე, 92). სახელდობრ, ის მეთოდის სხვადასხვა მომენტებად წარმოადგენს (1) წმინდა დუალიზმს, რომელსაც შეესაბამება ბერგსონის თავდაპირველი მახვილი სივრცესა და დროს, მატერიასა და მეხსიერებას, ამწყოსა და წარსულს და ა.შ. შორის თვისებრივ განსხვავებაზე; (2) ნეიტრალიზებულ, ანუ დაბალანსებულ დუალიზმს, რომელსაც შეესაბამება ბერგსონის მსჯელობა, რომლითაც ის აჩვენებს, რომ მეხსიერება არსებითად განსხვავებაა, ხოლო მატერია - არსებითად განმეორება. ამით, ამტკიცებს დელიოზი, უკვე გვაქვს არა თვისებრივი განსხვავება ორ ტენდენციას შორის, არამედ „განსხვავება თვითონ თვისებრივ განსხვავებათა და ხარისხობრივ (რაოდენობრივ) განსხვავებებს შორის“; (3) მონიზმს, რომელსაც შეესაბამება ბერგსონის მსჯელობის მომდევნო საფეხური, რომელზეც ის აჩვენებს, რომ თუ მეხსეირება არის თვისებრივი განსხვავება, ხოლო სივრცე ან მატერია - რაოდენობრივი განსხვავება, ამ ორს შორის მოქცეულია განსხვავების ყველა ხარისხი, ანუ თავად განსხვავების მთლიანი ბუნება. ხანიერება მხოლოდ მატერიის ყველაზე კონცენტრირებული ხარისხია, ხოლო მატერია - ხანიერების ყველაზე გაშლილი (détendu) ხარისხი. ხარისხობრივი განსხვავებები თავად განსხვავების ყველაზე დაბალი ხარისხია,

ხოლო თვისებრივი განსხვავებები - თავად განსხვავების ყველაზე მაღალი ხარისხი. ამრიგად აღარ გვაქვს დუალიზმი თვისებრიობებსა და ხარისხებს შორის და ყველა ხარისხობრივი თუ თვისებრივი განსხვავება ერთ რეალობაში - დროში - თანაარსებობს (იქვე, 92-92). თუ გავიხსენებთ, რომ ხანიერება, ნამდვილი სინამდვილე ბერგსონისთვის სწორედ განსხვავებაა და არა საკუთარ თავთან იგივეობა, ვირტუალობაა და არა აქტუალობა ან პრეზენტობა, ცვალებადობა და მოძრაობაა, და არა მყარი იდენტობა, გასაგები ხდება, როგორ უნდა გავიაზროთ მისი მონიზმი, როგორც განსხვავების, პროცესის ონტოლოგია.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დელიოზის ეს რეკონსტრუქცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ბერგსონის მონიზმის უზნაძისეული გააზრებისგან. უზნაძე ხომ დაძაბულობის ხარისხებზე ლაპარაკობს და ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მან ბერგსონის მონიზმი საბოლოოდ ერთი სინამდვილის სხვადასხვა ხარისხით გამოვლენის ონტოლოგიაზე დაიყვანა? ვფიქრობთ, ასეთი გაგება არასწორი იქნება. უზნაძე იმავე კონტექსტში „დაძაბულობის სხვადასხვა ხარისხის“ შენაცვლებადად იყენებს ფრაზას „დაძაბულობის მოდიფიკაციები“. შეიძლება ნაკლებად მკაფიოდ არტიკულირებულად, ვიდრე დელიოზთან, მაგრამ უზნაძესთანაც ბერგსონის მონისტური ონტოლოგია წარმოდგენილია, როგორც განსხვავების, პროცესის ონტოლოგია, რამდენადაც მასშიც სინამდვილე საბოლოო ანგარიშში დაძაბულობაა, შემოქმედებითი ძალაა, განსხვავებების არტიკულაციის პროცესია.

ბერგსონის ფილოსოფია და განწყობის თეორია

როგორც დასაწყისში ითქვა, უზნაძის მკვლევრებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ ბერგსონის ფილოსოფიის კრიტიკულმა გადამუშავებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უზნაძის მიერ განწყობის თეორიის ჩამოყალიბებაზე. ახლა ვეცდებით, გამოვკვეთოთ რამდენიმე ასპექტი, რომელშიც უზნაძის ორიგინალური თეორიის ჩამოყალიბებისთვის მართლაც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ბერგსონის ნააზრევთან მისი შეხვედრა.

განწყობის თეორიის არსი ძალიან მოკლედ ასე შეიძლება შევაჯამოთ: უზნაძის მიზანი იყო ადამიანის ქცევის მიზანშეწონილობის ისეთი თეორიის შემუშავება, რომელიც არც მექანისტური იქნებოდა და არც ვიტალისტური. ასეთი თეორიის ძიების გზაზე უზნაძისთვის სახელმძღვანელო აღმოჩნდა იმის კრიტიკა, რაც, მისი აზრით, მანამდე არსებული ყველა ფსიქოლოგიური თეორიის შეცდომას წარმოადგენდა. სახელდობრ, ყველა მათგანი ემყარებოდა მცდარ მეთოდოლოგიურ პოსტულატს, რომელსაც უზნაძემ „უშუალობის პოსტულატი“ უწოდა. ამ პოსტულატში უზნაძე გულისხმობს დაშვებას, რომ ფსიქიკური მოვლენები უშუალოდაა მიზეზშედეგობრივად განპირობებული მათი გამომწვევი მოვლენებით (იქნება ეს გარემოს ფაქტორები თუ სხვა ფსიქიკური მოვლენები). ეს პოსტულატი კი, მისი ნებისმიერი ფორმით, გულისხმობდა ადამიანის ფსიქიკის თეორეტიზების მცდელობებში სუბიექტის სრულ იგნორირებას (უზნაძე 1977, 51). სანაცვლოდ, ქცევის მიზანშეწონილობის ასახსნელად უზნაძემ თეორიულად დაუშვა, შემდეგ კი ექსპერიმენტულადაც სცადა იმის დასაბუთება, რომ ფსიქიკური მოვლენების გამოწვევის

მიზეზშედეგობრივი მექანიზმი გაშუალებულია არაცნობიერი რეალობით - განწყობით, რომელიც სუბიექტის მთლიან მდგომარეობას წარმოადგენს და კონკრეტული ფსიქიკური აქტისათვის მის მზაობას განსაზღვრავს. „განწყობა უნივერსალური გამაშუალებელი ცვლადია გარემოსა და ცნობიერებას, თვითონ ცნობიერების მოვლენებსა და, აგრეთვე, ცნობიერებასა და ქცევას შორის“ (იმედაძე 2004, 188). განწყობა, უზნაძის თეორიის მიხედვით, მთლიანი სუბიექტის სპეციფიკურ მოდიფიკაციას წარმოადგენს - ეს არის მდგომარეობა, რომელიც მთლიან სუბიექტს ახასიათებს და არა - მის ცალკეულ პროცესსა თუ ფუნქციას (იქვე). განწყობა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებისაგან შედგება; სუბიექტური ფაქტორია მოთხოვნილება, ხოლო ობიექტური - გარემო, სიტუაცია. განწყობა არ არის ცნობიერების მოვლენა, ის არ წარმოადგენს ცნობიერების შინაარსს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ფსიქიკის არაცნობიერი ნაწილია იმ აზრით, რომლითაც ფსიქოლოგიურ თეორიებში, განსაკუთრებით, ფროიდთან, ფიგურირებს არაცნობიერი. უზნაძე საგანგებო ყურადღებას უთმობს იმის ჩვენებას, რომ ფროიდისეული არაცნობიერი ფსიქოლოგიისათვის უსარგებლო ცნებაა: ეს არის ცნება ფსიქიკური პროცესებისა, რომლებიც მხოლოდ იმით განსხვავდებიან ცნობიერი ფსიქიკურისაგან, რომ არ ახლავთ ცნობიერება. ასე გაგებული, ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან თავიანთი შინაგანი ბუნებითა და სტრუქტურით (უზნაძე 1977, 44). ასე გაგებული არაცნობიერი ვერ შეასრულებს იმ თეორიულ ამოცანას, რისთვისაც უზნაძეს განწყობის ცნება სჭირდება - მას სჭირდება არაცნობიერი, რომელიც თვითონ არ წარმოადგენს ცნობიერების შინაარსს, მაგრამ გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ცნობიერების მოვლენებზე. სწორედ ეს არის განწყობა. თავისი თეორიის ჩამოყალიბების ადრინდელ ეტაპზე უზნაძე განწყობას საერთოდ არ მიაკუთვნებდა ფსიქიკის სფეროს და მას ბიოსფეროს უწოდებდა. მოგვიანებით მან განწყობა არაცნობიერ ფსიქიკურად მიიჩნია, რომელიც ევოლუციურადაც წინ უსწრებს ცნობიერების ჩამოყალიბებას (იმედაძე 2004, 193).

რა კავშირი შეიძლება დავინახოთ უზნაძის ამ ფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებასა და მისი ავტორის მიერ ბერგსონის ფილოსოფიის სიღრმისეულ გააზრებას შორის? ალბათ, ერთ-ერთი უპირველესი ასეთი კავშირი იქნება ფსიქო-ფიზიკური ურთიერთქმედებისა და თვითონ ფსიქიკურ სფეროში მიზეზშედეგობრიობის პრობლემის მწვავე ცნობიერება?. რასაკვირველია, უზნაძე ამ პრობლემატიკასთან ბერგსონის გარეშეც აუცილებლად მივიდოდა, იმდენად ცენტრალური იყო ის იმდროინდელ ფსიქოლოგიურ თუ ფილოსოფიურ დისკუსიებში, მაგრამ უდავოა, რომ ბერგსონის სიღრმისეულმა ცოდნამ მას მნიშვნელოვნად მოუმზადა საფუძველი და მისცა ბიძგი ამ პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტის ძიებისათვის. როგორც ამ ზოგადი პრობლემის კონკრეტული ფორმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს მექანიციზმის კრიტიკა როგორც ზოგადად, ისე, განსაკუთრებით, სულიერ მოვლენებთან მიმართებაში. რასაკვირველია, მექანიციზმის პრობლემურობა უზნაძის ინტელექტუალური მომწიფებისა და ფსიქოლოგიაში მისი ადრინდელი ნაბიჯების პერიოდში საკმაოდ ფართო განხილვის საგანი იყო როგორც ფილოსოფიაში, ისე ფსიქოლოგიაში, მაგრამ უდავოა, რომ ბერგსონი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელი იყო იმ პერიოდის ანტიმექანიცისტურ მიმართულებაში. ის, რომ უზნაძეს უშუალოდ ჰქონდა ნამუშევარი ბერგსონის

ფილოსოფიური შეხედულებების რეკონსტრუქციასა და კრიტიკაზე, უდავოდ მნიშვნელოვანი იყო მის მიერ თავისი თანამედროვე ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური დაშვებების გადააზრებისთვის.


კიდევ ერთი დამაკავშირებელი ელემენტი უნდა იყოს ბერგსონის განსაკუთრებული ინტერესი სუბიექტის მთლიანობის მიმართ, სულიერი ცხოვრების ერთიანობისა და ამასთან მრავლობითობის გააზრების მისი ცდები. როგორც ვნახეთ, განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის შექმნისას უზნაძისთვის მთავარი სახელმძღვანელო ძაფი იყო სუბიექტის, როგორც მთლიანობის, აუცილებელი მნიშვნელობა ცალკეული ფსიქიკური აქტების გაგებისა და ახსნის საქმეში. ასეთი ორიენტაციის ჩამოყალიბებაზე უთუოდ უნდა მოეხდინა გავლენა სულიერი ცხოვრების ელემენტების ურთიერთშეღწევადობის, ფსიქიკის „განუწვალებადობის“ შესახებ ბერგსონის არგუმენტების შესწავლას.

დასასრულს, კიდევ ერთი პარალელი (თუ მემკვიდრეობითობა არა) შეგვიძლია დავინახოთ განწყობის უზნაძისეულ ცნებასა და იმ როლს შორის, რომელსაც ბერგსონის მიხედვით ინსტინქტი (რომელიც მისთვის ინტუიციის რუდიმენტული ფორმაა) ასრულებს ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთქმედებაში. ის, რომ უზნაძეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული ბერგსონის შესაბამისი მონაკვეთები, როგორც მათში არსებული თეორიული რესურსები, ისე მათი პრობლემური ასპექტები, კარგად ჩანს მის მონოგრაფიაში ბერგსონის შესახებ. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ბერგსონის ინტუიტივიზმის კრიტიკულმა გადააზრებამ უზნაძის მიერ განწყობის თეორიისათვის საფუძვლების მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bergson, H. (1944). *Creative Evolution*. Trans. Arthur Mitchell. New York: The Modern Library.
2. Bergson, H. (1991). *Matter and Memory*. Trans. by N. M. Paul and W. S. Palmer. New York: Zone Books.
3. Deleuze, G. (1991). *Bergsonism*. Trans. by Hugh Tomlison and Barbara Habberjam. New York: Zone Books.
4. Gioly, G. (2003). *What is Transcendental Empiricism?* Deleuze and Sartre on Bergson. Pli 14: 182-203.
5. Radhakrishnan, S. (1917). *Is Bergson's Philosophy Monistic?* Mind, Vol. 26, No. 103: pp. 329-339.
6. Steenbergen, A. (1909). *Henri Begson's intuitive Philosophie*. Jena: Diederichs.
7. თევზაძე, გ. (2002). *XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. თევზაძე, გ. (2003). *დიმიტრი უზნაძე*. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ. IV, ელფის გამომცემლობა.
9. იმედაძე, ი. (2004). *XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები*. თბილისი: ენა და კულტურა.
10. კაპანელი, კ. (1989). *ფილოსოფიური შრომები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

11. ნადირაშვილი, შ. (2014). *„რედაქტორის წინასიტყვაობა“. დიმიტრი უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგია,* გვ. 6-12. თბილისი: საქართველოს მაცნე.
12. უზნაძე, დ. (1977). *შრომები,* ტომი VI. თბილისი: მეცნიერება.
13. უზნაძე, დ. (1986). *ფილოსოფიური შრომები,* წიგნი მეორე. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
14. ჯანელიძე, ა. (1997). *ეროვნული შემოქმედება.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.



წინამდებარე წიგნი დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროექტის: „დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია“ ფარგლებში მომზადდა. მისი მიზანი ქართველი ფსიქოლოგის, ფილოსოფოსის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის იმ ნაწილის წარმოჩენაა, რომელიც მას ფრანკოფონიურ სამყაროსთან აკავშირებს. წიგნში იხილავთ დიმიტრი უზნაძის სამნაშრომს და მათ ანალიზს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia